ახლა პრუსიამ მიზანში საქსონია ამოიღო. ჯერ ეკონომიკურ საშუალებებს მიმართა მისი დასუსტებისათვის, შემდეგ კი საფრანგეთს გაუბა მოლაპარაკება საქსონის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის თაობაზე. ფრანგებს ახსოვდათ ფრიდრიხის მოქმედება ანტიავსტრიულ კოალიციაში და მის წამოწყებას არათუ დაუჭირეს მხარი, არამედ დაუახლოვდნენ ავსტრიელებს და თავად შექმნეს ანტიპრუსიული ე.წ. კაუნიცას კოალიცია (ავსტრიის კანცლერის კაუნიცას გვარის მიხედვით). მალე კოალიციაში შევიდნენ რუსეთი და პოლონეთი. ამან პრუსიის მდგომარეობა დაამძიმა, რადგან მოკავშირეებს ძალზე დიდი უპირატესობა

გააჩნდათ. ამის მიუხედავად, ისინი მეტად პაისურად მოქმედებდნენ. ამით სარგებლა ფრიდრიხმა და მაშინვე შეეკრა ინგლისს (იგი დაინტერესებული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ პრუსიის გამოყენებით, რომ მოქმედება გაადვილდებოდა ინდოეთში), მიიღო მისგან სესხი და ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქსონიას. ასე გაჩაღდა ევროპაში ცნობილი შვიდ წლიანი ომი. თავდაპირველად იგი პრუსთათვის სასარგებლოდ წარიმართა. ფრიდრიხმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა და საქსონიის კურფიურსტი კაპიტულაციამდე დაითანხმა, მაგრამ 1757 წელს ომში რუსეთი ჩაება და ვითარებაც შეიცვალა. გროსეგრსდორფთან (1757 წ.) და კუნერსდორფთან (1759 წ.) ბრძოლებში რუსებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს პრუსიელებზე და ბერლინიც აიღეს. ფრიდრიხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. "ვერ გადავიტან მამულის განადგურებასო" – წერდა ახლობლებს და უკვე თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა, მაგრამ კვლავ შეიცვალა მდგომარეობა, ოღონდ ამჯერად პრუსიის სასარგებლოდ. 1762 წლის იანვარში გარდაიცვალა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული და პეტრე მესამის სახელით ტახტზე დაჯდა ჰოლშტინიის პრინცი, რომელიც ფრიდრიხისა და პრუსიის დიდი თაყვანისმცემელი იყო. მართალია, იგი მცირე ხნით იყო რუსეთის მეფე, მაგრამ მოასწრო ჯარების გაწვევა. ამან იხსნა პრუსია. საბოლოოდ გაფორმდა ზავი, რომლითაც მებრძოლი მხარეები ომამდელ პოზიციებზე დარჩნენ.

ახლა ფრიდრიხ II პოლონეთის წინააღმდეგ გამოსვლის სამზადის შეუდგა. ამ მიზნით მოლაპარაკება წამოიწყო რუსეთთან. მისი და ცარიზმის გეგმები პოლონეთის განაწილების საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა. კერძოდ, ფრიდრიხს სურდა დასავლეთ პრუსიის ხელში ჩაგდება, რომ პოლონეთისათვის ზღვაზე გასვლის საშუალება მოესპო. მართლაც, 1772 წელს მოხდა პოლონეთის პირველი დანაწილება. პრუსიამ მიიღო მდ. ვისლის ქვემო დინების გასწვრივ მდებარე ნანატრი ვრცელი ტერიტორია, რითაც

მთელი პრუსია უშუალოდ სამეფოს დანარჩენ რაიონებთან გაერთიანდა.

ამრიგად, აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად პრუსია ევროპის ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა. ქვეყანაში მტკიცედ დამკვიდრდა იუნკრული მილიტარიზმის რეაქციული ტრადიციები. მ.სალტიკოვ–შჩედრინი კიდეც წერდა: ჟრუანტელი მივლიდა, როდესაც გვერდით ჩავუვლიდი ბერლინელ ოფიცრებს, არა იმიტომ რომ მეშინოდა, არამედ თავიანთი აღკაზმულობით, თავხედური და გამომწვევი იერით, წინ წამოწეული მკერდით, გაპარსული სახით, თითქოს მჩრიდეს თვალებში "გმირი ვარო". მე მეჩვენება, ამის ნაცვლად მას რომ ეთქვა, ყაჩაღი ვარ და უნდა გაგაქროო, უფრო უკეთ გავხდებოდი. გ.უსპენსკი იგონებდა: ფარაჯა, დეზები, მუზარადი, აპრეხილი ულვაშები, ორი თითი კორტუზთან, რომლის ქვემოდან იცქირება თვითკმაყოფილი გამარჯვებულის ფიზიონომია, – გხვდებათ ყოველ ნაბიჯზე და ყოველ წუთში. შევეკითხეთ ამ ულვაშოსანს თავის მტერზე და დატკბით როგორ ზის მას სამაგალითო შეგნებული მხეცი. მართალია, ეს სიტყვები მე–19 ს-ის II ნახევრის სინამდვილეს ასახავენ, მაგრამ ამ დახასიათების ძირითადი ნიშნები ცხოვრებაში სწორედ ერთი საუკუნით ადრე ე.წ. „განათლებული აბსოლუტიზმის" ეპოქაში ყალიბდებოდა. ამავე დროს ფრიდრიხი გარკვეულ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის საშინაო ცხოვრების მოწესრიგებას, რაც მხოლოდ გარეგნულად პასუხობდა ეპოქის მოთხოვნილებებს. კერძოდ, ეპოქის სულისკვეთების გათვალისწინებით გაფართოვდა (უპირატესად ქალაქში) დაწყებითი განათლება, გაუქმდა გაბატონებული კლასების ბევრი პრივილეგია, ძირითადად დაძლიეს ადგილობრივი სეპერატიზმის გადმონაშთები, გამარტივდა სასამართლო საქმის წარმოება, რამდენადმე გაუმჯობესდა მეფის მამულებზე მცხოვრებ გლეხთა მდგომარეობა, გამოცხადდა რელიგიური შემწყნარებლობა და სხვ.; მაგრამ ყველაფერი ეს კეთდებოდა გარკვეული მოსაზრებით – შეენიღბა და შეელამაზებია

პრუსიის სინამდვილე ანუ იგივე „პატრიარქალური დესპოტიზმი".

საერთო ეკონომიკური აღმავლობის ვითარებაში ასპარეზზე გამოვიდნენ ცნობილი მოაზროვნეები, მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ფაქტობრივად შეადგენდნენ ახლადჩასახული ბურჟუაზიის იდეოლოგებს. ლაიბნიცის, კანტის, ჰერდერის, ლესინგის განსაკუთრებით კი XVIII ს-ის 70–80–იანი წლების ე.წ. „ქარიშხლისა და შტევის" ეპოქის მოღვაწეების გოეთეს, შილერის, ფორსტერისა და სხვების შეხედულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა გერმანული განმანათლებლობა, როგორც თავისი დროის მოწინავე აზრი, რომელიც გამოხატავდა პროტესტს ქვეყნის დაქუცმაცებულობისადმი, ფეოდალური ურთიერთობის ბატონობისადმი და სხვ. გოეთე თავის ერთ–ერთ ლექსში კიდეც ამბობდა: „ერთად შეკვრის იმედი გაქვთ, გერმანელნო, სულ ამაოდ, ჯერ ამისთვის გზა მიეცით თავისუფალ ადამიანს". ე.ი. დიდი გერმანელი პოეტი ქვეყნის გაერთიანების პირობად მონობისაგან ხალხის განთავისუფლებას აყენებდა. ეს ტენდენცია კი მაშინ დამახასიათებელი იყო „შტევისა და ქარიშხალის" ეპოქის მოაზროვნეებისათვის.

ლექცია IV
საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია *(2 სთ.)*

1. რესპუბლიკის გამოცხადება

1789–1794 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია მსოფლიო ისტორიის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რამდენადაც მან არამარტო გაიმარჯვა და დაამხო ფეოდალიზმი ქვეყნის შიგნით, არამედ დააჩქარა ამ წყობის მსხვრევა მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული რევოლუცია არ იყო პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია. მას წინ უძღოდა გერმანული რეფორმაციული მოძრაობა, ნიდერლანდებისა და ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციები, მაგრამ 1789–1794 წლების რევოლუცია მათგან არსებითად განსხვავდებოდა და მან მსოფლიო ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

საკითხის ისტორიოგრაფია. 1789–1794 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ბასტილიის დაცემისთანავე მიიპყრო ყურადღება, ამის შედეგია, რომ ფრანგულ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხზე უამრავი სპეციალური ლიტერატურა დაგროვდა, ათასობით საარქივო დოკუმენტაციაც გამოქვეყნდა. რა თქმა უნდა, ესა თუ ის მკვლევარი, კლასობრივი პოზიციებიდან აფასებდა და სწავლობდა ამ მოვლენას, მაგრამ მათი გაწეული დიდი მუშაობის მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. საისტორიო მეცნიერებას გააჩნია ფაქტობრივი მასალის შემცველი მდიდარი ლიტერატურა, რომელთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის რეალური და სრულყოფილი სურათის აღდგენა.

1789–1794 წლების რევოლუციის საყურადღებო ნაშრომები უძღვნეს XIX ს-ის I ნახევრის ფრანგმა ისტორიკოსებმა, ე.წ. „რესტავრაციის სკოლის" წარმომადგენლებმა მინიემ, გიზომ, ოგიუსტენ ტიერმა და სხვ. მართალია, ისინი ძირითადად განიხილავდნენ ამ მოვლენის პოლიტიკურ მხარეს და თითქმის უყურადღებოდ სტოვებდნენ ეკონომიურს, კლასობრივი

ბრძოლის ქვეშ გულისხმობდნენ პარტიათა და არა უკან მდგომ სოციალურ დაჯგუფებათა ბრძოლას და სხვ., მაგრამ ამის მიუხედავად მათ ნაშრომებს თავისი დროისათვის უდავოდ ჰქონდა მნიშვნელობა. წინამორბედებთან შედარებით „რესტავრაციის სკოლის" მკვლევარებმა უკეთ გამოიყენეს საისტორიო კვლევა–ძიების მეთოდი, ისარგებლეს მეტი პირველწყაროებით და გადმოსცეს რევოლუციის ძირითადი მომენტებიც.

საგულისხმოა, რომ ლიბერალური და დემოკრატიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების ლამარტინის, ჟიულ მიშლეს, ბიუშეს, განსაკუთრებით უტოპიური სოციალიზმის ეპიგონის ლუი ბლანის გამოკვლევები რევოლუციის შესახებ. წიგნში „ჟირონდისტების ისტორია" (1848), ლამარტინი აიდიალებდა ჟირონდისტებს და აძაგებს იაკობინელებს (სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ავტორი მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო. უკანსკნელები კი ვერ იტანდნენ იაკობინელებს სწორედ მათი ეგალიტარიზმის გამო).

შვიდ ტომიან გამოკვლევაში „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია" (1847) მიშლე მართალია სიმპათიებს ამჟღავნებდა იაკობინელების მიმართ, იგი ცდილობს გაამახვილოს ყურადღება მონტანიარებსა და მათ საქმიანობაზე, მაგრამ საბოლოოდ „ერის ერთიანობის იდეით რევოლუციაში ბურჟუაზიისა და ხალხის ერთობლივი გამოსვლა მოითხოვა".

1834–38 წლებში, ბიუშემ გამოსცა 40 ტომად დოკუმენტთა საინტერესო კრებული „საფრანგეთის რევოლუციის პარლამენტის ისტორია". მასში დაბეჭდილია დამფუძნებელ და საკანონმდებლო კრებების, იაკობინელთა კლუბის, კომუნისა და რევოლუციური ტრიბუნალის საოქმო ჩანაწერები. მართალია, თვით ბიუშეს კონფერენცია ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მის მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული დოკუმენტები პირველხარისხოვანი წყაროა რევოლუციის შესასწავლად.

1846 წელს გამოვიდა ლუი ბლანის „საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის" პირველი ტომი. ავტორის თანაგრძნობა აშკარად იაკობინელების მხარეზეა იგი თაყვანს

სცემს როსბესპიერს და სხვ., მაგრამ ქებას უძღვნის ჟირონდისტებსაც და წუხს მათ დაღუპვას; ბლანი უარყოფითად ეკიდება „ცოფიანებს და ებერისტებს, ხოლო ჟირონდისტებსა და იაკობინელებს შორის ბრძოლის საფუძვლად იგი თვლის ფილოსოფიურ დოქტრინებს, რამდენადაც პირველები იყვნენ ვოლტერანელები ხოლო მეორენი კი – რუსოს თანამოაზრეებად მიაჩნდა. ასეთი მცდარი კონფერენციების მიუხედავად ბლანის ნაშრომი საყურადღებოა. ავტორმა გამოიყენა დიდძალი ფაქტობრივი მასალა და განიხილა ისეთი საკითხები (მაგ., ეკონომიური პრობლემები), რომლებსაც წინამორბედ ისტორიკოსთა კალამი არ შეხებია.

საფრანგეთის რევოლუციის შესწავლა ინტენსიურად წარმოებდა პარიზის კომუნის შემდეგ. 1885–1904 წლებში გამოქვეყნდა ალბერ სორელის 8 ტომიანი ნაშრომი „ევროპა და საფრანგეთის რევოლუცია“, მასში გადმოცემულია XVIII ს.-დამლევისა და XIX ს-ის მოჯნის ევროპის პოლიტიკური ცხოვრება, ცალკეულ მოღვაწეთა პორტრეტები და სხვ., მაგრამ ავტორის ზომიერმა ბურჟუაზიულმა ლიბერალურმა შეხედულებებმა უარყოფითი კვალი დაამჩნიეს ნაშრომს. ა.სორელი აძაგებს იაკობინელებს და აქებს მირაბოს, აგრეთვე დიდ ოპორტუნისტს დანტონს. იგი უარყოფს 1793 წლის იაკობინელთა დემოკრატიულ კონსტიტუციას და ცნობს მხოლოდ 1785 წლის კონსტიტუციას, რომელმაც აღადგინა ქონებრივი ცენზი და ა.შ.

ამავე პერიოდში ქვეყნდება ბურჟუაზიულ–ლიბერალური მიმართულების ე.წ. „მეცნიერული“ სკოლის ლიდერის ალფონს ოლარის შრომებიც: „რევოლუციის ისტორიები” (1882 წ.), „საფრანგეთის რევოლუციის ნარკვევები და გაკვეთილები“ (1893 წლიდან გამოიცა 9 სერიად), „საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორია“ (1901 წ.) და სხვ., დაბეჭდა ასევე დოკუმენტთა რამდენიმე კრებულიც: „იაკობინელთა კლუბის ოქმები“ და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ა.ოლორი მკაცრად შეებრძოლა ყველა რეაქციონერ ისტორიკოსებს (მაგ., ტენს...), რომლებიც ცილს სწამებდნენ რევოლუციას; ჟორესის

მეშვეობით განიცადა მარქსიზმის გავლენაც, მაგრამ მაინც ბურჟუაზიული იდეოლოგიის ჩარჩოში დარჩა. ა.ოლარი იყო სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის მტერი, რაც აისახა კიდეც მის ნაშრომებში. მან ვერ ახსნა პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული ბრძოლის მიზეზები, 9 თებერვლის გადატრიალებას არ თვლის რეაქციიის დასაწყისად, აიდიალებდა დანტონს და მიაჩნდა XIX ს-ის II ნახევრის ბურჟუაზიული რესპუბლიკელების პროტოტიპად და სხვ. ამის მიუხედავად ა.ოლარის გაწეული შრომის უარყოფა შეუძლებელია, რადგან მან არა მარტო გამოიყენა მდიდარი დოკუმენტური მასალა, არამედ სცადა რევოლუციის ისტორიის შესწავლისათვის მიეცა მკაცრი მეცნიერული ხასიათი.

რევოლუციის შესწავლის საქმეში დიდია მემარცხენე რადიკალური მიმართულების მკვლევარის, სორბონის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგე პროფ. ალბერ მატიეზმის წვლილი. იგი ერთხანს ემხრობოდა საფრანგეთის კომპარტიას, მაგრამ მარქსისტი ისტორიკოსი არასდროს ყოფილა და ბოლოს კომპარტიასაც ჩამოცილდა. მას ეკუთვნის გამოკვლევები: „კორდელიერების კლუბი და დახვრეტა მარსის ველზე“, „რობესპიერი როგორც ორატორი“, „დამფუძნებელი კრების სახელოვანი დღეები“, „საფრანგეთის რევოლუცია“ და სხვ. აღნიშნულ ნაშრომებს ახასიათებს რიგი შეზღუდულობები, კერძოდ, ავტორმა დაამახინჯა რევოლუციამდელი საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა და არ გვიჩვენა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის კონფლიქტის მომწიფების მიზეზები, ვერ გაარკვია ვანდეის აჯანყება, ემიგრაციის ანტირევოლუციური საქმიანობა, გააიდეალა რობესპიერი და იაკობინელები და მათი ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლასთან გაუთანაბრა და სხვ. ამის მიუხედავად, ავტორმა მათში მრავალი სწორი დებულება მოგვცა. მან დაამტკიცა, რომ ჟორონდისტები გამოხატავდნენ რევოლუციის განვითარებით დაშინებული მსხვილი სავაჭრო–სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, პირველმა გაამახვილა ყურადღება „ვანტოზის დეკრეტების” როლზე, სწორად აღნიშნა

ფეოდალური ევროპის წინააღმდეგ ბრძოლაში რევოლუციური ომების მნიშვნელობა და ა.შ.

რევოლუციის ცალკეულ საკითხებზე მეტნაკლებად საყურადღებო ნაშრომები აქვთ სხვა ფრანგ ისტორიკოსებსაც: ჟ.ლეფევრს, რ.გიუიოს, ფ.სანიაკს, ა.კალიევს, ლ. ჟაკობას; ასევე ნორვეგიელ ა.ორდინგს, ამერიკელ რ.კორნჰოლდს, გერმანელს, ა.ზიბელს და ა.შ.

რევოლუციის პრობლემას ინტენსიურად იკვლევდნენ რუსეთშიც. ამ მხრივ ცნობილია „რუსული სკოლის“ წარმომადგენლები: ნ.კარეევის, ი.ლუჩიცკის და მ. კოკალევსკი და ა.შ. მ. კოვალევსკის ეკუთვნის სამტომიანი გამოკვლევა „საფრანგეთის რევოლუციის საკითხზე. მისი ოთხტომიანი ნაშრომიდან „თანამედროვე დემოკრატიის წარმოშობა“ პირველი სამი საფრანგეთის 1791 წლამდელ ისტორიას ეხება, თუმცა ავტორი „კონსტიტუციური მონარქიის“ უპირატესობის იდეას ანვითარებს. გამოკვლევაში დიდი ადგილი დაეთმო რევოლუციის იდეოლოგიურ საფუძვლების, საფრანგეთზე ინგლისის და აშშ გავლენის ჩვენებას და სხვ. მ.კოვალევსკი ავტორია აგრეთვე კრებულისა „წვრილი გლეხური საკუთრების წარმოშობა საფრანგეთში“ (1912 წ.), რომელშიც გაშუქებულია რევოლუციამდელი საფრანგეთის სოფლის აგრარულ აღსანიშნავია ე.ტარლეს, ვ.ვოლგინის, ა.მარფრედის და სხვა ორიგინალური ნაშრომები. საბჭოთა ისტორიკოსების კვლევის შედეგების განზოგადებაა, აკად. ვ.ვოლგინისა და აკად. ე.ტარლეს რედაქციით გამოქვეყნდა სქელტანიანი კოლექტიური მონოგრაფია „საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია 1789–1794 წწ.“ 1941 წელს.

საფრანგეთის რევოლუციის ცალკეულმა საკითხებმა ქართველ მკვლევართა დაინტერესებაც გამოიწვია. ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობას ეწეოდა პროფ. გ.კიღურაძე. ძირითადად მან გამოიკვლია არმიის პრობლემა რევოლუციაში, რასაც (1962) უძღვნა სოლიდური ნაშრომი – „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან”. ამას გარდა, იგი ავტორია რამდენიმე ორიგინალური სტატიისა: „ვანტოზის

დეკრეტები", „წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკში (დანტონისტები)", „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში", „9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ" და სხვ.

ომის შემდგომი პერიოდის ნაშრომებიდან აღსანიშნავია ფრანგი ალბერ სობულზის, „საფრანგეთის 1789–1794 წლების რევოლუცია" (1948) (რუსულად ითარგმნა 1950 წელს). ამას გარდა ა.სობულს ეკუთვნის კლასები და კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციის დროს", „რობესპიერი და სახალხო მოძრაობა 1793–1794 წწ." და სხვ., რომლებშიც ავტორი ცდილობს ახლებურად ახსნას რევოლუციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი (იაკობინელთა დაცემა, 9 თერმიდორის გადატრიალება, მისი რეაქციული ხასიათი და ა.შ.).

საფრანგეთის რევოლუციის წინ. კრიზისის მომწიფება. XVII-XVIII ს-ბში საფრანგეთი ევროპის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. აბსოლუტური მონარქიის უკიდურესი განვითარება და ქვეყნის ცენტრალიზაცია, სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე მსხვილი ფეოდალების თვითნებობის ალაგმთა, მუდმივი არმიის შექმნა, მსხვილი ჩინოვნიკური აპარატის ჩამოყალიბება და 1613–1789 წლებში 175 წლის განმავლობაში გენერალური შტატების გარეშე სახელმწიფოს მართვა სამეფო ხელისუფლების მეტისმეტ სიძლიერეს და საშინაო ცხოვრების სტაბილურობას მოწმობდა. ამის შედეგი იყო, რომ საფრანგეთის აქტიური მოქმედება ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე XVII – XVIII ს-ბის პირველ ნახევარში, რამაც ქვეყანას კონტინენტზე გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვა. ამასთან, საფრანგეთი იყო მაშინდელი მსოფლიოს მსხვილი კოლონიური სახელმწიფოც. ჩრდილოეთ ამერიკაში, ინდოეთსა და აფრიკაში მას უდიდესი სამფლობელოები გააჩნდა, რომელთა ძარცვით მეტროპოლიაში კოლოსალური სიმდიდრე შემოდიოდა.

XVIII ს-ის დამდეგიდან საფრანგეთში თანდათან ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა. განსაკუთრებით შესამჩნევი ეს პროცესი დარჩა იმ საუკუნის მეორე ნახევრიდან.

დაიწყო ცალკეული რაიონების დასპეციალება ამა თუ იმ დარგში, შეიქმნა არაერთი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობა, რომლებიც მხოლოდ სასაქონლო პროდუქციას ამზადებდა. ახალი ურთიერთობის ჩასახვა–განვითარებამ კი დააჩქარა გლეხობის ქონებრივი და ამის საფუძველზე კლასობრივი დიფერენციაცია, მაგრამ ფეოდალური წყობისა და ამის შედეგად ათასგვარი ბეგარა–ვალდებულებების არსებობა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი გლეხის მიჯაჭვა მიწაზე და მისი ექსპლოატაციის არაადამიანური ფორმა ახალი ცხოვრების წინსვლას სოფლად სერიოზულად აბრკოლებდა.

სოფლის მეურნეობასთან ერთად ვითარდება მრეწველობა. XVIII ს-ის II ნახევრისათვის ზოგიერთ დარგში მომწიფდა მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ წარმოებაზე გადასვლის აუცილებლობა. მარსელი, ბორდო, ნანტი, ჰავრი ჩამოყალიბდნენ მსხვილ სანავსადგურო სამრეწველო ქალაქებად, სადაც უპირატესად ზღვაოსნობასთან დაკავშირებული დარგები (გემთმშენებლობა, საფეიქრო წარმოება...) დაწინაურდნენ. ლიონი გადაიქცა აბრეშუმის, რუანი და მისი გარეუბნები–შალეულის, დოფინე – ფოლადის ჩამოსხმისა და თუნუქის დამზადების ცენტრად. შეიქმნა ანზენის სააქციონერო კომპანია, რომელსაც თავის სამთო (ქვანახშირი) წარმოებაში დასაქმებული ჰყავდა 4 ათასზე მეტი მუშა. ელზასელი მრეწველის დიტრიხის რკინის სადნობი თუ განთქმული კრეზოს ქარხნები უკვე მაშინ სავსებით ჩამოყალიბებულ მნიშვნელოვან კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენდნენ. მსხვილი მრეწველურ ცენტრად გადაიქცა პარიზი. 1791 წლის ცნობით დედაქალაქის 600 ათასიანი მცხოვრებიდან 62.743 იყო მუშა მამაკაცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფაბრიკა–ქარხნებში დასაქმებული იყო ქალთა და ბავშვთა მრავალრიცხოვანი არმია, მაშინ

მუშათა რიცხვი მარტო პარიზში 293.820 კაცია სავარაუდებელი, ხოლო მთელ საფრანგეთში კი 9 მილიონი.[6]

რა თქმა უნდა, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში მრეწველობა შეფერხებით იკაფავდა გზას. ამ მხრივ აღსანიშნავია მუშაძალის ბაზრის მეტისმეტი სივიწროვე, ჯერ კიდევ მტკიცედ არსებული ცეხური ორგანიზაცია, აგრეთვე მთავრობის რეგლამენტაცია, რომელიც მზარდ კაპიტალისტურ წარმოებას აშკარად მოძველებულ წესებს უმორჩილებდა.

მრეწველობის წინსვლამ დააჩქარა საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოება. ფრანგული ალმებით ათასობით ხომალდი დაცურავდა ატლანტიის, ინდოეთის და წყნარ ოკეანეებში. 1789 წლის ცნობით ქვეყნიდან გაიტანეს: სოფლის მეურნეობის პროდუქტები 93 მილიონი ლივრის, სამრეწველო საქონელი – 133 მილ. ლივრის, უცხოური ნაწარმი (რეექსპორტი) – 46 მილ. ლივრის, კოლონიური საქონელი (მაგ., ზანგი მონები) – 152 მილ. ლივრის ღირებულებისა. ამის მიუხედავად, ფეოდალურ–აბსოლუტისტური რეჟიმი, კერძოდ ერთიანი ვალუტის და საბაჟო–სატარიფო სისტემის არარსებობა მეტისმეტად ზღუდავდა ვაჭრობას. მაინც საგზაო გადასასვლელები, ე.წ. პეაჟები მძიმე ტვირთად აწვათ ფრანგ სოვდაგრებს. მაგ., სენ–რამბერიდან მდ. ლუარით ზღვაზე მისვლამდე მათ 75–ჯერ უნდა გადაეხადათ ბაჟი,[7] რაც სოვდაგრების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების შესახებ აქ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები, რამდენადმე მაინც, მეტყველებენ, რომ XVIII ს-ის II ნახევრისათვის საფრანგეთში თანდათან მწიფდება კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის. ასპარეზზე გამოვიდა ახალი კლასი–სავაჭრო სამრეწველო

[6] Французская буржуазная революция 1789-1794 гг., под редакцией В.Врлгина и Е.Тарле, М./Л., 1941, с. 5-6.

[7] საფრანგეთში კიდეც ხუმრობდნენ: ჩინეთიდან ხორბლის შემოტანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მისი გადაზიდვა ქვეყნის სამხრეთიდან ჩრდილოეთშიო.

ბურჟუაზია, რომელმაც ხალხზე დაყრდნობით იარაღით ცადა შემზღუდავი ფეოდალური არტახებისაგან განთავისუფლება. მაშასადამე, ე.წ. „მესამე წოდება“ კაპიტალისტური მეწარმეობის თავისუფლებისათვის და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ბრძოლაში ძველ ფეოდალურ წყობას და მის პირმშოს აბსოლუტურ მონარქიას დაუპირისპირდა.

ფეოდალურ–აბსოლუტური სისტემის რღვევა და კაპიტალისტური წყობის განვითარება გახდა მატერიალური საფუძველი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმოშობისათვის. გაჩნდა ფრანგული განმანათლებლობა, რომელმაც ძველის წინააღმდეგ ახალი საზოგადოებრივი ძალების პოლიტიკური ბრძოლის თეორიული დასაბუთება მოგვცა. როგორც ამბობდნენ „ფილოსოფიური რევოლუცია წინ უსწრებდა პოლიტიკურ გადატრიალებასო“ (ენგელსი).

ფრანგული განმანათლებლობის საუკეთესო წარმომადგენელია შარლ მონტესკიე (1689–1755). მართალია, იგი არ იბრძოდა აზნაურული პრივილეგიების გაუქმებისათვის და გამოხატავდა მსხვილი ზომიერი ბურჟუაზიის ინტერესებს, მაგრამ ნაშრომით „სპარსეთის წერილები” (1721) მან გადაჭრით გაილაშქრა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და მოითხოვა ცხოვრების ყველა სფეროში „თავისუფალი მოქმედების“ დაშვება.

დრომოჭმულ წყობას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ვოლტერის (1694–1778) იდეებმაც. წიგნებით „ფილოსოფიური ლექსიკონი“, „ლუი XIV საუკუნე“, „კანდიდი“ და სხვ. მან ხმა აღიმაღლა ჰუგენოტების დევნის წინააღმდეგ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საეკლესიო დოგმები და გადადგა ნაბიჯი ათეიზმისაკენ. ფიზიოკრატების სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები ფრანსუა კენე წიგნით „ეკონომიური ცხრილი“, გურნე და სხვები გამოვიდნენ კაპიტალისტური მეწარმეობის სრული თავისუფლების ლოზუნგით და მოითხოვეს სოფლის მეურნეობის გამოყვანა ფეოდალური განვითარების ჩარჩოებიდან. დიდი რეზონანსი მოიპოვა

ასპარეზზე დენი დიდროს (1713–1784), ლამეტრის, კონდილიაკის და სხვა ფრანგი მატერიალისტების გამოსვლამ. მართალია, ისინი მექანიკური მატერიალიზმის ფუძემდებლები (ბუნების მოვლენებს მექანიკის კანონების მოქმედებას უქვემდებარებდნენ) და იდეალისტები იყვნენ, მაგრამ პირველებმა დაამსხვრიეს რელიგიური ილუზიები მსოფლიოს ღვთიურ შექმნაზე და წამოაყენეს მოძღვრება მატერიის მარადისობისა და მოძრაობის შესახებ. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა დ.დიდროსა და დალამბერის ხელმძღვანელობით 1751–1776 წლებში გამოცემულ მრავალტომიან „მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის ენციკლოპედიას“, რომლის ფურცლებზე პროპაგანდას უწევდნენ ფრანგული განმანათლებლების მოწინავე იდეებს. კიდეც ამიტომ მისი პირველი ტომები, მთავრობის ბრძანებით დაწვეს.

წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებად მოგვევლინენ ჟან–ჟაკ რუსო (1712–1778) და აბატი გაბრიელ მაბლი (1709–1785). ეს უკანასკნელი თავის იდეალს კომუნიზმში ხედავდა, თუმცა მას საზოგადოების განვლილ ეტაპად მიიჩნევდა. ისე კი რუსოც და მაბლიც იბრძოდნენ პრივილეგირებული წოდებისა და მსხვილი ბურჟუაზიის უფლების შეზღუდვისათვის, მათი დაბეგვრისათვის და ოცნებობდნენ გლეხების, ვაჭრებისა და ხელოსნების თავისუფალი სახელმწიფოს შექმნაზე.

ქალაქისა და სოფლის პლებეურ მოსახლეობაში გავრცელებული პრიმიტიულ–გათანაბრებითი მისწრაფებების საფუძველზე წარმოიშვა კომუნისტურ–უტოპისტური შეხედულებაც, რომელიც გასცილდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ჩარჩოებს. ჟან მელიე (1664–1729) და მორელი ამ მიმდინარეობის ცალკეული წარმომადგენლები იყვნენ. მათ ჩამოაყალიბეს კომუნისტური საზოგადოების შექმნის გეგმა, მისი კანონები და თეორიულად გამოხატეს წინაპროლეტარიატის გაუცნობიერებელი და შეუგნებელი სურვილები. მორელის და განსაკუთრებით მელიეს უტოპიური კომუნიზმი და დემოკრატიზმი ქმნიდა ფრანგული

განმანათლებლობის მემარცხენე მიმდინარეობას და იდეურად ამზადებდა გრაკხუს ბაბეფის რევოლუციურ კომუნიზმს.

ფრანგ განმანათლებელთა მოღვაწეობას, მათი ცალკეული თეორიული და პრაქტიკული შეზღუდულობის მიუხედავად, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ისინი „უკიდურეს რევოლუციონერებად გამოდიოდნენ"და იყვნენ „დიდი ადამიანები, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის".

<u>გენერალური შტატების მოწვევა. რევოლუციის დასაწყისი</u>. XVIII საუკუნის 80–იანი წლებისათვის ქვეყანაში თანდათან მწიფდება რევოლუციური სიტუაცია. ამაში დიდი როლი შეასრულა ფინანსურმა კრიზისმა, მუდმივი არმიისა და უდიდესი ჩინოვნიკური აპარატის შენახვამ, ხანგრძლივმა ბრძოლებმა და განსაკუთრებით 7 წლიანი ომის შედეგად ამერიკული კოლონიების დაკარგვამ თუ სხვ. გამოფიტა ქვეყნის ეკონომიკა და იგი ფინანსური კრახის წინაშე დააყენა. ამას ემატებოდა სასახლის კარის ხელგაშლილობა, ხრწნა, გაუთავებელი ხარჯები მეფის ფავორიტების შესანახად, მექრთამეობის მოძალება და ა.შ. მეფე ლუი XVI უდიდესი მექრთამე გახდა. შემონახულია მისი და ერთ–ერთი მოხელის საუბარი მოხელის შენიშვნაზე „თქვენო აღმატებულებავ, მე თქვენ მოგართმევთ სამ ათას და მამაზეციერიც კი ვერ შეიტყობს ამის შესახებ", ლუის თურმე უპასუხნია: „მომეცით ხუთი ათასი და მოუყევით ვისაც გნებავთო".

სამეფო კარი სხვადასხვა ღონისძიებას ანხორციელებდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, ამ მიზნით ჯერ ტიურგო 1788 წლის აგვისტოში კი ბურჟუა ნეკერი დაინიშნა ფინანსთა მინისტრად და მისი საშუალებით „მესაამე წოდებას" რეფორმებს დაჰპირდა (სანაცვლოდ სესხებს ვარაუდობდა), მაგრამ უშედეგოდ. ვითარება კიდევ უფრო დაძაბა მონარქიის გაუმართლებელმა საგარეო პოლიტიკამ. 1786 წლის სექტემბერში ინგლის–საფრანგეთს შორის გაფორმდა სავაჭრო შეთანხმება. იგი უაღრესად სასარგებლო დარჩა ინგლისისათვის, რადგან შემოტანილ საქონელზე ბაჟების

შემცირებამ საფრანგეთის ბაზარზე ინგლისური იაფი ნაწარმის მოზღვავება– გაბატონება გამოიწვია. ქვეყნის ფინანსურ კრიზისს დაემატა სავაჭრო–სამრეწველო კრიზისიც, რადგან ფრანგულ საქონელზე მოთხოვნილება შემცირდა და ამის გამო მისი წარმოებაც შეიზღუდა. მაგ., ამიენისა და აბევილის შალეულის წარმოებაში არსებული 7547 დაზგიდან, 1788 წლის დამლევისათვის, მუშაობდა მხოლოდ 3668 დაზგა, რის გამოც 36 ათასამდე მუშა უმუშევრად დარჩა. ანალოგიური იყო მდგომარეობა სხვა დარგებშიც. ამის შედეგად მეტად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობაც. იმავე 1788 წლის ცნობით მათი რიცხვი უდრიდა: კარკასონში – 30 ათასს, ლიონში – 25 ათასს და ა.შ. ამას დაემთხვა კრიზისი სოფლის მეურნეობაშიც. 1788–1789 წლები ძლიერი მოუსავლიანობით ხასიათდებოდა, რამაც მეტად გააძვირა ცხოვრების პირობები (განსაკუთრებით გაიზარდა ფასები ხორბლეულზე და სხვა პროდუქტზე) და ხალხი საბრძოლველად აამხედრა. მართლაც, 1789 წლის დამდეგიდან ქვეყანაში იფეთქა აჯანყებამ: 13 მარტს – კამბრეში, 6 აპრილს – ბერგეში, 11 აპრილს – დიუნკერკში, 29 აპრილს – ლილსა და დუეში და სხვ. გლეხებისა და მუშების მხარდამხარ ბრძოლაში ჩაებნენ ბურჟუაზიის ფართო წრეებიც, რომლებსაც ქალაქისა და სოფლის პლებსის გამოყენებით ფეოდალიზმის დამხობა სურდათ.

ასეთ პირობებში მეფე ლუი XVI (1774–17693) გენერალური შტატების მოწვევა გადაწყვიტა. სამეფო კარი ამ გზით ცდილობდა ახალი გადასახადების გაწერას, აგრეთვე სესხის მიღებას ვალის (4,5 მილიარდი ლივრი) დასაფარავად. ამ მიზნით მან „მესამე წოდების" გულის მოგება ცადა და პარლამენტში დეპუტატთა ადგილი მათ ორჯერ გაუდიდა 300 ნაცვლად ახლა 600 ჰყავდათ), თუმცა ხმის მიცემის ადრინდელი წესი –წოდების და არა რაოდენობის მიხედვით კვლავ ძალაში დატოვა.

1789 წლის 5 მაისს საზეიმოდ გაიხსნა გენერალური შტატების სხდომა. პრივილეგირებული წოდება ფანატიკური აღფრთოვანებით შეხვდა დარბაზში მეფის გამოჩენას. ტიბოდოს

სიტყვით მათ დაჰკარგეს გონება, ეგზალტაციამ აპოგეას მიაღწია. დეპუტატი შოკენი ფეხზე წამოხტა და ხელგაწვდილი, თვალებზე ცრემლით, სიხარულის ყვირილით გამოხატავდა თურმე თავის აღფრთოვანებას. შემდეგ მას დაუკარგავს გონება და დაცემულა შეძახილით „გაუმარჯოს მეფეს!“ და მარტო ის როდი ყოფილა შეპყრობილი პაროკსიზმით., მაგ., დეპუტატი ბლანი დარბაზიდან მკვდარი გაუტანიათ. ცხადია ასე როდი ითქმის „მესამე წოდების” დეპუტატის მიმართ. კარის განრიგის მიხედვით ისინი ქუდმოხდილნი და მუხლჩაჩოქოლნი უნდა შეხვედროდნენ მეფეს. მათ კი არც პირველი გააკეთეს და არც მეორე, რითაც ყველა გააოცეს. ანდა რა ჰქონდათ ასაღფრთოვანებელი, როცა წინასწარ სჭვრეტდნენ მეფის პოზიციას. მართლაც, ლუი XVI სეფე სიტყვამ მათ ვერავითარი შვება მოუტანა, რადგან რეფორმებზე მეფეს კონსტრუქციული თითქმის არაფერი უთქვამს; პირიქით, აქცენტი აიღო გენერალური შტატების უფლებების შეზღუდვამდე, რამაც „მესამე წოდების“ დეპუტატთა უკმაყოფილება გააძლიერა. კიდევ მეტი, მონარქისტულ წრეებში თავი იჩინა სწრაფვამ ინგლისის პარლამენტის მსგავს ორ პალატიან ორგანოდ გენერალური შტატების გარდაქმნის შესახებ: ზედა პალატაში შევიდოდა პრივილიგირებული წოდება, ხოლო ქვედაში – „მესამე წოდება“. ეს გარემოება პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის ამ ნაწილის მონაწილეობის კიდევ უფრო შეზღუდვას იწვევდა. ამიტომ უკანასკნელი გაემიჯნა გენერალურ შტატებს და 17 ივნისს შექმნა ნაციონალური კრება, რომელიც უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვა. ამ ფაქტმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საფრანგეთის საზოგადოებრიობაზე, კერძოდ კი ფეოდალურ არისტოკრატიაზე. საგულისხმოა, რომ გენერალური შტატებიდან პრივილიგირებული წოდების მრავალმა ლიბერალმა დეპუტატმა ნაციონალურ კრებასთან შეერთების სურვილიც გამოთქვა.

ლუი XVI რეპრესიებს მიმართა და 20 ივნისს ე.წ. „მცირე გასართობი სასახლე, სადაც სხდომები მიმდინარეობდა

რემონტის საბაბით დაკეტა. მაშინ ნაციონალურ კრებას დეპუტატები შეიკრიბნენ ე.წ. „ბურთის სათამაშო“ სასახლეში და ფიცი დადეს, რომ არ დაშლილიყვნენ კონსტიტუციის შემუშავებამდე. 22 ივნისს აღნიშნული სასახლეც დახურეს. გავრცელდა ხმები თითქოს მეფე იარაღით აპირებდა კრების დაშლას. მაშინ წმ. ლუის ეკლესიაში შეკრებილმა დეპუტატებმა ხალხს დახმარებისაკენ მოუწოდეს, თან განაცხადეს თუ სამეფო კარი ჩვენს გარეკვას შეეცდება დედაქალაქში აჯანყებას მოვაწყობთო. მეფემ აშკარად მოქმედება ვერ გაბედა, დათმო და 23 ივნისს მოწვეულ „სამეფო გენერალურ შტატების“ სხდომაზე ნაციონალური კრების წარმომადგენლებთან შეხვედრა ინება. შეხვედრისას ლუიმ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც იგი დაჰპირდა რეფორმებს, რასაც თავად უხელმძღვანელებდა. სიტყვის დასასრულს მან დეპუტატებს მოთხოვა წოდებრიობის პრინციპის დაცვა და ამის საფუძველზე ერთობლივი მუშაობის განგრძობა. „მესამე წოდების“ წარმომადგენლები არ დაემორჩილნენ ამ მითითებას. მათ დამოუკიდებლად განაგრძეს სხდომები და თან გადაიბირეს ლიბერალური თავადაზნაურობის გავლენიანი დეპუტატები ჰერცოგ ორლეანელის ხელმძღვანელობით. 9 ივლისს ნაციონალურმა კრებას თავი– ფრანგი ხალხის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ, დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა. კრებას ძირითადი კანონების შემუშავება დაევალა.

სამეფო კარი მტრულად შეხვდა ახალი ორგანოს ფორმირებას. მეფის ბრძანებით პარიზისაკენ დასძრეს ერთგული ჯარები პირწავარდნილი მონარქისტის მარშალ დე– ბროლიოს წინამძღოლობით. ამან დედაქალაქში ხალხის დიდი მღელვარება გამოიწვია. იგი უფრო გააძლიერა ბურჟუა – მინისტრის ნეკერის მოულოდნელმა გადაყენებამ და მის ნაცვლად „მესამე წოდების” დაუძინებელი მტრის ბარონ დე – ბრეტელის დანიშვნამ. აშკარად ჩანდა, რომ ლუი ოპოზიციასთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას აპირებდა. ასეთ

ვითარებაში დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა მოსახლეობას შეიარაღებისაკენ მოუწოდეს. ინვალიდების სასახლის სარდაფებში ხალხმა მიაგნო 30 ათასამდე თოფს, ხმალს, დიდძალ ტყვია–წამალს, რამდენიმე ქვემეხს და დაიტაცა ისინი. 14 ივლისს შუა დღისას გაისმა საბრძოლო მოწოდება „ბასტილიისაკენ“ და აჯანყებულებიც დაიძრნენ საფრანგეთის ფეოდალურ–აბსოლუტისტური რეჟიმის დასაყრდენი ამ სიმაგრის ასაღებად.

ბასტილიის ციხე XVI ს-ში ააგეს. ეს იყო პარიზის სენტ-ანტუანის მუშათა უბანში აღმართული სქელკედლებიანი მრისხანე 8 კოშკიანი ციტადელი. 14 ივლისისათვის მისი გარნიზონი მოითვლიდა 115 კაცს, ჰქონდათ არტილერია. ხალხმა ალყა შემოარტყა ბასტილიას და მის კომენდანტს დე – ლონეს დანებება მოთხოვა. ამ უკანასკნელმა უარით უპასუხა და თან სროლაც ბრძანა. ხალხი შედრკა, მაგრამ კრიტიკულ ჟამს მოუსწრო მის მხარეზე გადასულმა გვარდიამ და მოიერიშეები კვლავ ენერგიულად შეუდგნენ ციხის შტურმს. საღამოს 5 საათზე ბასტილია დანებდა. გარნიზონს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, მაგრამ კომენდანტი იქვე მოკლეს. 16 ივლისს სიმაგრე მიწასთან გაასწორეს. შეიტყო თუ არა მისი დაცემა ლუის თურმე წამოუძახნია: „ეს ხომ ნამდვილი ბუნტია!“. იქვე მდგომ მეფის ახლობელს ჰერცოგ დე – ლიანკურს შეუბედია: „არა, თქვენო უდიდებულესობავ, ეს ბუნტი კი არა, რევოლუციაა“. მართლაც, 1789 წლის 14 ივლისის გამოსვლა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისი იყო. მან საბოლოოდ დასცა აბსოლუტიზმი და დასაბამი მისცა კონსტიტუციურ მონარქიას.[8]

[8] რესპუბლიკური წყობილების შემოღება ჯერ კიდევ ნაადრევი იყო საფრანგეთში თვით რესპუბლიკელთა ძალების სისუსტის გამო. ა.ოლარი შენიშნავდა კიდეც, რომ რევოლუციის დროისათვის ქვეყანაში არ არსებობდა რესპუბლიკური პარტია და არც რაიმე მოწოდება ისმოდა რესპუბლიკის სასარგებლოდო (А.Олар, политическая история французской революции, М., 1938, с. 13-14), თუ ჩვენ შევისწავლით XVIII ს-ბის დიდ განმანათლებლებს, ვნახავთ, რომ ისინიც კი არ ქადაგებდნენ რესპუბლიკას საფრანგეთისათვის. მაგ.,

14 ივლისის რევოლუციამ უკიდურესად დააშინა მეფე და ფეოდალთა პარტია. ისინი ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ. პოსტზე დააბრუნეს ნეკერი, ცნეს ნაციონალური კრების დადგენილებები და დამფუძნებელ კრებად მისი გარდაქმნა. ამით აღფრთოვანებულმა ბურჟუაზიამ მაშინვე შექმნა ხელისუფლების საკუთარი ორგანოები და იზრუნა მისი განმტკიცებისათვის. კერძოდ: დაარსა პარიზის საქალაქო თვითმმართველობა ანუ კომუნა[9] (მერი გახდა მეცნიერ–ასტრონომი ბალიე) და ჩამოაყალიბა ბურჟუაზიულ ნაციონალური გვარდია (დამოუკიდებლობისათვის ჩრდილო ამერიკული კოლონიების ბრძოლის აქტიური მონაწილის მარკიზ ლაფრიეტოს სარდლობით).

ბასტილიის დაცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროვინციებზე. ამიტომ 14 ივლისის გამოსვლას უშუალოდ მოჰყვა ე.წ. „მუნიციპალური რევოლუცია“. 18 ივლისს აჯანყდა ტრუა, 19–ში სტრასბურგი, 21–ში შერბური, 24–ში რუანი, 24–ში ლიონი და სხვ. აჯანყებულები ყველგან აუქმებდნენ ხელისუფლების ძველ ორგანოებს და ქმნიდნენ ახალს, არჩევით მუნიციპალიტეტებს (აქედან წარმოსდგა სახელწოდება „მუნიციპალური რევოლუცია“). საგულისხმოა, რომ ზოგ პროვინციულ ქალაქში „მესამე წოდებას“ ბრძოლა არ დასჭირვებია – ხედავდა რა რევოლუციის ტრიუმფალურ სვლას

მონტესკიე უპირატესობას აძლევდა ინგლისური ყაიდის მონარქიას, ვოლტერი – კეთილ რეფორმატორ დესპოტს დიდრო, ჰოლბახი და ჰელვეციუსი, მართალია, მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგრამ პირდაპირ თუ არაპირდაპირ უარყოფენ რესპუბლიკის დამყარებას ქვეყანაში. ლაფაიეტი და სხვ. ხომ იბრძოდნენ ამერიკაში რესპუბლიკელთა მხარეზე! ჰოდა, ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მათ პოლიტიკურ შეხედულებებზე. ამ მხრივ დამახასიათებელია კამილ დემულენის სიტყვები: „1789 წლის 14 ივლისისათვის პარიზში ვიყავით, შეიძლება ითქვას, სულ 10 რესპუბლიკელი“ (იხ. ა. ოლარი, დასახ. ნაშრომი გვ. 15).

[9] 14 ივლისის ბრძანებულებით პარიზი 48 სექციად დაიყო. თითოეული სექციისათვის დაწესდა ორი წარმომადგენლობა თვითმმართველობაში ანუ კომუნაში, სადაც ირჩევდნენ ქალაქის თავს –მერს.

ფეოდალურ–ჩინოვნიკური აპარატი ნებაყოფლობით თმობდა ძალაუფლებას. „მუნიციპალურ რევოლუციას“ მოჰყვა გლეხთა მღელვარებაც. თავი იჩინა კლასობრივი ბრძოლის ახალმა ფორმებმა (ფეოდალთა მიწების დატაცება, ტყისა და საძოვრების უნებართვოდ გამოყენება, უარის თქმა გადასახლებაზე და სხვ.). ილ–დე–ფრანსეში დაწყებული აჯანყება მალე მოედო სხვა ოლქებსაც (დოფინე, ფრანშ–კონტე...). გამოსვლებს იმდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რომ დამფუძნებელმა კრებამ პარიზსა და პროვინციებში ყველას იარაღის ჩაბარება და „კანონისადმი პატივისცემა” მოთხოვა. სწორედ აქ გამოჩნდა მისი კლასობრივი შეზღუდულობა, მაგრამ ხალხის რევოლუციური მოძრაობის გაღრმავების ზეგავლენით იძულებული გახდა რადიკალური ღონისძიებებიც განეხორციელებინა: 1789 წლის 4–11 აგვისტოს კანონმდებლობით „საბოლოოდ მოისპო ფეოდალური წყობილება”, გაუქმდა საბატონო თუ საეკლესიო ბეგარა–ვალდებულებანი და ა.შ., რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის შეუფერხებელი განვითარებისათვის. ივლის–აგვისტოს რევოლუციური მოვლენებით დამფრთხალ მეფეს და ფეოდალურ არისტოკრატიას ის ღა დარჩენოდათ, რომ ეღიარებინათ „მესამე წოდების” გამარჯვება და შეერთებოდნენ მას პარიზში დაბრუნებისას ხალხის წინაშე ლუი XVI დაიხურა სამფერიანი (ორი–წითელი, ერთი–ლურჯი) ქუდი, რაც საბოლოოდ გამოხატავდა მეფის მიერ რევოლუციის შედეგების ცნობას. დაიწყო მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა, რომელიც 1789–1793 წლებში გაგრძელდა.

<u>“უფლებათა დეკლარაცია”. 1791 წლის კონსტიტუცია</u>. 14 ივლისის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დამფუძნებელი კრება შეუდგა მსხვილი ბურჟუაზიის ძალაუფლების განმტკიცებას. ამ მიზანს ემსახურებოდა მათი საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც ძალზე საინტერესოა იურისპრუდენციისა თუ ისტორიული თვალსაზრისით. დამფუძნებელი კრების დოკუმენტებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია

„ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც მიღებული იქნა 1789 წლის 26 აგვისტოს.

აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებას დამფუძნებელი კრება აგვისტოს დამდეგს შეუდგა. თავდაპირველად შეიქმნა რამდენიმე პროექტი, რომელთა ავტორები იყვნენ ლაფაიეტი, აბატი სიესი, მურიე, ტარჟე და სხვ. ეს პროექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ფორმით, მაგრამ შინაარსით, თითქმის იდენტურნი იყვნენ ე.ი. ძირითადი პრინციპების მიხედვით. ამიტომ დამფუძნებელმა კრებამ 12 აგვისტოს შექმნა ერთი საბოლოო პროექტის შემმუშავებელი ხუთ კაციანი კომისია, გრაფ ონორე გაბრიელ მირაბოს ხელმძღვანელობით. 17 აგვისტოს აღნიშნულმა კომისიამ კრებას წარუდგინა დეკლარაციის პროექტის უკანასკნელი ვარიანტი, რომელიც ხანგრძლივი განხილვისა და ზოგიერთი დამატებების შემდეგ მიიღეს 26 აგვისტოს „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ სახელწოდებით.

„უფლებათა დეკლარაცია” შედგებოდა 17 მუხლისაგან. იგი აცხადებდა „ადამიანთა თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას მთელი სიცოცხლის მანძილზე“, აკანონებდა სიტყვისა და სინდისის თავისუფლებას, კანონის წინაშე ყველას პასუხისმგებლობას, პიროვნების უშიშროებას და ჩაგვრისადმი შეურიგებლობას“, კრძალავდა ბრალდების წაუყენებლად ადამიანის დაპატიმრებას. დეკლარაცია ქვეყნის უზენაეს ხელისუფლად აღიარებდა ერს, მაგრამ ეს არ გულისხმობდა მონარქიის ლიკვიდაციას – ამიერიდან მეფე ერის ნებით შეასრულებდა თავის ფუნქციებს. ასეთი შესანიშნავი პრინციპების მიუხედავად დეკლარაცია იყო მეტად შეზღუდული დოკუმენტი. იგი აკანონებდა კერძო საკუთრებას, როგორც „წმიდათა წმიდას და ხელშეუხებელს“, რაც არსებითად ქონებრივი უთანასწორობის შენარჩუნებას გულისხმობდა. ასევე შეზღუდული დარჩა „უფლებათა დეკლარაციის“ საფუძველზე ხუთი დღის შემდეგ შემუშავებული საარჩევნო კანონიც. იგი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა მხოლოდ გადასახადების

გადამხდელებს, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისაგან იზოლირებული დარჩა. საარჩევნო უფლება არ მისცა ქალებს და სხვ. ამის გამო მაშინდელი საფრანგეთის 26 მილიონი მცხოვრებიდან არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ 4,6 მილ. კაცი.

სამეფო კარი მტრულად შეხვდა დამფუძნებელი კრების პირველ რეფორმებს. კიდევ მეტი, ლუი XVI არ ამტკიცებდა „უფლებათა დეკლარაციას" და ფეოდალური წყობის ლიკვიდაციის შესახებ გამოქვეყნებულ აგვისტოს დეკრეტებს. გავრცელდა ხმა მეფის მიერ გადატრიალების ორგანიზების შესახებ. ამ ხმებს აძლიერებდა რეაქციონერი ოფიცრების მიერ კონტრრევოლუციური ხასიათის მანიფესტაცია ვერსალში. ამან დედაქალაქში დიდი მღელვარება გამოიწვია, რაც კიდევ უფრო გააძლიერა სასურსათო კრიზისმა. 1789 წლის 5 ოქტომბერს ხალხი, უპირატესად ქალები, რომლებიც გაწამებული იყვნენ საათობით პურის რიგში დგომით, ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცების თანხლებით დაიძრნენ ვერსალისაკენ და ალყა შემოარტყა მეფის სასახლეს. ლუი XVI ნორმანდიაში აპირებდა გაქცევას, მაგრამ 6 ოქტომბერს ხალხი შეიჭრა სასახლეში და აიძულა მეფე არამარტო გადმოსულიყო პარიზში, არამედ დაემტკიცებინა დამფუძნებელი კრების ყველა დეკრეტი. ამრიგად, ხალხმა კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია და ივლისის დღეების მსგავსად ჩაშალა სამეფო კარისა და ფეოდალური რეაქციის კონტრრევოლუციური გეგმები. ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა დამფუძნებელი კრების შემდგომი მუშაობისათვის, რადგან ხალხის კონტროლქვეშ მყოფი ლუი XVI ვერ ბედავდა მის მიერ შემუშავებული დეკრეტების აშკარად უარყოფას.

და მართლაც, სწორედ, 1789 წლის ნოემბრიდან შეიმჩნევა კრების აქტიური საკანონმდებლო საქმიანობა. ამ მხრივ ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დეკრეტი იყო დადგენილება საეკლესიო მიწების კონფისკაციისა, „ნაციონალურ საკუთრებად" გამოცხადებისა და მისით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. მართალია, ეკლესია არ გამოყოფია სახელმწიფოს და

კათოლიკობა კვლავ გაბატონებულ რელიგიად რჩებოდა, მაგრამ აღნიშნული კანონი საეკლესიო მიწათმფლობელობის შეზღუდვას და ამით ფეოდალური წყობის დასაყრდენი ძალის უდაო დასუსტებას იწვევდა. ეკლესიას წაართვეს აგრეთვე დაბადების, ქორწინებისა და სიკვდილის რეგისტრაციის უფლება. ამიერიდან კანონიერად ითვლებოდა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება. ამავე წლის 12 ნოემბრის დადგენილებით ქვეყანა დაიყო 83 დეპარტამენტად. დეპარტამენტი შესდგებოდა ოკრუგისაგან, ეს უკანასკნელი კი – კანტონისაგან. განმტკიცდა კავშირი დეპარტამენტებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რამაც ბოლო მოუღო შუასაუკუნეებრივ დაქუცმაცებულობას ქვეყანაში და დააჩქარა ეკონომიურ–პოლიტიკური ცენტრალიზაციის პროცესი.

1790 წლის გაზაფხულზე დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა დეკრეტები აგრარულ სფეროშიც. სამწუხაროდ, მათ ვერ დააკმაყოფილეს გლეხები, რამდენადაც მემამულის სასარგებლოდ არსებულ ადრინდელ ბეგარა–ვალდებულებებს კვლავ ძალაში სტოვებდა. მნიშვნელოვნად გაძნელდა მიწის გამოსყიდვითი ოპერაციები. გამოსყიდვის ფასი კანონით არ იყო დაადგენილი და განისაზღვრებოდა გლეხსა და მემამულეს შორის მოლაპარაკების საფუძველზე. ეს კი ვაჭრობის პროცესში ამ უკანასკნელს დიდ თავისუფლებას ანიჭებდა, რაც თავის მხრივ აძლიერებდა გლეხთა უკმაყოფილებას.

1791 წლის თებერვალში კრებამ მიიღო დეკრეტები, კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის შემდგომი განვითარების სასარგებლოდ. კერძოდ გაუქმდა ადრინდელი შეზღუდვები, დაშალა ცეხური ორგანიზაციები; იმავე წლის აპრილში გამოქვეყნდა კანონი პურით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, აიკრძალა იმპორტი ზოგ ისეთ ნაწარმისა, რომელსაც შეეძლო კონკურენცია გაეწია ფრანგული საქონლისათვის და სხვ. 1791 წლის 14 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეპუტატ ლე – შაპელიეს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ბრძოლას მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. აქ განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა ამ დაწესებულების კლასობრივი

ხასიათი. ჩანს, ბურჟუაზია დააფრთხო 1789–1790 წლების მუშათა გამოსვლებმა (პარიზი, აბევილი). მართალია, პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, მაგრამ კლასობრივი შეგნების ზრდა აშკარად შეიმჩნეოდა. მაგ., 1789 წელს პარიზელმა ასოთამწყობებმა შექმნეს „კაცობრიობის მეგობართა საზოგადოება", 1791 წელს დურგლებმა ჩამოაყალიბეს „ძმობის კავშირი" და სხვ., რომლებიც მუშების გათვითცნობიერების მიზნით დიდ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ; კიდევ მეტი, დამყარდა მტკიცე კავშირი პარიზის მუშურ პლებსა და დამფუძნებელი კრების უკიდურეს მემარცხენე დაჯგუფებას (მაქ.რობესპიერს) შორის. 1791 წლის გაზაფხულზე შეიმჩნეოდა დედაქალაქის მუშათა კავშირების გაერთიანების ტენდენცია. ჩანს, ამით აიხსნება ლე – შაპელიეს კანონის მეტისმეტად მკაცრი ხასიათი. იგი მუშებს ართმევდა „ასოციაციის უფლებას". ყველა მუშური საზოგადოება ითვლებოდა „თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მტრად". დამნაშავე ისჯებოდა 500 ლივრით და ერთი წლით ჰკარგავდა აქტიური მოქალაქის პრივილეგიებს. მთავრობას მიეცა უფლება იარაღით გაასწორებდა მუშების გამოსვლებსაც. ამრიგად, აღნიშნული კანონი მეტად ხელსაყრელი იყო ბურჟუაზიისათვის და კიდეც ამიტომაც მან 1864 წლამდე არსებობდა.

1791 წლის 3 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ერთ–ერთი უკანასკნელი, მაგრამ საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ისტორიაში ცნობილია „1791 წლის კონსტიტუციის" სახელწოდებით არის ცნობილი. კონსტიტუცია აკანონებდა საფრანგეთში ბურჟუაზიულ – კონსტიტუციურ მონარქიას. უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა საკანონმდებლო კრებას, რომლის დეპუტატებს ორი წლით ირჩევდნენ. მეფეს რჩებოდა ვეტოს უფლება, მაგრამ ძალზე შეზღუდული – შეეძლო რომელიმე კანონის აკრძალვა მხოლოდ დროებით, რადგან თუ მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი მოიწონებდა იგი დაუყოვნებლივ შევიდოდა მოქმედებაში. მონარქი კვლავ იყო

შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, მაგრამ საკანონმდებლო კრების დასტურის გარეშე ომის წამოწყება არ შეეძლო. მისი პიროვნება წმიდად და ხელშეუხებლად ცხადდებოდა, მაგრამ თუ ემიგრაციაში გაიქცეოდა და სახელმწიფოს მტრულ ძალებს ჩაუდგებოდა სათავეში, ტახტიდან გადააყენებდნენ და პასუხისმგებლობაში მისცემდნენ. კონსტიტუციამ ძალაში დასტოვა 1789 წლის აგვისტოს დეკრეტით ნავარაუდევი შეზღუდვები საარჩევნო სფეროშიც. მართალია, რობესპიერი, მარატი და დამფუძნებელი კრების მემარცხენე დეპუტატები ქონებრივი ცენზის „აქტიურ" და „პასიურ" მოქალაქეებად საზოგადოების დაყოფის მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ, მაგრამ მემარჯვენე დეპუტატებმა მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატიის ინტერესებს რომ გამოხატავდნენ, უმრავლესობის გამო, მაინც შეძლეს კონსტიტუციაში აღნიშნული შეზღუდვების შეტანა. ამან არამარტო დაადასტურა მოქალაქეთა ქონებრივი უთანასწორობა, არამედ განსაზღვრა პოლიტიკური უთანხმოებაც, რადგან არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა მოსახლეობის მხოლოდ 20%. კონსტიტუციამ დააკანონა აგრეთვე კოლონიებში ზანგთა მონობა და მონებით ვაჭრობაც. ასეთი კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად 1791 წლის კონსტიტუციას უდაოდ ჰქონდა პროგრესული ხასიათი, რადგან იგი ფეოდალურ–აბსოლუტისტური წყობის სამართლებრივ პრინციპებს უპირისპირდებოდა. კონსტიტუციის მიღებით დამფუძნებელმა კრებამ დაასრულა მოღვაწეობა და იმავე წლის 30 სექტემბრის დეკრეტით თავი დაშლილად გამოაცხადა.

სწორად მიუთითებდა კ.ანთაძე წიგნში "ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟ. რევ. ისტორიიდან". "1781 წლის კონსტიტუცია უდაოდ პროგრესულ აქტს წარმოადგენდა, რადგან კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ ფეოდალურ–აბსოლუტური წყობილებისაგან განსხვავებით საფრანგეთში კონსტიტუციურ მონარქიას აკანონებდა. 1791 წლის კონსტიტუცია, თუმცა აგებული იყო ბურჟუაზიის ვიწრო

კლასობრივ საფუძველზე, მაგრამ იგი მოსახლეობის უფართოეს ფენებს პოლიტიკური აქტიურობას გამოხატავდა.

პარტიული დაჯგუფებები, პოლიტიკური კლუბები და რევოლუციური პრესა. რევოლუციამ უკიდურესად გაზარდა მასების პოლიტიკური აქტიობა. ამის შედეგად ქვეყანაში, გაფორმდა პოლიტიკური პარტიები, პარიზსა და პროვინციებში წარმოიშვა რევოლუციური კლუბები, აღმოცენდა რადიკალური მიმართულების გაზეთები, რომლებიც საფრანგეთის სხვადასხვა კლასის ინტერესებს შეესაბამებოდნენ. მაგ., 1789 წლის შემოდგომისათვის დამფუძნებელ კრებაში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ: მონარქისტული პარტია, რომელსაც მემარჯვენე პარტიას უწოდებდნენ (პარლამენტში მარჯვენა მხარე ეკავა); კონსტიტუციური, ანუ ცენტრის პარტია სიესისა და მირაბოს ხელმძღვანელობით. მარცხნივ კი ისხდნენ დემოკრატიული პარტია, რომლის ბელადები ჯერჯერობით იყვნენ: ბარნავი, ძმები ლამეტები და სხვ. ცხადია, ეს პარტიები სხვადასხვა კლასებისა და ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ. და მართლაც, პრივილეგირებულ წოდებას კრებაში წარმოადგენდა მემარჯვენე პარტია; ბურჟუაზიას და სოფლის კულაკურ მოსახლეობას-ცენტრის პარტია, ხოლო ღარიბობას, ხელოსნებს, განსაკუთრებით კი პარიზისა და მისი გარეუბნის მუშებს–მემარცხენე პარტია.

პარტიების ჩამოყალიბების კვალდაკვალ აღმოცენდნენ პოლიტიკური კლუბები და რევოლუციური საზოგადოებები. ამ მხრივ აღსანიშნავია იაკობინელთა კლუბი. იგი 1789 წლის ზაფხულში შექმნეს ბრეტანის ოლქის დეპუტატებმა და ამიტომ თავდაპირველად „ბრეტანელთა კლუბი" ერქვა. მისი დამაარსებლები იყვნენ მემარცხენე ბურჟუაზიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ლეჟანდრე, ლე – შაპლიე, ბარნავი, რობესპიერი და სხვ. სხვათაშორის, აქვე ერთიანდებოდნენ დემოკრატიულ–კონსტიტუციური ანუ ცენტრის პარტიის ბელადებიც: მირაბო, ლაფაიეტი, ბალიე, სიესი და სხვ., მაგრამ კლუბის შემდგომ დემოკრატიასთან დაკავშირებით ისინი გავიდნენ მის შემადგენლობიდან.

ამიერიდან კლუბი დარჩათ მემარცხენე დემოკრატებს. მართალია, ამით დამფუძნებელ კრებაში მათი გავლენა რამდენადმე შესუსტდა, მაგრამ სანაცვლოდ ხალხში განუსაზღვრელი ავტორიტეტი მოიპოვეს. 1789 წლის შემოდგომიდან ამ კლუბს ოფიციალურად ეწოდებოდა „კონსტიტუციის მეგობართა საზოგადოება" შემოკლებით კი „იაკობინელთა კლუბი" (სახელწოდება წარმოსდგა წმ.იაკობის მონასტრისაგან, რომლის ბიბლიოთეკის დარბაზში მიმდინარეობდა აღნიშნული კრების სხდომები). იაკობინელები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქვეყანაში. 1790 წლისათვის მასში 1100–ზე მეტი წევრი ერთიანდებოდა. სხვადასხვა ქალაქში კლუბს ჰქონდა 100–მდე ფილიალი, 1791 წლისათვის კი–406.

1790 წლის გაზაფხულზე პარიზში აღმოცენდა „1789 წლის საზოგადოება". მისი დამაარსებლები იყვნენ მირაბო, ლაფაიეტი, მარკიზ კორდორსე და სხვ. კლუბის წევრთა რიცხვი მეტად შეზღუდული იყო, თუმცა მასში ზოგი იაკობინელიც ერთიანდებოდა (დიუფორი, ლამეტი და სხვ.).

1790 წლის აპრილს პარიზში შეიქმნა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების მეგობართა საზოგადოება", რომელსაც სხვანაირად „კორდელიერების კლუბსაც" უწოდებდნენ. (სახელწოდება წარმოსდგა კორდელიერთა ეკლესიისაგან, რომელშიც მიმდინარეობდა აღნიშნული საზოგადოების სხდომები). მისი ლიდერები და გამოჩენილი წევრები იყვნენ ჟორჟ–ჟაკ დანტონი, ჟან–პოლ მარატი, კამილ დემულენი, ებერი, მომორო და სხვ.) კორდილიერებიდან მრავალი იაკობინელთა კლუბიც შედიოდა, მაგრამ ამ უკანსკნელის უმრავლესობისაგან განსხვავებით ისინი საყოველთაო საარჩევნო უფლებებისათვის იბრძოდნენ.

დაახლოებით ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. „სოციალური კლუბიც", რომელმაც თავის მხრივ დაარსა ფართო ორგანიზაცია – „ჭეშმარიტების მეგობართა მსოფლიო ფედერაცია". კლუბს ჰქონდა საკუთარი გაზეთი („რკინის ბაგე"), სადაც ბეჭდავდნენ წერილებს სოციალურ

პრობლემებზე, განსაკუთრებით კი გლეხთა მისწრაფებებზე მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მათ თანაბრად განაწილებაზე. კლუბის დამაარსებლები იყვნენ აბატი კლოდ ფოშე და პუბლიცისტი ლიტერატორი ბონვილი.

უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ესა თუ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა შესაბამის ასახვას პოულობდა პარტიებისა და რევოლუციური საზოგადოებების ცხოვრებაში, იწვევდა გათიშვას, ძალთა გადაადგილებას და ა.შ. ამის საილუსტრაციოდ მეტყველებს ე.წ. „ვარენის კრიზისი“, რომელმაც ძალთა არამარტო გადაჯგუფება გამოიწვია, არამედ ახალი კლუბიც წარმოშვა. საქმე კი შემდეგში იყო: 1791 წლის ზაფხულში მეფემ მოინდომა სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება. ამას იგი ემიგრაციის დახმარებით ვარაუდობდა. ამ მიზნით მან პარიზიდან გაქცევა გადაწყვიტა. დედოფლისა და ორი შვილის თანხლებით ღამით 20 ივნისს ლუი XVI დაუძვრა ლაფაიეტის მცველებს და შალონზე გავლით მონმედისაკენ გაემართა, იქ მას ელოდა გენ. ბულიე, მაგრამ ქალაქ მენეგში ფოსტის მოხელე ჟან დრუემ იცნო მეფე (მან ეტლის ფანჯარაში გამოიხედა, რომ დაეჩქარებინა ეკიპაჟი) და განგაში ატეხა. დაბა ვერენში ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცებმა ლუი XVI დააპატიმრეს და ძლიერი ბადრაგის თანხლებით პარიზში ჩამოიყვანეს.[10] ამ ფაქტმა აღაშფოთა საფრანგეთის რევოლუციური ძალები. დამფუძნებელ კრებაში და რევოლუციურ კლუბებში გაისმა მემარცხენეთა მოწოდება მონარქიის დამხობისა და რესპუბლიკის დამყარების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა კორდელიერების კლუბი. მას მხარი დაუჭირა იაკობინელთა კლუბმა, რამაც ამ უკანასკნელში გათიშვა გამოიწვია. ბარნავმა, ძმებმა ლამეტებმა და სხვ. მემარჯვენეებმა უღალატეს – დემოკრატიულ პარტიას, მიემხრნენ კონსტიტუციურ პარტიას და 16 ივლისს შექმნეს

[10] ჟ.დრუემ დამფუძნებელმა კრებამ 30.000 ფრანკით დააჯილდოვა და შემდეგ დეპუტატადაც აირჩია.

ახალი კლუბი – ფელიანებისა.[11] ამან გააძლიერა ცენტრის პარტიის პოზიცია, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა მსხვილმა მონარქისტულმა ბურჟუაზიამ და ხალხის მიერ დაპატიმრებული მეფე, იმავე დღეს კვლავ ტახტზე დასვა. პროტესტის ნიშნად კორდელიერებმა და იაკობინელებმა 17 ივლისს მოაწყეს დემონსტრაცია, მაგრამ ლაფაიეტისა და ბალიეს ბრძანებით მას ცეცხლი დაუშინეს და გაფანტეს. ეს ფაქტი ძალთა გადაჯგუფებისა და აშკარა კონტრრევოლუციურ პოზიციებზე მსხვილი მონარქისტული ბურჟუაზიის გადასვლის მაჩვენებლი იყო.

სხვათაშორის საქმე ამაზე არ შეჩერებულა და რამდენადაც კლასობრივი ბრძოლა უფრო მწვავდებოდა, ამდენად მომდევნო პერიოდში ძალთა გადაჯგუფება კვლავ წარმოებდა. მაგ., დამფუძნებელი კრების ნაცვლად 1791 წლის 1 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო საკანონმდებლო კრებამ, რომლის დეპუტატები ახალი კონსტიტუციის საფუძველზე აირჩიეს ქონებრივი ცენზის მიხედვით. ამის გამო კრების პარტიულ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. აქ აღარ ჩანდა მონარქისტული პარტია. საგრძნობლად დათმო პოზიციები კონსტიტუციურმა ანუ ცენტრის პარტიამ. ძალები ახლა ასე დაჯგუფდნენ: მემარჯვენეები და მემარცხენეები. პირველში შედიოდნენ მსხვილი ბურჟუაზია–ფინანსისტები, ნეგოციანტები, გემთმფლობელები მონებით მოვაჭრენი და მათთან დაკავშირებული ლიბერალური აზნაურები, რომლებიც მონარქიის შენარჩუნებით იყვნენ დაინტერესებულნი. ისინი ძირითადად ფელიანების კლუბში ერთიანდებოდნენ. კრების მემარცხენე ძალებს კი შეადგენდნენ იაკობინელთა კლუბის დეპუტატები, თუმცა მათში ერთსულოვნება არ სუფევდა და

[11] სახელწოდება წარმოსდგა ფელიანების მონასტრისაგან, სადაც მიმდინარეობდა ამ კლუბის სხდომები. ამბობენ ბარნავის ღალატი დედოფლის მარია–ანტუანეტას თვალებმა განსაზღვრესო. რამდენად მართალია, ძნელია დადგენა, მაგრამ ფაქტია: ის და ფელიანების კლუბი, საერთოდ მონარქიის, კერძოდ კი მეფე ლუი XVI მხურვალე დამცველები გახდნენ.

მალე გაითიშნენ კიდეც. გაჩნდნენ ჟირონისტები[12] და მონტანიარები.[13] პირველში ერთიანდებოდნენ სავაჭრო–სამრეწველო და სამიწათმოქმედო ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყნის ძირეული ბურჟუაზიული გარდაქმნებისაკენ ისწრაფვოდნენ, მაგრამ არც ძველის დაკარგვა სურდათ. თავდაპირველად ისინი ემხრობოდნენ 1791 წლის კონსტიტუციას, თუმცა შემდეგ რესპუბლიკურ პოზიციებზე გადავიდნენ და ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებად გადაიქცნენ. საკანონმდებლო კრებაში მემარჯვენე იმ ბანაკს პარტერის ადგილები ეკავა. ამიტომ მათ დაცინვით „დაბლობს“, უფრო სწორად „ჭაობს“ ეძახდნენ, ხოლო მის დეპუტატებს – „ჭაობის გომბეშოებს”. ჟირონდისტებს ხელმძღვანელობდათ ახალი საფრანგეთის შესანიშნავი ორატორები, ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები. ადვოკატი ვერნიო, ჟურნალისტი–მწერალი ჟან–პიერ ბრისი, დიდი მეცნიერი ა.კონდორსე და სხვ. რაც შეეხება მონტანიარებს, ისინი გამოხატავდნენ დემოკრატიული ფენების მისწრაფებებს და ხალხის ფართო მასის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. პირველ ეტაპზე ჟირონდისტებიც და მონტანიარებიც ერთად ებრძოდნენ ფელიანებს, მაგრამ ბრძოლის გამწვავების პროცესში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და სამკვდრო–სასიცოცხლოდაც შეებნენ კიდეც. მონტანიარები იბრძოდნენ მონარქიისა და 1791 წლის კონსტიტუციის წინააღმდეგ, ითხოვდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას საყოველთაო საარჩევნო უფლებითა და მოქალაქეთა სრული თავისუფლება–თანასწორობით. მონტანიარებისა და მასთან დაკავშირებული კორდელიერების კლუბის ლიდერებიდან

[12] სახელწოდება წარმოსდგა ჟირონდის დეპარტამენტისაგან, რომლის დეპუტატები შეადგენდნენ ამ ფრაქციას.

[13] სახელწოდება წარმოსდგა მთისაგან, „მონტან”–მთას ნიშნავს. თურმე ამ ფრაქციის დეპუტატები საკანონმდებლო კრებაში მარცხნივ, იარუსის ადგილებზე ისხდნენ. 1793 წლიდან, იაკობინელთა დიქტატურის დამყარებიდან, „მონტანიარი” და „იაკობინელი” ერთმანეთის სინონიმად იხმარება.

გამოირჩეოდნენ რობესპიერი, დანტონი, კ.დემულენი, მარატი და სხვ.

რაც შეეხება პრესას, აქ შემდეგი მდგომარეობა იყო: 1789 წლამდე პარიზში მეტად უმნიშვნელო პერიოდული გამოცემები იყო, მაგრამ მასების აქტიობის ზრდის კვალდაკვალ გაიზარდა რევოლუციური ჟურნალ–გაზეთების რაოდენობაც, ამაღლდა მათი როლიც. თითქმის ყველა პარტიამ გაიჩინა საკუთარი ორგანო, თუმცა ზოგი მცირე ტირაჟიანი იყო და არაპოპულარული. რევოლუციური პრესიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალი „ხალხის მეგობარი", რომლის დამაარსებელი და რედაქტორი იყო ექიმი ჟან–პოლ მარატი (1743–1793). თავისი სტატიებით იგი ილაშქრებდა ფეოდალურ–კლერიკალური წყობისა და მისი დამცველების წინააღმდეგ, მკაცრად აკრიტიკებდა სამეფო კარს და ამხელდა მის კონტრრევოლუციურ გეგმებს. მარატი არც მსხვილ ბურჟუაზიას ინდობდა და ხალხს რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის მოუწოდებდა. კიდეც ამიტომ გაბატონებულ წოდებას სძულდა მარატი, დევნიდა მას, უგზავნიდა მკვლელებს, მაგრამ უძნელეს პირობებშიც კი იგი არ შემდრკალა და ჩვეული ენერგიით იდგა რევოლუციის სადარაჯოზე. „ხალხის მეგობრის" გარდა აღსანიშნავია გაზეთები: „პარიზის რევოლუცია" (რედაქტორი – ლუსტალო, ტირაჟი –20.000 ეგზ.), „ფლანდრიისა და ბრაბანტის რევოლუცია" (რედაქტორი–კ.დემულენი), „ფრანგი პატრიოტი" (რედაქტორი–ბრისსო) და სხვ., რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ხალხის გათვითცნობიერებისა და რესპუბლიკურ–დემოკრატიული იდეების პროპაგანდის საქმეში.

2. რევოლუციური ომების დასაწყისი. მონარქიის დამხობა

საფრანგეთის რევოლუციას აღტაცებით შეხვდა და მაშინდელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა. შემთხვევითი არ იყო, როცა დამფუძნებელ კრებაში კლოოტსმა 1790 წლის 19 ივნისს უცხოელ დელეგატთა სახელით

განაცხადა: „როცა შევცქერი მსოფლიო რუკას, წარმომიდგება, თითქოს ყველა ქვეყანა წაიშალა! მე ვხედავ მარტო საფრანგეთს, რომელსაც სხვა ხალხებისათვის აღორძინება მოაქვს“[14]. კიდეც ამით აიხსნება ის დიდი აღფრთოვანება, რომელიც გამოხატეს ხალხებმა საფრანგეთის რევოლუციისადმი მაგ., რუსეთში ლუი XVI-ის ელჩის დე სეგიურის მოწმობით პეტერბურგში ბასტილიის დაცემის შესახებ ცნობის მიღებისთანავე რუსები, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები და სხვ. ეროვნების ხალხები ეხვეოდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთს „თითქოს და მოიხსნეს მძიმე ბორკილები, რომლებიც სულს უხუთავდნენ”. გერმანელმა პოეტმა ფრიდრიხ კლოპშტოკმა თანამემამულეებს მოუწოდა „მიებაძათ ძმები – ფრანგებისათვის”, ხოლო დიდი მეცნიერი ჰუმბოლდტი საფრანგეთშიც გაემგზავრა–„თავისუფალი ჰაერით უნდა ვისუნთქოო”. ინგლისელი ადვოკატი ერსკინის აზრით საფრანგეთის რევოლუცია „ცეცხლის ალია, რომელმაც ფერფლად აქცია დესპოტიზმი, გაათბო და გაანათა მთელი ევროპა” და სხვ.

კიდევ მეტი, ბასტილიის დაცემას, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისა და რევოლუციური შინაარსის სხვა დოკუმენტების გამოქვეყნებამ დააჩქარა ხალხთა ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლება და დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესი. თითქმის ყველა სახელმწიფოში შეიქმნა რევოლუციური კავშირები. მაგ., 1792 წელს ჩამოყალიბდა ინგლისის გაღატაკებულ წვრილ ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია „ლონდონის კორესპონდენტთა საზოგადოება”, რომელსაც ხელოსანი თომას ჰარდი ხელმძღვანელობდა. მალე ასეთივე ორგანიზაციები წარმოიშვა 70–მდე ქალაქში (გლაზგო, ედინბურგი, შეფილდი და ა.შ.). „ინგლისში 400 ათასი რადიკალი და 80 ათასი იაკობინელიაო“ – „კორესპონდენტთა საზოგადოებების” წევრთა მიმართ ამბობდა კონსერვატული ბურჟუაზიის ლიდერი

[14] ციტ. გ.კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 236

ედმუნდ ბერკი. აღნიშნული ორგანიზაციები დემოკრატიულ საფუძველზე სახელმწიფო წყობის გარდაქმნას მოითხოვდნენ, რამაც გააძლიერა რევოლუციური მოძრაობა ინგლისში. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა „ლონდონის კორესპონდენტთა საზოგადოების“ 1792 წლის 27 სექტემბრის წერილი საფრანგეთის კონვენტისადმი. მასში ნათქვამი იყო: „ფრანგებო! თქვენ თავისუფალნი ხართ... ჩვენ კი ახლა ვისხამთ იარაღს, რათა თავისუფლებას გამარჯვება ბრიტანეთშიც მოვუპოვოთ. როცა ჩვენ საბოლოო გამარჯვებას მივაღწევთ, მაშინ ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხალხთა (და არა სახელმწიფოთა) სამთა კავშირი ევროპის ხალხებს თავისუფლებას მოუტანს, ხოლო მსოფლიოს – მშვიდობას“!.

ბასტილიის დაცემის შემდეგ ძლიერი გაქანება მიიღო რევოლუციურმა მოძრაობამ საფრანგეთის მოსაზღვრე გერმანულ რაიონებში, განსაკუთრებით კი – რაინის ოლქში.[15] გლეხობა მასობრივად გამოვიდა არსებული წყობის წინააღმდეგ და წამოაყენა ლოზუნგი „მოგვეცით ფრანგული თავისუფლება“. მშვიდობიანი გამოსვლები მალე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა, თუმცა „საგრძნობი უშუალო შედეგი ამ მოძრაობას არ ჰქონდა... გათიშულ გამოსვლებს ადვილად ახშობდნენ, ან ამშვიდებდნენ უმნიშვნელო დათმობებით“. ამის მიუხედავად აღნიშნულმა მღელვარებებმა დიდი როლი შეასრულეს, რამდენადაც “თესდა ამბოხებას, რომელსაც უნდა მოეტანა უხვი და ჯანსაღი ნაყოფი”“[16]

საფრანგეთის რევოლუციამ გააძლიერა განმათავისუფლებელი მოძრაობა საბერძნეთში, ავსტრიის იმპერიის სლავურ ოლქებში, იტალიაში, დააჩქარა „ესპანეთის ნიდერლანდების” ანუ ბელგიის ბურჟუაზიული რევოლუცია; საგულისხმოა, რომ საფრანგეთის რევოლუციამ ზეგავლენა მოახდინა ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლაზეც. განსაკუთრებულ ორგანიზე-

[15] იხ.გ.კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში, თუ შრომები, ტ. 77, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 261–282.

[16] Дживелегов, История современной Германии, ч. I, СПб, 1908, с. 29.

ბულობით გამოირჩეოდა სან–დომინგოს მონა ზანგების აჯანყება, რომელსაც ნიჭიერი სარდალი, „შავი გენერალი" ტუსენ–ლუვერტიური ხელმძღვანელობდა.

ცხადია, ყველა როდი შეხვედრია სიხარულით საფრანგეთის რევოლუციას. რაც უფრო ძლიერი იყო დემოკრატიული ფენების აღფრთოვანება, მით უფრო მეტ სიძულვილს ამჟღავნებდა ევროპის ფეოდალური რეაქცია. ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის მონარქებმა გადაწყვიტეს საერთო ძალით ჩაეხშოთ რევოლუცია საფრანგეთში და ამით ბოლო მოეღოთ „სასიკვდილო საფრთხისათვის" საკუთარ ქვეყანებში. კონტრრევოლუციის ორგანიზატორად გამოვიდა ინგლისი. მას აშინებდა ფეოდალიზმის დამხობის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე საფრანგეთის ოპოზიციის გაძლიერება. ამიტომ 1790 წლის ზაფხულში რაიხენბახის კონფერენციაზე ერთმანეთს შეარიგა პრუსია და ავსტრია, რომლებმაც მოგვიანებით, კერძოდ 1791 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული ე.წ. პილნიცის დეკლარაციით[17] ივალდებულეს დახმარება ლუი იმპერატორისათვის. ამის პასუხად 1792 წლის 20 აპრილს საკანონმდებლო კრებამ ომი გამოუცხადა ავსტრიას. მართალია, იგი პირველად საფრანგეთმა დაიწყო (სინამდვილეში კი მხოლოდ დაასწრო მისი გამოცხადება), მაგრამ ეს ვერ ცვლიდა ამ მოვლენის ხასიათს, რადგანაც „რევოლუციური საფრანგეთი თავს იცავდა რეაქციულ–მონარქისტული ევროპისაგან".

ამ ომს არაერთგვარად შეხვდნენ ქვეყნის სხვადასხვა კლასები, პოლიტიკური პარტიები თუ დაჯგუფებანი. ლუი XVI, სამეფო კარი და ფეოდალური აბსოლუტიზმის მომხრენი სიხარულით შეხვდნენ ავსტრია–პრუსიის გამოლაშქრებას. მართალია, აღფრთოვანებას აშკარად არ ამჟღავნებდნენ და ოფიციალურად გმობდნენ ევროპული მონარქების ანტიფრანგულ საქმიანობას, მაგრამ მრავალრიცხოვანი აგენტების მეშვეობით მოწინააღმდეგებს ძვირფას ცნობებს აწვდიდნენ. ომი

[17] სახელწოდება წარმოსდგა ციხე–კოშკის პილნიცის (დრეზდენის მახლობლად) მიხედვით, სადაც გაფორმდა აღნიშნული დეკლარაცია.

დაუფარავი სიხარულით მიიღო აგრეთვე კონტრრევოლუციურმა ემიგრაციამ, რომლის შტაბი მეფის ძმის დ'არტუას გრაფის შარლის ხელმძღვანელობით დასავლეთ გერმანულ ქალაქ კობლენცში იმყოფებოდა. აქვე არსებობდა საფრანგეთის ე.წ. „კანონიერი მთავრობაც", რომელსაც სათავეში ედგა უკიდურესი რეაქციონერი ბარონი დე–კალონე. საგულისხმოა, რომ ამ დროს ემიგრაციაში ერთსულოვნება არ სუფევდა. უკიდურესი რეაქციონერები დ'არტუას გრაფის მეთაურობის რევოლუციისადმი „რაიმე კომპრომისის" წინააღმდეგი იყვნენ, ზომიერები კი მეფის მეორე ძმის პროვანსის გრაფის ლუის წინამძღოლობით ზოგიერთ დათმობას ითვალისწინებდნენ და ამის საფუძველზე ძველი რეჟიმის დაბრუნებას ვარაუდობდნენ. ასეთი გათიშულობის მიუხედავად „უკიდურესებიც" და „ზომიერებიც" აქტიურად თანამშრომლობდნენ ინტერვენტებთან. ისინი არ ერიდებოდნენ ღალატს და მტერს ხალისითაც მოუძღოდნენ წინ.

ომის მომხრედ გამოვიდა ფელიანთა კლუბის წევრთა უმრავლესობა. მომგებიანი პატარა ომით ისინი მეფის ხელისუფლების რეაბილიტაციას, მის განმტკიცებას და შემდეგ რევოლუციური მოძრაობის დათრგუნვას ცდილობდნენ. კიდეც ამიტომ ლუი XVI მათ ერთგულ მოკავშირეებად თვლიდა. ამით აიხსნება სამხედრო მინისტრად ფელიანებთან ახლო მდგომი გრაფი ნარბონის დანიშვნა. მან კი საკანონმდებლო კრებას წარუდგინა აშკარად გაზვიადებული მოხსენება ომისათვის ქვეყნის სრული მზადყოფნის შესახებ და ამის საფუძველზე უარი ათქმევინა არმიაში დამატებით 50 ათასი კაცის გაწვევაზე. ფელიანთა მცირე ნაწილს კი ომი არ სურდა, რადგანაც იგი დამფრთხალი იყო მოსალოდნელი დამარცხებითა და ფეოდალური აბსოლუტიზმის აღდგენით.

ომის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდნენ ჟირონდისტებიც, თუმცა სამეფო ხელისუფლებისაგან განსხვავებით ისინი ომს სხვა ამოცანებს უსახავდნენ. ჟირონდისტები, რომლებიც გამოხატავდნენ მსხვილ და ნაწილობრივ, საშუალო სავაჭრო–სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, ისინი დააფრთხო და

დააშინა სანკიულოტური რევოლუციის გაღრმავებამ და ომით მოინდომეს მისი შეზღუდვა–შეჩერება. ამ მხრივ დამახასიათებელია ჟირონდისტი როლანის ცინიკური სიტყვები: „აუცილებლად საჭიროა, რომ თოფქვეშ დაყენებული ეს ათასობით ადამიანი გავუშვათ ისე შორს, სადამდისაც შეუძლიათ ატარონ საკუთარმა ფეხებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაბრუნდებიან და ყველას ყელს გამოგვჭრიანო“.[18] ამასთან, ომის საშუალებით, ჟირონდისტები მიზნად ისახავდნენ აბსოლუტური მონარქიის ბეცი საგარეო პოლიტიკით XVIII ს-ში დაქვეითებული საფრანგეთის სავაჭრო–სამრეწველო პრესტიჟის აღდგენას, ევროპის კონტინენტზე შერყეული ეკონომიური ბატონობის განმტკიცებას, საერთოდ საგარეო კოლონიური პოლიტიკის გააქტიურებას და ა.შ.[19] სხვათაშორის, დასაყრდენის დაკარგვის შიშით ჟირონდისტები ოსტატურად მოქმედებდნენ. ისინი ითვალისწინებდნენ პატრიოტულ–რევოლუციური გრძნობებით აღსავსე ფრანგი ხალხის სურვილს კონტრრევოლუციური ემიგრაციისა და მისი მოკავშირის–ფეოდალური ევროპის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და პატრიოტული ფრაზეოლოგიით მოხერხებულად ნიღბავდნენ ჭეშმარიტ ზრახვებს. ამით აიხსნება, რომ რევოლუციის იმ ეტაპზე ხალხი ჟირონდისტებს გაჰყვა, რაც ერთ–ერთი გამონაკლისი იყო მათი მოღვაწეობის ისტორიაში. ჟირონდისტების ასეთი პოზიცია, რა თქმა უნდა, სასარგებლო იყო მეფისა და მისი მომხრე ძალებისათვის. კიდეც ამიტომ ლუი XVI ისინი მთავრობაში შეიყვანა რაც მეფის დიდი გამარჯვება იყო: ჯერ ერთი, ხელისუფლების სათავეში დააწინაურა ადამიანები, რომლებიც ომს ითხოვდნენ და მეორეც, ჟირონდისტებთან თანამშრომლობის გათამაშებით მან რამდენადმე მოიგო საზოგადოების გულიც.[20]

[18] გ.კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, გვ. 255.
[19] დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 253–258.
[20] Французская буржуазная революция, с. 185.

ერთადერთნი, ვინც ჯანსაღად აფასებდნენ ომის პრობლემას, მემარცხენე იაკობინელები იყვნენ. მათ სწორად მიაჩნდათ, რომ საფრანგეთი სამხედრო–ეკონომიური თვალსაზრისით ომისათვის არ იყო მზად. ამასთან, თვლიდნენ რომ ომის ცეცხლი უპირველესად ქვეყნის შიგნით – მეფისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ უნდა მიემართათ. მხოლოდ მათი განადგურების შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაზე. 1792 წლის 2 იანვარს რობესპიერმა განაცხადა: „აღადგინეთ წესრიგი საკუთარი ქვეყნის შიგნით, სანამ გადაწყვეტდეთ თავისუფლების დროშა შეიტანოთ სხვა ქვეყანაში... აღადგინეთ წესრიგი ფინანსებში, აღკვეთეთ მისი ფლანგვა, შეიარაღეთ ხალხი და ეროვნული გვარდია, ... საჭიროა კეთილმოქმედი კანონებით, მათდამი ენერგიული მხარდაჭერით, გონივრულობითა და გაბედულობით გამოვაცოცხლოთ საზოგადოებრივი აზრი და ტირანიისადმი მისი ზიზღი. აი, ერთადერთი, რაც ჩვენ უძლეველებს გაგვხდის“. და შემდეგ: „ნამდვილი კობლენცი საფრანგეთშია“; გერმანიის „კობლენცი თავისუფლების წინააღმდეგ წარმოადგენს ერთ–ერთ ზამბარას ღრმად ორგანიზებული შეთქმულებისას, რომლის ცენტრი, ბუდე და მოთავეები ჩვენს შორის იმყოფებიან.[21] რობესპიერის აზრს აღრმავებდნენ მარატი, დანტონი და სხვ. მემარცხენეები, მაგრამ „კონტრრევოლუციისა და ფეოდალურ–მონარქიული ევროპის მოძულე პატრიოტული ლოზუნგებით მოხიბლული ფრანგები ამ ეტაპზე მაინც ჟირონდისტებს გაჰყვნენ.

საომარი მოქმედება ფრანგთათვის წარუმატებლად დაიწყო. მართალია, ბრძოლის დასაწყისში რიცხობრივი უპირატესობა მათ ჰქონდათ. ჩრდილოეთში ფრანგთა 50 ათასიან არმიას, მა., ავსტრიელთა 35 ათასი კაცი უპირისპირდებოდა; პრუსია კი ჯერ ომში ჩაბმული არ იყო, მაგრამ ჯარის სარდლებმა ლაფაიეტმა, როშამბომ და ლიუკნერმა იგი ვერ გამოიყენეს. ამას დაერთო სამეფო კარის ღალატიც (დედოფალმა მარი–ანტუანეტამ ავსტრიელებს გადასცა საომარი მოქმედების

[21] იქვე, გვ. 264.

გეგმა). ამით ისარგებლა მტერმა, განავითარა შეტევა და მალე ქვეყანას შეჭრით დაემუქრა. ამათი გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ლუი XVI მაშინვე გაილაშქრა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ბრძანა მარატისა და დემოკრატიის სხვა ბელადების დაპატიმრება, გამოიყენა ვეტოს უფლება და 19 ივნისს შეაჩერა საკონმდებლო კრების მიერ მიღებული რევოლუციური ხასიათის დეკრეტები, მათ შორის დადგენილება – პარიზთან სახალხო დამცველების ე.წ. ფედერატების ბანაკის მოწყობის შესახებ, რაც არსებითად მტრისათვის ხელის შეწყობას ნიშნავდა.

ასეთ პირობებში, 25 ივლისს, ინტერვენტთა არმიის მთავარსარდალმა ჰერცოგმა კარლ–ვილჰელმ–ფერდინანდ ბრაუნშვაიგელმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც აცხადებდა ევროპელ მონარქთა სურვილს საფრანგეთში ანარქიის (ე.ი. რევოლუციის) ლიკვიდაციის და წესრიგის (ე.ი. ფეოდალურ–აბსოლუტური წყობის აღდგენის), კანონიერი ხელისუფლების (ე.ი. მონარქის) დაცვისა და სხვათა შესახებ. მანიფესტი მოუწოდებდა ფრანგთა არმიას დამორჩილებოდნენ მეფეს, ხოლო ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცებს და მოსახლეობას, რომლებიც ბედავდნენ წინააღმდეგობას ინტერვენტებისადმი, აცხადებდა „მეამბოხეებად... და საზოგადოებრივი წესრიგის დამღვევებად“. მანიფესტი იმუქრებოდა მკაცრი ანგარიშსწორებით და ჩამოთვლიდა საკანონმდებლო კრების, დეპარტამენტების დირექტორისა და მუნიციპალიტეტის წევრებს, როგორც უშუალო პასუხისმგებლებს მეფის ოჯახისა და მისი ძალაუფლების ხელყოფაში, რევოლუციის ორგანიზებაში და ა.შ.

აღნიშნული მანიფესტი მიზნად ისახავდა საფრანგეთის რევოლუციურ ძალთა დაშინებას, მაგრამ მან საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. პარიზის სექციებში აშკარად გამოვიდნენ მონარქიის დამხობის წინადადებით, რადგან მეფის ღალატისა და ინტერვენტებთან მისი ურთიერთობის შესახებ უკვე საკმარისზე მეტი დამადასტურებელი ფაქტი არსებობდა. საკანონმდებლო კრება, სადაც საგრძნობი იყო ფელიანებისა და

ჟირონდისტების გავლენა, მერყეობდა და ხალხს მონარქიის წინააღმდეგ გამოსვლის შესაძლებლობას არ აძლევდა. მაშინ 9 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე კენზ–ვენის სექციამ სხვა დემოკრატიულ სექციებსა და ფედერატებზე დაყრდნობით მოსახლეობას გამოსვლისაკენ მოუწოდა. შუაღამისას მთელი პარიზი უკვე აჯანყებული იყო.

სამეფო კარი მომზადებული შეხვდა ხალხის გამოსვლას. ტიუილრის სასახლეში წინასწარ შეიყვანეს 950 დაქირავებული შვეიცარიელი, 300–მდე თავადაზნაური ლუი XVI პირადი გვარდიიდან, 900–ზე მეტი ცხენოსანი და ა.შ. ქვემეხებით გაამაგრეს სასახლის მისასვლელები კარუსელის მოედნიდან, ლუვრის თუ ახალი ხიდის მხრიდან. 10 აგვისტოს დილის 7 საათისათვის აჯანყებულებმა ბლოკირება უყვეს სასახლეს. მიაგორეს ქვემეხები და მათი წინამძღოლი ვესტერმანი ცეცხლით დაემუქრა შენობაში მყოფთ. მეფემ ვერ გაბედა წინააღმდეგობა და მცირე ამალით საკანონმდებლო კრებისაკენ გაეშურა. მაშინ ხალხი დაიძრა სასახლისაკენ და მთავარი შესასვლელით ცადა შიგ შეჭრა. დამცველებმა სროლა დაიწყეს. მაშინ მოიერიშეებმა არტილერია აამოქმედეს, გასტეხეს მეფის ერთგულთა წინააღმდეგობა და დაეუფლნენ ტიუილრის. ასეთ პირობებში ჟინორდისტებმა ვერ გაბედეს ლუი XVI აშკარად დაცვა და საკანონმდებლო კრებამ მიიღო დადგენილება მისი გადაყენებისა და ნაციონალური კონვენტის მოწვევის შესახებ. 12 აგვისტოს მეფე ტამპელის ციხეში გამოკეტეს. შეიქმნა დროებითი აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც გადაეცა აღმასრულებელი ხელისუფლება. მის შემადგენლობაში ძირითადად შევიდნენ ჟირონდისტები (მაგ., –როლანი – შინაგან საქმეთა მინისტრად, სერვანიო – სამხედრო მინისტრად, კლავიერი –ფინანსთა მინისტრი და ა.შ.), აგრეთვე დანტონი, რომელიც იუსტიციის მინისტრის პოსტი დაიკავა.

ჟირონდისტები დანტონს თვლიდნენ დემოკრატიული მოძრაობის ბელადად და თანამდებობაზე მისი დანიშვნით რევოლუციის შეზღუდვას ვარაუდობდნენ. მართლაც დანტონის არჩევა მინისტრად სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს

მადლიერმა ფრანგმა ხალხმა ამ აქტით აღნიშნა 10 აგვისტოს გაწეული მისი ღვაწლი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ პოლიტიკური შეხედულებებითა და იდეებით მემარჯვენე იაკობინელი დანტონი ახლოს იდგა ჟირონდისტებთან. ამის შესახებ კონდორსე ამბობდა: „საჭირო იყო სამინისტროში გვყოლოდა ნდობით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც თავისი გავლენით შეაკავებდა კეთილმყოფელი, დიდებული და აუცილებელი რევოლუციის საზიზღარ კრეატურებს. საჭირო იყო რომ ამ ადამიანს თავისი მეტყველების ნიჭით, გონებით, ხასიათით არ დაემცირებინა არც სამინისტრო, არც საკანონმდებლო კრების წევრები რომელთანაც მას საქმე ექნებოდა. მხოლოდ დანტონი იყო აღჭურვილი ამ თვისებებით. მე იგი ავირჩიე და არც ვნანობ ამას“.

საკანონმდებლო კრებისა და დროებითი აღმასრულებელი საბჭოს გვერდით ხელისუფლების სათავეში იდგა აგრეთვე პარიზის კომუნა, რომელიც 10 აგვისტოს აჯანყების შემდეგ 288 წევრს ითვლიდა (ექვს–ექვსი წევრი თითოეული სექციიდან). დამატებით მასში აირჩიეს მაქ. რობესპიერი. შომეტი და სხვ., რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ამ დაწესებულების რევოლუციური ხასიათი. სწორედ კომუნის მოთხოვნით შეიქმნა რევოლუციური ტრიბუნალი (17 აგვისტო) და პასუხისმგებლობაში მისცეს ფელიანების ყოფილი მინისტრები, დააწესეს მკაცრი კონტროლი არამარტო პასპორტების გაცემაზე, არამედ ემიგრანტთა ნათესავებზე, მეფის მიერ თავის დროზე ვეტოდადებული დეკრეტები ძალაში შეიყვანეს (15 აგვისტო), დააპატიმრეს სასულიერო წოდების მრავალი წარმომადგენელი (26 აგვისტო) და სხვ. კიდევ მეტი, საკანონმდებლო კრებამ ზოგიერთი საინტერესო აგრარული კანონმდებლობაც განახორციელა. საკმარისია ითქვას 26 აგვისტოს დეკრეტის შესახებ, რომლითაც გლეხებს დაუბრუნეს ის სათემო მამულები – ტრიაჟები და საერთო სარგებლობის მიწები, რომელთა საკუთრებას სენიორი შესაბამისი დოკუმენტით ან 40 წლის ხანდაზმულობის ფაქტით ვერ დაადასტურა. 2 სექტემბერს დეპუტატ ფრანსუა დე – ნეუშატის წინადადებით მიიღეს

დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა ემიგრანტებისა და ეკლესიების კონფისკებული მიწების დაყოფას მცირე ნაკვეთებად და წლიური რენტით უვადო მფლობელობაში გლეხებისათვის გადაცემას. ეს უდაოდ პროგრესული ღონისძიება იყო, გარდა აღნიშნულისა, საკანონმდებლო კრებამ განახორციელა სხვა ღონისძიებებიც. 26 აგვისტოს გამოაქვეყნა დეკრეტი ფიცდაუდებული მღვდელების 15 დღის ვადაში საფრანგეთიდან გასახლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კუნძ. გვინეაზე გადაასახლებდნენ. გამოიცა დეკრეტი, რომლის ძალით ქორწინება სამოქალაქო აქტად გამოცხადდა. აიკრძალა მღვდელ–მსახურებისათვის ფულის მიცემა, დაწესდა დაკრძალვის ყველასათვის ერთიანი წესი, მოხდა რელიგიურ დაწესებულებათა ქონების კონფისკაცია, სადგან იგი „მღვდლების გაიძვერობითაა“ შეძენილი. მღვდლებს აეკრძალათ ანაფორების ტარება და სხვ. ეს რადიკალური ღონისძიებით აშკარად ანტიკლერიკალური ხასიათისა იყო.

სხვათაშორის, 10 აგვისტოს აჯანყებისა და მეფის დამხობის შემდეგ კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებმა გააქტიურეს მოქმედება და თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მაგ., 23 აგვისტოს ინტერვენტებმა წინააღმდეგობის გარეშე აიღეს ლონგვის ძლიერ გამაგრებული სიმაგრე, 4 სექტემბერს მოღალატე როიალისტების წყალობით გარემოიცვეს ვერდენი, რომლის აღებით მტერს პარიზისაკენ ეხსნებოდა გზა. ასეთ ვითარებაში დედაქალაქში გავრცელდა ხმები მონარქისტების მიერ მოსალოდნელი შეთქმულების ორგანიზების შესახებ. ამან ააღელვა მოსახლეობა და 4–5 სექტემბერს პარიზში სტიქიურად დაიწყო აჯანყება. ხალხი შეიჭრა საპყრობილეებში და იქ გამოკეტილი 2600 როიალისტიდან თითქმის ნახევარზე მეტი სიკვდილით დასაჯა. ეს აქტი, ინტერვენტებთან ბრძოლის ვითარებაში, ზურგის უშიშროების განმტკიცებას ისახავდა მიზნად, თუმცა იგი აშკარად არ კმაროდა საგარეო საფრთხის სალიკვიდაციოდ და რევოლუციური მასების ზეგავლენით საკანონმდებლო კრებაც იძულებული გახდა გამოსულიყო ლოზუნგით –

„სამშობლო განსაცდელშია“. მოწოდებამ ქვეყნის დასაცავად მასების არნახული ამოძრავება გამოიწვია. ყველგან იქმნებოდა სახალხო მოლაშქრეთა ფედერატების რაზმები, რომლებიც პარიზისაკენ მიემართებოდნენ. კაპიტან რუჟე დე – ლილის შეთხზული მარსელელ ფედერატთა სიმღერა (შემდეგში სახელგანთქმული „მარსელიოზა“) ფრანგ პატრიოტთა რევოლუციური სიმღერა გახდა. საყოველთაო აღტკინებამ შესაბამისი შედეგიც გამოიღო. 1792 წლის 20 სექტემბერს სოფ. ვალმისთან ბრძოლაში ცუდად შეიარაღებულმა, ჩაუცმელმა და თითქმის მშიერმა, მაგრამ სამშობლოს დაცვით აღფრთოვანებულმა ფრანგთა არმიამ სასტიკად დაამარცხა ინტერვენტთა ლაშქარი. ვალმისთან ბრძოლა, გოეთეს შენიშვნით, იყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის დასაწყისი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან მალე ამ გამარჯვების შემდეგ ფრანგებმა ომი მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს.

<u>რესპუბლიკის გამოცხადება და მეფის დასჯა</u>. ვალმისთან ბრძოლის დღეს პარიზში გაიხსნა ნაციონალური კონვენტის სხდომა. მას ესწრებოდა 750 დეპუტატი. მათგან 500–მდე დეპუტატი ნეიტრალიტეტისათვის იბრძოდა, 165 ჟორონდისტი იყო, 100–მდე კიიაკობინელი, მათ შორის რობესპიერი, მარატი, დანტონი და სხვ. კონვენტის პირველი დეკრეტით 20 სექტემბერსვე გაუქმდა მონარქია და ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა, რასაც ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. მეორე დღეს კონვენტმა ბილო–ვარენის წინადადებით შემოიღო ახალი კალენდარი. ამიერიდან 1792 წლის 10 აგვისტო და 22 სექტემბერი ცხადდებოდა რესპუბლიკის პირველ წლად და 23 სექტემბრიდან ახალი წელთაღრიცხვა ძალაში შედიოდა. ამიერიდან წელიწადი იყოფოდა 12 თვედ, თვითეული 30 დღის რაოდენობით. თვეებს ეწოდა სახელები წელიწადის შესაბამისი დროის თვისებების მიხედვით. შემოდგომის სამ თვეს დაერქვა: ვანდემირი–ღვინობისთვე (სექტემბერ–ოქტომბერი), ბრიუმერი–ღრუბლების თვე (ოქტომბერი–ნოემბერი), ფრიმერი (ყინვების თვე (ნოემბერ–დეკემბერი); ზამთავრი სამ თვეს ეწოდა: ნივრზი–თოვლობის თვე (დეკემბერი–იანვარი), პლიუვიოზი–

წვიმებისთვე (იანვარი–თებერვალი), ვანტოზი–ქარების თვე (თებერვალი–მარტი); გაზაფხულის თვეები იყო: ჟერმინალი–თესლის გაღვივების თვე (მარტი–აპრილი), ფლორეალი–ვარდობის თვე (აპრილი–მაისი), პრეროალე–თიბათვე (მაისი–ივნისი); ზაფხულის თვეებს ერქვა: მესიდორი–მკის თვე (ივნიი–ივლისი); თერმიდორი–ცხელი თვე (ივლისი–აგვისტო), დაბოლოს ფრიუქდიდორი–ნაყოფის თვე (აგვისტო–სექტემბერი). კვირეების ნაცვლად დასვენება დაწესდა ყოველი დეკადის ათდღიურის ბოლო დღეს და სხვ.

მონარქიის დამხობის შემდეგ კონვენტის დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი თვით მეფის შესახებ. ცხადი ჩანდა, რომ ეს პირადი კი არა, პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემა იყო. და მართლაც მის გამო ჟირონდისტებსა და მონტანიერ–იაკობინელებს შორის დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ჟირონდისტებმა რომლებმაც მიაღწიეს რა ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში გაბატონებას, ახლა რევოლუციის შეზღუდვა–შეჩერებისათვის იბრძოდნენ. მეფის სიცოცხლის შენარჩუნება კი საამისოდ საუკეთესო საშუალება იყო. იაკობინელები–პირიქით. პასუხისგებაში მეფის მიცემა და მისი დასჯა მოითხოვეს. ეს იმიტომ რომ ისინი იყვნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ქვედა ფენების ბლოკში იბრძოდნენ რევოლუციის შემდგომი გაღრმავება–განვითარებისათვის. ჟირონდისტების ყველა ცდა მეფის გადარჩენისათვის ამაო გამოდგა. 1793 წლის 15 იანვარს ნაციონალურმა კონვენტმა სპეციალურად განიხილა საკითხი- დამნაშავეა თუ არა მეფე და რა სასჯელს იმსახურებს იგი. პირველ კითხვაზე 683 დეპუტატმა დადებითად უპასუხა, რის საფუძველზეც ლუი XVI დამნაშავედ ცნეს ყველა მოქმედებაში ერის თავისუფლებისა და სახელმწიფო საერთო უშიშროების წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ სასჯელის შეფარდების შესახებ მსჯელობა 24 საათს გაგრძელდა. მარატის წინადადებით ყველა დეპუტატს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი და დაესაბუთებინა იგი. ცხარე

კამათის შემდეგ, 19 იანვარს, კონვენტმა 53 ხმის უპირატესობით მეფეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

21 იანვარს დილის 9 საათზე მეფე გამოიყვანეს გამპელის ციხიდან და სულიერი მოძღვრის მღვდელ ეჯეევორტის თანხლებით ეტლით წაიყვანეს რევოლუციის მოედნისაკენ. ეტლს ახლდა ქვემეხებით შეიარაღებული ძლიერი ბადრაგი, მთელ გზაზე ეშაფოტამდე კი იცავდა ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცები. 10 საათზე ლუი ადგილზე იყო. მოედანზე შეკრებილი ხალხი, რომელთა რიცხვი ვ.ბლოსის მოწმობით 40.000 უდრიდა,[22] ყოფილ მეფეს ღრმა დუმილით შეხვდა. ჯალათ სამსონის თანაშემწეებმა ხელების შეკვრა მოუნდომეს, მაგრამ ლუიმ (იგი მშიშარა იყო საერთოდ. მისი თანამედროვენი ამბობდნენ: „ლუი იყო გულადი როგორც დედაკაცი მშობიარობის დროს") საოცარი გაბედულება გამოიჩინა და არ დაანება. ეჯეევორტმა ურჩია შერიგებოდა ბედს. მეფე დამორჩილდა, შემდეგ კი სწრაფად ავიდა ეშეფოტზე და ხალხს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა: „ფრანგებო! მე ვკვდები–იმ ბრალდებისაგან, რასაც უდუნაშაულოდ მომაწერენ. მე ვუნდობ ჩემს მკვლელებს და ვისურვებ, რომ სისხლმა განამტკიცოს საფრანგეთის ბედნიერება!". შემდეგ მობრუნდა, ჩაიჩოქა, და კისერი გაიწვდინა გილიოტინის ცულის ქვეშ. 10 საათსა და 20 წუთზე ჯალათმაც მას თავი წააგდებინა.

მეფის დასჯამ და საფრანგეთის რევოლუციური არმიის წარმატებითმა მოქმედებამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ბელგიაში...) ინგლისსა და ევროპის ფეოდალურ–მონარქიულ სახელმწიფოებში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ინგლისის ინიციატივით 1793 წლის გაზაფხულზე რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ შეიქმნა პირველი კოალიცია თვით ინგლისის, აგრეთვე ავსტრიის, პრუსიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, სარდინიის, ნეაპოლის და გერმანული სახელმწიფოების მონაწილეობით. რუსეთი, მართალია, კოალიციას თანაუგრძნობდა (ამ მიზნით აკრძალა რუსეთის ნავსადგურებში ფრანგთა ხომა-

[22].Блос В., Французская революция, СПб, 1906, с. 158.

ლდების შემოსვლა, გააუქმა საფრანგეთთან გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულება და სხვ.), მაგრამ მასში მონაწილეობისაგან კი თავი შეიკავა. იგი პოლონეთის საკითხით იყო დაკავებული და საფრანგეთისათვის ამჯერად ვერ მიიცალა.

კოალიციის შექმნამ და ომის განვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საფრანგეთი. დაცარიელდა ხაზინა, დაიწყო ინფლაცია, რამაც პირველი მოხმარების საგნების გაძვირება გამოიწვია. თავი იჩინა სასურსათო კრიზისმაც. ასეთ პირობებში ფართო გასაქანი მიეცა სპეკულაციას, რამაც გააძლიერა ხალხის უკმაყოფილება. პარიზში, ტურში და სხვა პროვინციულ ქალაქში მოხდა მუშათა არაერთი გამოსვლა. ისინი შრომის პირობების გაუმჯობესებას და პურზე მტკიცე ფასის (ე.წ. "მაქსიმუმის") შემოღებას ითხოვდნენ. მათ ინტერესებს კონვენტში გამოხატავდნენ კორდელიერების კლუბის წევრები ჟაკ რუ, თეოფილ ლეკლერკი, ვარლე და სხვ., რომლებსაც ჟირონდისტებმა დიდი სიძულვილის გამო "ცოფიანები" უწოდეს. სხვათაშორის, „ცოფიანები" იბრძოდნენ აგრეთვე მსხვილი საკუთრებისა და ქონებრივი უთანასწორობის წინააღმდეგაც. იაკობინელები თავდაპირველად უარყოფითად მოეკიდნენ „მაქსიმუმს" და საერთოდ მტკიცე ფასების დაწესებას, მაგრამ ითვალისწინებდნენ რა კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის მონაწილეობის აუცილებლობას, მათ 1793 წლის აპრილში შეცვალეს ტაქტიკა და „ცოფიანების" მომხრედ გამოვიდნენ; თანაც გაზრდილი სამხედრო ხარჯების დასაფარავად და ხაზინის შესავსებად მოითხოვეს იძულებითი სესხის სახით დაებეგრათ მსხვილი მესაკუთრეებიც.

ჟირონდისტებს აღნიშნული მოთხოვნების გაგონება არ სურდათ, რადგან იგი „ვაჭრობის თავისუფლებისა" და „საკუთრებაზე საღვთო უფლების" შელახვის ცდად მიაჩნდათ. კიდევ მეტი, ანტიხალხური პოლიტიკა მათ გააგრძელეს აგრარულ სფეროშიც: უარყვეს ადრინდელი დეკრეტები გლეხებისათვის ემიგრანტთა მიწების გადაცემისა თუ მიყიდვის შესახებ, ხოლო 1793 წლის აპრილში აკრძალეს მცირემიწიან გლეხთა მიერ

მიწის კოლექტიურად შესყიდვის უფლებაც. ამან მნიშვნელოვნად დაამძიმა სოფლის მწარმოებელთა ეკონომიური მდგომარეობა, რამაც მარნას, ლოს და სხვ. დეპარტამენტებში გლეხთა აჯანყებები გამოიწვია.

ქვეყნის რთულ საშინაო მდგომარეობას დაემთხვა წარუმატებლობა ფრონტებზეც. ბელგიაში მოქმედი ფრანგთა არმია 1793 წლის მარტში დამარცხდა ნეერვინდენთან ბრძოლაში. მაშინ არმიის სარდალი დიუმურიე დაადგა ღალატის გზას, საიდუმლოდ შეუთანხმდა ავსტრიელებს და „შფოთისთავების“ (ე.ი. რევოლუციონერების) განადგურების მიზნით ახლა პარიზზე ცადა გალაშქრება. დიუმერიემ კრახი განიცადა და მტრის ბანაკში გაიქცა. მართალია, კონტრრევოლუციონერთა გეგმა ვერ განხორციელდა, მაგრამ მთავარსარდლის ღალატმა და ჟირონდისტების კაპიტულანტურმა პოლიტიკამ მტერს მოქმედება გაუადვილა. ფრანგთა არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა ბელგია და გერმანიის რაინისპირა ოლქები. საომარი მოქმედება კვლავ საფრანგეთის ტერიტორიაზე გადავიდა. ამით ისარგებლეს მონარქისტებმა და მოაწყვეს კონტრრევოლუციური აჯანყება ვანდეაში. მოძრაობა მალე ბრეტანშიც გავრცელდა. რესპუბლიკის მდგომარეობა კვლავ კრიზისული გახდა.

ქვეყნის გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა გადამჭრელ ღონისძიებებს მოითხოვდა, მაგრამ ამ დროისათვის ჟირონდისტებმა საბოლოოდ უღალატეს რევოლუციას, გადავიდნენ კონტრრევოლუციის ბანაკში და რეპრესიები გააჩაღეს იაკობინელებისა და რევოლუციურად განწყობილი მოსახლეობის ქვედა ფენების წინააღმდეგ. ჯერ მარატი მისცეს პასუხისმგებლობაში, მაგრამ ტრიბუნალმა იგი უდანაშაულოდ სცნო და გაათავისუფლა. მაშინ ჟირონდისტებმა შექმნეს ე.წ. „12 კომისია“, რომელსაც დედაქალაქში რევოლუციურ–დემოკრატიული მოძრაობის დათრგუნვა დაევალა. ამან პარიზში ახალი სახალხო აჯანყებისათვის მოამწიფა პირობები მართლაც, სტიქიურად შეიარაღებული სანკიულოტთა რაზმები, ნაციონალური გვარდიის თანხლებით, 1793 წლის 31 მაისს

დაიძრნენ კონვენტის შენობისაკენ, გარეკეს „12 კომისია“, ხოლო 2 ივნისს გამოაქვეყნეს დეკრეტი ჟირონდისტი დეპუტატის გარიცხვისა და ჟირონდისტული მთავრობის გადაყენები შესახებ. ძალაუფლებას დაეუფლნენ მონტანიარი–იაკობინელები. ქვეყანაში დამყარდა იაკობინელთა დიქტატურა, რაც იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის განვითარების კულმინაციური წერტილი.

3. იაკობინელთა დიქტატურა

იაკობინელებმა უმძიმეს ვითარებაში დაიწყეს მოღვაწეობა. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნის 80 დეპარტამენტიდან 60 გამდგარი იყო. ამას დაერთო დამხრობილი ჟირონდისტების გამოსვლები სამხრეთში და ინგლისის ფლოტის მიერ საფრანგეთის სანაპიროების ბლოკირება. თვით პარიზში მწვავე სასურსათო კრიზისი მძვინვარებდა. საგრძნობი იყო ინტერვენციის საფრთხეც. ასეთ პირობებში ფართო გასაქანი მიეცა კონტრრევოლუციურ ტერორს. 13 ივლისს შარლოტტე კონდემ ბინაზე მოჰკლა ხალხის მეგობარაქდ აღიარებული მარატი. ჟირონდისტთა ხელით დაიღუპა აგრეთვე ლიონის მერი იაკობინელი შალიე... ასეთი განსაცდელის ჟამს მაინც იაკობინელები არ შედრკნენ. ისინი მხნედ შეუდგნენ საქმიანობას და მალე შეძლეს რესპუბლიკის გამოყვანა კრიზისული მდგომარეობიდან. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ხალხმა, რომელსაც 1793–1794 წლების მიჯნაზე ეყრდნობოდა იაკობინელთა დიქტატურა.

ხელისუფლების სათავეში გასვლის მეორე დღესვე იაკობინელებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს გლეხობას და 3 ივნისის დეკრეტით შეღავათები დააწესეს კონფისკებული მიწებით ვაჭრობაზე. მალე კონვენტმა გამოსცა ახალი კანონი, რომლითაც გლეხებს დაუბრუნდა მემამულეების მიერ მისაკუთრებული სათემო მიწები, ხოლო 17 ივლისის დადგენილებით საბოლოოდ მოისპო ყოველგვარი ფეოდალური ბეგარა–ვალდებულებები. ფეოდალური ურთიერთობის ამსახველი აქტები

და დოკუმენტები უნდა დაეწვათ, გადამალვა კი კატორღით ისჯებოდა. მართალია, აღნიშნული დეკრეტები იყო შეზღუდული ხასიათისა (კონფისკებული იყო არა მემამულეთა მიწები, საერთოდ, არამედ მხოლოდ ემიგრანტთა მამულები. მიწებით მთლიანად ვერ დაკმაყოფილდა უღარიბესი გლეხობა და სხვ.), მაგრამ ამის მიუხედავად მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ რესპუბლიკისათვის.

საგულისხმოა რომ კონვენტმა საჩქაროდ შეიმუშავა და უკვე 24 ივნისს მიიღო კიდეც ახალი კონსტიტუცია. 1791 წლის კონსტიტუციასთან შედარებით იგი უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ყველაზე დემოკრატიულს XVIII-XIX ს-ბის ბურჟუაზიულ კონსტიტუციებს შორის. მან ქვეყანა რესპუბლიკად გამოაცხადა. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება გადასცა საკანონმდებლო კრებას, აღმასრულებელი ხელისუფლება კი აღმასრულებელ საბჭოს. ეს უკანასკნელი 24 წევრისაგან შესდგებოდა და ყოველწლიურად უნდა განახლებულიყო. კონსტიტუცია აცხადებდა ადამიანთა თანასწორობას, თავისუფლებას და უშიშროებას. აკანონებდა სიტყვის, პრესის და რელიგიური რწმენის თავისუფლებას, სპობდა ქონებრივი ცენზის შეზღუდვებს პოლიტიკურ ასპარეზზე, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა მოქალაქეებს (მამაკაცებს), რომელთაც 21 წელი შეუსრულდათ და სხვ. ცხადია, კონსტიტუციას ახასიათებდა რიგი შეზღუდვები, კერძოდ: მის მიერ გამოცხადებული ადამიანთა თანასწორობა იყო ფორმალური, არ ითვალისწინებდა საზოგადოების დემოკრატიულ უფლებათა დაცვას კანონით; ქალი კვლავ არ დაუშვა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, კონსტიტუციამ განმანადგურებელი ლახვარი ჩასცა ფეოდალურ ჩაგვრას და ფეოდალურ საკუთრებას, მაგრამ სამაგიეროდ განამტკიცა ბურჟუაზიული კერძო საკუთრება და დააკანონა ექსპლოატაციის ბურჟუაზიული ფორმაც. ამის მიუხედავად 1793 წლის კონსტიტუციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასების ამოძრავებისა და აქტიურობის ზრდის თვალსაზრისით.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული კონსტიტუცია გამოქვეყნებისთანავე არ შესულა მოქმედებაში. უდიდესი საშინაო და საგარეო საფრთხის პირობებში დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლა უაზრობა იქნებოდა. იმ პერიოდში საჭირო იყო უკიდურესი ცენტრალიზაცია, რომ დაეჩქარებინათ კონტრრევოლუციის და ინტერვენციის განადგურება. და მართლაც, იმავე წლის ივლისში კონვენტმა აღადგინა საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს მაქსიმილიან რობესპიერი.

თავისი დროის მგზნებარე რევოლუციონერი, „მოუსყიდველი" მ. რობესპიერი ახალი მთავრობის ჭეშმარიტი ბელადი გახდა. რობესპიერის წყალობით აღნიშნული კომიტეტი მალე იაკობინელთა დიქტატურის ძირითად ორგანოდ გადაიქცა. მას ემორჩილებოდა სახელმწიფოს ყველა დაწესებულება და არმია, წარმართავდა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის საქმიანობას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთოდ ხელმძღვანელობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თავიანთ ხელისუფლებას კონვენტი და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი ახორციელებდნენ კომისრების საშუალებით. მათ ირჩევდნენ თვით კონვენტის დეპუტატებიდან და ფართო საგანგებო რწმუნებით გზავნიდნენ ადგილებზე სამუშაოდ. კომისრები იყვნენ არმიაშიც, სადაც ხელმძღვანელობდნენ ჯარის მომარაგებას, აკონტროლებდნენ სარდლების ღონისძიებებს, ეწეოდნენ აგიტაციას და ა.შ. რევოლუციურ–დემოკრატიულ დიქტატურის სისტემაში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები. ისინი თვალს ადევნებდნენ საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის დირექტივების შესრულებას, ებრძოდნენ კონტრრევოლუციონერებს, ეხმარებოდნენ კომისრებს მინდობილ დავალებათა აღსრულებაში და სხვ. იაკობინელთა დიქტატურის განმტკიცებაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ აგრეთვე იაკობინელთა კლუბი მისი მრავალრიცხოვანი პროვინციული ფილიალებით, პარიზის კომუნა და მისი 48 სექციის კომიტეტები. ერთი სიტყვით იაკობინელებმა დროის შესაბამისად განახორციელეს

ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაცია, რაც ჯერჯერობით ფართო მასების ინიციატივას ეფუძნებოდა.

1793 წლის ზაფხულში რესპულიკას სასურსათო კრიზისი დაემუქრა. დაიწყო შიმშილობა ქალაქის უღარიბეს ფენებში. მაშინ პლებეური მოსახლეობის წარმომადგენლები, კერძოდ კი „ციფიანები" იაკობინელთა მთავრობის კრიტიკით გამოვიდნენ და მოითხოვეს რევოლუციური ტერორი საერთოდ კონტრრევოლუციონერების, კერძოდ კი სპეკულიანტებისა და მესაბოტაჟეების წინააღმდეგ, აგრეთვე საყოველთაო მაქსიმუმის შემოღება. იაკობინელებმა „ცოფიანების" გამოსვლას რეპრესიებით უპასუხეს, ჟაკ რუ, ვარლე და მათი სხვა ლიდერები დააპატიმრეს (აქ გამომჟღავნდა სწორედ იაკობინელი რევოლუციონერების შეზღუდულობის ბურჟუაზიული ხასიათი), მაგრამ მალე, განსაკუთრებით პარიზის პლებაური მოსახლეობის 4–5 სექტემბრის გამოსვლების ზეგავლენით, იძულებული გახდნენ წასულიყვნენ სანკიულოტთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით. 5 სექტემბერს კონვენტმა შექმნა „განსაკუთრებული, რევოლუციური არმია", რომელსაც დაევალა „ქვეყანაში, სადაც კი ეს საჭირო იქნებოდა, კონვენტის დეკრეტირებული რევოლუციური კანონიერების განხორციელება და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის ღონისძიებების აღსრულება". 29 სექტემბერს კონვენტმა შემოიღო ე.წ. საყოველთაო მაქსიმუმი, ანუ დააწესა მტკიცე ფასები კვების პროდუქტებსა და მოხმარების საგნებზე. სურსათით პარიზის მომარაგებისათვის ოქტომბერში ჩამოყალიბდა ცენტრალური სასურსათო კომისია, რომელმაც „რევოლუციურ არმიაზე" დაყრდნობით რეპრესიები გააჩაღა სპეკულიანტების წინააღმდეგ. კომისიამ დაიწყო მარცვლეულის რეკვიზიცია ქალაქად და სოფლად, შემოიღო საბარათო სისტემა პურზე, ხორცზე, შაქარზე, კარაქზე და სხვ. პროდუქტებზე კონვენტმა დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე რევოლუციურ ტერორს. ამ მიზნით 17 სექტემბერს მიიღო დეკრეტი „საეჭვოთა" წინააღმდეგ. ამ დადგენილებით კიდევ უფრო გაიზარდა რევოლუციური ორგანოების უფლებები კონტრრევოლუციური ელემენტების

წინააღმდეგ ბრძოლაში და თეთრი ტერორის პასუხად დააკანონა წითელი ტერორი. ტრიბუნალს გადასცეს მარი–ანტუანეტა–კაპეტი. მას ბრალად დასდეს „სამშობლოს ღალატი“ და „ერის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება“. 16 ოქტომბერს დედოფალს სიკვდილი მიუსაჯეს და იმავე დღესვე გოლიოტინაზე აიყვანეს. მალე პასუხისგებაში მისცეს ჟირონდისტებიც. ისინი დაადანაშაულეს სამხრეთის დეპარტამენტების აჯანყებაში, შპიონაჟში, მრავალრიცხოვან დივერსიაში, მათ შორის მარატის მკვლელობაში და სხვ. 30 ოქტომბერს 21–ვე ჟირონდისტელი გილიოტინით დასაჯეს. ცხადია, რევოლუციურმა ტერორტმა განამტკიცა რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობა და დააჩქარა მისი გამარჯვება ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

იაკობინელთა რევოლუციური დიქტატურის დამყარებამ და მისმა ღონისძიებებმა, კერძოდ რევოლუციური ტერორის შემოღებამ უკიდურესად შეაშფოთა ფეოდალური ევროპა. ა. გერცენი სამართლიანად წერდა: „93 წლის ტერორით შეძრწუნებული ევროპა შიშით შესცქეროდა ამ ვულკანს (ე.ი. საფრანგეთის რევოლუციის განვითარებას–ა.ს.) და უკან იხევდა მისი ველური ყოვლისშემძლე ენერგიის წინაშეო“. რა თქმა უნდა, უკან დახევა დროებითი იყო და როცა ევროპელმა მონარქებმა „ძალი მოიცეს“, ველური ენერგიით შეუტიეს რევოლუციურ საფრანგეთს. საბედნიეროდ, იაკობინელები აქაც მოწოდების სიმაღლეზე დადგნენ და შეძლეს ხალხისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება რესპუბლიკის მტრებზე გამარჯვებისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი არმიის შექმნას. 1793 წლის 23 აგვისტოს კონვენტმა მიიღო დეკრეტი სავალდებულო სამხედრო სამსახურისა და ჯარში საყოველთაო გაწვევის შესახებ. მასში ნათქვამი იყო: „დღეიდან იმ დრომდე, სანამ მტერი განდევნილი არ იქნება რესპუბლიკის ტერიტორიიდან, ყველა ფრანგი იმყოფება მუდმივი მობილიზაციის მდგომარეობაში”. ხალხმა მხურვალედ მოიწონა აღნიშნული დეკრეტი. ამის შედეგად, 1794 წლის დამდეგისათვის შეიქმნა 12 არმია 620 ათასზე მეტი

ჯარისკაცით, რომლის ბრძოლისუნარიანი სამშობლოს დაცვით იყო ამაღლებული. მალე არმიის ხელმძღვანელობისათვის კონვენტმა დაარსა ახალი ორგანო – სამხედრო ბიურო. ეს იყო თანამედროვე გენერალური შტაბის წინამორბედი. ამიერიდან ჯარს ერთი კაცი–მთავარსარდალი კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ ბიურო, რაც საქმეში რევოლუციურ გადატრიალებას მოასწავებდა. ბიურომ არმიის სარდლებად დააწინაურა ახალგაზრდა, განათლებული და მამაცი ოფიცრები მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა. მაგ., ბასტილიის შტურმის მონაწილე, მეჯინიბე ლაზარ გოში 25 წლის ასაკში გახდა გენერალი და არმიის სარდალი. ჯარში იგი განუწყვეტლივ შეტევას განასახიერებდა. მას ეკუთვნის სიტყვები: „თუ დაშნა მოკლეა – საჭიროა მხოლოდ ზედმეტი ნაბიჯის წადგმა". 27 წლის ასაკში გენერლად დაწინაურდა უბრალო პისარი მარსო. მას „საფრანგეთის არმიის ლომს" უწოდებდნენ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობის გამო. გენერალი კლებერი ქვის მთლელის შვილი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად რევოლუციური არმიის სარდლად დანიშნეს. გენერალი ლანი წარმოშობით გლეხი იყო, როსინიოლი – იუველირი და სხვ. ამასთან არმიაში ჩატარდა წმენდა. ძველი, უპირატესად პრივილიგირებული წოდებიდან დაწინაურებული 590–მდე გენერალი თანამდებობიდან გადააყენეს. იაკობინელები ამბობდნენ: „უეჭველია, რომ ყოფილ აზნაურთა შორის შეიძლება მოიყენონ ნამდვილი რევოლუციონერები, მაგრამ საქმე ცალკეულ პიროვნებებს როდი ეხება. საკითხი დგას არმიის სრული წმენდის შესახებ. შეიძლება ასეთ შემთხვევაში რესპუბლიკას რამდენიმე პატიოსანი პირის სამსახური მოაკლდეს, მაგრამ თუ გსურთ ბოლო მოუღოთ ყოველგვარ გამცემლობას, ამისათვის საჭიროა არმიიდან ძველი პრივილეგირებული კასტის განდევნა".

წმენდასთან ერთად, სამხედრო ბიურომ იზრუნა არმიის შეიარაღებისათვის. შეიქმნა დამატებითი სახელოსნოები, პარიზის მახლობლად გრენელის ველზე უმოკლეს ხანში აშენდა დენთის ქარხანა, სპეციალური დეკრეტით მობილიზაცია უყვეს ინჟინერ–მეცნიერებს თანამედროვე

სრულყოფილი და ტექნიკურად გამართული იარაღის დასამზადებლად. იაკობინელების წყალობით გიტონ მორვის წინადადებით, სამხედრო მიზნისათვის პირველად გამოცადეს აეროსტატი, შაპოს გამოგონებული ოპტიკური ტელეგრაფი და სხვ. კონვენტმა მოიწვია ათასობით ხარაზი და თერძი, რომელთაც ჯარისკაცებისათვის ფეხსაცმელ–ტანსაცმელის შეკერვა დაევალათ. ამ მიზნით არ ერიდებოდნენ აგრეთვე რევოლუციურ საშუალებებსაც. მაგალითად, სენ–ჟიუსტმა ასე მისწერა სტრასბურგის მუნიციპალიტეტს: „10 ათასი ჯარისკაცი ფეხშიშველია, გახადეთ ყველა სტრასბურგელ არისკოკრატს, და ხვალ დილის 10 საათზე 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი მთავარბანაკს ჩააბარეთ".

ასეთი ღონისძიებების შედეგად საფრანგეთს ჰყავდა პირველხარისხოვანი არმია, რომელსაც ჰქონდა საუცხოო შეიარაღება, განსაკუთრებით არტილერია. ასეთ პირობებში წარმატებამაც არ დააყოვნა. რესპუბლიკამ ადვილად დაამარცხა ვანდეის აჯანყებული მონარქისტები, ხოლო 1793 წლის დეკემბერში ინგლისელთაგან გაათავისუფლა მსხვილი სამხედრო–საზღვაო ბაზა – ტულონი. არტილერიის ცეცხლის ოსტატური დაშენით ტულონის შტურმის ხელმძღვანელმა 25 წლის გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ ახალი ფურცელი ჩასწერა სამხედრო ტაქტიკის ისტორიაში. კიდევ მეტი, 1794 წლის ივნისში ფლერიუსესთან ბრძოლაში ფრანგებმა ჟურდანის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გაიმარჯვეს ინტერვენტებზე. ამის შემდეგ საფრანგეთის რევოლუციურმა არმიამ მოქმედება გადაიტანა უშუალოდ მტრის ტერიტორიაზე –ბელგიაში, ჰოლანდიაში და რეინის ოლქში. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე კონვენტის დიპლომატიამ, რომელმაც ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებით დააჩქარა კოალიციის მონაწილე ძალთა გათიშვა.

იაკობინელთა დიქტატურის დამხობა. საშინაო კონტრრევოლუციის დამხობამ და საგარეო საფრთხის ლიკვიდაციამ წინა პლანზე წამოწია იაკობინელების ბლოკში გაერთიანებულ

სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს წინააღმდეგობები,[23] რაც თვით იაკობინელთა რევოლუციურ–დემოკრატიული დიქტატურის კრიზისის მაჩვენებელი იყო. გაჩნდა მემარცხენე და მემარჯვენე გადახრა, რამაც გააძლიერა სწრაფვა გათიშვისაკენ. ახლა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მემარცხენე ანუ „უკიდურესი". მემარჯვენე ანუ ზომიერი და ბლოკის სათავეში მდგომი იაკობინელები (რობესპიერი, სენ–ჟიუსტი). განსაკუთრებით აქტიურობდნენ „უკიდურესები", რომლებიც ქალაქისა და სოფლის ღარიბების ინტერესებს გამოხატავდნენ. ისინი გამოდიოდნენ ულტრა–რევოლუციური ლოზუნგით (ამ მხრივ მათ ბევრი რამ ისესხეს „ცოფიანებისაგან") და მოითხოვდნენ მქონებელი კლასების „ეჭვმიტანილთა" წინააღმდეგ რევოლუციური ტერორის გაძლიერების, კერძო საკუთრების სრულ ლიკვიდაციას და სხვ. ასეთ პირობებში ხალხის პლებეური ნაწილი, განსაკუთრებით პარიზის პროლეტარიატი, რომელიც ადრე რობესპიერსდა ემხრობოდა, ახლა „უკიდურესებს" მოუვიდა. ეს თვით რობესპიერის სოციალური პოლიტიკის კრახმა გამოიწვია. მან და მისმა მიმდევრებმა წვრილბურჟუაზიულმა ეგალიტარისტებმა (გამთანაბრებლებმა) ვერ შექმნეს ადრე დაპირებული რესპუბლიკა, სადაც აღარ იქნებოდა „მშიერი და მაძღარი", ვერ მოსპეს ქონებრივი უთანასწორობა და ვერ დაამყარეს სოციალური ჰარმონია, ე.ი. ვერ განახორციელეს ის, რასაც მათგან პლებეი–სანკიულოტი ანუ უქონელი ხალხი მოელოდა. მართალია, „უკიდურესების" გავლენის შესუსტების მიზნით კონვენტმა 1794 წლის 21 თებერვალს – 13 მარტს შეიმუშავა და ზედიზედ გამოაქვეყნა ე.წ. „ვანტოზის დეკრეტები",[24] ახალი საყოველთაო მაქსიმუმის შემოღების, ფრონტელთა ოჯახებისათვის პენსიების დანიშვნის, ვაჭარ–შემსყიდველთა შეზღუდვის, რესპუბლიკის მტრების მიწების

[23] იხ. გ.კიღურაძე, წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები). თსუ შრომები, ტ. 87, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, თბ., 1960, გვ. 189-214.

[24] აღნიშნული დეკრეტების შესახებ იხ. გ.კიღურაძე, „ვანტოზის დეკრეტები". იხ. შრომები ტ. 69, თბ., 1958, გვ. 351-384.

კონფისკაციისა და პატრიოტებისათვის მათი გადანაწილების და სხვათა შესახებ, მაგრამ აღნიშნული დეკრეტების განხორციელება მეტად ფერხდებოდა. ამით ისარგებლა ებერმა და თანამოაზრეებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. მას პარიზის ღარიბი მოსახლეობის დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ რობესპიერმა დაასწრო და 13 მარტს დამით ის და მისი მომხრეები დააპატიმრა. ებერისტებს ბრალად დასდეს სამშობლოს ღალატი, უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობა, მონარქიის აღდგენის ცდა და სხვ., თუმცა საამისო ნივთმტკიცებანი ტრიბუნალს ხელზე ცოტა გააჩნდა. ამის მიუხედავად, ებერტისტები დამნაშავედ ცნეს და 24 მარტს გილიოტინით დასაჯეს. რობესპიერმა კი გაიმარჯვა, მაგრამ ამით მნიშვნელოვნად შეზღუდა თავისი დასაყრდენი სოციალური წრე. ებერისტები ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და მათი დასჯით რობესპიერისტები არსებითად, სანკიულოტებს დაუპირისპირდნენ.

„უკიდურესების" განადგურების შემდეგ რობესპიერისტებმა იარაღი მიმართეს მემარჯვენეებს იგივე „ზომიერების" წინააღმდეგ. მათ ცნობილი რევოლუციონერი–დანტონი ხელმძღვანელობდათ. „ზომიერები" გამოხატავდნენ განსაკუთრებით ახალი ბურჟუაზიის ე.წ. „ნუვორიშების" ინტერესებს. რევოლუციის პერიოდში „ნუვერიშებმა" დიდძალი ქონება შეიძინეს, გაბატონდნენ პოლიტიკურად და მიაღწიეს რა მიზანს უღალატეს კიდეც რევოლუციას. ამიტომ სავსებით სამართლიანად უწოდებდნენ დანტონს „დიდ ოპორტუნისტს", რაც სრულად გამოხატავს არამარტო ამ პიროვნების, არამედ საერთოდ "ნუვორიშების" შეხედულებებში მომხდარ თეორიულ მეტამორფოზას. „ზომიერები" დაბეჯითებით მოითხოვდნენ რევოლუციური ტერორის ჯერ დასუსტებას, შემდეგ კი მოსპობასაც. მათი სიტყვით ყველა „ეჭვმიტანილის" წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ზარალდებოდა არამარტო ფეოდალურ–მონარქისტული წყობილების დამცველნი, არამედ ახალი კლასის ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც – ვაჭრები, ფინანსისტები, მრეწველები და სხვ. ცხადია, ტერორის მოსპობის

პოლიტიკა წყალს ასხამდა საშინაო და საგარეო მტრების წისქვილზე. ამიტომაც კონვენტის სხდომაზე 1794 წლის 21 მარტს რობესპიერმა განაცხადა: „თუ კი ზომიერები გაიმარჯვებენ, კონვენტი დაჰკარგავს თავის ენერგიას, არისტოკრატთა ბოროტმოქმედებები დაუსჯელი დარჩებიან და ტირანები ამ შემთხვევაში იზეიმებენ. თუ ეს უკანასკნელი ხროვა ხვალ, თუნდაც დღესვე არ მოვსპეთ, ჩვენი ჯარები დამარცხდებიან, თქვენი შვილები და ცოლები დაიღუპებიან, რესპუბლიკა დაიშლება, პარიზს შიმშილით სული ამოხდება, თქვენ მტრების დარტყმით განადგურდებით, ხოლო მომავალი თაობა კვლავ ტირანიის ჩაგვრის ქვეშ დარჩება. მაგრამ მე ვაცხადებ, კონვენტმა მტკიცედ გადაწყვიტა გადაარჩინოს ხალხი და მოსპოს ერთბაშად ყველა ხროვა, რომლის არსებობა თავისუფლებისათვის საშიშია”.

„ზომიერების” წინააღმდეგ ბრძოლაში რობესპიერმა ოსტატურად გამოიყენა ისტ–ინდოეთის კამპანიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დანტონისა და მისი მომხრეების მიერ ქრთამის (500 ათასი ლივრი) აღების გახმაურებული ამბავი. აგრეთვე მათი საეჭვო კავშირი ფინანსისტებთან და სპეკულიანტებთან და იმავე წლის 30 მარტს დააპატიმრა დანტონი, დელაკრუა და სხვ. სხვათაშორის, ბრძანება, რომელსაც ხელს აწერდნენ თვით რობესპიერი, სენ–ჟიუსტი, კარნო, კუტონი და სხვ., დაიწერა ძველი კონვერტის ნახევზე.

დანტონის დაპატიმრებამ კონვენტში დიდი მღელვარება გამოიწვია. დეპუტატმა ლეჟანდრემ ვრცელ სიტყვაში ბევრი ილაპარაკა დანტონის უდანაშაულობის შესახებ და მოითხოვა კონვენტის სხდომაზე მოესმინათ დაპატიმრებულთათვის, მაგრამ რობესპიერმა იქვე გააქარწყლა მისი აბსურდული გამოსვლა. „ჩვენ, – განაცხადა მან, – არ გვჭირდება კერპები... დანტონი ჟირონდისტების საქმის განმგრძნობია და სამშობლოს მტერი... და ის, ვინც შედრკება ამ მომენტში, არის დამნაშავე.“ შემდეგ გამოვიდა სენ–ჟიუსტი, რომელმაც კონვენტის წევრებს მოაგონა ფაქტები დანტონისა და მისი მომხრეების პოლიტიკური წარსულიდან – კავშირი მირაბოსთან, სამეფო

კართან, მოღალატე დიემურიესთან და სხვა ჟირონდისტებთან, უარყოფითი დამოკიდებულება მარატისადმი, ურთიერთობა კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებთან და სხვ. სწორედ სენ–ჟიუსტის მოხსენების საფუძველზე შედგა საბრალდებო დასკვნაც. დაპატიმრებულებს, ებერისტების მსგავსად, ბრალი დასდეს სამშობლოს ღალატში მონარქიის აღდგენისა და რევოლუციური მთავრობის დამხობის ცდაში და სხვ.

პროცესმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. ყველას სურდა ენახა ტრიბუნალის წინაშე მდგომი რევოლუციის ყოფილი ბელადები, რომლებიც თავიანთი ორიგინალური პასუხებით პროცესზე დამსწრეთა დიდი აღფრთოვანებას იწვევდნენ. მაგ., მოსამართლის კითხვაზე ვინაობისა და საქმიანობის შესახებ, დანტონმა ასე უპასუხა: „მე – დანტონი, 35 წლისა – საკმაოდ ცნობილი ვარ რევოლუციაში, მალე ჩემი საცხოვრებელი არარაობა იქნება, მაგრამ სახელი კი იცოცხლებს ისტორიის პანთეონში". ხალხის მოსალოდნელი მღელვარების შიშით სასამართლომ სასწრაფოდ დაასრულა პროცესი და 5 აპრილს მათ სიკვდილი მიუსაჯა. საბოლოო სიტყვაში დანტონმა განაცხადა: „ჩვენ გვიმსხვერპლეს მშიშარა ყაჩაღებმა, მაგრამ ისინი დიდხანს ვერ მოიმკიან თავიანთი დანაშაულებრივი გამარჯვების ნაყოფს, მე წავათრევ რობესპიერს... რობესპიერი გამომყვება უკან". ეს იყო დანტონის არამარტო უკანკასკნელი სიტყვა, არამედ წინასწარმეტყველებაც. იმავე დღეს თანამებრძოლებთან ერთად იგი გილიოტინაზე დააყენეს. ეშაფოტისკენ გზად მიმავალმა დანტონმა, რობესპიერის ბინას რომ გაუსწორდა, ერთხელ კიდევ შესძახა თურმე: „რობესპიერო, მე გელოდები შენ!" რამდენიმე წუთის შემდეგ ის და მისი თანამებრძოლები ცოცხლებში აღარ იყვნენ. მოკვეთილი თავი, დანტონის წინასწარი თხოვნით, ჯალათმა ასწია და ეშაფოტის გარშემო შეკრებილ ხალხს დაანახვა.

დანტონისტების განადგურების შემდეგ რობესპიერის მდგომარეობა ერთხანს რამდენადმე სტაბილური გახდა. ამიერიდან იგი იყო რესპუბლიკის პირველი კაცი, ეპყრა განუსაზღვრელი უფლება და განაგებდა საზოგადოებრივი ხსნის

კომიტეტს, მისი მეშვეობით აგრეთვე კონვენტსაც. სამწუხაროდ ეს სტაბილურობა მეტად მოჩვენებითი იყო, რადგანაც პლებეური მოსახლეობის მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა, გლეხობა სულ უფრო ამჟღავნებდა პროტესტს იაკობინელთა აგრარული პოლიტიკისადმი. მათი უკმაყოფილება გააძლიერა კონვენტის 1794 წლის 26 ივნისის დეკრეტმა, რომლითაც რეკვიზიცია უყვეს წლის მთელ მოსავალს. თუ კი ეს აწყობდა ქალაქის სანკიულოტურ მოსახლეობას, სამაგიეროდ იგი მძიმე მდგომარეობაში აყენებდა სოფლის მწარმოებლებს. ასევე უკმაყოფილონი იყვნენ მუშებიც. მართალია თვით ლე შაპელიე გილიოტინაზე გაიყვანა რევოლუციურმა მთავრობამ, მაგრამ მისი 1791 წლის ანტიმუშური კანონი ძალაში დატოვა, რამაც რობესპიერისტებს პროლეტარიატი ჩამოაშორა.

უნდობლობა კიდევ უფრო გააძლიერა 1794 წლის გაზაფხულზე ახალი მაქსიმუმის შემოღების ცდამ. მაქსიმუმი საერთოდ სასიკეთო იყო მშრომელთათვის, მაგრამ არ მატულობდა ხელფასი და ასეთ პირობებში იგი ხალხისათვის მეტად უსარგებლო ჩანდა. რევოლუციური მთავრობის ავტორიტეტი შეარყია კათოლიკური რელიგიის ნაცვლად „უმაღლესი არსების“ კულტის დამკვიდრების ცდამ. რობესპიერის ადრინდელმა პოლიტიკამ „გონების კულტის“ შექმნის შესახებ ვერ მიაღწია მიზანს და რამდენადაც იგი ხალხზე დამატებითი ზემოქმედების საშუალებას ეძებდა, ამიტომ შექმნა „ახალი სამოქალაქო რელიგია“ – „უმაღლესი არსების“ შესახებ. კონვენტის დეკრეტში ნათქვამი იყო: „ფრანგი ხალხი ცნობს უმაღლეს არსებას და სულის უკვდავებას“ და აწესებდა შესაბამის დღეს (8 ივნისი) მის სადღესასწაულოდ. ცხადია, ახალი რელიგიის, „განწმენდილი“ ქრისტიანობის შემოღებას უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდეც არამარტო ათეისტთა და საერთოდ თავისუფალ მოაზროვნეთა უკმაყოფილება, არამედ კათოლიკური ეკლესიის მსახურთა და მორწმუნეთა დიდი წინააღმდეგობაც. ამას დაემატა კონვენტის კიდევ ერთი საბედისწერო გადაწყვეტილება, რაც სანკიულოტური ორგანიზაციების მიმართ საერთო შეტევაში და მათი რევოლუციური

ენთუზიაზმის შენელების ცდაში გამოიხატა. რობესპიერისტებმა ეს თავიანთი დიდქტატურის განმტკიცების საშუალებად მიიჩნიეს, სინამდვილეში კი, პროფ. დაიწყეს ჭრა ხის იმ ტოტისა, რომელზეც თავად იჯდნენ (გ.კიღურაძე).[25] ამის შედეგად იაკობინელებს ხალხი წაუვიდა, რამაც დააჩქარა კიდეც მათი აღსასრული. ასეთ პირობებში, რობესპიერის წინადადებით, კუტონის მოხსენების საფუძველზე, 10 ივნისს კონვენტმა მიიღო დეკრეტი „ხალხის მტრების" მიმართ ტერორის გაძლიერების, რევოლუციური ტრიბუნალის გარდაქმნისა და სასამართლო საქმის წარმოების გამარტივების შესახებ. საერთოდ, ეს სავსებით სწორი და დროული ღონისძიება იყო, მაგრამ რევოლუციური ტერორი რობესპიერმა პირად მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორების იარაღად აქცია. გილიოტინაზე აყავდათ არამარტო რევოლუციის მტრები, არამედ სრულიად უდანაშაულო, მაგრამ ეჭვმიტანილი პირებიც. კიდევ მეტი, გილიოტინირებული 2750 კაციდან 2100 პლებეური მოსახლეობის წარმომადგენელი იყო. ა.გერცენი შენიშნავდა კიდეც, რომ რობესპიერი სისხლის მორევში იდგა ყელამდე, გასვრილი კი არ არისო. ცხადია, განუკითხავი ტერორის ვითარებაში გასვრა სავსებით დასაშვები მოვლენა იყო. ასეც მოხდა, რამაც მეტად შეარყია რობესპიერისტების ავტორიტეტი და გაადვილა კონტრრევოლუციური გადატრიალების განხორციელება.

1794 წლის ივნისის დამლევისათვის კონვენტში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძლიერი ოპოზიცია რობესპიერის წინააღმდეგ. მასში შედიოდნენ გილიოტინას გადარჩენილი ჟირონდისტები, „ნუვორიში" დანტონისტები, აგრეთვე არმიის სარდლები, რომლებიც გამუდმებულ ომებს არ თანაუგრძნობდნენ და შესვენებას ითხოვდნენ. ოპოზიციის ძირგამომთხრელი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩა რობესპიერს, რომელმაც „ახალი წმენდა და შეთქმულთა დასჯა მოითხოვა". ამან ოპოზიციის გამოსვლა დააჩქარა, მით უმეტეს რომ უკანასკნელ ხანს

[25] გ.კიღურაძე, 9 თერმოდორის გადატრიალების შესახებ, თსუ შრომები, ტ. 107, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, თბ., 1964, გვ. 211.

რობერსპიერისტების მრავალი „მემარცხენე“ მომხრე (ვადიე, დიურუა, დიუკენუა და სხვ.) შემოეცალათ და ყველგან კონვენტში, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტში და საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტში აშკარა უმცირესობაში იმყოფებოდნენ. მაგ., ამ ორი კომიტეტის 16 წევრიდან რობესპიერს აქტიურად ემხრობოდა მხოლოდ ოთხი – სენ–ჟიუსტი, კუტონი, ლება და დავიდი. „მემარცხენე იაკობინელების“ ღალატს საფუძვლად ედო პირადი მტრობაც რობესპიერისადმი, მაგრამ კონტრრევოლუციონერებმა ისინი მოხერხებულად გამოიყენეს თავიანთი პლატფორმის შესანიღბავად და რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლად გაასაღეს. მართალია, რობესპიერს გააჩნდა დასაყრდენი პარიზის კომუნაში, მაგრამ სანკიულოტური ორგანიზაციებისა და პლებეური მასების აქტიობის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მნიშვნელოვნად შეზღუდეს და ახლა რევოლუციურ ხალხზე ადრინდელი გავლენა აღარ ჰქონდა. ასეთ პირობებში, რობესპიერისტების დამხობა რთულ პრობლემას არ წარმოადგენდა.

27 ივლისს, ანუ ახალი კალენდრით 9 თერმიდორს, დილის 11 საათზე გაიხსნა კონვენტის სხდომა. ოპოზიციის ლიდერები ტალიენი, ბილო–ვარენი და სხვები თავს დაესხნენ რობესპიერს, უწოდეს „ტირანი”, „სისხლისმსმელი დიქტატორი“, „კატალინა“ და ბრალი დასდეს კონვენტის დამხობის ცდაში. ხალხის მტრების მფარველობაში და ა.შ. რობესპირმა მოინდომა პასუხის გაცემა, მაგრამ ოპოზიციამ დარბაზში წარმოუდგენელი ხმაური ატეხა, რის გამოც სხდომის თავმჯდომარემ მას სიტყვის წარმოთქმის უფლება არ მისცა. თხოვნისაგან რობესპიერს ხმა ჩაუწყდა და ხველება დააწყებინა. დანტონისტმა გარნიემ წასძახა თურმე: „უბედურო, შენ გახრჩობს დანტონის სისხლი!” ამაზე რობესპიერს უპასუხნია: „ესე იგი, სამაგიეროს მიხდით დანტონისათვის?!” მაშინ დეპუტატმა ლუშემ, რომელიც როიალისტების აგენტი იყო, რობესპიერისა და ნაციონალური გვარდიის უფროსის ანრიოს დაპატიმრება მოითხოვა. რობესპიერისტები უმცირესობაში იყვნენ და

ოპოზიციამ, მართლაც დააღგინა ტრიუმვირატის – რობესპიერის, სენ–ჟიუსტისა და კუტონის დაპატიმრება. იქვე მყოფი ოგიუსტენ რობესპიერი (მაქსიმილიანის ძმა) და ლება ნებაყოფლობით შეუერთდნენ მათ. პირველმა ამაყად განაცხადა: „მე ისევე დამნაშავე ვარ, როგორც ჩემი ძმა. მე ვიზიარებ მის შეხედულებებს და ამიტომ მსურს გავიზიარო მისი ბედიც“. ლებამ კი თქვა: „მე არ მსურს ვიყო შერცხვენილი, თითქოს ხმა მივეცი რობესპიერის დაპატიმრებას. მენ ვითხოვ ჩემს დაპატიმრებასაც“. კონვენტი მაშინვე დაეთანხმა „მოხალისეების“ წინადადებას. დარბაზიდან გაყვანისას რობესპიერმა წამოიძახა: „რესპუბლიკა დაიღუპა, ყაჩაღებმა გაიმარჯვეს“.

ოპოზიციამ პირველი წარმატება მოიპოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა საბოლოო გამარჯვებას. პარიზის კომუნა აღსდგა რობესპიერისტების დასაცავად და სანკიულოტებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. თანაც თავისუფლებაში მყოფმა ანრიომ ნაციონალური გვარდიის ნაწილები დასძრა კომუნისაკენ. მალე ცნობილი გახდა, რომ ლუქსემბურგის ციხის ადმინისტრაციას არ მიეღოთ რობესპიერი და მისი თანამებრძოლები. კიდევ მეტი, ისინი პატიმრობიდანაც გაათავისუფლებინა. შეიარაღებული ხალხი და ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცები სიხარულით შეხვდნენ ამ ცნობას და მოუთმენლად ელოდნენ მათ გამოჩენას, რომ როჰესპიერის ხელმძღვანელობით იერიში მიეტანათ კონვენტზე, საჭირო იყო მხოლოდ სიჩქარე, მაგრამ რობესპიერი რატომღაც იგვიანებდა. იგი რატუშაში მხოლოდ საღამოს 9 საათზე მივიდა, მაგრამ აშკარად ემჩნეოდა მერყეობა. რობესპიერმა აქ გაიგო, რომ ის და მისი თანამებრძოლები კონვენტს კანონგარეშედ გამოეცხადებინა. ამან დააბნია იგი და შემდგომი მოქმედებისათვის ხელ-ფეხიც შეუკრა. ადრე ენერგიული უფროსი მეგობრის ასეთი პასიურობით განცვიფრებულ სეჟიუსტს განუცხადებია: „ასეთ შემთხვევაში ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სიკვდილი“. რობესპიერს მშვიდად დაუდასტურებია: „დიახ, სწორედ ეს!“ ცხადია, მერყეობით დაუყოვნებლივ უნდა ესარგებლა კონვენტს და ისარგებლა კიდეც, მით უმეტეს, რომ უმოქმედობისაგან შეწუხებული კომუნის მრავალი მებრძოლი

სახლში წავიდა ღამის გასათევად. შუაღამის პირველ საათზე კონვენტის ერთგულმა ჯარის ნაწილებმა ბარასის ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყეს რატუშის შენობას და მალე თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ შიგ. ლებამ მაშინვე რევოლვერით მოიკლა თავი, კუტონმა რამდენჯერმე დაიკრა ხანჯალი და სისხლში გასვრილი იატაკზე დაეცა, ოგიუსტენ რობესპიერი ფანჯრიდან გადახტა, მაგრამ ფეხი მოიტეხა, ხოლო მაქსიმილიან რობესპიერს ტყვიამ ქვედა ყბა დაუმსხვრია, თუმცა მაინც მშვიდად შეხვდა დაპატიმრებას. მეორე დღეს, 28 ივლისს (10 თერმიდორს), ძმებს რობესპიერებს, სენ–ჟიუსტს, კუტონს, რევოლუციური ტრიბუნალის პრეზიდენტს დიუმას და სხვ. გასამართლების გარეშე, სიკვდილი მიუსაჯეს და საღამოს 6 საათზე გილიოტინით თავები მოჰკვეთეს. ხალხი სიხარულით შეხვდა რობესპიერის დასჯას. აღტაცებული ბრბო თურმე თავდავიწყებამდე ცეკვავდა მისი სახლის წინ, ხოლო ეშაფოტისკენ მიმავალთ დასცინოდნენ „ჯანდაბას მაქსიმუმი!“ სხვათაშორის, როცა რობესპიერის ერთ აგენტს პარიზის გარეუბნის მოსახლეობისათვის 27 ივლისს მიუმართავს დახმარებისათვის, მათ თურმე უპასუხნია: „ჩვენ ვკვდებით შიმშილისაგან, თქვენ რა გინდათ დასჯით დაგვაპუროთ?!“ ეტყობა განუწყვეტელმა ტერორმა დააშინა ხალხი და მნიშვნელოვნად შეარყია რობესპიერის ავტორიტეტი.

29 ივლისს გილიოტინაზე აიყვანეს აჯანყებული, მაგრამ უკვე დამარცხებული კომუნის 70 წევრი, ხოლო ერთი დღის შემდეგ კიდევ 12 რობესპიერელი. ამით დასრულდა იაკობინელთა რევოლუციურ–დემოკრატიული დიქტატურა. დაიწყო კონტრრევოლუციური რეაქციის პერიოდი.

<u>საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობა</u>. საფრანგეთის 1789–1794 წლების რევოლუცია იყო პირველი და ერთადერთი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც ბოლომდე მიიყვანა ფეოდალიზმზე და მონარქიაზე გამარჯვების საქმე. ამ მხრივ იგი არსებითად განსხვავდებოდა ინგლისის 1640–1660 წლების რევოლუციისაგან, სადაც ბურჟუაზიამ მართალია გაიმარჯვა, მაგრამ თავადაზნაურობასთან კომპრომისულ პირობებში.

ცხადია, ამას არ მოჰყოლია ფეოდალიზმის სრული ლიკვიდაცია. საფრანგეთში კი პირიქით, რევოლუციამ, განსაკუთრებით იაკობინელთა დემოკრატიული დიქტატურის დროს დაამსხვრია იგი მთლიანად და დაამყარა ბურჟუაზიის აბსოლუტური ბატონობა. ეს იმიტომ, რომ იქ ქვეყნის რევოლუციური ძალების გაქანება იყო უფრო ძლიერი, ვიდრე ინგლისში. ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდა არა არისტოკრატიასთან და გაბურჟუების გზაზე შემდგარ ახალ თავადაზნაურობასთან, არამედ გლეხობასთან და ქალაქის წვრილბურჟუაზიასთან კავშირში. მისი ურთიერთობა სანკიულოტურ მასასთან იმით აიხსნება, რომ ამ დროს ძალზე სუსტი იყო პროლეტარიატი და მაშასადამე ბურჟუაზიასაც არ ჰქონდა ხალხის ორგანიზებული გამოსვლების შიში.

საფრანგეთის რევოლუცია იყო სახალხო რევოლუცია აშკარად გამოხატული ბურჟუაზიულ–დემოკრატიული ხასიათით მასში ხალხი ასრულებდა მთავარ როლს, რამაც გარკვეული დაღი დაასვა მოძრაობას თავისი მოთხოვნებით, განსაზღვრა მისი გამარჯვება და დააჩქარა კიდეც ქვეყანაში კაპიტალიზმის შეუფერხებელი განვითარება. მაგრამ რევოლუციას ჰქონდა კლასობრივი შეზღუდულობიც. „ბურჟუაზიული რევოლუცია ჯერდება იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომ ერთ ექსპლოატატორულ ჯგუფს ცვლის მეორე ექსპლუატატორული ჯგუფი“. ასე რომ, ბურჟუაზია კი არ ანგრევს ფეოდალურ–აბსოლუტურ სახელმწიფო აპარატს და მთელ იმ სისტემას, რომელსაც ეს აპარატი იცავს, არამედ თავისი კლასობრივი ინტერესების საფუძველზე გარდაქმნის მათ და უგუებს უკვე რამდენიმე მომწიფებულ ბურჟუაზიულ ეკონომიკას.

ლექცია V
ინგლისის ჩრდილო ამერიკული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. აშშ შექმნა (2 სთ.)

1. ომი დამოუკიდებლობისთვის

ამერიკული რევოლუციის ისტორიოგრაფია. byuk bcbc xhlbkj fvthbrekb rjkjybt,bc jvb lfvjerblt,kj,b-cfsdbc b'j lf hxt,f fvthbrekb bcnjhbjuhfabbc ths-ths]tynhfkeh stvfl& ghj,ktvfpt veifj,bc fsdkbc othnbkfl itb.kt,f xfbsdfkjc gbhdtkb thjdyekb bcnjhbekb crjkbc cfmvbfyj,f fii-ib^ hjvtkcf] @flhtek crjkfcf]# eojlt,ty& bub XIX cfereybc l yf[tdfhib xfvj'fkb,lf tdhjgekb hjvfynbpvbc eiefkj ufdktybs& crjkbc lfvffhct,kfl bsdkt,f wjy ,tyrhjanb (1834-1874)^ hjvtkvf] ufvjc]f fsnjvtekb @itthst,ekb infnt,bc bcnjhbf#& ,tyrhjanb sdkblf^ hjv fvthbrtkb thbc ufydbsfht,f @qvthsbc utuvbs# fhbc ufycfpqdhekb^ itcf,fvbcfl jvb ofhvjflubyf vfy^ hjujh] cbrtsbc ufhlfedfkb lf erjvghjvbcj ,jhjnt,bc obyffqvltu&

XX cfereybc lfcfo'bcib fii xfvj'fkb,lf @cfbvgt-hbj crjkf#^ vbcb lfvffhct,kt,b b'dyty u&jcuelb^ l&,b-hb^ x&tylhbecb& xhlbkj fvthbrek rjkjybt,c bcbyb egbhdtktc 'jdkbcf ,hbnfyekb bvgthbbc @jhufybpvbc# yfobkfl ufyb[bkfdlyty lf ltnfkehfl ffyfkbpt,ty vtnhjgjkbbc rjkjybt,sfy ehsbthsj,bc gjkbnbreh lf flvbybcnhf]bek fcgtmnt,c& vfhsfkbf @cfbvgthbj crjkbc# ofhvjvflutykt,b gbhlfgbh fh efh'jalyty lfvjerblt,kj,bcfsdbc jvc^ vfuhfv vfs itfv]bhtc ht-djke]bbc cfae.dkt,b lf vybidytkj,f& bcbyb fvnrb-

]t,lyty^ hjv vsfdfhb vbptpb rjkjybt,bc lbyfvbehb phlbcf lf ,hbnfytsbc rjkjybehb cbcntvbc lfv'f't-,ek cnhemneht,bc itesfdct,kj,f b'j^ jvbc sfdblfy fcf]bkt,kfl lf cfrvfhbcb b'j rjkjybt,bcfsdbc ljvb-ybjybc cnfnecbc vbybzt,f&

fvfdt gthbjlib fvthbrek bcnjhbjuhfabfib ufvj-brdtsf kb,thfkeh-htajhvbcnekb (@ghjuhtcbcnekb#) lf rjycthdfnjhekb vbvlbyfhtj,t,b&

ghjuhtcbcnekb crjkf xfvj'fkb,lf XIX-XX cc& vbwyfpt lf ufycfresht,ek ofhvfnt,fc 20-40-bfy okt-,ib vbfqobf& ghjuhtcbcnt,b xfhk j ,bhlb (1874-1948)* @fii rjycnbne]bbc trjyjvbrehb bynthghtnf-]bf#)^ k&v&[trthb^ fhneh v& iktpbyuth-eahjcb (1888-1965)^ w&s&flfvcb^ r&dfy deldjhlb 'ehflqt,fc fvf[db-kt,ty trjyjvbreh afmnjht,cf lf fii cj]bfkehb rj-yakbmnt,bc bcnjhbfpt& cojhtl bcbyb^ lf fh] se ofhevfnt,kfl^ itt]flyty ofhvjtxbyfs lfvjerblt,kj-,bcfsdbc jvb hjujh] @jhvfub htdjke]bf#^ hjvkbc gblfgjkbnbreh fvj]fyfc cj]bfkehb lf gjkbnbrehb bycnbnent,bc lfvjrhfnbpf]bf^ ief [jkj cfufhtj gj-kbnbrehc-rjkjybehb lfvjrblt,ekt,bcfufy ufsfdb-ceakt,f ofhvjflutylf&

ufycfresht,bs 'ehflcfqt,bf f&iktpbyuth-eahj-cbc ihjvt,b& vfy cfresfhb sfdb cfvt]ybthj cfpjuf-ljt,fc 1918 otkc yfihjvbs @rjkjybehb dfzht,b lf fvthbrekb htdjke]bf# fv]yj& itvlujvib rb ufvjc]f @itthst,ekb infnt,bc gjkbnbrehb lf cj]bfkehb bcnjhbf#& @hf] eahj lbl[fyc dcofdkj, itthst,ekb infnt,bc bcnjhbfc-othlf iktpbyuthb^_vbs eahj lfhoveylt,b rf]j,hbj,bc bcnjhbbc thsbfyj,fib&

fvthbrekb ufydbsfht,bc [esb ofv'dfyb ntylty]bf fhfahbs fh f[fcbfst,c itthst,ek infnt,c^ hjujh] eybrfkehc^ hflufy fyfkjubehb hfv lfcfdkts tdhjgbc mdt'yt,ib] fhbc#& vbc vbth yf[ctyt,b [esb afmnjhb ,eh;efpbbc ufydbsfht,fc itt[t,f& fvbs vfy efhb smdf @fvthbrekb ufvjyfrkbcj,bc# stjhbfpt&

ghjuhtcbcnt,b fvthbrbc bcnjhbfib cfv gthbjlc ufvj'jaty% @flhtekb# rjkjybcnt,bc xfvj'fkb,t,blfy XVIII cfereybc ,jkjvlt#^ @ief#-1860 okfvlt* @udb-fyltkb#_sfyfvtlhjdtj,fvlt& gbhdtkb tnfgbc rekvbyf-]bfl 1775-1783 okt,bc lfvjerblt,kj,bcfsdbc jvb fhbc vbxytekb& jvc f[fcbfst,ty^ hjujh] cj]bfkeh-gjkbnbreh htdjke]bfc&

ufycfresht,ek ofhvfnt,fc fvthbrtkb bcnjhbrj-ct,b @flhtekb# lf @ief# gthbjlbc itcofdkbcfc fqot-dty&

ghjuhtcbcnt,vf ufvjbrdkbtc fvthbrbc bcnjhbbc rjkjybehb tnfgb (1606-1776) lf lffcrdytc^ hjv tc jvb fh b'j cfybveij ltvjrhfnbbc cfpjufljt,f^ fhfvtl flubkb /mjylf atjlfkbpvbc c[dflfc[df uflvjyfist,c]tynhfkeh lf cfv[hts rjkjybt,ib^ fhfltvjrhfnbekb b'j gjkbnbrehb o'j,f lf htkbubehb cathj]& fv v[hbd cfbynthtcjf wtbvc flfvcbc (1878-1949) vjyjuhfabf @ghjdby]bekb cfpjufljt,f#& fdnjhb othc^ hjv vstkb rjkjybehb bcnjhbbc ufyvfdkj,fib cfpjufljt,bc cj]bfkeh-trjyjvbrehb lbathty]bf]bf vbvlbyfhtj,lf^ fvbnjv cj]bfkehb cnf,bkehj,bc itcf.kt,kj,t,b itpqelekb b'j&

ghjuhtcbcnt,b yfrkt, 'ehflqt,fc esvj,lyty fvthbrekb htdjke]bbc fynbrjkjybeh fcgtmnc& vfsb

fphbs^ htdjke]bbc evsfdhtcb lf evybidytkjdfytcb cfrbs[b iblfgjkbnbrehb ufhlfmvyt,b b'j& fvbnjv fmtlfy ufvjvlbyfht vfc f[fcbfst,lyty^ hjujh] @iblf htdjke]bf#& ghjuhtcbcnt,c ijhbc lblb fdnjhbntnbs cfhut,kj,lf wjy a&wtbvcjyb (1850-1937)& vfy gbhdtkvf fii bcnjhbjuhfabfib thsvfytsc itflfhf fvthbrbcf lf cfahfyutsbc htdjke]bt,b& lfyfhxtyb bcnjhbrjct,bcfufy ufyc[dfdt,bs^ bub fvnrb]t,lf^ hjv jhbdt htdjke]bf cj]bfkehb b'j^ fvfc fdnjhb [cyblf itvltubs% jhbdt htdjke]bf^ lfyfhxtybcfufy ufyc[dfdt,bs^ ufvjbodbf [fk[bc afhsj vfct,bc vj.hfj,fv lf bcbyb @gjgekbcnehb htdjke]b-ehb# b'j& jhbdtc vbpyfl cfpjufljt,hbdb cbcntvbc it]dkf /mjylfs lfcf[ekb&

rjycthdfnjhekb vbvlbyfhtj,f fvthbrek bcnjhbek vt]ybtht,fib]lbkj,c lfvrdblhltc ofv'dfy gjpb]bt,pt jhb rkfcbrehb stvbc - lfvjerblt,kj,bcfsdbc jvbcf lf cfvjmfkfmj jvbc - itcofdkbc cfmvtib&

bcnjhbrjct,b bo't,ty rjkjybehb gthbjlbc itcofdkblfy& xfhk v&tylhbecb (1863-1943) yfihjvib @fvthbrekb bcnjhbbc rjkjybehb gthbjlb# lf tldfhl xfybyub (1856-1931) @itthst,ekb infnt,bc bcnjhbf#-ib fvthbrek rjkjybfc ufyb[bkfdty eg&'jdkbcf^ hjujh] ,hbnfytsbc bvgthbbc jhufybpvbc yfobkc lf lfvjerblt,kj,bcfsdbc jvib rkfybehb cbcntvbc ufydbsfht,bc v[jkjl tgbpjlc [tlfdlyty& fvthbrek rjkjybt,cf lf byukbcc ijhbc lfgbhbcgbht,bc vbptpfl bcbyb vbbxytdty ,hbnfyekb bvgthbbc jrtfybc vbqvf nthbnjhbt,c sdbsvvfhsdtkj,bc [fhbc[c& vfhsfkbf

bcbyb gbhlfgbh fh efh'jalyty lfvjerblt,kj,bcfsdbc jvc& vfuhfv f[kjc b'dyty bv fphsfy^ hjv jvbc sfdblfy fcf]bkt,kfl cfrvfhbcb b'j ljvbybjybc cnfnecbc vbybzt,f rjkjybt,bcfsdbc&

ghjuhtcbcnt,bcfufy ufyc[dfdt,bs bcbyb efh'jalyty htdjke]bbc fynbrjkjybeh lf cj]bfkeh cf[tc^ tzdbc mdti f'tyt,lyty htdjke]bbc itvlujv qhvf cj]bfkeh ufhlfmvyt,c&

XX cfereybc vtjht yf[tdfhib fvthbrek bcnjhb-juhfabfib lfvrdblhlf @itsfy[vt,ekb bynthtct,bc# stjhbf& bub fvnrb]t,lf^ hjv fvthbrekb cfpjufljt,f vstkb sfdbcb bcnjhbbc ufyvfdkj,fib ufvjbhxtjlf thsbfyj,bs lf cj]bfkeh-gjkbnbrehb rjyakbmnt,bc fh fhct,j,bs& fvthbrekb cfpjufljt,bc cnf,bkehj,bc [fpufcvbs xhlbkib vjtm]f cj]bfkehb rjyakbmnt,b% jvb lfvjerblt,kj,bcfsdbc^ 1861-65 okt,bc cfvjmfkfmj jvb lf f&i& @itsfy[vt,ekb bynthtct,bc# stjhbf fvthbrekb bcnjhbjuhfabbc jhbdt vbvfhsekt,fv fbnf]f& rjycthdfnjht,b kebc [fh]b^ ltybtk ,ehcnbyb lf hj,thn t&,hfeyb erblehtcfl fpdbflt,lyty rjkjybehb gthbjlbc fvthbrekb cfpjufljt,bc ufydbsfht,fc& vfsb ihjvt,blfy xfyc^ hjv htdjke]bfvltkb fvthbrf ofhvjflutylf afhsj cj]b-fkehb sfyfcojhj,bc lf ltvjrhfnbbc mdt'fyfc& fcts gbhj,t,ib rb htdjke]bf cfzbhj fh b'j&

lfvjerblt,kj,bcfsdbc jvb^ vfsb fphbs^ b'j vj.hfj,f fhf]dkbkt,t,bcfsdbc^ fhfvtl erdt fhct,ekb cj]bfkeh-trjyjvbrehb otct,bcf lf gjkbnbrehb sfdbceakt,bc itcfyfhxeyt,kfl&

XX cfereybc 60-70-bfy okt,ib v.fahb rjyakb-mnt,bc ufdktybs @itsfy[vt,ekb bynthtct,bc# stjhbf itcecnlf& fqybiyekb crjkbc vbvltdht,b .bhbsflfl hxt,bfy @itsfy[vt,eksf# gjpb]bt,pt^ vfuhfv vpflff lfeidfc bc fphb^ hjv lfvjerblt,kj,bcfsdbc jvb b'j ofhcekblfy ufyijht,f htdjke]bbc upbs&

fvfdt gthbjlibdt fqjh.bylf trjyjvbrehb vbvf-hsekt,f^ ufxylf f[fkb vybidytkjdfyb ihjvt,b (v&wt-yctyb^ w&vtbyb) @itsfy[vt,ekb bynthtct,bc# stjhbf rhbpbcbc afpfib itdblf^ hbc vfxdtyt,tkb uf[lf f[fkufphlf hflbrfkt,bc (@f[fkb vtvfh][tytt,bc#) ufvjxtyf bcnjhbek fcgfhtppt (l&ktvbib^ c&kbylb)&

<u>ომი დამოუკიდებლობისთვის.</u> პირველი ინგლისური კოლონია ამერიკაში გაჩნდა 1607 წელს, როცა ათასამდე კოლონისტმა დააარსა პუნქტი ჯეიმსთაუნი (დღევანდელი ვირჯინიის შტატი). 1620 წელს დაარსდა კოლონია ახალი პლიმუტი. 1630 წელს კი - მასაჩუსეტსი. 1634 წელს მდინარე პოტომაკის შესართავთან დაარსდა მერილენდის ახალშენი.უკვე, XVIII ს-ის შუახანებისათვის ატლანტის ოკეანის ამერიკულ სანაპიროზე ჩამოყალიბებული იყო 13 ინგლისური კოლონია (ნიუ ჰემპშირი, მასაჩუსეტსი, კონნექტიკუტი, როდ აილენდი, პენსილვანია, ნიუ ჯერსი, დელავერი, ვირჯინია, მერილენდი, ჩრდ. კაროლინა, სამხრ. კაროლინა და ჯორჯია).

პირველი კოლონისტები იყვნენ ინგლისის სოფელში კაპიტალისტურ ფერმერულ მეურნეობათა განვითარების გამო გაღატაკებული ვაჭრები, რომლებიც ვერ უძლებდნენ მანუფა-ქტურების და მსხვილ ვაჭართა კონკურენციას. კოლონისტთა რიცხვი თანდათან მატულობდა.

ემიგრაციასხელს უწყობდა და აქეზებდა ინგლისის მთავრობაც, რადგან მას აშინებდა ამ უმუშევართა და საარსებო წყაროს არმქონე ადამიანთა მასის დაყოფა ადგილზე და ცდილობდა მათ გაყვანას ოკეანის გაღმა. ამასთან

ინგლისის ხელისუფლება ამერიკული კოლონიებიდან ფიქრობდა ნედლეულის, უპირატესად სოფლის მეურნეობის ნაწარმის მიღებას, ამიტომ დაინტერესებული იყო იქ მუშახელის მომრავლებით. ამავე მიზანს ემსახურებოდა ამერიკაში აფრიკიდან მონა-ზანგების ჩაყვანაც, რასაც ინგლისელები 1619 წლიდან აწარმოებდნენ.

<u>წინააღმდეგობა კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის.</u> პირველ კოლონისტებს ამერიკაში არ დახვედრიათ აღთქმული ზღაპრული სიმდიდრე და უზრუნველი ცხოვრება. პირიქით, პირველ მოახალშენებს მძიმე შრომით და ინდიელებთან სასტიკი ბრძოლით უხდებოდათ არსებობის შენარჩუნება. მათ ინდიელებისაგან ისწავლეს თამბაქოს, სიმინდის, პომიდორის, ბამბის და სხვ. მოყვანა და რამდენადაც ამ პროდუქტებზე დიდი იყო მოთხოვნილება, როგორც ადგილზე, ისე ევროპაში, დაიწყეს მათი სასაქონლო წარმოებაც. კოლონიების სოფლის მეურნეობაში ყალიბდებოდა ფერმერული მეურნეობანი, სადაც სასაქონლო პროდუქციას და ნედლეულს ამზადებდნენ.

ფართო ხასიათი მიიღო სასაქონლო თამბაქოს წარმოებამ. ამ დარგში გამოირჩეოდა ვირჯინიის კოლონია. თუ 1619 წელს ამერიკიდან ევროპაში გაიტანეს 8000 კგ. თამბაქო, 1775 წლისათვის თამბაქოს ექსპორტმა კოლოსალურ მაჩვენებელს - 400 მილიონ კგ. მიაღწია. ასევე გაიზარდა ბამბის წარმოება. იგი მზადდებოდა მსხვილ პლანტატორულ-ფერმერულ მეურნეობებში, სადაც მონა-ზანგთა შრომა იყო გამოყენებული.

თუ კოლონიების სამხრეთი რაიონები ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში სპეციალიზდებოდნენ, სამაგიეროდ ჩრდილოეთის რაიონებში, სადაც უფრო მკაცრი კლიმატური პირობები იყო, შეინიშნებოდა მრეწველობის განვითარება. XVIII საუკუნის შუახანებისათვის ყველაზე მეტად განვითარდა გემთმშენებლობა, ხე-ტყის დამუშავება. რკინის ჩამომსხმელ ქარხნებში მზადდებოდა ფურცლოვანი რკინა, ლურსმნები, სამუშაო იარაღები, საომარი იარაღი, თუნუქის ჭურჭელი, გემის ღუზები და სხვა. იზრდებოდა სპილენძის და ტყვიის წარმოება. გაიზარდა თუჯის

და ფურცლოვანი რკინის ექსპორტი (1745 წ. – 2 000ტ. 1771 წ. – 7525ტ). ფართოვდებოდა თევზჭერა. სანაპირო ქალაქებში ყვაოდა სპირტიანი სასმელების წარმოება.

კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია კოლონიური ბურჟუაზიის ჩამოყალიბება, რომლისთვისაც თანდათან აუტანელი ხდებოდა შეზღუდვები და კონკურენცია მეტროპოლიის მხრიდან.

კოლონიების ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლიდა თვითონ ინგლისი, რომელიც ძლიერ იყო შეშფოთებული იმით, რომ კოლონიები ფაქტიურად მეტროპოლიისაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელნი გახდნენ და სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ბევრ პროდუქტზე თავიანთ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ. ინგლისი მიისწრაფვოდა იმისკენ, რომ კოლონიები ქვეყნის მრეწველობისათვის იაფი ნედლეულის ბაზად და სამრეწველო საქონლის გასაღების ხელსაყრელ ბაზრად ექცია. აქედან გამომდინარე ინგლისი ცდილობდა ჩაეხშო კოლონიების სამრეწველო განვითარება.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისის მთავრობამ გამოსცა ბევრი ბრძანებულება, რომლებიც კრძალავდნენ კოლონიებში რიგი სამრეწველო საწარმოების საქმიანობას და ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოებას. იკრძალებოდა აგრეთვე ინგლისიდან კოლონიებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩასვლა, მანქანების ჩატანა და ახალი გამოგონებების დანერგვა. ჯერ კიდევ 1719 წელს ინგლისის პარლამენტის ქვედა, თემთა პალატამ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „მანუფაქტურის დაარსება კოლონიებში ამცირებს მათ დამოკიდებულებას მეტროპოლიაზე“. 1750 წელს ინგლისის პარლამენტმა სპეციალური ბრძანებით აკრძალა კოლონიებში რკინის ჩამომსხმელი და დამჭრელი საწარმოების ფუნქციონირება. რკინის გამოსადნობი ღუმელების გამოყენება და სამჭედლოების მოწყობა. რკინის და სპილენძის მადანი, თამბაქო, ინდიგო, ბეწვეული, ბამბა და სხვა ნედლეული უნდა გასულიყო მხოლოდ ინგლისში და ინგლისური გემებით.

კოლონიების ეკონომიკურ განვითარებას და ერთიანი საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებას ხელს უშლიდა მათი პოლიტიკური გათიშულობაც. კოლონიებში იყო სხვადასხვა მმართველობის სისტემა. მაგალითად: ე.წ. სამეფო კოლონიებს (ნიუ იორკი, ნიუ ჯერსი და სხვა) მართავდნენ ინგლისის მეფის მიერ დანიშნული გუბერნატორები. პენსილვანიაში, მერილენდში, დელავერში ხელისუფლება ინგლისის პარლამენტის მიერ დანიშნული გამგებლის ხელში იყო, ხოლო როდ აილენდში და კონექტიკუტში გუბერნატორებს ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევდა ინგლისის კანონების საფუძველზე. კოლონიების მმართველობის ასეთი სისტემა საშუალებას აძლევდა ინგლისის ხელისუფლებას კონტროლი გაეწია კოლონიების შიდა პოლიტიკური ვითარებისათვის. ყოველივე კიიწვევდა ადგილობრივი მრეწველების და ფერმერ-პლანტატორების ფართო წრეების დიდ უკმაყოფილებას ინგლისის ოფიციალური ხელისუფლების მიმართ.

<u>ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეოლოგიის ჩამოყალიბება.</u> XVIII ს-ის პირველ ნახევარში კოლონიებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ამერიკელი ერის ჩამოყალიბების პროცესი. ეს გამოიწვია კოლონიების ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივმა ცხოვრებამ საერთო ტერიტორიაზე საუკუნენახევრის განმავლობაში. ეკონომიკური განვითარება და ერთიანი ადგილობრივი ბაზრის ჩამოყალიბება, აგრეთვე კოლონიების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდა და მათი გეოგრაფიული დაშორება ინგლისისაგან კიდევ უფრო აჩქარებდა ამერიკელი ერის ჩამოყალიბების პროცესს. ერთობლივმა ცხოვრებამ განაპირობა აგრეთვე მოსახლეობის ფსიქიკური ერთობაც. გარდა ამისა, ინგლისისაგან განკერძოებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მართალია კოლონიების მოსახლეობა ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მათ შორის წარმოშობით ინგლისელების გარდა იყვნენ საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, შოტლანდიიდან, ირლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან მოსული ემიგრანტები.

XVIII ს-ის შუახანებისათვის ამერიკელი ერის შექმნის პროცესი იმდენად შორს იყო წასული, რომ თუ საუკუნის დასაწყისში კოლონიების მცხოვრებლები თავიანთ თავს ვირჯინიელს, პენსილვანიელს და ა.შ. უწოდებდნენ, ეხლა უკვე ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა თავს ამერიკელად თვლიდა. ამერიკელი ერის ჩამოყალიბებას თან სდევდა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავდა კოლონიების პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას. ამ იდეოლოგიის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ ბენჯამენ ფრანკლინი (1706-1783) და ტომას ჯეფერსონი (1743-1826).

<u>წინააღმდეგობის გამწვავება.</u> XVIII საუკუნის 60-იან წლებში ინგლისის ჩრდილო ამერიკულ კოლონიებში დაიწყო ფართომასშტაბიანი განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც შემდგომში დამოუკიდებლობისათვის ომში გადაიზარდა.

ურთიერთობა კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის მეტად დაიძაბა. შვიდწლიანი ომის დამთავრების შემდეგ ინგლისის ხელისუფლებამ მოინდომა ჩრდილოეთ ამერიკაში თავისი ბატონობის განმტკიცება, რაც გამოიხატა კოლონიების ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგ მიღებულ ახალ ღონისძიებებში. 1763 წელს ალეგანის მთების დასავლეთით მდებარე მიწები გამოცხადდა ინგლისის მეფის საკუთრებად და კოლონისტებს აეკრძალათ ამ მიწებით სარგებლობა. საფრანგეთიდან 7წლიანი ომის შედეგად წარმოშობილი ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით ინგლისის ხელისუფლებამ 1764 წელს მაღალი გადასახადები დააწესა რიგ სავაჭრო საგნებზე, რამაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1765 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო ე.წ. „საბინაო აქტი“, რომელიც უფლებას აძლევდა ხელისუფლებას კოლონიებში გაეგზავნა სამხედრო ნაწილების შეუზღუდავი რაოდენობა და ჯარისკაცები საცხოვრებლად მოქალაქეთა ბინებში ჩაეყენებინა. იმავე წელს კოლონიებში შემოღებულ

იქნა ე.წ. საგერბო გადასახადი, რომლითაც დაიბეგრა ყოველგვარი სახის დოკუმენტაცია.

ინგლისის ხელისუფლების ამ უკანასკნელმა ნაბიჯებმა კოლონიების მოსახლეობის უდიდესი აღშფოთება და მასობრივი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. მიტინგები და საიდუმლო შეკრებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსახლეობის ამ სტიქიურ გამოსვლებს მოჰყვა ე.წ. „თავისუფლების შვილთა“ ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელსაც თავისი ფილიალები ჰქონდა სხვადასხვა ქალაქებში და რომელიც სათავეში ჩაუდგა ანტიინგლისურ გამოსვლებს. ამ ორგანიზაციის მეთაურობით მოსახლეობამ მასობრივი ბოიკოტი გამოუცხადა ინგლისიდან იმპორტირებულ საქონელს. ინგლისის ხელისუფლება იძულებული გახდა საგერბო გადასახადი გაეუქმებინა.

ამ დათმობის მიუხედავად ინგლისი ჩრდილოეთ ამერიკის მიმართ თავისი პოლიტიკის შეცვლას არ აპირებდა. 1767 წ. პარლამენტის მიერ მიღებული იქნა ტაუნშენდის კანონი (ინგლისის ფინანსთა მინისტრის სახელის მიხედვით). ამ კანონით ახალი გადასახადები იქნა დაწესებული ინგლისიდან შემოტანილ საქონელზე. ამან გამოიწვია განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა. ინგლისურ საქონელს კვლავ ბოიკოტი გამოუცხადეს. ამის საპასუხოდ ინგლისმა კოლონიებში დამატებითი სამხედრო ნაწილები გადმოისროლა. დაირღვა პირველი სისხლი. 1770 წელს ინგლისელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს ქ.ბოსტონის მცხოვრებლებს. ორგანიზაცია „თავისუფლების შვილებმა“ ხალხს შეიარაღებული ბრძოლისკენ მოუწოდა.

საგულისხმოა, რომ ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში თანდათან ძლიერდებოდა მისწრაფება თვით კოლონიებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის, რათა ისინი ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ინგლისის წინააღმდეგ. ამ მიზანს ემსახურებოდნენ „კავშირის კომიტეტები“, რომლებიც დაარსდნენ სხვადასხვა ქალაქებში.

1773 წ. ინდიელთა ტანსაცმელში გადაცმული ბოსტონელ მოქალაქეთა ჯგუფი შეიპარა ქალაქის ნავსადგურში მდგომ ინგლისის სავაჭრო გემებზე და ზღვაში გადაყარა ინგლისიდან შემოტანილი ჩაი. ამას ინგლისის მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა. დაიხურა ბოსტონის ნავსადგური. შეწყდა ქალაქში ყოველგვარი საქონლის შემოტანა. მასაჩუსეტსის კოლონიას წაერთვა თვითმმართველობის უფლება. ამ რეპრესიულმა ღონისძიებებმა გააძლიერა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბოსტონის „კავშირის კომიტეტმა“ კოლონიებს სოლიდარობისაკენ მოუწოდა. ვირჯინიის კოლონიამ მოითხოვა კოლონიების საერთო კონგრესის მოწვევა, რომელსაც უნდა განეხილა შექმნილი ვითარება და შეემუშავებინა მომავალი მოქმედების გეგმა.

მართლაც, 1774წ. 5 სექტემბერს ქ. ფილადელფიაში გაიხსნა პირველი კონტინენტალური კონგრესი, რომელმაც მიიღო „უფლებათა დეკლარაცია“. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ამერიკელებს აქვთ თავიანთ ქვეყანაში კანონმდებლობის უფლება და თუ ინგლისი ამას არ ცნობს, მაშინ კოლონიები შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ მეტროპოლიას. კონგრესმა მოიწონა ინგლისთან ვაჭრობის სრული შეწყვეტის იდეა. ამავე დროს მიმდინარეობდა კოლონიების მოსახლეობის შეიარაღება. მასიურად იქმნებოდნენ რაზმები, რომლებიც მზად იყვნენ ინგლისის არმიის ნაწილებთან ბრძოლისათვის.

<u>„დამოუკიდებლობის დეკლარაცია“:</u> ინგლისის ხელისუფლება, როგორც ჩანს რეალურად ვერ აფასებდა კოლონიებში შექმნილი მდგომარეობის მთელ სერიოზულობას და ამიტომ არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. 1775 წ. დაიწყო საომარი მოქმედება ინგლისის რეგულარულ ჯარსა და კოლონისტების შეიარაღებულ რაზმებს შორის. პირველი შეტაკება მოხდა 19 აპრილს ბოსტონის მახლობლად ლექსინგტონთან და კონკორდთან. ინგლისელები შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ამერიკელ მოხალისეთა არსენალი. ბრძოლა ამერიკელთა გამარჯვებით დამთავრდა. მოხალისეებმა გამოიყენეს ინდოელთა გაფანტული ომის ტაქტიკა, მოქმედებდნენ

გაბედულად და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მტერს. ეს ბრძოლა გახდა ინგლისელთა წინააღმდეგ საერთო აჯანყების სიგნალი ნიუ ჯერსში, პენსილვანიაში, ნიუ იორკში და სხვა. სწრაფად იქმნებოდა მოხალისეთა ახალი რაზმები.

დამოუკიდებლობისათვის ომის დასაწყისშივე გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ინგლისის ხელისუფლებას თვით კოლონიებში ჰყავდა გარკვეული დასაყრდენი ძალა ე.წ. „ლოიალისტები“. ლოიალისტთა ბანაკში შედიოდნენ მსხვილ მიწათმფლობელთა ნაწილი, რომელთაც ეს მამულები ინგლისის მეფისაგან ჰქონდათ ნაწყალობევი. კოლონიური ადმინისტრაციის ჩინოვნიკები, მსხვილ ვაჭართა ის ნაწილი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინგლისის ბაზართან. აგრეთვე ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელოებაც. ლოიალისტებს საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდათ ნიუ იორკის, ჯორჯიის და სამხრეთ კაროლინის კოლონიებში. საერთოდ მთელი ომის განმავლობაში 30 000 ლოიალისტი იბრძოდა.

კონკორდთან მოპოვებული პირველი გამარჯვების შემდეგ ამერიკელი მოხალისეები 1775წ. მაისში კანადაში შეიჭრნენ და მონრეალიც აიღეს. თუმცა ქ. კვებეკის ალყა წარუმატებლად დამთავრდა და ამერიკელებმა უკან დაიხიეს. კანადის დაკარგვის შიშით ინგლისელები იძულებულნი იყვნენ მთელი ომის განმავლობაში აქ დიდი სამხედრო ძალები ჰყოლოდათ.

საყოველთაო პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში 1775წ. 10 მაისს ქ. ფილადელფიაში გაიხსნა მეორე კონტინენტალური კონგრესი. კონგრესის დეპუტატთა შორის იყვნენ ფრანკლინი და ჯეფერსონი. კონგრესმა მიიღო დადგენილება ცალკეულ მოხალისეთა რაზმებიდან რეგულარული არმიის შექმნის შესახებ. არმიის სარდლად დაინიშნა მდიდარი პლანტატორი ჯორჯ ვაშინგტონი (1732-1799). მას დიდი საომარი გამოცდილება ჰქონდა მიღებული ირლანდიელების და ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში. კონგრესმა მიიღო დადგენილება სამხედრო ფლოტის შექმნის შესახებ, რომელსაც ბლოკადისაგან უნდა დაეცვა ამერიკის სანაპირო. კონგრესმა შექმნა აგრეთვე „საიდუმლო

ურთიერთობების კომიტეტი“, რომელსაც ევალებოდა საგარეო ასპარეზზე მოკავშირეების მოძებნა ინგლისის წინააღმდეგ. კონგრესმა პეტიცია გაუგზავნა ინგლისის მეფეს, სადაც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას ითხოვდა.

ინგლისის ხელისუფლებამ უარყო ეს პეტიცია და კოლონიებს საზღვაო ბლოკადა მოუწყო. ინგლისის არმია 55 000-მდე იქნა გაზრდილი. იყო მცდელობა ამერიკელთა წინაარმდეგ აეჯანყებინათ ინდიელი ტომები. დარწმუნდა რა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობაში, 1776 წლის 4 ივლისს კონგრესმა მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი - „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“.

დეკლარაციის გამოქვეყნებას წინ უძღოდა დიდი ხნის დაძაბული შრომა. დაახლოებით ერთ თვეს მუშაობდა სპეციალური კომისია ჯეფერსონის, ფრანკლინის, ადამსის, შერმანის და ლივინგსტონის შემადგენლობით დეკლარაციის პროექტის შესადგენად. დეკლარაცია საქვეყნოდ აცხადებდა ინგლისისაგან კოლონიების საბოლოო განდგომას, თავისუფალ შტატებად გარდაქმნას და დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს - ამერიკის შეერთებული შტატების შექმნას. ამასთან ერთად ამ დოკუმენტით პირველად ისტორიაში სახელმწიფო წყობის საფუძვლად გამოცხადდა სახალხო სუვერენიტეტის, უზენაესობის პრინციპი. დეკლარაცია ხალხის სასარგებლოდ ცნობდა აგრეთვე აჯანყების უფლებას „დესპოტური ხელისუფლების“ დამხობის მიზნით.

თუმცა დეკლარაციას ახასიათებდა შეზღუდულობაც. მართალია, პროექტში დაგმობილი იყო მონობა, მაგრამ სამხრეთელ პლანტატორთა მოთხოვნით კონგრესი იძულებული გახდა ეს პუნქტი დეკლარაციის პროექტიდან ამოეღო შინაგანი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ინციდენტი. როცა პლანტატორთა წარმომადგენელმა დეპუტატმა ლინჩმა მონები პირუტყვებს შეადარა თავის სიტყვაში, ფრანკლინმა მას უპასუხა: „არის განსხვავება პირუტყვებს და მონებს შორის, პირუტყვი

აჯანყებას არასოდეს აწყობს“. ფრანკლინის აზრით, მონათა არსებობა ასუსტებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

შეზღუდულობის მიუხედავად დამოუკიდებლობის დეკლარაცია უდაოდ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი იყო. სწორედ ამიტომ, 1776 წლის 4 ივლისი ამერიკელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულად ითვლება.

<u>საომარი მოქმედებები.</u> დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ საომარი მოქმედება ინგლისელებსა და ამერიკელებს შორის ახალი ძალით გაჩაღდა. ომის დასაწყისში ინგლისელთა სამხედრო უპირატესობა აშკარა იყო. ამ პერიოდისათვის ეკონომიკურად მძლავრ ინგლისს დიდი რესურსებიც გაუჩნდა. ინგლისს ჰქონდა მსოფლიოში უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მთელი ომის განმავლობაში ინგლისელებმა კოლონიებში იქ არსებული სამხედრო ძალების გარდა კიდევ დამატებით 90 000 ჯარისკაცი გადაისროლეს, მათ შორის 30 000 დაქირავებული გერმანელი. ასე რომ, ინგლისის არმიის საერთო რიცხვი 120 000 აღემატებოდა. თუმცა ინგლისელებს ამ ძალებით მაინც არ შეეძლოთ შეექმნათ ერთიანი ფრონტი ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ 1 500 მილის მანძილზე. ამიტომ ინგლისის სარდლობის სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავდა სანაპირო ქალაქების ხელში ჩაგდებას. მკაცრი საზღვაო ბლოკადის მოწყობას და კოლონიების სიღრმეში თანდათანობით მეთოდურ წინსვლას.

რაც შეეხება კოლონისტებს, მათი ძალები, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონის მეთაურობით ერთიანი სარდლობა არსებობდა, მაინც ცუდად იყო ორგანიზებული. მართალია, ამერიკელებს შეეძლოთ 150 000 ჯარისკაცის გამოყვანა, მაგრამ ეს ძალები მეტად დაქსაქსული იყო. ცალკეულ შტატებს თავიანთი სამხედრო ძალები ჰყავდათ, რომლებიც ამ შტატების ფარგლებში მოქმედებდნენ. დამოუკიდებლად მოქმედებდნენ აგრეთვე პარტიზანული რაზმები. ამგვარად, საერთო ჯამში ვაშინგტონს რეალურად რამოდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი ექვემდებარებოდა. ამას ემატებოდა ის სიძნელეც,

რომ კოლონისტთა ძალებს არ ჰყოფნიდათ იარაღი და საბრძოლო მასალა. მეტად ცუდი იყო მომარაგების სისტემა. მოღალატურად მოქმედებდნენ ლოიალისტები, რომლებიც ინგლისელებს სადაზვერვო ცნობებს აწვდიდნენ. მოღალატეები იყვნენ ოფიცერთა შორისაც. საკმარისია დავასახელოთ ვაშინგტონის თანაშემწე, გენერალი ლი, რომელიც საიდუმლო კავშირში იყო ინგლისელთა სარდლობასთან.

აღნიშნულმა სირთულეებმა განაპირობეს ამერიკელთა თავდაპირველი წარუმატებლობანი. 1776 წლის აგვისტოში ვაშინგტონის არმია დამარცხდა ბრუკლინის ბრძოლაში და ინგლისელებმა ხელთ იგდეს ქ. ნიუ იორკი. შემდგომში ტრენტონთან ვაშინგტონმა მძლავრი დარტყმა მიაყენა ინგლისელებს და შეაჩერა მათი წინსვლა, მაგრამ საერთო ვითარება ამერიკელთათვის მაინც არასახარბიელო იყო. ნოემბერში ამერიკელებმა დაკარგეს რიგი სიმაგრეები და არსენალები.

1777 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ზაფხულში ინგლისის ჯარების ფლოტის დახმარებით ქ. ფილადელფიის კონგრესი იძულებული გახდა ქ. ბალტიმორში გადასულიყო. ამ დამარცხებებში დიდი როლი ითამაშა გენერალ ლის ღალატმა.

მიუხედავად ამ დამარცხებებისა ამერიკელები მამაცურ ბრძოლას განაგრძობდნენ. პატრიოტული გრძნობით გულანთებული ამერიკელი მოხალისეები ფართოდ იყენებდნენ პარტიზანული ომის ტაქტიკას და ინგლისის ჯარებს არ აძლევდნენ ქვეყნის სიღრმეში შესვლის საშუალებას.

ვერ შეძლო რა კოლონიების სიღრმეში შეჭრა, ინგლისის სარდლობამ ტაქტიკა შეცვალა. ინგლისელებმა სცადეს მოეწყვიტათ კოლონიების ჩრდილოეთ რეგიონები სამხრეთ რეგიონებისაგან. ამ მიზნით გენერალ ჰოუს ჯარებთან (რომლებიც ფილადელფიასთან იმყოფებოდნენ) შესაერთებლად კანადიდან დაიძრა მეორე ინგლისელი გენერლის ბურგოინის არმია. მაგრამ ვაშინგტონმა გამოიცნო ინგლისელთა ეს მანევრი. ამერიკელებმა გზა გადაუჭრეს ბურგოინს. 1777 წ. 17

ოქტომბერს სარატოგასთან ბრძოლაში ამერიკელებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ბურგოინის არმია გარშემორტყმული იქნა და დანებდა. ეს იყო ამერიკელთა პირველი დიდი გამარჯვება

<u>ომში ევროპული სახელმწიფოების როლი</u>. ინგლისსა და კოლონიებს შორის ომის დაწყებისთანავე საფრანგეთის და ესპანეთის მმართველი წრეები ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მოვლენათა შემდგომ მსვლელობას. საფრანგეთი და ესპანეთი მიისწრაფვოდნენ გამოეყენებინათ ეს ომი და რევანში აეღოთ ინგლისზე, დაებრუნებინათ დაკარგული კოლონიები. ასეთი ვითარება ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევდა აშშ-ს დიპლომატიას მიემხრო ეს ქვეყნები ინგლისის წინააღმდეგ ომში.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე საფრანგეთის მთავრობამ საიდუმლოდ ამერიკელებს დახმარება აღუთქვა და მათ სხვადასხვა საქონელს და ფულს უგზავნიდა. როცა ომი დაიწყო საფრანგეთმა ოფიციალურად ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ ფარულად შეუდგა ორი სამხედრო-საზღვაო ესკადრის აღჭურვას.

თავის მხრივ, მეორე კონტინენტალური კონგრესის მიერ შექმნილმა ორგანომ საიდუმლო ურთიერთობის კომიტეტმა (რომელსაც ფრანკლინი მეთაურობდა), თავისი წარმომადგენლები გააგზავნა ევროპის ქვეყნებში. პარიზში თვით ფრანკლინი ჩამოვიდა საფრანგეთის მეფე ლუი XVI-სთან მოსალაპარაკებლად.

1777 წლის დეკემბერში ლუი XVI-მ განაცხადა, რომ ის მზადაა ოფიციალურად ცნოს აშშ. 1778 წ. 6 თებერვალს ფრანკლინის და საფრანგეთის წარმომადგენლების მიერ ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას საფრანგეთსა და აშშ-ს შორის. საფრანგეთმა გამოთქვა მზადყოფნა ომი გამოეცხადებინა ინგლისისათვის. ამავე თვეში ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიწყო საომარი მოქმედებანი. 1778 წ. ზაფხულში აშშ-ში გადასროლილი იქნა პირველი ფრანგული

სამხედრო ნაწილები. შემდგომში 1779 წ. ინგლისს ომი გამოუცხადა ესპანეთმა, 1780 წელს ჰოლანდიაშიც.

საფრანგეთისა და ესპანეთის ომში ჩაბმამ ძირეულად შეცვალა ინგლისის მდგომარეობა ზღვებზე. ამერიკის სანაპიროების გარდა საფრანგეთის ფლოტმა საომარი ოპერაციები წამოიწყო ინდოეთში. ესპანელებმა ალყა შემოარტყეს გიბრალტარს. საფრანგეთის და ესპანეთის სამხედრო გემები თავს ესხმოდნენ და ძირავდნენ ინგლისის სავაჭრო გემებს. ინგლისის მიერ ამერიკის სანაპიროების ბლოკადა ჩაიშალა. ინგლისი იძულებული გახდა დაექსაქსა თავისი ფლოტის ძალები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე თავისი კოლონიების დასაცავად.

თავის მხრივ, ინგლისის დიპლომატიაც ცდილობდა მოკავშირის მოძებნას. მეფე ჯორჯ II-მ წერილით მიმართა რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ს და ინგლისის დასახმარებლად ამერიკაში 20 000 რუსი ჯარისკაცის გაგზავნა სთხოვა, მაგრამ ეკატერინე II-ემ, რომელიც სერიოზულად იყო შეშფოთებული ინგლისის საზღვაო ძლიერების ზრდით, დახმარებაზე უარი განაცხადა. უფრო მეტიც, რუსეთმა 1780 წელს გამოაქვეყნა დეკლარაცია ე.წ. „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ნეიტრალური ქვეყნის გემები თავისუფლად უნდა შესულიყვნენ მეომარი მხარეების ნავსადგურებში. ინგლისის გემებს არ ჰქონდათ უფლება უსაფუძვლოდ დაეკავებინათ და გაეჩხრიკათ ნეიტრალური ქვეყნების ხომალდები. დეკლარაცია ითვალისწინებდა ამ პრინციპის შეიარაღებულ დაცვას. ახლადშექმნილ „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგას“ რუსეთის გარდა ხალისით შეუერთდნენ შვედეთი და დანია, რომლებიც შევიწროვებულნი იყვნენ ზღვებზე ინგლისის პირველობით. ამგვარად, ინგლისი ფაქტიურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა.

1778 წლიდან საომარი მოქმედებანი ამერიკაში ახალი ძალით გაჩაღდა. ამ წლის ივნისში საფრანგეთის ფლოტის ნიუ იორკზე თავდასხმის შიშით ინგლისელები იძულებულნი

გახდნენ დაეტოვებინათ ფილადელფია და თავიანთი ძალებისათვის თავი მოეყარათ ნიუ იორკთან. საფრანგეთიდან დახმარება სულ უფრო იზრდებოდა. ამერიკაში ჩადიოდნენ არამარტო ფრანგული სამხედრო ნაწილები, არამედ ფრანგი კაპიტალისტები კოლონისტებს ამარაგებდნენ ღენთით, ზარბაზნებით, იარაღით და საბრძოლო მასალით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ფრანგი მწერლის და კომერსანტის ბომარშეს სავაჭრო კომპანია.

ვერ მიაღწია რა წარმატებას ჩრდილოეთში, ინგლისის სარდლობამ გადაწყვიტა საომარი მოქმედებანი კოლონიების სამხრეთში გადაეტანა. 1778 წ. ინგლისელებმა მოახდინეს ჯორჯიის შტატის ოკუპირება, ხოლო 1780 წ. მაისში ოკუპირებულ იქნა სამხრეთ კაროლინა. ერთ-ერთ ბრძოლაში ამერიკა-საფრანგეთის რაზმთან შეტაკებაში გამარჯვების შემდეგ ინგლისელები ჩრდილო კაროლინაში შესაჭრელად ემზადებოდნენ, მაგრამ ინგლისელთა წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1780 წლის ბოლოს სამხრეთში მოქმედ ამერიკელთა ჯარებს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ნიჭიერი გენერალი გრინი. მოხერხებული მანევრებით მან შეძლო თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლა და პარტიზანთა მხარდაჭერით 1781 წ. სამხრეთ კაროლინა ინგლისელებისაგან გაწმინდა.

1781 წ. მაისში ინგლისელთა არმია ჩრდილო კაროლინიდან ვირჯინიაში შეიჭრა. ამ არმიის შესახვედრად ჩრდილოეთიდან დაიძრნენ ამერიკელთა და ფრანგთა გაერთიანებული ჯარები ვაშინგტონის და ფრანგი გენერლის როშამბოს სარდლობით. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1781 წლის 19 ოქტომბერს ქ. იორკთაუნთან. მოკავშირეთა სამხედრო ოპერაციებს ზღვიდან მხარს უჭერდა ამერიკა-საფრანგეთის ფლოტი. ამერიკა-საფრანგეთის გაერთიანებულმა ძალებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ალყაშემორტყმულმა ინგლისის არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ინგლისელთა რესურსები ამოიწურა. ინგლისის მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საომარი კამპანია წაგებული იყო.

1783 წელს პარიზის მახლობლად, ვერსალში ინგლისმა ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებებს მოწინააღმდეგე მხარეებთან. ზავის მიხედვით ინგლისმა ცნო ახალი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები. საფრანგეთი დაეუფლა რიგ კუნძულებს კარიბის ზღვაში და სენეგალს აფრიკაში. ესპანეთმა ინგლისისაგან დაიბრუნა ფლორიდა და კუნძული მენიორკა.

ამგვარად, დამოუკიდებლობისათვის ომი ამერიკელთა სრული გამარჯვებით დამთავრდა.

<u>აშშ ომის შემდეგ.</u> XVIII საუკუნის 80-იანი წლები ახლადშექმნილი სახელმწიფოსათვის საკმაოდ მძიმე პერიოდი იყო. 1775-1781 წლების საომარმა ოპერაციებმა მძიმე ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. დაირღვა საშინაო და საგარეო ეკონომიკური კავშირები. განადგურდა სამრეწველო საწარმოთა გარკვეული ნაწილი. მოიშალა ფინანსური სისტემა. ეკონომიკა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. მკვეთრად დაეცა საწარმოებში დასაქმებულ მუშათა ხელფასი. გაიზარდა უმუშევართა რიცხვი. გაიზარდა ფასები სურსათებზე და სხვა სახის საქონელზე. მძიმე იყო სოფლად საშუალო და წვრილ ფერმერთა მდგომარეობა, ომმა ისინი მევახშეთა ვალების კლანჭებში მოაქცია. ამას ემატებოდა მძიმე სახელმწიფო გადასახადები. ამ ვალების გადაუხდელობის გამო მათი ქონება აუქციონის წესით იყიდებოდა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა ანტისამთავრობო შეიარაღებულ გამოსვლებს აწყობდა, რაც განსაკუთრებით საშიში იყო, რადგან დიდი საშინაო დესტაბილიზაციის და სამოქალაქო ომის საფრთხეს ქმნიდა.

1786 წელს ფერმერთა სერიოზულ შეიარაღებულ გამოსვლას ჰქონდა ადგილი მასაჩუსეტსის შტატში. ამბოხებას სათავეში ედგა გაღატაკებული ფერმერი, დამოუკიდებლობისათვის ომის ვეტერანი, ამერიკის არმიის ყოფილი კაპიტანი დანიელ შეისი. აჯანყებულები თავს ესხმოდნენ სხვადასხვა ქალაქებს, წვავდნენ სასამართლოთა შენობებს, განსაკუთრებით იმ დოკუმენტებს, სადაც მათი

ვალები იყო აღნიშნული. ამბოხებულები მოითხოვდნენ ვალების გაუქმებას, სახელმწიფო გადასახადების შემცირებას და დასავლეთში მდებარე მიწების სამართლიან განაწილებას ფერმერებზე. 1787 წ. შეისი თავს დაესხა ქ. სპრინგფილდის არსენალს. მთავრობას სამხედრო ნაწილების მობილიზება დასჭირდა ამბოხების ჩასახშობად. დატყვევებულ შეისს და მის თანამზრახველებს სასამართლომ სიკვდილი მოისაჯა, მაგრამ შეისის, როგორც ომის ვეტერანის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ შემდგომში განსასჯელები შეიწყალეს.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რეალურად ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. 1781 წელს შემუშავებული დოკუმენტაციის ე.წ. „კონფედერაციის მუხლების“ მიხედვით, აშშ წარმოადგენდა კონფედერაციას ე.ი. დამოუკიდებელი შტატების სუსტ გაერთიანებას. თითოეულ შტატს ჰქონდა თავისი მმართველობის ორგანოები. ეს ორგანოები კრეფდნენ გადასახადებს, ქმნიდნენ შეიარაღებულ ძალებს. შტატებში არსებობდა შინაგანი საბაჟოები. იჭრებოდა საკუთარი ფული. კონტინენტალური კონგრესი, რომელიც შტატების წარმომადგენლებისაგან იკრიბებოდა ვერ ასრულებდა აშშ-ის ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციას.

ეკონომიკის განვითარებისათვის, საშინაო მდგომარეობის არასტაბილურობის აღმოსაფხვრელად და საერთო ასპარეზზე ავტორიტეტის მოპოვებისათვის საჭირო იყო ერთიანი ფედერაციული ტიპის სახელმწიფოს შექმნა ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლებით. ამ მიზნის განსახორციელებლად ქ. ფილადელფიაში 1787 წლის 26 მაისს შეიკრიბა კონცენტი (დამფუძნებელი კრება), რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ჯორჯ ვაშინგტონი. სხვადასხვა შტატებიდან ჩამოსულ კონვენტის 55 დელეგატს შორის იყვნენ დამოუკიდებლობისათვის ომის ვეტერანები და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, მათ შორის 82 წლის ბენჯამინ ფრანკლინი. კონვენტის სხდომები სრული საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა. მხოლოდ ნახევარი საუკუნის

შემდეგ გამოქვეყნდა კონვენტის ერთ-ერთი მონაწილის მედისონის ჩანაწერები სხდომებზე მიმდინარე კამათის შესახებ. დებატები კონვენტში 4 თვეს გაგრძელდა. ზაფხულში გამოქვეყნებული იქნა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც საბოლოოდ მიღებული იქნა კონვენტის მიერ.

უნდა შევნიშნოთ, რომ 1787 წლის კონსტიტუცია, მასში შეტანილი შემდგომი ზოგიერთი ცვლილებით დღესაც მოქმედებს. ამ კონსტიტუციით აშშ გადაიქცა ფედერაციულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, თუმცა ცალკეულმა შტატებმა შეინარჩუნეს ფართო ავტონომია საშინაო თვითმმართველობის საკითხებში და თავიანთი საკუთარი კონსტიტუციებიც.

ახალ კონსტიტუციას საფუძვლად დაედო ხელისუფლების სამი შტოს - საკანონმდებლო ხელისუფლების, აღმასრულებელი ხელისუფლების და სასამართლო ხელისუფლების გაყოფის პრინციპი. ასეთი თეორია თავის ნაშრომებში შეიმუშავა XVIII ს-ის ცნობილმა ფრანგმა განმანათლებელმა შარლ ლუი მონტესკიემ. ასეთი პრინციპი გამორიცხავდა ერთი პიროვნების ხელში მთელი ხელისუფლების კონცენტრაციის შესაძლებლობას და მინიმუმამდე დაჰყავდა სახელმწიფო გადატრიალების შესაძლებლობა.

ახალი კონსტიტუციის მიხედვით მოხდა უფლებათა ბალანსირება ხელისუფლების ამ სამ შტოს შორის. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა კონგრესი (პარლამენტი). კონგრესი შედგება ორი პალატისაგან: სენატი და წარმომადგენელთა პალატა. სენატორთა არჩევა (თითოეული შტატიდან 2 სენატორი) ხდება 6 წლის ვადით. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები ირჩევიან 2 წლის ვადით. ცალკეული შტატები აგზავნიან გარკვეული რაოდენობის დეპუტატებს შტატის მოსახლეობის რიცხვის მიხედვით. კონგრესის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, თუკი იგი დამტკიცებულია კონგრესის ორივე პალატის მიერ ხმების უმრავლესობით და არ არის შეჩერებული პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადებით.

კონსტიტუციის მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, რომლის არჩევა ხდება 4 წელიწადში ერთხელ. პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილებანი აქვს. იგი არის სახელმწიფოს და შეიარაღებული ძალების მეთაური. წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ომის დროს შეუძლია დიქტატორული ფუნქციებიც განახორციელოს. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს და ქმნის მთავრობას და თვითონაა მთავრობის მეთაურიც. მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის და არა კონგრესის წინაშე. პრეზიდენტს უფლება აქვს ვეტო დაადოს და შეაჩეროს კონგრესის მიერ მიღებული კანონის მოქმედება. თუმცა კონგრესს აქვს უფლება გააუქმოს პრეზიდენტის ვეტო, მაგრამ ამისათვის საჭიროა კონგრესის ორივე პალატის ხმების ორი მესამედი.

კონსტიტუციის მიხედვით, უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება ქვეყანაში ეკუთვნის უზენაეს სასამართლოს. ეს არის კონგრესისაგან და პრეზიდენტისაგან დამოუკიდებელი ორგანო, თუმცა მისი წევრები ინიშნებიან სიცოცხლის განმავლობაში პრეზიდენტის მიერ სენატის თანხმობით. უმაღლეს სასამართლოს შეუძლია უკანონოდ გამოაცხადოს კონგრესის მიერ მიღებული კანონი თუ გატარებული რაიმე ღონისძიება, თუკი ისინი არღვევენ კონსტიტუციურ ნორმებს.

ამგვარად, როგორც ვხედავთ ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში რესპუბლიკური რეჟიმი დამყარდა. 1789 წელს არჩეული იქნა პირველი კონგრესი. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ჯორჯ ვაშინგტონი. ქვეყნის დედაქალაქად გამოცხადდა ნიუ იორკი. შემდგომში დედაქალაქი გადაიტანეს ჯერ ფილადელფიაში, ხოლო საბოლოოდ 1791 წელს ვაშინგტონში. 1792 წელს აიგო თეთრი სახლი - აშშ-ის პრეზიდენტების რეზიდენცია.

იმის მიუხედავად, რომ 1791 წელს კონსტიტუციაში კონგრესის მიერ შეტანილი იქნა 10 შესწორება (ე.წ. უფლებათა ბილი), რომლის მიხედვითაც გამოცხადებული იქნა სიტყვის, პრესის, შეკრებების, პეტიციების შედგენის თავისუფლება, პიროვნების და მისი საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, მაინც

კონსტიტუციას იმ ეპოქაში დემოკრატიულობის თვალსაზრისით გარკვეული შეზღუდულობა ახასიათებდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ შენარჩუნებული იქნა მონობა. ინდიელები არ ითვლებოდნენ სრულფასოვან მოქალაქეებად. არჩევნებში დაწესებული იყო გარკვეული ქონებრივი ცენზი. ხმის უფლება არ მიენიჭათ ქალებსა და საერთოდ არ არსებობდა ერთიანი საარჩევნო კანონი ყველა შტატისათვის. ამ შეზღუდვების გამო მოსახლეობის უმრავლესობა ვერ იღებდა მონაწილეობას კონგრესისა და პრეზიდენტის არჩევნებში. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნის 3 მილიონი მცხოვრებიდან მხოლოდ 120 000 ჰქონდა ხმის უფლება.

დამოუკიდებლობისათვის ომში გამარჯვებამ გაათავისუფლა კოლონიები ინგლისის ბატონობისაგან. შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ომმა მოახდინა ფეოდალური გადმონაშთების ლიკვიდაცია სოფლად, როგორიც იყო მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა და მიწის რენტა.

აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის და კონსტიტუციის პრინციპებმა გავლენა მოახდინეს რევოლუციის პერიოდში საფრანგეთში შემუშავებულ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაზე“ და 1791-1793 წლების საფრანგეთის კონსტიტუციებზე.

2. აშშ XIX ს-ის I ნახ.

აშშ ეკონომიკური განვითარება. XIX საუკუნის დამდეგიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა. თავისუფალი მიწების დასაკუთრება და წარმოებაში დიდძალი თანხების დაბანდება, ევროპიდან იმიგრაციის პროცესის გაფართოება და გაუმჯობესებული მანქანა–იარაღების გამოყენება, მეცნიერების მიღწევების დანერგვა და განსაკუთრებით თავისუფალი მუშა–ხელის სიჭარბე შესანიშნავ პირობებს ჰქმნიდა ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეცრნეობის წინსვლისათვის.

ფართო სარკინიგზო მშენებლობამ განსაზღვრა მეტალურგიის განვითარება, რამაც თავის მხრივ ახალი მოთხოვნები წაუყენა ქვანახშირის მრეწველობას. დაიწყო ცალკეული რაიონების დასპეციალება ამა თუ იმ დარგში. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამერიკის ფლოტიც. 1850 წლისათვის მისმა საერთო წყალწყვამ 4 მილიონამდე ტონას მიაღწია. ამის შედეგად ამერიკულმა იაფმა საქონელმა თანდათან დაიწყო შეღწევა მსოფლიო ბაზარზე.

უნდა ითქვას, რომ აშშ ეკონომიური წინსვლა მეტად უთანაბროდ წარმოებდა. კაპიტალიზმი ძირითადში ვითარდებოდა ჩრდილოეთის ოლქებში. სამხრეთში კი იზრდებოდა მონურ შრომაზე დაფუძნებული პლანტატორული მეურნეობა. ამის შედეგად სამხრეთი ჩამორჩებოდა ჩრდილოეთს არა მარტო აბსოლუტურად, არამედ განვითარების ტემპების მხრივაც. 1810–1850 წწ. სამრეწველო პროდუქციის ღირებულება გაიზარდა: ჩრდილოეთში–96 მილ. დოლარიდან 845 მილიონამდე, სამხრეთში კი 49 მილ.დოლარიდან 168 მილიონამდე. ანალოგიური იყო მდგომარეობა სოფლის მეურნეობაშიც, რაც დაქირავებუ შრომასთან შედარებით მონური შრომის არარენტაბელურობის შედეგს წარმოადგენდა.

ცხადია, აშშ განვითარებას ახასიათებდა კრიზისები. ამ მხრივ განსაკუთრებით დამღუპველი იყო 1837–42 წლების კრიზისი, რომელიც არა მარტო ხანგრძლივი გამოდგა, არამედ მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამის შედეგად მოიშალა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება, დაიხურა ფაბრიკა–ქარხნები, გაკოტრდა ბანკები და სხვ. კრიზისებს აშშ, ისევე როგორც ევროპის სახელმწიფოებში, ციკლური ხასიათი ჰქონდა.

კაპიტალიზმის განვითარებას, განსაკუთრებით სამრეწველო რევოლუციის დასრულებას თან მოჰყვა მუშათა არნახული ექსპლოატაცია. XIX საუკ. 20–30–იან წლებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა უდრიდა 12,5 საათს. ამ ხნის განმავლობაში კი მუშის ხელფასი საშუალოდ უდრიდა 1 დოლარს, რაც მაშინდელი ფასების პირობებში ვერ

აკმაყოფილებდა ოჯახის დღიური მოთხოვნილების მინიმუმსაც კი. ძალზე ცუდი იყო მუშათა საყოფაცხოვრებო მდგომარეობა. ამით იქმნებოდა პირობები, რომელიც ამერიკის მუშათა კლასს ბრძოლისათვის ამხედრებდა.

20–იან წლებში ქვეყანაში დაარსდა მუშათა პირველი პოლიტიკური ჯგუფები და პროფესიული კავშირები. უკვე 1834 წლისათვის არსებობდა მუშათა 61 ორგანიზაცია, გამოდიოდა 50 გაზეთი. ყველაფერი ეს პროლეტარიატის გამოფხიზლებისა და კლასობრივი თვითშეგნების ამაღლების შედეგი იყო. ამ პერიოდის მუშათა პოლიტიკური ხელმძღვანელებიდან გამოირჩეოდნენ რაიტი, ოუენი, სკიდმორი და სხვ.

30–იან წლებში აგგ განსაკუთრებით გაიზარდა პროფკავშირული მოძრაობა. 1828 წელს ფილადელფიაში დაარსდა პირველი პროფკავშირული გაზეთიც. 1833–01837 წწ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (ნიუ–იორკი, ბოსტონი და სხვ.) შეიქმნე 150 პროფორგანიზაცია, რომელიც 25 ათასზე მეტ მუშას აერთიანებდა. ამ ხნის განმავლობაში პროფესიულმა კავშირებმა უხელმძღვანელეს 160 გაფიცვას, რომელიც ძირითადად ხელფასის მომატების ლოზუნგით ჩატარდა. პროფკავშირების ძირითადი საბრძოლო მოწოდება გახდა სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირება (10 საათამდე). 1854 წლისათვის მუშათა ამ მასობრივ ორგანიზაციაში საერთოდ 200 ათასამდე წევრი ერთიანდებოდა.

40–იან წლებში აშშ ვრცელდება მარქსისტული ლიტერატურა და მარქსისტული იდეები. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ქვეყანაში გამეფებული სასტიკი რეაქციის გამო ამერიკაში მასობრივად გადასახლდნენ მუშები, მათ შორის რევოლუციონერ–მარქსისტებიც: ვეიდემიერი, ზორგე და სხვ. მათ ჩაიტანეს და ამერიკელ მუშებს გააცნეს მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს პროლეტარიატის გათვითცნობიერებაში. უთუოდ ამის შედეგი იყო, რომ მოწინავე მუშებმა სწორედ ვეიდემაიერისა და ზორგეს ხელმძღვანელო-

ბით 1852 წელს ნიუ–იორკში შექმნეს პირველი მარქსისტული ორგანიზაცია–პროლეტარული ლიგა. ამავე წელს დაარსდა პირველი მარქსისტული გაზეთიც–"რევოლუცია", რომელიც გერმანულ ენაზე გამოდიოდა. მარქსიზმი, როგორც პროლეტარიატის იდეოლოგია, ამერიკაში მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრიდან დამკვიდრდა. მაშასადამე XIX ს. II მეოთხედში აშშ–ში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. საგულისხმოა, რომ აპმერიკელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია უარყოფს ამას. ეს ეპოქა ამერიკაში ცნობილია „უბრალო ადამიანის ერის", „თანასწორობის ეპოქის" ან უბრალოდ „ჯექსონის დემოკრატიის" სახელით. შდლუზინგენ–უმცროსმა 1945 წელს ფრიად ვრცელი მონოგრაფიაც უძღვნა ამ ეპოქას. ისტორიკოსთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამ ეპოქაში არავითარი კლასობრივი ბრძოლა არ იყო. ჩვენ ერთი ხალხი ვართ და ნაწილის წარმატება გარკვეული აზრით მთელის წარმატებაა–აცხადებდა, მაგ., ისტორიკოსი ვან დუზენი. ცხადია ასეთი იდილიური, თანასწორობისა და თანხმობის განწყობილება ამერიკულ საზოგადოებაში მაშინ არ ყოფილა (დაწვრილებით იხ. ბოლხოვიტინოვის „ჯექსონის დემოკრატია" ისტორიოგრაფიული მითი და სინამდვილე. Вопросы истории, №12, 1978).

<u>1812–1814 წლების ინგლისს–აშშ ომი</u>. XVIII საუკუნის II ნახევარში დამოუკიდებლობისათვის ომის შედეგად ინგლისმა ამერიკაში დაჰკარგა უმდიდრესი კოლონიები. ცხადია იგი ამ ფაქტს ვერ ურიგდებოდა. ამიტომ ყოველნაირად ამუხრუჭებდა აშშ ეკონომიურ განვითარებას, აფერხებდა ვაჭრობას და სხვ. ამ მიზნით ინგლისის ფლოტი არ ერიდებოდა მეკობრეობასაც ამერიკის ხომალდების მიმართ. ჩანს, ამ გარემოებამ აღავსო მოთნინების ფიალა და 1812 წლის ივნისის აშშ მთავრობამ ომი გამოუცხადა ინგლისს.

სხვადასხვანაირად შეხვდა ამ ომს ამერიკის საზოგადოებრიობა. ხალხი, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ნაწილი მასში ხედავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას. ამავე დროს

დასავლეთისა და სამხრეთის შტატების ზოგიერთი წარმომადგენელი ამ ომით ვარაუდობდა აშშ საზღვრების გაფართოებას და კანადისა და ფლორიდის დაპყრობას. ასეთ ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს გამოხატავდნენ ე.წ. „მებრძოლი ქორები“, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ჰენრი კლეი და დ.კელხაუნი. მსხვილი ბურჟუაზიის ნაწილი, კერძოდ გემთმფლობელები, სხვათაშორის ამ ომის წინააღმდეგი იყვნენ და ინგლისთან გაერთიანებასაც კი ითხოვდნენ. მათგან ასეც ტიყო მოსალოდნელი, რადგან საზღვაო ვაჭრობის შეზღუდვის ვითარებაში კონდრაბანდას მისდევდნენ და არ სურდათ გამდიდრების ამ მნიშვნელოვანი წყაროს დაკარგვა.

ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით უპირატესობა აშკარად ინგლისის მხარეს იყო. მას ჰყავდა 25 მილიონიანი მოსახლეობა, ფლობდა მსოფლიოში უდიდეს სიმდიდრეს, გააჩნდა კარგად გაწვრთნილი არმია და შესანიშნავი ფლოტი, რომელიც 800 საბრძოლო ხომალდისაგან შესდგებოდა. ამას უპირისპირდებოდა აშშ 8 მილიონიანი მოსახლეობა, ცუდი შეიარაღების არმია და მცირერიცხოვანი ფლოტი. ამის შედეგად საომარი ოპერაციები ამერიკელთათვის არახელსაყრელად წარიმართა. მოწინააღმდეგის უპირატესობა უფრო შესამჩნევი გახდა 1814 წლიდან, როდესაც საფრანგეთთან ომის დასრულების შემდეგ ინგლისელებმა თავიანთი ფლოტიი აშშ სანაპიროსაკენ გადაისროლეს და ბლოკირება უყვეს მას. კიდევ მეტი, 1814 წლის აგვისტოში მათ შეძლეს ვაშინგტონის დაპყრობაც.

ამან მოსახლეობაში დიდი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. ხალხი მასობრივად შევიდა არმიაში. ქვეყნის დასაცავად აქტიურად გამოვიდნენ ზანგებიც, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ ფრონტებზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტრის მოგერიებაში. ამასთან, 1813–1814 წლების მიჯნაზე აშშ მთავრობამ განახორციელა ეფექტიანი ღონისძიებანი რუსეთთან დასაახლოებლად. პეტერბურგის საიმპერატორო კარის გულთბილმა დამოკიდებულებამ ამერიკის დელეგაციისადმი შეაშფოთა ინგლისის მთავრობა,

რომელმაც ორუსეთისაგან იზოლირების მიზნით აშშ ზავზე მოლაპარაკების წინადადება შესთავაზა. 1814 წლის დეკემბერში ორივე ქვეყანამ გააფართოვა ე.წ. გენტის ხელშეკრულება, რომლითაც მებრძოლმა მხარეებმა შეინარჩუნეს ომამდელი მდგომარეობა.

აღნიშნული ომის ძირითადი პოლიტიკური შედეგი იყო ის, რომ ამერიკამ განიმტკიცა დამოუკიდებლობა. ომმა სახელმწიფოს გარკვეული ეკონომიური სარგებელიც მოუტანა. მართალია ეს კამპანია აშშ დაუჯდა 200 მილ. დოლარი, რის გამოც სახელმწიფო ვალმა 17 მილიონს მიაღწია, მაგრამ ამის სანაცვლოდ ომმა და საერთოდ საომარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებს აუცილებლობამ მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას.

მონროს დოქტრინა. XIX საუკუნის 20–იან წლებში აშშ მთავრობის უმნიშვნელოვანესი აქტი იყო მონროს დოქტრინის მიღება და ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ კურსად მისი გამოცხადება.

როგორც ცნობილია XIX საუკუნის პირველ ოცეულში გაღრმავდა ესპანეთის კოლონიალური იმპერიის კრიზისი, რაც იყო ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის კანონზომიერი შედეგი. ევროპის სახელმწიფოებმა, უპირველესად კი ინგლისმა, მოინდომეს ესპანეთის კოლონიებში შექმნილი ვითარების გამოყენება საკუთარ სამფლობელოთა გაფართოებისათვის. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აშშ, რადგან ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების შინაგანი კანონი, აგრეთვე პლანტაციური მეურნეობის განვითარების აუცილებლობა მთავრობისაგან მოითხოვდა სამხრეთით ტერიტორიულ ექსპანსიას. ასეთ პირობებში თანდათან მომწიფდა აზრი ამერიკის კონტინენტზე აშშ უპირატესი „უფლების“ შესახებ.

ეს ტენდენცია 20–იან წლებში არ აღმოცენებულა. მისი საფუძვლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70–80–იან წლებში ჩამოაყალიბეს აშშ სახელმწიფოებრიობის პირველმა მშენებლებმა: თ. ჯეფერსონმა, ა. გამილტონმა და ა.შ.

სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. ამერიკის ახალგაზრდა ბურჟუაზია, რომელიც აღმავალი გზით ვითარდებოდა, უკვე მაშინ ცდილობდა კონტინენტზე დლა საერთოდ დასავლეთ ნახევარსფეროში უპირატესი გავლენის მოპოვებას. ეს სწრაფვა კიდევ უფრო გაფართოვდა ინგლისი–აშშ 1812–1812 წლების ცნობილი ომის შემდეგ. 1919 წელს აშშ სახელმწიფო მდივანი დ. ადამსი წერდა: „არაბუნებრივია და აბსურდია“, როცა „დაქუცმაცებული ტერიტორიები, რომელთა მფლობელები 15 ასეულ მილზე იმყოფებიან უშუალოდ ესაზღვრება დიად, უძლეველ და სწრაფად მზარდ ერს“. სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი არა მარტო ფლორიდის მიტაცება 1818–1823 წლებში, პრეტენზიები კუბისადმი, შეღწევა ტეხასში და სხვ., არამედ მთავრობის მიერ ევროპის სახელმწიოებისათვის ამერიკის შემდგომი კოლონიზაციის აკრძალვის ოფიციალური გამოცხადება.

ამერიკის კონტინენტზე აშშ უპირატესი როლის შესახებ კონცეპცია ერთიანი მწყობრი სისტემის სახით ჩამოაყალიბა პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ (1817–1825 წწ). 1823 წლის ნოემბერში იგი სპეციალურად განიხილა მთავრობამ და ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო კიდეც იოფიციალურ სამოქმედო პროგრამად. დოქტრინა უკრძალავდა ევროპის სახელმწიფოებს, კერძოდ „საღვთო კავშირის“ მონაწილეებს ინტერვენციის ორგანიზებას ესპანეთის ამერიკულ სამფლობელოებში გაჩაღებული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და აცხადებდა პრინციპს „ამერიკა–ამერიკელებს“. ერთი შეხედვით აღნიშნული დოქტრინა პროგრესულადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ევროპელთაგან ამერიკის საქმეებში ჩაურევლობას მოითხოვდა (ჩანს მისმა ავტორმა აქ ანგარიში გაუწია აშშ საზოგადოებრიობას, რომელიც სიმპათიით ეკიდებოდა ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის), მაგრამ ამ მოჩვენებითი დემოკრატიული ფრაზეოლოგიის უკან სავსებით გამოკვეთილად ჩანდა აშშ ექსპანსიონისტური პოლიტიკის სახე.

ჯერ ერთი, მასში სრულიადაც არაფერი იყო ნათქვამი სამხრეთ ამერიკის ხალხთა საშინაო ცხოვრებაში აშშ ჩარეთის წინააღმდეგ. მაშასადამე ამით მთავრობის მოქმედების თავისუფლება ეძლეოდა. და მეორეც, პრინციპი „ამერიკა–ამერიკელებს“ არა მარტო ამერიკის კონტინენტზე, არამედ საერთოდ დასავლეთის ნახევარსფეროში თავისთავად აშშ უპირატესი მდგომარეობის აღიარებას ნიშნავდა. მზარდ ქვეყანას, რომელსაც უძლიერესი ეკონომიკა გააჩნდა, კაპიტალის საშუალოებით ადვილად შეეძლო ლათინურ ამერიკაში შეღწევა და იქ გაბატონება. მოვლენათა მსვლელობამ მართლაც დაადასტურა ამ დებულების სისწორე.

<u>ურთიერთობა რუსეთთან.</u> XVII-XVIII ს-ბში რუსმა ზღვაოსნებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ამერიკის ჩრდილოეთ–დასავლეთი სანაპიროს შესწავლასა და ათვისებაში. საკმარისია ითქვას, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ალიასკასა და ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე მოეწყო რუსთა 86 ექსპედიცია. სწორედ ამ საუკუნის 80–იან წლებში ჩამოყალიბდა პირველი რუსული ახალშენები კოდიაკის კუნძულსა და კენაისკის ყურეში. 1799 წელს ოფიციალურად შეიქმნა რუსულ–ამერიკის კომპანია, რომელიც ძირითადად მეთევზეობას, ზღვის ცხოველების ძვირფასი ბეწვეულის დამზადებას და ვაჭრობას ეწეოდა.

რუსთა შეღწევას ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე მტრულად შეხვდა აშშ მთავრობა, ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მონროს დოქტრინის მიღების შემდეგ. მართალია, რუსეთის მთავრობა არ იზიარებდა მას, მაგრამ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აშკარად არ გამოუთქვამს. ამის მიუხედავად ორი მხარის უკმაყოფილება ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში არ გადაზრდილა. აშშ მთავრობას აშინებდა ინგლისის სწრაფვა ლათინურ ამერიკაში დამკვიდრებისაკენ და ამიტომ მისი განეიტრალების მიზნით რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. ეს კარგად აისახა XIX საუკუნის 20–იანი წლების ოფიციალურ დოკუმენტებშიც. მაგალითად პეტერბურგის საიმპერატორო

კარისადმი 1823 წლის ნოემბერს გაგზავნილ ნოტაში ნათქვამი იყო: „ევროპული სახელმწიფოებიდან აშშ ყველაზე ტმეგობრულ და ურთიერთსარგებლიან დამოკიდებულებაშია რუსეთთან. ომისა და რევოლუციის ყველა პერიპეტიაში, რომელშიც მსოფლიო ჭაფლული იყო უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, კეთილი გაგება ორ მთავრობას შორის არ შეწყვეტილა“. უთუოდ ამის შედეგი იყო, რომ 1824 წლის აპრილში ამერიკა–რუსეთს შორის გაფორმდა კონვენცია, რომელმაც მოხსნა შეზღუდვები რუსთა ვაჭრობაზე წყნარი ოკეანის აუზში და 10 წლით ორივე სახელმწიფოს ხომალდებს ერთმანეთის ნავსადგურებში შესვლის ნებაც დართო.

1825 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა აშშ მოთხოვეს კუბაზე უარის გარანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში ინტერვენციით იმუქრებოდნენ. ამერიკის მთავრობამ დახმარება თხოვა რუსეთს, რადგან მისი „უპირატესი ძალა იგრძნობა ყველგან ევროპაში, ამერიკასა და აზიაში“. მართლაც, მისი გამოსვლით მოხერხდა ინგლის–საფრანგეთის ინტერვენციის საფრთხის განეიტრალება.

მომდევნო პერიოდში აშშ–რუსეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა. 1826 წელს პრეზიდენტმა ჯონ ადამსმა (1825–1829 წწ) ცადა არტიქრად რუსეთის გამოყენება კანადასთან კონფლიქტში. მართალია, ცარიზმმა ამ აქტს თავი აარიდა–ამით უდაოდ განაწყენებდა ინგლისს, მაგრამ სანაცვლოდ დიდად დაეხმარა თურქეთთან სარგებლიან სავაჭრო შეთანხმების გაფორმებაში. თავის მხრივ აშშ სასურველი პოზიცია დაიკავა რუსეთ–თურქეთის 1826–1828 წლების ომში და ამ უკანასკნელს უარიც კი უთხრა სამხედრო ხომალდების მიყიდვაზე. 1832 წელს ორივე ქვეყანამ დადო სავაჭრო შეთანხმება, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა მათი ეკონომიური თანამშრომლობა.

სხვათაშორის, 30–იან წლებში ამერიკის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა რუსეთთან პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმებას. ეს მისთვის სასარგებლო იყო ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ცარიზმმა თავი შეიკავა. ჩანს, პეტერბურგში რეალურად შეაფასეს ამ

პოლიტიკის უარყოფითი მხარე ინგლისთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამიტომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნესელროდეს სიტყვით ორ ქვეყანას შორის კავშირი მხოლოდ „სავაჭრო ინტერესებით განისაზღვრება“.

1846–1848 წლების ომი მექსიკასთან. XIX საუკუნის 30–40–იან წლებში გაფართოვდა აშშ ექსპანსიონისტური პოლიტიკა სამხრეთით. საქმე ეხებოდა მექსიკის კუთვნილ ტერიტორიებს, რომლებზეც ესახლებოდნენ ამერიკელები. განსაკუთრებით ეს ითქმის ტეხასზე, სადაც უკვე 1836 წლისათვის ცხოვრობდა 30 ათასი ამერიკელი მოახალშენე. 1829 წელს მექსიკის მთავრობამ ოფიციალურად გააუქმა მონობა, მაგრამ ტეხასელმა ამერიკელებმა შეძლეს მისი მოქმედების სფეროდან ამ ოლქის გამოყვანა. კიდევ მეტი, 1836 წელს ტეხასმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. მექსიკა ამას წინ აღუდგა, მაგრამ საქმეში ჩაერია აშშ. მართალია, ამ უკანასკნელს სურდა ტეხასის შეერთება (აქაური ამერიკელებიც ამას ითხოვდნენ), მაგრამ მოერიდა იმ პირობებში მდგომარეობის გართულებას და მხოლოდ ტეხასის დამოუკიდებლობის ცნობით დაკმაყოფილდა. ეს ფაქტი მექსიკის კუთვნილი ტერიტორიის აშკარა ხელყოფას ნიშნავდა. ამას მოჰყვა დაინტერესება ორეგონით და კალიფორნიით. ყურადღებას განსაკუთრებით ეას უკანასკნელი იპყრობდა, რადგან 1842–1844 წლებში ფრემონტის ექსპედიციამ იქ მნიშვნელოვანი წიაღისეული სიმდიდრეები აღმოაჩინა. აშშ მთავრობამ თხოვა მექსიკას მიეყიდა მისთვის კალიფორნია, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია და მაშინ ომით მოინდომა მისი მიტაცება. საამისოდ გამოყენებული იქნა სასაზღვრო ინციდენტი მდინარე რიო–გრანდეს რაიონში, რის გამოც ამერიკის კონგრესმა 1846 წლის მაისში ომი გამოუცხადა მექსიკას.

ომის დაწყების შესახებ ცნობა ჯერ კიდევ არ იყო მისული კალიფორნიაში, როცა იქ აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა განდევნეს ადგილობრივი ხელისუფლება და ვაშინგტონს მიმართეს თხოვნით მიეღოთ აშშ შემადგენლობაში როგორც შტატი. ამასობაში საომარი მოქმედება მექსიკასთან

გაფართოვდა. 1847 წლის აგვისტოში ამერიკელთა არმია მიადგა მეხიკოს და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ აიღო კიდეც. 1848 წლის 2 თებერვალს ომი დასრულდა. გაფორმებული ზავით მექსიკამ დაკარგა კალიფორნია, არიზონა, ახალი მექსიკა და ტეხასი ე.ი. კუთვნილი ტერიტორიის 50%, თუმცა ამის სანაცვლოდ აშშ მთავრობისაგან მიიღო 15 მილიონი დოლარი. საქმე არც ამით დამთავრებულა, რადგან 1852 წელს ამერიკელებმა 10 მილიონ დოლარად შეიყიდეს, სინამდვიოეში კი მექსიკას ძალით წაართვეს რიო–გრანდესა და კოლორადოს შორის მდებარე ვრცელი მიწა–წყალი. მაშასადამე, აშშ, მარტო 40–იან წლებში, შეიძინა 1.104 ათას კვ. მილზე მეტი ფართობი. ამის შედეგად ქვეყნის ტერიტორიის სიდიდემ 3027 ათას კვ.მილს გადააჭარბა, რაც 3,5–ჯერ აღემატებოდა სახელმწიფოს 70 წლის წინანდელ საზღვარს.

ლექცია VI
ევროპა ნაპოლეონის ომების პერიოდში (2 სთ.)

1. საფრანგეთი

9 თერმიდორის გადატრიალების ხასიათი. 9 თერმიდორის გადატრიალება აშკარად კონტყევოლუციური ხასიათის იყო. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა ფეოდალურ–აბსოლუტური ძალების გამარჯვებას, რადგან გადატრიალების შედეგად ხელისუფლებას სათავეში მოექცა ისევ მსხვილი ბურჟუაზია. მაშასადამე, როცა ვხმარობთ ტერმინს „კონტრრევოლუციას“, მის ქვეშ ვგულისხმობთ კონტრრევოლუციას თვით ბურჟუაზიული რევოლუციის სფეროში, რაც ნიშნავდა ამ რევოლუციის ბურჟუაზიულ–დემოკრატიული განვითარების შეწყვეტას და ამიერიდან აღმავალი ხაზის დაღმავალით შეცვლას. ასე, რომ 1794 წელს საფრანგეთის რევოლუციის დამთავრების წელი კი არ იყო,[26] არამედ დასასრულის მხოლოდ დასაწყისი. და მართლაც, დაღმავალი გზით სვლას იგი განაგრძობდა 1799 წლის 9 ნოემბრის (18 ბრიუმერის) გადატრიალებამდე, როცა ნაპოლეონ ბონაპარტემ ხელთ იგდო ძალაუფლება და ხალხისათვის გამოქვეყნებულ პირველსავე მოწოდებაში აღნიშნა „რევოლუცია დამთავრდებულიაო დღესაც“. ასე, რომ, 9 თერმიდორს, „ბურჟუაზიულ–კონტრრევოლუციური გადატრიალებაც“ უნდა უწოდებენ.[27]

აღნიშნული გადატრიალების შეფასებისას უნდა იქნას გათვალისწინებული ამ მოვლენის ეკონომიური და პოლიტიკური მხარე. თუ ეკონომიური თვალსაზრისით განვიხილავთ იაკობინელთა დაცემას, მაშინ 9 თერმიდორის გადატრიალება შეიძლება პროგრესულად მივიჩნიოთ. პროფ. გ.კიღურაძე სწორად შენიშნავს: „იაკობინთა ეგალიტარიზმი, ანუ კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში ქონებრივი უთანასწორობის მოსპობა, თავისთავად განუხორციელებელი

[26] Новая история, ч. I, М., 1963, с. 162.

[27] გ.კიღურაძე, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, თსუ. შრომები, ტ. 107, თბ., 1964, გვ. 226.

ოცნება იყო და არ პასუხობდა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი განვითარების რეალურ კანონებს. იაკობინებს საკუთრების შეზღუდვა სურდათ, მაშინ როცა ისტორიის ლოგიკა საკუთრების სრულ თავისუფლებასა და შეუზღუდველობას ითვალისწინებდა, იაკობინებს არ ესმოდათ წვრილი საკუთრების მსხვილ საკუთრებაში გადაზრდის კანონი. იაკობინებს ვაჭრობის შეზღუდვა სურდათ, მაშინ როცა ისტორიის ლოგიკა დღის წესრიგში ვაჭრობის სრულ თავისუფლებას აყენებდა. იაკონინებს ადამიანის ზედმეტი გამდიდრების შეჩერება სურდათ, მაშინ როდესაც „გამდიდრება“ ბურჟუაზიული საზოგადოების ლოგიკური განვითარების ერთ–ერთი ძირითადი ტენდენცია იყო“, ასე რომ „იაკობინთა დამარცხების შემდეგ ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი ეკონომიური განვითარების რეალურ ჩარჩოებში მოექცა“. პოლიტიკურის მხრივ კი 9 თერმიდორის გადატრიალება უდაოდ უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგანაც 1793 წლის დემოკრატიული კონსტიტუცია სრულიად მიივიწყეს, ბურჟუაზიულ–დემოკრატიული უფლებებიც ჯერ შეზღუდეს, შემდეგ აღკვეთეს და ქვეყანა საბოლოოდ ნაპოლეონის სამხედრო–პოლიტიკურ დიქტატურამდე მიიყვანეს.[28]

როგორ შეხვდნენ თანამედროვენი იაკობინელების დაცემას? როცა შეპყრობილი რობესპიერი დარბაზიდან გაყავდათ ოპოზიციის ერთ–ერთმა ლიდერმა კოლო დ’ერბუამ განაცხადა: „სამშობლო მიესალმება ჩვენს ენერგიას... ეს იყო აჯანყება ტირანიის წინააღმდეგ. აჯანყება, რომელმაც სამშობლო იხსნა, ისტორიის ფურცლებზე სათანადო ადგილს დაიკავებს“. ცხადია, კოლო დ’ერბუა და სხვა შეთქმულნი „მემარჯვენე” და „მემარცხენე“ ბანაკიდან იყვნენ მსხვილი ბურჟუაზიისა თუ „ნუვორიშების“ წარმომადგენლები, რომლებიც მონტანიარ–იაკობინელების დამხობას, თავიანთი კლასობრივი პოზიციებიდან, „სამშობლოს ხსნად“ თვლიდნენ.

[28] იქვე, გვ. 226.

ამითვე აიხსნება ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეტად უარყოფითი დამოკიდებულება რობესპიერის პიროვნებისადმი. დამხობის შემდეგ მას უწოდებდნენ: „დესპოტს", „უზურპატორს", „სისხლისმსმელ დიქტატორს" და სხვ. ასეთი ეპითეტები რობესპიერს კარგა ხანს შერჩა მომდევნო პერიოდში და დაკანონდა მეცნიერულ ლიტერატურაშიც. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა მინიე მას „ფანატიკური სექტის დიქტატორს", „საშუალო ნიჭით დაჯილდოებულ პატივმოყვარე და ცუდი ხასიათის" ადამიანს უწოდებდა. ფ. მინიეს ეს დახასიათება კი გამონაკლისი როდია. ამის გამოც ჟაკ დიუკლო არსებითად, „საფრანგეთში არ მოიძებნება სხვა პიროვნება, რომელიც ისე ყოფილ ცილისწამებით შეურაცყოფილი, როგორც რობესპიერი"[29]

სხვათაშორის, 9 თერმიდორის გადატრიალებას და რობესპიერის დამხობას თავდაპირველად სიხარულით შეხვდა რევოლუციონერი ბაბეფიც, თუმცა მალე დარწმუნდა თავის შეცდომაში. 1796 წლის თებერვალში იგი ჟოზეფ ბოდსენს კიდეც წერდა: „ძალიან გულმოსული ვარ საკუთარ თავზე იმის გამო, რომ ოდესღაც აუგათ ვიხსენებდი... რევოლუციურ მთავრობას, რობესპიერს, სენ–ჟიუსტს და სხვ. მე მიმაჩნია, რომ ეს ადამიანები გაცილებით მეტს ფასობდნენ, ვიდრე ყველა სხვა რევოლუციონერი ერთად აღებული... არ ვეთანხმები იმაში, რომ მათ დიდი დანაშაული ჩაიდინეს და მრავალი რევოლუციონერი დაღუპეს. მსხვერპლი, ვფიქრობ, არც ისე დიდი იყო... უმეტესობა მაინც თერმიდორულმა რეაქციამ გაანადგურა... საშუალო ნიჭით დაჯილდოებული და გზააბნეული ადამიანები, რომლებიც დიდებისაკენ სწრაფვოდნენ და პატივმოყვარეობით იყვნენ აღვსილნი, ვთქვათ ისეთი, როგორიც შომეტი იყო, რობესპიერს შეეძლო მიეჩნია ისეთ პირებად, რომელთაც მისთვის ქვეყნის საჭირო ხელიდან გამოცლა სურდათ. ვინც ხედავდა, რომ თუნდაც კეთილი განზრახვით მოქმედი ეს სასაცილო მეტოქეები ყველაფერს

[29] Ж.Дюкло, Ленин и уроки французской истории., «Французский ежегодник

გააფუჭებდნენ... მას შეეძლო ეთქვა: მოვიშოროთ ეს მაბეზარა გნომები და ამ შემთხვევაში იგი სწორად იქცეოდა. 25 მილიონი ადამიანის ბედი არ უნდა იყოს დამოკიდებული რამდენიმე საეჭვო ადამიანის მოქმედებაზე, სულერთია ვინ იქნებიან ისინი: რეგვენები თუ გაიძვერები, პატივმოყვარენი თუ მედიდურნი... ყველაფერი ეს კარგად ესმოდა რობესპიერს და თუნდაც მხოლოდ ეს მაძლევს უფლებას აღტაცებული ვიყო მისი პიროვნებით; ეს მაიძულებს მასში გენიოსი დავინახო". დაბოლოს, აჯამებდა რა ზემოთქმულს, ბაბეფი წერდა: „რობესპიერიზმი ეს დემოკრატიაა და ეს ორი სიტყვა შეესაბამება ერთმანეთს".[30]

ასეთი შეფასება წარმოადგენას გვაძლევს რობესპიერის არა მარტო პიროვნებაზე, რომლის ძლიერი და სუსტი მხარეები ასე კარგადაა შეფასებული ისტიორიოგრაფიაში,[31] არამედ იმ დიდ როლზე, რაც მან შეასრულა რევოლუციის კულმინაციურ წერტილზე აყვანისა და საერთოდ მომდევნო პერიოდის დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის. და მართლაც, გილიოტინასთან მდგომი რობესპიერის აჩრდილი კარგა ხანს შიშს გვრიდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ზედა ფენას.

თერმიდორული რეაქცია. ხელისუფლების სათავეში მსხვილი ბურჟუაზიის დაბრუნება რეპრესიებით აღინიშნა. თერმიდორელებმა დაამსხვრიეს რევოლუციურ–დემოკრატიული დიქტატურის სახელმწიფოებრივი აპარატი, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს წაართვეს ადრინდელი ფუნქციები და უფლებები, შეცვალეს მისი შემადგენლობაც, გააუქმეს პარიზის კომუნა და რევოლუციური მთავრობის მასობრივი ორგანიზაციები – სახალხო საზოგადოებები და რევოლუციური კომიტეტები. იმავე წლის ნოემბერში ჯერ დაარბიეს, შემდეგ კი დახურეს იაკობინელთა კლუბი. საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს კონტრრევოლუციონერები. დეკემბერში კი კონვენტში დააბრუნეს გილიოტინას გადარჩენილი ჟირონდისტი

1958», М., 1958, с.21.

[30].Далин В., Робеспиер и Бабеф, Новая и новейшая история, №6, 1958, с. 96.

[31].Манфред А., Очерки истории Франции XVIII-XIX в., М., 1966, с. 59-188.

დეპუტატებიც. თერმიდორელებმა შეუტიეს იაკობინური კონვენტის სოციალ–ეკონომიურ კანონმდებლობასაც. სპეკულაციის შემზღუდავი დეკრეტები უარყვეს, ოფიციალურად გააუქმეს „მაქსიმუმი“. ვაჭრობის თავისუფლებამ კი, რაც სასარგებლო იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის, გააჩანაგა მუშები, წვრილი ხელოსნები, საერთოდ ქალაქისა და სოფლის ღარიბობა. ქვეყანაში არნახულად განვითარდა ხაზინის ქურდობა და მექრთამეობა. ერთი სიტყვით, როგორც შენიშნავდნენ, დაიწყო ნამდვილი ბურჟუაზიული ორგია“.

ასეთ მდგომარეობას გაწამებულმა პარიზის მშრომელმა მოსახლეობამ ორგზის აჯანყებით უპასუხა. 1795 წლის 1 აპრილს (12 ჟერმინალს) დედაქალაქის ქუჩებში დაიწყო მუშათა შეიარაღებული დემონსტრაციები. ისინი შეიჭრნენ კონვენტის შენობაში და მოითხოვეს „პური“, 1793 წლის კონსტიტუცია და პატრიოტების განთავისუფლება!“ თერმიდორელებმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ მათი დაკმაყოფილება არ უცდიათ და საშველად ჯარს მოუხმეს. მეორე დღეს აჯანყებული ხალხი გაჰფანტეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა. რომ რევოლუცია დაღმავალი ხაზით მიდიოდა, რის გამოც აჯანყებულებს არ ჰყავდათ ცნობილი და პოპულარული ხელმძღვანელი, რომელიც დროშად გამოდგებოდა და ხალხს გაიყოლიებდა.

ამ გამოსვლის შემდეგ თერმიდორულმა კონვენტმა კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. პარიზში დამატებით შემოიყვანეს ჯარის ერთგული ნაწილები, ბურჟუების სპეციალური შვილებისაგან ე.წ. „ოქროს დარდიმანდი ახალგაზრდებისაგან“ შექმნილი რაზმები. დააპატიმრეს და კოლონიებში გაასახლეს რობესპიერის დამხობის ხელმძღვანელები (ბილო–ვარენი, ბარენი, ვადიე, რიუანი და სხვ.), რომლებიც ახლა, როგორც ჩანს, ნანობდნენ 9 თერმიდორის გადატრიალების ორგანიზებას. კონვენტს არ უზრუნვია სასურსათო კრიზისის აღკვეთაზე და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. პური 2–ჯერ და მეტად გაძვირდა. მოსახლეობა აშკარად შიმშილობდა.

ვითარება აუტანელი გახდა და 1795 წლის 20 მაისს (1 პრერიალს) ხალხიც აღდგა. ქუჩებში გაჩნდა პროკლამაციები, რომლებშიც აჯანყებულთა მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული: პური, 1793 წლის კონსტიტუციის დაუყოვნებლივ შესვლა მოქმედებაში, მთავრობის გადადგომა და დაპატიმრებული პატრიოტების განთავისუფლება. ხალხი შეიჭრა კონვენტში, სადაც მოჰკლა პირველივე შემხვედრი დეპუტატი ფერო. აჯანყებულებმა განაიარაღეს გენ. კილმენის 1200 კაციანი რაზმი, ხელთ იგდეს ზარბაზნები, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. კონვენტმა ხალხის წინააღმდეგ დასძრა მთელი არმია გენ. მენუს ხელმძღვანელობით და ალყა შემოარტყა აჯანყების ცენტრს სენტ–ანტუანის მუშათა უბანს. ძალები აშკარად უთანასწორო იყო და აჯანყებულებიც დანებდნენ. მოძრაობა დამარცხდა, რაც მისი არაორგანიზებულობის შედეგი იყო. ამასთან ხალხს არ ჰყავდა ერთიანი ხელმძღვანელობა, არ გააჩნდა პროვინციების მხარდაჭერა, რადგან აჯანყება პარიზს არ გასცილებია. სამაგიეროდ ეს ფაქტი, თერმიდორელებმა კარგად გამოიყენეს ახალი რეპრესიებისათვის. დაუყოვნებლივ დააპატიმრეს ე.წ. „უკანასკნელი მონტანიარებიც“ ანუ კონვენტში შემორჩენილი 13 იაკობინელი დეპუტატი (გუჟონი, დიურუა, ფორესტიე, დიუკენაუ და სხვ.), რომლებიც თანაუგრძნობდნენ მოძრაობას. 17 ივნისს ისინი წარსდგნენ სამხედრო ტრიბუნალის წინაშე. მათ გილიოტინით დასჯა მიუსაჯეს. განაჩენს იაკობინელები მამაცურად და თავისებური პროტესტით შეხვდნენ. რომმა გულში დაიცა ხანჯალი და იგი გუჟონს გადააწოდა. გუჟონმა გაიმეორა მეგობრის მაგალითი და ხანჯალი დიუკენაუს გადასცა. სანამ ბადრაგი შეამჩნევდა და მიუსწრებდა, ამავე ხანჯლით მოინდომეს თვითმკვლელობა დიურეამ, ბურბოტმა და სუბრანმა, მაგრამ ამ სამის ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და გასისხლიანებულნი სხვა თანამშრომლებთან ერთად გილიოტინაზე აიყვანეს. ამ ტრაგიკულმა სიკვდილმა შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე, განსაკუთრებით პროლეტარიატზე, რომელიც თითქოს დროებით ჩამოშორდა მოძრაობას და როგორღაც

ინდეფერენტულად შესცქეროდა პოლიტიკურ ამბიციებს ხელისუფლების სათავეში.

ცნობილია, რომ იაკობინელებმა კარდინალური სამხედრო რეფორმები განახორციელეს და შექმნეს პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი შესანიშნავი არმია. ფლერიუსესთან გამარჯვება (1794 წლის 26 ივნისი) ამ რეფორმების ერთი შედეგი იყო. მთლიანად მისი ნაყოფი კი თერმიდორულმა კონვენტმა მოიმკა. ამით აიხსნება, რომ საშინაო ცხოვრების მოუწესრიგებლობის მიუხედავად 1794–1795 წლებში რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა ბრეტანში გადმომსხდარ როიალისტებთან, განსაკუთრებით კი ინტერვენციის მონაწილე სახელმწიფოებთან ბრძოლაში. გენ. პიშეგრიუმ დაიპყრო ბოლანდია და 1795 წლის 16 მაისს მისგან შექმნა ე.წ. ბატავის რესპუბლიკა სახელი დაერქვა ბატავის ტომებისაგან, რომლებიც ძველად სახლობდნენ ჰოლანდიაში), რომელმაც ომი გამოუცხადა ინგლისს. მალე პრუსიამ შეწყვიტა ომი საფრანგეთთან და 5 აპრილს ბაზელში შეთანხმებაც გააფორმა. ამიერიდან პრუსია ცნობდა რესპუბლიკის მიერ რეინის მარცხენა სანაპიროზე არსებული მიწების შეერთებას, სამაგიეროდ კი მას უნდა შეეჩერებინა ლაშქრობა ჩრდილოეთ–დასავლეთი გერმანიის წინააღმდეგ იმავე წლის ივლისში საფრანგეთს დაუზავდა ესპანეთიც, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა რესპუბლიკის მდგომარეობა. მართალია ინგლისი და ავსტრია ჯერ–ჯერობით კვლავ აგრძელებდნენ ომს, მაგრამ რაიმე არსებითის გაკეთება უკვე აღარ შეეძლოთ.

დემოკრატიული მოძრაობის დათრგუნვის, როიალისტებისა და ინტერვენციის განადგურების შემდეგ თერმიდორულმა ბურჟუაზიამ დაიწყო მზადება თავისი პოლიტიკური ბატონობის იურიდიული გაფორმებისათვის. დიდი ყურადღება მიექცა ახალი, ე.წ. რესპუბლიკის III წლის კონსტიტუციის შემუშავებას, რაც კონვენტის წევრს დონონს დაევალა. 1795 წლის აგვისტოსათვის პროექტი უკვე მზად იყო და თერმიდორელებმაც იჩქარეს მისი დამტკიცებაც. ახალი კონსტიტუცია, მართალია აკანონებდა რესპუბლიკურ წყობას,

მაგრამ 1793 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით აუქმებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. ამიერიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ გადასახადების აქტიურ გადამხდელთ. დაწესდა ასაკობრივი ცენზიც (25 წელი), აიკრძალა სახალხო საზოგადოებები და საჯარო კრებები, რაც არსებითად ბურჟუაზიულ–დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარზე – სიტყვის, კრების და დემონსტრაციების თავისუფლებაზე იერიშის მიტანას გულისხმობდა. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეძლეოდა საკანონმდებლო კორპუსს. იგი ორ პალატიანი იქნებოდა (ამ მხრივ ახალი კონსტიტუცია 1791 წლის კონსტიტუციასაც ჩამორჩებოდა, რადგან ეს უკანასკნელი მმართველობის ერთპალატიან სისტემას ითვალისწინებდა). ქვედა პალატა იყო ე.წ. ხუთასთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებდა კანონებს და დასამტკიცებლად წარადგენდა ზედა პალატაში, ანუ უხუცესთა საბჭოში (იგი 250 წევრს მოითვლიდა). აღმასრულებელ ხელისუფლებას ქვეყანაში წარმოადგენდა ე.წ. „დირექტორია“, რომელიც ხუთი წევრისაგან, იგივე დირექტორისაგან შედგებოდა. დირექტორია პასუხისმგებელი იყო საკანონმდებლო კორპუსის წინაშე. კონსტიტუცია აწესებდა დირექტორიის წევრთა ყოველწლიურ მონაცვლეობას. ცალკეულ დარგებს უხელმძღვანელებდნენ მინისტრები, რომლებიც ანგარიშვალდებულები იყვნენ დირექტორიის წინაშე.

კონსტიტუციამ იურიდიულად განამტკიცა მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა. ამიტომ მან მოსახლეობის სხვადასხვა წრეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განაწყენებულნი დარჩნენ როიალისტები, რომლებიც ძალიან ბევრს ელოდნენ ამ დოკუმენტისაგან – მონარქიის რესტავრაციის თუ არა პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით მაინც. ასეთ ილუზიას მათდამი ქმნიდა თერმიდორული კონვენტის ლოიალური დამოკიდებულება, რაც ცხადია თვით მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამიტომ 1795 წლის 5 ოქტომბერს (13 ვანდემიერს), არჩევნებამდე

ერთი კვირით ადრე როიალისტებმა ემიგრანტი გენერლის დანიკანის წინამძღოლობით პარიზში დიდი აჯანყება მოაწყვეს. მასში 20 ათასამდე მეტი კაცი მონაწილეობდა. პარიზის 48 სექციიდან 44 მოძრაობას მიემხრო. კონვენტი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ იგი იხსნა ნაპოლენ ბონაპარტმა.[32] ბრასის წინადადებით კონვენტის ერთგულ 7 ათასიან რაზმს უსარდლეს ნაპოლეონი, რომელიც 9 თერმიდორის გადატრიალების შემდეგ, რობესპიერისადმი თანაგრძნობის გამო, არმიიდან თადარიგში იყო გაშვებული. იგი ენერგიულად შეუდგა მოვალეობის აღსრულებას და არტილერიის ცეცხლით იმავე დღეს აუღელვებლად დახვრიტა როიალისტები, შემდეგ კი გადავიდა ხიშტით იერიშზე და მათი რაზმები გაფანტა. გამარჯვება კონვენტს დარჩა. როიალისტების ზარალი მეტად დიდი იყო და ამის შემდეგ მათ კარგა ხანს აღარ უფიქრიათ პარიზში აჯანყების ორგანიზება. ამით მსხვილმა ბურჟუაზიამ განიმტკიცა ბატონობა. გულდასაწყვეტილი არც ნაპოლეონი დარჩა. ბურჟუაზიამ მასში თავისი ინტერესების დიდი დამცველი და მიზნების შესანიშნავი განმხორციელებელი დაინახა და იმავე ბარასის წინადადებით იგი ზურგის სამხედრო ძალების მთავარსარდლად დანიშნა.

აჯანყების შემდეგ არჩევნებს წინ აღარაფერი ეღობებოდა. მართლაც, მალე აირჩიეს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები – საკანონმდებლო კორპუსის ორივე პალატა, მთავრობა–დირექტორია (ბარასი, რავბელი, ლიარეველიერ–ლეპო, ლეტურნერი და კარნო) და 25 ოქტომბრის დეკრეტით კონვენტმა თავი დაშლილად გამოაცხადა. დაიწყო დირექტორიის მმართველობის პერიოდი, რომელიც 1795 წლის ოქტომბრიდან 1799 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა.

<u>დირექტორიის საშინაო პოლიტიკა. ბაბეფის შეთქმულება.</u> დირექტორიამ (რესპუბლიკის მთავარი დირექტორი იყო ბარასი) გზა გაუხსნა მსხვილი ბურჟუაზიის განუსაზღვრელ

[32] Тарле Е., Наполеон, М., 1957.

ბატონობას. ქვეყანაში არნახულად განვითარდა სპეკულაცია, რამაც მდგომარეობა მეტად დაამძიმა. ინფლაციის გაძლიერებამ, ასიგნების კურსის დაცემამ და ფასების განუხრელმა ზრდამ მოსახლეობის პლებეური მასის, ამოძრავება გამოიწვია. სანკიულოტები ახლა სულ უფრო ხშირად იგონებდნენ იაკობინელთა დიქტატურას და ეძიებდნენ გზებს არსებული საზოგადოებრივი უბედურების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მოსახლეობის ამ ნაწილის სოციალური მისწრაფებების გამომხატველი გახდა ფრანსუა–ნოელ ბაბეფი (1760–1797), რომელმაც ოფიციალურად დაირქვა ძველი რომაელი რეფორმატორის გრახკუსის სახელი. ღარიბი მიწის მთხრელის წვილი იგი იძულებული გახდა ადრევე მიეტოვებინა ოჯახი და საკუთარი დღიური შრომით ერჩინა თავი. კარგა ხანს მუშაობდა მიწის მზომლად, რის გამო შესანიშნავად გაეცნო მშრომელთა ცხოვრებას. ამით აიხსნება, რომ ბაბეფი პირველივე დღეს მიემხრო რევოლუციას და „თავისუფლების პროპაგანდისტი და ჩაგრულთა დამცველი“ გახდა. კერძოდ იყო მიწაზე კერძო საკუთრების მოწინააღმდეგე და მოითხოვდა ე.წ. „ნაციონალური სიმდიდრის” ფონდიდან მიწების არა გაყიდვას, არამედ გრძელვადიან არენდის სახით გლეხებისათვის გადაცემას. „მეტისმეტად საშიში შეხედულებისათვის” 1790 წელს იგი დააპატიმრეს, მაგრამ მარატის წყალობით განთავისუფლდა. 1793 წლის გაზაფხულზე ბაბეფმა შეადგინა დოკუმენტი „სანკიულოტთა კანონმდებლობა“, რომელსაც მისი აზრით უნდა უზრუნველეყო სრული თანასწორობა“. 1795 წელს თერმიდორელებმა იგი კვლავ დააპატიმრეს. საპყრობილეში გრაკხუს ბაბეფმა თავის გარშემო შემოიკრიბა იტალიელი რევოლუციონერი ფილიპე ბუონაროტი, დარტე და სხვ. და დაიწყო იდეების პროპაგანდა და ახალი რევოლუციური გადატრიალებისათვის პრაქტიკული მზადება. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, კერძოდ 1796 წლის დამდეგს, ბაბეფმა და მისმა თანამოაზრეებმა –შექმნეს „საზოგადოებრივი ხსნის საიდუმლო დირექტორია“, რომელიც ცნობილია უფრო „თანასწორთა შეთქმულების”

სახელწოდებით. მისი მიზანი სიტყვით, იყო „შეუზღუდველი თანასწორობა და მაქსიმალური ბედნიერება ყველასათვის (ფ.ბაბეფი)“.

ბაბეფი და ბაბეფისტები თვლიდნენ, რომ სრული თანასწორობა განხორციელდება მხოლოდ კომუნიზმის[33] დროს. კომუნისტური საზოგადოება მათ ესახებოდათ კერძო საკუთრების გარეშე დაფუძნებული თანაბარი განაწილების პრინციპზე. მათვე წამოაყენეს მისი პრაქტიკული განხორციელების გზები. ეს იყო ძალდატანებითი რევოლუციური გადატრიალების მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მშრომელთა დიქტატურის დამყარება. ბაბეფისტების აზრით, დირექტორიის დამხობის შემდეგ ახალ ხელისუფლებას უპირველესად უნდა ეზრუნა სურსათით უფასოდ ხალხის მომარაგებისათვის, ლომბარდებში დაგირავებული ნივთების მოქალაქეთათვის უსასყიდლოდ დაბრუნებისათვის, მდიდართა კონფისკებულ ბინებში ღარიბთა ოჯახების შესახლებისათვის, რომელთა საფუძველზეც შემდეგ, თანდათანობით, შესაძლებელი იქნებოდა ძირითადი – კომუნიზმის განხორციელება. იგულისხმება, რომ ამ დროს კერძო საკუთრება მთლიანად მოისპობოდა, დაწესდებოდა მეურნეობის ერთობლივი გაძღოლა და დაკანონდებოდა სავალდებულო შრომაც. ახალ საზოგადოებაში გაუქმდებოდა ფული, სამაგიეროდ შეიქმნებოდა სპეციალური სასურსათო ადმინისტრაცია, რომელიც აღრიცხავდა რა ყველა მუშაკს და ნატურალურ შენატანს, თანაბრად გაანაწილებდა მატერიალურ დოვლათს. ამის მიუხედავად, ბაბეფისტებს ახასიათებდათ შეზღუდულობა. ისინი, მართალია, მოითხოვდნენ დიქტატურას, მაგრამ ამაში იგულისხმებოდა არა პროლეტარული, არამედ

[33] სიტყვა კომუნიზმი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს საერთოს, საზოგადოს. ამ სახელწოდებით აღნიშნავდნენ ისეთ საზოგადოებას, სადაც ერთობა სუფევს და ყველაფერი საზოგადოა, ადრინდელი კომუნიზმი „ქადაგებდა საერთო ასკეტიზმს და ტლანქ თანასწორობას“.

ზოგადადმშრომელებისას. რა თქმა უნდა, ეს საფრანგეთის სოციალ–ეკონომიური ცხოვრების განუვითარებლობის შედეგი იყო, რადგან მანქანური ინდუსტრია ის–ის იყო დგამდა პირველ ნაბიჯებს და მაშასადამე, ქვეყანაში არ არსებობდა სამრეწველო პროლეტარიატი.

1796 წელს ბაბეფმა და ბაბეფისტებმა ცადეს აჯანყება ბრძოლის დაწყებისთანავე იარაღით გამოვიდოდა 17 ათასი მომხრე, მაგრამ გამოსვლა არ მოეწყო, იგი გასცა მთავრობის მიერ სპეციალურად შეგზანილმა პროვოკატორმა ვინმე გრიზელმა. მანვე მიუთითა ბაბეფისა და სხვა ხელმძღვანელების ადგილსამყოფელზე. 10 მაისს ისინი (ბაბეფი, ბუონაროტი, დარტე, დრუე, ჟერმენი...) დააპატიმრეს, თუმცა ზოგმა მაინც მოახერხა გაქცევა და 9 სექტემბერს დაიწყეს აჯანყებაც. 700–მდე ცუდად შეიარაღებული დემოკრატი გრენელის ველზე დაბანაკებული ჯარის ნაწილებისაკენ გაემართა. უკანასკნელები თანაგრძნობით შეხვდნენ ამბოხებულებს, დაიწყო დაძმობილება, მაგრამ როტმისტრმა გალომ კავალერიის დახმარებით შეძლო მათი გარეკვა. სრულიად არაორგანიზებული და გაუმართლებელი გამოსვლა დამარცხდა. 86 აქტიური მონაწილე გაასამართლეს, 31 დახვრეტა მიუსაჯეს. ამ გარემოებამ გადაწყვიტა შეპყრობილი ბაბეფისა და სხვა ხელმძღვანელების ბედიც. 1797 წლის თებერვალში ისინი გაასამართლეს. ბაბეფს და დარტეს მიუსაჯეს გილიოტინით სიკვდილი, ხოლო ბუონაროტის, ჟერმენს და კიდევ ხუთ ბაბეფისტს – გადასახლება. ბაბეფი და დარტე მამაცურად და თავისებური პროტესტით შეხვდნენ განაჩენს. მისი წაკითხვისთანავე მათ ცადეს ხანჯლით ერთმანეთის განგმირვა, მაგრამ სასიკვდილო ჭრილობის მიყენება ვერ შეძლეს და გასისხლიანებულებს მაინც მოუხდათ გილიოტინაზე ასვლა.

ამრიგად, ბაბეფიზმი დამარცხდა. სხვანაირად არ შეიძლებოდა, რადგან მაშინდელი კომუნიზმი თავისთავად ძალზე პრიმიტიული და ზერელე იყო. ამის მიუხედავად ბაბეფის მოღვაწეობის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

სწორედ მისი შეთქმულებით დაიწყო პრაქტიკული მოძრაობა კომუნიზმისათვის, რაც შემდგომ განავითარეს XIX ს.-ის 30–40–იანი წლების რევოლუციონერებმა ოგიუსტენ ბლანკმა, დეზამმა და სხვ..

ბაბეფისტების განადგურებამ მნიშვნელოვნად დააზარალა დემოკრატიული მოძრაობა, სამაგიეროდ ფრთები შეასხა როიალისტებს, რომლებმაც 1797 წლის არჩევნებში შეძლეს საკანონმდებლო ორგანოებში თავიანთი დეპუტატების გაყვანა. სახელმწიფო აპარატში მონარქისტების მოკალათებას, ადრე თუ გვიან, შედეგად უნდა მოჰყოლოდა გადატრიალება. ამიტომ დემოკრატიულად განწყობილი რესპუბლიკელების ზეგავლენით დირექტორიამ დაიწყო მოქმედება და იმავე წლის 3 სექტემბერს (17 ფრიუქტიდორს) დააპატიმრა ეჭვმიტანილი დეპუტატები, ხოლო მეორე დღეს გააუქმა 106 დეპუტატის მანდატი, დანიშნა რა მათ ადგილზე ახალი არჩევნები. დირექტორიამ დაადგინა აგრეთვე მონარქისტების გასახლება კოლონიებში და ბრძოლის გაძლიერება მონარქისტული პროპაგანდის წინააღმდეგ.

ებრძოდა რა როიალისტებს, დირექტორია დასაყრდენს ეძებდა მოპირდაპირე ბანაკში, დემოკრატ–რესპუბლიკელებთან, გადარჩენილ იაკობინელებთან. კმაროდა რეპრესიული რეჟიმის ოდნავი შემსუბუქება, რომ დემოკრატიულ ძალებს სერიოზული გავლენა მოეპოვებინათ. ასე იყო გაუქმებული მანდატების არჩევნების დროსაც. დეპუტატებს შორის არჩეული აღმოჩნდნენ იაკობინელთა დიქტატურის დროინდელი მოღვაწენიც. ამ გარემოებამ დირექტორია დააშინა. ახლა იგი მარჯვნივ გადაიხარა და 1798 წლის 11 მაისს (22 ფლორეალს) მიიღო დადგენილება დემოკრატი–დეპუტატების არჩევის ანულირების შესახებ. მართალია, თავის გადასვლას მარცხნივ და ხან მარჯვნივ დირექტორია ასაბუთებდა „საშუალო ხაზის" პოლიტიკით, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ მას მტკიცე და თანმიმდევრული მოქმედება არ ახასიათებდა. კიდეც ამიტომ თანამედროვეებმა დირექტორიის პოლიტიკას „რყევების პოლიტიკა" უწოდეს. ეს ფაქტი ამ ორგანოს აშკარა სისუსტეზე მეტყველებდა. ამით აიხსნება, რომ უკმაყოფილო მსხვილი

ბურჟუაზია უკვე 1798 წლიდან ახალი მტკიცე მთავრობის შექმნის გზებს ეძებდა.

დირექტორიის საგარეო პოლიტიკა. ლაშქრობა იტალიასა და ეგვიპტეში. მოპირდაპირე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის უპრინციპო ლავირების პოლიტიკას რამდენადმე ანაზღაურებდა წარმატებები ფრონტებზე. მართალია, 1793–1794 წლების ენთუზიაზმი თანდათან იფერფლებოდა, მაგრამ მოწინავე ტაქტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე, პირველხარისხოვანი იარაღის გამოყენებით, საფრანგეთის არმია მაინც ახერხებდა გამარჯვებას. 1795 წლის მიწურულს პიშეგრიუმ და ჟურდანმა შეძლეს ქვემო და ზემო რეინის ოლქების გაწმენდა მტრისაგან და ლუქსემბურგის, დიუსელდორფის და სხვა ქალაქების დაპყრობა. გამარჯვებები რამდენადმე დაჩრდილა მარცხმა ინგლისელებთან საზღვაო ბრძოლებში. აქ საფრანგეთის მხარეზე იბრძოდა აგრეთვე ე.წ. ბატავის რესპუბლიკაც, მაგრამ უშედეგოდ. ინგლისელებმა შეძლეს მოკავშირეებისათვის წაერთმია მცირე ანტილიის კუნძულები, ცეილონი და კეთილი იმედის კონცხი.

1796 წლიდან დირექტორიამ რამდენადმე ენერგიულად გააჩაღა ომი ავსტრიის წინააღმდეგ. საფრანგეთმა გამოიყვანა სამი არმია. პირველს უსარდლა ჟურდანი და მიზნად დაუსახა რეინზე გავლით მოქმედება ჩრდილოეთ ავსტრიაში. მეორე არმიას, რომელსაც მორო ხელმძღვანელობდა, ევალებოდა შვაბია–ბავარიაზე გავლით ლაშქრობა ვენაზე. მესამეს მეთაურობდა ნაპოლეონ ბონაპარტე. მას უნდა დაეპყრო ავსტრიის იტალიური სამფლობელოები – ლომბარდია და ტიროლი და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართა მახვილი ვენისაკენ. 31 მარტს სამივე არმიამ დაიწყო საომარი მოქმედება. მართალია ნიჭიერი ჰერცოგი კარლოს ხელმძღვანელობით ავსტრალიელები მამაცურად იბრძოდნენ და მოწინააღმდეგეს რამდენიმე მარცხი აგემეს, მაგრამ ფრანგებმა მაინც გაიმარჯვეს და შეძლეს ფრანგფურტის, მოგვიანებით კი მაინცის აღება. გერმანული სახელმწიფოები პანიკამ მოიცვა. ბადენ–ბადენის, ვიურტემბერგის და შვაბიის მმართველებმა

იჩქარეს საფრანგეთთან შეთანხმების გაფორმება და იკისრეს დიდი კონტრიბუციის გადახდაც. მალე ამავე გზას დაადგა ბავარიის კურფიურსტიც. ომის დასასრული ფრონტის ამ უბანზე თითქოს შორს აღარ იყო, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლებში ვიურცბურგთან და ელტენკირჰენთან ავსტრიელებმა გაიმარჯვეს და თითქმის გააქარწყლეს ფრანგთა მთელი მონაპოვარი რეინსა და გერმანულ სამთავროებში.

რაც შეეხება იტალიურ ფრონტს, იქ ფრანგულ არმიას სარდლობდა 27 წლის გენერალი ნაპოლეონი ბონაპარტე.[34] ეს თანამდებობა მას ბარასმა უძღვნა როგორც საჩუქარი თავის ნათესავზე, გილიოტინირებული გენერლის ბოგარნეს ქვრივზე, ექვსი წლით უფროსზე, მაგრამ შესანიშნავი სილამაზის ქვრივზე ჟოზეფინაზე დაქორწინების გამო. იმ 200 ათასზე მეტ ნაშრომში, რომელიც საერთოდ მიეძღვნა ნაპოლეონს, იტალიის კამპანიის აღწერას დიდი ადგილი უკავია. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან 1796 წლის ამ ლაშქრობამ, ევროპაში დააქუხა ბონაპარტეს სახელი (ეტარლეს), რომელიც დღემდე არ ჩამოსულა მსოფლიო ისტორიის ავანსცენიდან. „შორს მიაბიჯებს ეს ყმაწვილი, დროა მისი ჭკუაზე მოყვანა“ –

[34] ნაპოლეონი მწერლობაშიც ცდიდა, თურმე, კალამს მაგალითად, ახლახან, ლონდონში აუქციონზე გაყიდეს რომანის „კლისინი და ეჟენის“ ხელნაწერის ფურცლები. ევროპის მომავალ დამპყრობს იგი დაუწერია 1705 წელს. სიუჟეტი ავტობიოგრაფიულია, ქალის პროტოტიპია ნაპოლეონის პირველი სიყვარული – ეჟენი დეზირე კლერი. რომანის ხელნაწერის პირველი და ბოლო ნაწილები იპოვნეს 1929 წელს პოლონეთში. ადრე, 1910 წელს კი უპოვნიათ ხელნაწერის ნაკლული ფურცლები და გაუშიფრავთ (სწორედ რომ გაუშიფრავთ, რადგან, ნაპოლეონის ხელი ძნელი გასარჩევია).

ლონდონიური პრესის აზრით ეს რომანი არ უნდა იყოს ნაპოლეონის ერთადერთი ნაწარმოები. ამას ადასტურებს მრავალი შესწორება ხელნაწერზე გულმოდგინე მუშაობის კვალი. ბევრმა არ იცის, რომ ნაპოლეონის ფრთოსან ფრაზას – „ყოველ ფრანგს ჯარისკაცს საველე ჩანთაში უდევს მარშლის კვერთხი“ – ჰქონდა გაგრძელება „და დაუმთავრებელი რომანის ხელნაწერიო“. ნაპოლეონს ასევე ეკუთვნის სამ ტომიანი საისტორიო ნაშრომი „იულიუს კეისარი“.

შენიშნა სუვოროვმა, როცა იტალიაში ნაპოლეონის გამარჯვებების შესახებ შეიტყო.

ცხადია, ნაპოლეონისათვის წარმატებები თავისით არ მოსულან. ბონაპარტმა იგი ჭეშმარიტად სისხლის ფასად მოიპოვა. ძნელი გახდა წესრიგის დამყარება ჯარში, გენერალიტეტის დამორჩილება. მაინც ეს პრობლემა მეტად მწვავედ იდგა. ბრძოლებში გამოჯეჯილ სარდლებს შეურაცყოფადაც მიაჩნდათ 27 წლის თითქმის უცნობი მთავარსარდლისათვის მორჩილება, მაგრამ ნაპოლეონმა ყველას აგრძნობინა რომ ვერ მოთმენდა უბრალო წინააღმდეგობასაც კი. მისი მიმართვა ოჟეროსადმი („გენერალო, თქვენ მთელი თავით მაღალი ხართ ჩემზე, მაგრამ თუ არ დამმორჩილდებით, ამ უპირატესობას დაჰკარგავთ!“) ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივი იყო. სხვათაშორის, დირექტორისადმი გაგზავნილ თითქმის ყველა პატაკში იგი მოკლედ წერდა: „ხშირად მიხდება დახვრეტებიო!“ ასეთი უმკაცრესი საშუალებებით ბონაპარტმა სწრაფად აღადგინა საბრძოლო დისციპლინა, თუმცა ეს არ კმაროდა. საჭირო იყო არმიის გამოკვება და ჩაცმა. უამისოდ წარმატება შეუძლებელი იყო და მთავარსარდალმაც მჭევრმეტყველურად მიმართა ლაშქარს: „ჯარისკაცებო! თქვენ მშივრები და თითქმის ჩაუცმელნი ხართ. მთავრობა დიდ ვალშია თქვენს წინაშე, მაგრამ ახლა მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია... მე წაგიყვან თქვენ მსოფლიოს უნაყოფიერეს ქვეყანაში. თქვენ ნახავთ დიდ ქალაქებსა და დოვლათიან პროვინციებს. თქვენ მოიპოვებთ იქ არა მარტო დიდებას, არამედ სიმდიდრეს. იტალიის არმიის ჯარისკაცებო, ნუთუ არ გექნებათ თქვენ საამისო მამაცობა?“ მართლაც, პირველი გამარჯვებისთანავე ნაპოლეონმა უზრუნველჰყო არმია სურსათით, ტანისამოსით. ჩაცმულ–მაძღარი ჯარისკაცები კი მისი ხელმძღვანელობით სასწაულებს ახდენდნენ.

1796 წლის აპრილში ბონაპარტე შეიჭრა სარდინიის სამეფოში, შემდეგ ჩრდილოეთ იტალიის სხვა სამფლობელოებში და ისინი საფრანგეთს დაუმორჩილა. 10

მაისს დიდი ბრძოლა მოხდა ავსტრიელებთან ლოდთან. ფრანგებმა გაიმარჯვეს და 15 მაისს ხელთ იგდეს მილანი. მომდევნო პერიოდში საომარი მოქმედება კიდევ უფრო გაფართოვდა. 5 აგვისტოს – კასტილიონესთან, 8 სექტემბერს – ბესანოსთან, 17 ნოემბერს – არკოლეს ხიდთან და 1797 წლის 14 იანვარს – რივოლთან გაჩაღებულ ბრძოლებში ნაპოლეონმა პირწმინდად გაანადგურა ავსტრიელები და აიძულა ისინი 1797 წლის 17 ოქტომბერს კამპო–ფორმიოში სამშვიდობო ხელშეკრულება გაეფორმებინა. შეთანხმებით ავსტრიამ იცნო საფრანგეთის მიერ ბელგიის დაპყრობა. მანვე უარი განაცხადა ლომბარდიაზე. ვენეციის რესპუბლიკა გაუქმდა. მისი ტერიტორიების ნაწილი მიიღო ავსტრიამ, ნაწილი საფრანგეთმა. ჩრდილოეთი იტალიისაგან ბონაპარტემ შექმნა ციზალპიისა და ლიგურიის სამეფოები, რომლებიც მთლიანად საფრანგეთის კონტროლს დაუქვემდებარა.

კამპო–ფორმიოს ხელშეკრულებით პირველმა კოალიციამ არსებობა დაასრულა, მაგრამ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ძლიერი ფლოტის წყალობით ინგლისი მაინც განაგრძობდა ბრძოლას. ასეთ პირობებში დირექტორიამ გადაწყვიტა მისთვის უდიდესი კოლონიების წართმევა აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ინდოეთში. და რამდენადაც, ინდოეთისაკენ მიმავალი გზა აფრიკის ჩრდილოეთზე გადიოდა, ამდენად გადაწყდა ლაშქრობა ეგვიპტეზე. ამ ქვეყნის დაპყრობით დირექტორია ვარაუდობდა აგრეთვე აღმოსავლეთში რევოლუციის პერიოდში შერყეული საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებასაც. ამიტომ 1798 წლის 19 ივნისს კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი 30 ათასი ჯარისკაცი ტულონიდან ეგვიპტისაკენ გაისტუმრა, ექსპედიციას ნაპოლეონ ბონაპარტე სარდლობდა.

დესანტის გადასხმა აფრიკაში მეტად რთული და სარისკო საქმე იყო. ხმელთაშუა ზღვაზე მაშინ დომინატობდა ინგლისის ძლიერი ფლოტი ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით. მისთვის ცნობილი იყო ტულონში ფრანგთა დიდი საომარი სამზადისი და ახლა დარტყმის

მიმართულების დადგენას ცდილობდა. ამით ისარგებლა ნაპოლეონმა და გაავრცელა ხმა ინგლისზე ლაშქრობის შესახებ. ნელსონი შეცდა და თავისი ფლოტით გიბრალტარის სრუტე ჩაკეტა. ფრანგებსაც ეს უნდოდათ და 1 ივლისს, ყოველგვარი ზარალის გარეშე, გადასხდნენ ეგვიპტეში ალექსანდრიის მახლობლად. 3 ივლისს ფრანგებმა შეძლეს მისი აღებაც. ამით დაიწყო ნაპოლეონის ლაშქრობა ეგვიპტეში, თუმცა ამ სახელმწიფოსათვის ომი არ გამოუცხადებია.

ეგვიპტე ფორმალურად ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდა, სინამდვილეში კი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მას მამლუქთა ოლიგარქია ხელმძღვანელობდა. მამლუქების როგორც რიგითი შემადგენლობა ისე ხელმძღვანელი კასტა უპირატესად საქართველოდან იყო გასული.[35] XVIII საუკუნის 80–იან წლებში, როცა მამლუქებმა ეგვიპტე აუჯანყეს თურქეთის სულთანს, 18 ხელმძღვანელი ბეიდან 12 ქართველი იყო.[36] ნაპოლეონის ლაშქრობის დროისათვის ეგვიპტელ მამლუქებს წარმოშობით თბილისელი მურად–ბეი და მარტყოფელი იბრეიმ–ბეი (შინჯიკაშვილი) ელ–კებირი ანუ „დიდი“ მეთაურობდათ.

ცხადია, ეგვიპტის დასაპყრობად საჭირო იყო მამლუქების განადგურება. ეს უკანასკნელნი კი აღმოსავლეთში განთქმულ მეომრებს წარმოადგენდნენ. თვით ნაპოლეონი წერდა: „მამლუქები მთელ აღმოსავლეთში აღტაცებისა და შიშის მომგვრელები იყვნენ. მათი მილიცია ჩვენს მისვლამდე უძლეველ ძალად იყო აღიარებული. ამ ერთი მუჭა რჩეული ხალხით, თუ მას ადგილობრივი რეკრუტები დაემატებიან და სურსათ–სანოვაგეც ჯეროვნად ექნებათ, მე არ ვიცი, რა გადამირჩებოდა დაუმარცხებელი და დაუმხობელი“[37]

---

[35] ვ.ბლოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[36].Мачарадзе В, Грузинские документы из истории русско-грузинско-эгипетско-эфилпских отношении 80-х годов XVIII века, Тб., 1957, с. 22-23.

[37] დ.ჯანელიძე, ბ.სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 150.

მამლუქების მამაცობას ბონაპარტემ ფრანგთა დისციპლინა–ორგანიზებულობა და არტილერია დაუპირისპირა და მათი უპირატესობა მნიშვნელოვნად გააქარწყლა. სწორად შენიშნავდა: ორი მამლუქი ბრძოლაში სჯობნიდა სამ ფრანგს, მაგრამ 100 მამლუქი 100 ფრანგს უტოლდებოდა. 300 ფრანგი სძლევდა 300 მამლუქს, ხოლო 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებდა 1500 მამლუქს (ფ.ენგელსი). რაოდენობრივის თვისობრიობაში გადასვლის ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ფრანგთა არმიის საერთო უპირატესობას ძირითადათ ხმლითა და დამბაჩით შეიარაღებულ მამლუქთა ლაშქარზე. მართლაც, პირველსავე შეტაკებებში მათ მარცხი განიცადეს. 21 ივლისს პირამიდებთან, სოფელ ემბაბასთან მოხდა გადამწყვეტი შეტაკება. ფრანგებმა არტილერიის ცეცხლით შეძლეს მამლუქთა გრიგალისებური იერიშების მოგერიება და შემდეგ შეტევაზე გადასვლა. მამლუქები დამარცხდნენ. მოკლულთა სახით 2000–მდე კაცი დაჰკარგეს, ბეიების დიდი ნაწილი დაიჭრა, დაიჭრა მურად ბედიც. ფრანგებს ნადავლის სახით დარჩათ 50 ზარბაზანი, საომარი მასალით დატვირთული 400 აქლემი და სხვა სახის დიდძალი ქონება. თვით ნაპოლეონი აღნიშნავდა: „დახოცილთაგან ერთიც ვერ ვნახეთ, რომ ოქრო–ვერცხლში არ ყოფილიყო ჩაფლული, ყველა მოკლულ მამლუქს აღმოაჩნდა დიდძალი ოქროს ფული–ვის სამასი და ვის კიდევ ხუთასი ლუიდორი“.[38]

ბრძოლის მეორე დღეს ფრანგები ქაიროში შევიდნენ. ბონაპარტემ დემაგოგიური მოწოდებით მიმართა ხალხს თითქოს ქვეყნის დასაპყრობათ კი არ იყო მოსული, არამედ მხოლოდ მამლუქების დასასჯელად. „ეგვიპტელო ხალხო! თქვენი გამგებელი და მჩაგვრელი ბეიების... დასჯის ჟამმა დარეკა. მრავალი საუკუნეა კავკასიასა და საქართველოში ნაყიდი მონების ეს ბრბო ქვეყნიერების უმშვენიერეს ნაწილს აწამებს, მაგრამ ღმერთმა, რომლის ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული, ბრძანა, რომ დადგეს მათი ძალმომრეობის

[38] იქვე, გვ. 151.

აღსასრული“[39] მოსახლეობის გულის მოსაგებად ნაპოლეონი მფარველობდა სხვადასხვა მაჰმადიანურ დღესასწაულებს, თავად ლოცულობდა მეჩეთებში, მაგრამ ამით მხოლოდ გულუბრყვილოთა მოტყუება შეიძლებოდა. ხალხი მალე დარწმუნდა მწარე სინამდვილეში და იარაღს წვდა. ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ გადარჩენილი მამლუქები მურად–ბეისა და იბრეიმ–ბეის ხელმძღვანელობით.

ეგვიპტის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო სირიის დაპყრობა და იქ მოკალათებული მამლუქების განადგურება. ამიტომ ეგვიპტის საქმეების მოწერიგების შემდეგ 1799 წლის თებერვალში, ნაპოლეონი რჩეული 12 ათასიანი ლაშქარი დაიძრა ამ ქვეყნისაკენ. მძიმე ბრძოლების შემდეგ ფრანგებმა აიღეს ღაზას, იაფას სიმაგრეები და გარემოიცვეს ჯვაროსნების ლაშქრობიდან ლეგენდად ქცეული აკრას ციტადელი. აკრა ძალზე იყო გამაგრებული ინგლისელი სპეციალისტის სიდნეი სმიტის წყალობით. ამით აიხსნება, რომ მან თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს. ბონაპარტემ მისი აღება ვერ შეძლო, თუმცა 7–12 მაისს საამისოდ არაერთი შტურმი განახორციელა. აკრა აღმოსავლეთში ფრანგთა ლაშქრობის უკანასკნელი პუნქტი გახდა, რადგანაც მოვლენები ისე განვითარდა, რომ ნაპოლეონმა დასტოვა სირია–ეგვიპტე და საფრანგეთში დაბრუნდა.

რაში იყო საქმე? ფრანგების აღმოსავლეთში გაჭრამ გამოიწვია ინგლისს, ოსმალეთის და რუსეთის შეშფოთება. ამ ნიადაგზე მოხდა ამ სამი სახელმწიფოს დაახლოება. ინგლისის და რუსეთის ზეგავლენით ოსმალეთმა 1799 წლის ოქტომბერში ომი გამოუცხადა საფრანგეთს და სირიისაკენ დასძრა მრავალრიცხოვანი ძლიერი არმია დიდი ვეზირის იუსუფ–ზია–ფაშას (ქართველი) ხელმძღვანელობით. საფრანგეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთი. მისი ფლოტი თ.უშაკოვის წინამძღოლობით შევიდა ხმელთაშუა ზღვაში და ფრანგულ სამფლობელოებს დაემუქრა. დიდი წარმატებები მოიპოვა

[39] იქვე, გვ. 156.

ჩრდილოეთ იტალიაში რუსთა მეორე არმიამ ა.სუვოროვის მეთაურობით. 1799 წლის აპრილის დამლევს რუსებმა აიღეს მილანი, 26 მაისს კი –ტურინი. 17–19 ივნისს ტრებიასთან ბრძოლაში ა.სუვოროვმა სასტიკად დაამარცხა მაკდონალდის არმია. საქმეს ვერც მის ნაცვლად მთავარსარდლის პოსტზე ჟუბერის დანიშვნამ უშველა. 15 აგვისტოს ნოვისთან 16 საათიან ბრძოლაში რუსებმა კვლავ გაიმარჯვეს. ა.სუვოროვი საფრანგეთის კარიბჭესთან აღმოჩნდა, რამაც ქვეყანაში დიდი პანიკა გამოიწვია. ამავე დროს მოქმედება გააქტიურა ინგლისმაც. ადმირალმა ნელსონმა ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მიაკვლია აბუქირის რეიდზე მდგომ ფრანგთა ფლოტს და იგი ერთნაირად გაანადგურა, რითაც ნაპოლეონის არმია მოწყვიტა საფრანგეთს.

ინგლისის, რუსეთის და თურქეთის გამოსვლა საფრანგეთის წინააღმდეგ არსებითად მეორე კოალიციის ჩამოყალიბებას ნიშნავდა, რაც საბოლოოდ გაფორმდა 1788 წლის გაზაფხულისათვის, როცა საფრანგეთთან მებრძოლ ამ სამ სახელმწიფოს შეუერთდნენ ავსტრია და ნეაპოლის სამეფო. უნდა ითქვას, რომ მეორე კოალიციაში არ სუფევდა ერთიანობა, რის გამოც რუსეთმა მალე უარი თქვა მასში მონაწილეობაზე და ა.სუვოროვის არმიაც უკან გაიწვია, მაგრამ დანარჩენი სახელმწიფოები მაინც აგრძელებდნენ ომს და შეძლეს ფრანგთაგან მთელი იტალიის განთავისუფლება. ასეთ პირობებში ბონაპარტემ საღად შეაფასა რეალური ვითარება. იგი დარწმუნდა, რომ მისი ადგილი აფრიკაში კი არა სამშობლოში იყო და უკან დახევა ამჯობინა. 1799 წლის 14 ივნისს იგი უკვე ქაიროში მივიდა. დიდხანს არც აქ დარჩენილა. გამოიძია თუ არა დაწვრილებით საფრანგეთის საგარეო მდგომარეობა, ნაპოლეონმა არმიის სარდლობა გენ. კლებერს გადააბარა და 500 მხედრით საიდუმლოდ სამშობლოში

გაემგზავრა.[40] 8 ოქტომბერს იგი გადასხდა საფრანგეთის ტერიტორიაზე და 8 დღის შემდეგ მივიდა პარიზში.

18–19 ბრიუმერის გადატრიალება. 1799 წლის შემოდგომაზე საფრანგეთი მძიმე პირობებში იმყოფებოდა. მისი არმია ევროპის ფრონტებზე ყველგან მარცხს განიცდიდა, რის გამოც ზედიზედ დაჰკარგა სისხლის ფასად მოპოვებული ტერიტორიები. უკეთესი მდგომარეობა არც ქვეყნის შიგნით სუფევდა. დირექტორიით მეტად უკმაყოფილო იყო მსხვილი ბურჟუაზია, რამდენადაც მთავრობამ ვერ შეძლო დაპყრობილი ბაზრების შენარჩუნება და ვაჭრობა–მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ბაზის უზრუნველყოფა. უკმაყოფილებას გამოთქვამდა აგრეთვე

---

[40] ეგვიპტიდან წასულ ნაპოლეონს, როგორც ჩანს, საკუთარი გვარდიის შევსების მიზნით თან წაუყვანია რამდენიმე ათეული მამლუქი, მათ შორის ცნობილი რუსტამი, რომელიც 1815 წლამდე მისი პირადი მცველი იყო. უკანასკნელ ხანს საფრანგეთში აღმოჩნდა რუსტამის ხელნაწერი დღიური, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ კაცის ვინაობისა და თავგადასათლის შესახებ, რუსტამი თბილისელი ქართველი ყოფილა, გვარად ხონომაშვილი. ბავშვობაში ლეკებს გაუტაცნიათ და სტამბოლს გაუყიდიათ. აქედან ეგვიპტელ მამლუქებთან მოხდა და მამაცობის გამო მალე რაზმის მეთაურად დაწინაურდა. შემდეგ, მისმა პატრონმა იგი ნაპოლეონს უბოძა, რომელიც მოიხიბლა ახალგაზრდა მამლუქის სილამაზე–დარბაისლობით და პირად მცველად აიყვანა. საფრანგეთში დაბრუნებულ ბონაპარტეს თან წაუყვანია რუსტამიც. ამავე დღიურით ჩანს, რომ იგი მონაწილეობდა ნაპოლეონის ყველა ბრძოლაში, ესწრებოდა თურმე ტილზიტში იმპერატორების შეხვედრებს. ერთ–ერთ სადილზე ნაპოლეონს იგი ალექსანდესათვისაც გაუცვნია. „10 დღის“ შემდეგ რუსტამი ვერ გაჰყოლია იმპერატორს წმ.ელენეს კუნძულზე. ზოგიერთი ცნობით ლუი XVIII მთავრობა მას სდევნიდა, რის გამოც თურმე ინგლისს გაქცეულა. კ.გამსახურდიას “დიონისის ღიმილს თუ ვერწმუნებით როსტომი ერთ–ერთ ბრძოლაში (შარლურუასთან) დაღუპულა. მის საფლავზე ნაპოლეონს ძეგლი დაუდგამს წარწერით: „აქ ასვენია მონა ღვთისა როსტომი, დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი, ქართველი საქართველოდან”. გამსახურდია წერს: შარლერუას „პატარა, კათოლიკური ეკლესიის გალავანში ძლივს მივაგენი როსტომის საფლავს“ და თეთრი გვირგვინით შევამკეო, ასეთი წარწერით: „თავგამეტებულ ქართველ რაინდს, თავმოძულებული ქართველი პოეტისგანო“ (ტ. 4, გვ. 353).

წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, აგრეთვე გლეხთა კულაკური ზედაფენაც, რომლებიც დირექტორიის გამუდმებულ, მაგრამ წარუმატებელ ომებს საკუთარი წარმოების ზრდის დამამუხრუჭებელ ფაქტორებად თვლიდა და სტაბილურ მდგომარეობაზე ოცნებობდა. უკმაყოფილება გააძლიერა დირექტორიის გადაწყვეტილებამ, სახელმწიფო ვალის (260 მილიონი ფრანკი) დასაფარავად, სესხის მიღების მიზნით, დაებეგრა ბურჟუაზია. საერთოდ მთავრობა არ ცდილობდა მსხვილი საკუთრების შეზღუდვას, მაგრამ ამ აქტში ბურჟუაზიამ საკუთარი ინტერესების შელახვა იგრძნო და დირექტორიის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა. მაინც გაბატონებული წოდების დიდ შეშფოთებას იწვევდა დემოკრატიული მოძრაობისა და როიალისტების გააქტივება. ა.სუვოროვის წარმატებითი ლაშქრობა ამ უკანასკნელებს რესტავრაციის დიდ ილუზიებს უქმნიდა. ამიტომ ვანდეაში კვლავ იფეთქა მონარქისტულმა აჯანყებამ. როიალისტების საქმიანობით დამფრთხალი დირექტორია, მისთვის დამახასიათებელი "რყევის პოლიტიკის" შესაბამისად, ზოგიერთ დათმობაზე წავიდა მემარცხენეთა წინაშე. მაგ., ხელმძღვანელ პოსტებზე კვლავ დანიშნა გადარჩენილი იაკობინელები, აღადგინა იაკობინელთა კლუბი, მოღვაწეობის ნება დართო ბაბეფისტებსაც. ამ ღონისძიებებში მსხვილმა ბურჟუაზიამ 1793 წლის გადატრიალების საფრთხე დაინახა და რამდენადაც, დირექტორიამ მისი იმედები ვერ გაამართლა, ამდენად დაიწყო ფიქრი მტკიცე ხელისუფლებით მის შეცვლაზე. ასეთ პირობებში თანდათან ამოტივტივდა სამხედრო დიქტატურის დამყარების იდეა. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დიქტატორის როლში? მხოლოდ ნაპოლეონ ბონაპარტე. ყველა შესაძლებელი კანდიდატურიდან (ჟურდანი, მორო და სხვ.) იგი იყო უაღრესად პოპულარული, ამავე დროს პრინციპული და შეუდრეკელი, თანაც მსხვილი ბურჟუაზიისათვის ფანატიკურად თავდადებული (ეს თვისება კარგად გამოავლინა 1795 წლის 5 ოქტომბრის როიალისტური აჯანყების ჩახშობისას). ამით აიხსნება, რომ სამშობლოში დაბრუნებულ მომავალ

დიქტატორს, ქალაქად და სოფლად, იგი დიდ საზეიმო შეხვედრებს უწყობდა და მას „მხსნელს“ უწოდებს.

მალე, ბურჟუაზიის წყალობით პარიზში ხმა გავრცელდა როიალისტების მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ. ამით დაშინებულმა დირექტორიამ მაშინვე დანიშნა ნაპოლეონი პარიზის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად და 9 ნოემბრისათვის მოწვეული საკანონმდებლო კორპუსის ორივე პალატის სხდომების „დაცვა” დაავალა. ბონაპარტესაც ეს უნდოდა. მას დიდი ხანია იტაცებდა საფრანგეთის უზენაესი მბრძანებლის პოსტი და როცა ამაში ბურჟუაზიის დახმარებაც დაინახა, მაშინვე შეუდგა ნანატრი ოცნების განხორციელებისათვის მზადებას. მისი წინადადებით უხუცესთა საბჭოთა და ხუთასთა საბჭოს სხდომები პარიზიდან მოშორებით სენ–კლუბში გადაიტანა იქითკენ დაძრა არმიაც.

9 ნოემბერს (18 ბრიუმერს) სენ–კლუბში მუშაობა დაიწყო ორივე პალატამ. ნაპოლეონს ძალზე აფიქრებდა ხუთასთა საბჭოს პოზიცია, რადგან მასში სულ ცოტა 200 დეპუტატი იაკობინელი იყო. ამიტომ სურდა განზრახული გადატრიალებისათვის კანონიერი ხასიათი მიეცა. ამ მიზნით მან რესპუბლიკის მთავარ დირექტორს ბარასს მიუგზავნა ტალეირანი და თანამდებობაზე უარის თქმა ურჩია. მსხვილი ბურჟუაზია ამ უკანასკნელზე დიდი დაწოლას ახდენდა და იგიც იძულებული გახდა დათანხმებოდა. დირექტორია გადადგა. მაშასადამე, ქვეყანაში აღარ იყო აღმასრულებელი ხელისუფლება. ამან ბონაპარტეს ფრთები შეასხა, მით უმეტეს, რომ უხუცესთა საბჭო მის ღონისძიებებს თანაუგრძნობდა. ამიტომ მეორე დღეს იგი გამოცხადდა ხუთასთა საბჭოს სხდომაზე და შეკრებილთ მიმართა სიტყვით, რომელშიც ბევრი ილაპარაკა იაკობინელების და განსაკუთრებით როიალისტების მოსალოდნელ გამოსვლაზე და გამოთქვა ურყევი სურვილი რესპუბლიკის დაცვისათვის. დეპუტატები მიხვდნენ საით უკაკუნებდა ნაპოლეონი და მას ნამდვილი ობსტრუქცია გაუმართეს შეძახილებით: „ძირს დიქტატორი!“ კიდევ მეტი, ზოგმა ხელდახელ გაიწია მასზე და წახრჩობაც დაუპირა.

ერთგულმა გრენადერებმა მონაპარტე ძლივს გამოსტაცეს გააფთრებულ დეპუტატებს, რომლებმაც მოითხოვეს „თავხედი კორსიკელის" კანონგარეშედ გამოცხადება. ხუთასთა საბჭოს პრეზიდენტი ამ დროს იყო ნაპოლეონის უმცროსი ძმა ლიუსიენ ბონაპარტე. მან შეკრებილთ მოაგონა სწორედ კორსიკელი გენერლის დამსახურება საფრანგეთის წინაშე, მაგრამ არავის ამის გაგონება არ სურდა. მაშინ პრეზიდენტმა მოიხსნა რწმუნება და ატირებულმა დასტოვა დარბაზი. გარედ მას ელოდა უკვე მოსულიერებული ნაპოლეონი. ყველაფერი დამოკიდებული იყო სიჩქარეზე. ლიუსიენმა, რომელიც თანაუგრძნობდა გადატრიალებას ძმის სასარგებლოდ, ჯარისკაცებს ხუთასთა საბჭოს საწინააღმდეგო სიტყვით მიმართა და მათ შეთქმულთაგან სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა. მას გულთბილად შეხვდნენ, რადგან პრეზიდენტის ყოფნას ბონაპარტეს გვერდით, ამ უკანასკნელის მოქმედებას სავსებით კანონიერ ხასიათს აძლევდა. სიტყვის დასასრულს ლუსიენმა განაცხადა: "გენერლებო და თქვენ, ჯარისკაცებო! კანონმდებლად იცნობთ მხოლოდ მათ, ვინც ჩემთან იქნება. დანარჩენები კი გარეკეთ ძალით, რადგან ისინი ხალხის წარმომადგენლები კი არა, მეხანჯლეები არიან".

ჩანს, ძმებს როლები განაწილებული ჰქონდათ, რადგან სიტყვის დამთავრებისთანავე ნაპოლეონმა შესძახა: „პრეზიდენტო, თქვენი მოთხოვნა ახლავე შესრულდება!", შემდეგ კი მიუბრუნდა გრენადერებს: „ჯარისკაცებო! მე ყოველთვის მიმყავდით თქვენ გამარჯვებისაკენ. შემიძლია თუ არა ახლაც მქონდეს თქვენი იმედი?" ამ სიტყვებმა მოხიბლეს ჯარისკაცები. მიზანი მიღწეული იყო. რჩებოდა მხოლოდ ერთი „უმნიშვნელო" პროცედურა – საბჭოს გარეკვა. და ნაპოლეონმაც მიმართა ოჟეროს: „გახსოვს არკოლე?" ჩანს, მან დასტური მისცა, რადგან ამას მოჰყვა ლაკონური ბრძანება: „წინ!" გრენადერები ლეკლერკის მეთაურობით შეიჭრნენ შენობაში და დეპუტატებს დაერივნენ. ხუთასთა საბჭო გარეკეს, მაგრამ შემდეგ დეპუტატთა ნაწილი მაინც შეიპყრეს და აიძულეს მოეწერათ ხელი დეკრეტზე საბჭოს დაშლის შესახებ.

ეს უკვე გამარჯვება იყო და იმავე დღეს, გვიან ღამით უხუცესთა საბჭომ მიიღო დეკრეტი სამი კონსულისათვის უზენაესი ძალაუფლების გადაცემის შესახებ. მაშ ასე, ტრიუმვირატი. მასში შევიდნენ ნაპოლეონი, სიესი და როჟე–დიუკო. ცხადია ბურჟუაზია არ ფიქრობდა ხელისუფლების გაყოფას სამ მმართველს შორის, მაგრამ ბონაპარტემ, ხალხის შიშით იმ მომენტში ვერ გაბედა პირადი დიქტატურის დამყარება და კონსულობა ჩათვალა როგორც საფეხური კოლექტიური ხელმძღვანელიდან ერთმმართველობაზე გადასვლისათვისაც.

2. *კონსულობა და იმპერია საფრანგეთში*

<u>იმპერიის დამყარება</u>. 1799 წლის 18–19 ბრიუმერის გადატრიალებით დამთავრდა ბურჟუაზიული კონტრევოლუციის ხანა. დაიწყო ბონაპარტიზმის ანუ ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურის პერიოდი. მართლაც, ნაპოლეონმა ლიკვიდაცია უყო რევოლუციის ბურჟუაზიულ–დემოკრატიულ მონაპოვარს და მისგან დასტოვა ის, რაც აუცილებელი იყო ბურჟუაზიისათვის. ამით აიხსნება რეპრესიები არა მარტო როიალისტების და იაკობინელების, არამედ თერმიდორული სპეკულანტების, მექრთამეობისა და ხაზინის მძარცველების წინააღმდეგაც, რომელთა მიმართ იგი, თავის გამოსვლებში, ყოველთვის ზიზღს გამოთქვამდა. „მე ხან მელა ვარ, ხან – ლომი. მმართველობის მთელი საიდუმლოება კი ისაა, რომ შეიცნო როდის რომელი იყო“ – წერდა ბონაპარტე და მელასა თუ ლომის თვისებებს, თავის გამგებლობაში, აბსოლუტური სიმკაცრე და სრული დაუნდობლობა შეუზავა. თავად აღიარებდა: „ჩემში ორი არსება ცხოვრობს: გონების კაცი და გრძნობის კაცი. ნუ ფიქრობთ, რომ არ მქონდეს მგძნობიარე გული, როგორც სხვებს. მე საკმაოდ კეთილი ადამიანი ვარ, მაგრამ ადრეული სიყმაწვილიდანვე ვცდილობდი ჩამეხშო ეს სიმი და ახლა

სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებისთანავე ნაპოლეონი შეუდგა ხელისუფლების იურიდიულ გაფორმებას და სიესს დაავალა ახალი კონსტიტუციის შემუშავება. ერთი თვის შემდეგ პროექტი მზად იყო და პრესაშიც დაიბეჭდა. იგი უნდა მიეღოთ საყოველთაო განხილვის შემდეგ, მაგრამ ნაპოლეონმა დაარღვია დაპირება და კონსტიტუცია ძალაში შეიყვანა გამოქვეყნებისთანავე. ასე რომ, პლებისციტი, რომელიც იმავე წლის 25 დეკემბერს (4 ნივოზს) გაიმართა, მომხდარი ფაქტის მხოლოდ ფორმალურად დადასტურება. რესპუბლიკის მე-8 წლის კონსტიტუციით ქვეყნის სათავეში იდგნენ კონსულები, რომელთაგან ნაპოლეონი განუსაზღვრელი უფლების მქონე პირველ კონსულად ცხადდებოდა, დანარჩენი ორი კი მხოლოდ სათათბირო ხმით სარგებლობდა (სიესმა ეს გააპროტესტა. ჩანს თავად სურდა პირველკაცობა, მაგრამ ბონაპარტემ უხვი საბოძვარი გასცა და იგი გზიდან ჩამოიშორა). კონსტიტუცია ქმნიდა დაქუცმაცებულ ოთხ საკანონმდებლო ორგანოს – სენატს (60 წევრი), სახელმწიფო საბჭოს (30 წევრი), ტრიბუნატს (100 წევრი) და საკანონმდებლო კორპუსს (300 წევრი). კანონებს შეიმუშავებდა სახელმწიფო საბჭო, განიხილავდა ტრიბუნატი, მაგრამ დაამტკიცებდა ან უარყოფდა მხოლოდ საკანონმდებლო კორპუსი. სენატს ჰქონდა ვეტოს გამოყენების უფლება თუ დაინახავდა, რომ მიღებული კანონი ეწინააღმდეგებოდა კონსტიუციას. ნაპოლეონმა უარყო დირექტორიის პერიოდში კუდშეკვეცილი საპარლამენტო რეჟიმი მისი საარჩევნო სისტემით. ამიერიდან კონსულები თავად ნიშნავდნენ სენატის წევრებს, ხოლო ეს უკანასკნელები, კონსულთან კანდიდატურების წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საკანონმდებლო კორპუსის წევრებს, რა თქმა. საერთოდ საკანონმდებლო ორგანოების შექმნა იყო ფორმალური, რადგან ფაქტობრივ პირველ კონსულს ეპყრა მთელი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ძალაუფლება, იყო მთავარსარდალი, წარმართავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ახალი კონსტიტუცია მაქსიმალურად იცავდა ქალაქისა და სოფლის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, რამდენადაც კრძალავდა რევოლუციის წლებში შეძენილი უძრავ–მოძრავი ქონების ძველ მეპატრონეთათვის დაბრუნებას. მართალია, ასაკობრივი ცენზი კვლავ შეამცირეს 21 წლამდე, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს დაქირავებით მომუშავეებს. ამის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი (მუშები, მოჯამაგირეები და სხვ.) პოლიტიკური ცხოვრების მიღმა დარჩა. ახალი კონსტიტუციის საფუძველზე გაუქმდა რევოლუციის პერიოდში შექმნილი არჩევითი ადგილობრივი დლა საოლქო (დეპარტამენტების) თვითმმართველობის ორგანოები. იგი შეცვალა პრეფექტების პოლიციურ–ჩინოვნიკურმა აპარატმა. ამიერიდან შინაგან საქმეთა მინისტრი ნიშნავდა დეპარტამენტის პრეფექტს, ეს უკანასკნელი კი ქალაქის მერსა და მუნიციპალური საბჭოს წევრებს. ქვეყნის ცხოვრებაში უკიდურესად გაძლიერდა პოლიციის როლი. მის ხელმძღვანელად დაინიშნა მოხერხებული ჯაშუში და ცბიერი პროვოკატორი ჟოზეფ ფუშე. ბონაპარტე ფუშეს არ ნდობდა, რადგან იცოდა "იგი მშობელ მამასაც გაჰყიდდა, თუ კი მუშტარი გამოუჩნდებოდა" (ე.ტარლე). ამიტომ პარიზის საქალაქო პოლიციის პრეფექტი უშუალოდ თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და ფაქტიურად პოლიციის მინისტრის (ფუშე) ერთგვარ მაკონტროლებელ ორგანოდ აქცია, თუმცა მასაც მიუჩინა მეთვალყურე.

გარდაიქმნები განხორციელდა სასამართლოშიც. ადგილებზე შეიქმნა. ინსტანციები კომუნებში – ნაფიცი მსაჯულები, ოკრუგებში – სამოქალაქო მსაჯულები და ა.შ. უმაღლეს სასამართლო ორგანოდ გამოცხადდა საკასაციო ტრიბუნალი, თუმცა მას რაიმე რეალური ძალა არ გააჩნდა. სასამართლოს საქმიანობას მთლიანად პირველი კონსული წარმართავდა. იგი ამ ორგანოს საკუთარი ძალაუფლების შემდგომი განმტკიცებისათვის იყენებდა. ამრიგად, სახელმწიფო აპარატი მოეწყო უკიდურესი ცენტრალიზაციის პრინციპზე, რომლის სათავეში იდგა ნაპოლეონი.

პირველ კონსულს მეტად აღიზიანებდა კრიტიკა, მით უმეტეს თუ იგი რადიკალური პრესიდან მოდიოდა. ამიტომ 1800 წლის დამდეგს 73 გაზეთიდან დახურა 60, დანარჩენი – 13 კი პოლიციის მინისტრის კონტროლს დაექვემდებარა. საგულისხმოა, რომ მომდევნო პერიოდში მან კიდევ აკრძალა 9 გაზეთი, დააწესა უკიდურესი ცენზურა, რაც სიტყვისა და პრესის ბურჟუაზიულ–დემოკრატიული თავისუფლების შემდგომ შეზღუდვას ნიშნავდა. ბონაპარტმა გარკვეული ყურადღება მიაქცია რელიგიის საკითხს, რამდენადაც მსხვილ ბურჟუაზიას ბატონობის შენარჩუნებაში ძალზე სჭირდებოდა ეკლესიის მხარდაჭერა. ნაპოლეონი მასში ხედავდა დიქტატურის განმტკიცების საუკეთესო საშუალებასაც. ამიტომ 1801 წლის 14 ივლისს პაპ პიუს VII-სთან გაფორმებული ექვსპუნქტიანი შეთანხმებით – „კონკორდატით" (ძალაში შევიდა 1802 წ. 18 აპრილს) მან კათალიკობა აღიარა "ფრანგთა უდიდესი უმრავლესობის რელიგიად"ყ სამაგიეროდ რომის პაპი უარყოფდა პრეტენზიებს რევოლუციის პერიოდში დაკარგულ ქონებაზე, ცნობდა საფრანგეთის კონტროლს სასულიერო წოდების საქმიანობაზე და სხვ. ეკლესიას უნდა დაეწყო ქადაგება კონსულების სასარგებლოდ. აღნიშნული ღონისძიებით ბონაპარტე ისწრაფვოდა ბურჟუაზიული წყობის სამსახურში კათოლიკური ეკლესიის ჩაყენებას, რაც ნიშნავდა რელიგიის საკითხში რევოლუციის დროს მიღებული პროგრესული კანონმდებლობის უარყოფას.

ნაპოლეონმა მტკიცედ დაიწყო მოქმედება როიალისტებისა და ქვეყნის სამხრეთში მოქმედი ბანდიტური რაზმების წინააღმდეგ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის განვითარებისა და შინაური ბაზრის გაფართოებისათვის. მანვე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ხაზინის ქურდობას თუ გამფლანგველობას და უმოკლეს ხანში მიაღწია სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას. საერთოდ საფინანსო პოლიტიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნაპოლეონის მოღვაწეობაში, რადგან უამისოდ წარმოუდგენელი იყო ხანგრძლივი ომების წარმოება. ფინანსთა ნიჭიერი

მინისტრის გოდენის წინადადებით ბონაპარტემ ძირითადი აქცენტი გადაიტანა არაპირდაპირ გადასახადებზე, რადგან იგი თანაბრად აიკრიფება მდიდრისაგან თუ ღარიბისაგან და არ იწვევს გადამხდელის უკმაყოფილებას. მართლაც, ორჯერ შემცირდა პირდაპირი გამოსაღებლები, თუმცა არაპირდაპირი 2,5–ჯერ და მეტად გაიზარდა, რამაც მთავრობას დიდი მოგება მისცა. ყურადღება მიექცა მეწარმეობით საქმიანობას, საერთოდ მრეწველების, ბანკირების და ვაჭრების ინიციატივას. 1800 წელს დაარსდა საფრანგეთის ბანკი.

ნაპოლეონი მნიშვნელოვან თანხებს აბანდებდა მრეწველობაში, მისი განვითარებისათვის იგი არ ძუნწობდა სახელმწიფო დაკვეთებზეც, ხალისით ზღუდავდა უცხოური, კერძოდ კი ინგლისური ნაწარმის შემოზიდვას ქვეყანაში და ა.შ.

ვაჭრობა–მრეწველობის დაწინაურებისადმი ზრუნვით იყო ნაკარნახევი მისი გაუთავებელი მოგზაურობა საფრანგეთის ყველა კუთხის გასაცნობად, შეუნელებელი ინტერესი ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად, დაუღალავი საქმიანობა სატრანსპორტო საშუალებათა სრულყოფისათვის, გზების გაჭრისა და კეთილმოწყობისათვის, არხების გაყვანისათვის, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების მშენებლობისათვის და სხვ.

ყურადღების გარეშე არც მუშათა საკითხი დარჩა. თანამედროვეთა სამართლიანი შენიშვნით ნაპოლეონს ბრძოლის წაგება იმდენად არ აშინებდა, რამდენადაც მუშათა მღელვარება. ამიტომ მრეწველობის წახალისებითა და სახელმწიფო, საზოგადოებრითი მშენებლობების გაფართოებით იგი ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა უმუშევრობა. ამასთან, მუშებზე გააძლიერა პოლიციის მეთვალყურეობა. უარყო რა რევოლუციის დროს ამ სფეროში შემუშავებული ზოგიერთი პროგრესული ღონისძიება, ბონაპარტემ ძალაში დატოვა ლე–შაპელიეს კანონი, რომელიც მწარმოებლებს მუშების ექსპლოატაციის განუსაზღვრელ უფლებას აძლევდა. კიდევ მეტი, 1803 წელს შემოიღო ე.წ. მუშათა წიგნაკები,

რომელშიც აღირიცხებოდა მფლობელის არა მარტო ვინაობა, არამედ შრომითი საქმიანობა, მისი ყოფაქცევა საწარმოში და პოლიტიკური შეხედულებები. აღნიშნული წიგნაკების შემოღება ნიშნავდა მუშებზე მეწარმეებისა და მთავრობის დამატებითი კონტროლის დაწესებას და პოლიტიკური ზედამხედველობის გაძლიერებას. ამის მიუხედავად პარიზისა და საერთოდ საფრანგეთის მუშებს ამ ღონისძიების გამო რამდენადმე მნიშვნელოვანი პროტესტიც არ გამოუთქვამთ. ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ სამუშაოთი, კარგი სასურსათო მომარაგებით (მათზე არსებული მტკიცე ფასებით) და ამიტომ მთავრობის ამ ნაბიჯს, აგრეთვე სხვა, საწინააღმდეგო გადაწყვეტილებასაც, თუნდაც მათ როგორღაც ინდეფერენტულად შეხვდნენ.

საერთოდ, საშინაო ცხოვრების ამდენი მოძალებული საკითხის დროულად გადაწყვეტა მოითხოვდა უდიდეს შრომას და არაადამიანურ დაძაბულობას. მართლაც, ნაპოლეონი დღეღამეში თითქმის ოც საათს მუშაობდა, შესვენებისათვის კი იყენებდა მხოლოდ 15 წუთს – სადილისათვის და გაცილებით ნაკლებს – საუზმისათვის. ასევე ამუშავებდა იგი თავის სახელმწიფო აპარატსაც. ამის გამო, თანამედროვეთა აღიარებით, „ადამიანები მუშაობისას ისევე იფიტებოდნენ, როგორც (სხვები) იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე“. სამაგიეროდ, ბონაპარტეს შეეძლო გაწეული შრომის გულუხვად ანაზღაურება. ამასთან, ქვეშევრდომთ ეპყრობოდა როგორც თანასწორი და ეს მათში ზრდიდა ერთგულებისა და თავდადების გრძნობებს.

გატარებული ღონისძიებებით ნაპოლეონმა შეძლო ძალაუფლების განმტკიცება, თუმცა საგარეო საკითხი კვლავ მწვავე პრობლემად რჩებოდა. მართალია, რუსეთმა შეწყვიტა საომარი მოქმედება, მაგრამ მეორე კოალიცია კვლავ განაგრძობდა არსებობას და ომს საფრანგეთის წინააღმდეგ. დიდი წარმატება მოიპოვა ავსტრიამ, რომელმაც სრულად მოიმკა ჩრდილოეთ იტალიაში სუვოროვის ლაშქრობის შედეგები და იქ თავისი ბატონობა აღადგინა. ამიტომ

საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ომი გარდუვალი გახდა. ნაპოლეონმა ისარგებლა კოალიციის მონაწილეთა პასიურობით და ალპებზე გავლით არმია ავსტრიელთა წინააღმდეგ დასძრა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1800 წლის 14 ივნისს სოფ. მარენგოსთან. ბრძოლის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ფრანგთა დამარცხების შემთხვევაში როიალისტები დაიწყებდნენ აჯანყებას პარიზში, ემიგრაცია წამოიწყებოდა ლაშქრობას, ევროპის სახელმწიფოები კი შეუერთდებოდნენ კოალიციას, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა რესპუბლიკას. ყველაფერი ეს ცნობილი იყო ნაპოლეონისა და მისი გენერალიტეტისათვის, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისათვის. სხვათა შორის, ბრძოლა ფრანგთათვის არახელსაყრელად წარიმართა და უკან დაიხიეს. ავსტრიელთა სარდალმა მელასმა იჩქარა და გამარჯვების მახარობელი აფრინა ვენას. დედაქალაქში ზეიმი დაიწყო, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. უკანასკნელ წუთს ნაპოლეონს მოუვიდა დამხმარე არმია გენ. დეზეს სარდლობით. ერთ საათში ბრძოლის ბედი გადაწყდა. ავსტრიელები სასტიკად დამარცხდნენ. მეორე შიკრიკმა ავსტრიის იმპერატორს თავზარდამცემი ამბავი ამცნო. გამარჯვება ჩაშხამდა ნაპოლეონსაც, რადგან მისი გადამრჩენელი სარდალი პირველივე შეტაკებისთანავე დაიღუპა. ცრემლმორეულ ბონაპარტეს თურმე უთქვამს: „რა კარგი იქნებოდა ეს დღე, რომ დეზეს გადაკოცნა შემძლებოდაო“. მალე ფრანგთა მეორე არმიამ გენ. მოროს ხელმძღვანელობით, სასტიკად დაამარცხა ავსტრიელები გოგენლიდენთან (ბავარია) ბრძოლაში. ავსტრიამ თავი დამარცხებულად ცნო. 1801 წლის 9 თებერვალს ლიუნევილში გაფორმდა შეთანხმება, რომელიც ძირითადში იმეორებდა კამპო–ფორმიოს ხელშეკრულებას. ავსტრია ცნობდა საფრანგეთის მიერ რეინის მარცხენა ნაპირისა და ბელგიის შეერთებას. იტალიის სამფლობელოებისაგან იქმნებოდა რესპუბლიკა, რომელიც საფრანგეთის კონტროლს დაექვემდებარა.

ლიუნევილის შეთანხმებით მეორე კოალიციამ არსებობა შეწყვიტა. ამის მიუხედავად ინგლისი მაინც განაგრძობდა ომს, თუმცა წარმატების ნაკლები შანსი ჰქონდა. გაჭიანურებულმა ომმა დიდძალი ხარჯები მოითხოვა. ამან გამოფიტა ხაზინა, რამაც დააჩქარა ქვეყანაში. პირველი მოხმარების საგნების მნიშვნელოვანი გაძვირება მაგ., კვარტერი ხორბალი 1798 წელს 47 შილინგი ღირდა, 1801 წლის აპრილში კი 148 შილინგი. ამის გამო მუშათა უბნებში აშკარად გაისმოდა: „პური და მშვიდობა ხალხისათვის, თორემ მეფეს თავი მოძვრებაო!“ ინგლისი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საგარეო თვალსაზრისითაც, რადგან საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მარტოდმარტო დარჩა. ერთადერთი ვისაც მისთვის პარტნიორობა შეეძლო რუსეთი იყო, მაგრამ აღმოსავლეთში კოლონიურ მისწრაფებათა გამო მათ შორის უთანხმოება წარმოიშვა. ამით კარგად ისარგებლა ნაპოლეონმა და მოლაპარკება წამოიწყო რუსეთთან. იმპერატორ პავლე I თავდაპირველად საფრანგეთის მტერი იყო, მაგრამ ახლა გული მოუბრუნდა ნაპოლეონზე – ბფიქრობდა, რომ იგი სპობდა რევოლუციის შედეგებს. ასეთ პირობებში მოხდა საფრანგეთ–რუსეთის დაახლოება. ურთიერთ სიმპატიები კიდევ უფრო გაიზარდა, როცა ბონაპარტემ პავლეს შესთავაზა თურქეთის გადანაწილებისა და ინდოეთში ლაშქრობის გეგმა. ინგლისის კუთვნილი სამფლობელოების დასაკუთრება კი საინტერესო პერსპექტივებს უსახავდა ცარიზმს აღმოსავლეთში დამკვიდრებას თვალსარისით. ამიტომ იჩქარა დონელ კაზაკთა 25 000 კაციანი ექსპედიციის გაგზავნა ინდოეთში სალაშქროდ. რუსეთი ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო შორსაც წავიდა. პავლემ შეთანხმება დასდო პრუსიასთან, დანიასთან და შვეციასთან ეკატერინე იმპერატრიცას დროინდელი შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგის აღდგენის შესახებ. კიდევ მეტი, მან ურთიერთობაც კი გაწყვიტა ინგლისთან და მასთან ვაჭრობც აუკრძალა. ცხადია ეს იყო ყოვლად უგუნური გადაწყვეტილება რუსეთისათვის. ინგლისი იყო რუსული ტრადიციული საქონლის (ხე–ტყე, ხორბალი) მთავარი გამსაღებელი და იაფი ფაბრიკულ–

ქარხნული ნაწარმის ძირითადი მიმწოდებელი. საფრანგეთს არ შეეძლო ამ როლის შესრულება და ინგლისთან ვაჭრობის შეწყვეტამ მეტად დააზარალა რუსი ვაჭრები. ამიტომ სამეფო კარზე მომწიფდა შეთქმულება, რაც 1801 წლის 11 განხორციელდა ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილის აქტიური მონაწილეობით. შეთქმულებას, როგორც ირკვევა, ინგლისის ელჩი წარმართავდა.

პავლეს სიკვდილი მტკივნეულად განიცადა ნაპოლეონმა, რადგან ეს მისი ანტიინგლისური გეგმების ჩაშლას მოასწავებდა. „ინგლისელებმა დამაცილეს პარიზში 3 ნივოზს (იგულისხმება თავდასხმა 1800 წლის 24 დეკემბერს–ა.ს.), მაგრამ ზუსტად მომარტყეს პეტერბურგში" – უთქვამს აღშფოთებულ ნაპოლეონს, რომელიც კარგად სჭვრეტდა ამ აქტის პოლიტიკურ მნიშვნელობას. მართლაც, ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I გადაუხვია მამის გზას, უარყო შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგა, უკან გამოიწვია ინდოეთისაკენ მიმავალი პლატოვის კაზაკთა რაზმი და ინგლისთან ურთიერთობაც აღადგინა. და რამდენადაც ინგლის–რუსეთის კავშირი შეიძლება ახალი კოალიციის საფუძველი გამხდარიყო, ამიტომ ნაპოლეონმა იჩქარა ბრიტანეთთან მორიგებისათვის და საფრანგეთისათვის შესვენების უზრუნველყოფისათვის. თავის მხრივ დაზავების სურვილს ამჟღავნებდა ინგლისიც, რადგან რუსეთის მიმხრობის მიუხედავად მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა მაინც მძიმე რჩებოდა. ასეთ პირობებში შეთანხმებას აღარაფერი ეღობებოდა წინ, რაც 1802 წლის 26 მარტს გაფორმდა კიდეც ამიენში. ხელშეკრულებით ინგლისი უბრუნებდა საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს (ბატავის რესპუბლიკა, ესპანეთი) წართმეულ კოლონიურ სამფლობელოებს ტრინიდადისა და ცეილონის გარდა, უარს ამბობდა მალტაზე, ადრიატიკისა თუ ხმელთაშუა ზღვები დაპყრობილ კუნძულებზე. სანაცვლოდ კი საფრანგეთს უნდა გაეყვანა თავისი არმია ეგვიპტიდან, რომიდან. ამასთან იგი ვალდებული იყო დაებრუნებინა პაპისათვის. მისი სამფლობელოები ამის მიუხედავად არც ერთი

მხარე ხელშეკრულებით ნავარაუდევ მოთხოვნებს არ ასრულებდა. ინგლისი ხომ იმისათვის არ ყრიდა მილიონებს ომში, რომ სისხლის ფასად მოპოვებული სამფლობელოები ხელაღებით დაეკარგა?! საფრანგეთის ბურჟუაზია იყო, რადგან კარგად იცოდა კოლონიების ფასი. ამით აიხსნება, რომ არც ინგლისელები წასულან მალტიდან და სხვა კუნძულებიდან და არც ფრანგები დაპყრობილი იტალიის მიწა–წყალიდან. ამიტომ 1803 წელს საფრანგეთ–ინგლისს შორის ომის განახლება ლოგიკურ მოვლენად იქნა მიჩნეული.

ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდი (1802–1803 წ.წ.) ნაპოლეონმა მაქსიმალურად გამოიყენა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განმტკიცებისა და პირადი ძალაუფლების შემდგომი გაძლიერებისათვის. ამისკენ მას უბიძგა 1800–1802 წლებში როიალისტების ტერორისტული საქმიანობის რამდენადმე გააქტივება დედაქალაქში. მარტო 1800 წლის შემოდგომაზე მათ ორჯერ ცადეს ნაპოლენზე თავდასხმა. პირველად – 10 ოქტომბერს, მაგრამ წარუმატებლად. შეთქმულნი (სერანა, დემურვილი და სხვ.) სწორედ მაშინ დააპატიმრა ფუშემ, როცა ისინი თეატრში მყოფ პირველი კონსულის ლოჟას მიუახლოვდნენ. მეორედ, აშკარად ინგლისელების წაქეზებით, ვანდეელი შუანების (ასე ეძახდნენ იქაურ აჯანყებულ გლეხებს) ერთ–ერთმა ხელმძღვანელმა, ფანატიკოსმა მონარქისტმა ჟორჟ კადუდალმა რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად „ჯოჯოხეთის მანქანა“ მოაწყო სენ–ნიკეზის ვიწრო ქუჩაზე, სადაც 24 დეკემბერს უნდა გაევლო თეატრში მიმავალ ნაპოლეონ ბონაპარტს. აფეთქება განხორციელდა, რამდენიმე კაცის სიცოცხლეც შეიწირა, მაგრამ პირველი კონსული გადარჩა და სპექტაკლს მაინც დაესწრო. თურმე მისი მეეტლე, რომელიც ზარხოშად ყოფილა, გაუთვალისწინებელი სიჩქარით მიაქროლებდა ცხენებს და თავდამსხმელებმა ნაღმის პატრუქისათვის ცეცხლის წაკიდება და მისი აფეთქება შეძლეს მაშინ, როცა ეტლმა მას გადაურბინა. ტერორისტებს ხელი მოეცარათ, მაგრამ ბონაპარტემ ორივე შემთხვევა კარგად გამოიყენა მტრულ,

საეჭვო თუ არასასურველ ელემენტებთან ანგარიშსწორებისათვის. დააპატმრა მრავალი იაკობინელი, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამ თავდასხმასთან, მკაცრად გაუსწორდა როიალისტებსაც, თუმცა უკანასკნელ მომენტში მათდამი ლიბერალური დამოკიდებულება გამოიჩინა. ცხადია, ეს ნაპოლეონის ხასიათის შესუსტების შედეგი არ იყო. მან კარგად იცოდა სად უნდა ემოქმედა მკაცრად და დაუნდობლად, მაგრამ თუ მაინც ასე გააკეთა, მხოლოდ გარკვეული მოსაზრებით – სურდა ტახტდაკარგული ბურბონებისათვის დასაყრდენი გამოეცალა და მიეზიდა– შემოერიგებინა ის როიალისტები, რომლებიც მის ხელისუფლებას იცნობდნენ. ასეთი ტენდენცია მეფის მომხრეთა წრეში, განსაკუთრებით ემიგრაციაში, მართლაც იყო, და ბონაპარტემ არ დააყოვნა ამ ხელსაყრელი მომენტით სარგებლობა. ამ მოსაზრებით იყო ნაკარნახევი დეკრეტი 145 ათასი ემიგრანტიდან 141 ათასის სამშობლოში დაბრუნების შესახებ. მართალია, საზღვარგარეთ რჩებოდა 4 ათასამდე უკიდურესი მონარქისტი ფრანგი, მაგრამ 1802 წლის დადგენილებით მათაც მიეცათ ქვეყანაში დაბრუნების უფლება თუ კი ფიცს დადებდნენ ახალი ხელისუფლების ერთგულებაზე.

ნაპოლეონმა თითქოს მიაღწია მიზანს. ახლა შეიძლებოდა დაეწყო ზრუნვა რესპუბლიკურ მმართველობაში მონარქისტული ელემენტების ჯერ თანდათან შემოტანა, შემდეგ კი საბოლოოდ მისი დამკვიდრება. ამით იყო გამოწვეული 1802 წლის 2 აგვისტოს მუდმივ კონსულად მისი გამოცხადება. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად სენატი ცდილობდა მისი პირველი კონსულობა 10 წლით გაეგრძელებინა, მაგრამ ნაპოლეონი იმდენად ჩქარობდა რესპუბლიკის შეცვლას აბსოლუტური მონარქიით, რომ 1802 წლის 2 აგვისტოს "დაიყოლია" სენატი მისთვის ამ თანამდებობის მუდმივად გადაცემაზე. 2 დღის შემდეგ – 4 აგვისტოს (16 თერმიდორს) სენატმა მიიღო თვით ნაპოლეონის მიერ შედგენილი, ფაქტობრივად ახალი, რიგით მეხუთე კონსტიტუცია (ე.წ. რესპუბლიკის X წლის კონსტიტუცია), რომელიც

რესპუბლიკისაგან ინარჩუნებდა მხოლოდ სახელწოდებას და აკანონებდა ბონაპარტის პირად დიქტატურას. ამიერიდან საკანონმდებლო ორგანოების მოწვევა ან დათხოვნა მის ნება–სურვილზე იყო დამოკიდებული. მუდმივი კონსულის ხელფასი, ადრინდელ 500 ათასი ფრანკის ნაცვლად, განისაზღვრა 6 მილიონი ფრანკით.

ამიენის ზავით დამდგარი მშვიდობიანი პერიოდი ნაპოლეონმა უნარიანად გამოიყენა საქმეების მოსაგვარებლადაც. უპირველესად მან გამდგარი კოლონიური სამფლობელოების შემომტკიცება ცადა და მალე კარგად შეიარაღებული 25 ათასიანი რაზმი გაგზავნა კუნძულ ჰაიტზე. სან–დომინგოელმა ზანგებმა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1791 წლის აგვისტოში მოაწყეს აჯანყება ტუსენ ლუვერტიურის წინამძღოლობით, გაიმარჯვეს და დამოუკიდებლობაც მოიპოვეს. ნაპოლეონი, რომელიც ფრანგ პლანტატორთა ინტერესებს ემსახურებოდა, ვერ ურიგდებოდა სან–დომინგოს დაკარგვას. ცხადია, სანამ იგი ქვეყნის საშინაო საქმეებით იყო დაკავებული, აღნიშნულ ფაქტს ითმენდა, მაგრამ ყველაფერი რომ მოაწესრიგა და ბოლოს მომძლავრდა, მაშინ კოლონიებში ბატონობის აღდგენა მოინდომა. ბრძოლა ლუვერტიურის არმიასთან მეტად მძიმე გამოდგა. ამას დაერთო ტროპიკული კლიმატის სხვადასხვა დაავადებანიც. მხოლოდ დიდი მსხვერპლის ფასად შეძლეს ფრანგებმა „შავი გენერლის“ (ლუვერტიურის) შეპყრობა და სან–დომინგოს შემომტკიცება.

1802 წლიდან ნაპოლეონმა ინგლისზე სალაშქროდ დაიწყო მზადება. ამისკენ მას უბიძგებდა თვით ალბიონის რამდენადმე რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობა. საფრანგეთის პოზიციები კი, მასთან შედარებით, ბევრად მტკიცე იყო, რამდენადაც არა მარტო მყარად იჯდა ჰოლანდიაში, არამედ შეიერთა შვეიცარიაც. თანაც დამარცხებული ავსტრია რევანშის რაიმე სამზადისს არ ამჟღავნებდა. მართალია, უილიამ პიტი უმცროსი არაფერს იშურებდა პრუსია–რუსეთთან სამხედრო ურთიერთობის აღდგენისათვის და საფრანგეთის წინააღმდეგ მათი

ამხედრებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. იმ დროისათვის „პრუსია მერყეობდა, რუსეთი კი ეჭვობდა“ (ე.ტარლე). ასეთ პირობებში ნაპოლეონმა დასწრება ამჯობინა და ჩვეული სიბეჯითით შეუდგა ინგლისთან ლაშქრობის ორგანიზებას. უკვე 1803 წლის დამდეგს ინგლის–საფრანგეთს შორის ომიც განახლდა, თუმცა საბრძოლო მოქმედება კარგა ხანს არ დაწყებულა. რაში იყო საქმე? ნაპოლეონმა ელვისებური ომით ინგლისის განადგურების გეგმა შეიმუშავა. ამ მიზნით ბულონის ტყეში უზარმაზარი სამხედრო ბანაკი მოაწყო და შეუდგა 200 ათასიანი არმიის შეკრებას. ამავე დროს მან ბრძანა დაპყრობილ ქვეყნებში მოეხდინათ გემების კონფისკაცია. თან მოუწოდა მოკავშირეებს (ესპანეთი, ჰოლანდია) გამოეყვანათ ფლოტი. ნაპოლეონი ვარაუდობდა სულ ცოტა 2 ათასამდე ხომალდის შეგროვებას, რომლითაც გადალახავდა ლა–მანშის სრუტეს და ინგლისში გადასხამდა ჯარს. მჭირდება მხოლოდ სამი ნისლიანი დღე და მე ვიქნები ლონდონის, პარლამენტის და ინგლისის ბანკის ბატონ–პატრონი”, აცხადებდა ნაპოლეონი და ეს არ იყო ქადილი. ყოველ შემთხვევაში, ბულონში ფრანგთა სამზადისს დიდი შეშფოთებით შესცქეროდა ინგლისი, მაგრამ დრო გადიოდა და „სამი ნისლიანი დღის მოლოდინში“ ლაშქრობა ჭიანურდებოდა. ამასობაში კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბონაპარტემ ინგლისს მიანება თავი და კვლავ ევროპას მიუბრუნდა. 1804 წელს, განსაკუთრებით ენგიენის ჰერცოგის დასჯის შემდეგ, კონტინენტის საერთაშორისო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რამდენადაც ინგლისმა შეძლო ახალი კოალიციისათვის საძირკვლის ჩაყრა და მასში ავსტრიისა და პრუსიის ჩაბმა. კოალიციას თანაუგრძნობდა რუსეთიც. ნაპოლეონმა განსჭვრიტა, რომ ასეთ პირობებში უპირველესი ამოცანა იყო ევროპის წინააღმდეგ ბრძოლა და ამიტომ ინგლისში შეჭრა დროებით გადადო.

აღსანიშნავია, რომ 1803–1804 წლებში ინგლისზე ლაშქრობის განუხორციელებლობა რამდენადმე განაპირობა თვით საფრანგეთის საშინაო პოლიტიკურმა მოვლენებმაც.

ბონაპარტისათვის ნათელი გახდა, რომ ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მის მიერ 1800–1802 წლებში გატარებული ღონისძიებანი არ კმაროდა. ნაპოლეონის მონარქისტულ მისწრაფებებს სერიოზული ოპოზიცია დაუპირისპირდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო არმიაში, სადაც მსახურობდა მრავალი რესპუბლიკელი შესანიშნავი გენერლის მოროს ხელმძღვანელობით. ოპოზიციამ საქმიანობა გააქტივა ე.წ. საპატიო ლეგიონის შექმნის შემდეგ (1802 წლის 19 მაისი), რომელიც ნაპოლეონმა თავის ძირითად იარაღად აქცია რესპუბლიკის მონარქიად გარდაქმნისათვის ბრძოლაში. ბონაპარტემ ცადა ნიჭიერი და გავლენიანი მოროს შემორიგება, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ამასობაში მათი ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა. მორო მალე გახდა მუდმივი კონსულით უკმაყოფილო პირთა შეკრების ცენტრი. რესპუბლიკური ოპოზიცია საშიშ ხასიათს ღებულობდა, დაყოვნება კი არ შეიძლებოდა, მითუმეტეს, რომ მან აშკარა მოქმედება დაიწყო და არმიაში ნაპოლეონის საწინააღმდეგო პროკლამაციაც გავრცელდა. წიგნში „საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორია“ (გვ. 923) ა.ოლარს მოაქვს ეს პროკლამაცია: „ჯარისკაცებო, თქვენ უკვე აღარ გაქვთ სამშობლო; ამიერიდან რესპუბლიკა არ არსებობს და თქვენი დიდებაც გაფერმკრთალდა... ტირანი დაეუფლა ხელისუფლებას, და ვინ არის ეს ტირანი? ბონაპარტე... ერთი სიტყვით, რესპუბლიკა, 12 წლის მანძილზე თქვენი მონდომების, თქვენი მამაცობისა და შემოქმედების ნაყოფი, უბრალო სიტყვად გადაიქცა. მალე, ეჭვს გარეშეა ბურბონი დაიკავებს ტახტს, ანდა თვით ბონაპარტე გამოაცხადებს თავს იმპერატორად ან მეფედ... რა უფლებით ცდილობს უკანონოდშობილი, ეს კორსიკელიუნგარეწარი, რესპუბლიკის ეს პიგმეი ლიკურგეს თუ სოლონის როლში გამოსვლას და ქვეყნისათვის კანონების მიცემას?.. ჩვენი გენერლები უნდა გამოვიდნენ სცენაზე; მათ უნდა დაიცვან თავიანთი და არმიის დიდება. ჩვენი ხიშტები კი მზადაა სამაგიეროს გადასახდელად ამ შეურაცხყოფისათვის“. ცხდია, ეს მოწოდება თანაგრძნობას

პოულობდა არმიის გარეთაც, რაც ნაპოლეონის სამართლიან შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ, როცა 1804 წელს პარიზში გამომჟღავნდა ბურბონთა დიდი შეთქმულება ბონაპარტეს წინააღმდეგ, ნაპოლეონმა ამით ისარგებლა და გაუსწორდა ოპოზიციასაც. გენ. პიშეგრიუ შეიპყრო (ოფიციალური ვერსიით მან თავი მოიკლა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი ხმლით მოაშთეს), გენ. მორო ჩრდ. ამერიკაში გააძევა, წმენდა ჩაატარა სახელმწიფო ორგანოებში, დააპატიმრა და გილიონტინაზე აიყვანა ჟ.კადუდალი, დახვრიტა ბურბონთა ნათესავი ენგიენის (ბადენი) ჰერცოგი და სხვ. სხვათაშორის, ეს უკანასკნელი ამ მომენტში უდანაშაულო იყო და შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ნაპოლეონმა მაინც დააპატიმრა და დასაჯა იგი. სიკვდილის წინ ჰერცოგმა ბარათი მისწერა მას, მაგრამ უშედეგოდ. მართალია, შემდეგ ბონაპარტემ განაცხადა წერილი დროზე რომ წამეკითხა აუცილებლად შევიწყალებდი, მაგრამ ცხადად ჩანდა ამ უკიდურესი ღონისძიებით მან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა გამოუსწორებელ როიალისტებს, განსაკუთრებით ბურბონებს და საბოლოოდ გაფანტა ის ყალბი ილუზია თითქოს ნაპოლეონი, ინგლისელი გენერლის მონკოს მსგავსად, საფრანგეთში რევოლუციამდელი მონარქიის აღდგენისათვის. იბრძოდა.

ოპოზიციისა თუ მტრული ძალების დათრგუნვის შემდეგ საფრანგეთი ბონაპარტეს ფეხებთან იყო განთხმული. ახლა მას აღარაფერი აბრკოლებდა, რომ მუდმივად უკვე მიღებული თანამდებობა მემკვიდრეობითად ექცია. და მართლაც, 1804 წლის 18 აპრილს სენატმა ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორად გამოაცხადა (1805 წლის 28 მაისს კი იგი იტალიის მეფედაც აკურთხეს მილანში). მაშასადამე, აღსდგა მონარქია მთელი მისი ატრიბუტით, მაგრამ ეს რევოლუციამდელი ფეოდალური მონარქია კი არ იყო, არამედ მისგან განსხვავებული–ბურჟუაზიული მონარქია. ამით აიხსნება, რომ ნაპოლეონმა ბურბონებისაგან კი არ ისესხა მეფობის ტიტული, არამედ ათასი წლის უკანდელი მმართველის შარლ დიდიმ კაროლინგის წაბაძვით დასავლეთის

იმპერატორის სახელო დაისაკუთრა. ამით მან აგრეთვე ხაზი გაუსვა თავის დამპყრობლურ მისწრაფებებსაც, რადგან დასავლეთის იმპერატორობა, შარლ დიდის მსგავსად, გულისხმობდა საფრანგეთის გარდა, რომის იმპერიის (ე.ი. მთელი ევროპის) ტერიტორიების მოქცევას მის გამგებლობაში.

ოფიციალური ცერემონია მოეწყო დიდი ზარ–ზეიმით, იმავე წლის 2 დეკემბერს, პარიზის განთქმულ ნოტრ–დამის ეკლესიაში. როგორც შარლ დიდის დროს, ახლაც კურთხევას რომის პაპი ესწრებოდა, თუმცა იმ "მცირე" განსხვავებით, რომ 800 წელს მოწყობილ კორონიციისას თვით იმპერატორი ეწვია რომს. ნაპოლეონმა კიდევ ერთი ცვლილება შეიტანა ცერემონიალში. როცა პაპმა მას გვირგვინის დადგმა მოუნდომა, ბონაპარტემ იგი ხელიდან წაგლიჯა და თავად შეიმკო თავი, რითაც ხაზი გაუსვა იმპერატორის უზენაესობას თვით „ღმერთის მოადგილესთან" შედარებითაც.

ამრიგად, მეროვინგების (V-VIII), (VIII-X) კაპეტინგების და მისი განაყოფი გვარების – ვალუებისა და ბურბონების (X-XVIII) ბატონობის შემდეგ საფრანგეთის ტახტს სრულიად უჩინო–ბონაპარტისტების დინასტია დაეუფლა.

იმპერატორად გამოცხადება და რესპუბლიკის უკანასკნელ ნაშთებზე იერიშის მიტანა ერთი იყო. 1804 წელს ზეიმით აღნიშნეს ბასტილიის აღებისა და რესპუბლიკის შექმნის თარიღები, მაგრამ უკვე მომდევნო წლიდან ამ დღესასწაულების შესახებ არავის „გახსენებია". 1805 წლის 31 დეკემბრიდან გაუქმდა გაზეთებზე სათაურთან წამძღვარებული ტიტულატურა „საფრანგეთის რესპუბლიკა". ცოტა უფრო ადრე კი უარყვეს სახელმწიფო ბეჭედი ასეთივე წარწერით. თვით ნაპოლეონი, მართალია იწოდებოდა „იმპერატორად რესპუბლიკის კონსტიტუციის ნებისაებრ," მაგრამ მხოლოდ 1809 წლამდე. შემდეგ კი იწოდებოდა: „იმპერატორი ღვთის ღვთის წყალობითა და კონსტიტუციის თანახმად". 1808 წლის 22 ოქტომბრის დეკრეტით ბონაპარტემ შეცვალა ფულზე არსებული წარწერაც – 1809 წლის 1 იანვრიდან მოჭრილ მონეტაზე იყო აღნიშნა "საფრანგეთის იმპერია" და სხვ.

პ.ოლარი სამართლიანად შენიშნავდა: „ჩვენი უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო როდი ვცდილობთ ზუსტად განვსაზღვროთ სიტყვა „რესპუბლიკის“ გაქრობა ხმარებიდან. სანამ ეს ტერმინი არსებობდა, არსებობდა ზოგიერთი დაბრკოლებაც დესპოტიზმისათვის. დესპოტი იძულებული იყო დაეცვა გარკვეული ზომა, ყოფილიყო გონიერიც. რადგან ეს სიტყვა გაქრა, გაქრა ყოველგვარი მოგონება რევოლუციაზე, რაც აკავებდა ნაპოლეონს... და შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამის შემდეგ მისი ტირანია გახდა ისეთივე განუსაზღვრელი, როგორც იყო გრანდიოზული“.[41]

<u>ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა 1805–1815 წწ.</u> იმპერატორად გამოცხადებით ნაპოლეონს გაეხსნა გზა დაპყრობითი ომებისაკენ. ამიერიდან მსოფლიო ბატონობისათვის სალაშქროდ მას აღარაფერი აბრკოლებდა. ამიტომ ახალი თანამდებობის სიტკბო ხეირიანად არც უგემნია და უკვე 1805 წლის დამდეგს მახვილი საბრძოველად აღმართა, მით უმეტეს, რომ ამ დროს საფრანგეთს დაემუქრა მესამე კოალიცია.

კოალიციის სულისჩამდგმელი და შემქმნელი (1805 წ.) კვლავ ინგლისი იყო. მას აშკარად თანაუგრძნობდნენ ავსტრია, აგრეთვე პრუსია და რუსეთი. ამის მიუხედავად ისინი ძალზე პასიურად მოქმედებდნენ. ამით ისარგებლა ნაპოლეონმა და ბულონის ტყეში შეკრებილი უზარმაზარი არმია სასწრაფოდ ავსტრიისაკენ გადაისროლა. 1805 წლის 20 ოქტომბერს ულმასთან ბრძოლაში ფრანგებმა მძიმე მარცხი აწვნიეს გენ. მაკის არმიას. ნაპოლეონი ვენისაკენ გაემართა, თან გზად რამდენიმე მცირე ბრძოლა გადაიხადა და ყველგან გაიმარჯვა. ფრანგებს დავლოს სახით დარჩათ 200 ქვემეხი, 90 დროშა, 61 ათასი ტყვე და ავსტრიელთა ყველა გენერალი. 13 ნოემბერს ნაპოლეონი ვენაში შევიდა. იმპერატორმა ფრანცმა მას დაზავება თხოვა, მაგრამ გამარჯვებულმა იგი უპასუხოდ დასტოვა. მესამე კოალიცია ახლა რუსეთის იმედად დარჩა.

[41] Олар А., Политическая история Французской республики, М., 1938, с. 945.

ნაპოლეონი გრძნობდა, რომ რუსთა არმიის განადგურების გარეშე გამარჯვება კოალიციაზე არ იყო სრული. ამიტომ რჩეული ლაშქრით დაიძრა მისკენ. კუტუზოვი შედარებით მცირე ჯარით იყო და ამიტომ ბრძოლას თავს არიდებდა, თუმცა სამხედრო საქმეში გამოუცდელი მთავარსარდალი იმპ. ალექსანდრე I დაჟინებით მოითხოვდა გენერალურ შეტაკებას. მისი უვიცობა და ახირება კი ძვირად დაუჯდა რუსეთის არმიას. 1805 წლის 2 დეკემბრის სისხლისმვრელ ბრძოლაში აუსტერლიცთან ნაპოლეონმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ამით მესამე კოალიციამ არსებობა დაასრულა. მართალია, ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლაში (1805 წ. 21 ოქტომბერი) ადმირალმა ნელსონმა ერთიანად გაანადგურა ფრანგთა და ესპანელთა გაერთიანებული ფლოტი, მაგრამ ამას უკვე აღარ შეეძლო კოალიციის გადარჩენა.

წარმატებით გალაღებულმა ნაპოლეონმა დაიწყო ამ გამარჯვების ნაყოფის მომკა. ავსტრიას დაზავების სანაცვლოდ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა უბრძანა, პრუსიას კი მოთხოვა ინგლისისაგან გამიჯვნა, თან შეხედულებისამებრ წაართვა ტერიტორიები: პირველს – ვენეცია მთელი ოლქითურთ, ისტრია და დალმაცია, მეორეს–ნევშატელის სამთავრო და ა.შ. კიდევ მეტიც, ფრანგებმა ნეაპოლის სამეფოც დაიკავეს, იმპერატორის ძმას ჟოზეფს გადასცა. 1806 წლის ივნისში დაპყრობილი გერმანული სამთავროებიდან შეიქმნა რეინის კავშირი. მასში გაერთიანდნენ ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი და სხვ. აღნიშნული კავშირი, რომლის პროტექტორად თვით ფრანგთა იმპერატორი ითვლებოდა, პრუსიას დაუპირისპირდა.

1806 წელს შეიქმნა მეოთხე კოალიცია (ინგლისი, რუსეთი, პრუსია, შვეცია). ნაპოლეონი აქტიურად შეუდგა მზადებას მის წინააღმდეგ. მიზანში უპირველესად მან პრუსია ამოიღო. რეინის კავშირის შექმნის შემდეგ იქ ძლიერი ანტიფრანგული საქმიანობა გაჩაღდა. ბონაპარტემ ამჯერადაც დასწრება ამჯობინა და იმავე წლის 9 ოქტომბერს პრუსიის მოკავშირეს საქსონიას შეუტია. 9 და 10 ოქტომბერს მოხდა პირველი შეტაკებები პრუსიელებთან. ფრანგებმა გაიმარჯვეს.

გენერალური ბრძოლა გაიმართა იენასთან 14 ოქტომბერს. პურსიელები გოგენლოეს მეთაურობით მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ იძალა ნაპოლეონის სტრატეგიამ და ტაქტიკამ. მოწინააღმდეგე შედრკა და გაიქცა. იმავე დღეს მარშალმა დავუმ აუერშტედთან სასტიკად დაამარცხა პრუსიელთა მეორე არმია. ამრიგად, პრუსიელთა ილუზია ადვილი გამარჯვების შესახებ დაიმსხვრა. 8 ნოემბერს დაეცა მაგდებურგის უძლიერესი ციხე–სიმაგრე, თუმცა მარშალ ნეის მოიერიშე რაზმებს ამისათვის მსუბუქი მორტირების რამდენიმე გასროლაღა დასჭირდათ. გამარჯვებული ნაპოლეონი შევიდა ბერლინში და 1806 წლის 21 ნოემბერს გამოსცა ცნობილი დეკრეტი კონტინენტალური ბლოკადის შესახებ.

აღნიშნული დეკრეტის პირველ პარაგრაფში ნათქვამი იყო: „ბრიტანეთის კუნძულები გამოცხადებულია ბლოკადის მდგომარეობაში“. მეორე პარაგრაფი კი მიუთითებდა: „ყოველგვარი ვაჭრობა და ყოველგვარი უთრიერთობა ბრიტანეთის კუნძულებთან აკრძალულია”. ეს იყო ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთის ეკონომიური ბრძოლის ტრადიციული გაგრძელება. თვით ნაპოლეონმაც 1806 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით დაადასტურა ბრიტანეთიდან საქონლის შემოზიდვის აკრძალვა, მაგრამ ადრე საქმე ეხებოდა მხოლოდ საფრანგეთს. ახლა კი ინგლისს ეკონომიურ ბლოკადას უცხადებდა ნაპოლეონის გამგებლობაში მყოფი დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კონტინენტალური ბლოკადა უაღრესად სასარგებლო იყო საფრანგეთის მრეწველობისათვის იმპერიის შინაგანი ბაზრის მონოპოლიზაციის თვალსაზრისით. მას აღფრთოვანებით შეხვდა ევროპის მრეწველური ბურჟუაზიაც, რადგან ამით თავისუფლდებოდა ინგლისური იაფი ნაწარმის დამღუპველი კონკურენციისაგან. ცხადია, ბლოკადას ჰქონდა და უარყოფითი მხარეც – იგი არა მარტო ანადგურებდა ინგლისის ეკონომიკას და მას ბანკროტობით ემუქრებოდა, არამედ მნიშვნელოვნად აზარალებდა ევროპის ვაჭრებსა და მიწათმფლობელებს. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი,

რადგან სწორედ ინგლისი იყო მათი საქონლის (ხე–ტყე, მარცვლეული ძირითადი ტრადიციული შემსყიდველი და იაფი ნაწარმის მიმწოდებელიც. ამით აიხსნება კონტრაბანდის უჩვეულო განვითარება კონტინენტალური ბლოკადის ხანაში, თუმცა ნაპოლეონი მის წინააღმდეგ უსასტიკესი საშუალებებით იბრძოდა.

ეკონომიური ბლოკადის შემოღებამ დააჩქარა ფრანგთა აქტიური სამზადისი ახალი ლაშქრობისათვის. იმპერატორს ესმოდა, რომ ბლოკადის წარმატებით განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ მთელი ევროპის დაპყრობით და საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებით. საკმარისი იყო თუნდაც ერთ სახელმწიფოს კვლავ განეგრძო ვაჭრობა და სხვა სახის ურთიერთობა ინგლისთან, რომ დეკრეტი ბლოკადის შესახებ არარაობად იქცეოდა. ამიტომ ნაპოლეონმა იმავე წლის დამლევს არა მარტო დაიპყრო გერმანული ჰანზის კავშირის ქალაქები (ჰამბურგი, ბრემენი, ლიუბეკი) და ბალტიის ზღვის მიმდგომი სანაპირო ტერიტორიები, არამედ ბრძანა ლაშქრობა პოლონეთისა და რუსეთის მიმართულებით. თურმე პეტერბურგის საიმპერატორო კარს გადაეწყვიტა 100 ათასიანი არმიის გაგზავნა საფრანგეთის წინააღმდეგ და ნაპოლეონმა დასწრება ამჯობინა. მას წარმატების გარანტიას უქმნიდა პოლონეთში არსებული ძლიერი ანტიპრუსიული, განსაკუთრებით კი ანტირუსული მოძრაობა, რომელიც აქ XVIII ს.-ის 90–იან წლებში თადეუშ კოსტიუშკოს აჯანყებამ დაანთო. პოლონელები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ნაპოლეონს ეს იდეა არ იტაცებდა, მაგრამ მათ მაინც დაჰპირდა სახელმწიფოებრიობას თუ რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ. ასეც მოხდა, რის გამოც რუსეთი მარტო დარჩა ფრანგებთან მოსალოდნელ ომში.

1807 წლის 8 თებერვალს მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეებნენ პრეისიშ–ეილაუსთან (ახლა ბაგრატიონოვსკი) აღმოსავლეთ პრუსიაში. რუსთა მხრივ ბრძოლას ხელმძღვანელობდა გენ.ბენიგსენი, ფრანგთაგან–ბონაპარტე. შეტაკება მთელ დღეს გაგრძელდა. მართალია, რუსთა

არტილერიამ პირწმინდად გაანადგურა მარშალ ოჟერის კორპუსი და მოშალა ფრანგთა მარცხენა ფლანგიც, მაინც ნაპოლეონის აუღელვებლობამ (გორაკზე, სადაც იგი იდგა, არაერთხელ აფეთქდა ყუმბარა, მაგრამ ახლობელთა მუდარის მიუხედავად მთავარსარდალმა ფეხიც არ მოიცვალა) და დამატებითი ძალების შემოსვლამ ბრძოლის ბედი ფრანგთა სასარგებლოდ გადახარა. ბენიგსენმა უკან დაიხია, თუმცა ნაპოლეონის გამარჯვება „პიროსის გამარჯვებას“ ჰგავდა – მას ძალზე ბევრი ჯარისკაცი დაეღუპა. ამის მიუხედავად ორ მხარეს შორის ომი მაინც გაგრძელდა. ბუნიგსენმა დაარწმუნა ალექსანდრე I პრეისიშ–ვილაუსთან ფრანგთა დამარცხებაში და მანაც ახალი შეტევისათვის დაიწყო მზადება. 1807 წლის 14 ივნისს მოწინააღმდეგენი კვლავ შეხვდნენ ფრიდლანდთან. რუსთა მამაცობის მიუხედავად სასტიკი ბრძოლა მაინც ნაპოლეონის გამარჯვებით დასრულდა. ბენიგსენმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 25 ათასი ჯარისკაცი (კიდევ უფრო მეტი იყო დაჭრილი) და მთელი არტილერია. მარცხი იმდენად მძიმე იყო, რომ რუსებმა ზავი ითხოვეს. ნაპოლეონი დათანხმდა. რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელება სხვანაირ მომზადებას მოითხოვდა, რაც მომავლის საქმე იყო. ახლა კი შეიძლებოდა კონტინენტალური ბლოკადის სისტემაში რუსეთის შეყვანით დაკმაყოფილება.

1807 წლის 25 ივნისს დღის ორ საათზე ტილზიტში ერთმანეთს შეხვდა ორი იმპერატორი. მოლაპარაკებამ 8 ივლისამდე გასტანა და დამთავრდა ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებით. ზავის თანახმად პრუსიას დასავლეთით წაართვეს დიდძალი ტერიტორიები, რომელთაგან ნაპოლეონმა შექმნა ვესტფალის სამეფო. მისთვისვე ჩამორთმეული სამხრეთის მიწა–წყლის ხარჯზე კი ჩამოყალიბდა ვარშავის დიდი საჰერცოგო. რუსეთმა მიიღო ბელოსტოკის ოლქი, ამასთან იკისრა ვალდებულება შეერთებოდა კონტინენტალურ ბლოკადას.

აღმოსავლეთში ხანმოკლე მშვიდობა დამყარდა, მაგრამ პარიზში დაბრუნებულმა ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ დაგეგმა

ლაშქრობა ესპანეთსა და პორტუგალიაში. ესეც კონტინენტალური ბლოკადის ამოცანებით იყო ნაკარნახევი, რადგან არც ბურბონებს ესპანეთში და არც ბრაგანცებს პორტუგალიაში ინგლისთან ეკონომიური კავშირის გაწყვეტით არ სურდათ ნებაყოფლობით თავიანთი ქვეყნების განადგურება. ამიტომ 1808 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონმა 100 ათასიანი არმია დასძრა პირინეის ნახევარკუნძულისაკენ და მაისში მადრიდიც აიღო. ამის მიუხედავად ფრანგებმა ესპანეთში განმტკიცება ვერ შესძლეს, რადგან ქვეყანაში მძლავრმა განმათავისუფლებელმა ომმა იფეთქა. მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო იქ დამატებით გაგზავნილმა 150 ათასიანმა ლაშქარმაც.

ამასობაში ევროპის პოლიტიკური ცხოვრება ნაპოლეონისათვის არასასურველად განვითარდა. ავსტრიამ დაიწყო მზადება რევანშისათვის და ამას არც ფარავდა. ტილზიტის ზავზე ხელმოწერის მიუხედავად საეჭვოდ იქცეოდა იმპერატორი ალექსანდრეც, რომელზედაც, როგორც ჩანს ყოველდღიურად გავლენას ახდენდნენ კონტინენტალურ ბლოკადაში რუსეთის მონაწილეობით დაზარალებული ვაჭრები და თავადაზნაურები, მოსახლეობის ფართო ფენები. ამიტომ 1809 წლის იანვარში ნაპოლეონმა დასტოვა ესპანეთი და პარიზში დაბრუნებულმა ახალი მობილიზაცია გამოაცხადა. ახლა მისი ძირითადი მიზანი ავსტრიის სრული განადგურება გახდა.

1809 წლის გაზაფხულზე 300 ათასიანი არმიით ნაპოლეონი ბავარიისაკენ დაიძრა, რადგან ავსტრიელთა ლაშქარი ნიჭიერი ერცჰერცოგ კარლის ხელმძღვანელობით ამ ოლქს აოხრებდა. აბენსბერგთან გაიმართა პირველი ბრძოლა. ავსტრიელები დამარცხდნენ. 22 აპრილს ეკმიულესთან შედგა მეორე ბრძოლა, რომელშიც კვლავ ფრანგებმა გაიმარჯვეს. ხუთ დღეში გამარჯვება – ასეთი იყო ავსტრიელებთან ბრძოლის პირველი შედეგი. მოწინააღმდეგემ 50 ათასი კაცი დაჰკარგა. საგულისხმოა, რომ ომის დაწყებისას ბონაპარტეს გადაწყვეტილი ჰქონდა ავსტრიის სრული მოსპობა.

ახლობლებთან საუბარში კიდეც აღუნიშნავს: „ორ თვეში ვაიძულებ ავსტრიას განაიარაღდეს და შემდეგ თუ საჭირო იქნება კვლავ მოვაწყობ გასეირნებას ესპანეთშიო“. მაგრამ პირველმა ბრძოლებმა დაარწმუნეს იმპერატორი მიღებული გადაწყვეტილების უსაფუძვლობაში – ავსტრიელები ადრინდელზე უფრო მამაცურად იბრძოდნენ. ამიტომ ომი გაჭიანურდა. ბოლოს 1809 წლის ივლისში ვაგრამთან შედგა გადამწყვეტი ბრძოლა. ფრანგებმა ამჯერადაც გაიმარჯვეს. ამით დაიშალა ამავე წლის დამდეგს შექმნილი მეხუთე კოალიცია. ავსტრია კვლავ ნაპოლეონის ფეხებთან გართხმული აღმოჩნდა. მან ზავი ითხოვა. იმპერატორი დათანხმდა, თუმცა ამის სანაცვლოდ ავსტრიამ დათმო დასავლეთი მიწა–წყალი და გალიცია, აგრეთვე 85 მილიონიანი კონტრიბუციაც გადაიხადა. ამ ომის ერთი პოლიტიკური შედეგი იყო 1809 წლის ივნისში რომისა და პაპის მთელი სამფლობელოს უშუალოდ საფრანგეთთან შეერთება. ამით გაუქმდა პაპის საერო ხელისუფლება, რაც საერთოდ პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ამით ბონაპარტე პროგრესისტობას არ ჩემულობდა – მას აინტერესებდა პაპის სასულიერო ძალაუფლება თავისი პოლიტიკისათვის დაექვემდებარებინა.

1809–1810 წლების მიჯნაზე ნაპოლეონი საკუთარი ოჯახური მდგომარეობის მოწყობით იყო გართული. უზარმაზარ იმპერიას დისტანცია და მემკვიდრე სჭირდებოდა. მას კი ძე (არც ასული) არ ჰყავდა. ამიტომ იმპერატორი გაეყარა ჟოზეფინა ბოგარნეს, თუმცა იგი გრაფ ვალევსკის ასულთან ერთად ყველაზე მეტად უყვარდა იმ ქალთა შორის ვისთანაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. ამ მხრივ კი მის საყვარელთა სია ფრიად გრძელია თავშია პოლინა ფურე –„აღმოსავლეთის დედოფალი” (მისი ოფიცრის ცოლი), შემდეგ მოდიან ოპერის მომღერალი ბრანშიუ, კომედიის თეატრის მსახიობი ჟორჟი, მომღერალი გრასინა, დედოფლის სტატს – დამა ვანდე, შემდეგ გაზანი და ა.შ.; ხელს არც ბოგარნე აკლებდა ადიუნტანტი იპოლიტ შარლი. ალბათ ამიტომ ამბობდა ნაპოლეონი „მუდამ ორ ფრონტზე ვიბრძოდიო ნაპოლეონი ხშირად ამბობდა

„პოლიტიკოსებს არ გააჩნიათ გული, აქვთ მხოლოდ თავი“ –და ამ სენტენციით გულდამშვიდებული დიდი გატაცებით შეუდგა სადედოფლო კანდიდატურების შერჩევას. სულ იყო ორი პრეტენდენტი: ავსტრიის იმპერატორის ასული 18 წლის მარია–ლუიზა და რუსეთის იმპერატორის და 16 წლის ანნა. 42 წლის ნაპოლეონი[42] ამ უკანასკნელისაკენ იხრებოდა, რადგან მასზე ქორწინებით საეჭვოდ მერყევი ალექსანდრეს დაბმას ვარაუდობდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა, სხვადასხვა მიზეზით, არასასურველ სასიძოს უარით უპასუხა. ყოველშემთხვევაში ასე შეაფასა იგი თვით ნაპოლეონმა, რომელმაც ამის შემდეგ ავსტრიის იმპერატორის ასულზე დაქორწინება ინება. ცერემონიალი გაიმართა 1810 წლის 11 მარტს, ვენაში, ფრანგთა იმპერატორი მას არ დასწრებია – დედოფლის გვერდით იდგა და საქმროს განასახიერებდა მარშალი ბერტიე. ნაპოლეონი ცოლს პირველად შეხვდა კომპიენის ტყეში „შემთხვევით“, ნადირობის პროცესში.

[42] ნაპოლეონის დაბადების 200 წლისთავის აღნიშვნის დღეებში (1969 წლის აგვისტო) ფრანგულმა ჟურნალმა „ფიგაროლიტერერმა“ დაბეჭდა პოეტისა და რომანისტის ჟილბერ დე შამბერტრანის სტატია, რომელმაც საეჭვო გახადა იმპერატორის დაბადების არსებული თარიღის სიზუსტე–ეყრდნობოდა რა ისტორიულ ფაქტორებს, მოჰყავდა რა საინტერესო მოსაზრებები, რომანისტი ამტკიცებდა, რომ ნაპოლეონი დაიბადა არა 1769 წლის 15 აგვისტოს, არამედ 1768 წლის 5 თებერვალს.

ავტორი მიუთითებდა მრავალ საარქივო მასალაზე, სადაც მოყვანილი იყო 5 თებერვლის თარიღი, კერძოდ ნაპოლეონისა და ჟოზეფინას ქორწინების დოკუმენტი. მხოლოდ მოგვიანებით, იმპერატორის ტახტზე რომ ადიოდა, ნაპოლეონმა თითქოს თვითონ წამოაყენა 1769 წლის 15 აგვისტოს თავისი დაბადების ვერსია და თავს მოახვია იგი ისტორიას.

რისთვის იყო საჭირო ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი ტყუილი? ჟილბერ დე შამბერტრანი პასუხობს: კორსიკა საფრანგეთის ტერიტორია გახდა მხოლოდ 1769 წლის მეორე კვარტალში. მანამდე იგი იტალიას ეკუთვნოდა. საფრანგეთის იმპერატორი კი რომელმაც იტალია დაიპყრო, თავს უფლებას ვერ მისცემდა წარმოშობით იტალიელი ყოფილიყო.

ქორწინებას და მოჩვენებით სიხარულს იმპერატორის მემკვიდრის მოსალოდნელი გაჩენის გამო არ შეეძლო დაეფარა ფრანგთა და ევროპის ხალხთა მზარდი შეშფოთება კონტინენტალური ბლოკადის მეტისმეტად უარყოფითი შედეგების გამო. 1810–11 წლებში დაიწყო მძლავრი ეკონომიური კრიზისი, რაც ბლოკადის პირობებში ქვეყნებს სრული განადგურებით დაემუქრა. ამან გაზარდა უკმაყოფილება საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთ. ნაპოლეონს გადაუდგნა საკუთარი ძმაც ჰოლანდიის მეფე ლუი ბონაპარტე, რომელიც არ იზიარებდა ეკონომიური იზოლაციის პოლიტიკას და კრიზისიდან გამოსვლის საშუალებას ინგლისთან ვაჭრობის განახლებას თვლიდა. კიდევ მეტი, ჰანზის კავშირის ქალაქები და იქაური საბაჟოს ფრანგი მოხელეები არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ კონტრაბანდის წინააღმდეგ. პირიქით, ხელსაც უწყობდნენ მას. მართალია, ნაპოლეონმა ლუის ტახტი ჩამოართვა და ჰოლანდია ჰანზის კავშირის ქალაქები უშუალოდ საფრანგეთის შემადგენლობაში გააერთიანა, მაგრამ ამ ღონისძიებებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ ვითარების რადიკალური გამოსწორება. ცხადია, საქმეს ვერ შველოდა ვერც იმპერატორის სუბსიდიები ცალკეული მრეწველებისადმი, ვერც დიდი სახელმწიფოებრივი დაკვეთები, რადგან ეს, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ე.ტარლე, წვეთი იყო ზღვაში. ამის გამო მრავალი კაპიტალისტი გაკოტრდა. ამან დამატებითი სიძნელეები გამოიწვია, რადგან ფაბრიკა–ქარხნების დახურვამ გააძლიერა უმუშევართა და გააუარესა მოსახლეობის ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობა. ასეთ პირობებში ნაპოლეონის წინაშე თანდათან ამოტივტივდა 1812 წელს რუსეთზე ლაშქრობის იდეა. ჩანს, ეს მიაჩნდა კრიზისიდან გამოსვლის უპირველეს პირობად. თანაც ამით ბლოკადის სრული განხორციელება სურდა, რადგან სწორედ 1810–1811 წლებში რუსეთიდან ინგლისური საქონლის ევროპაში გავრცელებამ კოლოსალურ მასშტაბს მიაღწია.

მზადებას რუსეთზე ლაშქრობისათვის გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა. ნაპოლეონმა შეძლო ავსტრიის და პრუსიის

გადაბირება. პირველს გამოყავდა 30 ათასი ჯარისკაცი, მეორეს – კი 20 ათასი, აგრეთვე იძლეოდა 20 მილ. კგ. ჭვავს, 40 მილ. კგ ხორბალს, 40 ათას ხარს, 70 მილ. სპირტიან სასმელს და სხვ. ამის გარდა, 200 ათასი მოლაშქრე გაიწვიეს ვასალური სახელმწიფოებიდან (იტალია, ვესტფალის სამეფო, გერმანული სამთავროები), 90 ათასი – პოლონეთიდან და სხვ. ასე, რომ კამპანიის დაწყებისას ნაპოლეონს არმიაში ჰყავდა 420 ათასი მებრძოლი (ამას ემატებოდა კიდევ 150 ათასი ჯარისკაცი, რომელიც დამატებით მიუვიდა რუსეთში ლაშქრობის პროცესში).

გამარჯვებაში ნაპოლეონს ეჭვიც არ ეპარებოდა. ეს მიაჩნდა ინგლისის განადგურებისა და ადრინდელი სანუკვარი ოცნების ინდოეთისა და მთელი აღმოსავლეთის დაპყრობის განხორციელების საწინდრად. თავად ამბობდა ახლობლებთან საუბარში: „ალექსანდრე მაკედონელმა მიაღწია განგს, გაემართა რა მისკენ ისეთივე შორეული პუნქტიდან როგორც მოსკოვია... წარმოიდგინეთ, რომ მოსკოვი აღებულია, რუსეთი დამარცხებული, მეფე შეგვირიგდა ან დაიღუპა სასახლის რომელიღაც გადატრიალებისას, და მითხარით თქვენ, განა შეუძლებელია მაშინ ფრანგთათვის და დამხმარე არმიებისათვის განგისათვის მიღწევა! საკმარისია განგს შეეხოს ფრანგული დაშნა, რომ დაიქცეს (ინგლისის) შენობის მერკანტელური სიდიადე". მაშასადამე, თავისი სწრაფვა მსოფლიო ბატონობისაკენ ნაპოლეონს მხოლოდ დროის ამოცანად მიაჩნდა. კიდეც უთქვამს: „კიდევ სამი წელი და მე მთელი სამყაროს პატრონი ვიქნებიო". ასეთი წარმატების ილუზიას, განსაკუთრებით რუსეთში ლაშქრობისას, როგორც ჩანს, მას, უქმნიდა თვით ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების, განსაკუთრებით კი არმიის მდგომარეობის მის მიერ ჩატარებული სპეციალური ანალიზი. ერთი შეხედვით, მართლაც, ასე იყო: რუსეთმა კი მოასწრო თურქებთან ომის დასრულება და გარკვეულად შეისვენა კიდეც, მაგრამ ფრანგთა წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ უმოკავშირეოდ დარჩა. მას არც ლაშქარი ჰყავდა მრავალრიცხოვანი – ბალტისპირეთსა და

ბელორუსიაში განლაგებული ბარკალაი დე ტოლისა და ბაგრატიონის არმიები ძლივს 225 ათას ჯარისკაცს მოითვლიდა. იგი ვერც კარგი სარდლებით დაიკვეხნიდა, რადგან ვინც ვარგოდა (კუტუზოვი, ბაგრატიონი, რომელთანაც ნაპოლეონი მაღალ შეფასებას აძლევდა) ან ჩამოშორებული იყვნენ არმიის მთავარსარდლობას ანდა მეორე ხარისხოვან როლს ასრულებდნენ. ამის მიუხედავად ნაპოლეონი სასტიკად მოტყუვდა. რუსმა ხალხმა დამპყრობელს ნამდვილი სამამულო ომი გამოუცხადა, მძიმე მარცხიც აგემა, რითაც სამუდამოდ დაასამარა მსოფლიო ბატონობისაკენ მიმავალი მისი გეგმები. ამით აიხსნება, რომ ნახევარმილიონიანი არმიიდან საცოდავად გადარჩენილი და რუსეთიდან გაყვანილი 30 ათასი ჯარისკაცი ნაპოლეონმა მარშალ მიურატს ჩააბარა, თავად კი საფრანგეთს მიაშურა, რათა ეზრუნა ადრე დაპყრობილი სამფლობელოების შენარჩუნებისათვის.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, რომლის შესახებ მანიფესტი 1812 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნდა, რუსეთის არმიამ დაიწყო ლაშქრობა ევროპაში. ამან განთავისუფლების პერსპექტივები შეუქმნა ნაპოლეონის დაპყრობილ ხალხებს. ამოძრავებდნენ პრუსია და გერმანული სამთავროები. პრუსიამ რუსთა დასახმარებლად ჯარიც გამოიყვანა. მალე მათ შეურთდნენ ინგლისი, შვეცია, ესპანეთი და პორტუგალია. არსებითად ეს იყო მეექვსე კოალიცია. ამის მიუხედავად ფრანგთა იმპერატორი ჯერ კიდევ მხნედ იყო, რადგან ახალი გაწვევით 200 ათასიანი ლაშქრის შეგროვება შეძლო. იგი დაიძრა კიდეც მოკავშირეებთან (რუსები, პრუსიელები) საბრძოლველად. 1813 წლის 2 მაისს მოწინააღმდეგენი შეებნენ ლიუტცენთან. ფრანგებმა გაიმარჯვეს. იმავე წლის 20–21 მაისს ბაუცენთან მოხდა სასტიკი ბრძოლა. ნაპოლეონმა კვლავ გაიმარჯვა (თუმცა კინაღამ შეეწირა მას). ასეთ პირობებში საქმეში ჩაერია ავსტრია. მან შუამავლობა იკისრა და 1813 წლის 4 ივნისს ორივე მხარემ პლეისვიცში გააფორმა ხელშეკრულება. ავტსრიის კანცლერის მეტერნიხის წინადადებით მათ ივალდებულეს მოლაპარაკებისათვის

პრაღაში წარმომადგენლების გაგზავნა. რა თქმა უნდა მოკავშირეებს არ ჰქონდათ ფრანგთა იმპერატორისაგან რაიმე დათმობების იმედი (მას იგი არ გაუკეთებია დამარცხების დროსაც კი და ახლა ეს სრულიად გამორიცხული იყო). თავადაც ამბობდა: „მე რომ მე თვით არ ვიყო, არამედ ჩემი თავის საკუთარი შვილიშვილი, მაშინ შემეძლება დამარცხებული დაბრუნება და მეფობა დანაკარგების შემდეგო"). მაგრამ დაზავებაზე დათანხმდნენ მხოლოდ არმიის შესვენებისა და რეორგანიზაციის მიზნით. ხანმოკლე მშვიდობა სურდა ნაპოლენსაც, რადგან დამხმარე ძალებს ელოდა. ეს კი მისი დიდი შეცდომა იყო. გამარჯვების გამო ფრანგთა არმიის ბრძოლისუნარიანობა არაჩვეულებრივად გაიზარდა. ამიტომ უდაოდ მომგებიანი იქნებოდა დემორალიზებულ მოწინააღმდეგეზე განუწყვეტელი იერიშის მიტანა.

1813 წლის 10 აგვისტოს დაზავების ვადა ამოიწურა. პრაღაში მოლაპარაკება არ შედგა, რადგან არც ერთ მხარეს ხანგრძლივი მშვიდობა არ სურდა. ამიტომ 11 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებაც განახლდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ახლა კოალიციას მიემხრო და საფრანგეთს ომი გამოუცხადა ავსტრიამაც. ამის შედეგად მოკავშირეთა არმიის შემადგენლობა 850 ათას ჯარისკაცამდე გაიზარდა. მართალია, ნაპოლეონს რეზერვებთან ერთად იარაღქვეშ ჰყავდა 550 ათასი მოლაშქრე, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა და საერთო ინიციატივა ომის წარმოებაში უკვე აშკარად კოალიციის მხარეზე იყო, მითუმეტეს რომ ევროპასა და ესპანეთში ნაციონალურო–განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ ფრანგებს მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. ცხადია, ვითარებას ვერ ცვლიდა გამარჯვება დრეზდენის ბრძოლაში (1813 წლის 27 აგვისტო), რადგან იგი არც გადამწყვეტი იყო და არც სერიოზული მოწინააღმდეგის ძალთა განადგურების თვალსაზრისით. გენერალური შეტაკება გაიმართა ამავე წლის 16–18 ოქტომბერს, ლაიფციგთან და იგი ხალხთა ბრძოლის" სახელით არის ცნობილი. ნაპოლეონმა ყველაფერი გააკეთა წარმატებისათვის, მაგრამ ისტორიის ჩარხის წაღმა დაბრუნება

უკვე შეუძლებელი იყო. დამარცხებული იმპერატორი პარიზს დაბრუნდა. ლაიფციგის ბრძოლით 1813 წლის კამპანია დასრულდა. ორივე მხარე 1814 წლის საბრძოლო ოპერაციებისათვის მზადებას შეუდგა.

საფრანგეთში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა დახვდა ნაპოლეონს. განუწყვეტელმა ომებმა დააჩქარეს ახალი ეკონომიური კრიზისი. გაძლიერდა უმუშევრობა. ცხადია საქმე უშუალოდ აჯანყებამდე არ მისულა, მაგრამ მუშები უკვე ხმას იმაღლებდნენ. უკმაყოფილებას აცხადებდნენ მსხვილი სავაჭრო ბურჟუაზია და ფინანსისტები, რადგან პერმანენტულმა ომებმა მოშალეს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება. მართალია ნაპოლეონს ერთგულად მიჰყვებოდა სოფელი (მისი დაცემა და ბურბონების რესტავრაცია ფეოდალიზმზე დაბრუნებას მოასწავებდა), მაგრამ ძალთა თანაფარდობა სახელმწიფოში იმპერატორისათვის აშკარად არასასარგებლო იყო.

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად ნაპოლეონი ენერგიულად ემზადებოდა მომავალი ომისათვის. ამ მიზნით ახალი მობილიზაცია ჩაატარა და ჯარში დამატებით გაიწვია 110 ათასი კაცი. ახლა მას 200 ათასიანი მოქალაქე ჰყავდა, მაგრამ ეს არ იყო არც ეგვიპტესა და სირიაში, არც გერმანიასა და რუსეთში ნაბრძოლ–გამობრძმედილი არმია. ძველი ლეგიონერები კარგა ხანია აფრიკა–ევროპის მიწაში იწვნენ. ამჯერად ნაპოლეონს იარაღქვეშ ჰყავდა უწლოვანი ჭაბუკები, რომელთა ბრძოლისუნარიანობა ძალზე დაბალი იყო. იმპერატორი მაინც არ ჰკარგავდა იმედს. 1814 წლის 20 მარტს არსი–სიურ–ობთან ბრძოლაში გამარჯვება მას მომავლის ნათელ პერსპექტივებს უსახავდა, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. მოკავშირეთა მეორე არმიამ მოულოდნელად განავითარა შეტევა და უშუალოდ პარიზს მიადგა. ნაპოლეონი მაშინვე გაეშურა დედაქალაქის გადასარჩენად. კიდეც მივიდა ფონტენბლოში, მაგრამ სწორედ აქ შეიტყო: 30 მარტს, საღამოს 5 საათზე, პარიზი დანებდა მოკავშირეებს და ალექსანდრეც, ვითარცა გამარჯვებული, თეთრ ცხენზე ამხედრებული საზეიმოდ შევიდა ქალაქში.

ამ ცნობამ მძიმედ იმოქმედა იმპერატორზე, თუმცა ფარ–ხმალი არ დაუყრია. თავისთან მიუხმო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაქსაქსულ რაზმებს. 4 აპრილისათვის მას უკვე ჰყავდა 70 ათასი ჯარისკაცი. მეორე დღეს იგი დედაქალაქზე ლაშქრობას აპირებდა, მაგრამ სარდლებმა (უდინო, ნეი, მაკდონალდი, ბერტიე და სხვ.) მოაგონეს ნაპოლეონს მოწინააღმდეგეების მიერ პარიზის დანგრევის საფრთხე. სწორედ ამ დროს იმპერატორს მოუვიდა ცნობა მარშალ მარმონის ღალატის შესახებ. მოკავშირეთა მხარეზე მსხვილი შენაერთებითურთ მისი გადასვლა უპერსპექტივოს ხდიდა შემდეგ ბრძოლას. ამიტომ ნაპოლეონმა უარი თქვა ტახტზე და 6 აპრილს გადადგა. მაშინვე თვითმკვლელობა ცადა, მიიღო კიდეც საწამლავი, მაგრამ ძველი გამოდგა და ვეღარ იმოქმედა. იმპერატორი მალე გამოკეთდა. 20 აპრილს იგი გამოეთხოვა არმიას და გაემგზავრა კუნძულ ელბაზე, რომელიც მოკავშირეებმა მას მუდმივ საკუთრებაში გადასცეს. შვილი და მეუღლე იქ არ გაჰყოლია – მათ დამოუკიდებელი სამფლობელოები გამოუყვეს იტალიაში. გვარდიასთან გამოთხოვებით და ელბაზე ნაპოლეონის გამგზავრებით, როგორც ინგლისური პრესა აღნიშნავდა, „დასრულდა მსოფლიო ისტორიის უგრანდიოზულესი გმირული ეპოპეა“.

სხვათაშორის, ნაპოლეონის გამოთხოვება არმიასთან საინტერესო და ამაღლებული ფურცელის ამ დიდი ადამიანის ბიოგრაფიაში. გამოთხოვება შედგა 20 აპრილს ფონტენებლოს სასახლის უზარმაზარ ეზოში (ახლა მას „დამშვიდობების ეზო“ ჰქვია). ნაპოლეონმა სიტყვით მიმართა შეკრებილ გვარდიელებს: “ჯარისკაცებო, თქვენ ჩემი ძველი თანამებრძოლი მეგობრები ხართ, მაგრამ ახლა განშორება გვიწევს. მე ჯერ კიდევ შემეძლო დარჩენა თქვენს შორის, მაგრამ საჭირო იყო მკაცრი ბრძოლების გადახდა და ამიტომ არ მსურს განვგმირო საფრანგეთის გული... ისარგებლეთ სიმშვიდით, რაც თქვენ სამართლიანად დაიმსახურეთ და იყავით ბედნიერნი. ჩემზე კი ნუ იდარდებთ. მე მაქვს მისია რომ მოვუყვე შთამომავლობას ამ დიდ საქმეთა შესახებ, რასაც ჩვენ ერთად ვაკეთებდით. და რომ

იგი შევასრულო, ამიტომ ვთანხმდები კიდევ ვიცოცხლო. მე მინდა ჩაგიკრათ გულში ყველანი, მაგრამ მომეცით ნება ვაკოცო ამ დროშას, რომელიც თქვენ წარმოგადგენს. ნაპოლეონმა მეტი ვერაფერი თქვა. ცრემლმორეულმა ეამბორა დროშას, შემდეგ აკოცა მედროშესაც და გვარდიელების შეძახილებში "გაუმარჯოს იმპერატორს!" სწრაფად დატოვა ეზო. თანამედროვეთა მოწმობით ბევრი ჯარისკაცი ბავშვივით ტიროდა.

ნაპოლეონის გადადგომას და ბურბონების რესტავრაციას მოჰყვა ე.წ. პარიზის ხელშეკრულების გაფორმება. საფრანგეთის საზღვრები დადგინდა 1792 წლის ტერიტორიებით. მას შეუნარჩუნეს მხოლოდ ნიცა, სავოიის ნაწილი და რამდენიმე მოსაზღვრე ციხე–სიმაგრე. ამას გარდა ქვეყანაში დარჩა ხელოვნების ის შედევრები, რაც საფრანგეთმა მიიტაცეს ჯერ დირექტორიის, შემდეგ კი იმპერიის დაპყრობების ხანაში.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი უკვე ამ დროისათვის განწყობილი არ იყო ნაპოლეონის იმპერიის სრული მოსპობისათვის. ეს იყო კონტინენტზე ინგლისელთა გააქტივების შედეგი. სხვათაშორის ინგლისელ პოლკ. ვილსონთან საუბარში კუტუზოვი აღნიშნავდა: „დიდათ არა ვარ დარწმუნებული, რომ ნაპოლეონის იმპერიისა და მისი არმიის სრული მოსპობა წყალობა იყოს კაცობრიობისათვის". კუტუზოვი იქვე განმარტავდა ამ თვალსაზრისის საფუძვლებს. "მისი მემკვიდრეობა მოუწევს არა რუსეთს, არც კონტინენტის სხვა რომელიმე სახელმწიფოს, არამედ იმას ვინც ახლა ფლობს ბატონობას ზღვაზე და ვისი ბატონობას შემდეგ აუტანელი იქნებაო". როგორც ჩანს, ჯერ კუტუზოვს (იგი 1813 წლის დამდეგს გარდაიცვალა და გამარჯვებას ვერ მოესწრო), შემდეგ ალექსანდრეს იმპერიის მოსპობა კი არა, მისი დამარცხება და იმ ზომით შენარჩუნება სურდა, რომ კონტინენტზე ინგლისის წინააღმდეგობის ძალა ჰქონოდა. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისის დაცვა რუსეთმა ვერ შეძლო. ჩანს, აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებისას

ალექსანდრეზე დიდი გავლენა მოახდინეს როიალისტებმა, განსაკუთრებით კი ინგლისელებმა და ავსტრიელებმა, რომლებიც იმპერიის შენარჩუნებაში ნაპოლეონის ყოველდღიური რესტავრაციის საშიშროებას ხედავდნენ.

ბურბონების დაბრუნებამ დიდი მღელვარება გამოიწვია ქვეყანაში, რადგან როიალისტებმა მაშინვე დაკარგული ქონებისათვის დაიწყეს ბრძოლა. ამით უკმაყოფილო დარჩნენ არა მარტო ახალი არისტოკრატია, რომელიც რევოლუციისა და იმპერიის ხანაში სწორედ მონარქისტებისათვის ჩამორთმეული მამულების ხარჯზე გამდიდრდნენ, არამედ გლეხობაც, რომლისთვისაც რესტავრაცია ფეოდალური ურთიერთობისა და ძველი ბეგარა–ვალდებულებების დაბრუნებას მოასწავებდა. უკმაყოფილებას აცხადებდნენ აგრეთვე არმიის ოფიცრებაც და ჩინოვნიკთა უმრავლესობაც, რომლებიც ნაპოლეონისადმი ერთგულად ნამსახურობის გამო ახალმა ხელისუფლებამ უპენსიოდ დაითხოვა. ყველაფერი ეს ცნობილი იყო ელბაზე მყოფი იმპერატორისათვის, რომელსაც თვით შექმნილმა ვითარებამ უკარნახა საფრანგეთში დაბრუნება. სხვათაშორის, ნაპოლეონი სადად აფასებდა საერთაშორისო ურთიერთობასაც – მოკავშირეებს შორის არსებული სულ უფრო მზარდი უთანხმოებანი მას გამარჯვების საიმედო გარანტიას უქმნიდა. ამიტომ 1100 კაცით 1815 წლის 1 მარტს მოულოდნელად გადასხა კონტინენტზე და სწრაფი ტემპით გაეშურა პარიზისაკენ.

სამეფო კარი და როიალისტები პანიკამ მოიცვა. ნაპოლეონის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები, შეძახილებით „გაუმარჯოს იმპერატორს!", ბრძოლის გარეშე ზედიზედ გადადიოდნენ მის მხარეზე. ლუი XVIII გამოსავალი ვერ ნახა და 19 მარტს კვლავ საზღვარგარეთ გაიქცა. ფრანგული პრესა კი პედანტური სიზუსტით იტყობინებოდა ნაპოლეონის სვლას დედაქალაქისაკენ და იმის მიხედვით, თუ როგორ უახლოვდებოდა პარიზს, ყოველდღიურად იცვლიდა ტონს: „კორსიკელი ურჩხული გადმოსხდა ჟუანის ბოღაზში", „კაცისმჭამელი მიდის გრასასკენ", „უზურპატორი შევიდა

გრენობლში“, „ბონაპარტემ აიღო ლიონი“, „ნაპოლეონი უახლოვდება ფონტენებლოს“ და ბოლოს, “მის იმპერატორობით უდიდებულობას მოელიან დღეს მის ერთგულ პარიზში” და ა.შ.

20 მარტს იგი ტრიუმფით შევიდა პარიზში. ტიუილრის სასახლესთან მას ზღვა ხალხი შეხვდა. ამრიგად, მოხდა წარმოუდგენელი რამ – უიარაღო კაცმა, გასროლისა და მცირედი ბრძოლის გარეშე 19 დღეში გადასერა საფრანგეთი ხმელთაშუა ზღიდან პარიზამდე და იმპერატორის ხელისუფლება დაიბრუნა.

ცხადია, ნაპოლეონს ყველაზე უკეთ ესმოდა, რომ ტახტზე ხელმეორედ ასვლა მეტად თავისებურ პირობებში მოუხდა, რომ ძველი მეთოდებით სახელმწიფოს მართვა ახლა აღარ შეეფერებოდა დროის მოთხოვნებს. ყოველშემთხვევაში გლეხობას ადვილად გაიყოლიებდა, რადგან იმპერატორი მათთვის ფეოდალიზმის მოსპობასა და მიწაზე საკუთრების შენარჩუნების სიმბოლოს წარმოადგენდა. მართალია, მათ მობეზრდათ განუწყვეტელი ომები და სამხედრო ბეგარა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ამ კლასის სასიცოცხლო ამოცანა. გაცილებით რთულს წარმოადგენდა ბურჟუაზიის დაყოლიება, რადგან ამ უკანასკნელის თვალში ნაპოლეონი პერმანენტულ ომებს განასახიერებდა. ამის მიუხედავად იმპერატორმა მოძებნა გამოსავალი და 23 აპრილს დაამტკიცა ახალი მეტისმეტად ლიბერალური კონსტიტუცია, რომელიც თითქმის ერთნაირად მისაღები იყო ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფართო წრეებისათვის. რა თქმა უნდა, ნაპოლეონი რაიმე შეზღუდვას ვერ იტანდა, მაგრამ ახლა ეს დროებით სჭირდებოდა ხელისუფლების განმტკიცებისა და მისი მოსალოდნელი დესპოტიზმით დაშინებულ პირთა დაშოშმინებისათვის.

ევროპა გაოგნებული შეხვდა იმპერატორის დაბრუნებას საფრანგეთში. პირველი შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ მოკავშირეები კარგა ხანს უმოქმედოდ იდგნენ. ამით ისარგებლა ბონაპარტემ და სამხედრო მინისტრს დავუს დახმარებით ჩვეული ენერგიით შეუდგა ლაშქრობისათვის მზადებას. უკვე ივნისისათვის მას 200 ათასამდე ჯარისკაცი

ჰყავდა. მოკავშირეები მალე მოეგნენ გონს. მათ აშინებდათ არა მარტო ნაპოლეონის გენია და მის მიერ გაჩაღებული ომის ხანძარი, არამედ ქრისტეს მსგავსად აღმდგარი პიროვნების საოცარი ლიბერალიზმიც. ალექსანდრე (რუსეთი), ფრანცს (ავსტრია), ფრიდრიხ–ვილჰელმ III (პრუსია) და ლორდ კესტლრის (ინგლისი), ცალკ–ცალკე ეგონათ, რომ ბონაპარტე რევოლუციას აღორძინებდა. თვითონაც ამბობდა: „ამის გარეშე საფრანგეთის გადარჩენა შეუძლებელიაო“, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა. იმპერატორს თავად აშინებდა „რევოლუციის აღორძინება“ და არასდროს ამ მიზანს არ ისახავდა, მაგრამ თუ მასზე ლაპარაკობდა მხოლოდ გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით. ასე იყო თუ ისე, ნაპოლეონის ლიბერალურმა შეხედულებებმა გამოაფხიზლეს შიშით გონებადაჩლუნგებული ევროპელი მონარქები და დააჩქარეს გალაშქრება საფრანგეთის წინააღმდეგ. არსებითად ეს მოასწავებდა მეშვიდე კოალიციის შექმნას (ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია, შვეცია, ესპანეთი და სხვ.).

1815 წლის 14 ივნისს ნაპოლეონი დაიძრა კოალიციასთან საბრძოლველად და შეიჭრა ბელგიაში. 18 ივნისს გაიმართა გენერალური ბრძოლა ვატერლოოსთან (ბრიუსელიდან 22 კმ–ზე), სისხლისმღვრელი შეტაკება მთელ დღეს გაგრძელდა. საღამოს – ხანს მოკავშირეებს მოუვიდათ ახალი ძალა და გაიმარჯვეს. ნაპოლეონმა 15 ათასი მებრძოლი და მთელი არტილერია დაჰკარგა. დამარცხებამ იმპერატორის მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშო გახდა. ავსტრიელთა ახალი არმია საფრანგეთს უახლოვდებოდა, დღე–დღეზე მოსალოდნელი იყო რუსთა გამოჩენაც. ასეთ პირობებში მის გეგმებს განხორციელება არ ეწერა და 22 ივნისს იგი მეორედ გადადგა. დაუთმო რა ტახტი თავის ესოდენ საყვარელ ძეს, რომელიც 1813 წლიდან აღარ ენახა (იგი ისე გარდაიცვალა რომ მისი ხილვაც ვერ შეძლო).

ამრიგად, ნაპოლეონის მმართველობა (ე.წ. 100 დღე) საბოლოოდ დასრულდა. ბურბონებმა კვლავ მოახერხეს რესტავრაცია. ბონაპარტემ ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა,

გაამზადა კიდეც ორი ფრეგატი, მაგრამ ინგლისელთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ შეძლო. მაშინ იგი ჩაბარდა ინგლისის მთავრობას, რომელმაც თავისი ოდესღაც ძლიერი მტერი ატლანტის ოკეანეში, აფრიკის დასავლეთით 2 ათას კილომეტრზე მდებარე წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლა. სწორედ აქ, ერთგულ პირთა გარემოცვაში, ახალი ეპოქის პრომეთე – ნაპოლეონი 1821 წლის 5 მაისს გარდაიცვალა.[43] მისი ანდერძი შვილისადმი იყო: „ყველაფერი ფრანგი ხალხისათვის“. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „საფრანგეთი... არმია... ავანგარდი“.

ნაპოლეონი უდაოდ იყო ეპოქის უნიჭიერესი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე. თავისი მოღვაწეობის მასშტაბებით იგი მნიშვნელოვნად სჭარბობდა ძველი დროის ისეთ დიდ დამპყრობლებს როგორიც იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი,

---

[43] არსებობს აზრი თითქოს მაშინ ნამდვილი ნაპოლეონი კი არა, მისი ერთ–ერთი ორეული გარდაიცვალა, ხოლო ბონაპარტემ კიდევ რამდენიმე წელი იცხოვრა. ასეთი ეჭვის საბაბს იძლეოდა იმპერატორის არმიაში მყოფი ფრანსუა ეჟენ რობო, რომელიც განსაცვიფრებლად ჰგავდა ნაპოლეონს. 1818 წლის შემოდგომაზე, როცა ბონაპარტე წმ. ელენეს კუნძულზე იმყოფებოდა, რობო გაჰქრა თავის სოფლიდან და შემდეგ აღარც გამოჩენილა, თუმცა მეფის პოლიცია მას კარგა ხანს ეძებდა. ამის გამო რობოს მშობლიური სოფლის საეკლესიო წიგნში გაჩნდა ასეთი წარწერა: „დაიბადა ამ სოფელში, მოკვდა წმიდა ელენეს კუნძულზე“. სიკვდილის თარიღი აღნიშნული არ არის.

შეიძლება ეს ცნობა მივიჩნიოთ იმაზე მითითებად, რომ რობომ „შეცვალა“ იმპერატორი მის გადასახლებაში? თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება აიხსნას დღემდე გაუგებარი ფრაზა წმიდა ელენეს კომენდანტის პირადი წერილიდან (1818 წლის შემოდგომა), სადაც იგი დაბეჯითებით იტყობინება, რომ ნაპოლეონმა დატოვა კუნძული, შესაძლოა ამაში იმალებოდეს მიზეზი იმპერატორში იმ უცნაური ცვლილებებისა, რომლებსაც აღნიშნავენ ყველანი, ვინც იგი ამ დროის შემდეგ ინახულეს: შეიცვალა მისი მანერები, ხელწერაც, მრავალი ფაქტი, რომელიც ნაპოლეონისათვის კარგად იყო ცნობილი, უცნობი იყო კუნძულზე მყოფი პატიმრისათვის...

არსებობს სხვადასხვა ვერსიები, თუ სად იმალებოდა ნაპოლეონი, როცა მან თავისი სიცოცხლე დაასრულა სწორედ მან და არა მისმა ორეულმა, რომელიც თითქოს კუნძულზე დარჩა.

ჩინგის–ხანი, თემურლენგი და სხვ. მან ყველაფერი გააკეთა თავისი კლასის – აღმავალი ბურჟუაზიული კლასის ინტერესების განხორციელებისათვის. ამ მიზნით მთელი ევროპა დაიმორჩილა და რუსეთის დაპყრობით მსოფლიო ბატონობასაც წაეპოტინა, მაგრამ მისი იმპერია ხელოვნური და ხმლით შეკოწიწებული იყო. ამიტომ არც გასაკვირი დარჩა როცა იგი ბონაპარტეს გადადგომისთანავე დაიშალა.

2. გერმანია XVIII–XIX ს-ების მიჯნაზე. მაინცის რესპუბლიკა

<u>საფრანგეთის რევოლუციის გავლენა გერმანიაზე.</u> საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა გერმანიაზე. მოწინავე საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა 1789 წლის 14 ივლისის აჯანყებას და მას ახალი ეპოქის დასაწყისი უწოდა. საუნივერსიტეტო ქალაქებში მოეწყო სტუდენტთა დემონსტრაციები და მანიფესტაციები, სადაც გაისმოდა რევოლუციის სადიდებელი ლოზუნგები. სამწუხაროდ, ეს იყო გამოძახილი გერმანულ ყაიდაზე. აქაური ბურჟუაზია, სუსტი ეკონომიკურად, ჩამორჩენილი – პოლიტიკურად, მოუმწიფებელი–ეროვნული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ, არ იყო მზად ფეოდალური დიდკაცობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომ თავისი პირვანდელი აღფრთოვანება, რომელსაც უწოდებდნენ „ფრანგ რევოლუციონერთა თეორიით აღფრთოვანებას“) მან მალე შესცვალა სიფრთხილითა და თავდაჭერილობით, ხოლო შემდეგ ფეოდალურ რეაქციასთან პირდაპირი კავშირით.

გაცილებით აქტიურად შეხვდნენ რევოლუციას გლეხები და ქალაქის ღარიბები. განსაკუთრებით ეს ითქმის საფრანგეთის მოსაზღვრე რაიონების, კერძოდ ელზასის მოსახლეობაზე. აქ გლეხები მასობრივად აცხადებდნენ უარს მეათედისა და სხვა სახის გადასახადებზე, იტაცებდნენ ტყეებსა და საძოვრებს, მნიშვნელოვანი გამოსვლები იყო საქსონიაში 1790 წლის ზაფხულში. გლეხებმა განაიარაღეს

ჯარი და პოლიცია და აიძულეს მემამულეები უარი ეთქვათ თავიანთ პრივილეგიებზე. შემდეგ ორი ათასზე მეტი გლეხი დაიძრა ქალაქ მაისენისაკენ და საპყრობილედან გაათავისუფლეს დაპატიმრებული თავიანთი ხელმძღვანელები. ხელისუფლებას დასჭირდა მთელი ძალების მობილიზება მღელვარების ჩასახშობად. მოძრაობამ სილეზიაშიც იფეთქა. საგულისხმოა, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლება 1790 წლის დამლევს მოითხოვდა მკაცრი ცენზურის დაწესებას, რომ საფრანგეთის რევოლუციის იდეები–ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ არ გავრცელებულიყო სილეზიის რაიონებში. მიღებული ზომების მიუხედავად არ მოხერხდა იდეების საზღვარზე შეჩერება და მოძრაობის თავიდან აღილება. მართლაც, 1793 წლის მარტ–აპრილში იფეთქა სილეზიელ ფეიქართა აჯანყებამ. მართალია, მას ლოკალური და სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ სერიოზულად დააშინა გაბატონებული წოდება, კერძოდ ვაჭრები და აიძულა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. პრუსიის მთავრობა ამბოხებულ ფეიქრებს იარაღით გაუსწორდა. ასეთივე გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ჰესენში, სამხრეთ გერმანულ ოლქებში და სხვ.

1791 წლის აგვისტოს ე.წ. პილნიცის დეკლარაციით ავსტრიამ და პრუსიამ ივალდებულეს ერთობლივი ლაშქრობა საფრანგეთის რევოლუციის ჩასახშობად. საფრანგეთმა დაასწრო და 1792 წლის 20 აპრილს მათ ომი გამოუცხადა.

ომი ფრანგთათვის მარცხიანად წარიმართა. კოალიციური არმია ბრაუნშვაიგის ჰერცოგის მეთაურობით შეიჭრა საფრანგეთში. ამან მოსახლეობის დიდი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. 1792 წლის 20 სექტემბერს მოხდა დიდი ბრძოლა ვალმისთან. ჩაუცმელ–მშიერმა და ცუდად შეიარაღებულმა ფრანგებმა, შესძლეს ინტერვენტთა დამარცხება. გამარჯვებით აღფრთოვანებული ფრანგთა არმია გადავიდა შეტევაზე, გადალახა სახელმწიფო საზღვარი და შევიდა ნიდერლანდებში, სადაც მტერს კიდევ ახალი დარტყმები აგემა. 20 ოქტომბერს ფრანგთა რევოლუციური

არმია გენ. კიუსტინის ხელმძღვანელობით მიადგა გერმანულ ქალაქ მაინცს.

სხვათაშორის, მაინცი მხურვალედ გამოეხმაურა პარიზელთა 1789 წლის 14 ივლისის აჯანყებას. მოძრაობას აქ შედარებით ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა, რამდენადაც ხელმძღვანელობდა ფორსტერისა და გოფმანის მიერ შექმნილი ე.წ. „პროპაგანდის საზოგადოება“. აღნიშნული ორგანიზაცია ძირითადად რაზმავდა მოსახლეობას ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ჩანს, ამის გავლენით მაინცის ხელისუფლებამ ვერ გაბედა წინააღმდეგობა და დაჰყვა ფრანგთა წინადადებას ე.ი. დათანხმდა კაპიტულაციაზე. მეორე დღეს ფრანგები შევიდნენ ქალაქში და გენ. კისტინმაც მოსახლეობას მოწოდებით მიმართა. ამით აღფრთოვანებულმა მაინცელმა დემოკრატებმა ფორსტერის ინიციატივით რაინ–მოზელის ოლქი რესპუბლიკად გამოაცხადეს. ეს იყო პირველი ბურჟუაზიულ–დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიაში. კონვენტმა სპეციალური დეკრეტით მაშინვე გააუქმა ბატონყმობა, რაც პროგრესისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. 15 ნოემბერს ფორსტერმა წარმოთქვა თავისი გახმაურებული სიტყვა, რომელშიც ჯერ მიესალმა ფრანგებს როგორც ძმებს და ტირანიის დამამხობელთ, შემდეგ კი მოსახლეობას მოუწოდა ფრანგებთან გაერთიანებისაკენ. „თუ თქვენ, მაინცისა და მახლობელი ადგილის მცხოვრებლებნო, გამოთქვამთ სურვილს იყოთ თავისუფალი, მაშინ თქვენ ჩაგრთავენ უძლეველი თავისუფალი სახელმწიფოს შემადგენლობაში და რესპუბლიკა დაგიცავთ როგორც საკუთარ ქვეშევრდომებს“. მაინცელი დემოკრატების სურვილის პასუხად საფრანგეთის კონვენტმა მიიღო დეკრეტი, რომლითაც ფრანგი ერის სახელით შეჰპირდა „ძმობა და დახმარება ყველა ხალხს, რომლებიც ისურვებენ თავისუფლებას“.

ამის პასუხად 1793 წლის 21 მარტს მაინცის ეროვნულმა კონვენტმა დაადგინა საფრანგეთთან გაერთიანება. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგივე ფორსტერი აღნიშნავდა: „დაიწყო პერიოდი ჩვენი ხალხის ცხოვარებაში. კაცობრიობის

განთავისუფლების ეს ეპოქა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, როდესაც 1800 წლის უკან დაიწყო ჩვენი წელთაღრიცხვა“.

სამწუხაროდ, მაინცის რესპუბლიკას აქტიურად ვერ გამოეხმაურნენ სხვა ოლქები, თუმცა იგი მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამით ისარგებლეს პრუსიელებმა და ივნისში შეტევაზე გადავიდნენ. ფრანგულმა გარნიზონმა იარაღი დაჰყარა და ამრიგად მაინცის რესპუბლიკაც დაეცა. ძველი წესები აღადგინეს, რევოლუციონერთა მიმართ კი სასტიკი რეპრესიები გააჩაღეს. რესპუბლიკის ცნობილი ხელმძღვანელები საფრანგეთში გაიქცნენ.

საერთოდ, რევოლუციის გამოხმაურებას გერმანულ ოლქებში, განსაკუთრებით კი მაინცის რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აფხიზლებდა გერმანულ საზოგადოებრივ აზრს და მას ფეოდალიზმის წინააღმდეგ წარმართავდა.

ომები საფრანგეთის წინააღმდეგ. 1799 წელს 18 ბრიუმერის გადატრიალებით საფრანგეთში დამყარდა კონსულობა, არსებითად კი ნაპოლეონ ბონაპარტეს სამხედრო დიქტატურა, რომელიც შეესაბამებოდა კონტრრევოლუციური მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. საფრანგეთის ომები, რომლებიც ადრე რევოლუციური ხასიათი ჰქონდათ, შეიძინა გადაიქცა დამპყრობლური და მძარცველური ხასიათი. მართლაც, 1801 წლის ლიუნევილის ზავით ნაპოლეონმა საბოლოოდ მიისაკუთრა მდ. რაინის მარცხენა მხარის ტერიტორიები. 1803 წლის თებერვალში ნაპოლეონის და ალექსანდრეს ინიციატივით რეგენსბურგში მოიწვიეს გერმანელი მთავრებისა და ქალაქების წარმომადგენელთა (იმპერიის დეპუტაცია) ყრილობა, რომელმაც გააუქმა 112 ჯუჯა სამთავროს უფლებამოსილება და ეს ტერიტორიები მსხვილ გერმანულ სახელმწიფოებს (ბადენს, ჰესენს, ბავარიას და ა.შ.) გადაუნაწილა. ახლა გერმანიაში სულ 39 პოლიტიკური ერთეული დარჩა. რა თქმა უნდა ნაპოლეონმა ეს ღონისძიება საკუთარი ინტერესების შესაბამისად განახორციელა. კერძოდ

ამით იგი ცდილობდა ავსტრიისა და პრუსიის მოწინააღმდეგე ძალთა გაძლიერებას, მაგრამ მის მიერ 112 წერილი და უწვრილესი სახელმწიფოების გაუქმება, მისი ობიექტური შედეგებით, უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო ქვეყნის დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის საქმეში.

1806 წელს ნაპოლეონმა დაამარცხა ანტიფრანგული მესამე კოალიცია (ინგლისი, ავსტრია, რუსეთი და სხვ.). სურვილისამებრ გადაანაწილა ავსტრიის ტერიტორიები და თავის პროტექტორატის ქვეშ, 1806 წლის ივლისში, შექმნა რაინის კავშირი, რომელშიც მალე 16 გერმანული სახელმწიფო გაერთიანდა. კავშირის გარეთ დარჩნენ ავსტრია და პრუსია. ასეთ პირობებში „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის“ არსებობა იყო ფიქცია და იმპერატორმა ფრანც მეორემ იმპერია გააუქმა. ფრანცი, ფრანც პირველის სახელით, ახლა მხოლოდ ავსტრიის იმპერატორად გამოცხადდა.

რაინის კავშირის ფორმირებამ გაზარდა საფრანგეთის გავლენა გერმანიაზე. ამას დაემატა ისიც, რომ ნაპოლეონმა რაინისპირა ოლქებში არა მარტო ბურჟუაზიული კანონმდებლობა შემოიღო, არამედ ფრანგული სავაჭრო ეკონომიკური პოლიტიკაც გაავრცელა. ამან პრუსია უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ჩააყენა და აიძულა 1806 წელს მეოთხე ანტიფრანგულ კოალიციას (ინგლისი, რუსეთი, და შვეცია) შეერთებოდა. იენასა და აურშტედტის ბრძოლებში პრუსიელები დამარცხდნენ და იმავე წლის 27 ოქტომბერს ფრანგთა არმია ბერლინშიც შევიდა. ერთი თვის შემდეგ, ნაპოლეონმა სწორედ ამ ქალაქში მოაწერა ხელი ცნობილ დეკრეტს კონტინენტალური ბლოკადის შესახებ. საბოლოოდ 1807 წელს დაიდო ე.წ. ტილზიტის ზავი პრუსიამ დაკარგა ელბის დასავლეთით მდებარე მიწები, რომლებიც შევიდნენ ნაპოლეონის შექმნილ მარიონეტულ ე.წ., ვესტფალიის სამეფოში. პრუსიას ჩამოართვეს აგრეთვე პოლონური ტერიტორიები, რომლებიც საფრანგეთზე დამოკიდებულ ვარშავის საჰერცოგოში მოექცა. ამის შედეგად მისი მიწა–

წყალი ორჯერ შემცირდა. იგი ფაქტობრივ ოკუპირებული აღმოჩნდა. ასეთ მდგომარეობაში ქვეყანა დარჩა 1813 წლამდე.

ფრანგთა გაბატონებას გერმანიაში თან მოჰყვა რადიკალური გარდაქმნები, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო რაინისპირა და უშუალოდ საფრანგეთთან შეერთებულ ოლქებში. კერძოდ, გაუქმდა ფეოდალურ–წოდებრივი პრივილეგიები, მოისპო სასულიერო მიწათმფლობელობა, მოწესრიგდა ფინანსები, ადმინისტრაცია და სასამართლო, სოფლად გაუქმდა ბატონყმობა, გლეხებს მისცეს საკუთრებაში მიწების შესყიდვის საშუალება და ა.შ. ამ და სხვა ანალოგიურ ღონისძიებებს ჰქონდათ უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს უწყობდა კაპიტალისტური წარმოების წესის გამარჯვებას. და მაინც, უნდა ითქვას, რომ ეს გარდაქმნები ფრანგული ბურჟუაზიის ინტერესებით იყო ნაკარნახეთი: უფრო ადვილად და სრულად გამოეყენებიათ დაქვემდებარებული ტერიტორიის ბუნებრივი რესურსები. მართლაც, რაინის კავშირის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ფრანგთათვის რაც შეიძლება მეტი „საზარბაზნე ხორცის“ და სურსათის მიწოდება. ამიტომაც რეფორმების მთელი სისტემა დამპყრობელის მოთხოვნებით იყო განსაზღვრული.

<u>შტაინისა და გარდენბერგის რეფორმები</u>. გერმანელი მოსახლეობა როდი შეურიგდა საოკუპაციო რეჟიმს. პატრიოტები მალე აღსდგნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ. 1809 წლის აპრილში ბრძოლამ იფეთქა ჰესენში. აჯანყებულებს მაშინვე მიეშველა გერმანელ მოხალისეთა რაზმი მაიორ შილის ხელმძღვანელობით. ჰესენის კვალდაკვალ აღსდგა ტიროლი გლეხ გოფერის მეთაურობით. ორივეგან აჯანყებულები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. შილი და გოფერი სიკვდილით დასაჯეს.

დამპყრობელთა წინააღმდეგ ამოძრავდა ინტელიგენცია. მისი ინიციატივით 1808 წელს კენიგსბერგში შეიქმნა ე.წ. „ტუგენდბუნდი“ ანუ „კეთილმოსურნეთა კავშირი“, რომლის რიგებში იყვნენ გენერლები, სამოქალაქო ჩინოვნიკები და სხვ. კავშირი, რომელსაც ლიბერალურ–მემამულური ინტელიგენცია

ხელმძღვანელობდა მიზნად ისახავდა არა მარტო პრუსიის, არამედ მთელი გერმანიის განთავისუფლებას ფრანგთა ბატონობისაგან. მართალია, მომდევნო წელს აღნიშნული კავშირი აკრძალეს ნაპოლეონის მოთხოვნით, მაგრამ მაინც არსებობდა ნახევრადლეგალურ საფუძველზე.

ფართო ხასიათი ჰქონდა პატრიოტულ მოძრაობას სპორტული კავშირების შესაქმნელად. ამ მოძრაობის დამაარსებელი იყო ისტორიკოსი და ფილოლოგი ფრიდრიხ–ლუდვიგ იანი. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ტანვარჯიშს და თვლიდა, რომ ძლიერი და მამაცი ადამიანების აღზრდა გერმანიის განთავისუფლების საუკეთესო პირობა იქნებოდა. ამ მიზნით მან 1811 წელს ბერლინში კიდეც ჩამოაყალიბა პირველი ტანვარჯიშული სკოლა და დაიწყო ხალხის საყოველთაო შეიარაღების იდეების ქადაგება, რასაც დიდი პოპულარობა ჰქონდა.

ამავე წლებში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიის იდეოლოგიური მიმართულება, რომელიც გამოხატავდა მის სწრაფვას განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობისაკენ. ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელი იყო ცნობილი ფილოსოფიისა იოჰან გოტლიბ ფიხტე, რომელიც თავის „სიტყვებში გერმანელი ხალხისადმი“ გამოდიოდა სამშობლოს განთავისუფლების ლოზუნგებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფიხტეს სიტყვებში ნაციონალისტურ გადახრებს ფართო გასავალი ჰქონდა, რამდენადაც შეიცავდა შოვინისტურ დებულებებს სხვა ერებზე გერმანელი ერის უპირატესობის შესახებ.

ფიხტესთან ერთად განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეოლოგად მოგვევლინენ პუბლიცისტი არნდტი, ისტორიკოსი გეორგ ნიბური და სხვ., რომლებიც ხალხს არა მარტო ფრანგთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, არამედ მოითხოვდნენ ფეოდალური აბსოლუტიზმის დამხობას, ბურჟუაზიული რეფორმების განხორციელებას.

საფრანგეთთან ომებში და ანტიფრანგულ გამოსვლებში გერმანელთა მარცხის ძირითადი მიზეზი ქვეყნის

ჩამორჩენილობა იყო. ამიტომ პრუსიის გაბატონებულმა კლასებმა ცადეს რეფორმების გზით ამ ნაკლის დაძლევა. 1807 წლის ოქტომბერში მთავრობას სათავეში ჩაუდგა ბარონი ჰენრიხ შტაინი, რომელმაც პოსტზე ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ყოფნისას რამდენიმე ლიბერალურ–ბურჟუაზიული რეფორმა განახორციელა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1807 წლის ოქტომბრის ედიქტით, გაუქმდა მემამულეებზე გლეხობის დამოკიდებულება. 1808 წელს შტაინმა ქალაქებს დაუბრუნა ადრე დაკარგული თვითმმართველობა და მისცა მათ მაგისტრატის შექმნის უფლება. დაბოლოს გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა და შეიქმნა სამინისტროები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმას, რომლითაც დაწესდა სავალდებულო სამხედრო სამსახური და ა.შ.

აღნიშნულ რეფორმებს უაღრესად შეზღუდული ხასიათი ჰქონდათ. მაგ., სამოქალაქო თვითმმართველობის–მაგისტრატების არჩევნებში მონაწილეობა შეეძლო მხოლოდ მდიდარ მოქალაქეებს. და მაინც პრუსიული იუნკრები შტაინს საშიშ „იაკობინელად“ მიიჩნევდნენ. ასეთ პირობებში ისინი აუმხედრდნენ მთავრობის მეთაურს და მეფე ფრიდრიხ–ვილჰელმ III მის გადაყენებაზე დათანხმდა.

ახლა მთავრობის მეთაური გახდა გრაფი გარდენბერგი. იგულისხმება, რომ შტაინის შემდეგ იგი ვერ იაქტიურებდა რეფორმების საკითხში, მაგრამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით მაინც იძულებული იყო ეზრუნა ცხოვრების ზოგი სფეროს გარდაქმნისათვის. მართლაც, გამოაქვეყნეს კანონი, რომელიც არგულირებდა ურთიერთობას გლეხსა და მემამულეს შორის მიწის გამოსყიდვის ოპერაციებში. გარდენბერგმა განახორციელა აგრეთვე საფინანსო და საგადასახადო სისტემის რეფორმა. ახლა გარკვეული არაპირდაპირი გადასახადების გაღება თავად აზნაურობასაც დააკისრეს. მანვე გამოაქვეყნა კანონი, რომლითაც აღიარა ებრაელთა თანასწორობა. კვლავ დიდი ყურადღება დაეთმო გარდაქმნებს არმიაში, სადაც პატრიოტები შარნჰორსტი,

კლაუზევიცი და სხვები მრავალ საინტერესო წინადადებებს აყენებდნენ.

საერთოდ, შტაინისა და გარდენბერგის რეფორმებს ბურჟუაზიული ხასიათი ჰქონდათ. ისინი უდაოდ უწყობდნენ ხელს ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული რეფორმები იყო შეზღუდული, რამდენადაც ინარჩუნებდა იუნკრობის პოლიტიკურ დიქტატურას.

განთავისუფლება. პატრიოტული, ანტიფრანგული მოძრაობის ზრდის მიუხედავად ნაპოლეონმა შეძლო გერმანიაზე თავისი ბატონობის შენარჩუნება. ამ ფაქტის გამოხატულება იყო თუნდაც ის, რომ რუსეთზე სალაშქროდ გერმანიიდან გაიყვანა 200 ათასი ჯარისკაცი და წაიღო დიდძალი სურსათი თავისი არმიისათვის. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ანტიფრანგული მოძრაობა ქვეყანაში. პატრიოტები ახლა იმედის თვალით შესცქეროდნენ რუსეთს და მიაჩნდათ, რომ ფრანგებისა და რუსეთის კონფლიქტის პირობებში გაადვილდებოდა სამშობლოს ხსნა. ერთ–ერთი პრუსიელი კიდეც წერდა: „არმიის სამი მეოთხედი შედგება ერისაგან, რომლისათვისაც სრულიად უცხოა ომის ჭეშმარიტი მიზნები. ამაში ბევრია დარწმუნებული და გულის სიღრმემდე ნატრობს რუსთა გამარჯვებას. ამიტომ მოწინავე ოფიცრები მასობრივად გადადიოდნენ რუსეთის მხარეზე. ასე მოიქცნენ გნაიზენაუ, კლაუზევიცი, თვით ცნობილი შტაინი და სხვ., რომლებიც ახლა რუსეთის იარაღს უკავშირებდნენ ფრანგთა დამარცხებას და გერმანიის განთავისუფლებას. სწორედ შტაინის ხელმძღვანელობით შეიქმნა ე.წ. გერმანული კომიტეტი, რომელიც რუსულ–გერმანული ლეგიონის ფორმირებას და თვით გერმანიაში ანტიფრანგული აჯანყებების ორგანიზებას შეუდგა. უკვე 1812 წლის ნოემბრისათვის მზად იყო 8 ათას კაციანი ლეგიონი, რომელთა რიგები დღითიდღე იზრდებოდა.

რუსეთში ნაპოლეონის მარცხმა და მისმა უკანდახევამ ახალი ძალები შთაუნერგა განთავისუფლებისათვის მებრძოლთ. მართლაც, 1812 წლის დამლევს აჯანყდა მაკდონალდის

არმიაში მყოფი პრუსიელთა ჯარი. მათ შეწყვიტეს საომარი მოქმედება, დასტოვეს ბალტიისპირეთი და აღმოსავლეთ პრუსიაში გადავიდნენ. სამწუხაროდ მეფე ფრიდრიხ–ვილჰელმ მესამემ მხარი არ დაუჭირა ამ მოქმედებას. პირიქით უარით უპასუხა რუსეთს ნაპოლეონის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის წინადადებაზე.

ამის მიუხედათვად რუსეთის ძლევამოსილი წინსვლა დასავლეთისაკენ შეუფერხებლად ვითარდებოდა. 1813 წლის 5 იანვარს მათ გაათავისუფლეს კენისბერგი, 20 თებერვალს ბერლინი. ამან გამოიწვია ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების აღმავლობა და აიძულა პრუსიის მეფე თებერვლის დამლევს რუსებთან შეთანხმება გაეფორმებინა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა ეკისრა. ლაიფციგის ცნობილ სამ დღიან (1813 წ. ოქტომბრის) ბრძოლაში მოკავშირეებმა ბოლოსდაბოლოს ძლიეს ნაპოლეონს, რასაც მოჰყვა დრეზდენის, შტეტონის, ლანციგის და სხვა ქალაქის ფრანგული გარნიზონების კაპიტალურობა. 1814 წლის 1 იანვარს პრუსთა არმიის ნაწილები გადავიდნენ რაინზე, რომელიც მაინც საფრანგეთ–გერმანიის საზღვრად ითვლებოდა.

საერთოდ, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას და ნაპოლეონის ომებს გერმანიაში მოჰყვა სერიოზული ცვლილებები. მაგ., დაიშალა შუასაუკუნეებრივი „გერმანული ერის რომის საღვთო იმპერია“, მნიშვნელოვნად შემცირდა წვრილ და უწვრილეს გერმანულ სახელმწიფოთა რიცხვი, ზოგან გაუქმდა ფეოდალური რეჟიმი და სხვ., მაგრამ ამის მიუხედავად, ნაპოლეონის დამხობის შემდეგ გერმანიაში მაინც ფეოდალურ–აბსოლუტური წყობა ბატონობდა ეს დემოკრატიული ძალების სისუსტის, აქაური ბურჟუაზიის სიმხდალის და ზრდადაუსრულებლობის შედეგი იყო, რის გამოც ხელისუფლების სადავეები რეაქციული იუნკრობის, გერმანული და უცხოელი მონარქიის ხელი აღმოჩნდა.

ლექცია VII
ლათინური ამერიკა XIX ს. I ნახ. (2 სთ.)

<u>ცნება „ლათინური ამერიკა“</u>.[44] გეოგრაფიულად „ლათინურ ამერიკას“ აკუთვნებენ მთელ სამხრეთ ამერიკას, ცენტრალურ ამერიკას, ვესტინდოეთს და ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს რიო–გრანდედელ–ნორტის სამხრეთით. ეს არის უზარმაზარი ტერიტორია, რომლის ფართობი შეადგენს 21 მილ. კვ.კმ ანუ ხმელეთის 15%, სამი საუკუნის განმავლობაში შედიოდა ესპანეთის, პორტუგალიის და ნაწილობრივ საფრანგეთის იმპერიების შემადგენლობაში. ამის შედეგად მან განიცადა ამ რომანული იგივე ლათინი ხალხების კოლონიზაცია. დამპყრობლებმა თან მოიტანეს თავიანთი ენა, დანერგეს კათოლიციზმი და მოახდინეს უდიდესი ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქიკურ წყობასა და კულტურულ ცხოვრებაზე. ამიტომ სამხრეთი ამერიკა აშკარად განსხვავდება ჩრდილოეთისაგან, სადაც მოსახლეობა ძირითადად ანგლო–საქსურია (აშშ, კანადა). ასე რომ ტერმინი “ლათინური ამერიკა“ იხმარება სწორედ სამხრეთი მატერიკის ამ თავისებურების გამოსახავად.

აღნიშნული ტერმინი ლიტერატურაში კი დამკვიდრდა, მაგრამ იგი პირობითია. მართალია, 18 ქვეყანაში გაბატონდა ესპანური, ბრაზილიაში–პორტუგალიური და ჰაიტში – ფრანგული ე.ი. რომანული ენები, მაგრამ ამ ქვეყნების მოსახლეობა დიდი სიჭრელით ხასიათდება. აქ არიან თეთრები – ასპანელი და პორტუგალელი კოლონიზატორების, აგრეთვე

[44] Война за независимость в Латинской Америке, под ред. Н. Лаврова, М., 1964; Альперович, Слёзкин. Образование независимых государств в Литинской Америке (1804-1903), М., 1966; Альпетрович, Освободительное движение конца XVIII-начала XIX в. в Латинской Америке, М., 1966; Мирошевски. Освободительные движения в Американских колорниях Испании от их завоевания до войны за независимость (1492-1810), М.-Л. 1946.

მოგვიანებით ევროპიდან გადასახლებულების შთამომავლები (ისინი უმცირესობას შეადგენენ); მრავლადაა შავკანიანები, უპირატესად ზანგები, რომლებიც აფრიკიდან შეიყვანეს მუშა–ხელის უზრუნველყოფისათვის; სჭარბობენ მეტისები, რომლებიც მოსულისა და დამხდურის ნაჯვარს წარმოადგენენ და კანის განსაკუთრებული ფერით გამოირჩევიან. უმრავლესობა კი მაინც ადგილობრივი, ძველი განთქმული ხალხების მაიას, აცტეკების, ინკებისა და სხვების მემკვიდრეები არიან.

<u>სამხ. ამერიკის კოლონიზაცია. განმათავისუფლებელი მოძრაობის წანამძღვრები</u>. სამხრეთ ამერიკის კოლონიზაცია იწყება კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენისთანავე და მის სახელთანაა დაკავშირებული. მეორე და მესამე ექსპედიციისას დაარსა კოლუმბმა პირველი ესპანური ახალშენები ბაგამისა (სან–სალვადორი) და ჰაიტის კუნძულებზე (ესპანიოლა). ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვით მიღებულმა შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა და მომდევნო პერიოდში მთავრობამ გააფართოვა ცენტრალური ამერიკისა და მისი მომიჯნავე სამხრეთი მიწა–წყლის დაპყრობითი პოლიტიკა. XVI საუკუნის დამდეგიდან ამერიკაში ზედიზედ გაიგზავნა დაქირავებულ ჯარისკაცთა–კონკისტადორთა კარგად შეიარაღებული რაზმები, რომლებმაც მოკლე ვადაში შეძლეს ადგილობრივთა წინააღმდეგობის გატეხვა და უზარმაზარი ტერიტორიების დაუფლება. კონკისტადორების წინამძღოლმა–ადელანტადომ ნუნიეს ბალბოამ 1513 წელს გადასერა პანამის ყელი, გავიდა წყნარ ოკეანეზე და იგი ესპანეთის საკუთრებად გამოაცხადა. 1519–1521 წლებში ერნანდო კორტესმა დაიპყრო ატცეკების სახელმწიფო, ხოლო 1523–1524 წლებში თანამედროვე გვატემალის, ჰონდურასის და ნიკარაგუას მიწა–წყალი. XVI საუკუნის მეორე ნახევარში და XVII საუკუნის პირველ ნახევარში ესპანელებმა ხელთ იგდეს დღევანდელი არგენტის, ურუგვაის, პარაგვაის და სხვა სახელმწიფოთა ვრცელი სამფლობელოები. ასე რომ XIX საუკუნის დამდეგისათვის

ესპანეთი ამერიკაში ფლობდა ე.წ. ლა–პლატის ვიცე–სამეფოს)არგენტინა, ურუგვაი, ბოლივია, პარაგვაი), ახალ ესპანეთს (მექსიკა და ცენტრალურ ამერიკის ნაწილი), ახალ გრანადას (კოლუმბია, პანამა, ვენესუელა, ეკვადორი) და პერსუ (საკუთრივ პერუ და ჩილი). მას ეკუთვნოდა აგრეთვე კუბის, პუერტო–რიკოსა და ე.წ. ესპანეთის სან–დომინგოს კუნძულები. კოლონიების მცხოვრებლების საერთო რიცხვი 16 მილიონს აღემატებოდა.

ესპანეთის კოლონიზაციის პარალელურად წარმოებდა სამხრეთი ამერიკის „ათვისება“ პორტუგალიელთა მიერ. XVI საუკუნის პირველ ნახევარში პედრო ალვარეს კაბრალის, მარტინ დე სოუზას და სხვების მიერ დაპყრობილ იქნა უდიდესი ტერიტორია, რომელსაც შემდეგ ეწოდა „ბრაზილია“ (ზოგი მკვლევარის სიტყვით სახელი წარმოსდგა წითელი ხისაგან „პაუ–ბრაზილ“, რომლითაც მდიდარია ეს ქვეყანა. ნორვეგიელი ზღვაოსანი ფრიტიოფ ნანსენი და მის შემდეგ მრავალი ისტორიკოსი კი თვლიან, რომ აღნიშნული ტერმინი მომდინარეობს კელტურ ზღაპრებში მოხსენებული კუნძულის „ბრაზილ“ სახელწოდებიდან). მართალია, ამ დროს პორტუგალელთა ახალშენები ძირითადად ზღვის სანაპიროზე იყო განლაგებული, მაგრამ ოქრო–ვერცხლსა და მონა–ინდიელებს დახარბებული კოლონისტების – „პაულისტებისა“ და მათ შთამომავლების – „მამილუკების“ ექსპედიციებმა – „ბანდეირასებმა“ მალე შეაღწიეს ბრაზილიის შიგა რაიონებს – „სერტანებს“ და შეძლეს მათი დაპყრობაც.

ესპანელების და პორტუგალიელების კოლონიზაცია ადგილობრივი ტომების (აცტეკი, მაია, კეჩუა, აიმარა და სხვ.) გაძლეტის ან დამონების გზით წარმოებდა. ამის შედეგად მოახალშენეებმა ხელთ იგდეს უზარმაზარი ფართობები და მსხვილი პლანტაციური მეურნეობები მოაწყეს. აღნიშნულ მეურნეობებში კი ფართოდ იყენებდნენ არა მარტო

ადგილობრივი, არამედ აფრიკიდან მოყვანილი მონა ზანგების[45] იაფ შრომას, რის გამოც პლანტატორები კოლოსალურ მოგებას ნახულობდნენ. საერთოდ, კოლონიების მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობას მისდევდა. ბრაზილიისა და მომიჯნავე ვესტ–ინდოეთის კუნძულებზე მოჰყავდათ ყავა, შაქრის ლერწამი, ბამბა და სხვა კულტურა; ახალ ესპანეთში, პერუში და სხვ. ამუშავებდნენ წიაღისეულ სიმდიდრეებსაც, განსაკუთრებით ძვირფას ლითონებს (ოქრო, ალმასი...), რომლებიც მეტროპოლიაში გაჰქონდათ. 1700–1848 წლებში მარტო ბრაზილიიდან, არასრული ცნობებით, გაიტანეს 1300 ტონა ოქრო.

ლათინურ ამერიკაში განუხრელად ბატონობდა ფეოდალური ურთიერთობა. იგი კოლონიური რეჟიმის სპეციფიკურ პირობებში ვითარდებოდა. მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა სამეფო კარს, მემამულეებს და ეკლესიას.[46] ეს

[45] აფრიკიდან მონა–ზანგების ტრანსპორტირება ლათინურ ამერიკაში განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII საუკუნიდან, როცა ომში დამარცხებულმა ესპანეთმა უტრეხტის ზავით "ასიენტოს" ანუ მონებით ვაჭრობის უფლება გადასცა ინგლისს.

[46] კათოლიკურმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა სამხრეთ ამერიკის კოლონიზაციაში. პირველ კონკისტადორებს თან ახლდნენ კულტის მრავალრიცხოვანი მსახურები, რომლებიც დაუღალავად იღწვოდნენ მკვიდრთა ქრისტიანობაში მოქცევისათვის. XVI საუკუნის ერთი მისიონერის დიეგო დე ლანდას ცნობით ჩანს, რომ ეკლესიას მარტო ღმერთისადმი სამსახური არ აინტერესებდა–მას იზიდავდა გაღარიბებული ხაზინის შევსების სურვილი. და მართლაც სამხრეთ ამერიკული კოლონიები პაპის ტახტის დასაყრდენი გახდა. მრავალტომიანი „ინდოეთის ისტორიის" ავტორი ეპისკოპოსი ბარტოლომეო ლას კასასი სამართლიანად შენიშნავდა: კულტის მსახურნი ახალ მატერიკზე "მიდიოდნენ ჯვრით ხელში და გულში ოქრო–ვერცხლის დაუოკებელი სურვილითო".

უკანასკნელი ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი იყო. ზოგ კოლონიაში (მაგ., ახალ ესპანეთში) იგი მამულების ნახევარზე მეტს ფლობდა. მასვე საკუთრებაში გააჩნდა მაღაროები, ქარხნები, ვრცელი პლანტაციები, დიდძალი კაპიტალი და ფართო სავახშო ოპერაციებსაც აწარმოებდა.

მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად მუშაობდა მემამულის მიწაზე როგორც არენდატორი ან როგორც მემკვიდრეობით მოვალე მონა (პეონი). ბრაზილიის, ვესტ–ინდოეთის და ახალი გრანადის კოლონიებში ფართოდ იყენებდნენ მონა–ხანგების შრომას. ზოგ რაიონში არსებობდნენ თავისუფალი გლეხებიც, რომლებიც მესაქონლეობას მისდევდნენ. ესენი იყვნენ ბრაზილიის სამხრეთსა და ლა–პლატის პამპეში (სტეპში) – „გაუჩო“, ხოლო ვენესუელის დაბლობში – „ლიანერო“.

კოლონიზატორები – ესპანელები და პორტუგალელები თავიანთ ამერიკულ სამფლობელოებში ნერგავდნენ რეაქციულ წე5სებს. მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური უუფლებობა ერწყმოდა რასობრივ უთანასწორობას. მთელი ძალოუფლება ფაქტიურად ეკუთვნოდა ევროპიდან მოსულთ, მაშინ როცა ისინი აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენდნენ (მაგალითად, ესპანეთის კოლონიებში მცხოვრები 16 მილიონი მოსახლეობიდან მეტროპოლიიდან იყო მხოლოდ 200 ათასი). კოლონიებში დაბადებულებსაც (კრეოლები) კი, თუნდაც მდიდრებს, მაღალ სახელმწიფო, სამხედრო და საეკლესიო თანამდებობებზე იშვიათად ღებულობდნენ.

ამერიკული კოლონიები წარმოადგენდნენ ესპანეთის და პორტუგალიის სამეფო ტახტის განუსაზღვრელი შემოსავლის წყაროს. დიდ მოგებას ნახულობდა აგრეთვე სოვდაგართა ზედა ფენა, თუმცა მისი სავაჭრო ოპერაციები მეტად შეზღუდული იყო. ამერიკულ სამფლობელოებში მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით სამეფო კარი მიმართავდა სხვადასხვა ხელოვნურ ბარიერებს, კრძალავდა უცხოელთა ვაჭრობას კოლონიებთან და სხვ. საერთოდ კოლონიური რეჟიმი აფერხებდა დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, განსაკუთრებით ზღუდავდა

ადგილზე პირველი მოთხოვნილების საგნების წარმოებას, აგრეთვე ისეთი კულტურების გაშენებას, რომლის პროდუქცია (ყურძენი, ზეთის ხილი) მეტროპოლიიდან შეჰქონდათ.

მრავალრიცხოვანი აკრძალვებისა და შეზღუდვების მიუხედავად კოლონიებში მაინც შეიმჩნევა მწარმოებლურ ძალთა განვითარება. უკვე XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს საგრძნობია მრეწველობის წინსვლა. მემამულე–კრეოლები და ვაჭრული ბურჟუაზიის წარმომადგენლები დაინტერესებული იყვნენ კოლონიური პროდუქტების (შაქარი, ბამბა, ყავა, კაკაო) გატანით (მათზე ევროპაში დიდი მოთხოვნილება იყო) და იაფი მაღალხარისხოვანი სამრეწველო საქონლის მიღებით. ცხადია, ჩამორჩენილ მეტროპოლიას არ შეეძლო ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა, რაც აფერხებდა ადგილობრივი ბურჟუაზიის ზრდას, მის წარმოებით საქმიანობას. ასეთ პირობებში კოლონიური სისტემის მოსპობა ისტორიული აუცილებლობა გახდა.

ამის შედეგად განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ლათინური ამერიკაში ფართო გაქანება მიიღო. 1780 წელს აჯანყდნენ პერუელი ინდიელები. მათ სათავეში ჩაუდგა ხოსე გაბრიელ კონდორკანკი, რომელმაც ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ XVI საუკუნეში გმირულად მებრძოლი ინკების ბელადის სახელის მიხედვით ოფიციალურად დაირქვა ტუპაკა ამარე. მოძრაობის ძირითადი მიზანი იყო ინკების ძლევამოსილი სახელმწიფოს აღდგენა, მაგრამ მას გამარჯვება არ ღირსებია. ესპანელებმა აჯანყებულნი დაამარცხეს, ხოლო მათი წინამძღოლი ტუპაკა ამარე მეორე სიკვდილით დასაჯეს. 1781 წელს აღსდგა ახალი გრანადა. აჯანყების საბაბი გახდა გადასახადების გადიდება. მოძრაობის ცენტრი იყო ქალაქი სოკორო და მახლობელი სოფლები. გამოსვლას იმდენად მასობრივი ხასიათი დაურჩა, რომ მთავრობამ უარი თქვა გადასახადების მომატებაზე. ამან აჯანყებულთა რიგებში გათიშვა გამოიწვია, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს ესპანელებმა და ამბოხებულთ სასტიკად გაუსწორდნენ.

წარუმატებლად დამთავრდა 1797 წლის აჯანყებაც კოროში (ვენესუელა).

კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ჩაგრულთა ყველა ეს გამოსვლა იყო სტიქიური. ესპანეთის ხელისუფლება ადვილად ახერხებდა ამ აჯანყებების ჩახშობას არაიმდენად მათი არაორგანიზებულობის გამო, რამდენადაც მემამულე–კრეოლების დახმარებით – ამ უკანასკნელებს სასიკვდილოდ ეშინოდათ ექსპლოატირებული ინდიელების, განგებისა და მეტისების გამარჯვება. ამის მიუხედავად მოსახლეობის ზედა ფენა (მეტროპოლის მკვიდრთა გამოკლებით) ესპანეთის მფლობელობისა და ხელისუფლების ათასგვარი შეზღუდვების წინააღმდეგ დიდ უკმაყოფილებას ამჟღავნებდა. ყველაფერი ეს კარგად ჩანდა იმ წიგნებსა და პამფლეტებში, რომლებიც შეიცავდნენ მთავრობის მძაფრ კრიტიკას, აგრეთვე კოლონიზატორთა წინააღმდეგ ორგანიზებული მრავალრიცხოვანი შეთქმულებების მიხედვით. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფრანსისკო დე მირანდას მიერ 1806 წელს ვენესუელაში განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების ცდა.

ლათინური ამერიკის ხალხთა პოლიტიკურ გათვითცნობიერებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ინგლისის წინააღმდეგ ჩრდილოეთ ამერიკული კოლონიების ბრძოლამ, დამოუკიდებლობის დეკლარაცია და აშშ კონსტიტუცია პატრიოტების საბრძოლო დროშა გახდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1781–1794 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამაც. 1794 წელს ვენესუელელმა ანტონიო ნარინიომ თარგმნა და გამოსცა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. არგენტინელმა მარიანო მორენომ კი ბუენოს – აირესში დაბეჭდა არა მარტო ეს დოკუმენტი, არამედ თარგმნა რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც“. ლათინური ამერიკის ხალხებზე საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პირდაპირი გავლენის შედეგი იყო 1791 წლის ხანგთა აჯანყება

სან–დომინგოში კუნძულ ჰაიტზე, რომელსაც ტუსენ–ლუვერტიური ხელმძღვანელობდა.

კოლონიებში ესპანეთის ბატონობას ემუქრებოდნენ გარეგანი ძალებიც. დასუსტებულ მონარქიას არ შეეძლო მათთვის ეფექტური ღონისძიებების დაპირისპირება და ზედიზედ კარგავდა სამფლობელოებს. მაგალითად, საფრანგეთთან ომის შედეგად მან დაკარგა: 1795 წელს სანდომინგოს აღმოსავლეთი ნაწილი, 1800 წელს კი ვრცელი ტერიტორია ჩრდილოეთ ამერიკაში – ლუიზიანა და სხვ. ამასთან ფრანგი, ინგლისელი და აშშ სოვდაგრები არსებული შეზღუდვების მიუხედავად მაინც ახერხებდნენ კონტრაბანდულ ვაჭრობას კოლონიურ სამფლობელოებთან და ამით ძირს უთხრიდნენ იქ ესპანეთის ბატონობას. ეს კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დამდეგს, როცა ესპანეთის კოლონიებს უშუალოდ გაუმეზობლდა აშშ და 1803 წელს მას ფლორიდაზე პრეტენზიაც განუცხადა.

<u>ლათინური ამერიკის კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის</u>. XIX ს-ის დამდეგიდან ძლიერდება განმათავისუფლებელი ომი ასპანეთის კოლონიებში. ამაში დიდი როლი შეასრულა თვით მეტროპოლიაში დატრიალებულმა ამბებმა, კერძოდ კი ნაპოლეონის არმიის შეჭრამ ქვეყანაში 1808 წელს. მეფე ფერდინანდ VII დამხობამ და ჟოზეფ ბონაპარტის გახელმწიფებამ. კოლონიური ხელისუფლება მერყეობდა. ვერ გადაეწყვიტა ეცნო ახალი მეფე თუ შეენარჩუნებია ერთგულება ძველისადმი, რომელსაც ესპანეთში წარმოადგენდა ცენტრალური ხუნტა. 1809 წლისათვის ძალაუფლებას ამერიკის სამფლობელოებში აღნიშნული ხუნტის მომხრენი დაეპატრონენ. საერთოდ ეს შეესაბამებოდა კრეოლურ ოპოზიციას, რადგან ხუნტის ნომინალური ცნობა მას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობის მიღების გარანტიად მიაჩნდა. ცხადია, ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ კოლონიურ რეჟიმს არავითარი ცვლილება არ განუცდია და ამიტომ აქტიურ

მოქმედებაზე გადავიდნენ. იმავე წელს იფეთქა აჯანყებებმა ქალაქებში: ჩუკისაკში, ლა–პასში (პერუ), კიტოში (ეკვადორი) და სხვ. მომდევნო პერიოდში ანტიესპანური ბრძოლა კიდევ უფრო გაიზარდა, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა თვით მეტროპოლიის დამარცხებებმა და ფრანგების მიერ მისმა ოკუპაციამ. ამის შედეგად 1810 წლის ზაფხულისათვის მსხვილ კოლონიურ ცენტრებში კარაკასში, კიტოში, ბუენოს–აირესსა და ბოგოტაში ხალხმა გადაიგდო ესპანეთის ბატონობის უღელი. იმავე წლის სექტემბრისათვის მოყრაობამ მოიცვა მექსიკა და ჩილი. ასე დაიწყო დამოუკიდებლობისათვის ომი ლათინურ ამერიკაში.

განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერი იყო მექსიკაში. ბრძოლას აქ ხელმძღვანელობდა 60 წლის მღვდელი მიგელ იდალგო–ი–კოსტილია, რომელმაც შეძლო 100 ათასიანი არმიის შეკრება. ჯარის ძირითად ბირთვს გლეხი–ინდიელები და მეტისები შეადგენდნენ. იდალგო არა მარტო ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის ებრძოლა, არამედ მოითხოვდა ინდიელებისათვის წართმეული მიწების დაბრუნებას, ზანგთა მონობის გაუქმებას და ქვეყნის სხვ. დემოკრატიულ გარდაქმნებს. 1810 წლის 6 დეკემბერს მან გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელშიც თავისი მოთხოვნები ჩამოაყალიბა. ერთ–ერთი პუნქტი მონების განთავისუფლებას ეხებოდა. მასში ნათქვამი იყო: „ყველა მონათმფლობელმა უნდა გაათავისუფლოს მონები 10 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიესჯება სიკვდილი და ეს შეიძლება განხორციელდეს მას შემდეგ, რაც მონათმფლობელები შეიტყობენ ამ დადგენილებას“. დეკრეტის მომდევნო პუნქტი ითვალისწინებდა გადასახადების აკრძალვას, განსაკუთრებით კი ინდიელთა ბეგარის დაუყოვნებლივ გაუქმებას. პროგრამამ ხალხის ფართო ფენები მიიზიდა. ამან განაპირობა მოძრაობის წარმატებაც, მაგრამ კოლონიურ რეგულარულ ჯართან გადამწყვეტ ბრძოლაში მეხიკოსთან იდალგოს არმია დამარცხდა. აჯანყების ხელმძღვანელები ტყვედ იგდეს და სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ბრძოლა გააგრძელა იდალგოს

თანამებრძოლმა მღვდელმა ხოსე–მარია მორელოსმა. მისი ინიციატივით 1813 წლის 14 სექტემბერს ჩილპანსინგოში მოიწვიეს ნაციონალური კონგრესი, რომელმაც მექსიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. კონგრესმა ერთხმად მოიწონა მორელოსის მიერ შედგენილი დოკუმენტი „ერის განსჯა“, რომელიც ფაქტიურად ახალი რესპუბლიკის პროგრამას წარმოადგენს. ერთ პუნქტში ნათქვამია: „რადგან კარგი კანონი ყოველ ადამიანზე უფრო მაღლა დგას, ჩვენი კონგრესის მიერ გამოცემული კანონები ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყონ სიმტკიცე და პატრიოტიზმი, შეათანასწორონ სიუხვე და გაჭირვება და ამრიგად გაადიდონ ღარიბთა დღიური ხელფასი, რათა გაუმჯობესდეს მათი ცხოვრება და შაქრეს უმეცრება, ძარცვა და ქურდობა”. შემდეგ: „მონობა სამუდამოდ უქმდება, ისევე როგორც განსხვავება წარმოშობის მიხედვით; ამიერიდან ყველა თანასწორია და ერთ ამერიკელს მეორისაგან განასხვავებს მხოლოდ მანკიერება და სათნოება“. ამავე დოკუმენტით სამუდამოდ იკრძალებოდა წამება და დასჯის სხვა შუასაუკუნეებრივი საშუალებები. მომდევნო წელს რესპუბლიკამ შეიმუშავა კონსტიტუციაც. სამწუხაროდ, 1815 წელს მორელოსიც დამარცხდა. იგი ტყვედ იგდეს ესპანელებმა და დახვრიტეს კიდეც.

დიდი ბრძოლები წარმოებდა ვენესუელაშიც, სადაც 1811 წლის 5 ივლისს პატრიოტებმა რესპუბლიკა შექმნეს. ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გმირი, ემიგრაციიდან დაბრუნებული ფრანსისკო დე მირანდა. მოძრაობა მალე გავრცელდა ახალი გრანადის სხვა ტერიტორიაზე, სადაც პატრიოტებს სათავეში ედგა ანტონიო ნარინიო. 1812 წელს ესპანელები გადავიდნენ შეტევაზე აჯანყებულთა წინააღმდეგ და ხელთ იგდეს ქალაქი კარაკასი. მირანდა შეიპყრეს და ესპანეთში გაგზავნეს (იქ გარდაიცვალა კიდეც), მაგრამ მოძრაობის განადგურება მაინც ვერ შეძლეს. ახლა ბრძოლა განაგრძო ლათინური ამერიკის გამოჩენილმა მოღვაწემ სიმონ მოლივარმა. წარმოშობით იგი კარაკასიდან არისტოკრატი

კრეოლის ოჯახიდან იყო. მიიღო შესანიშნავი ევროპული განათლება. განმათავისუფლებელ ბრძოლაში ადრე ჩაება. ზომიერი შეხედულებების ადამიანი იყო, მაგრამ ხალხს ეყრდნობოდა და ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მირანდას შეპყრობის შემდეგ, გენერლის ჩინით, მან იკისრა მოძრაობის ხელმძღვანელობაც. 1813 წელს ბოლივარმა აიღო კარაკასი და მეორედ გამოაცხადა ვენესუელას რესპუბლიკა. მადლიერმა ხალხმა მას ოფიციალურად მიაკუთვნა წოდება „განმათავისუფლებელი“ გამარჯვების მიუხედავად არც ამ რესპუბლიკას უარსებნია დიდხანს. ესპანელებმა გამოგზავნეს დიდი სადამსჯელო ექსპედიცია გენერალ მორილიოს სარდლობით, რომელმაც შეძლო ახალ გრანადაში პატრიოტების დამარცხება და კოლონიური ბატონობის აღდგენა.

საერთო ბრძოლას აც ლა–პლატის ვიცე–სამეფო ჩამორჩა. 1810 წლის მაისში ბუენოს–აირესში შეიქმნა ხუნტა, რომელმაც გააჩაღა დიდი საქმიანობა დამოუკიდებლობისათვის. მასში აქტიურ როლს ასრულებდნენ ადვოკატი მარიანო მორენო, შემდეგ კი – მანუელ ბელგრანო და ხოსე სან–მარტინი. ამის მიუხედავად განმათავისუფლებელ ხალხებში ერთიანობა არ სუფევდა. უნიტარები მოითხოვდნენ ვიცე–სამეფოს გამოცხადებას ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ; ფედერალისტები ამის წინააღმდეგი იყვნენ და პროვინციების ავტონომიისათვის იბრძოდნენ. ამან დააჩქარა გათიშვა. 1811 წელს ბუენოს–აირესის ხუნტამ პარაგვაელთა წინააღმდეგ დასძრა სახალხო ლაშქარი, მაგრამ დამარცხდა. ამით წაქეზებულმა პარაგვაელებმა გააფართოეს მოქმედება და აჯანყების სახელმძღვანელოდ ჩამოაყალიბეს რევოლუციური ხუნტა, რომელსაც მეთაურობდა ხოსე გასპარ ფრანსია. 1813 წელს პარაგვაი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამან ბიძგი მისცა ურუგვაის ანუ როგორც მას ეძახდნენ “ბანდა ორიენტალის“ (ე.ი. „აღმოსავლეთის ნაპირი“) განმათავისუფლებელ მოძრაობასაც. ბრძოლას აქ სათავეში ედგა ხოსე ხერვასიო არტიგასა.

ასეთი გაქანების მიუხედავად განმათავისუფლებელი ბრძოლა 1810–1815 წლებში მაინც წარუმატებლად დამთავრდა. ეს თვით მეტროპოლიის გააქტივების შედეგი იყო. ესპანეთმა შესძლო ფრანგთა ბატონობისაგან განთავისუფლება. 1814 წელს ფერდინანდ VII დაიბრუნა ტახტიც. ასეთ პირობებში ცენტრალურმა ხელისუფლებამ კოლონიების შემომტკიცებისათვის რადიკალური ღონისძიებები განახორციელა: სადამსჯელო არმიის რიცხვიც გაადიდა და ზოგიერთი დათმობაც გააკეთა. ამას მოძრაობის დაღმავლობა მოჰყვა. 1815 წლის დამლევისათვის ესპანეთმა შესძლო თავისი ბატონობის აღდგენა ამერიკულ სამფლობელოებში.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა 1817 წლიდან. ჰაიტის რესპუბლიკის პრეზიდენტის პეტიონის დახმარებით ბოლივარმა თავისი რაზმი გადასხა ვენესუელაში. მალე მას შეუერთდნენ ქვეყანაში მოქმედი მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმები. აჯანყებულებმა მდ. ორინოკოს აუზში მრავალი რაიონი გაათავისუფლეს და დედაქალაქი ანგოსტურაში (ახლანდელი ბოლივარე) გადაიტანეს. 1819 წელს კონგრესმა შექმნა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც დიდი კოლუმბია ეწოდა (კოლუმბის სახელის მიხედვით). მასში შევიდნენ ვენესუელა, ახალი გრანადა და კიტო (თანამედროვე ეკვადორი). რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ბოლივარი, რომელიც აღჭურვეს განუსაზღვრელი უფლებებით. 1822 წლის ზაფხულში მისი ხელმძღვანელობით კოლუმბიის არმიამ უმაგალითო გადასვლა განახორციელა ანდების მთებზე და ქვეყანა სამუდამოდ გაათავისუფლა ესპანელებისაგან.

კოლუმბიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნან გაადვილა ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლაც განვათისუფლებისათვის. 1821 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა მექსიკამ, თუმცა მომდევნო ორი წელი დასჭირდა, რომ დაემხო მონარქისტ ოტურბიდეს მთავრობა და ქვეყანაში რესპუბლიკური წყობილება დაემყარებინა. 1816 წელს დამოუკიდებლად გამოცხადდა ლა–პლატის შეერთებული

პროვინცია, რომელსაც შემდეგ არგენტინა ეწოდა. თავის მხრივ ახლად შექმნილი სახელმწიფო დაეხმარა ჩილის პატრიოტებს. შეერთებულმა არმიამ ხოსე სან–მარტინისა და ბერნარდო ო' ხიგინსის ხელმძღვანელობით დაამარცხა ესპანელები და 1818 წელს ჩილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ჩილის არმიის დახმარებით, იმავე ხოსე სან–მარტინის ხელმძღვანელობით 1821 წლის ივლისში თავისუფლება მოიპოვა აგრეთვე პერუმ, თუმცა მისი ნაწილი კვლავ ესპანეთის ბატონობის ქვეშ რჩებოდა. ასეთი მდგომარეობა კი დიდხანს როდი გაგრძელდა. 1823 წელს ბოლივარის ბრძანებით პერუელებს მიეშველა კოლუმბიის არმია. 1824 წლის 6 აგვისტოს ხუნინთან და 9 დეკემბერს აიაკუჩოსთან გაჩაღებულ ბრძოლებში პატრიოტებმა საბოლოოდ გაანადგურეს ესპანელები. განთავისუფლებული ზემო პერუს ტერიტორიებისაგან შეიქმნა ახალი სახელმწიფო, რომელსაც ბოლივარის საპატივცემულოდ ბოლივია უწოდეს. მართალია, მეტროპოლიის ხელში კვლავ რჩებოდა კალიაოს სიმაგრე (პერუ), მაგრამ 1825 წელს მისმა გარნიზონმაც კაპიტულაცია განაცხადა და ამრიგად სამხრეთი ამერიკა საბოლოოდ განთავისუფლდა ესპანეთის ბატონობისაგან.

ესპანეთის კოლონიების კვალდაკვალ განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა პორტუგალიის ამერიკულ სამფლობელოშიც – ბრაზილიაში. მეტროპოლიის წინააღმდეგ პატრიოტი–სეპარატისტების ანუ ინკონფიდენტების გამოსვლები აქ XVIII საუკუნის დამლევსაც შეიმჩნეოდა (ჟოაკინ ჟოზე და სილვა შავიერის შეთქმულება 1792 წელს), მაგრამ ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონდათ და მთავრობა ადვილად ახერხებდა მათ განადგურებას. მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან მიეცა ბრძოლას რამდენადმე ორგანიზებული ხასიათი, რაც ესპანურ სამფლობელოებშიც გაჭაღებული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერი შედეგი იყო. დიდ როლს ასრულებდა ისიც, რომ თვით მეტროპოლია ამ დროს ებრძოლა საფრანგეთს და არ

ჰქონდა საშუალება მთელი ყურადღება დაეთმო კოლონიებში დანთებული ომის ხანძრისათვის.

1817 წელს დიდმა აჯანყებამ იფეთქა პერნამბუკოს პროვინციაში. მან თავი რესპუბლიკად გამოაცხადა. მართალია, მეფე ჟუან VI არმიამ სასტიკად ჩაახშო გამოსვლა, მაგრამ მთავრობამ ვერ შესძლო აღეკვეთა დამოუკიდებლობისათვის სწრაფვა ქვეყანაში. და როცა ლისაბონის კორტესმა უარი თქვა დაეკმაყოფილებინა პატრიოტთა მოთხოვნა, პრინცმა–ოეგენტმა პედრომ ბრაზილია პორტუგალიისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იმპერიად გამოაცხადა.

კოლონიების განთავისუფლება მნიშვნელოვნად გაადვილა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ. იბრძოლა რა ესპანეთისა და პორტუგალიის დასუსტებისათვის, ინგლისი ყოველნაირად ეხმარებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. რა თქმა უნდა ამ საქმეში მას მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, რადგან უმდიდრეს სამხრეთ ამერიკულ სახელმწიფოებთან შეღავათიანი სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება სურდა. ჩანს, ამით გეგმავდა იგი ლათინური ამერიკის მოქცევას თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ამით აიხსნება, რომ 1825 წელს ინგლისმა ოფიციალურად ცნო ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობაბ თუმცა ფორმალურად, რადგან 1823 წლიდან იქ თავისი კონსულები ჰყავდა. 1822–1827 წლებში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯორჯ კანინგი, გამოხატავდა და თავისი მთავრობის პოლიტიკას, სამართლიანად წერდა: „თუ ჩვენ საკმაოდ მოქნილად წავიყვანთ საქმეს, შევძლებთ განთავისუფლებული ესპანეთის ამერიკა გავხადოთ ინგლისურიო“. ანალოგიური იყო აშშ პოლიტიკაც, თუმცა მან მტრული პოზიცია დაიკავა არა მარტო პორტუგალია–ესპანეთისადმი, არამედ ინგლისისადმიც. აშშ თავად სურდა გაბატონება სამხრეთ ამერიკაში და ამიტომ ინგლისს ძირითად კონკურენტად მიიჩნევდა. 1823 წელს “მონროს დოქტრინის” მიღება, კერძოდ კი მისი პრინციპი „ამერიკა–ამერიკელებს“, აშშ ბურჟუაზიის ექსპანსიონისტური

მისწრაფებების გამოხატულებას ჩარმოადგენდა. ასეთი მიზნების მიუხედავად ინგლისის თუ აშშ პოზიციამ, ობიექტური შედეგებით, გარკვეული დახმარება გაუწია ლათინური ამერიკის ხალხებს და დააჩქარა მათი განთავისუფლების პროცესი.

როგორი იყო რუსეთის პოზიცია? იგი ამერიკას XVI საუკუნეში გაეცნო, პირდაპირი კონტაქტი კი მასთან მხოლოდ XVIII საუკუნის 30–იანი წლებიდან დაამყარა, როდესაც რუსმა ზღვაოსნებმა სამხრეთ ამერიკას მიაღწიეს. მომდევნო პერიოდში ეს ურთიერთობა გაფართოვდა, რადგან ცარიზმი დაინტერესებული იყო ლათინურ ამერიკასთან ვაჭრობის დამყარებით. ამით აიხსნება რუსეთ–ამერიკის კომპანიის შექმნა 1799 წელს, კალიფორნიაში რუსული ახალშენის–როსოს დაარსება 1812 წელს, აგრეთვე ის დიდი ინტერესი, რაც ვენესუელას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გმირის ფრანსისკო დე მირანდას მოგზაურობისადმი გამოიჩინეს რუსეთში 1786–1787 წლებში[47] და სხვ. ამის მიუხედავად ცარიზმმა მაინც მტრული პოზიცია დაიკავა სამხრეთ ამერიკის ეროვნულ–განმათავისუფლებელი ომისადმი.[48] სხვანაირად არც შეიძლებოდა. რუსეთი მაშინ იყო „საღვთო კავშირის“ ორგანიზატორი და იბრძოდა რა საერთოდ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ამით „მსოფლიო ჟანდარმის“ როლში გამოდიოდა. ამ პოზიციიდან იცავდა იგი ლეგიტიმიზმის პრინციპს და ამიტომ უარყოფდა ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობას. კიდევ მეტი მისი ხელმძღვანელობით „საღვთო კავშირი“ გეგმავდა აგრესიას ლათინურ ამერიკაშიც, რაც ვერ განხორციელდა კავშირის მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთ წინააღმდეგობის გამო. ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა,

[47] Венесуелец в Екатерининской Росии. «Литературное наследство, т. 9-10, М., В. Мирошевский, Екатерина II и Франсиско Миранда. «Историк-марксист», №2, 1940.

[48] Л.Слёзкин, Россия и войнф за независимость в Испанской Америке, М., 1964.

იყო ბრაზილია. ჩანს, ამ უკანასკნელის მონარქიული წყობა უფრო იზიდავდა ცარიზმს, ვიდრე „ესპანეთის ამერიკის“ სახელმწიფოთა რესპუბლიკანიზმი. მონარქიული წყობა უფრო იზიდავდა ცარიზმს, ვიდრე „ესპანეთის ამერიკის“ სახელმწიფოთა რესპუბლიკანიზმი.

დამოუკიდებლობისათვის ომის შედეგები და მისი მნიშვნელობა. სამხრეთ ამერიკის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ომის შემდეგ აქ აღმოცენდნენ სუვერენული სახელმწიფოები – მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი, ბოლივია, კოლუმბია) 1830 წლამდე მასში ერთიანდებოდა ვენესუელა და ეკვადორი), ჩილი, პერუ, ურუგვაი და ცენტრალური ამერიკის შეერთებული პროვინცია, რომელსაც შემდეგ ხუთი რესპუბლიკა გამოეყო: გვატემალა, ჰონდურასი, კოსტა–რიკა, ნიკარაგუა და სალვადორი.

ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის საერთო ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. მასში მონაწილეობდა მოსახლეობის სხვადასხვა კლასი თუ პოლიტიკური დაჯგუფება. გლეხი–ინდიელები, მონა ზანგები, ხელოსნები, კრეოლი მემამულეები, სამღვდელოების ქვედა ფენები და ახლად ჩასახული ადგილობრივი ბურჟუაზია. ბოლივარის, სან–მარტინის, მორელოსის და განთავისუფლებისათვის ბრძოლის სხვა გმირთა არმიის ძირითადი კონტიგენტს ხალხი შეადგენდა. მოძრაობის ხელმძღვანელები კი ბურჟუაზიის სიუსტისა და მცირერიცხოვნობის გამო კრეოლი მემამულეები იყვნენ. ამან განსაზღვრა იბრძოლის თავისებურებაც. მართალია, ეს უკანასკნელი გამოდიოდა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ განთათისუფლების შემდეგ იღწვოდა ქვეყნად არსებული წყობის შენარჩუნებისათვის და აფერხებდა დამოუკიდებლობისათვის ომის გადაზრდას სოციალურ რევოლუციაში.

ამის მიუხედავად, ლათინური ამერიკის განთავისუფლებას კოლონიური უღლისაგან მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოჰყვა. უმრავლეს ქვეყანაში დამყარდა რესპუბლიკა, ზოგან გაუქმდა მონობა, შეიზღუდა ეკლესია, მოისპო ინკვიზაცია, იძულებითი ბეგარა, სულადობრივი გადასახადი და სხვ. ამასთან, კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი წინსვლისათვის და დააჩქარა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე – ბურჟუაზიულზე ქვეყნის ასვლა.

ლექცია VIII
რეაქცია და რევოლუციური მოძრაობა ევროპაში XIX საუკუნის I ნახ. (2 სთ.)

1. მონარქისტული რეაქციის ხანა

<u>ვენის კონგრესი. სალვთო კავშირის შექმნა</u> 1814 წლის დამდეგს, საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, მოკავშირეებმა, შომონში შეხვედრის დროს დათქვეს საერთო ევროპული კონგრესის მოწვევა ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის–რევოლუციური მოძრაობის აღმოფხვრისა და ფეოდალურ–აბსოლუტური რეჟიმის აღდგენის მიზნით. ნაპოლეონის დამარცხებისა და ელბაზე გადასახლების შემდეგ ასეთი კონგრესის მოწვევას აღარაფერი აბრკოლებდა, მაგრამ იგი მაინც გაჭიანურდა. საქმე იმაშია, რომ კოალიციის მონაწილე ქვეყნებიდან, ომის შემდეგ, ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა რუსეთი, ავსტრია კი–სუსტი. ამიტომ მეტერნიხი ყოველნაირად ცდილობდა შეხვედრის გადადებას შემოდგომისათვის, რომ ეკონომიურად უფრო წელგამართული მისულიყო კონგრესზე და ავსტრიის წილიც მეტი ზომით მოეთხოვა. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე იძულებული გახდა დათანხმებოდა მეტერნიხს, თუმცა მას აშკარად ვერ იტანდა სისტემატური ტყუილებისა და ვერაგობის გამო. სხვათაშორის, კონგრესის გადადების იდეას იწონებდნენ დასავლეთელი მოკავშირეებიც. ამით ისინი დროის მოგებას და რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი დიპლომატიური ბრძოლისათვის საერთო პროგრამის შემუშავებას ფიქრობდნენ. ამისათვის კი მაშინ საკმაო საფუძველი არსებობდა. ომის შემდეგ იმპერატორ ალექსანდრეს ძალა და ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ ეშინოდათ მისი სახით ევროპას ახალი მბრძანებელი არ მოვლენოდა. ამიტომ უდაოდ სწორი იყო მეტერნიხის მდივანი, როცა წერდა: ვენაში ჩასვლისას

ალექსანდრესთან წაკიდებული იყვნენ ავსტრიის, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველებიო.[49]

1814 წლის შემოდგომისათვის კონგრესის მონაწილე ყველა ევროპული სახელმწიფოს (თურქეთის გამოკლებით) დელეგაციის 216 წარმომადგენელი ჩავიდა ვენას (შეხვედრის ადგილად შეარჩიეს მისი ცენტრალური მდებარეობის, სხდომების ჩატარებისა და დელეგაციების საცხოვრებლად საჭირო შესანიშნავი სასახლეების გამო). ასეთ ხალხმრავალ კონგრესს არ იცნობდა მანამდელი მსოფლიო. აქ იყვნენ დელეგაციათა მეთაურები: რუსეთისა–იმპერატორი ალექსანდრე, ავსტრიისა–კანცლერი მეტერნიხი, ინგლისისა–საგარეო საქმეთა მინისტრი–კესტლრი, პრუსიისა მინისტრ–პრეზიდენტი გარდენბერგი და სხვ. 23 სექტემბერს ვენას ჩამოვიდა დამარცხებული საფრანგეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ბურბონების სამსახურში გადასული ტალეირანის ხელმძღვანელობით. 1 ოქტომბერს კონგრესმა მუშაობა დაიწყო.

კონგრესის მონაწილეთა შორის მძიმე მდგომარეობაში იყო ტალეირანი, რამდენადაც წარმოადგენდა დამარცხებულ სახელმწიფოს. ამის მიუხედავად ყველას, განსაკუთრებით ალექსანდრეს, მისი ეშინოდათ სწორედ დიდი ნიჭისა და დიპლომატიური ალღოს გამო. მართლაც, ვენაში ჩასვლისთანავე ტალეირანმა შესანიშნავად განსჭვრიტა მოკავშირეთა ურთიერთწინააღმდეგობანი, ჩასჭიდა ხელი სადაო საკითხებს და გამარჯვებულ სახელმწიფოთა დელეგაციებს შორის ოსტატური ლავირებით არა მარტო განხეთქილება შეიტანა მათში, არამედ აიძულა რუსეთიც, ინგლისიც, ავსტრიაც და პრუსიაც ეცნოთ საფრანგეთის დელეგაცია როგორც კონგრესის მეხუთე ხელმძღვანელი.

გამარჯვებული სახელმწიფოების დელეგაცია კონგრესზე საკუთარი ინტერესებით მოვიდა. სწორედ მათი განაღდებისათვის ბრძოლა იწვევდა დავასა და

[49] История дипломатии, под ред. В. Зорина, В. Семеинова, С. Сказкина и В. Хвостова, т. 1, М., 1959, с. 493.

წინააღმდეგობას. რუსეთს სურდა პოლონეთის სამეფოს დიდი ნაწილის შეერთება, ევროპის შუაგულში კი გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცებულობის შენარჩუნება და ერთმანეთისათვის ავტორიისა და პრუსიის დაპირისპირება. ამ მიზნით, აგრეთვე პოლონეთის საკითხში სასურველი პოზიციის გამო, ალექსანდრე პრუსიას პირდებოდა ავსტრიასთან სადაო ტერიტორიას – საქსონიას. ამასთან რუსეთის დელეგაცია ცდილობდა საფრანგეთის იმ ზომით შენარჩუნებას, რომ დასავლეთში–ინგლისთან და ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან – ძალთა ბალანსირების საშუალება ჰქონდა. ინგლისს, პირიქით, საფრანგეთის დასუსტება და მისი, აგრეთვე ესპანეთისა და ჰოლანდიის კოლონიალური სამფლობელოების დატაცება აინტერესებდა. ამავე დროს იგი წვრილი გერმანული სახელმწიფოების შეერთებით ავტსრიისა და პრუსიის გაძლიერებისაკენ ისწრაფოდა, რომ ამით ევროპაში შეეძინა მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე პოზიციიდან ინგლისის დელეგაცია აგრეთვე რუსეთისათვის პოლონეთის ტერიტორიების გადაცემის წინააღმდეგი იყო. ავსტრიის საიმპერატორო კარს სურდა ქვეყნის ადრინდელი ძლიერების აღდგენა და დაპყრობილ სლავებზე, იტალიელებსა და უნგრელებზე ბატონობის შენარჩუნება, მოქიშპე პრუსიისა და განსაკუთრებით რუსეთის დასუსტება, საქსონიის, პოლონეთის ნაწილის, ლომბარდიისა და ვენეციის შეერთება, ავსტრიის ჰაყსბურგთა დინასტიის აღდგენა პარმში, ტოსკანასა და მოდენაში. პრუსია კი იბრძოდა საქსონიისა და რაინისპირა მდიდარი ოლქების დაპყრობისათვის, საფრანგეთის მიმართ ულმობელი პოლიტიკის განხორციელებისათვის. რაც შეეხება საფრანგეთის დელეგაციას, ტალეირანმა მოითხოვა კონგრესის მუშაობას საფუძვლად დადებოდა "ლეგიტიმიზმის პრინციპი". ეს კი გულისხმობდა ევროპის ყველა სახელმწიფოს მოქცევას იმ საზღვრებში, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ 1792 წლამდე, ე.ი. საფრანგეთის რევოლუციური ომების დაწყებამდე. ცხადია, ამ პრინციპის განხორციელების პირობებში გამარჯვებულ სახელმწიფოებს უარი უნდა ეთქვათ: რუსეთს–

პოლონეთზე, პრუსიას – საქსონიასა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაინის ოლქზე და სხვ. ასე რომ საფრანგეთი ინარჩუნებდა თავისი ტერიტორიების მთლიანობას.

ინტერესთა ასეთი დაპირისპირება კონგრესის მონაწილეთა წინააღმდეგობისა და ქიშპობის საფუძველი გახდა. განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის დელეგაცია, რომელსაც ომში ჭარბად გაღებული სისხლის სანაცვლოდ პოლონეთის შეერთება ჰქონდა გადაწყვეტილი. ამისათვის ალექსანდრე იარაღითაც იმუქრებოდა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი იყო მისი საუბარი ტალეირანთან, სადაც პირდაპირ უარყო ლეგიტიმიზმის იდეა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შენიშვნაზე, რომ ეს პრინციპი სამართლიანია, ხოლო სამართლიანობა სარგებლიანობაზე მაღლა დგას", იმპერატორმა აშკარად განაცხადა: "მაშინ ვამჯობინებ ომსო". ასეთმა შეუპოვრობას რუსეთის წინააღმდეგ დარაზმა კონგრესის დანარჩენი მონაწილენი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ინგლისის, ავსტრიისა და საფრანგეთის დელეგატებმა 1815 წლის 3 იანვარს, ალექსანდრესაგან მალულად, გააფორმეს შეთანხმება, რომლითაც ხელმომწერმა მხარეებმა ივალდებულეს ერთობლივი ბრძოლა ევროპაში ცარიზმის გავლენის დასუსტებისათვის. ამ მიზნით რუსეთთან ომის შემთხვევაში თითოეულს უნდა გამოეყვანა 150 ათასიანი ლაშქარიც, ხოლო მოწინააღმდეგესთან არ გაეფორმებინა რაიმე სეპერატული ხელშეკრულება. მართალია აღნიშნული დოკუმენტი მალე ცნობილი გახდა ალექსანდრესათვის (მისი ფრანგული ეგზემპლარი თვით ნაპოლეონისაგან მიიღო 100 დღიანი მმართველობის დროს), მაგრამ დასავლეთელ „მოკავშირეთა" წინააღმდეგობა კონგრესის მუშაობის პირველ ეტაპზე მაინც იმდენად ძლიერი იყო, რომ რუსეთს დიპლომატური იზოლაციისა და ახალი ომის საფრთხე დაემუქრა. ასეთ პირობებში იმპერატორმა ზოგ საკითხში ვერ გაბედა თავისი პოზიციების დაცვა და უკან დაიხია, კერძოდ უარი თქვა პრუსიისათვის საქსონის გადაცემაზე და დათანხმდა იქ მეფობის აღდგენას.

ხანგრძლივი დავისა და დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ 1815 წლის 9 ივნისს კონგრესმა დაასრულა მუშაობა. მისმა მონაწილეებმა საბოლოო სხდომაზე მიიღეს ე.წ. "დასკვნითი აქტი", რომელიც შედგებოდა 121 პუნქტისა და 17 დამატებისაგან. ამ დოკუმენტით ჰოლანდიისაგან, რომელსაც შეუერთდა ბელგია, შეიქმნა ნიდერლანდების სამეფო. ნორვეგია გადაეცა შვეციას. პოლონეთის დიდი ნაწილი მიიღო რუსეთმა, დანარჩენი კი–პრუსიამ და ავსტრიამ. პრუსიას გადაეცა საქსონიისა და ვესტფალიის ნაწილი, რაინის ოლქი, ავსტრიას დაუბრუნდა ნაპოლეონის ომების დროს დაკარგული მიწა–წყალი; ლომბარდია და ვენეციის რესპუბლიკა, ზალცბურგი და სხვ. იტალია კვლავ დაიყო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად. სარდინიის სამეფოში (პიემონტი) აღსდგა სავოიის დინასტია, ტოსკანაში მოდენასა და პარმში–ავსტრიის ჰასბურგთა დინასტია, რომი დარჩა – პაპს. ნეაპოლის სამეფო–ბურბონებს. 38 გერმანელი სახელმწიფოსაგან იქმნებოდა გერმანული კავშირი, შვეიცარია და მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. „დასკვნითმა აქტმა" დაადასტურა აგრეთვე კოლონიური დაპყრობანიც, კერძოდ ინგლისის საკუთრებაში ცნო ცეილონი, კეთილი იმედის კონცხი, გვიანა, ბალტა, იონიის კუნძულები და სხვ., რითაც ბრიტანეთის იმპერიამ კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები.

მაშასადამე, ვენის კონგრესით დაიწყო ევროპაში ფეოდალურ–მონარქიული რეაქციის შეუზღუდველი ბატონობა. სტატიაში "მდგომარეობა გერმანიაში" ფ. ენგელსი კიდეც შენიშნავდა, რომ ლონდონიდან ნეაპოლამდე, ლისაბონიდან–პეტერბურგამდე, ყველგან, ხელისუფლებას ფეოდალური არისტოკრატია და ანტირევოლუციური პარტიები მართავდნენ.[50] რეაქცია კი ამაზე არ შეჩერებულა. 1815 წლის 26 სექტემბერს პარიზში, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ, ავსტრიის იმპერატორმა ფრანც I და პრუსიის მეფემ ფრიდრიხ–ვილჰელმ III გააფორმეს შეთანხმება „საღვთო კავშირის" შექმნის

[50] К.Маркс и Ф.Энгельс, Соч., т,2, с. 573-574.

შესახებ. მისი მიზანი იყო ერთობლივი ძალებით ბრძოლა რევოლუციებისა და ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამიტომ მას მალე ევროპის ყველა ქრისტიანული სახელმწიფო შეუერთდა. ამიტომ მას მალე ევროპის ყველა ქრისტიანული სახელმწიფო შეუერთდა. ინგლისი და რომის პაპი კავშირში არ შესულან, მაგრამ ფორმალურად, რადგან მას აქტიურად ეხმარებოდნენ.

„საღვთო კავშირის“ შექმნამ გააძლიერა ფეოდალურ–მონარქიული რეაქცია ევროპაში. ამ ფაქტის გამოხატულება იყო არა მარტო პოლიტიკური რეპრესიები დემოკრატიულ და ლიბერალური მოძრაობის მონაწილეთა მიმართ (დაწესდა მკაცრი ცენზურა პრესაზე, კონტროლი უნივერსიტეტებსა და სკოლებზე, აიკრძალა ნაპოლეონის დროს შემოღებული სამოქალაქო ქორწინება, აღსდგა საეკლესიო სასამართლო, იეზუიტთა ორდენი და სხვ.), არამედ სულიერი ცხოვრების სფეროში რეაქციულ–კლერიკალური იდეოლოგიის გაბატონებაც. პიემონტში–ჟოზეფ დე მესტრი, საფრანგეთში – ლუი გაბრიელ ბონალდი, გერმანიაში – მიულერი, შვეიცარიაში – ტალერი და სხვ. მიესალმებოდნენ ფეოდალურ–აბსოლუტური რეჟიმის რესტავრაციას, ასაბუთებდნენ მათ ღვთიურ წარმომავლობას და ხალხს მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ. ამის მიუხედავად რეაქციის სულისჩამდგმელებსა და კავშირის ორგანიზატორებს, თავიანთი ხალხების წინააღმდეგ ერთობლივი შეთქმულებითაც კი (ფ.ენგელსი), არ შეძლოთ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის 25 წლიანი ქარიშხალის შედეგების აღმოფხვრა. ამის გამო “წესრიგი და მშვიდობა” ევროპაში, რაც კონგრესის შემდეგ დამყარდა, მეტად არამყარი იყო. ეს სავსებით დაადასტურა 1820–1829 წლების იტალიის (პიემონტი, ნეაპოლი), ესპანეთისა და საბერძნეთის რევოლუციებმა, რომლებმაც ჯერ შეარყიეს რეაქციის დასაყრდენი ძალის „საღვთო კავშირის“ ძლიერება, ხოლო შემდეგ კიდეც დასცეს იგი.

2. *XIX ს-ის 10-20-იანი წლების რევოლუციები*

რევოლუციები ესპანეთსა და იტალიაში. ბურბონების დინასტიის რესტავრაციით (1814 წ.) ესპანეთში დაიწყო ფეოდალურ–აბსოლუტური რეაქციის ხანა. მეფე ფერდინანდ მეშვიდემ უარყო 1808–1814 წლების ნაციონალურ–განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში გატარებული ღონისძიებანი, დაშალა კორტესი, არ ცნო 1812 წლის კონსტიტუცია და სასტიკად გაუსწორდა რევოლუციის მონაწილეებს. მალე აღსდგა ინკვიზიცია, იეზუიტებს დიდი უფლებები მიეცათ.

ფეოდალურ–მონარქიული რეაქციის შემოტევას თან მოჰყვა ოპოზიციის გაძლიერება. მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილებას აცხადებდნენ ქალაქის ბურჟუაზია, ინტელიგენცია და კაპიტალისტურ წარმოებასთან დაკავშირებული მემამულეების ნაწილი. რევოლუციური განწყობილება ძლიერი იყო აგრეთვე არმიაში, რამდენადაც პროგრესულმა ოფიცრებმა ნაციონალურ–განმათავისუფლებელი ბრძოლის შესანიშნავი სკოლა გაიარეს. მართალია, აჯანყებანი არმიაში,–1814 წელს ნავარაში გენ. მინის ხელმძღვანელობით და 1815 წელს კორუნიეგში გენ. ბროლიეს წინამძღოლობით,–ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო, ხოლო მისი მეთაურები დასაჯა, მაინც ოპოზიციური სულისკვეთების აღმოფხვრა ჯარში მან ვერ შეძლო. სწორედ არმიაში მომზადდა ახალი აჯანყება. მართლაც, 1820 წლის 1 იანვარს კადისთან დისლოცირებულმა პოლკმა პოლკ. რაფაელ რიეგოს ხელმძღვანელობით აღმართა ბრძოლის დროშა. მას შეუერთდა პოლკ კიროგას რაზმიც. მოძრაობა მალე გავრცელდა ქვეყანაში. 9 მარტს აჯანყებამ იფეთქა მადრიდშიც. რევოლუციით დაშინებულმა ფერდინანდმა უკან დაიხია, არა მარტო აღადგინა 1812 წლის კონსტიტუცია, და კორტესის მოწვევაც ინება, არამედ ზომიერი ლიბერალებისაგან შექმნა მთავრობაც ავგუსტინო არგუელესის მეთაურობით.

1820 წლის ივლისში მადრიდში გაიხსნა კორტესი. მასში ჭარბობდნენ ზომიერები ანუ, როგორც ესპანეთში ეძახდნენ, მოდერადოსები. ესენი იყვნენ ქალაქის მსხვილი ბურჟუაზია,

ჩინოვნიკები, მეკმამულეთა ცალკეული ჯგუფები. რაც შეიძლება რადიკალებს ანუ ეკსალტადოსებს, რომლებიც ხალხის შედარებით დემოკრატიულ ფენებს წარმოადგენენ, შესამჩნევი გავლენა პარლამენტში არ ჰქონდათ. თუმცა 1822 წლიდან იქ უპირატესობა მოიპოვეს და ხელთ იგდეს ძალაუფლებაც. მართალია თვით მეფე არ ცნობდა კორტესის ახალი არჩევნების შედეგებს, მაგრამ დემოკრატიული მოძრაობის ზეგავლენით იძულებული გახდა დაენიშნა: რიეგო-პარლამენტის თავმჯდომარედ, ხოლო მისი თანამოაზრე სან მიგელი – მთავრობის მეთაურად.

პარლამენტმა, განსაკუთრებით რიეგოსა და სან მიგელის მმართველობის დროს, განახორციელა ზოგიერთი ბურჟუაზიული რეფორმა, კერძოდ აღადგინა სიტყვისა და პრესის თავისუფლება, გააუქმა საშინაო საბაჟო გადასახადები, მოახდინა სამონასტრო მიწების კონფისკაცია, აკრძალა ინკვიზიცია და სხვ. აღნიშნული რეფორმები უდაოდ პროგრესული იყო, რამდენადაც ფეოდალურ ქვეყანას გზას უკაფავდა კაპიტალიზმისაკენ. ამის მიუხედავად კორტესის რეფორმაციული მოღვაწეობა მაინც შეზღუდული დარჩა. ესპანეთი გლეხური ქვეყანა იყო და აგრარული საკითხის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, ბურჟუაზიულმა რევოლუციონერებმა ფეოდალური საკუთრების დანგრევა ვერ გაბედეს. მართალია, კი დაადგინეს ჩამორჩმეული საეკლესიო მიწების გაყიდვა, მაგრამ სიძვირის გამო გლეხებს მათზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ამიტომ ისინი ბოლომდე ვერ გაჰყვნენ რევოლუციას, ხოლო ზოგ რაიონში, სადაც ძლიერი იყო კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენა, გლეხები მის წინააღმდეგაც კი აღსდგნენ.

ასეთი შეზღუდულობის მიუხედავად ესპანეთის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა მეზობელ სახელმწიფოებზე. 1820 წლის აგვისტო–სექტემბერში რევოლუცია დაიწყო პორტუგალიაში. აჯანყებულმა ხალხმა ხელთ იგდო ძალაუფლება, მოიწვია კორტესი და მიიღო კონსტიტუცია. პორტუგალიასთან ერთად მოძრაობაში მოვიდა

ესპანეთის მეზობლად მდებარე საფრანგეთის სამხრეთი რაიონებიც. ამან შეაშფოთა რეაქცია. "საღვთო კავშირის" კონგრესმა ვერონაში (1822 წლის ოქტომბერი–ნოემბერი) სპეციალურად განიხილა პირინეის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობა და მიიღო შეიარაღებული ინტერვენციის დადგენილება. მართლაც, 1823 წლის აპრილში საფრანგეთის 100 ათასიანი არმია შეიჭრა ესპანეთში. შინაური კონტრრევოლუციამ აქტიურად დაეხმარა ინტერვენციას. ამან განსაზღვრა რევოლუციის ბედი. იმავე წლის მაისში დაეცა მადრიდი. შემოდგომაზე ინტერვენტებმა გასტეხეს აჯანყებულთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერები და დიდი მსხვერპლის ფასად აღადგინეს ფეოდალურ–აბსოლუტური რეჟიმი. რიენო ხელთ იგდეს და ჩამოახრჩეს. მალე ფრანგთა ლაშქარმა რევოლუცია პორტუგალიაშიც დაამარცხა.

რევოლუციის დამარცხებას პირინეას ნახევარკუნძულზე თან მოჰყვა სასტიკი რეპრესიები. დაერივნენ და ქვეყნიდან განდევნეს პროგრესული მოღვაწეები არ დაინდეს ეროვნული სიამაძე ელ–გრეკოსა და ველასკესის ტრადიციების შესანიშნავი მემკვიდრე ბრწყინვალე ფრანსისკო გოია (1746–1828), რომელიც განდევნილობაში საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გარდაიცვალა.

გაიას ყალამს ეკუთვნის „შიშველი მახა", განსაკუთრებით კი „ჰერცოგი ალბა" და სხვა შესანიშნავი სურათები, რომლებითაც დღეს ამაყობს ესპანეთი.

ესპანეთის რევოლუცია იყო „სამხედრო, დინასტიური და ბურჟუაზიულ–ლიბერალური". ანალოგიური იყო პორტუგალიის რევოლუციაც. სხვანაირად არც შეიძლებოდა–მოძრაობას სათავეში ედგნენ მემამულეებისა და უმაღლესი ოფიცრების წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი შეზღუდულობის გამო ვერ შეძლეს რევოლუციაში ხალხის დემოკრატიული ფენების მიზიდვა. ამან, რა თქმა უნდა, დააჩქარა მარცხიც. ამის მიუხედავად 1820–1823 წლების რევოლუციას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მოამზადა პირობები ესპანელი ხალხის შემდგომი ბრძოლისათვის.

20–იანი წლების დამდეგს აღსდგა იტალიაც, კერძოდ გეაპოლი და პიემონტი. მოძრაობას აქ ხელმძღვანელობდა კარბონართა („მენახშირეთა“) ფარული პატრიოტული საზოგადოება. იგი 1807 წელს დაარსდა ქვეყნის სამხრეთში, მაგრამ ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, გააფართოვა საქმიანობა და ფილიალები შექმნა ჩრდილოეთშიც (მოდენა, ვენეციის ოლქი, ლომბარდია, პიემონტი). კარბონართა საზოგადოება გამოხატავდა ბურჟუაზიის, ლიბერალური მემამულეებისა და ინტელიგენციის ინტერესებს და თავის მოღვაწეობაში ეყრდნობოდა არმიას. სწორედ კარბონართა ორგანიზაციის წევრმა ნოლას სამხედრო გარნიზონის უფროსმა გენ. გულელმო პეპემ 1820 წლის ივლისში დაიწყო აჯანყება. მოძრაობა მალე გაფართოვდა და მოიცვა ნეპოლის სამეფო. მეფე ფერნინანდ მეოთხე იძულებული გახდა მიეღო ესპანეთის 1812 წლის მსგავსი კონსტიტუცია და შეედგინა ლიბერალური მთავრობაც.

„საღვთო კავშირმა“ ნეაპოლის რევოლუციის ენერგიული ზომებით უპასუხა, ტროპაუსა და ლაობახში მოწვეულმა კონგრესებია (1820–1821 წლების მიჯნა), მეტერნიხის მოთხოვნით, მიიღო იტალიაში ინტერვენციის დადგენილება. ფერდინანდი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს, დაარღვია კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცი და ინტერვენციის მოლოდინში კონტრრევოლუციური გადატრიალებისათვის იწყო სამზადისი. 1821 წლის თებერვალში ავსტრიის არმია შეიჭრა იტალიაში., ასეთ ვითარებაში ნეაპოლის რევოლუციის მესვეურებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო აქტიურობა, არ აამხედრეს ხალხი და პასიური თავდაცვის ტაქტიკა არჩიეს. ამაე მტერს მოქმედებაც გაუადვილა. 7 მარტს გენ. პეპეს არმია დამარცხდა რიეტისთან ბრძოლაში. 23 მარტს ავსტრიელები შეიჭრნენ ნეაპოლში და მონარქია აღადგინეს.

ავტრიელთა ინტერვენციამ იტალიაში დააჩქარა აჯანყება პიემონტშიც. მოძრაობა აქ 1821 წლის 10 მარტს დაიწყო. ალექსანდრიის სიმაგრის გარნიზონმა პირველმა აღმართა ბრძოლის დროშა. 12 მარტს აჯანყდა დედაქალაქში (ტურინი)

განლაგებული არმიაც. მას ხალხიც შეუერთდა. აჯანყებულებმა მოითხოვეს ესპანეთის 1812 წლის მსგავსი კონსტიტუცია. პრემონტის მეფე ვიქტორ–ემანუილ 1 არ დაჰყვა მათ და გადადგა. შეიქმნა რევოლუციური ხუნტა ტურინის აჯანყების გმირის გრაფ სანტა–როზას მეთაურობით. ხუნტამ რეგენტად დანიშნა მეფის ნათესავი კარლ–ალბერტო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ უღალატა და დედაქალაქიდან გაიქცა, თან ჯარის ნაწილიც მონარქიას მიუყვანა. ამან დაამძიმა რევოლუციონერთა მდგომარეობა. მართალია, შეიძლებოდა ვითარების გამოსწორება, მაგრამ აჯანყებულმა კონსტიტუციონალისტებმა ვერ გაბედეს სამკვდრო–სასიცოცხლო ომისათვის ქალაქისა და სოფლის ღარიბების ამხედრება. ამით ისარგებლა "საღვთო კავშირმა" და კვლავ ავსტრიას მიანდო პიემონტზე ლაშქრობა. 1821 წლის აპრილის დამდეგს იტალიის ჟანდარმის არმია შეტევაზე გადავიდა. 9 აპრილის ხანმოკლე ბრძოლაში მათ დაამარცხეს რევოლუციონერთა ჯარი და დაიკავეს ტურინი. ამრიგად პიემონტშიც აღსდგა მონარქია.

იტალიის (ნეაპოლი, პიემონტი) 1820–1821 წლების რევოლუცია არ იყო ბურჟუაზიულ–დემოკრატიული და ამ მხრივ იგი აშკარად ესპანეთის 1820–1823 წლების რევოლუციას ჰგავდა. მისი ხელმძღვანელობა მთლიანად ლიბერალებსა და უმაღლეს ოფიცრებს ეპყრათ. ამ უკანასკნელებს კი ეშინოდათ დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისა და ამიტომ ხალხს ემიჯნებოდნენ. ცხადია, ეს ზღუდავდა რევოლუციას და სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავდა მის მარცხსაც. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე საერთაშორისო რეაქციამაც – კონტრრევოლუციისათვის „საღვთო კავშირის" აქტიურმა დახმარებამ მონარქიებისა და ფეოდალურ–აბსოლუტური რეჟიმის რესტავრაცია დააჩქარა.

<u>1821–1829 წლების რევოლუცია საბერძნეთში.</u> მე–15 საუკუნის შუა წლებში ბიზანტიის იმპერია დაეცა და იგი ოსმალთა უღელქვეშ აღმოჩნდა. ძველი ცივილიზაციისა და დიდი კულტურის შემოქმედი, ძლევამოსილი რომის იმპერიის

დიდებული მემკვიდრე საბერძნეთი ახლა ნომადი მეჯოგე ტომების სათარეშო გახდა. ნახევრად ფეოდალურ, ბარბაროსულ სტადიაზე მდგომი ხალხის გაბატონებამ კი უარყოფითად იმოქმედა მაღალგანვითარებულ ქვეყნის მეურნეობაზე, საერთოდ სოციალ–ეკონომიურ ცხოვრებაზე, შეაფერხა და დაჩიხა მისი წინსვლა და განსაზღვრა ხანგრძლივი დროით მსოფლიო ისტორიული პროცესისაგან საბერძნეთის „ჩამოშორება“.

რა თქმა უნდა, ხალხი არ შერიგებია ოსმალთა ბატონობას. სოციალურ და ნაციონალურ ჩაგვრას გაქცეული გლეხები მასობრივად გადიოდნენ ტყეში და იარაღით ებრძოდნენ გადამთიელებს. ოსმალები მათ კლეფტებს ანუ ქურდებს ეძახდნენ, მაგრამ ნიდერლანდების გიოზების, იტალიელი კარბონარებისა და საფრანგეთის სანკიულოტების მსგავსად ეს სამარცხვინო სახელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა საამაყო სინონიმად გადაიქცა. მე–19 საუკუნის დამდეგისათვის საბერძნეთში ოფიციალურად 10 ათასზე მეტ კლეფტს მოითვლიდნენ, მაგრამ ეს ციფრი ოდნავადაც ვერ ასახავდა რეალურ სინამდვილეს – ცალკეულ რაიონებს ამაზე გაცილებით მეტი მეომრის გამოყვანა შეეძლო.

უცხოელთა ბატონობის მიუხედავად მე–18–19 საუკუნეების მიჯნაზე საბერძნეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სოფლის მეურნეობაში. მე–18 საუკუნის მეორე ნახევარში მაკედონიას და თესალიას ევროპაში გაჰქონდათ მიღებული მარცვლის 40%, ბამბის და თამბაქოს 50% და სხვ. 1794 წლის ცნობით მარტო პელპონეს საზღვარგარეთ გაუტანია წარმოებული პროდუქციის 22%. სოფლის მეურნეობის საქონლურობის ასეთი ზრდა ევროპის სფეროში ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთის პროვინციების მოქცევის შედეგი იყო. ამან დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის განვითარებაში და დააჩქარა საბერძნეთში ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირებაც.

სხვათაშორის, ეს პროცესი შესამჩნევი გახდა 1774 წლიდან, როდესაც ქუჩუკ–კაინარჯის შეთანხმებით რუსეთმა უზრუნველყო ზოგი პრივილეგია ბერძენი ზღვაოსნობისათვის არქიპელაგის კუნძულების რაიონში. ამან არა მარტო გაზარდა მათი საშუამავლო როლი ლევანტისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ვაჭრობაში, არამედ განსაზღვრა ძლიერი ბერძნული ფლოტის შექმნაც., ფლოტი კი იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის პოტენციური ფაქტორი, რადგან მეკობრეთა თავდასხმების მოგერიების მიზნით გემები ზარბაზნებით იყო შეიარაღებული. ამის გამო სულთანმა არაერთხელ ცადა ბერძნული ფლოტის საკუთარ გავლენაში მოქცევა, მაგრამ ბუქარესტის ზავის შემდეგ (1812 წ.) ოდესის ფირმებისათვის გემების ფიქტიური მიყიდვით ბერძენმა პატრიოტებმა იგი ჩაშალეს

ბერძნული ბურჟუაზიის ფორმირება, შედარებით ინტენსიურად, საზღვარგარეთის ქვეყნებში ხდება. ამ მხრივ რუსეთი გამოირჩეოდა. მე–18 საუკუნის დამლევისათვის იზმაილში, აკერმანში, ოდესაში, ხერსონში, მარიუპოლში და სამხრეთის სხვა ქალაქებში არსებობდნენ ძლიერი ბერძნული ახალშენები. სწორედ აქ, ემიგრაციულ გარემოში, მომზადდა პირობები განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციული გაფორმებისათვის. ამ მხრივ პირველობა ეკუთვნის რევოლუციონერსა და პოეტს რიგას ველესტინლის (1757–1798). მან შექმნა საზოგადოება „ეთერია“ და შეიმუშავა დემოკრატიული ბრძოლის პოლიტიკური და იდეოლოგიური პროგრამა. ამან ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის. მართლაც, 1814 წელს ოდესაში პატრიოტებმა ნ.სკუფასმა, ე. ქსანტოსმა და ა.ცაკალოვმა დაარსეს რევოლუციური ორგანიზაცია „ფილიკი ეთერია“ („მეგობრული საზოგადოება“), რომელიც საფრანგეთისა და საზღვარგარეთის ბერძნული კოლონიების ჭეშმარიტი ხელმძღვანელი გახდა.

„ფილიკი ეთერიას“ შექმნა რუსეთში არ იყო შემთხვევითი. ბერძენი მოახალშენეები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ აქ, თავისუფლად ეწყობოდნენ სახელმწიფო

აპარატში, ჯარში. თავის მხრივ რუსები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ბერძენთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. კიდევ მეტი, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ცარიზმს ამ ბრძოლის გამოყენების იმედიც ჰქონდა. ამიტომ იგი გარკვეულ ინტერესს იჩენდა აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობისადმი, მფარველობდა მას. სწორედ ამის შედეგი იყო 1820 წელს „ფილიკი ეთერიას“ ხელმძღვანელად რუსეთის არმიის გენერლის, მეფის ყოფილი ადიუტანტის ალექსანდრე იპსილანტის დანიშვნა. ამან გააქტიურა პატრიოტები. 1821 წლის 24 თებერვალს ა. იპსილანტიმ იასში გამოაქვეყნა ცნობილი მოწოდება, რომელიც ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს. იგი იწყებოდა სიტყვებით: „დადგა დრო, მამაცო ბერძნებო!“

დრო კი, მართლაც ხელსაყრელი იყო ბრძოლისათვის. 1820 წლის ზაფხულში სულთან მაჰმუდ მეორემ ეპირის, აკარნანისა და თესალიის მმართველი ალი–ფაშა ურჩობისათვის აჯანყებულად გამოაცხადა და მის წინააღმდეგ ჯარები დასძრა. გამდგარი ფაშა გამაგრდა თავის რეზიდენციაში–იანინში და „ტირანიის წინააღმდეგ“ ბერძნების ამხედრება ცადა. რა თქმა უნდა, ალი–ფაშა იანინელი არ ფიქრობდა მათ თავისუფლებაზე, იგი ისეთივე ტირანი, დესპოტი და მჩაგვრელი იყო, როგორც სულთანი, მაგრამ თუ ახლა ბერძნებს ქომაგად მოევლინა და ბრძოლისაკენ მოუწოდა, ეს „ღონედ სისუსტისა თვისისა“ გამო გააკეთა. ამის მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისი აჯანყებისათვის უაღრესად სასარგებლო დარჩა და 1821 წლის 16 მარტს პელოსონესის ჩრდილოეთში ხალხიც აღსდგა. მოძრაობა მალე მოედო რუმელიას (ბერძნები, ამ სახელწოდების ქვეშ კონტინენტალურ საბერძნეთს გულისხმობდნენ), კრეტას, ეპირს, თესალიას. 1821 წლის დამლევისათვის ქვეყნის დიდი ნაწილი განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. ეპიდავრის მახლობლად პიადუში მოწვეულმა ნაციონალურმა კრებას 1822 წლის 1 იანვარს ოფიციალურად გამოაცხადა საბერძნეთის დამოუკიდებელი

სახელმწიფო და მიიღო კონსტიტუციაც. აქვე შეიქმნა მთავრობის ორგანოები, რომელშიც ძირითადად მდიდარი გემთმფლობელებისა და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები შევიდნენ. მთავრობის მეთაური გახდა ა.მავროკორდატო, ხოლო საკანონმდებლო კორპუსის თავმჯდომარე დიმ. იპსილანტი („ფილიკი ეთერიას“ ხელმძღვანელის ძმა).

საბერძნეთის აჯანყებას ოსმალეთის მთავრობამ საგანგებო ღონისძიებებით უპასუხა. ჯერ რეპრესიები მიმართა ბერძენი მოსახლეობის მიმართ (კონსტანტინეპოლში შეიპყრეს და აწამეს საბერძნეთის პატრიარქი 84 წლის გრიგოლ მეხუთე, თუმცა იგი არ თანაუგრძნობდა მოძრაობას), შემდეგ კი რევოლუციის ჩახშობის მიზნით დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა კუნძულ ხიოსზე. ანგარიშსწორება აჯანყებულებთან უაღრესად სასტიკი იყო. კუნძულის 100 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 2 ათასი კაცი გადარჩა. დანარჩენი ან მტერს შეაკვდა უთანასწორო ბრძოლაში, ან ტყვედ იგდლეს და სიკვდილით დასაჯეს. 45 ათასზე მეტი კი მონად გაიყიდა. მომდევნო პერიოდში საბრძოლო ოპერაციები ბერძნების წინააღმდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა. ამაში გარკვეული როლი შეასრულა ალი–ფაშა იანინელის მარცხმა. ახლა სულთანს შეეძლო თავისი არმია მთლიანად რევოლუციასთან საბრძოლველად დაერაზმა. ასეც მოხდა. 1822 წლის ზაფხულში ოსმალთა ძლიერი ფლოტი და მრავალრიცხოვანი ჯარი მაჰმუდ–ფაშა დრამალის ხელმძღვანელობით შეიჭრა პელოპონესში.

საბერძნეთის კრიტიკული მომენტი შეექმნა, მითუმეტეს რომ საერთაშორისო ვითარებაც მისთვის აშკარად არახელსაყრელი იყო. „საღვთო კავშირი“ უარყოფითად შეხვდა აჯანყებას „კანონიერი ხელმწიფის“ წინააღმდეგ. კიდევ მეტი, მეტერნიხი მოითხოვდა ჩარევას ბერძენთა საშინაო საქმეში სულთანის სასარგებლოდ. ამიტომ საბერძნეთის დელეგაცია, რომელიც ვერონაში ჩავიდა, კავშირის მორიგ კონგრესზე არც კი დაუშვეს. ყველაზე მეტი დახმარება მაინც რუსეთისაგან იყო მოსალოდნელი, მაგრამ იმ ეტაპზე იგი „საღვთო კავშირის“ პრინციპების ერთგული დარჩა – სურდა ბალკანეთში სტატუს

ქვოს შენარჩუნება და ამიტომ აქტიური მოქმედებისაგან თავი შეიკავა. ამის მიუხედავად აჯანყებულთა რაზმები თ.კოლოკოტრონისის, ნიკიტარასის და დ.იპსოვის ხელმძღვანელობით მაინც მამაცურად იბრძოდნენ. კირონოთოს მისადგომებთან შედგა გენერალური შეტაკება. ბერძნებმა გაანადგურეს მაჰმუდ ფაშა დრამალის არმია. ოსმალებმა უკან დაიხიეს.

საგარეო საფრთხის დროებითმა ლიკვიდაციამ შემდგომ გააღრმავა წინააღმდეგობა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ყალთა შორის. მთავრობა და მისი დასაყრდენი მემარჯვენე ფრთა (მდიდარი ბურჟუაზია, ფეოდალები და სხვ.) შეშფოთებული იყვნენ დემოკრატიული, მემარცხენე ფრთის (გლეხები, ხელოსნები, კლეფტები) გაძლიერებით. ცხადია უთანხმოების მიზეზი მარტო სოციალური მოტივი (იწების გადანაწილება და სხვ.) როდი იყო. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ბრძოლა ხელისუფლებისათვის, კერძოდ კი კოლოკოტრონისის ცდა დემოკრატიულ მოძრაობაზე დაყრდნობით პირადი დიქტატურის დამყარებისათვის. ყველა ამ ფაქტორმა, ერთად აღებულმა, ქვეყანაში ორი სამოქალაქო ომი გამოიწვია. პირველში (1823 წლის დამლევი – 1824 წლის ივნისი) ერთმანეთს დაეტაკნენ კოლოკოტრონისის მომხრეები და პელოპონესის გემთმფლობელებისა და მდიდარი მემამულეების ბლოკი. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. მეორე სამოქალაქო ომი (1824 წლის ნოემბერი–1825 წლის იანვარი) კი ძირითადად გამარჯვებული ბლოკის მონაწილეებს შორის გაჩაღდა. კოლოკოტრონისი ფეოდალურ არისტოკრატიას მიემხრო, გემთმფლობელებს რუმელიის არმია დაეხმარა. მსხვილმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, კოლოკოტრონისი ხელოთ იგდო და მონასტერში გამოკეტა.

საბერძნეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ოსმალეთის მთავრობამ მოახდინა ძალთა მობილიზება, დაუკავშირდა თავის ძლიერ ვასალს ეგვიპტის ფაშას მუჰამედ–ალის დლა კრეტასა და სირიის დათმობის საფასურად

უზრუნველყო მისი გამოსვლა რევოლუციის ჩასახშობად. მართლაც, 1825 წლის თებერვალში ბერძნების წინააღმდეგ მოქმედება დაიწყეს: ჩრდილოეთიდან–ოსმალთა არმიამ მეჰმედ რეშიდ–ფაშას მეთაურობით, ხოლო სამხრეთიდან–ეგვიპტის ლაშქარმა იბრაჰიმ–ფაშის ხელმძღვანელობით. საბერძნეთის მდგომარეობა კვლავ კრიტიკული გახდა. იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა გარე სამყაროსაც კი. ასეთ ვითარებაში მთავრობა სრულ დაბნეულობას და პასიურობას იჩენდა. მხოლოდ უკიდურესი დაძაბულობის ჟამს გაათავისუფლა მან პატიმრობიდან კოლოკოტრონისი და დანიშნა არმიის მთავარსარდლად. მან მაშინვე აამხედრა ხალხი ბრძოლისაკენ. მისმა მოწოდებამ გლეხობისადმი „შემოკრბით ძმებო... ჩვენ არა გვაქვს სხვა დახმარება საკუთარი იარაღის გარდაო“, ფეხზე დააყენა ათასობით მშრომელი. ამის მიუხედავად ახალმა მთავარსარდალმა ვერ შეძლო ჭარბი მტრის შეჩერება, მთებისაკენ დაიხია და პარტიზანული ომი გააჩაღა.

საბერძნეთში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით ოსმალთა და ეგვიპტის გაერთიანებული ლაშქრის მიერ ქალაქ მისოლონგიონის აღებამ და მისი მოსახლეობის სრულმა ამოჟლეტამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მსოფლიოში. ბევრ ევროპულ ქვეყანაში აღმოცენდა ფილელინების ანუ მებრძოლი საბერძნეთის მეგობართა კომიტეტები. სწორედ მათი ინიციატივით ბალკანეთის სახელმწიფოებში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვ. შეიქმნა მოხალისეთა რაზმები, რომლებიც შემდეგ ბერძნების მხარდამხარ მამაცურად ებრძოდნენ პროგრესის მტრებს. მათ შორის იყო დიდი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი, რომელიც გმირის სიკვდილით დაეცა კიდეც 1826 წელს, ფილელინების მოძრაობის წარმოშობამ და თვით ბერძნების თავგანწირულმა წინააღმდეგობამ აიძულა ევროპის ქვეყნების მთავრობები გადაესინჯათ თავიანთი პოლიტიკა (ამრიგად საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე აღმოჩენდა „აღმოსავლეთის საკითხი“). ამ მხრივ პირველი იყო ინგლისი. საგარეო საქმეთა მინისტრის ჯორჯ კანინგის

ინიციატივით ინგლისის მთავრობამ იცნო საბერძნეთის დამოუკიდებლობა და სესხითაც დაეხმარა. ამით იგი ბალკანეთში თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებას გეგმავდა. მნიშვნელოვნად გააქტიურდა რუსეთიც. 1826 წლის მარტში პეტერბურგში გაფორმდა ინგლის–რუსეთის ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა ხელმომწერი მხარეების ჩარევას საბერძნეთისა და ოსმალეთის კონფლიქტში პირველისათვის ავტონომიის მინიჭების მიზნით. 1827 წელს ამ ხელშეკრულებას საფრანგეთიც შეუერთდა. ეს მოწმობდა ბალკანეთში რუსეთის გავლენის შემდგომ ზრდას, რაც კიდევ უფრო განამტკიცა 1827 წლის აპრილში ტრეზენში მოწვეული ნაციონალური კრების მიერ საბერძნეთის პრეზიდენტად რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის იონას კაპოდისტრიას არჩევამ. სახვათაშორის, ამან დააჩქარა მოკავშირეთა შეიარაღებული ჩარევა კონფლიქტში. მართალია, ისინი ოფიციალურად საბერძნეთის დაცვის ლოზუნგით მოქმედებდნენ, მაგრამ ჩანდა მათ ფარული მიზნებიც ამოძრავებდათ. კერძოდ, რუსეთის–კაპოდისტრიას მეშვეობით ბალკანეთში თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის იღწვოდა, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი – რუსეთის გავლენის შესუსტებას ცდილობდნენ. ინტერესთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად იმ ეტაპზე მოკავშირეები მაინც ერთად მოქმედებდნენ, რის გამოც 1827 წლის 20 ოქტომბერს ნავარინის ყურეში ოსმალთა ძლიერ ესკადასთან ბრძოლაში ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

1828 წლის დამდეგს საბერძნეთში ჩავიდა ი.კაპოდისტრია. მან ერთნაირად გამოიყენა ნავარინის გამარჯვებით ბერძენთა ამაღლებული საბრძოლო სულისკვეთება და ენერგიულად შეუდგა ძალთა მობილიზებას ოსმალებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამ მიზნით კაპოდისტრიამ დიდი ღონისძიებანი განახორციელა. რუსეთის სუბსიდიებითა (3,5 მილ. ფრანკი) და რუსეთში მცხოვრებ ბერძნებისაგან მიღებული მნიშვნელოვანი შემოწირულობებით შეავსო სახელმწიფო ხაზინა, რის საფუძველზეც მისცა ხელფასი ჯარისკაცებს, გახსნა 100–მეტი

დაწყებითი განათლების სკოლა, პირველი საავადმყოფოები, მოაწყო საფოსტო სამსახური, გაატარა ადმინისტრაცილი რეფორმა და ა.შ., რამაც გარკვეულად გააძლიერა ქვეყანა. კიდევ მეტი, კაპოდისტრიას მთავრობამ მოკავშირეებს მოთხოვა მიეღოთ ენერგიული ზომები საბერძნეთის ოკუპირებული ნაწილიდან (მორეა) იბრაჰიმ ფაშის ლაშქრის ევაკუაციისათვის, რასაც მიაღწია კიდეც 1828 წლის ოქტომბერში.

ოსმალთა ხელში ახლა რუმელია რჩებოდა. მის განთავისუფლებას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ საკითხზე დლიპლომატიური მოლაპარაკების დროს ინგლისი მოითხოვდა საბერძნეთის ტერიტორიის შემოფარგვლას პელოპონესით. ისარგებლა რა რუსეთ–ოსმალეთს შორის გაჩაღებული ომით (1828–1829 წწ) ბერძენთა არმიამ დაიწყო შეტევა რუსელიის მიმართულებით და მტრისაგან გაათავისუფლა ვონიცა, ნავპაკტოსი, მისორლონგიონი, თებე და სხვ. 1829 წლის 12 სექტემბერს აღმოსავლეთ რუმელიის ლაშქარმა დიმ. იპსილანტის სარდლობით პეტრასთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ოსმალთა 5 ათასიანი კორპუსი.[51]

პეტრას ბრძოლა იყო ტსაბერძნეთის რევოლუციის უკანასკნელი ომი. ამის მიუხედავად ოსმალეთის მთავრობა ჯიუტად არ ცნობდა მის შედეგებს. მართალია, 1828 წლის 2 სექტემბერს რუსეთთან გაფორმებული ე.წ. ადრიანოპოლის ხელშეკრულების მე–10 მუხლით პორტა ვალდებული იყო დაედასტურებინა საბერძნეთის დამოუკიდებლობაბ მაგრამ ერთხანს კვლავ ფეხს ითრევდა. მხოლოდ 1830 წლის 12 აპრილს აღიარა მან საბერძნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

ამრიგად, 1821–1829 წლების რევოლუციამ, მისი შეზღუდულობის მიუხედავად ("მფარველი მოკავშირეების"

[51] პეტრას მახლობლად არსებულ სოფელს დღეს იპსილანტი ჰქვია, რაც ამ პატრიოტი ოჯახისადმი ბერძენთა პატივისცემის სიმბოლოა.

წყალობით შემცირდა ქვეყნის ტერიტორია, მას თავს მოახვიეს მონარქიული წყობა,[52] გადაუწყვეტელი დარჩა აგრარული საკითხი და სხვ.), არა მარტო გაათავისუფლა საბერძნეთი ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან, არამედ ფეოდალური ქვეყნის უღლის გადაგდებით ხელსაყრელი პირობები შექმნა კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. საგულისხმოა, რომ ეს რევოლუცია იყო პირველი, რომელიც „საღვთო კავშირის“ არსებობის პირობებში, გამარჯვებით დასრულდა. ამან, ცხადია, აღაფრთოვანა ევროპის ხალხები და გააძლიერა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამასთან, აღმოსავლეთის საკითხმა დიდი წინააღმდეგობანი წარმოშვა თვით „საღვთო კავშირის“ მონაწილეებში და დააჩქარა მისი დაშლაც.

3. 1848-1849 წლების რევოლუციები

<u>რევოლიცია საფრანგეთში</u>. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს საფრანგეთში უკვე რევოლუციური სიტუაცია იყო შექმნილი. 1847 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა მოსახლეობის (განსაკუთრებით მუშების) ცხოვრების დონე მკვეთრად დასცა. შემცირდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. მუშათა გაფიცვების ტალღამ. მთელს ქვეყანას გადაუარა. სულ უფრო იზრდებოდა ბურჟუაზიის დიდი ნაწილის უკმაყოფილება მეფე ლუი-ფილიპის და გიზოს მთავრობის მიმართ, რომლებიც მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობლების და ბურჟუაზიის მცირე ნაწილის (განსაკუთრებით მსხვილი ფინანსისტების) ინტერესებს გამოხატავდნენ. საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ფენები საარჩევნო რეფორმის განხორციელებას.აქტიურად ითხოვდნენ ქვეყანაში საბანკეტო კამპანია.გრძელდებოდა.

1847 წლის 28 დეკემბერს საკანონმდებლო კრების (პარლამენტის) მორიგი სესია გაიხსნა. ბურჟუაზულ-

[52] მეფედ აკურთხეს ბავარიელი ვიტელსბახთა დინასტიის წარმომადგენელი ოტტონი.

ლიბერალური ოპოზიციის წარმომადგენელმა დეპუტატებმა გიზოს მთავრობა სასტიკად გააკრიტიკეს. მაგრამ ოპოზიციის მოთხოვნა საარჩევნო რეფორმის შესახებ მაინც უარყოფილი იქნა. მთავრობამ 1848 წლის 22 თებერვალს დანიშნული რეფორმის მომხრეთა პოლიტიკური ბანკეტიც აკრძალა. გიზოს მთავრობის ამ უკანასკნელ ნაბიჯს პარიზში რევოლუციური აფეთქება მოყვა პროტესტის ნიშნად მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა. გაჩნდა პირველი ბარიკადები. დაიწყო პოლიციასთან შეტაკებები. ეროვნული გვარდიის ნაწილებმა ამბოხებულთა მხარეს იწყეს გადასვლა. კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით მეფემ გიზოს მთავრობა გადააყენა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ანტისამთავრობო გამოსვლები უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც 23 თებერვალს მთავრობის მომხრე სამხედრო ნაწილებმა კაპუცინების ბულვარზე, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეკრებილ ხალხს ცეცხლი გაუხსნეს. 24 თებერვალს მთელი ქალაქი უკვე აჯანყებულთა ხელთ იყო. ლუი-ფილიპი იძულებული გახდა ინგლისში გაქცეულიყო.

თებერვლის რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელთა პოლიტიკური დაჯგუფება მოვიდა. შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში ადვოკატი დიუპონი ჩაუდგა, მაგრამ ამ მთავრობაში ყველაზე დიდ როლს საგარეო საქმეთა მინისტრი ლამარტინი თამაშობდა. მთავრობაში აგრეთვე რესპუბლიკელების ხვა წარმომადგენლები, ლედრიუ როლენი, ფლოკონი, ლუი ბლანი და ალექსანდრ ალბერი შევიდნენ.

1848 წლის 25 თებერვალს დროებითმა მთავრობამ საფრანგეთი რესპუბლიკად გამოაცხადა (მეორე რესპუბლიკა). 4 მარტს გამოქვეყნებული იქნა დეკრეტი 21 წელს მიღწეული მამაკაცებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების შესახებ. ამის შედეგად ამომრჩეველთა საერთო რიცხვი საფრანგეთში 250 ათასიდან 9,3 მილიონამდე გაიზარდა. ძველი პარლამენტი (საკანონმდებლო კრება), დათხოვნილი იქნა და ზემოთაღნიშნული ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე. ახალი პარლამენტის, დამფუძნებელი კრების არჩევნები

დაინიშნა. დროებითმა მთავრობამ მუშათა საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. სამუშაო დღე 10 საათამდე იქნა შემცირებული. შეიქმნა სპეციალური, „მშრომელთა საკითხების სამთავრობო კომისია“ (ე.წ. „ლუქსემბურგის კომისია“). ამ კომისიას, რომელსაც სათავეში დროებითი მთავრობის წევრები ლუი ბლანი და ალექსანდრ ალბერი ჩაუდგნენ, მუშათა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება ევალებოდა. უმუშევრობის აღმოსაფხვრელად დროებითმა მთავრობამ შექმნა „ეროვნული სახელოსნოები“ პარიზში, ლიონში, მარსელში და სხვა ქალაქებში ე. წ. „ეროვნული სახელოსნოები“ შექმნა. ამ სახელოსნოების წევრი მუშები საზოგადოებრივ სამუშაოებს (მაგ. ქუჩების გაწმენდა, ხეების დარგვა და სხვ.) ასრულებდნენ და ანაზღაურების სახით დღეში ორ ფრანკს იღებდნენ. უმუშევრად დარჩენილი მუშები ამ სახელოსნოებში მასობრივად შედიოდნენ. 1848 წლის ზაფხულში სახელოსნოების წევრთა რიცხვმა 117 ათასს მიაღწია. მთავრობა, რომელიც მუშათა ასეთ რაოდენობას არ მოელოდა, მათი ხელფასის გადახდის მიზნით იძულებული გახდა სახელმწიფო გადასახადები მიწის მფლობელებისათვის 45%-ით გაეზარდა. ამან განსაკუთრებით გლეხობა გააღიზიანა, რომელიც მიწისმფლობელების და საერთოდ საფრანგეთის მოსახლეობის დიდი ნაწილს შეადგენდა.

1848 წლის 23 აპრილს ახალი პარლამენტის, დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა. გამარჯვებას რესპუბლიკელებმა მიაღწიეს, რომლებმაც 880 საპარლამენტო ადგილიდან 580 მოიპოვეს. დანარჩენ ადგილებს მონარქისტები (ლეგიტიმისტები, ორლეანისტები, ბონაპარტისტები) დაეუფლენ.

4 მაის დამფუძნებელი კრება მუშაობას შეუდგა. აღმასრულებელი ხელისუფლება ახალ დროებით მთავრობას, აღმასრულებელ საბჭოს გადაეცა, რომელსაც სათავეში ლამარტინი ედგა. გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის უკმაყოფილების ზრდის შიშით ახალმა მთავრობამ 22 ივნისის ბრძანებულებით ეროვნული სახელოსნოები გაუქმებულად

გამოაცხადა. სახელოსნოების წევრი 18-იდან 25-მდე წლის მუშები არმიაში უნდა შესულიყვნენ, ხოლო დანარჩენები დაჭაობებულ ადგილებში სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად პროვინციებში უნდა გამგზავრებულიყვნენ. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას პარიზელმა მუშებმა დიდი ამბოხებით უპასუხეს, რომელშიც 50 ათასი კაცი მონაწილეობდა. მთავრობა იძულებული გახდა დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში სამხედრო მინისტრი, გენერალი კავენიაკი ჩაუდგა 4 დღიანი ბრძოლების შემდეგ აჯანყება ჩახშობილი იქნა. მაგარმ მიუხედავად ამისა რესპუბლიკელთა პოლიტიკური დაჯგუფების ავტორიტეტი საზოგადოებაში მნიშვნელოვნად დაეცა, რადგან ბურჟუაზიის დიდმა ნაწილმა დაინახა, რომ არსებული რესპუბლიკური რეჟიმი სტაბილურობას ქვეყანაში. ვერ უზრუნველყოფდა. ამ ფონზე გაძლიერდნენ მონარქისტები, რომლებმაც ე.წ. „წესრიგის პარტიაც“ კი შექმნეს. ბურჟუაზია ქვეყანაში ძლიერი ხელისუფლების შექმნისაკენ მიისწრაფვოდა

1848 წლის 4 ნოემბერს დამფუძნებელმა კრებამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც საფრანგეთში რესპუბლიკურ რეჟიმს აკანონებდა. ამ კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლება ახალი ერთპალატიანი პარლამენტის, საკანონმდებლო კრების ხელში გადადიოდა, რომლის დეპუტატები საყოველთაო საარჩევნო კანონის საფუძველზე 3 წლის ვადით ირჩეოდნენ. აღმასრულებელი ხელისუფლება რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელში გადადიოდა, რომელიც პარლამენტს კი არ უნდა დაენიშნა, არამედ 4 წლის ვადით ხალხს უნდა აერჩია. პრეზიდენტი ნიშნავდა მთავრობას და ხელმძღვანელობდა არმიას თუმცა მას პარლამენტის დათხოვნა და კანონების შეჩერება არ შეეძლო. 848 წლის 10 დეკემბერს საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. გაიმარჯვა მონარქისტების კანდიდატმა ლუი ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 3/4 მიიღო მაშინ, როცა რესპუბლიკელთა კანდიდატმა, გენერალმა კავენიაკმა ხმების

მხოლოდ 1/5 მიიღო. ბონაპარტს ბურჟუაზიამ, მუშათა ნაწილმა და მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანმა ფენამ, გლეხობამ დაუჭირა მხარი.

პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ ლუი ნაპოლეონმა შექმნა მთავრობა, რომელსაც სათავეში მონარქისტი ოდილიონ ბარო ჩაუდგა. გაუქმებული იქნა სახელწიფო გადასახადის 45%-იანი ნამატი, რითაც პრეზიდენტმა ლუი ნაპოლეონმა თავისი ავტორიტეტი მოსახლეობაში კიდევ უფრო განამტკიცა.

1849 წლის 13 მაისს ახალი პარლამენტის, საკანონმდებლო კრების არჩევნები ჩატარდა. მონარქისტებმა აქაც გამარჯვებას მიაღწიეს. მათ პარლამენტში ადგილების 2/3 მიიღეს.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა აშკარად აჩვენა, რომ ქვეყანა მონარქიული რეჟიმის აღდგენისაკენ მიექანებოდა. ასეთ პირობებში რესპუბლიკელებმა მონარქისტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. ამ ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის შეჯახების საბაბად პრეზიდენტ ბონაპარტის საგარეო პოლიტიკა იქცა. კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით ლუი ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1849 წლის აპრილში იტალიაში რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ რომში პაპის ხელისუფლების აღსადგენად ჯარები გაგზავნა. ამ ფაქტის გამო საკანონმდებლო კრების სხდომაზე ლედრიუ როლენის თაოსნობით რესპუბლიკელებმა პრეზიდენტი და მთავრობა სასტიკად გააკრიტიკეს და მათი სასამართლოსათვის გადაცემა მოითხოვეს. საკანონმდებლო კრების (პარლამენტის) მონარქისტულმა უმრავლესობამ რესპუბლიკელთა მოთხოვნა უარყო. მაშინ რესპუბლიკელთა მომხრეებმა 13 ივნისს პარლამენტის შენობასთან საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს, რომელიც პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. პოლიციამ და ჯარის ნაწილებმა დემონსტრანტები იარაღის გამოყენებით დაშალეს.

რესპუბლიკელთა წინააღმდეგობის ჩახშობის შემდეგ ლუი ნაპოლეონს ფაქტიურად გზა გაეხსნა, რათა ტახტზე გადამჯდარიყო. ასეთი შესაძლებლობა იმანაც გაზარდა, რომ

თვით მონარქისტების ბანაკში, ე. წ. „წესრიგის პარტიაში“ ლეგიტიმისტები და ორლეანისტები ტახტზე ასაყვანი კანდიდატურის საკითხში ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ. ლეგიტიმისტები მხარს ყოფილი მეფის, შარლ X ბურბონის შვილიშვილის, შამბორის გრაფს უჭერდნენ, ხოლო ორლეანისტები, ლუი ფილიპ ორლეანელის შვილიშვილს—პარიზის გრაფს. რა თქმა უნდა ლეგიტიმისტების და ორლეანისტების წინააღმდეგობა ბონაპარტისტების და მათი მეთაურის, პრეზიდენტ ლუი ნაპოლეონის წისქვილზე ასხამდა წყალს. საფრანგეთის ბურჟუაზიის და გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ბონაპარტისტებს მიემხრო. საზოგადოება სწორედ ლუი ნაპოლეონში ხედავდა ქვეყნის შინაგანი სტაბილურობის და სიძლიერის გარანტიას. ბონაპარტისტებს არმიისა და პოლიციის უმაღლესი ჩინოსნებიც მიემხრნენ. რა თქმა უნდა ლუი ნაპოლეონის პოპულარობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი მისი დიდი ბიძის ნაპოლეონ ბონაპარტის სახელმაც, რომელიც ქვეყნის მოსახლეობაში გარდაიცვალების შემდეგაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. თავისი საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივების მიზნით ლუი ნაპოლეონმა საკანონმდებლო კრებას მოსთხოვა კონსტიტუციაში გაუქმებულიყო ის მუხლი, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე პიროვნების ხელმეორედ არჩევას კრძალავდა. საკანონმდებლო კრებამ პრეზიდენტის ეს მოთხოვნა უარყო. მაშინ ლუი ნაპოლეონი სახელმწიფო გადტრიალების მომზადებას შეუდგა. მას გვერდით პარიზის გარნიზონის ჯარების სარდალი, გენერალი მანიანი და გარნიზონის ერთ-ერთი დივიზიის მეთაური, გენერალი სენტ არნო ედგნენ. გადატრიალება

1851 წლის 2 დეკემბერს განხორციელდა. ლუი ნაპოლეონის ერთგულმა სამხედრო ნაწილებმა დედაქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები, მათ შორის პარლამენტის შენობაც დაიკავეს. საკანონმდებლო კრება დათხოვნილად გამოცხადდა. რესპუბლიკელთა, ლეგიტიმისტთა და ორლეანისტთა წარმომადგენელი ზოგიერთი დეპუტატი დააპატიმრეს 4 დეკემბერს რესპუბლიკელთა მომხრეების შეიარაღებული

წინააღმდეგობაც ჩაახშვეს ქვეყანაში საგანგებო საპრეზიდენტო მმართველობა იქნა შემოღებული. მალე საერთო-სახალხო რეფერენდუმიც ჩატარდა მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ პრეზიდენტის მოქმედებას მხარი დაუჭირა. 1852 წლის 2 დეკემბერს რესპუბლიკაც გაუქმებული იქნა და ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი ნაპოლეონ III-ის სახელით საფრანგეთის იმპერატორად გამოცხადდა. ამგვარად საფრანგეთში კვლავ კონსტიტუციური მონარქია იქნა აღდგენილი. ქვეყანაში ე.წ. მეორე იმპერიის რეჟიმი დამყარდა.

<u>რევოლიცია გერმანიაში</u>. XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს გერმანიაში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. კაპიტალიზმის განვითარებამ და ექსპუალატაციის ზრდამ დაამძიმეს მუშათა მდგომარეობა. 1847 წელს ამას დაერთო მოუსავლიანობა, რომელმაც დააზიანა მშრომელთა ფართო წრეების ინტერესებიც. იმავე წლის აპრილში და მომდევნო პერიოდში სილეზაიაში, ბერლინში, ჰალეში და სხვა გაჩაღდა ე. წ. "კარტოფილის ომები", რომელშიც აქტიურად მომაწიეობდა დამს ული მოსახლეობის სხვადსხვა ფენა. უკმაყოფლო იყო ბურჟუაზიაც (გფანსაკუთრებითკი ლიბერალური ნაწილი), რადგამ მისი ეკონომიკური სიძლიერეარ შეეფერებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უმნიშვნელო როლს. ამიტომ იგი იტხოდა საბაჟო კავშირის გაფართოებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარეაზე მთავრობის პროტექციონიზმის დაწსებას, იუნკრული პრივილეგიების სეზღყდვას და სეართოდ დემოკრატიული გარდაქმნებს. საგულისმოა, რომ პრუსიის სამეფო კარი, ქვეყნაში შექმილი მძიმე მდგომარეობი სმიუხედავად რეფორემბისაგან თავს იკავებდა. ამ მხრივ მეტად დამახასიტებელია 1847წლის აპრილში პრუსიის ლანტაგისა სხდომაზე წარმოთქმული ფრიდრიხ-ვილჰელმ IV სიტყვა მეფემ აღნიშნა: " მე არასოდეს არ დავუშვებ რომ უუფალს ჩვენს ციურ მბრძნებელსა და ამ ქვეყანას შორის, როგორც მეორე მოჩვენება დადგეს ფარატინა ქაღალდი და ამისი პარაგრაფები გვმართავდეს ჩვენ,. ტახტს არ შეუძლია და არც უნდა იყოს დამოკიდებული უმრავლესობაზე. მე არ მიგიწვევდით თქვენ,

რომ ვიცოდე ფიქრობთ, იყოთ ე.წ. ხალხის წარმომადგენლები". ცხადია, ასეთი დამოკიდებულება ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნებისადმი უკმაყოფილებას კიდევ უფრო აძლიერებდა, და ეს მარტო პრუსიაში როდი შეიმჩნეოდა, იგი მეტნაკლები ძალით დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა გერმანული სახემწიფოსათვის.

რევოლუციური მოძრაობის ზრდამ ბურჟუაზიული ოპოზიციაში, დღემდე რომ ერთიანი ფრონტით გამოდიოდა, გამოიწვია გათიშვა. მისი ზომიერი ნაწილი, რომელიც დაჯგუფდა "გარმენული გაზეთის" (რედაქტორი გერვინუსი) გარშ მო. გამოვიდა კონსტიტუციური მონარქიის ფორმით ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის ლოზუნგით, მემარცხენე, რადიკალურმა ფრთამ კი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკელი დემოკრატები (სტრუვე, რენტანო, გეკერი და სხვა), მოითხოვა ფეორდალურ ურთიერთობათა ლიკვიდაცია, ხალხისათვის დემოკრატიული თავისუფლებათა მინიჭება, წოდებათ შორის განსხვავებულობის ლიკვიდდაცოის და მოსახლეობის უღარიბესი ფენების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მოთხოვნა ჩამოყალიბებული იყო ე. წ. "ოფენბურგის პროგრამაში". რომელიც მემარცხენე რესპუბლიკელებმა მიიღეს 1847 წლის 12 სექტემბერს ოფენბურგში მოწვეულ თავიანთ ყრილობაზე.

ასე დაძაბული იყო შინაპოლიტიკური ვითარება გერმანიაში, როცა მოვიდა ცნობა საფრანგეთში რევოლუციური დაწყებისა და მონარქიის დაცემის შესახებ. ამან დიდი გავლენა მოახდინა ხალხზე. პირველი აღსდგა ბადენისს ს მანჰაიმის მოსახლეობა, რომელმაც 1848 წლის 27 თებერვალს მთავრობას წარუდგინა პეტიცია და მოთხოვა საერთო გერმანელი პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, ცენზურის გაუქება, სასამრთლოს დემოკრატიზაცია, ხალხის სეიარარება და სხვა. მთავრობამ საღად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და რეაქციული მინისტრები დაითხოვა. ბადენის საჰერცოგოში ძალაუფლებას ლიბერალური ბურჟუაზია დაეუფლა. ანალოგიური იყო

ვითარება ჰესენდარმშტადსი, ვიურტემბერგში, საქსონიასა და ბავარიაში. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანულ სახელმწიფოებში ლიბერალური ბურჟუაზიის შედარებით ადვილი გამარჯვება ხალხთან, კერძოდ, მისმა მჭდირდო კავშირმა განაპირობა, აქ გლეხობა შედარებით თავისუფალი იყო, მას ხემოერედ დაყმევების პროცესი ნაკლებად შეეხო. ამიტომ იგი შედარებით ადვილად მონაწილეობდა პოლიტ. ბრძოალში ლიბერალური ბურჟუაზიის მხარდამხარ. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში მას საკუთარი მიზნები ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ არც ლიბერალებმა და არც რესპუბლიკელებმა მას მხარი არ დაუჭირეს, პირიქით მოძრაობის დაწყებისთანავე მის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავეს და რევ-ში ხელმძღვანელი როლის დაკარგვის შიშით გლეხობას კონტრრევოლუციასთან პოლიტიკურ კომპრომისისაკენ უბიძგეს. ამის მიუხედავად რევოლუციური მოძრაობა ქვეყნის ამ ნაწილში მაინც უმნიშვნელო იყო. ეს მარტოო ბურჟუაზიის შეზღუდლობის შედეგს როდი წარმოადგენდა. პირველი წარმატებები–მემამულეთა მიწების დატაცება–განაწილებათა და ბატონყმური ბეგარა-ვალდებულებების გაუქმებით აღრფრთოვანებულმა გლეხობამ თავისი მიზანი შესრულებულდად ჩათვალა და ბრძოლას ჩამოშორდა კიდეც.

შედარებით ძლიერი იყო რევოლუციური გამოსვლები პრუსიაში. სწორედ აქ გათამაშდა 1848 წ. რევ. ძირითადი მოვლენები. მოძრაობას დასაბამი მისცეს კელნის მუშებმა. 3 მარტს აქ გაიმართა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური დემონსტრაცია. შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ რატუშისაკენ, სადაც კომუნისტთა კავშირის წევრმა ანდრეას გოტშალკმა, ხალხის სახელით, ქალაქის საბჭოს გადასცა პეტიცია საყოველთაო საარჩევნო უფლების, პრესისა და სიტყვის თავისუფლების, შრომის უფლების დაცვის, რეგულარული არმისი გაუქმებისა და ხალხის შეიარაღების მოთხოვნით. პეტიციის გადაცემისას გონტშლკმა განაცხადა, რომ წარმომადგენელია მუშათა კლასისა, ე. წ. "მეოთხე წოდებისა", რომელიც ყველაზე ღირსეულია არსებულ

წოდებათა შორის. მართალია, შემთხვევის ადგილზე მოსულმა პოლიციამ გარეკა შეკრებილნი, მაგრამ "კელნის აჯანყებამ" უდიდესი როლის შეასრულა მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნებულობის ზრდაზე და განსაზღვრა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა აქტიური გამოსვლა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

რა თქმა უნდა, მარტის დამდეგს ორგანიზებული გამოსვლები და პროკლამაცია-პეტიციები არ შეიცავდნენ რაიმე ხიფათს თვით მეფის ხელისფულების არსებობისათვის, მაგრამ რაც დრო გადიოდა მოძრაობაში მით უფრო აქტიურად ებმებდნენ მუშები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ბერლინის მუშათა 6 მარტის გამოსვლა. მუშები ლაპარაკობდნენ თავიანთ მძიმე მდგომარეობაზე, მეწარმეთა მხრივ აუტანელ ჩაგვრაზე და წამოაყენეს შრომის სამინისტროს შექმნის ლოზუნგი. ეს გამოსვლების უკვე თანდათან იწვევდა შიშს სამეფო კარსა და აგრეთვე თვით ბურჟუაზიის რიგებში", ვინც იცნობს პროლეტართა განწყობილებას,-წერდა ერთი იმ დროინდელი გერმანული გაზეთი, -ის გრძნობს, რომ ახლოვდება გრიგალი, რომელთანაც შედარებით ფრანგული ქარი (მხედველობაშია საფრანგეთი დაწყებული რევოლუციის შედეგად მონარქიის დამხობა) ეს მხოლოდ ნიავისა დაბერვასა ჰგავს".

მზარდ რევოლუციურ მოძრაობას პრუსიის სამეფო კარი დაბნეული შეხვდა. ფრიდრიხ.-ვილჰელმ IV დათმობებზე წასვლას მაინც არ ფიქრობდა. პირიქით, არმისი ხელმძღვანელობა იარაღის გამოყენებას და მით ქვეყანაში "წესრიგის" აღდგენას ვარაუდობდა. მართლაც, 13 მარტს მთავრობის ერთგულმა ნაწილებმა დაარბიეს ხალხმრავალი მიტინგი ბერლინის ტირგარტრში, რომლის დროსაც ერთი მოკლეს, რამდენიმე დასჭრეს. 14 მარტს სამხედრო გუბერნატორისა და პოლიცია –პრეზიდენტის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლითაც აიკრძალა ყოველგვარი მიტინგები და დემონსტრაციები. თითქოს მდგომარეობა სტაბილური ხდებოდა, მაგრამ 16 მარტს ქვეყანაში ცნობილი გახდა ავსტრიის რევოლუციის დაწყებისა და მეტერნიხის

დამხობის ფაქტი. ამან გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა ხალხს და მან კვლავ იარაღს მოჰკიდა ხელი. 18 მარტს მუშებმა და ხელსონბემა ბარიკადები აღმართეს სასახლის წინ და მეფეს მოთხოვეს დედაქალაქიდან არმისი გაეყვანა. ხელისფულებამ მათ წინაღდმეგ დაძრა გვარდია. ბრძოლა 16 საათს გაგრძელდა, მაგრამ, მეფის კარმა წარმატება მოიპოვა. ასეთ პირობებში ბერლინს ჩამოვიდა რაინის პროვინციის ობერ-პრეზენრი რომელმაც სამეფო კარს მოახსენა კელნსა და რაინის გაჩაღებულო მოძრაობის მასშტაბი და აღნიშნა, რომ თუ რეფორმები დაგვიანდება, მაშინ პრუსიისაგან მთელი ოლქის ჩამოშორება იყო მოსალოდნელი, ბერლინელთა ბრძოლისა და რაინის პროვინციაში ხელი მოაწერა ორ დეკრეტს: I ითვალისწინებდა შეერთებულ ლანტაგის მოწვევას, კონსტიტუციის მიღებას, ქვეყნის შიგნით საბაჟო დაბრკოლებათა გაუქმებას და სხვა რეფორმასლ მეორე ბრძანებულება კრძალავდა ცენზურას. მოძრაობა გაქანებით დამფრთხალი ბურჟუაზია აღტაცებით შეხვდა ამ დეკრეტებს და რევოლუცია დამთავერბულად გამოაცხადა, მაგრამ ხალხის მოტყუება შეუძლებელი იყო-იგი დამატებით დედაქალაქიდან ჯარის ნაწილების გაყვანასაც მოითხოვდა. ბოლოს„ უარესი შედეგების შიშით, 19 მარტს ფრიდრიხ-ვილჰელმი დათანხმდა აჯაყებულთა ამ მოთხოვნაზე და იმავე დღეს არმიაც ბერლინიდან გაიყვანა. მშრომელებმა პირველი დიდი გაამრჯვება მოიპოვეს.

მოძრაობის წარმატებით დამფრთხალი მეფე და იუნკრობა ახლა დარწმუნდნენ დათმობათა და, თუნდაც, ლიბერალებთან გაერთიანების აუცლებლობაში. კომპომისების გამოხატულება იყო ახალი მთავრობის შექმნა ლიბერალების ხელმძღვანელობით. რა თქმა უნდა მთავრობის შეცვლა არ ნიშნავდა პოლიტიკის არსებით შეცვლას.. და მართლაც, ახალი სამინისტრო, რომელიც მსხვილი ბურჟუზის ინტერესებს გამოხატავდა, მეფეს ამოუდგა გვერდში ხალხის შემოტევებისაგან მონარქიის დაცვის მიზნით. უთუოდ ამის შედეგი იყო, რო ლიბერალურმა მთავრობამ უაღრესად

მტრული პოზიცია დაიკავა 1848 წლის მარტ-აპრილში გაცაღებულ პოლონელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი და პოზნანში ჯარის მსხვილოი შენაერთები ამავე მთავრობის თხოვნით 30-31 მარტს მეფემ ბერლინში დააბრუნა გვარდიის ნაწილები, რომლებსაც ბერლინის მუშათა დარბევაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

რევოლუციური ბრძოლების აღმავლოვბამ მუშათა მოძრაობაც გააქტიურა. ამაში უდიდეს როლი შეასრულა "კომუნისტთა კავშირის " ცენტრალური კომიტეტის რეორგანიზაციამ. ახლა მასში შევიდნენ მარქსი-როგოც თავჯდომარე და ენგელსი, ვოლფი, ვალაუ და სხვები-როგორც წევრები. ახლადშექმნილი ცკ წინაშე მწვავედ დაისვა რევოლუციაში მუშათა კლასის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრის აუცლიბლობა. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა საპროგრამო დოკუმენტი "კომუნისტური პარტიის მოთხოვნები გერმანიაში". მისი ძირითადი ლოზუნგი იყო რესპუბლიკურ და დემოკრატიულ საფუძვეზე ერთიანი გერმანული საარჩევნო უფლების შემოღებას, პარლამენტში ხალხის წარმომადგენელთა დაშვებას. უფასოდ საქმის წარმოებას სასამართლოში, სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამოყოფას, უფასო განათელებას, ერთიანი სახელმწიფოს ბანკის შექმნას ფეოდალური ბეგარა-ვალდებულებების მოსპობას, ყველა ფეოდალური მამულის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას და სხვა. ერთი სიტყვით აღნიშნული პროგორამა ითვალისწინებდა ქვეყნაში რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებას..

რევოლუციური იდეების თავისუფალი პროპაგანდის მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა "ახალი რაინის გაზეთის" დარსებას. მისი პირველი ნომერი 1848 წლის 1 ივნისს გამოვიდა. გაზეთის რედაქტორი იყო მარქსი, ხოლო რედაქციის აქტიური წევრები ენგელსი, ვეერტი, დრონკე და სხვა გაზეთი გამოდიოდა როგორც დემოკრატიების ორგანო, თუმცა ყველგან და ყოველთვის იგი ხაზს უსვამდა თავისი დემოკრატიის პროლეტარულ ხასიათს. "ახალი რაინის გაზეთის" ძირითადი

პოლიტიკური მოთხოვნა იყო ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის ათვის, რაც შეეფერებოდა კიდეც გერმანიის პროლეტარიტისა და გლეხობის ინტერესებს და შეესებამებოდა საერთოდ ქვეყნის ეკონომკური განვითარებისამოცანებს. ამავე დროს გაზეთი მკვეტრად ილაშქრებდა სოციალური და განსაკუთრებით ეროვნული ჩაგვრის წინააღდმეგ და თავის ფუცლებზე აღფრტოვანებით მიელსალმებოდა პოლონელების, იტალიელებისა და უნგრელების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამასთან იგი ამხელდა ეროვნული ბურჟუზიის როლს, მკაცრად აკრიტიკებდა მუშათა სხვადასხვ ორგანიზაციებისა და საზოგადოების რეფორმისტულ საქმიანობას და ოპორტუნისტების ხელყოფისაგან იცავდა რევოლუვციურ თეორიას. გაზეთის მოღვაწეობა არსებითად იყო მარქსიზმი მოქმდებაში, იგი წარმოადგენდა არამარტო ტრიბუნალს, რომლითაც მარქსი და მისი თანამებრძოლები მიმართავდნენ ხალხს, არამედ მაორგანიზებელ ცენტრსაც, რომელიც თავის გარშ მო იკრებდა მასებს. უპირველსედსად კი მუშებს და მათ დიადი მიზნისაკენ წარმართავდა.

ასეთ ვითარებაში 1848 წლის 18 მაისს მაინის ფრანკფურთის გაიხსნა სრულიად გერმანიის დამფუძნებელი კრება, რომელიც იოსტორიაში ფრანკფურთის პარლამენტის სახელით შევიდა. შემადგენლობის მხრივ იგი საკმაოდ ჭრელი იყო, თუმცა სჭარბობდნენ ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგნელბი-პროფესორები, ადვოკატები, მასწავლებლები და ლიტერატორები, დეპუტატთა ადგილების 2/3 ეკუთვნოდა და პრუსიისა და ავსტრიის დელეგატებს 1/3 კი-დანარჩენი გემრნული სახელმწოფოების წარმომადგენლებს, პოლიტიკური შეხედულებებეით მათასი ჭარბობდა ბურჟუაზიული ლინერალ-კონსტიტუციონალისტები (270 დეპუტატი) და რესპუბლიკელები (160 დეპუტატუ) საქსონელი დეპუტატის რობერტბლიუმის ხელმძღვანელობით, ბლიუმი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში თავისი მგზნებარე გამოსვლებით სეიცავდნენ მოწოდებას რესპუბლიკის

დამყარების შესახებ, სინამდვილეში კი ბლიუმი იყო წვრილბურჟუაზიული დემოკრატი, რომელსაც ახასიათებდა ფრაზიორობა და კომპრომისები. ის სოციალიზმისა და თანმიმდევრული რევ. ტაქტიკის მტერი იყო. ბლიუმი და მისი ჯგუფი ისწრაფვოდა გერმანია ფაქტირუად გადაექციათ ფედერაციულ რესპუბლიკად, შესაძლებლადაც თვლიდნენ ცალკეული გემანულ სახელმწიფოებში მონარქიული წყობის შენარჩუნებასაცა. აქვე იყვნენ მონარქისტებიც (60-მდე დეპუტატი) და სხვა.

კრების წინაშე იდგა მეტად რთული პრობლემები, რომლებიც მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ პასუხს. კერძოდ, დაეძლია ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობა, განესაზღვრა გერმანიის მომავალი სახელმწიფოებრივი წყობა და ხალხის მასებზე დაყრდნობით გამოსულიყო როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ამისათვის კი აუცილებელი იყო საკავშირო სეიმის დაუყოვნელივ დათხოვნა და მთავრობის არჩევა, რომელიც იქმნებოდა გერმანელი ხალხის სუვერენული ნების ერთადერთთ გამომხატველი.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელი იყო ხალხის მხარდაჭერისა და კონტრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნის საფუძველზე, მაგრამ კრების პირველი დღიდანვე ნათელი გახდა, რომ მას ხალხის მოძრაობის გაფართოებისა უფრო ეშინოდა, ვიდრე გემანელი მთავრობის რეაქციული სეტქმულებისა.

29 მაისს კრებამ იმპერიის მმართველობისათვის შექმნა დროებითი ცენტრალური მთავრობა. ფრიდრიხ-ვილჰელმ IVიცნო იგი, მაგრამ პრუსის არმია მაიუნც თავისთვის დაიტოვა კრებამ დაადგინა შინაგანი ბაჟების გაუქმება დამ ის ნაცვლად საბაჟო კავშირის შემქნა. სხვათასორის, მასი უნდა შესულიყო ავსტრიაც დაპრყობილ სლავთა მიწებითურთ, მაგრამ ავსტრიის მთავრობამ იგი უარყო და ამრიგად საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. პარლამენტმა მიიღო აგრეთვე დეკრეტები გერმანული კავშირის ფარგლებში ადგილმონაცვლეობისა და სამდინარო ნაოსნობის თავისუფლების შესახებ. ამის მიუხედავად კრებას

არ მოუგვარებია მრავალი აქტუალური პრობლემა. ამ მხრივ შეიძლებოდა მივუთითოთ მუშათა საკითხზე, დემოკრატი დეპუტატები ითხოვდნენ მუშებისა და ხელოსნების მდგომარეობის გაუმჯობესებას, აგრეთვე შრომის სამინისტროს შექმნას, შრომასადა დაკაპიტალის შორის წინააღმდეგობის ლიკვიდაციას და სხვა, მაგრამ ამაოდ. პარლამენტმა ეს მოთხოვნა გადასცა სამეურნეო კომისიას, რომელსაც არავითარი რეაგიება არ მოუხდენია, კრებამ ვერ გააუქმა ძველი არმია, თუმცა მემარცხენე დეპუტატები ერთსულოვნად გამოდიოდნენ მის წინააღდმეგ და მოითოვდნენ, რევოლუციური სახალხო არმიის შექმნას. რევოლუციური დემოკრატია მოითხოვდა პოლონეთის სამეფოს აღდგენას, დამოუკიდებლის მიცემის ავსტრიის იმპერიის სლავებისათვის, აგრეთვე იტალიელებისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ტიროლში. ამ საკითხის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა გერმანიის რევოლუციის შემდგომი ბედისათვის. პარლამენტმა კი არა თუ მიიღო ეს მოთხოვნა, არამედ მოიწონა პრუსიისა და ავსტრიის მთავრობების ღონისძიებანი პროზნანში პოლონელთა და პრაღაში ჩეხთა ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, რითაც ფატიურად უარყო დაპრყობილ ხალხთა ტვითგამორკვეის უფლება, კიდევ მეტი, კრბამ უარი თქვა საკუთარ ტერიტოირეიუბზე შლეზვინგა და ჰოლშტინიაზე და ისინი დანიის შემადგენლობაში დატოვა თუმცა მათი განთავისუფლება უაღსრესად რევოლუციური აქტი იქნებოდა, ამით კრებამ თავისთავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ენგელსი სიანულით აღნიშნავს: გერმანიას რომ თავისი კრომველი ჰყოლოდა ის არ დაყოვნებდა ეთქვა კრებისათვის: თქვენ არა ხართ პარლამენტი და ღვთის წყალობით დაიკარგეთ აქედანო. და საბოლოოდ, კრებამ გამოაცხადა ფეოდალური ბეგარა-ვალდბულებების ლიკვიდაცია, მაგრამ ფორმალურად, რადგან არ მიუთითა როდის და როგორ გაბეხორციელებინათ იგი.

მაშასადამე, რევოლიციის ინტერსებისადმი ლიბერალური ბურჟუაზიის ღალატმა და მისმა კავშირმა არისტოკრატიასთან

განსაზღვრა ფრანკფურთის პარლამენტის უკიდურესი შეზღდულობა. ამის გამო მის მიერ არჩეული ცენტრალური მთავრობაც ჰაერში გამოკიდებული აღმოჩდნა. მას თავისი არც არმია ჰყავდა და არც ბიუჯეტი გააჩნდა. ბუნებრივია, რომ ასეთ მთავრობას, ქვეყნის შიგნით თუ მის ფაგლებს გარეთ, არც ავტროიტეტი ჰქონდა, ამიტომ პარლამენტის მოღვაწეობის შედეგებს ხალხი უარყოფითად შეხვდა, ხოლო კონტრრევოლუცია არაფრთოვანა და შეტევზე გადასვლა გაუადვილა. ა, ფაქტის პირველი გამოხატულება იყო ბერლინიდან ქალაქ ბრანდენრურგში პრუსიის პარლამნენტის სხდომების გადატანა, ამის მიზეზად პრისიის მთავრობამ დეპუტატებისათვის "მშვიდ გარემოში" მუშაობის აუცილებლობა დაასახელა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ რევოლუციური ცენტრებისაგან მოშორებით პროვინიციაულურ სხდომების გადატანით პრუსიის მეფე სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ. მალე მეფის ზრახვები სავსებით გამომჟღავნდა, როდესაც კონტრევოლუციური გენერალი ვრანგელი ბრანდერბურგის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშნა. ბერლინი ამ სამხედრო ოლქში შედიოდა და ჩანს პრუსიის რექცია ცვანგელის მეშვებით ცდილობდა რევოლუციის ძირითად ცენტრად ანგარიშის გასწორებას. მართლაც, დაიწყეს ბერლინის მისადგომებთან ჯარების ინტენსიური თავმოყრა.

ასეთ ვითარებაში დემოკრატებმა სცადეს წინაღდგომოგდნენ კონტრრევოლიციასლ ბერლინში გაჩაღდა მთავრობის საწინააღნდეგო დემონსტრაციები. მოძრაობაში ჩაებნენ პროვინიციებიც, მათ შორის აქტიურობდა რაინის ოლქი, სადაც გამოსვლებს კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. მოძრაობის ხელმძღვანელობა დაეკისრა. კომიტეტმა მოუწოდა მუშებს დახვრეტის საფრთხის პირობებში კი ადგილიდან ფეხი არ მოეცვალათ. რაინის ამბებმა უკიდურესად დაძაბეს ვითარება. ამიტომ რეაქციამ იჩქარა და რაინის პროვინციაში საალყო მდგომარეობა გამოაცხადა. რევ. მოძრაობის კომუნისტი ხელმძღავნეელბი ბეკერი და საპერი სეიპრყეს. გაიცა ბრძანება

ენგელსისა და სხვების დაპატიმრების შესახებაც მაგრამ მათ გაქცევით უშველს თავს. რეაქციამ პირველი წარმატება მოიპოვა. ამასობაში მოვიდა ცნობა ფელდმარშალ ვიდნიშგრეციის მიერ ვენის აღების შესახებ, რამაც ახალი ძალა შთაბერა რეაქციას და იგიც შეტევაზე გადავიდა. პრუსიაშიო მოხდა მთავრობის რეორგანიზაცია და ლიბერალური ბურჟუაზია, რომელმაც თავისი შემთანხმებრლური პოლიტიკით გზა გაუხსნა თავადაზნაურლ კონტრრევოლუციას, ხელისფულებიდან გადააყენეს. 5 დეკემბერს მეფის ფრიდიხ-ვილჰელმ IV ბრძანებით მიერ პრუსიის კონსტიტუცია(იგი შეადგენდა შინაგან საქმეთა მინისტრმა მანტოიფელმა და ამიტომ ლიტერატურაში მისი სახელითა ცნობილი), ხოლო მეორე დღეს დამფუძნებელი კრება დაითხოვეს კიდეც. კონსტიტუციამ ძირითადში დააკმაყოფილა პრუსიის მსხვილი ბურჟუაზია მაგრამ უზენაეს ხელისუფლად ქვეყანაში მეფეს აცხადებდა, მას განუსაზღვრელად უფლებები ეძლეოდა –იყო მთავარსარდალი, შეეძლო, ომის გამოცხადება, ჰქონდა "ვეტოს" უფლება და ა. შ. ეს იყო რეაქციის სერიოზული გაამრჯვება პრუსიაში, მალე ამით გათამამებულმა მეფემ იერისი იიტნადემოკრატიულ სარჩევო სისტემაზეც, რითაც საბოლოოდ განიმტკიცა მდგომარეობა ე. ი. აღადგინა აბსოლუტიზმი და დააჩქარა რევოლუციის წინააღდმეგ პრუსიის ხელმძღვანელობით გერმანიაში ფეოდალურ-მონარქიული კოალიციის შექმნა.

ამასობაში ფრანკფრუტის პარლამანეტმა დაუსრულებელი დებატების შემდეგ შეძლო საერთო გერმანული კონსტიტუციის პრეოქტის შემუშავება. 1849 წლის 27 მარტს საიმპერიო კონსტიტიუცია დიდი ზეიმით მიიღეს. კონსტიტუცია ითვალისიწნებდა ბურჟუაზიის პოლიტიკურ როლს ქვეყანაში, მაგრამ დიდ უფლებებს აძლევდა იუნკრობასაც. ამასთან დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ნაცვლად მთელ გერმანიაში 36 მონარქსა და ძველ სახელმწიფო აპარატს ინარჩუნებდა. მაინც ახალი კონსტიტუცია, მიუხედავად იმისა რომ არ პასუხობდა ხალხის წინაშე მდგომ რევოლუციურ

ამოცანებს, იყო წინგადადგმული ნაბიჯი გერმანიის დაქუცმაცებულობის შესუსტებისაკენ, რადგან ქმნიდა საერთოგერმანულ ცენტრალურ მთავრობას იმპერატორისა და ორპალატიანი პარლამენტის (რაიხსტანგი) ხელმძღვანელობით. ამას გარდა იგი აცხადებდა სიტყვისა და კრების თავისუფლებას. მოქალაქესათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების მიცემას და თანასწორობას კანონის წინაშე. ასე რომ, არსებული ნაკლისა და წინააღმეგობი მიუხედვად 1849 წლის კონსტიტუცია იყო ყველაზე მეტად ლიბერალური მთელ გერმანიაში".

ახლა საჭირო იყო ამ კონსტიოტუციის მოქმდებაში მოყვანა, მაგრამ ეს ფრანკფურთის პარლამენტმა სამწუხაროდ, პრუსიის მონარქიასთან მორიგების გზით ცადა. მან ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხეს შესთავაზა საერთოგერმანული სახელმწიფოს იმპერატორობა. ამ უკანსკნელამაც თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით თუ კონსტიტუციას ყველა გერმანული სახელმწიფო მოიწონებდა. პარლამნეტმა ამას ვერ მიაღწია-აპრილის განმავლობაში იგი ერთხმად უარყვეს ავსტრიამ, ბავარიამ, საქსოინიამ, ჰანოვერმა და სხვა. მაშინ მეფემ 28 აპრილს გამოაქვეყნა ნოტა, რომლითაც უარყო კონსტიტუციაც და იმპერატორობაც და მიმართა გერმანელ სახელმწიფოთა მთავრობებს წინადადებით ბერლინში გაეგზავნათ წარმომადგენელი, რომ მოელაპარაკა საკავშირო სახელმწიფოს შექმნაზე ფრანკფურთის პარლამენტის მონაწილეობის გარეშე. ცხადია, ამ საკითხზე ფრანრკფრუტის პარლამენტისათვის გვერდის ავლა მის მოსალოდნელ დათხოვნას და პრუსიის რეაქციის შემდგომ შეტევაზე გადასვლას მოასწავლებდა.

საიმპერატორო კონსტიტუციამ გერმანიაში რევოლიციური მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია, ახლა საქმე როდი ეხებოდა მარტო კონსტიტუციის მიღებას და ქვეყნის გაერთიანებას იგი მიზნად ისახავდა აგრეთვე პრუსიის ბატონობას და გერმანიის პრუსიაზაციის წინააღმდეგ ბრძოლასაც. ამიტომ პირველი აღსდგა საქსონია. 3 მაისს

დრეზდენში მოხდა ს?ეტაკება პოლიციასა და ხალხს შორის, რომლის დროსაც 20-*მდე დემონსტრანტი დაიღუპა,ამას მოსახლეობის დიდი აღშფოთება მოჰყვა. ქუჩებში აღიმართა აჯანყდნენ დიუსალდოფს და ზოლოიგენში. 13-14მაისს – ბადენ-ბადენში აჯანყებულთა მხარეს გადაიდა რეგულარული არმისი 20 ათასი ჯარიკსაცი, მაგრამ პრუსიის მეფემ მათ წინააღდმეგ გაგზავნა 60 ათასიანი რაზმი ვილჰელმის მეთაურობით. ამით დაიწყო პრუსიელთაინტერვენცია სამხრეთისა და დასავლეთის გერმანელ ოლქებში. წარბ ძალებთან აჯანყებულთა უთანასწორო ბრძოლა ორ თვეზე მეტს გაგრძელდა. დიდი მსხვერპლის ფასად ვილლჰელმა მხოლოდ ივლისში ჩაახსო მოძრაობა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ "კომუნისტტა კავშირს" ახალი მოთხოვნები წაუყენა. კერძოდ, აუცილებელი იყო წვბრილბურჟუაზიულო დემოკრატებთან კავშირის გაწყვეტა, აგეთვე მუშათა სხვადასხვა კავშირების გაერთიანება ერთ ნაციონალურ ორგანიზაციად, რომლის საფუიძველზე შეიქმნებოდა პარტია. ამის შესაბამისად 1849 წლის 16 აპრილს კელნის მუშათა კავშირმა განაცხადა გერმანელ მუშათა კავშირში "მუშათა ძმობა" შესვლის სურვილი, ეს უკანასკნელი მაშინ რევოლიციური ხასიათის მასობრივ ორგანიზანიზაციას წარმოადგენდა და მისი მეშვეობით კომუნისტები ხალხთან კავშირსა და პოლიტიკური ბრძოლის გაფართოებას ცდილობდნენ. ამ მიზნით შეიქმნა აგრეთვე მოხალისეთა რევოლუიცური კორპუსიც, რომელსაც ხელმძღვანელოდბდნენ კომუნისტთა კავშირის წევრები ავგუსტ ვილიხი და მისი ადიუტანტი ენგელსი. სამწუხაროდ, მიღებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა. მოძრაობისდ ხელმძღვანელებად წვრილი ბურჟუაზია დარჩა. მან კი თავისი მერყეობითა და პასიური თავდაცვის ტაქტიკით რეაქციის მოქმედება გაუადვილა.

1849 წლის 19 მაისს კელნის ხელისფლებამ დახურა "ახალი რაინის გაზეთი", დაარბია მუშათა ორგანიზაციები, რევოლიცუიონერტა მიმართ სასტიკი რეპრესიები გააჩაღა.

სახალხო მოძრაობის გაანდგურებამ კი საბოლოოდ განსაზღვრა ფრანკფურთის პარლამენტის ბედიც. გახირებული ბრძოლების პერიოდში დეპუტატები მხოლოდ პროტესტს აცხადებდნენ, პრაქტიკული მოქმდებისაგან კი თავს იკავებდნენ. მაში8ნ პრუსიამ და ავდსტრიამ ამ "სალაყბოდან" გაიწვიეს და თავიანთი წარმომადგენლები, რამაც პარლანენტი დააცარიელა. ახლა მისი სხდომები გადაიტანეს ვიურტემბერგის ქალაქ ფრაიბურგში, მხოლოდ იმისათვის რომ ადგილობრივ მთავრობას ივნისში იგი საბოლოოდ გაერეკა. ენგელსი კიდეც შენიშნავდა რომ მოძრაობის ჩახშობითა და ფრანკპურთის პარლამენტის განდევნით დამთავრდა გერმანიის პირველი რევოლუციის ისტორიაც.

ამრიგად, გერმანიის 1848 წლის რევოლუცია იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა ქვეყნის პოლიტიკური დაშილობის რევოლუვიცური ლიკვიდაციის გზით, რასაც უნდა გამოეწვია ფეოდალური გადმონაშთების მოსპობა სოფლად, მონარქიების დამხობა გერმანული კავშირის ყველა სახელმწიფოში, თავადაზნაურთა წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება და სხვა. სამწუხაროდ რევოლუცია დაამრცხდა. ამიტომ მის წინაშე მ ამოცანებიც გადაუწყვეტელი დარჩა რევოლუციის მარცხი მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მოძრაობის ხელმძღვანელი ლირბერალური ბურჟუაზია, რომელსაც ლენინის სიტყვით ბუქსირით მიჰყავდა კერ კიდევ სუსტი მუშათა კლასი, ამასთან ლიბერალური ბურჟუაზია რევოლუციის დაწყებისთანავე დაუკავშირდა მეფესა და ფეროდალურ არისკოკრატიას. დემოკრატიულმა წვრილმა ბურჟუაზიამ კი თავისი არათანამიმდევრულობისადა არაორგანიზებულობის გამო, ვერ კისრა მოძრაობის ხელმ\ძღვანელობა. მართალია, პროლეტარიატ აქტიურად ჩაება ბრძოლაშიო, მაგრამ მცირერიცხოვნობის და პოლიტიკური მომწიბელობის გამო მის ხელმძღვანელობამდე ვერ ამაღლდა. რამდენიმე შესამჩნევ ნაყოფი არც გლეხობის ბრძოლას მოჰყოლია, რადგან

დემოკრატიულ მოძრაობს მოწყვეტილი გლეხობა ადვილად დაამარცხა ფეოდალურმა რეაქციამ, ამათან, ქვეყნაში არ იყო ერთიანი პოლიტიკური ცენტრი, რის გამოც დაქსაქსული რევოლუციურ ძალებს დაუპირისპირდა პრუსიის ხელმძღვანელობით გერმანიის ფეოდალურ მონარქიული ბანაკის ძლიერი რეაქცია.

დამარცხების მიუხედავად, რევოლუციას უკვალოდ არ ჩაუვლია, მან დაჩაქარა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება, რამდენადაც მშრომელთა ბრძოლამ აიძულა გაბატონებული კლასები გაერთიანებინათ მომწიფებულ სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნები ამან, თავის მხრივ დააჩქარა გერმანიის წინსვლა და მაშასადამე, შემდგომ გააძლიერა მუშათა მოძრაობა და მით კლასობრივი ბრძოლაც გაამწვავა. მოძრაობის დამარცხებაც საბოლოოდ გაფანტა აგრეთვე ის რევოლუციამდელი ტრადიციები, ილუზიები და მცდარი იდებიც, რომლითაც იყო შებოჭილი ქვეყნის მუშათა კლასი.

რევოლუცია ავსტრიის იმპერიაში. XIX ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში მდგომარეობა ავსტრიის იმპერიაში მეტად დაიძაბა. საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის კონფლიქტის მომწიდება, პოლიტიკურ რეჟიმისა დამძიმება და ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება დღის წესრიგში აყენებდა რევოლუციის გზით არსებული წყობილების დამხობის ამოცანას. სამისოდ ხელსაყრელი პრირობებს ქმნიდა მშრომელთა საყოველთაო სიძულვილი ჰამსბურგის მონარქიისადმი, ბურჟუაზიული ოპოზიციის დაპირისპირბულობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელო მოძრაობის გაძლიერება. ამიტომ საფრანგეთისა და გერმანიაში დაწყებული რევოლუციების შესახებ პირველი ცნობის მიღებისთაანვე მოძრაობამ იფეთქა ვენაში და მალე მთელს იმპერიას მოედო.

ევროპაში განვითარებული მოვლენებით დაშინაბეულმა ფეოდალურმა არისტიოკრატიამ უკვე 3 მარტს მიმართა ავსტრის იმპერატორს სპეციალური მოხსენებით ბარათით, რომელშიც თხოვდაა ცალკეულ დროულ დათმობებს)

კონსტიტუციური გარდაქმნებს, სამინისტროების რეორგანიზაციას, სამრეწველო საქმიანობის, ცენზურის გაქუმებ და და სხვა) მონარქიის გადარჩენის მიზნით, დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი გაღმავების შიშით ანალოგიური მოთხოვნით გამოვიდა ქვემო ავსტრიის მრეწველთა კავშირის, მაგარ მეტერნიზხი ჯიუტად უარყოფდა დათმობებს. მხოლოდ 12 მარტს დათანხმდა მთავრობა მოეწვიათ ქვემო ავსტრიის სეიმი იმპერატორისადი წარსადგენი მოთხოვნილებისა და სურვილების განსახილველად, მაგრამ უკვე 13 მარტს აღსდგენენ დედაქაის მუშები, ქუცებში გამოვიდნენ სტუდენტებიც. დაიწყო დემოსტრაციები და მიტინგები. მონაწილები მითხოვნენ მეტერნიხის გადადგომას და მთავრობის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სისტემის გარდაქმნა –დემოკრატიზაციას. ხალხსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, დაიღვარა სისხლი. ამან დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე განსაკუთრებით მუშათა კლასზე. და იგიც მასობრივად აამხედრა, ქუჩებში გაჩნდა ბარიკადები, მუშათა რაზმებმა დაარბიეს საბაჟო, აგრეთვე ცაპერტის, ვაისისა და სხვები საწარმოები. მალე შეიარაღდნენ სტუდენტები, რომლებმაც შექმნეს თავიანთი გასამხედროებული ორგანიზაცია აკადემიური ლეგიონის სახელმწიფოებით. მოძრაობის გაფართოებით დამფრთხალმა ომპერატორმა 14 მარტს გადაყენა სახლისთავის საძულველი კანცლერი და იგიც გადაცმული გაიქცა საზღვარგარეთ. მისი გადაყენება, არსებითად, ნიშნავდა, "მეტერნიხის სისტემის" დამხობასაც, რასაც ლოგიკურად მოჰყვა მთავრობის დათმობები: ნაციონალური გვარდიის შექმნა პრესის თავისუფლება და სხვა. ამის მიუხედავად, მდგომარეობა ვენაში დაძაბული რჩებოდა. რეაქციონერი ფელდმარშალ ვინდიშგრეციისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემამ და სალყო მდგომარეობის შემოღების ცდამ გაამწვავნა საიმპერატორო კარის გეგმები ჩაეხშო დაწყებული რევოლუცია და უარი ეთქვა კონსტიტუციაზე. ამიტომ 15 მარტს ვენის მოსახლეობა კვლავ ქუჩაში გამოვიდა მუშებმა, ხელოვნებმა და

სტუდენტებმა გარემოიცვეს სასახლე. მთავრობამ უკან დაიხია და დათანხმდა სეიმის მოწვევაზე კონსტიტუციის სემუშავების მიზნით. იმავე დროს მოხდა ქალაქის თვითმართველობის რეორგანიზაცია. ბურგომისტრის ნაცვლად 24 მოქალაქის მიონაწილეობით შეიქმნა დროებით კომიტეტი, რომელმაც ვენის ნორმალური ცხოვრებისარდგენა დაისახა მიზნად.

ამრიგად, 13-15 მარტის გამოსვლებმა გახნსეს კონსტიტუციისაკენ. ეს კი მიჩნეული იქნა ლიბერალური ბურჟუაზიისა და მშრომელი მოსახლეობის ერთობლივი მოქმედებით, თუმცა გადამწყვეტ ძალად ბრძოლაში მაინც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა. ვენაში დაწყებული რევოლუციიას მაშინვე გამოეხმაურნენ ქვეყნის სხვა რაიონები (ზემო ავსტრია, შტირია, ტიროლი). გაჩაღდა განმათავისუფლებლი მოძრაობა აგრეთვე დაპრყობილ ოლქებიც.

18 მარტს აჯანყდა ვენეცია, სადაც ხალხმა ხელთ იგდო ძალაუფლება და რესპუბლიკად გამოაცხადა. 22 მარტს მას მიბაძა მილამაც, რის გამოც მთელი ჩრდილოეთით ანტიავსტრიული მოძრაობამ მოიცვა. ერთდროულდ აჯანყდნენ ჩეხეთსა და პოლონეთში, პრაღაში შეიქმნა ნაციონალური გვარდია აკადემიური ლეგიონ. ლვოვში –დემონსტრანტებმა მოითხოვეს დემოკრატიული გარდაქმნები (კონსტიტუციის მიღება, ცენზურის გაუქმება და სხვა) კრაკოვში-ავსტრიის ბატონობისაგან გაანთავისფულა, ბეზოლის დროშა აღმართა უნგრეთმაც. შ. პეტეფის ლექსის "ნაციონალისტუირ სიმღერის "სიტყვები" დავიფიცოთ, არასდროს ვიქნებით მეომრები: უნგრელ პატრიოტ–რევოლუციოენრთა საბრძოლო ლოზუნგი გახდა. აპირილის დადმეგს შეიქმნა უნგრეთის მთავრობა ზომიერი ლიბერალის გრაფ ბატიოანის მეთაურობით. მასში შევიდა ლ. კოშუტიც. მასების ზეგავლენით მთავრობამ გააუქმა საბატონო ბეგარა და სხვა ფეოდალური ვალდებულებანი, თუმცა არაუსასყიდლოდ, არამედ გამოსყიდვის საფუძველზევც. რა თქმა უნდა, კუდშეკვეცილმა რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა დემოკრატიული წრეები (მ. ტანჩიჩი, შ. პეტეფი, და ა. შ.)

რომლებიც რევოლუციიის ბოლომდე მიყვანას მოითხოვდნენ, სამწუხაროდ უნგრეთის მთავრობის დიდმპრყობელურმა მისწრაფებებმა (კერძოდ, მისმა გადაწყვეტილებამ არ მიეცა ავტონომია ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნული უმცირესობისათვის, განსაკუღებით სერბებისათვის) მნიშვნელოვნად შეზღუდეს რევოლუციის განვითარება და დაასუსტეს მისი ძალები. 23 აპრილს ვენაში გამოქვეყნდა კონსტიტუციის პროექტი, ხოლო 11 მაისს –საარჩევნო კანონი. უმაღლესი ხელისუფლება ამიერიდან რჩებოდა იმპერატორს, მას შეეძლო კანონების არათუ შეჩერება, არამედ უარყოფაც კი, ჰქონდა აგრეთვე აღმსარულებელი ხელისფულება და იყო უმაღლესი მთავარსარდალიც. პარლამენტი ანუ რაიხსგაგი ორი პალატისაგან (ზემო, ქვემო) შედგებოდა, ზემო პალატის დეპუტატების დიდი ნაწილს იმპერატორი ნინშნავდა, დაანრჩენს კი-ირჩენდნენ უფლება შეზღუდული იყო არა მარტო მაღალი ქონებრივი ცენზით, არამედ ერთ ადგილზე ხანგძლივი ცხოვრების ცენზითაც. მუშებს, დაქირავებულებს, მოსამსახურებსა და სხვებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ ეძლეოდათ.

ასეთი ანტიდემოკრატიული დოკუმენტის გამოქვეყნებამ მოსახლეობის ფარტო ფენების დიდი უკმაყოფილება გამოწვია, მაშინ სტუდენტთა კომიტეტის დემოკრატიულმა ნაწილმა მთავრობას წარუდგინა პეტიცია და მოითხოვა ქონებრივი ცენზის შემცირება. ანლოგიური მოთხოვნით გამოვიდა აგრეთვე ნაციონალური გვარდიის ცენტრალური პოლიტიკური კომიტეტიც. ასეთ პირობებში მთავრობამ შეტევაზე გადასვლა და დემოკრატიულ ძალათა წინაღდმეოგბი გატეხვა სცადა. ამ მიზნით 14 მაისს გამოაქვეყნა ბრძნებულება ნაციონალური გვარდიის ცენტრალური კომიტეტის დათხოვნის შესახებ. ხალხი მიხვდა მთავრობის განზრახვას და და 15 მაის კვლავ აღსდგა, ქუჩებში გაჩნდა ბარიკადები დაიწყო ჯარისა და ხალხის დაძმობილება. საღამოსათვის მდგომარეობა ვენაში იმდენად კრიტიკული გახდა რომ ხელისუფლებამ არა მარტო უარყო 14 მაისი ბრძანებულება, არამედ გამოთქვა 25 აპრილის

კონსტიტუციის გადასინჯვისა და ქონებრივი ცენზის გაუქმების რუვილიც ცხადია, მთავრობის მხრივ ასეთი დათმობა იყო ტაქტიკური ნაბიჯი, რომ დაეშოშმინებინა იმპერატორი ოჯახითურთ გაიქცა სამხრეთით, ავსტრიის ბვადეასი" – ტიროლში და ინსბურკიდან შეუდგა მონარქისტულ წრეებზე დაყრდნობით ვენასი კომტრრევოლუციურ გადაროალებას ორგანიზებას. ასეთ პირობებში ბურჟუაზიული რესპუბლიკელებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცნობილი გეფნერი და ტუვორი, 18 მაისს ცადეს მონაქრიის დამხობა და რესპუბლიკის დამყარება. მასტ შეძლეს ხალხის ამხედრება, მაგრამ მთავრობამ დაასწრო და როივე რევოლუციონერი დააპატიმრა.

ამრიგად, გამოსვლა რესპუბლიკის დამყარებისათვის არ შედგა. ამით დაუყონებლივ ისარგებლა ხელისფულებამ და შეტევაზე გადავოიდა. ამაში მას ისიცი დაეხმარა, რომ ნაციონალური გვარდიას ამ დროს სათავეში მოექცა დემოკრატიის დიდი მტერი გრაფი მონტეკუკულო. სწორედ მისი ინიცატივით 25 მაისს გამოქვეყნდა ბრძანებულება აკადემირუი ლეგიონის ნაციონალურ გვარდიასთან შეერთების შესახებ, რომელმაც დედაქალაქში კვლავ დიდი მღელვარება გამოიწვია- აღსდგნენ არა მარტო სტუდენტები, არამედ მუშებიც და სხვა. ქუჩები დაიფარა ბარიკადებით, 26 მაისს გამოქვეყნებულ პროკლამაციებში ხალხმა მოითხოვა: 24 საათის განმავლობაში ვენიდან ჯარის გაყვანა, იმპერატორის დაბრუნება, არისტოკრატების დაპატიმრება, გაერთიანება გერმანიასთან, ერების თანასწორობა, დამფუძნებელი ერების მოწვევა, კონტრრევლოუციონერების გასამართლება და ა. შ. იმავე დღეს სადამოთი მუშათა რაზმებმა დააააპატიმრეს გრაფი გოიოსი, რომელიც ცდილობდა აკადემიური ლეგიონის დაშლას, აგრეთვე ციოხიდან გაანთავისუფლეს რესპუბლიკელები გეფნერი და ტუვორი. სამწუხაროდ, ხელიფულების საწინააღმდეგო ამ ძალებში არ იყო ერთიანობა. ამით ისარგებლა მთავრობამ და ახალი საარჩევნო კანონის გამოქვეყნების დაპირებით დედაქალაქში წესრიგი აღადგინა.

მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა აგრეთვე ავსტრიის განაპირა, კერძოდ ჩეხეთში. 2 ივის პრაღაში გაიხსნასლავთა კონგრესი რომელიც ჩეხი ლიბერალების ფრიჩის, გაუჩის, კ. სლადკოვსკისა და სხვების ინიციატივით მოიწვიეს. კონგრესს ესწრებოდა 340 დელეგატი, აგრეთვე მრავალი სტუმარი, მათ შორის რუსი რევოლუციონერ-ემიგრანტი მ. ბაკუნინი.კონგრესის მიზანი იყო ყველა სლავი სახლის სოლიდარობის უზრუნველყოფა აგრესიული გერმანული ნაციონაზმისდამი წინააღმდეგობის გაწევისათვის. ავსტრიის მთავრობა მტრულად შეხვდა ცონგრესს და პრაღაში მყოფ გრაფ ვინდიშგრეცს ჯარის დამატებით ნაწილები მიაშველა. ა,მ აქტისადმი პროტეტის ნიშნად 12 ივნისს სედგე სისი დემოასტრაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს ავსტრიელთაა რმისი გაყვანა ქვეყნიდან, დემოსნტრანტებს ტყვიით გაუმასპინძლდნენ, დაღვრილმა სისხლმა გააშმაგა ჩეხებიც და მათაც იარაღის მოკიდეს ხელი, პრაღელთა დასახმრებლად მოვიდნენ მეზობელი სოფლების გლეხობაც, მაგრამ 17 ივნისს აჯანყებულები მაინც დამარცხდნენ, ვინდიშგრეცმა სასტიკად იძია შური, ქალაქს ზარბაზნები დაუშინა და ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები დახვრიტა.

აჯანყების პარალელურად მუშაობა შეწყვიტა სლავთა კონგრესმაც. ყველა მისი დელეგატები გააძევეს პრაღიდან, კონგრესის ჩაშლა შედეგი იყო არა იმდენად სისხლიანი რეპრესიებისა, რამდენადაც ლიბერალური ბურჟუაზიის პოზიციისა. მაშინ როცა ჩეხი და სლავაკი რადიკლაები მამკაციურად იბრძოდნენ ბარიკადებზე, ლიბერალმა ბურჟუაზიამ პალაცკისა და შაფარკის მეთაურობით შემარიგებელი პოზიცია დაიკავა და მთავრობასა და აჯანყებულებს შორის შუამავლის სამარცხვინო როლი იკისრა. ასეთ პირობებში ავსტრიელებს არ გაძნელებიათ ერთიანი ხელმძღვანელობისა და პროგრამის გარეშე გადარჩენილ მებრძოლთა დამარცხება. ეს იყო კონტრრევოლუციის ვენის სასახლის კამარილიის პირველი სერიოზული გამარჯვება, რამაც ავსტრიის რეაქციის საკუთარი ძალებისადმი რწმენა

შემატა. 22 ივლისს ვენაში გაიხნა ავსტრიის ნაციონლური კრების –რაიხსტაგის სახდეომები. პაროტულობის მიხედვით მასში სჭარბობდნენ ლინბერალური ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები (ე. წ. ცენტრისტები)კ, რომელთა ლიდერები იყო ადოლფ ფიშჰოფი. სედმეგ ოდიოდნენ რადიკალები ანუიგივე დემოკრატები, რომლებშიც გამორჩეოფდდნენ ფრანც შუზელკა,ა ნოტმ ფიუსტი, ჰანს კუდლიზხი და სხვა. აქვე იყვნენ კოსერვატორები (მემმარჯვცენეები), რომელთაც ხელმძღვანელობდნენ იოზეფ ხელფერტი, იოზეფ ლასსერი და ა. შ. ეროვნული ნიშნის მიხედვით აქ წარმოადგენილი იყვნენ ავსტრიელებთა ერთად ჩეხები, სლავაკები, პოლონელებიო და იმპერიაშოი მცხოვრები სხვა ხალხები.

რაიხსაჰის მუშაობის პირველ დღეებშივე მწვავედ დაისვა ვენაში იმპერატორის დაბრუნების საკითხი, მემარჯვენეებმა წამოაყენეს აზრი მოეწვიათ იგი, მემარცხენეებმა კი – “მოითხოვეს ბარუნება”. ცადია, იმპერატორი მოწვევით ცავიდოდსა დედაქალაქს თუ მოთხოვნით დაბრუნდებოდა არ იყო უბრალო ფაქტი, არსებითად იგი გამოხატავდა ბრძოლას მონარქისტთა და დემოკრატებს შორის, მითუმეტეს რომ ამ უკენასკნელში, თანდათანობით ძლიერებოდა რესპუბლიკური ტენდენციები. ხანგძლივი კამათის შემდეგ დეპუტატები შეთანხმდენენ: მოეთოხოვათ ფერდინად I-ის დაბრუნება და ამავე დროს გამოეთქვათ სრული ლოიალობაც მისდამი.

იმპერატორის ჩამოსვლამ ვენაში და აგრეთვე იმან, რომ რადიკალებმა, რესლუბლიკური განწყობილების ზრდის მიუხედავად, ვერ წამოაყენეს მონარქიის დამხობის კონკეტული პროგრამა, კონტრრევოლუციური ძალებს შეტევაზე გადასვლა გაუადვილა. 19 აგვისტოს გამოქვეყნდა შრომის მინისტრიეს დეკრეტი, რომლიტაც მუშებს შეუმცირდათ ხელფასი. მალე მთავრობამ იზოლაცია უყო ნაციონალურ გვარდიას რიტაც მნიშვნელოვნად შ ზღუდა რევოლიციონერთა დასაყრდენი ბაზა, კიდევ მეტი, აგვისტოს ფამელკვს მან შესძლო თავის

სამსახურში ამ ძალის ჩაყენება და მუშების წინააღმდეგ მისი ამხედრება.

კონტრრევოლუციის ამ ღონისძიებებს ვენის მშრომელთა მოსახლეობამ პროტესტით უპასუხა. 21 აგვისტოს ქუჩაში გაიმოვიდნენ მუშები. დილის 8 საათამდე მათ სეადგინეს პეტიცია შრომის მინისტრის სახელზე და მოითხოვეს 19 აგვისტოს დეკრეტის გაუქმება, მთავრობა მათ უარით შეხვდა. მაშინ მუშების დენოსტრახციას შეკნბრუდნის სახსლისაკენ დაიუძრა. დემოსტრანტები სტუდენტთა აკადემიური ლეგიონის გამოსვლს იმედოვნებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, აკადემიური ლეგიონ ნაწილი მტრულად შეხვდა გამოსვლას, ნაწილმა კი ფიუსტერის ხელმძღვანელობით ნეიტრალიეტეის პოზიცია დაიკავა, რითაც ნაციონალურ გვარდიას თავისუფლება მისცა. მართლაც ხელისფულების ერთგულმა ხალხებმა 23 აგვისტოს სისხლში ჩაახშვეს ვენის მუშათა გამოსვლა, მეორე დღეს მონარქისტული წრეებისა და მათ მხარეზე გადასული რევოლუციის გაფართოებით დამრფთხალი ბურჟუაზიის რაიხტაგში აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ვენაში "წესრიგის გამო".

1848 წლის 28 აგვისოს ვენაში ჩავიდა კ. მარქსი. აქ იგი დარჩა 6 სექტემბრადე. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რადგან მარქსის დახმარებით შეიძლებოდა ავსტრიის დედაქალაქის დაქსაქსულ მუშათა ორგანიზაციების გაერთიანება და საერთოდ დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი მოქმდების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. ჩამოსვლის დღესვე მარქსი დაესწრო დემოკრატიული კავშირის სხდომად. დღის წესრიგში იდგა საკითხი როგორი პოზიცია დაეკავებინათ მთავრობის მიმართ. დემოკრატები ტვლიდნენ, რომ იგი უნდა დაემხო, მაგრამ როგორი საშუალებით? შტიფტი, ლებენშტეინი და სხვა. ითხოვდნენ დელეგაციის გაგზავნას იმპერატორთან მთავრობის გადაყენების მოთხოვნით. მარქსმა გაილაშქრა ასეთი მოთხოვნის წინააღდმეგ და დაასაბუთა რომ ბურჟუაზიისა და პროეტალიატს შორის მწვავე ბრძოლის პირობებებში მნიშვნელობა არა აქვს ვინ იქნება

მთავრობის შემადგენლობაში, საბოლოოდ გაიმარჯვა მარქსის პოზიციამ სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც უარყო პეტიციის წარდგენიოს იდეა. 30 აგვისტოს და 2 სექტემბერს მარქსი გამოვიდა ვენის მუშატა კავშირშოი, სადაც ხაზი გაუსვა 23 აგვისტოს მოძრაობის კლასობრივ ხასიათს და მის კავშირს საერთო ევროპულ პროტლეტარულ მოძრაობასთან. საბოლოოდ ხანმოკლე დროის მიუხედავად მაქრსის ჩასვლა ავსტრიაში მეტად სასარგებლო დარჩა, მან იქაურ რევოლუციონერებს და დემოკრატებს მისცა შემდგომი მოქმედების პროგრამა. თავის მხრივ ვენაში ყოფნა, რევოლუციური მოძრაობისა და მისი მოღვაწეობის გაცნობა დიდად დაეხმარა მარქსს ავსტრიის რევოლუციის საკითხების გაშუქებაში.

პირველი წარმატების მოპოვების შემდეგ კონტრრევოლუციამ განახლა შეტევა. ამისკენ მას უბიძგა გათიშვა მოწინააღდმეგე ძალებში მსხვილი ბურჟუაზია კარგა ხანია რეაქციის ბანაკში იდგა. ახლა 23 აგვისტოს პროლეტარული გამოკვლების შემდეგ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის რევოლუციურობაც ამოუწურა. მართლაც საზოგადოებრივი უშროების ორგანიზაცია, რომელიც მის ბარიკადზე დაიბადა და მუშების დიდი ნდობით სარგებლობდა, მალე დაიშალა, ამის შედეგად პროლეტარიატი მარტოდამრტო დარჩა მის ბრძოლაში არსებულიწყობილების წინააღდმეგ.

1848 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანებულება რევოლცუიური უნგრეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ამან ვენის გარნიზპონის ნაწილში, რომელიც უნგრეთის ბრძოლას თანაუგრძნობდა, მღელვარება გამოიწვია. 5 ოქტომბერს აჯანყდა იტალიელ გრენადელკთა ბატალიონი, მას მიეშველა ხალხიც, ქუჩებში აღიმართა ბარიკადები. 6 ოქრომბრისათვის მთელი ვენა იყო აჯანყებული, ხალხმა იერიშით აიღო არსენალი და შაიარაღა. დაშინებული იმპერატორი იმავე დღესვე გაიქცა ოლმოუცში (მორავია), 7 ოქტომბრისათვის მდგომარეობა იმდენად კრიტიკული გახდა რომ რუსეთის ვენელი ელჩის მოწმობით, ავსტრიის მონარქიის

გადარჩენის არავითარი იმედი არ არსებობდა სამწუხაროდს მოძრაობა ერთიანი ხელმძღვანელობის გარეშე ვითარედებოდა. სწორედ მაშინ როცა საჭირო იყო შეტევა დაბნეული და დეორგანიზებული მთავრობის წინააღდმეგ, აჯანყებულებმა დაუშვეს საბედისწერო შეცდომა და თავდაცვაზე გადავიდნენ. ეს კი მოძრაობის უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა. ასეც მოხდა რევოლუციური ვენის წინააღდმეგ დაიძრა 70 ათასიანი არმია ვინდიშგრეცის მეთაურობით. მართალია, აჯანყებულებსაც თითქმის ამდენივე ჯარიკსაცი ჰყავდათ მაგრამ მათი ძალები ვენის თავდაცვით ზღუდებზე იყო დაქსაქსული ამასთან, მათ არ ჰყოფნიდათ იარაღი, არ ჰქონდათ თავდაცვის გეგმაც. აჯანყებულები ვენის ხელმზძღავანეად დანიშნული ოფიცერი, პოეტი და დრამატურგი მესენჰაუზენი ამ დიდი მოვალეობისათვის შეუჩერებელი აღმოჩნდა, საგულისხმოა, რომ ვინდიშგრეცის არმია ძირითადად შედგებოდა ხორვატებისა და სერბებისაგან, რომელთაც სძულდათ ავსტრელები, ჩანს რომ ეროვნული შუღლის გაღვივებით ცდილობდა მავრობა რევოლუციის ძალთა დაქსაქსვა-დასუსტებას.

23 ოქტომბერს ვენა არსებითად ალყაში აღმოჩნდა. აჯანყებულთათვის დიდი შვება იყო მათ დასახმარებლად უნგრეთის არმიის გამოსვლა. უნგრელებმა კიდეც დაამარცხეს ელაჩიჩის ხორვატთა კავალერია, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს, ორი დღის სისხლისმრვრელი ბრძოლის შემდეგ ვენა დაეცა. დაიწყო უსასტიკესი რეპრესიები. ვენეციელ მესენჰაუზერი, რობერტ ბლიუმი, იულიუს ბეხერი, გერმან ელინეკი და აჯანყებულების სხვა აქტიური ხელმძღვანელები შეიპრყეს და დახვრიტეს, ხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო უცხოეთში გაქცევა.

ამრიგად, კონტრრევოუცირმა საბოლოოდ გაიმარჯვა, შეიქმნა ახალი მთავრობა შვარჩენბერგის ხელმძღვანელობით, იგი ფეოდალური არისტოკრატიის და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გამოხათავდა, რაიხსტაგი, ჯერ პატარა პროვინციალ ქალაქსო (კრომერჟიჟი) გადაიტანეს, ხოლო 1849 წლის 4 მარტს დაითხოევს კიდეც. ამავე დღეს ძალაში შევიდა

ახალი კონსტიტუციაც, რომელმაც დაადასტურა ავსტრიის იმპერიის ერთიანობა ჰასბურგთა დინასტიით სათავეშ[53] კონსტიტუცია უზრუნველყოფდა მიწათმოლფობელი არისტოკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობას ქვეყანაში, აკანონებდა მაღალ ქონებრივ და ასაკობრივ ცენზს. ამომარჩეველტათვის, უაღრესად ფართო რწმუნებს აძლევდა იმპერატორს (ჰქონდა ვეტოს უფლება), სრულიად უგულებელყოფდა იმპერიაში სემავალი ხალხების ეროვნული ინტერსებს და ა. შ.

აჯანყებულ ვენასთან ანგარიშსწორების შემდეგ ავსტრიის იმპერიაში რევოლუციის კერად უნგრეთი რჩებოიდა. ამიტომ კონტრრევოლუციაზმის წინაღმდეგ გალაშქრბა გადაწყვიტა, მითუმეტეს რომ აქ განვითარებულ მოვნელებს შეეძლოთ "შფოთი და ამბოხი ჩამოეგდოთ სხვა ხალხებშიც". ასეთი ვარაუდიო არ იყო უსაფუძვლო. მოძალებული საფრთხის ზეგავლენით ბაიტანის ლიბერალურ-ბურჟუაზიული მთავრობა გადადგა. ახლა ძალაუფლებას დაუეფლა სამშობლოს დაცვის კომიტეტი, რომელსაც ლ. კოშუტი ხელმძღვანელობდა. კომიტეტმა ისარგებლა ხალხის პატრიოტული სულლისკვეთების ამაღლებით და ენერგიულად შეუდგა ქვეყნის მომზადებას ავსტრიის წინაღდმეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. გრაფი ციცი და გრაფი ზიჩი, რომლებიც ინტერვენტებთან კავშირში ამხილეს, სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ჰერცოში ესტერგაზი და გრაფი სეჩენტი ქვეყნიდამ განდევნეს. 1848 წლის სემდოდგომიდან კოშუტი, თავის

[53] 1848 წლის მომებრის დამდეგს სახალხო გადატრიალების სედეგად ინებისყოფო ფერდინანდის ნაცვლად ტახტზე ავიდა 18 წლის ფრანც იოსები , რომელიც 19616 წლამდე ნარტავდა სახელმწიფოს, იგი აბსოლუტიზმის ტავგამოდებული დამცველი იყო. ტავისი მოღვაწეობა მან დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო და მაშინვე დაშალა აკადემური ლეგიონ , აკრძალა მუშათა კავშირები, ხოლო სედმეგ დედაქალაქიდან ყველა უმაღლესი სასწავლებლის გადატანაც მოითხოვა.

მოღვაწეობაში, სულ უფრო მეტად ეყრდნობოდა უნგრეთის სეიმის მემარცხენე ფრთას და მის უკან მდგომ მშრომელ მოსახლეობას. ამან კომიტეტს რევოლუციურ ომზე გადასვლა გაუადვილა. შეიქმნა 170 ათასიანი არმია, რომელმაც 29 სექტემბერს და 7 ოქტომბერს სასტიკი მარცხი აგემა ავსტრიელებს. 1849 წლის 14 აპრილს დებრეცენში გამოცხადდა უნგრეთის დამოუკიდებლობა. ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამდენადაც ამით იროველთა ავსტრიის დამხობამ და დამოუკიდებლობის გამოცხდებამ კიდევ უფრო აამაღლა ხალხის საბრძოლოს სულიკსვეთება. 19 აპრილს უნგრეთის არმიამ გაიმარჯვა ნადშარლოსთან ბრძოლაში, 26 აპრილს ავსტრიელთაგან გაათავისუფლა კომორნის ციხე-სიმაგრე, ხოლო 21 მაისს ზეიმით შევიდა ბუდაპეშტში. რითაც სამშობლოს დაცვის კომიტეტის ხელისუფლება მთელ ქვეყანაზე გავრცელდა[54].

ავსტრიელთაგან განთავისუფლებამ უნგრეთის მთავრობის წინაშე ახალი ამოცანები დასახა, კერძოდ, საჭირო იყო მოპოვებული წარმატების განმტკიცება, საომარი მოქმედების გადატანა უშუალოდ ავსტრიის ტერიტორიაზე და ვენაში დემოკრატიული წყობილების აღდგენა: სამწუხაროდ: ლ. კუშტის მთავრობამ ეს ვერ მოახერხა. ამის ძირითადი მიზეზი იყო მთავრობის კავშირი წვრილ და საშუალო მემამულეებთან, რომლებსაც არ სურდათ ფეოდალურ ბეგარა-ვალდებულებათა ლიკვიდაცია და გლეხობისათვის მიწები გადაცემა. დიდ როლს ისიც ასრულებდა, რომ ხელისუფლება არ ფიქრობდა უნგრეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების თანასწორუფლებიანობაზე. მართალია მან ეს ცნო დიდ დაგვიანებით, მხოლოდ 28 ივლისს, მაგრამ რესპუბლიკის გადარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ამასთან, რევოლუციის წინააღდეგ აღსდგნენ თვით უნგრეთის ფეოდალური

[54] უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის სესხებ იხ. მორ. იოკაის ვრცელი ნაწარმოები თარგმნილი ქარტული ენაზე-"გულქვა კაცი სვილები"

არიოსტოკრატია, კათალიკური სამღვდელოება და მსხვილი ბურჟუაზია, რომლებიც თავიანთი საკუთრების გადარჩენისა და მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ჰაბსბურგებთან მორიგეობის გზას დაადგნენ. ასეთ პირობებში რეაქციას გამარჯვება აღარ გასჭირვებია, მით უმეტეს, რომ უნგრეთის არმიის მთავარსარადლი გერგეი დამ ის გარშემო მდგომი ზოგი უმაღლესი ჩინის ოფიცერი აშკარად ღალატობდნენ სამშობლოს.

1849 წლის აპრილში, უნგრეთის რევოლუციის მკვეთრი აღმავლობის პერიოდში, ფრანც-იოსებმა დახმარებისათვის მიმართა რუსეთის ცარიზმს, მაისში ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორებს შორის ვარშავაში შედგა მოლაპარაკებაც. "ევროპის ჟანდარმი" ნიკოლოზ I დათანხმდა ინტერვენციაზე და ივნისის დამდეგს გენ პასკევიჩის მეთაურობით 140 ათასიანი არმია დასძრა რევოლუციური უნგრეთის წინააღდმეგ. ქვბეყანა მზიმე მდგომარეობაში არმოჩნდა. მას არც კი მოკავშირე ჰყავდა. საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებმა დახმარებაზე უარი განაცხადეს და უნგრეთიც მარტოდ შერჩა გავეშენებულ კონტრრევლოციას და ინტერვენციას, ივლის-აგვისტოს განმავლობაში უნგრელები ზედიზედ დამარცხდნენ ტემეშვართან და ვილაგოსტთან ბრძოლებში. რეაქციამ გაიმარჯვა. კოშუტი, იოზეფ ბემი და სხვა ხელმძღვანები გაიქცნენ თურქეთს, დანარჩენები კი –დახვრიტეს, სიკვდილით დასაჯეს აგრეთვე გრაფი ბატინიც, რომელიც არ იწონებდა ავსტრიისაგან უნგრეთის გამოყოფას. 31 ივლისს ბრძოლის ველზე დაიღუპოა მგზნებარე პატრიოტი და რევოლუციონერი შ. პეტეფიც.

1848-49 წლების რევოუცია ავსტრიის იმპერიაში არსებითად იყო დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევლოუცია მის იძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიო რევოლუცია. მისი მამოძრავებელი ნაწილი მუშები, ხელოსნები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, მომსახურეები. სამწუხაროდ, მუშათა კლასმა თავისი მცირერიცხოვნების, არაორგანიზებულობისა და

პოლიტიკური მოუმწიფებლობის გამო ვერ იკისრა რევოლუციის ხელმძღვანელობა, ამიტომ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა ლიბერალური ბურჟუაზია, რომლის ღალატმა და მემამულურ-მონარქიულ კონტრრევოლუციის ბანაკში გადასვლამ განსაზღვრა შემდეგ რევოლუციის დამარცხებაც.

<u>რევოლუციაში იტალია.</u> XIX ს-ის პირველ ოცეულში იტალია ფეოდალურ სახელმწიფოს რჩებოდა. 22 მილიონიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობდა სოფლად და მიწათმოქმედებას ეწეოდა. მართალია, გლეხი პირადი თავისუფლებით სარგებლობდა, მაგრამ მიწის გამო იგი მთლიანად მემამულზე იყო დამოკიდებული, ამასთან ასრულებდა საბატონო ბეგარასაც, ამის გამო იჭ\გი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვდობდ ა, ცხადია, ფეოდალიზმის ნაშთების სიჭარბე და მემამულეზე უშუალო მწარმოებლის დამოკიდებულება ამუხრუჭებდა მრეწველობის განვითარებას და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდას. მასში დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური შიდააშლილობა და ცალკეულ რაიონებში დიდი საბაჟო გადასახადების არსებობა. პარმიდან 37 მილზე მოდენაში საქონლის გადატანაზე ბაჟს 6-ჯერ იღებდნენ, ხოლო ჩრდილოეთ იტალიის მთავარ სავაჭრო არტერიაზე მდ. პოზე 21 –ჯერ. ასე რომ ოდესიდან გენუალდე მარცვლეულისმიტანა გაცილებიშ იაფი ჯდებპოდა ვიდრე ტურინიდან – გენუამდე. ამის მიუხედავად, უკვე 30-იანი წლებიდან ჩრდილოეთ იტალიაში ნელა, მაგრამ მაინც ვითარედბოდა საფაბრიკო-საქარხნო წარმოება და იწყება სამრეწველო რევოლუციის პროცესიც. 1839 წელს გაიხნა ნეაპოლ-პორტიჩის სარკინიგზო ხაზი, 1840 წელს ილან – ვენეციისა და 1843 წელს ილან-ლივორნის რკინიგზის მაგისტრალები. 1850 წლისათვის რკინიგზების საერთო სიგრძემ 400კმ გადააჭარბა. რკინიგზების მშენებლობამ, გააქტიურა ვაჭრობაც, რამაც დიდად გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებაც.

ეკონიმიკის წინსვლას მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყვა იტალიის სოციალურ ურთიერთობებში- წარმოიშვა

სამრეწველო პროლეტარიატი და ბურჟუაზია, გაჩნდა მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის მოძრაობა, რამაცა ხალი ელფერი შემატა ფეორდალური ჩაგვრისა და ავსტრიის ბატონოის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ –განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამის შედეგია, რომ უკვე 30-იან წლებშივე გაფორმდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი პოლიტიკური მიმდინარეობა: რევოლუციურ–დემოკრატიული (წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, ინტელიგენცია) და ზომიერ ლიბერალური (მსხვილი ვაჭრულ-მრეწველური ბურჟუაზია, გაბურჟუებული მიწათმფოლებლური არისტოკრატია). პირველი იბრშოდა ფეუდალ კლერიკალთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების და ქვემოდან, რევოლუციური გაერთიანებისათვის, მეორე –კი მასების რევოლიციურობის შეზღუდვის ად სავოიის დინასტიის მეთუარობით იტალიის ფედერაციული სახელმწიოს შექმნისათვის.

რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის იდეური ბელადი იყო გამოჩენილი ბურჟუზიული რევლიციონერ – დემოკრატი ჯუზეპე მაძინი (1805-1872) და მისი ხელმძღვანელობით მარსელში 1831 წელს შექმნილი იტალიელ ემიგრანტთა ორგაჯზიაცია “ახალგაზრდა იტალია”. მაძინი ადრეკარბონარი იყო, მაგრამ ც\ვერ დააკმაყოფილა ამ მიდმინარეობამ და მისიმარცხის შემდეგ ბრძოლის ახალი გზის ძებნას შეუდგა. ამან კი იგი ხალხის მასებთან –გლეხებთან, მუშებთან ხელსონებთან და მოსახლეობის სხვა ღარიბ ფენებთან მოიყვანა. მართალია თავის მოღვაწეობაში მაძინი ნაკლებად იყო დაინტერესებული მშრომელთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება- გარდაქმნის საკითხებით. მაგრამ ჰაბსბურგთა დინასტიისა და საერთოდ ავსტრიელთა ბატონობის წინააღდმეგ შეურიგებელი მტრობით, რესპუბლიკური შეხედულებებით, განსაკუთღებით კი ხახლში აჯანყებით და რევოლუციით ქვეყნის განთავისუფლება – გაერთიანების ქადაგებით მან დემოკრატიის დიდი სიყვარული მპოპოვა.ამის გამო მიტერნიხი კიდეც შენიშნავდა: “მე მომწევია ბრძოლა უდიდეს ჯარიკსაცებთან (ნაპოლეონი და ა. შ.)

შემირიგებია იმპერატორები და ხელმწიფეები, მეფე და სულთანი, მაგრამ არავის მოუყენებია ისეთი დავიდარაბა, როგორც იტალიელ ყაჩაღს-გამხდარს, ფერმკრთალს, თმაგაჩეჩილსა და ძონძებიანს, მჭერმეტყველს როგორც ქარიშხალს, მგზნებარეს, როგორც მოციქულს, დაუცხრომელს როგორც შეყვარებულს რომლის სახელია ჯუზეპე მაძინი"[55]. სხავათაშორის, კ. მარქსი და ფ. ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევენ მის როლს სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლაში, მაგრამ მკაცრად აკრიტიკებედნენ შეზღუდვების გამოც. მარქსი წერდა: მაძინის პოლიტიკა საფუძველივე ყალბია-არ ითვალისიწნება გლეხობას, რის გამოც ჰქმნის დასაყრდენს კონტრრევოლუციისათვისო. მაენე იყო აგრეთვე მაძინის ტაქტიკაც, რამდენადაც საზღვარგარეთიდან გეგმავდა აჯანყებას, ცხადია, სათანადო ისტოიურლი პირობების (რევოლუციური სიტუაცია, მასებთან კავშირი) გარეშე ორგანიზებული გამოსვლა დამარცხებისათვის იყო განწირული და დამარცხდა კიდეც) 1833 წელს გენუაში ძმების რეფიიების, 1834 წელს პიემონსტში რამორინოსა და გარიბალდის, 1844 წელს ძმების ბანდიუერების ხელმძღვანელობით წამოწყებული აჯანყებანი).ასეთი შეზღუდვების მიუხედავად მაძინოს დამსახურება უდაოა. რადგან რევოლუციისა და რესპუბლიკური ქადაგებით გააფართოვა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა და მასში ხალხის დიდი ნაწილი ჩააბა.

"ახალგაზრდა იტალიისა" და რევოლუციურ–დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელობით იყო ჯუზეპე გარიბალდი (1807-1882) ტაგანროგში ყოფნისას 1833 წელს გაენო იგი მაძინისისტ კუნეოს და მიემხრო მოძრაობას. მალე გარიბალდი ქვეყნის განთავისუფლებისა და გამომჟღავნდა მისი, როგორც სამხედრო მოღვაწის ნიჭი და უნარე, რაც ასე გამაოდგა 1848-49

[55] Очерки истории Италии (476-1918), под ред. М.Гуковского, М.,1959, с. 240.

წლებვის რევოლუციაში და გასაკუთრებით 60-იანი წლებში იტალიის გაერთიანებისთვის ბრძოლის დროს.

რაც შეეხება ზომიერ-ლიბერალურ მოძრაობას, იგიც დაინტერესებული იყო იტალიის გაერთიანებით, მაგრამ უარყოფდა რევილუციისა და რესპუბლიკას ქვეყნის პოლიტიკური გამთლიანება მას ასურდა "ზემოდან", სავოიას დინასტიის ხელმძღვანელობით. ეს ვარაუდი იმას ეფუძნებოდა, რომ პიემონტის სამეფო ძლიერი იყო ეკონომიკურად (სხვათაშორის, გაბურჟუაზებულ მეფე კარლ-ალბერტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა იტალიის სავაჭრო, სამრეწველო და ფინასური წრეების ზედა ფენასთან), აგრეთვე სამხედრო თვალსაზრისით და მაშასადამე შესწვდა ძალაც ქვეყნის შემოკრებისათვის. ეს აზრის დასრულებული ფორმით ჩამოაყალიბა მარკიზ დაზელიომ წიგნში" უკანასკნელი მოვლენები რომანაში", რომელიც 1845 წელს გამოქვეყნდა. უკვე ამ დროისათვის საბოლოოდ გაფორმდა ძლიერი დაჯგუფება "ალბერტისტეის", ანუ პიწმონტის მეფის კარლ-ალბერტის ხელმძღვანელობით ქვეყნის გაერთიანების მომხრეებისა, რომლებიც თავიანთი მისწრაფებას ქადაგებდნენ ლინბერალურ-მონარქისტულ გაზეთში" რისორჯიმენტში", ლიბერალური მოძრაობის ლიდერი იყო გრაფი ბენზო კავური.

ამრიგად, რევოლუციის წინ იტალიაში აშკარად გამოიკვეთა ორი პოლიტიკური მიმდინარეობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (მაძინისტები) დაზოიმიერ-ლიბერალური (ალბენსიტები), რომლებიც ბურჟუაზიისა და გაბურჟუებულ მემამულეებს სხვაადსხვა ფენის ინტერესებს გამოხატავდნენ. მაძინისტები ხასიათდებოდნენ მერყეობით და არათანმიმდევრობითლ მართალია, ხალხს აჯანყებისაკენ კი მოუწოდებდნენ, მაგრამ დემოკრატიული მოძრაობის გაფართოებისა ეშინოდათ. ამიტომ ისინი არც აგრარულ რეფორმებსაც ითავლისწინებდნენ. ალბერტისტები აშკარად გამოდიოდნენ სახალხო მოძრაობის წინააღდმეგ. ცდილობდნენ ფეოდალურ რეაქციასთან მორიგებას და კუდშეჭრილი ბურჟუაზიული დათმობებით კმაყოფილდებოდნენ. რაც შეეხება

მუშათა კლასს, იგი იყო სუსტი და მცირერიცხოვანი, არაორგანიზებული რის გამოც ვერ შეძლო ქალაქისა და სოფლის დემოკრატიულო მოძრაობის შემოკრება და მისი ხელმძღვანელობა, ყველაფერი ეს 1848-1849 წლების რევოლუციაში ანტიფეოდალური და ანტიავსტრიული ბრძოლის სისტუსტეს განსაზღვრავდა, ხოპლო თვით რევოლუციას დაუმთარებელო ხასიათს აზლევდა.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში იტალიაში თანდათან მწიფდება პოლიტიკური კრიზისი, ზედიზედ რადმენიმე წლის მოუსავლიანობის და 1847 წლის სავაჭრო –სამრეწველო კრიზისმა, სურსათზე ფასების ზრდამ და მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია შექმნეს. უკვე 1846-1847 წლებში შესამჩნევად გაძლიერდა დამშეულთა მღელვარება, გაღატაკებულნი და არაფრის მქონენი თავს ესხმოდნენ მდიდრებს, არბედვდნენ მაღაზიებს, სურსათის საწყობებს, იტაცებდნბნე მიწებს(პაპის სახელმწიფპო) 1847 წელს ამას დაემატა ე. წ. “თამბაქოს ბუნტიც” (ლომბარდია-ვენეციისის სამეფო). ტამბაქოზე მ,აღალი აქციზით სეწუხებული მცხოვრებლები უარს აცხადებნენმის მოწევაზე და თავს ესხმოდნენ ავსტრეილ ჯასიკაცებს თუ კი ოისონო ქუჩაში პაპიროსით გამოსვლას გაბედავდნენ. სწორედ ამ დროს დიდი პოპულარულობა მოიპოვა რომაელმა წვრილმა ვაჭარმა ანჯელო ბრუნეტიმ რომელსაც ღარიბი თანამოძმეების წინაშე მგზნებარე გამოსვლების გამო ჩიჩერუაკიო ანუ “ცეზარის მსგავსი” უწოდეს. ბრუნეტი არისტოკრატიისა და. მდიდრების წინააღდმეგ დაუნდობლას ბრძოლას ქადაგებდა.

პოლიტიკური კრიზისის მომწიფებამ დააშინა გაბატონებული წოდება და აიძულა ზოგიერთ დათმაზე წასვლა. პაპმა პიუს მე-9გამოაცხადა პოლიკმატიმართა ამნისტია, უარყო წინასწარი ცენზურა, დათანმხდა რომში ნაციონალური გვარდიის ფრომირებაზე და სხვა. ლიბერალური ხასიათის რამდენიმე რეფორმა განახორციელეს აგრეთვე ტოსკანისა და პიემონტის მმართველებმაც,. მაგრამ

რევოლუციის აცულება შეუზლეებლი იყო. ხალხს ბრძოლისაკენ აქეზედბნენ ლოზუნგები: “გაუმარჯოს თავისუფლება იტალიას!” “სიკვდილი ავსტრიელებს” პოეტმა–რევოლიციონერმა მამელმა დაწერა შესანიშნავი ლექსი “ძმებო-იტალიელებო”, რომელიც პატიოტთა ჰიმნიც გახდა. იგი მათ გაერთიანებასა და სიცილიიდან ალპებამდე ქვეყნის განთავისუფლებისათვის მოუწოდებდა. ლექსი მთავრდებოდა მგზნებაზე სიტყვებით: “დავბირაზმოთ კოჰორტებად, ვიყოთ გზად სიკვდილისათვის, იტალია გვეძახის” ასეთი ვითარებაში ფეროდალურმა რეაქციამ დასახმარებლად გარეშე ძალას მიმართა. 1847 წლის შემოდგომაზე ნეაპოლის მეფე ფერდინანდ მეორემ რევოლუციის წინააღდმეგ ბრძოლის მიზნით ქვეყანაში ავსტრიელთა ლაშქარი მიიწვია. ამან აღავსო მოთმინების ფიალა და 1848 წლის 12 იანვარს ქალაქ პალერმოში (სიცილია) იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მალე საერთო იტალიურ რევოლუციაში გადაიზარდა.

<u>რევოლუციის პირველი პერიოდი</u>. 1848 -1849 წლების იტალიის რევოლუციამ თავის განვითარებაში განვლო ორი პერიოდი: 1848 წლის იანვარი-აგვისტო, როდესაც მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ბურჟუზიული დემოკრატები, პირველი ეტაპისათვის დამახასიუატ ბელი იყო რევოლუციის შეზღუდულობა (საქმე არ გასცილებია ზოგიერთ ლინერალურ რეფორმას), დაისვა ზემოდან ქვეყნის გაერთიანების საკითხიც), მეორე პერიოდში კი იგი რადმენადმე გაფართოვდა მასში ხალხის, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის ქვედა ფენების მონაწილების გამო, ამ დროს იტალიის ზოგ ქალაქში რესპუბლიკაც კი გამოცხადდა, თუმცა ბრძოლა ამჯერადაც აგრარულ რევოლუციამდე არ ამაღლებულა.

პალერმოს აჯანყება საერთო იტალური რევოლუციის მაცნე იყო. ნეაპოლისა და ქვეყნის სხვა კუთხეში დაიწყო მთავრობის საწინააღდმეგო მანიფესტაციების, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა პარიზის 1848 წლის თებერვლის გამოსვლების ზეგავლენით. ნეპოიტანიის მეფე ერდინანდ II

იძულეწბული გახდა გამოექვეყნებინა კონსტიტუცია (ზომიერი) და შეედგინა ლიობნერალური მთავრობაც. მალე ასე გააკეთეს პიემონტის მეფე კაპრ-ალბერტმა და რომის პაპმა 18მარტს იფეტქა მილანში. ავსტრიელთა 15 ათასიანი განიზონი დაამრცხდა ბრძოლაში და ქალაქიდან გაიქცა. მილანი ბურჟუაზიული ლლიბერალების დროებით მთავრობის ხელში გაადვიდა. 18-22 მარტს აჯანყდა ვენეციაც, ვენეციიელი ბურჟუაზიული დემოკრატების ლიდერმა დანიელ მანინმა (1804-1857) გამოაცხადა ვენეციის რესპუბლიკის აღდგენა და ხალხს ავსტრიის წინააღდმეგ ომისაკენ მოუწოდა ავსტრიიდან ომის მოთხოვან კი იმდენად ზლიერიო იყო ქვეყანაში, რომ ნეაპოლიტანიისა და პიემონტის მეფეები, აგრეთვე რომის პაპი იზულებულოი გახდნენ ჰასბურგებთან დაეწყოთ ბრძოლა. ამნ აღაფრთოვანა ხალხი. იტალიის ყველა კუთხეში იქმნებპოდა მოხალისეთა რამები, რომლებიც მიდიოდნენ ფრონტზე და რეგულიარული არმიის მხარდამხარ მამაცურად ებრძოდნენ დამპრყობლებს. მოხალისეებს. გარიბალდი მეთაურობდა.

ავსტრიის წინააღმდეგ წარმატებით ომისათვის 1848 წლის გაზაფხულზე ხელსაყრელი ვითარება იყო, რამდენადაც თვით იმპერიაში რევოლუციის ხანძარი გიზგიზებდა, მიტომ საიმპერატორო კარი აქტიურად ვერ ემხარებოდა ოტალიაში მოქმედ ფელდმარშალ რადეცკის არმიას და იგი მარცხს – მარცხზე განიცდიდა. სამწუხაროდ, იტალიის ბურჟუაზია, რომელიც დაკმაყოფდილებულია ხელისფულების მიღებით, ავსტრიასთან რევოლიციური ომის წინააღმდეგი დარჩა და მონარქიასთან კავშრიი ამჯობინა. თვიოთ მაძინმა – "ნაციონალური ერთიანობის "შენარჩუნების მიზნით უარყო რესპუბლიკის იდეა და მის სასარგებლოდ პოლიტიკური აგიტაციაც აკრძალა. მალე მასვე მიბაძა მანინმა. იგი გადადგა პოსტიდან და თანამოაზრეებს "სამშობლო საკეთიდრეოდ" რესპუბლიკის შეწირვისაკენ მოუწოდა. ამით კარგად ისარგებლა კარლ-ალბერტმა და თავის ხელისფულების ქვეშ "გააერთიანა" ჩრდილოეთ და ცენტრალური იტალიის პოლიტიკური ერთეულები, თუმცა ავსტრიელთა წინააღმდეგ

ბრძოლაში აშკარად პასიურობდა. კიდევ მეტი, რესპუბლიკელთა მცდარი პოზიცია უნარიანად გამოიყენა ნეაპოიტანიის მეფემ და გადატრიალება მოაწყო, გარეკა პარლამენტი, თან ფრონტიდან თავიის არმია გაიწვია. მას პაპის ლაშქარიც მიჰყვა. ამან მნიშვნელოვნად დაასუსტა ანტიავსტიურლი ბანაკი და რადეცკის შეტევაზე გადასვლას შესაძლებლობაა მისცა. 1848-წლის 22-25 ივლისს კუსტოცთან ბრძოლაში ავსტრიელებმა გაიმარჯვეს და მილანს დაეუფლნენ. 9 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით კარლ-ალებრტმა დათმო ჩრდილოეთი იტალია (ვენეცია, ოდენა, ოარმა, ლომბარდია და სხვა. რომელიც კვლავ ავსტრიელთა ბატონობაში აღმოჩნდა, კუსტიცის ბრძოლით დასრულდა რევოლუციის პირველი პერიოდი, დარულდა იგი გამარცხებით, რადგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ამ ეტაპზე ფეორდალური მონარქია ხელმძღვანელობდა

<u>რევოლუციის მეორე პერიოდი.</u> მარცხმა გამარევოლიცი-ური გავლენა მოახდინა ხალხზე. მაძინისტებმაც შეიგნეს თავიანთი ტაქტიკის მცდარობა და უკვე 1848 წელს აგვისტოში გამოვიდნენ მოწოდებით"მეფეების ომის დამთავრების და ხალხსი ომის დაწყების" შესახებ, მან მაშინვე ჰპოვა, ახრადაწერა მოსახლეობასოი. ამ მხრივ პირველი იყო ვენეცია, სადაც მანინმა კვლავ ხელთ იგდო ძალაუფლება შექმნა მთავრობა და რესპუბლიკა გამოაცხადა. 23 აგვისტოს აჯანყდა ლივორნოც (ტოსკანა). მემარცხენე ლიბერმალებმა პროფესორ ჯუზეპე მონტანელის (1813-1862) ხელმძღვანელობით ხელთ იგდეს ძალაუფლება და საერთო იტალიური დამფუძნებლის ჯარების მოწვევაც მოითხოვეს.

მღელვარებამ იფეთქა სიცილიაშიც, იტალია ცეცხლია ალში გაეხვია. მოძრაობის ფგაფართოებს მონარქისტულმა რეაქციამ რეერესიებით უპასუხა, ნეაპოლიტანიის მეფე ფერდინანდ II 25 ათასიანი ლაშქარი და არტილერია (300 ქვემხი) დასძრა სიცილიის აჯანყებული ქალაქის მესინას წინააღდმეგ. 7-8 სექტემბრის სასტიკ ბრძოლაში მან გატეხა მცირერიცხოვანი 95ათასი) დამცველთა წინააღმდეგოვა და

ქალაქი საშინლად ააოხრა, რის გამოც "ჯილდოდ" აღშფოთებული იტალიელებისაგან "მეფე-ყუმბარის" სამარცხვინო სახელი დაიმსახურა. კდიევ უფრო სასტიკი იყო პაპის მთავრობის მოქმედება რომში, მაშინ, 15 ნოემბერს ხალხმა მოჰკლა მთავრობის მეთაური უკიდურესი რეაქციონერი როსი. მოძრაობას აქ ხელმძღვანელობდა ციჩეროვაკიო. მალე პაპი პიუს მე -9 ნეპოლს გაიზცა რაც ხალხის შემდგომში გაქტირუების სტიმული გახდა. მარტლაც რომში მოწვეულმა დაფუძლნებელმა კრებამ, გარიბალდის წინადადებით, 1849 წლის 9 თებერვალს გააუქმა პაპის საერო ხელისუფლება და რომი რესპუბლიკად გამოაცხადა. ბურჟუაზიული დემოკრატებისა და მემარცხენე ლიბერალებისაგან ჩამოყალიებამდე მთავრობა ტრიუმვირატის (მაძინი, კარლო, არმელანი, აურელი საფი) ხელმძღვანელობით.

შრომის რესპუბლლიკის შექმნა რეცოლუციის შემდგომ გაფარტოებას ნი შნავდა. მითუმეტეს რომ მოღვაწეობის დაწყებისთანავე მთავრობამ უაღრესდ პროგრესული ღონისძიებანი განახორციელა. კერძოდ, მოახდინა სასულიეროორდენების უძრავ-მოძრავი კონფისკაცია, რითაც საგრძნობლად შეარყია პაპის ხელიფლების ეკონომიკური საფუძველი. ამასთან დაარსდა სამოქალაქო სასამართლო, გაუქმდა ინკვიზაცია, შემცირდა საბაჟო ფასები შემოტანილი ნაწარმზე. დაწესდა გადასახადები მსხვილი კაპიტალისტბის და საულიერო კორპორაციების შემოსავალზე და სხვ. სამწუხაროდ ახალი მთავრობოის ბურჟუაზულ დემოკრატიული ღონისძიებანი შეზღუდული დარჩა. მან უარყო მუშების, წვრილი მოსამსახურეებისა და სხვების თხოვნა ხელფასის მომატების შესახებ და, რაც მთავარია, უგულბელყო აგრარული რეფორმა, რამაც კონტრრევოლუციას რესპუბლიკის წინააღმდეგ გლეხობის გამოყვანა გაუადვილა.

რომთან ერთად აჯანყდა ტოსკანაც. ჰერცოგი ლეოპარდ II გაიქცა. ფროენციაში მოწვეულმა სახალხოი კრებამ 8 თებერვალს გააქუმა ჯერცოგის ხელიფულება და ჩამოაყალიბა მთავრობა, რომელშიც შევიდნენ ბურჟუაზიული ლიბერალები:

მწერალი ფრანჩესკო დომენიკო, გვერაცი (1804-1873), ჯ. მონტანელი და მაცინი. 18 თებერვალს ტოსკანაში რესპუბლიკა გამოცხადდა. სხვათა შორის, მაძინისტები აქტიურად მონაწილეობდნენ ტოკსანის რესპუბლიკის შექმნაში, მათ უნდათ რომთან ტოსკანიის გაერთიანება. ცხადია, ეს შემდგომ გააძნიელებდა რევოლუციის ძალებს, მაგრამ რომის კონკურენციით დაშინებულმა ტოსკანიის ბურჟუაზიამ ამაზე უარი თქვა.

ვენეციაში, რომსა და ტოსკანაში რესპუბლიკური რეჟიმის დამყარებამ გააძლიერა მთავრობის საწინააღ ეგო მოძრაობა პიემონტშიც. ბურ ჯუაზიის სედარებით დემოკრატიული წრეები ხალხსი ფართო მასების მხარდაჭერით სულ უფრო აქტიურად გამოდის და ავსტრიელთა წინააღდმეგ ბრძოლასა და ქვეყნის გაერთიანებას მითხოვს. ტახტის დაკაგრვის შიშით მეფე კარლ ალბერტი იძულებული გახდა 12 მარტს მოეხდინა ავსტრიელებთან გამორმებული ზავის დენონსირება. მართალია, მან კი გაანაახლა ომი, მაგრამ ამჯერედაც აქ სურდა მისთვის საერთო-სახალხო ხასიათის მიცემა. ამიტომ არა თუ მიმართა დახმარებისათვის ვენეციის რომისა და ტოსკანის რესპუბლიკებს, არამედ დაპრყობელთა წინააღმდეგ არც ლომბარდიელთა ამხედრება უცდია. ამით ისარგებლა რადეცკიმ, თავისი 100 ათასიანი ლაშქრით სწრაფად განავითარა შეტევა და 23 მარტს ნოვარასთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა პიემონტის მომზადებელია არმია. დაამრცხების გამო ხახის მოსალოდნელი აჯანყების შიშით მეფე მორლატე კარლ-ალბერტი გადადაგა (ტახტი თავის ძეს გადასცა) და პორტუგალაში გაიქცა. ახალმა მეფემ ვიქტორ-ემანუელ II კი გააააფრომა ზავი ავსტრიელებთან და 75 მილ, ლირა კონტრიბუციის გადახდაც იკისრა.

ავსტრიელთა გამარჯვება ფეოდალურმა რეაქციამ თავის სასაგებლოდ გამოიყენა. რმადენადაც უფრო აშინებდა რევოლუციის წარმატება, ამიტომ შეუთანხმდა ავსტრიელებს, აგრეთვე ფრანგებსა და ესპანელებს, და ტოსკანის რესპუბლიკას შეუტია. ძალები მეტად უთანსწორო იყო და 1849

წლის 11 მაისს ფლორენციაში მონარქია აღსდგა. მალე ლეპოლიტანიის მეფემ დაიმორჩილა გამდგარი სიცილია. ჰერცოგთა ხელისუფლების რესტავრაცია მოხდა პარმასა და მოდენაშიც. რომისა და ვენეციის რესპუბლიკები ახლა გამარჯვებით გათამამებულები რეაქციის წინაშე აღმოჩნდნენ.

ორივე რესპუბლიკის მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, სამხრეთიდან რომს ემუქრებოდნენ ნეპიოიტანიისა და ეპანეთის კაჯარები, ჩრდილოეთიდან კი ავსტრიელები, მაისში მათ შეემატათ ფრანგთა 30-ათასიანი კორპუსი გე, უდინოს წინამძღოლიბით. რესპუბლიკას კი მხოლოდ 15 ათასი დამცველი ჰყავდა. ასეთ პიურობებში მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მითუმეტეს რომ პაისური თავდაცვის ტაქტიკას მიმართავდა ოპერაციებს და საქმითაც დაამტკიცა მისი უპირატესობა 1849 წლის მაისში თავისი 2 ათასი ლეგიონერი სასტიკადდაამარცხა ფერდნანდ II 10-ათასიანი ლაშქარი მაგრამ მაძინისტების გადაყვანა შეტევითი ბრძლის ტაქტიკაზე მაინც არ მოხერხდა. ასეთ პირობებში კი რეაქციას გაამრჯვება არარ გასჭირევებია. 2 ივლისს დაცემა "მარადიული ქალაქი". მაშინ 4-ათასიანი რაზმით გარიბალდიმ ვენეციისკენ გაჭრა და უკანასკნელი რესპუბლიკის დაცვა ცადა, მაგრამ გვიანდა იყო. 22 აგვისტოს ყოველმხრივ გარემოცულმა, შიმშილით, ტიფისა და ქოლერის ეპიდემიებით გათანგლმა ვნეციამ კაპიტულაცია გამოცხადდა. ამით იტალიის რევოლუციაც დაასრულდა, ქვეყანა ტერორმა მოიცვა,, რესპუბლიკელთა დიდი ნაწილი ბრძოლებსი დაიღუპა, ნაწილიკი (ჩიჩერავაკიო მისი ორი შვილი და სხვა) გამძინვარებულმა რეაქციამ დახვრიტა, მასინმა მოასწრო გაქცევა, გარიბალდი კი შეიპრყეს და სამშობლოდან გააძევეს.

ამრიგად, იტალიის 1848-1849 წლების ბურჟუაზიულ – დემოკრატიული რევოლუცია დამარცხდა, ეს ლიბერალური ბურჟუაზიის ღალატის წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის დემოკრატიული წრეების მერყეობასა და არათანმიდმევრულობის შედეგი იყო. მართალია. კუსტიციის ბრძოლის შემდეგ მოძრაობის ხელმძღვანელობა

რევოლუციურმა დემოკრატებმა იკისრეს, მაგრამ ლიბერალებთან კომპრომისის, განსაკუთრებით კი აგრარული საკითხის უგულებელყოფის გამო ვერ შეძლეს სახალხო რევოლუციის შემდგომი გაფართოება. რეაქციის გამარჯვებაში დიდი იყო საგარეო ფაქტორის წვლილიც, რამდენადაც ავსტრია, საფრანგეთი და ესპანეთი აქტიურად დაეხმარნენ იტალიელ მონარქებს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამიტომ რევოლუციამ ვერ გადაწყვიტა ქვეყნის გაერთიანებისა და ავსტრიელთა ბატონობისაგან განთავისუფლების ამოცანა, ამის მიუხედავად მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იტალიელ ხალხს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მდიდარი გამოცდილება მისცა.

ლექცია IX
გერმანია XIX-XX ს-ების მიჯნაზე (2 სთ.)
(1850-1914)

გერმანიის გაერთიანება. X IX საუკუნის 50-60-იან წლებში გერმანიაში, რომელიც 1848-1849 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ პოლიტიკურად დაქუცმაცებული დარჩა, ინტენსიურად მიმდინარეობდა სამრეწველო გადატრიალების პროცესი, რის შედეგადაც აღნიშნულ პერიოდში აგრარული გერმანია აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა. 1847-1848 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სწრაფი ტემპით შენდებოდა ახალი სამრეწველო საწარმოები და იზრდებოდა მათში დასაქმებულ მუშათა რიცხვი. იზრდებოდა ქვანახშირის და რკინის მოპოვება, ლითონების გამოდნობა, ორთქლის მანქანების საერთო სიმძლავრე (1870 წლისათვის ამ უკანასკნელმა მაჩვენებელმა 2,4 მილიონი ცხენის ძალა შეადგინა).

მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებას თან სდევდა ტრანსპორტის და ვაჭრობის განვითარება. 1850-1870 წლებში რკინიგზების საერთო სიგრძე, მხოლოდ პრუსიაში 3869 კმ-დან 11523 კმ-მდე გაიზარდა. 3-ჯერ გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა. 50-იან წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაორმაგდა, ხოლო მრეწველობაში ჩაბმულმა მუშათ რიცხვმა მილიონს მიაღწია. მრეწველობის ცალკეულ დარგებში შეინიშნებოდა კონცენტრაციის პროცესი, რაც განსაკუთრებით საგრძნობი მეტალურგიასა და მანქანათმშენებლობაში იყო. მაგალითად კრუპის ფირმის მეტალურგიულ ქარხნებში დასაქმებულ მუშათა რიცხვმა 1870 წელს 16 ათასს მიაღწია. 50-იან წლებში დაარსდა რამოდენიმე მსხვილი ბანკი, რომელთა შორის უდიდესი „დისკონტ გეზელშაფტი“ (სააღრიცხვო საზოგადოება).იყო. ეს კი ფინანსურ სფეროში მიმდინარე კონცენტრაციის პროცესზე მეტყველებდა. გერმანიაში მრეწველობის სწრაფ განვითარებას ხელს უწყობდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვის მაღალი დონე და

მუშათა ფენის ექსპლუატაციის მაღალი ხარისხი (დაბალი ხელფასი და სამუშაო დროის დიდი ხანგრძლივობა). ამას ასევე ხელი შეუწყო 1853-1856 წლების ყირიმის ომმა, როცა გერმანული სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი პრუსია ინტენსიურად ვაჭრობდნენ მეომარ ქვეყნებთან. გერმანული მრეწველობის განვითარებას ასევე დიდი ბიძგი მისცა 1853 წელს აღდგენილი საბაჟო კავშირის წევრი გერმანულ სახელმწიფოთა მიერ ჩინეთთან, ირანთან და არგენტინასთან დადებულმა სავაჭრო ხელშეკრულებებმა.

წინ მიიწევდა სოფლის მეურნეობაც. იზრდებოდა ფერმერულ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც ქმნიდნენ მსხვილი მემამულეები (იუნკერები), რომლებსაც ამისთვის ფინანსური სახსრები გააჩნდათ და რომელნიც კარგად ხედავდნენ იმას, რომ გერმანიის მზარდი მრეწველობა დიდი რაოდენობით მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ასეთ ვითარებაში სურსათისა და ნედლეულის წარმოება დიდი შემოსავლის წყარო იყო. მეორე მხვრივ ფერმერულ მეურნეობებს ქმნიდნენ შეძლებული გლეხები (გროსბაუერები), რომელთაც სხვა გლეხებთან შედარებით მეტი სახსრები გააჩნდათ.გლეხების მიერ ფერმერული მეურნეობების შექმნა მეტად დააჩქარა 1850 წელს პრუსიის მთავრობის მიერ მიღებულმა აგრარულმა კანონმა „მემამულესა და გლეხს შორის ურთიერთობების რეგულირების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით გლეხები განთავისუფლდნენ მიწის გადასახადისაგან, რომელსაც ისინი მემამულის სასარგებლოდ იხდიდნენ.ამ გადასახადის სანაცვლოდ მემამულეებს საკონპენსაციო თანხა სახელმწიფოს მიერ შექმნილმა სპეციალურმა სარენტო ბანკებმა გადაუხადეს, ხოლო გლეხებს ეს თანხა ბანკებისთვის უნდა აენაზღაურებინათ ნაწილ-ნაწილ 50 წლის განმავლობაში. ამ კანონის შედეგად პრუსიაში რამდენიმე წელიწადში 12706 ახალი ფერმერული მეურნეობა გაჩნდა.

გერმანიის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას და საერთაშორისო ასპარეზზე მისი პოზიციების გაძლიერებას დიდად აფერხებდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. 1848-1849

წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ აღდგენილი იქნა ადრინდელი გერმანული კავშირი, რომელიც ცალკეული გერმანული სახელმწიფოების სუსტ კონფედერაციულ გაერთიანებას წარმოადგენდა და რომელსაც სათავეში ედგა საკავშირო სეიმი. ამ ორგანოს სხდომები ქალაქ მაინის ფრანკფურტში იმართებოდა და მას ქვლავ მუდმივად ავსტრიის წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა. სეიმის გადაწყვეტილებათა შესრულება ცალკეული გერმანული სახელმწიფოებისთვის სავალდებულო არ იყო. ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი სახელმწიფო პრუსია ცდილობდა გერმანიის გაერთიანებას, რაშიც პრუსიის მთავრობას უჭერდა მთელი გერმანიის ბურჟუაზიის უდიდესი ნაწილი უჭერდა მხარს, მაგრამ პრუსიას ეწინააღმდეგებოდა ავსტრია, რომელსაც ეშინოდა პრუსიის გაძლიერების და ამიტომ გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის შენარჩუნებით იყო დაინტერესებული. ავსტრიის მთავრობას მხარს უჭერდა სამხრეთგერმანული ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოს ბურჟუაზია, რომელსაც პრუსიის ბურჟუაზიის მხრიდან კონკურენცია აშფოთებდა.

იმისთვის, რათა ავსტრიისათვის ხელიდან გამოეგლიჯა ლიდერობა, პრუსია გერმანიის კავშირის რეორგანიზებას შეეცადა. 1849 წელს პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ ბერლინში ავსტრიის, ბავარიის, საქსონიის და ჰანოვერის წარმომადგენლები მიიწვია და მათ გერმანიის კავშირის გარდაქმნის პრუსიული პროექტი შესთავაზა. ამ გეგმის მიხედვით საკავშირო სეიმი უნდა გაუქმებულიყო და მის ნაცვლად გერმანიის კავშირს სათავეში უნდა ჩადგომოდნენ ყველაზე დიდი გერმანული სახელმწიფოების მონარქებისაგან შემდგარი კოლეგია და ყველა გერმანული სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლებისგან შემდგარი საბჭო. გათვალისწინებული იყო საერთოგერმანული პარლამენტის არჩევაც. აღნიშნული გეგმის მიხედვით გერმანულ კავშირში ჰეგემონობა პრუსიის ხელში გადადიოდა, რადგან საგარეო პოლიტიკა და შეიარაღებული

ძალები პრუსიის ხელისუფლების კომპეტენციას უნდა დაქვემდებარებოდა. საერთოგერმანული პარლამენტის გადაწყვეტილებებიც პრუსიის მეფეს უნდა დაემტკიცებინა. ავსტრიის და ბავარიის წარმომადგენლებმა პროექტის გაცნობისთანავე ბერლინი დატოვეს, ხოლო საქსონიამ, ჰანოვერმა და პრუსიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც გერმანული კავშირის პრუსიული გეგმის მიხედვით რეორგანიზებას ითვალისწინებდა. მალე ამ შეთანხმებას 28 გერმანული სახელმწიფო შეუერთდა. არჩეული იქნა საერთოგერმანული პარლამენტიც, რომელიც 1850 წლის მარტში ქ.ერფურტში შეუდგა მუშაობას. პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანების პროცესი თითქოს ადგილიდან დაიძრა. ავსტრიასა და პრუსიას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ასეთ ვითარებაში ავსტრიის მთავრობა ენერგიულად ამოქმედდა მისი ზეწოლით საქსონია, ჰანოვერი და რამოდენიმე სხვა გერმანული სახელწმიფო პრუსიას ჩამოშორდა. პრუსია შეეცადა ავსტრიის წინააღმდეგ ომი წამოეწყო და ჯარების მობილიზაციაც კი გამოაცხადა, მაგრამ ავსტრიას მტკიცედ დაუჭირეს მხარი რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა, რომელთაც არ სურდათ ევროპის ცენტრში ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა. 1850 წლის ოქტომბერში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I ვარშავაში შეხვდა ავსტრიის და პრუსიის კანცლერებს შვარცენბერგს და ბრანდერბურგს და ავსტრიას მხარდაჭერა აღუთქვა. საბოლოო ჯამში პრუსია იძულებული გახდა უკან დაეხია. 1850 წლის. ნოემბერში ქალაქ ოლომიუცში პრუსიასა და ავსტრიას შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც გერმანული კავშირის ძველი სახით აღდგენას ითვალისწინებდა. ამგვარად პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანება ჩაიშალა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გერმანიის გაერთიანების საკითხმა კვლავ წინა პლანზე წამოიწია.გერმანიის ლიბერალური ბურჟუაზიის უდიდეს ნაწილს ფრთები შეასხა იტალიის ბურჟუაზიის წარმატებებმა იტალიის გაერთიანების საქმეში განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთ-პიემონტის

ჯარებმა იტალიაში ავსტრიას მძიმე მარცხი მიაყენეს. ავსტრიის დასუსტება გერმანიის გაერთიანების ხელსაყრელ პირობას ქმნიდა. გერმანიაში,განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში ლიბერალური ბურჟუაზია მკვეთრად გააქტიურდა. შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია „გერმანიის ნაციონალური კავშირი“ (ჰანოვერელი ადვოკატის ბენიგსენის მეთაურობით), რომელმაც პრუსიის ეგიდით გერმანიის გაერთიანების პროგრამა წამოაყენა. ,,ყველა გერმანელის ვალია პრუსიის მთავრობის ყოველმხვრივი მხარდაჭერა“-ნათქვამი იყო ამ პროგრამაში. მაგრამ სამხრეთ გერმანიაში, კერძოდ კი ბადენში, ვიურტემბერგსა და ბავარიაში ჩრდილოეთ გერმანიის ბურჟუაზიის გააქტიურებამ ადგილობრივი ბურჟუაზიის (რომელიც ავსტრიაზე იღებდა ორიენტაციას) დიდი შეშფოთება გამოიწვია. ბავარიის ბურჟუაზიის ინიციატივით აქ ე.წ. ,,რეფორმის კავშირი“ შეიქმნა, რომელიც ავსტრიის ეგიდით გერმანიის გაერთიანებას უჭერდა მხარს.

პრუსიის მმართველმა წრეებმა, კერძოდ პრინცმა-რეგენტმა ვილჰელმმა (მან 1857 წლიდან ტახტზე შეცვალა მისი ძმა ფრიდრიხ-ვილჰელმ IV, რომელიც ფსიქიურად დაავადდა) და კანცლერ შვერინის მთავრობამ (შვერინმა ამავე წელს კანცლერის პოსტზე ბრანდენბურგი შეცვალა) გადაწყვიტეს ესარგებლათ ავსტრიის დასუსტებით და გერმანიის მოსახლეობაში უნიტარიზმის ტენდენციის გაძლიერებით. ისინი ხედავდნენ, რომ იმ ეტაპზე ქვეყნის გაერთიანების ხელსაყრელი პირობები იქნებოდა. მაგრამ ქვეყნის გაერთიანების საქმეს დიდი საფრთხე შეუქმნა იმ კონფლიქტმა, რომელიც ლიბერალურ ბურჟუაზიასა (რომელსაც პრუსიის ლანდტაგში უმრავლესობა ქონდა) და პრუსიის მთავრობას შორის აღმოცენდა. ამ კონფლიქტის მიზეზი სამხედრო რეფორმის საკითხი გახდა. პრუსიის არმია ორგვარი სახის სამხედრო ნაწილებისგან შედგებოდა. იყო პროფესიონალი სამხედროებისგან შედგენილი პოლკები და აგრეთვე ე.წ. ლანდვერი-სახალხო ლაშქარი, რომელიც ომის დროს იკრიბებოდა და ცუდად გაწვრთნილი და ნაკლებადბრძოლისუნარიანი იყო.

პრუსიას კი, რომელიც ქვეყნის გაერთიანებაზე აყენებდა პრეტენზიას, რა თქმა უნდა მეტად ძლიერი არმია სჭირდებოდა. 1860 წელს სამხედრო მინისტრმა ფონ როონმა ლანდტაგს დასამტკიცებლად სამხედრო რეფორმის პროექტი წარუდგინა, რომელიც პროფესიონალთაგან შემდგარი პოლკების რაოდენობის გაზრდას, მათ გადაიარაღებას, სამხედრო სამსახურის ვადის ორიდან სამ წლამდე გადიდებას და რაც მთავარია ლანდვერის გაუქმებას ითვალისწინებდა, მაგრამ ლანდტაგის დეპუტატთა უმრავლესობა, რომელიც ლიბერალური ბურჟაზიის წარმომადგენელი იყო,ამ რეფორმის წინააღმდეგი იყო მანამ, სანამ მთავრობა არ გაატარებდა ისეთ რეფორმებს, რაც პრუსიაში პარლამენტის უფლებამოსილებას გააფართოებდა. ასეთ ვითარებაში მთავრობამ სამხედრო რეფორმის გატარება პარლამენტის გვერდის ავლით დაიწყო. მალე ფეხოსანთა პოლკების რაოდენობა 48-იდან 81-მდე გაიზარდა, საკავალერიო პოლკების__38-დან 48-მდე, ხოლო საარტილერიო პოლკების რაოდენობა 8-დან 18-მდე გადიდდა. საშინაო-პოლიტიკური ვითარება პრუსიაში მეტად დაიძაბა. ლიბერალური ბურჟუაზია, რომელმაც პროგრესისტული პარტია ჩამოაყალიბა, მკვეთრად დაუპირისპირდა სამეფო ხელისუფლების მომხრე თავად-აზნაურთა მიერ შექმნილ კონსერვატიულ პარტიას. დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1862 წელს, როცა პრუსიაში ლანდტაგის მორიგი არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში გამარჯვებას პროგრესისტებმა მიაღწიეს და ლანდტაგის პროგრესისტ დეპუტატთა უმრავლესობამ სამხედრო რეფორმის პროექტი უარყო. გაღიზიანებულმა მეფემ ვილჰელმ I-მა (მან ტახტი 1861 წელს დაიკავა ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის გარდაცვალების შემდეგ) კანცლერის პოსტზე ლიბერალი შვერინი თავად ჰოჰენლოეთი შეცვალა და ლანდტაგიც დაითხოვა. მაგრამ 1862 წლის მაისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში კვლავ პროგრესისტთა პარტიამ გაიმარჯვა და ახალმა ლანდტაგმა სამხედრო რეფორმის პროექტი კვლავ უარყო. სექტემბრისათვის ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ პრუსიაში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

ლიბერალური ბურჟუაზია აქტიურად მოითხოვდა პარლამენტის უფლებამოსილებათა გაფართოებას .ბურჟუაზიასთან სამეფო ხელისუფლების დაპირისპირება კი პრუსიას ახალი რევოლუციური აფეთქებით ემუქრებოდა, რასაც ჰოჰენცოლერნთა მონარქია საერთოდ შეეძლო წაელეკა. სამეფო კარი დაბნეულობამ და პანიკამ მოიცვა. სწორედ ამ მძიმე ვითარებაში, როცა გადამწყვეტი მოქმედება იყო საჭირო, 1862 წლის 23 სექტემბერს პრუსიის კანცლერის პოსტზე ვილჰელმ I-მა მტკიცე მონარქისტი თავადი ოტო ფონ ბისმარკი (1815-1898) დანიშნა, რომელსაც დაევალა შეექმნა ძლიერი ხელისუფლება და დაეთრგუნა ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგობა.ბისმარკი პოლიტიკაში ახალბედა პიროვნებას არ წარმოადგენდა მან ჯერ კიდევ 1848-1849 წლების რევოლუციის პერიოდში როგორც მონარქიის აქტიურმა მომხრემ მიიქცია პრუსიის ხელისუფალთა ყურადღება. 50-იან წლებში იგი ჯერ პრუსიის წარმომადგენელი იყო საკავშირო სეიმში, ხოლო შემდეგ—პრუსიის ელჩი რუსეთსა და საფრანგეთში.

კანცლერის პოსტის დაკავებისთანავე ბისმარკი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. მან კვლავ წარადგინა სამხედრო რეფორმის პროექტი ლანდტაგში და დეპუტატებს მისი დამტკიცება მოსთხოვა. პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან შემდეგი განაცხადა: „გერმანიას არა პრუსიის ლიბერალიზმის, არამედ მისი ძლიერების იმედი აქვს...ეპოქის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება არა პარლამენტში წარმოთქმული სიტყვებით და უმრავლესობის მიერ მიღებული დადგენილებებით, არამედ რკინით და სისხლით.“

მართალია ლანდტაგის დეპუტატთა უმრავლესობა ბისმარკის წინადადებას კვლავ უარყოფითად შეხვდა, მაგრამ ბისმარკმა, რომელმაც არმიის და პოლიციის მობილიზება მოახდინა, სამხედრო მინისტრ ფონ როონთან და გენშტაბის უფროს ფონ მოლტკესთან ერთად პარლამენტის გვერდის ავლით, ე.ი. კონსტიტუციის დარღვევით კვლავ გააგრძელა არმიის რეორგანიზაცია, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინიდან დიდი

თანხები დაიხარჯა. უნდა ითქვას, რომ შექმნილ ვითარებაში პრუსიის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ და მისი ინტერესების გამომხატველმა პროგრესისტთა პარტიამ უკან დაიხია და მთავრობასთან დაპირისპირებაზე უარი თქვა, რადგან ბურჟუაზია კარგად ხედავდა იმას, რომ მიუხედავად თავისი მონარქისტული მრწამსისა, სწორედ ბისმარკი იყო ის პიროვნება, რომელსაც ხელეწიფებოდა პრუსიის მთელი რესურსების მობილიზაცია და მთელი გერმანიის გაერთიანება. ეს კი პრუსიის ბურჟუაზიის ინტერესებსაც პასუხობდა. ისმარკის დაუღალავი მეცადინეობის წყალობით პრუსიის რეორგანიზებული ჯარი ახალი ტიპის სწრაფმსროლელი შაშხანებით და ფოლადისაგან ჩამოსხმული ქვემეხებით შეიარაღდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ტელეგრაფს და სარკინიგზო ქსელს სამხედრო ნაწილებს შორის კავშირის დამყარებისა და ცალკეული ქვედანაყოფების მანევრულობის ამაღლებისათვის. სამხედრო სამსახურის ვადა ორიდან სამ წლამდე გაიზარდა. მალე პრუსიის არმია ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს არმიად იქცა.

არმიის სათანადოდ მომზადების შემდეგ ბისმარკი ენერგიულად შეუდგა პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის „რკინითა და სისხლით“ გაერთიანების გეგმის განხორციელებას. თუმცა მას წინ მრავალი სიძნელე ეღობებოდა. უპირველეს ყოვლისა პრუსიის წინააღმდეგ ავსტრიის გამოსვლა იყო მოსალოდნელი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ სურდა პრუსიის მიერ გერმანიის გაერთიანების დაშვება. არც საფრანგეთი იყო დაინტერესებული თავის აღმოსავლეთ საზღვარზე ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს შექმნით. ამიტომ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III ყოველნაირად უჭერდა მხარს სამხრეთგერმანული სახელმწიფოების ანტიპრუსიულ პოლიტიკას, ცდილობდა ამ რეგიონში საფრანგეთის გავლენის შენარჩუნებას და რაინის მარცხენა სანაპიროს საფრანგეთისთვის მიერთებას ევროპის ცენტრში ერთიანი ძლიერი გერმანული სახელმწიფოს შექმნა ინგლისის და რუსეთის მთავრობებსაც აშფოთებდათ. ამიტომ ბისმარკი მათი მხრიდანაც მოელოდა წინააღმდეგობას. თუმცა XIX

საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს პრუსიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის არსებულმა უთანხმოებებმა ბისმარკს მაინც მისცა მანევრირების და საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთი ამ პერიოდში მექსიკის ექსპედიციით იყო დაკავებული,.რამაც მეტად გაართულა მისი ურთიერთობა ინგლისთან. ამავე დროს ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ დაძაბული იყო ურთიერთობა ერთიმხრივ ინგლისის-საფრანგეთ-ავსტრიას და მეორე მხვრივ რუსეთს შორის. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა 1863 წლიდან, როცა რუსეთის პოლონეთში პოლონელთა ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა. საფრანგეთის, ინგლისის და ავსტრიის მმართველი წრეები შეეცადნენ ეს აჯანყება ევროპაში რუსეთის პოზიციების დასუსტების მიზნით გამოეყენებინათ. ბისმარკმა მოხერხებულად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სცადა რუსეთის კეთილგანწყობილების მოპოვება, რასაც მიაღწია კიდეც. მან პოლონელთა აჯანყების ჩახშობაში. რუსეთს თავისი სამსახური შესთავაზა. 1863 წლის თებერვალში გაფორმებული პრუსია-რუსეთის ხელშეკრულების მიხედვით რუსეთის სამხედრო ნაწილებს აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად პრუსიის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება მიეცათ. რუსეთთან დაახლოების შემდეგ ბისმარკმა დანიისგან გერმანელებით დასახლებული ორი საჰერცოგოს, ჰოლშტაინის და სამხრეთ შლეზვინგის ჩამოცილება გადაწყვიტა. 1863 წელს დანიის ახალმა მეფემ ქრისტიან IX-მ გააუქმა ამ საჰერცოგოთა კონსტიტუცია და მათზე დანიის სამეფოს კონსტიტუცია გაავრცელა. დანიის ასეთმა მოქმედებამ მთელს გერმანიაში საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და პრუსიას ომის დაწყების საბაბი მისცა. ბისმარკმა დანიის მთავრობას ულტიმატიური ფორმით მოსთხოვა საჰერცოგოთა კონსტიტუციების აღდგენა. პრუსიას რომ არ ჩამორჩენოდა ამ ულტიმატუმს ავსტრიაც შეუერთდა. ავსტრიასთან ნაადრევი შეტაკების თავიდან ასაცილებლად ბისმარკი იძულებული გახდა ავსტრიასთან ერთად მოქმედებას დათანხმებოდა. დანიის მეფემ, რომელსაც ევროპის ქვეყნების

დახმარების იმედი ქონდა, წაყენებული ულტიმატუმი უარყო. ამის საპასუხოდ ავსტრო-პრუსიის ჯარები საჰერცოგოთა ტერიტორიებზე შეიჭრნენ. რამოდენიმეთვიანი ბრძოლების შემდეგ დანია დამარცხდა, რის შედეგადაც შლეზვიგ-ჰოლშტაინზე ავსტრო-პრუსიის ერთობლივი თანამფლობელობა დამყარდა. 1865 წელს ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შლეზვიგის მმართველობა პრუსიის ხელში გადავიდა, ხოლო ჰოლშტაინი ავსტრიას გადაეცა.

ბისმარკის შემდეგი ამოცანა ავსტრიის განადგურება იყო, რაც პრუსიას გერმანიის გაერთიანების გზაზე მთავარ შინაგან დაბრკოლებას მოუსპობდა. ავსტრიასთან ომის დაწყების საბაბის გამოძებნა პრუსიისთვის იოლი იყო, რადგან ავსტრიის მფლობელობაში მყოფ ჰოლშტაინში ავსტრიის ხელისუფლების ხელშეწყობით ანტიპრუსიული საქმიანობა და პროპაგანდა მიმდინარეობდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1866 წლის გაზაფხულზე ბისმარკმა საიდუმლო ხელშეკრულება დადო იტალიასთან და ამ უკანასკნელს ავსტრიასთან ომში პრუსიის დახმარების სანაცვლოდ ვენეციის ოლქი აღუთქვა. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო საფრანგეთის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა, რადგან ავსტრიის მხარეზე საფრანგეთის გამოსვლის შემთხვევაში ბისმარკის გეგმას განხორციელება არ ეწერა. საფრანგეთის ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად 1866 წლის გაზაფხულზე ბისმარკი საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ბიარიცში რამოდენიმეჯერ შეხვდა ნაპოლეონ III-ს და მას ბელგიის ნაწილი და რაინის მარცხენა ნაპირის ტერიტორიები აღუთქვა. ბისმარკმა კარგად იცოდა,რომ ამ ტერიტორიების საფრანგეთის ხელში გადასვლას კატეგორიულად აღუდგებოდა წინ ინგლისი. ნაპოლეონ III კი, რომელსაც ავსტრია-პრუსიის ომის გაჭიანურების და ორივე მეომარი სახელმწიფოს დასუსტების იმედი ქონდა, ამ ანკესს იოლად წამოეგო და ნეიტრალიტეტის ვალდებულება იკისრა.

საფრანგეთის ნეიტრალიტეტში და პრუსიის არმიის ძლიერებაში დარწმუნებული ბისმარკი აქტიურ მოქმედებაზე

გადავიდა. პრუსიის ჯარებმა ჰოლშტაინის ოკუპირება მოახდინეს. ამის საპასუხოდ გერმანიის კავშირის მმართველმა ორგანომ, საკავშირო სეიმმა ავსტრიის მოთხოვნით პრუსიის წინააღმდეგ ჯარების მობილიზაცია გამოაცხადა. ავსტრიას მიემხრნენ და პრუსიის წინააღმდეგ თავიანთი ჯარები გამოიყვანეს ბავარიამ, საქსონიამ, ჰანოვერმა, ვიურტემბერგმა, ჰესსენ-კასელმა, ჰესსენ-დარმშტადმა და ნასსაუმ. პრუსიის სარდლობა ენერგიულად ამოქმედდა. 1866 წლის 16 ივნისს პრუსიის არმიის ორი მძლავრი დაჯგუფება ავსტრიის მოკავშირეების, საქსონიის, ჰანოვერის, ჰესსენ-კასელის და თვით ავსტრიის ტერიტორიაზე შეიჭრა. მალე ავსტრიის წინააღმდეგ ომში იტალიაც ჩაება. საომარი ოპერაციები თავიდანვე პრუსიის ჯარების უპირატესობით წარიმართა, რომლებიც ახალი სისტემის შაშხანებით აღჭურვილნი, უკეთესად გაწვრთნილნი და უფრო მეტად მანევრულნი იყვნენ. ავსტრიის არმიის სარდალი ბენედეკი XVIII საუკუნისდროინდელი სამხედრო ხელოვნების ტრადიციების შესაბამისად მეტად სქემატურად მოქმედებდა მაშინ, როცა პრუსიელთა სარდალი ჰელმუტ ფონ მოლტკე (უფროსი) ფართოდ იყენებდა ახალ მეთოდებს თავის გენერლებს მხოლოდ მთავარ სტრატეგიულ ამოცანებს უსახავდა და მოქმედების თავისუფლებას და პირადი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას აძლევდა. უკუაგდეს რა ავსტრიის არმია, პრუსიის ჯარები ვენისკენ დაიძრნენ. 3 ივლისს სოფელ სადოვასთან გამართულ გენერალურ ბრძოლაში ავსტრიელთა მთავარი ძალები განადგურებულნი იქნა. მათ 34 ათ. კაცი დაკარგეს, ხოლო პრუსიელთა საერთო დანაკარგი მხოლოდ 9 ათას კაცს შეადგენდა. პრუსიელთა ჯარების მეორე დაჯგუფებამ ავსტრიის მოკავშირეთა ჯარებიც დაამარცხა და 15 ივლისს ქალაქი. მაინის ფრანკფურტი დაიკავა. სამხრეთიდან ავსტრიაში იტალიელებიც შემოიჭრნენ. ასეთ ვითარებაში ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. პრუსიის სამხედრო წარმატებებით ფრთაშესხმული მეფე ვილჰელმ I და უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები ვენის აღებას აპირებდნენ, მაგრამ ბისმარკმა მთელი თავისი უნარი გამოიყენა (იგი გადადგომითაც კი

დაიმუქრა) რათა მეფეს ამ განზრახვაზე ხელი აეღო. შორსმჭვრეტელ კანცლერს კარგად ესმოდა, რომ გერმანიის საბოლოო გაერთიანებისათვის მომავალში გარდაუვალი იყო ომი საფრანგეთთან. ასეთ შემთვევაში კი ავსტრიის სახით პრუსიას მოკავშირე სჭირდებოდა და არა მოწინააღმდეგე.

საბოლოო ზავი პრუსიასა და ავსტრიას შორის 23 აგვისტოს პრაღაში დაიდო. ამ ზავის მიხედვით უქმდებოდა ძველი გერმანული კავშირი და იქმნებოდა გერმანული სახელმწიფოების ახალი გაერთიანება, ,,ჩრდილოგერმანული კავშირი“. პრუსიის ხელმძღვანელობით. ავსტრია იძულებული იყო უარი ეთქვა ამ კავშირის წევრობაზე, ლიდერის როლი პრუსიისათვის გადაელოცა და პრუსიის მიერ ზოგიერთი გერმანული სახელმწიფოს შემოერთებასაც შეგუებოდა.

1866-1867 წლებში (13 დეკემბერი-9 იანვარი) ბერლინში ცალკეული გერმანული სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციაზე გამოცხადდა ჩრდილოგერმანული კავშირის შექმნა, რომლის შემადგენლობაში 22 გერმანული სახელმწიფო გაერთიანდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკუთრივ პრუსიის ტერიტორია,რომელმაც შეიერთა ნასაუ, ჰესენ-კასელი, ჰანოვერი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი და ქალაქი მაინის ფრანკფურტი. კავშირის გარეთ რჩებოდნენ მდინარე მაინის სამხრეთის მდებარე სახელმწიფოები: ბავარია, ვიურტემბერგი, ჰესენ-დარმშტადი და ბადენი. 1867 წელს დამფუძნებელმა რაიხსტაგმა მიიღო კონსტიტუცია, რომელმაც ამ ახალი კონფედერაციული სახელმწიფოს მოწყობა განსაზღვრა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებდა ჩრდილოგერმანული კავშირის პრეზიდენტი, პრუსიის მეფე ვილჰელმ I, რომელიც მეთაურობდა საერთო საკავშირო არმიას, წარმართავდა საგარეო პოლიტიკას, ნიშნავდა უმაღლესი თანამდებობის პირებს.მას შეეძლო საკანონმდებლო ორგანოების რაიხსტაგის და საკავშირო საბჭოს მოწვევა და დათხოვნა და მათ გადაწყვეტილებებზე აბსოლუტური ვეტოს დადება.იგი ნიშნავდა აგრეთვე თავის მოადგილეს,

საკავშირო კანცლერს, რომელიც მუდმივად თავმჯდომარეობდა საკავშირო საბჭოს.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ანხორციელებდნენ 297 დეპუტატისაგან შემდგარი არჩევითი ორგანო რაიხსტაგი (საყოველთაო საარჩევნო უფლება მამაკაცებისთვის) და საკავშირო საბჭო, რომელიც კავშირში შემავალი ცალკეული სახელმწიფოების დელეგატებისაგან შედგებოდა. რაიხსტაგის გადაწყვეტილებები საკავშირო საბჭოს უნდა დაემტკიცებინა. ახალი სახელმწიფოს დროშად იქცა ჰოჰენცოლერნების საგვარეულო შავ-თეთრი ალამი, რომელსაც წითელი ფერი დაუმატეს. კავშირში შემავალმა ცალკეულმა გერმანულმა სახელმწიფოებმა თავიანთი მონარქიები შეინარჩუნეს.

ჩრდილოგერმანული კავშირის შექმნა უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანების გზაზე. ურთიერთწინააღმდეგობაში ჩაფლულმა ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ვერ შესძლეს გაერთიანებული ძალით გამოსვლა და ამ პროცესისთვის ხელის შეშლა. ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისის მმართველ წრეებს გაძლიერებული პრუსია ევროპაში რუსეთის და საფრანგეთის საწინააღმდეგო ძალად მიაჩნდათ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ თავდაპირველად ავსტრია-პრუსიის ომის შედეგების გადასასინჯად ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის მოწვევა მოითხოვა, მაგრამ ბისმარკმა ერთიმხვრივ ომის მუქარით, ხოლო მეორემხვრივ პარიზის ზავის გადასინჯვაში მხარდაჭერის დაპირებით აიძულა რუსეთი უკან დაეხია. რაც შეეხება საფრანგეთს პრუსიის წინააღმდეგ არც ის გამოსულა, რადგან ნაპოლეონ III-ს რაინის მარცხენა სანაპიროს და ბელგიის მიერთების იმედი ქონდა, რაც მას ბისმარკმა ავსტრიის წინააღმდეგ ომის დაწყების წინ აღუთქვა.

მაგრამ ჩრდილოგერმანული კავშირის შექმნა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გერმანიის გაერთიანების დამთავრებას. ეს ამოცანა გადაწყვეტილი იქნა 1870-1871 წლებში საფრანგეთთან ძლევამოსილი ომის შედეგად, როცა ვერსალის სასახლეში 1871

წლის 18 იანვარს საზეიმოდ გამოცხადდა გერმანიის ერთიანი იმპერიის შექმნა. მის შემადგენლობაში ბადენი, ვიურტემბერგი, ჰესენ-დარმშტადი და ბავარიაც მოექცნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკურ განვითარებასთან და მუშათა ფენის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად გერმანიაში თანდათან აღმოცენდა მუშათა მოძრაობა. გერმანელი მეწარმეები უცხოელ მრეწველებთან მწვავე კონკურენციის გამო არ ზრდიდნენ ხელფასებს. სამაგიეროდ ზრდიდნენ სამუშაო დროს (15-16 სთ.) და ამაღლებდნენ მუშათა ექსპლუატაციის ხარისხს. ფართოდ გამოიყენებოდა ქალებისა და ბავშვების დაბალანაზღაურებადი შრომა. ყველაფერ ამას მუშათა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებიც ერთვოდა თან. მუშათა პირველი არაორგანიზებული, სტიქიური გამოსვლები, რომლის დროსაც ისინი მანქანებს ამსხვრევდნენ, პრუსიის რაინის პროვინციასა და საქსონიაში მოხდა, ხოლო პირველ დიდ გამოსვლას 1844 წელს. სილეზიის მხარეში ქონდა ადგილი. აქ, დაბა პეტერსვალდაუში ამბოხება მოაწყვეს საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა, რომელთაც ფაბრიკის მფლობელი ცვანციგერი მეტად სასტიკად ეპყრობოდა. პეტერსვალდაუელ ფეიქრებს მალე მეზობელი დაბის ლანგენბილაუს ფეიქრებიც შეუერთდნენ.მოხდა შეტაკება ჯარის ნაწილებთან, რომლის დროსაც 11 მუშა დაიღუპა, 24 დაიჭრა და 70 დაპატიმრებული იქნა. სილეზიელ ფეიქართა ამბოხებამ მთელს გერმანიაში პოვა გამოხმაურება. აშკარა იყო რომ გერმანიაში ჩამოყალიბდა მუშათა ფენა, რომელიც თავისი უფლებების დაცვისათვის შეუპოვარ ბრძოლას აპირებდა.

მუშათა მოძრაობის აღმოცენება-გაძლიერებასთან ერთად 1836 წელს პარიზში პოლიციის დევნის გამო თავშეფარებულმა გერმანელმა მუშებმა დაარსეს პირველი მუშათა პოლიტიკური ორგანიზაცია, „სამართლიანთა კავშირი“, რომელიც გერმანიის მუშათა მოძრაობისთვის ორგანიზებული ხასიათის მიცემას და ამ მოძრაობის არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ წარმართვას ისახავდა მიზნად. „სამართლიანთა კავშირის“ წევრებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა

მაგდებურგელი ხელოსანი (მკერავი) ვილჰელმ ვაიტლინგი. თავის ნაშრომებში „კაცობრიობა, როგორია იგი და როგორი უნდა გახდეს“ და „ჰარმონიის და თავისუფლების გარანტიები“ ვაიტლინგი სასტიკად აკრიტიკებდა კაპიტალიზმის მანკიერ მხარეებს. მას მიაჩნდა, რომ არსებული სახელმწიფო წყობის დამხობა და სამართლიანი,თანასწორი საზოგადოების შექმნა „დაჩაგრული და გამძვინვარებული ბრბოს“ სტიქიური ამბოხების გზით.იყო შესაძლებელი

მაგრამ მუშათა სტიქიური და არაორგანიზებული გამოსვლების მარცხმა როგორც საზღვარგარეთ, ისე თვით გერმანიაში (მაგ ზემოთაღნიშნული სილეზიელ ფეიქართა ამბოხება) თანდათან დაარწმუნა „სამართლიანთა კავშირის“ ხელმძღვანელები, რომ არსებული წყობის შეცვლა სხვა გზით იყო საჭირო. სწორედ ამ პერიოდში მუშათა მოძრაობაში თანდათან ძლიერდება კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ავტორიტეტი, რომლებიც თავიანთ სტატიებს აქვეყნებდნენ პრუსიაში, ქალაქ კელნში გამომავალ „რაინის გაზეთში“ (მარქსი ამ გაზეთის რედაქტორი იყო) და სასტიკად აკრიტიკებდნენ ვაიტლინგის სტიქიური ამბოხების ტაქტიკას. კ.მარქსი 1812 წელს პრუსიის რაინის პროვინციის ქალაქ. ტრირში დაიბადა. ბერლინის უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი საფუძვლიანად დაეუფლა ფილოსოფიას, ისტორიას, სამართალს და ლიტერატურას. ფ. ენგელსიც რაინის პროვინციაში დაიბადა ქალაქ. ბარმენში მდიდარი ფაბრიკანტის ოჯახში. მშობლების ნების საწინააღმდეგოდ (რომლებსაც სურდათ, რომ მას ბიზნესი შეესწავლა) იგი დამოუკიდებლად დაეუფლა ფილოსოფიას, ისტორიას და სამართალს. 1847 წელს „სამართლიანთა კავშირის“ ლიდერებმა კ.შაპერმა, ი.მოლმა და გ.ბაუერმა მარქსსა და ენგელსს ამ ორგანიზაციაში შესვლა და მისი გარდაქმნა შესთავაზეს. „სამართლიანთა კავშირში“ (რომელიც 1839 წლიდან ლონდონში ფუნქციონირებდა) მარქსისა და ენგელსის შესვლის შემდეგ ამ ორგანიზაციას „კომუნისტთა კავშირი“ ეწოდა. მიღებული იქნა

ორგანიზაციის ახალი წესდება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „კომუნისტთა კავშირის მიზანი ბურჟუაზიის პოლიტიკური ძალაუფლების დამხობა და ისეთი საზოგადოების შექმნა იყო, რომელშიც ყველა წევრი თანასწორი იქნებოდა და არ იარსებებდა კერძო საკუთრება. 1848 წელს მარქსმა და ენგელსმა დაწერეს ნაშრომი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელშიც ისინი ამხელდნენ კაპიტალიზმის ბუნებას, მსჯელობდნენ მისი განვითარების კანონებზე და ამტკიცებდნენ, რომ მას „მუშათა კლასის“, ანუ ე.წ. ,,პროლეტარიატის“ ხელით გარდაუვალი დაღუპვა მოელოდა. მაგრამ ვაიტლინგისგან განსხვავებით მარქსი და ენგელსი თვლიდნენ, რომ საჭირო იყო მუშათა ძლიერი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობითაც მუშათა ფენა განახორციელებდა კარგად მომზადებულ „პროლეტარულ რევოლუციას“ განახორციელებდა და პოლიტიკურ ძალაუფლებას იგდებდა ხელთ.

გერმანიაში 1848-1849 წლების რევოლუციის დასაწყისში კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელები მარქსი და ენგელსი, აგრეთვე ამ ორგანიზაციის სხვა წევრების უმრავლესობა პარიზში იმყოფებოდნენ.კ ომუნისტთა კავშირი შეეცადა თავის გავლენაში მოექცია რევოლუციის დასაწყისში გერმანიაში შექმნილი მუშათა ორგანიზაციები, გადაქცეულიყო მასობრივ მუშათა პარტიად და სათავეში ჩადგომოდა გერმანიის მუშათა მოძრაობას. ამ მიზნის მისაღწევად მარქსმა და ენგელსმა შექმნეს დოკუმენტი „კომუნისტური პარტიის მოთხოვნები“, რომელიც კომუნისტთა კავშირის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული იყო გერმანიაში მონარქიების დამხობის და რესპუბლიკური რეჟიმის ბაზაზე გერმანიის გაერთიანების, ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის, მიწების სახელმწიფოს ხელში გადასვლის, სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის და უფასო სახალხო განათლების შემოღების მოთხოვნები. 1848 წლის აპრილში მარქსი, ენგელსი და კომუნისტთა კავშირის სხვა წევრები გერმანიაში დაბრუნდნენ. მარქსმა და ენგელსმა აქტიური საქმიანობა გააჩაღეს პრუსიის

რაინის პროვინციის მთავარ ქალაქ კელნში. მათი მეცადინეობით კელნსა და სხვა გერმანულ ქალაქებში მუშათა ახალი ორგანიზაციები „მუშათა კავშირები“ აღმოცენდნენ. ივნისში მარქსის რედაქტორობით „ახალი რაინის გაზეთმა“ იწყო გამოსვლა მაგრამ საბოლოო ჯამში კომუნისტთა კავშირი არ აღმოჩნდა ისეთი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც მასობრივ პარტიად გადაქცევას და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობას შეძლებდა. მუშათა მოძრაობა რევოლუციის მსვლელობაში ძირითადად მაინც რადიკალ-ლიბერალების გავლენის ქვეშ დარჩა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ პრუსიის ხელისუფლებამ „ახალი რაინის გაზეთი“ დახურა. მარქსი და ენგელსი იძულებულნი გახდნენ გერმანია დაეტოვებინათ და ლონდონში გადასულიყვნენ.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მარქსი და ენგელსი მოწყვეტილნი იყვნენ სამშობლოს, მათ მაინც ქონდათ მიმოწერა და კავშირები „კომუნისტთა კავშირის“ იმ წევრებთან, რომლებიც გერმანიაში რჩებოდნენ. ისინი მათ დაუღალავად მოუწოდებდნენ შეექმნათ მუშათა რევოლუციური პარტია, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოლებდა. უნდა ითქვას, რომ ვითარება გერმანიაში მარქსის მიმდევრებს გააქტიურების საშუალებას აძლევდა. საქმე იმაშია, რომ 50-იან წლებში მიუხედავად ეკონომიკური აღმავლობისა, გერმანელ მუშათა მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. გერმანელი მეწარმეები სარგებლობდნენ რა იმით, რომ თავისუფალი მუშახელის რაოდენობა ქვეყანაში ძალიან დიდი იყო (სოფლიდან მცირემიწიანი გაღატაკებული გლეხობის დიდი მასის მოდინების გამო), არსებითად არ ზრდიდნენ მუშათა ხელფასს და არც სამუშაო დროს ამცირებდნენ. ამიტომ მუშათა საგაფიცვო მოძრაობა ქვეყანაში საკმაოდ ძლიერი იყო, ხოლო 1857-1859 წლების მორიგმა ეკონომიკურმა კრიზისმა იგი კიდევ უფრო გააძლიერა.

მაგრამ მარქსსა და მის მიმდევრებს მუშათა მასობრივი პოლიტიკური პარტიის შექმნის და მუშათა მოძრაობის

ხელმძღვანელობის საქმეში სილეზიელი ბურჟუას ოჯახში დაბადებული ნიჭიერი, ორატორის და პუბლიცისტის ფერდინანდ ლასალის (1825-1864) სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ. მართალია ლასალიც მხარს უჭერდა მუშათა მასობრივი პარტიის შექმნას, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა მუშათა მოძრაობას, მაგრამ მარქსისტებისგან განსხვავებით ლასალის მიმდევრები-ლასალიანელები მუშათა პარტიას არა არსებული რეჟიმის დამხობას, არამედ საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლას უსახავდნენ მიზნად, რაც საშუალებას მისცემდა მუშათა პარტიას თავისი დეპუტატები მომავალი ერთიანი გერმანიის პარლამენტში გაეყვანა და რეფორმების გზით გაეუმჯობესებინა მუშათა მდგომარეობა. ლასალიანელები მუშებს არწმუნებდნენ იმაში, რომ ასეთი მშვიდობიანი გზით კაპიტალიზმის პირობებშიც კი იყო შესაძლებელი მუშათა ექსპლუატაციის ხარისხის მაქსიმალური შემცირება და თანასწორთა საზოგადოების შექმნა. მარქსისტებისგან განსხვავებით ლასალიანელები გერმანიის პრუსიის ეგიდით გაერთიანებას უჭერდნენ მხარს, რადგან მიაჩნდათ, რომ სწორედ პრუსია და მისი კანცლერი ბისმარკი წარმოადგენდნენ რეალურ ძალას, რომელსაც ქვეყნის გაერთიანების უნარი შესწევდა.

1863 წლის მაისში ქ.ლაიფციგში ჩატარებულ გერმანიაში მოქმედი მუშათა კავშირების კონგრესზე ლასალიანელებმა მოახერხეს მუშათა პოლიტიკური პარტიის, „გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის“ შექმნა, რომლის თავმჯდომარედ თვითონ ლასალი იქნა არჩეული (თუმცა იგი მალე 1864 წელს სასიყვარულო ნიადაგზე გამართულ დუელში და რუმინელი ოფიცრის ხელით იქნა მოკლული).

ამის საპასუხოდ გერმანელმა მარქსისტებმა მუშა ავგუსტ ბებელის და ჟურნალისტ ვილჰელმ ლიბკნეხტის მეთაურობით 1869 წლის აგვისტოში ქალაქ .აიზენახში მათი მომხრე მუშათა კავშირების ყრილობა ჩაატარეს, რომელზეც „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ შექმნა გამოცხადდა. ამგვარად

60-იანი წლების ბოლოს გერმანიის მუშათა მოძრაობა ორ ნაწილად აღმოჩნდა გათიშული.

3. რეიხი 1871-1914 წწ.

ეკონომიკური განვითარება. საფრანგეთთან ომში გამარჯვების შემდეგ მოისპო ის უკანასკნელი ბარიერი, რაც ხელს უშლიდა პრუსიის ჰეგემონობით გერმანული სახელმწიფოების საბოლოო გაერთიანებას. 1871 წლის 18 იანვარს ვერსალში გამოცხადდა ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნა. პრუსიის მეფე ვილჰელმ I გერმანიის იმპერატორი გახდა.

გაერთიანებამ უდიდესი ბიძგი მისცა გერმანიის ეკონომიკის განვითარებას, რაც სწრაფად და წარმატებით მიმდინარეობდა XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში და რის შედეგადაც 70-90-იან წლებში ქვეყანაში ძირითადად დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება. ოდესღაც ჩამორჩენილი აგრარული გერმანია ერთ-ერთ მოწინავე აგრარულ- ინდუსტრიულ სახემწიფოდ იქცა.

გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი საშინაო ბაზარი, შეიქმნა ერთიანი ფულადი და ზომა-წონის სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ გარდა ამისა იყო კიდევ რიგი სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ევროპის სხვა მოწინავე ქვეყნებთან შედარებით გერმანიის ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებით სწრაფ ტემპს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ გერმანია მდიდარი იყო მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულით. კერძოდ ქვანახშირით და რკინის მადნით, რომელთა მდიდარი ბუდობები თავმოყრილი იყო რურის და საარის მხარეებში (ქვანახშირი), აგრეთვე ზემო სილეზიის ოლქში (რკინის მადანი). საფრანგეთიდან ელზას-ლორენის რკინის მადნით მდიდარი ოლქების მიტაცებამ და 5 მილიარდი ფრანკი კონტრიბუციის მიღებამ კიდევ უფრო

გაზარდა გერმანიის ეკონომიკური პოტენციალი. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ გერმანიის მრეწველობის განვითარება მიმდინარეობდა ძველი ინდუსტრიული ქვეყნების - ინგლისისა და საფრანგეთის გამოცდილების საფუძველზე. ახლადაშენებული გერმანული ფაბრიკა-ქარხნების აღჭურვა ხდებოდა უახლესი ტექნიკით. საწარმოებში ფართოდ ინერგებოდა იმდროისათვის მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც იქმნებოდნენ უახლესი სამეცნიერო აღმოჩენების (მაგალითად ბესემერის, თომასისა და მარტენის მეთოდების გამოყენება მეტალურგიაში) ბაზაზე.

გერმანიაში განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა მძიმე მრეწველობა, კერძოდ ლითონდამამუშავებელი, ლითონსადნობი და მანქანათმშენებელი დარგები. 1871-1900 წლებში ქვანახშირის მოპოვება გერმანიაში 4-ჯერ გაიზარდა, თუჯის გამოდნობა 6-ჯერ, ხოლო ფოლადის გამოდნობა 50-ჯერ. რკინიგზის ქსელის საერთო სიგრძე 21 ათასი კილომეტრიდან 50 ათას კმ-მდე გაიზარდა. რკინის მოპოვებით, ფოლადის და თუჯის გამოდნობით XIX ს-ის ბოლოსათვის გერმანია მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა აშშ-ს შემდეგ. გაჩნდა მრეწველობის ისეთი ახალი და სწრაფად განვითარებადი დარგი, როგორიც იყო ელექტროტექნიკური მრეწველობა (მისი შემქმნელი იყო ცნობილი გერმანელი ინჟინერი და გამომგონებელი ვერნერ სიმენსი). შეიქმნა კიდევ ერთი ახალი დარგი - ქიმიური მრეწველობა. 1883 წლისათვის გერმანიის ქიმიურ ქარხნებზე მოდიოდა საღებავების მსოფლიო წარმოების 2/3. გერმანულ ანილინის საღებავებს იყენებდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საფეიქრო მრეწველობა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად მასში მიმდინარეობდა კონცენტრაციის პროცესი, რასაც ხელს უწყობდა პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც იწვევდნენ რიგი წვრილი და საშუალო საწარმოების გაკოტრებას. აღნიშნულ

პერიოდში წარმოიქმნენ მსხვილი ფირმები, რომელთა საერთო რაოდენობამ საუკუნის ბოლოსათვის 250-ს მიაღწია. ზოგიერთი უმსხვილესი ფირმა მრეწველობის ცალკეულ დარგებს მნიშვნელოვანწილად აკონტროლებდა. უმსხვილეს ფორმებს შორის შეიძლება დავასახელოთ 1879 წელს შექმნილი „კალიუმის სინდიკატი" აგრეთვე 1887 წელს შექმნილი „გერმანიის ლითონსადნობი ქარხნების გაერთიანება" (ეს უკანასკნელი 57 ქარხანას აერთიანებდა მთელი გერმანიის მასშტაბით). 1893 წელს შეიქმნა კიდევ ერთი გიგანტი „რაინ-ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატი". უმსხვილეს გაერთიანებებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ელექტროტექნიკურ მრეწველობაში მოქმედი კონცერნები „სიმენსი და ჰალსკე" და „აეგი" („საყოველთაო ელექტრული კომპანია"). ქიმიურ მრეწველობაში მოქმედებდა ისეთი გიგანტი, როგორიც იყო ფირმა „ბასფი" („ბადენის, ანილინის და სოდის ფაბრიკები"). სამხედრო მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეკავა „კრუპის" ფირმას, რომლის საწარმოებში 45 ათასი მუშა იყო დასაქმებული. ვინაიდან მრეწველობის ცალკეული დარგების სწრაფი განვითარება და გიგანტური ფირმების საქმიანობა დიდ ფულად სახსრებს საჭიროებდა, გერმანიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ფინანსური კაპიტალის კონცენტრაციაც. იქმნებოდა მსხვილი ბანკები, რომლებიც მრეწველობის სხვადასხვა დარგში მოქმედ ფირმებს აფინანსებდნენ. თუ 1873 წელს გერმანაში იყო სულ 73 ბანკი საერთო კაპიტალით 432 მლნ. მარკა, 1900 წლისათვის ბანკების რიცხვმა 165-ს მიაღწია, ხოლო მათში არსებულმა კაპიტალმა საერთო ჯამში 2,8 მილიარდი მარკა შეადგინა. უნდა აღინიშნოს ისეთი უმსხვილესი ბანკები, როგორებიც იყვნენ „გერმანიის ეროვნული ბანკი", „დარმშტადის ბანკი", „დრეზდენის ბანკი", „ბერლინის სავაჭრო საზოგადოება", „შაფჰაუზენის საბანკო კავშირი", „სააღრიცხვო საზოგადოება". განსაკუთრებით აღსანიშნავია „გერმანიის ბანკი", რომლის

ფულადმა კაპიტალმა და მარაგმა 1900 წელს 200 მილიონ მარკას მიაღწია. გერმანიაში არსებული ფულადი სახსრები მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიოდა საზღვარგარეთ. 1883 წელს საზღვარგარეთ გერმანული კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა 5 მილიონ მარკას, საუკუნის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 13 მილიარდს მიაღწია.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა გერმანიის სოფლის მეურნეობის განვითარებაც. გერმანიის აღმოსავლეთ რეგიონებში (აღმ. პრუსია, პომერანია, მეკლენბურგი და სხვ.) ძირითადად მიწები თავმოყრილი იყო მსხვილი და საშუალო მემამულეების (იუნკრების) ხელში, რომლებიც ფერმერულ მეურნეობას მისდევდნენ. გერმანიის სამხრეთ და დასავლეთ მხარეებში (ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი და სხვ.) ფართოდ იყო გავრცელებული შეძლებული გლეხების (გროსბაუერების) ფერმერული მეურნეობანი. ასეთი ტიპის მეურნეობები ფართოდ იყენებდნენ მოწინავე სასოფლო სამეურნეო ტექნიკას, აგროტექნიკურ მეთოდებს, მინერარულ სასუქებს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა ნათესი ფართობების ზრდას, მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას, მეცხოველეობაში პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. საერთო ჯამში გერმანიის სოფლის მეურნეობა მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილას იდგა, თუმცა მის განვითარებას გარკვეულწილად აფერხებდა 3 მილიონამდე წვრილი გლეხური პარცელარული მეურნეობის არსებობა (ასეთ მეურნეობაში მიწის ფართობი 2 ჰექტარზე ნაკლები იყო). შემაფერხებელი გარემოება იყო აგრეთვე ევროპის ბაზარზე ამერიკული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხრიდან კონკურენცია.

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა. მან 1890 წელს 7,5 მილიარდ მარკას მიაღწია, ხოლო 1900 წელს 10 მილიარდ

მარკას. თუმცა გერმანიის საგარეო ბაჭრობის ბალანსი ჯერჯერობით მაინც პასიური იყო. შემოტანილი საქონლის და ნედლეულის ღირებულება სჭარბობდა ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებას.

საშინაო ვითარება. ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნის გამოცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 1871 წლის მარტში მოწვეული იქნა საერთოიმპერიული დამფუძნებელი კრება, რომელმაც მცირე შესწორებებით ყოფილი ჩრდილო გერმანული კავშირის კონსტიტუცია იმპერიის კონსტიტუციად დაამტკიცა. კონსტიტუციის მიხედვით ახლადშექმნილმა გერმანიის იმპერიამ პრუსიის ჩათვლით 22 გერმანული სახელმწიფო გააერთიანა. იმპერიაში შევიდა 3 თავისუფალი ქალაქი ჰამბურგი, ლიუბეკი და ბრემენი.

მიტაცებული ელზას-ლორენინგია იმპერიის განსაკუთრებულ პროვინციად გამოცხადდა, რომელსაც მართავდა იმპერატორის მიერ დანიშნული ნაცვალი. იმპერიაში შემავალმა სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს თავიანთი მმართველი დინასტიები და კონსტიტუციები. მათ აგრეთვე შეინარჩუნეს თავიანთი პარლამენტები (ლანდტაგები), რომელთა კომპეტენციაში შედიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები (მაგ. განათლება, საეკლესიო საკითხები, ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადების აკრეფა და სხვა). საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს (მაგ. თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო გადასახადები, სახელმწიფო კანონმდებლობა) კი იმპერიის ხელისუფლება წყვეტდა.

კონსტიტუციის მიხედვით გერმანიის იმპერიის სახელმწიფო წყობა კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენდა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა საერთო იმპერიულ პარლამენტს - რაიხსტაგს, რომლის დეპუტატებსაც 5 წლის ვადით ირჩევდნენ იმპერიაში მოქმედი საყოველთაო საარჩევნო კანონის საფუძველზე. ხმის მიცემის უფლება ჰქონდა ყველა 25 წელს მიღწეულ მამაკაცს (ჯარისკაცების გამოკლებით). რეალურად რაიხსტაგის უფლებები მეტად შეზღუდული იყო. მის მიერ

მიღებული კაონები უნდა დაემტკიცებინა მასზე უფრო ზემდგომ ორგანოს - რაიხსრატს, საბოლოოდ კი იმპერატორს. რაიხსრატი არ იყო არჩევითი ორგანო, მისი წევრები ცალკეული გერმანული სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ და ამ სახელმწიფოების მეთაურების მიერ ინიშნებოდნენ.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა გერმანიის იმპერატორი (კაიზერი). იგი იყო სეხელმწიფოს მეთაური, არმიის მთავარსარდალი, წარმართავდა საგარეო პოლიტიკას, შეეძლო ომის გამოცხადება და ზავის დადება, ამტკიცებდა კანონებს, ნიშნავდა უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს. იმპერატორს შეეძლო რაიხსტაგის დათხოვნა. იმპერატორი ნიშნავდა მთავრობის მეთაურს - რაიხსკანცლერს, რომელიც მხოლოდ იმპერატორისა და არა პარლამენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი. კანცლერს ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო მდივნები (მინისტრები), რომელთაც კანცლერი ნიშნავდა. კანცლერი აგრეთვე რაიხსტაგის თავჯდომარეც იყო. ამგვარად გერმანიაში არსებობდა ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ფაქტიურად საკანონმდებლო ხელისუფლებას იქვემდებარებდა. საერთოდ კონსტიტუცია უზრუნველყოფდა სხვა გერმანულ სახელმწიფოებს შორის პრუსიის ჰეგემონობას. გერმანიის იმპერატორი აუცილებლად პრუსიის მეფე უნდა ყოფილიყო, ხოლო კანცლერი პრუსიის მთავრობის მეთაური. რაიხსტაგის 58 ადგილიდან 17 პრუსიას ეკუთვნოდა (14 ხმა საკმარისი იყო რაიხსტაგის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დასადებლად). ეს ბუნებრივიც იყო, პრუსია იმპერიის 55%-ს მოიცავდა და მასში საერთო გერმანული მოსახლეობის 61% ცხოვრობდა. გერმანიის იმპერიის პირველ კანცლერად იმერატორმა ვილჰელმ I-მა ოტო ბისმატკი დანიშნა. იგი ამ პოსტზე თითქმის 20 წელი (1871-1890 წწ) იმყოფებოდა.

გაერთიანებული გერმანიის საშინაო-პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურ როლს ასრულებდნენ რიგი პოლიტიკური

პარტიები, რომლებიც სახოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებს გამოხატავდნენ. წამყვანი პოზიციები ეკავა კონსერვატორთა პარტიას, რომელიც გამოხატავდა ძირითადად პრუსიელი მემამულეების (იუნკრების), მსხვილი ფერმერების (გროსბაუერების), უმაღლესი ოფიცრებისა და საერთოდ გერმანიის პროტესტანტული (ლუთერანული) ეკლესიის ინტერესებს. კონსერვატორები მხარს უჭერდნენ სხვა გერმანულ სახელმწიფოებზე პრუსიის ჰეგემონობის შენარჩუნებას და ეწინააღმდეგებოდნენ ყოველგვარ რეფორმებს, თუ ისინი მიმართული იქნებოდნენ საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების (რაიხსტაგისა და რაიხსრატის) კომპეტენციის გაფართოებისაკენ. კონსერვატორებს ეკავათ უმეტესი ხელმძღვანელი თანამდებობები არმიაში, აგრეთვე მინისტრთა პოსტები მთავრობაში. პარტიას ჰქონდა საკუთარი გაზეთი - „კრეიც ცაიტუნგი“. გავლენინ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა აგრეთვე „საიმპერიო პარტია“, რომელიც ძირითადად გამოხატავდა მთელი გერმანიის მსხვილი მემამულეების ინტერესებს, თუმცა მასში ზოგიერთი მსხვილი მრეწველიც შედიოდა. კონსერვატორებისაგან განსხვავებით საიმპერიო პარტია გამოდიოდა ყოველგვარი პარტიკულარიზმის წინააღმდეგ და მტკიცედ უჭერდა მხარს იმპერიის ერთიანობას. პარტიის ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველები კრუპი, კირდორფი და შტუმი. აღსანიშნავია „ნაციონალურ ლიბერალური“ პარტია, რომელიც გამოხატავდა ძირითადად გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. ეს პარტია (ლიდერები იყვნენ მიკელი და ბენიგსენი) მხარს უჭერდა იმპერიის ერთიანობას, არმიისა და ფლოტის გაძლიერებას და აქტიურ საგარეო-კოლონიურ პოლიტიკას, აგრეთვე გერმანიის მრეწველობის შემდგომი განვითარებისაკენ მიმართულ რეფორმებს. პარტიის ბეჭდვითი ორგანოებიიყვნენ გაზეთები „ნაციონალ ცაიტუნგი“ და კელნიშე ცაიტუნგი“.საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხათავდა „პროგრესისტების

პარტია“(ლიდერები ვიხტერი და ვირხოფი). მართალია პარტია გერმანიაში არსებულ კონსტიტუციურ რეჟიმს მხარს უჭერდა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა მოითხოვდა საკანონმდებლო ხელისუფლების - რაიხსტაგის (პარლამენტის) ხელისუფლების გაფართოებას. 1871 წელს შეიქმნა ე.წ. „კათოლიკური ცენტრის პარტია“ (ამ პარტიის წარმომადგენელ დეპუტატებს პარლამენტში ცენტრში განლაგებული სკამები ეკავათ). ამ პარტიაში გაერთიანებული იყვნენ გერმანიის საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ პრუსიის ჰეგემონობით და აგრეთვე პროტესტანტული ეკლესიის პრივილეგირებული მდგომარეობით. კათოლიკურ ცენტრის პარტიას დიდი გავლენა ჰქონდა გერმანიის სამხრეთ და დასავლეთ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკე იყო და აგრეთვე ძლიერი იყო ანტიპრუსიული განწყობილება. პარტიას მხარს უჭერდნენ გერმანიაში მცხოვრები პოლონელი კათოლიკები, აგრეთვე ელზას-ლორანის კათოლიკე ფრანგული მოსახლეობა. კათოლიკური ცენტრის პარტია მოითხოვდა ცალკეული გერმანული სახელმწიფოების უფლებების გაფართოებას იმპერიის შიგნით, აგრეთვე კათოლიკურ ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებას და კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი სასკოლო ქსელის გაფართოებას. პარტიის ლიდერი იყო ვინდხორსტი, ხოლო ბეჭდვითი ორგანო - გაზეთი „გერმანია“.

თავის საშინაო პოლიტიკაში კანცლერის პოსტზე მყოფი ბისმარკი მიზნად ისახავდა გერმანიის ბურჟუაზიის და მემამულეთა ფენის ინტერესების შეთანხმებას, ეკონომიკის განვითარებას, ქვეყნის შიგნით სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას და საბოლოო ჯამში იმპერიის ერთიანობის განმტკიცებას. აქეთკენ იყო მიმართული 70-იან წლებში ბისმარკის მიერ გატარებული რეფორმები. საშინაო პოლიტიკაში ბისმარკი ძირითადად ეყრდნობოდა საიმპერიო და ნაციონალურ-

ლიბერალურ პარტიებს, რომელთაც რაიხსტაგში უმრავლესობა ჰქონდათ. ეკონომიკის სფეროში საშინაო ბაზარზე გერმანიის მრეწველობის კონკურენციისაგან დაცვის მიზნით მთავრობა პროტექციონიზმს ატარებდა. ნაციონალიზებული იქნა რკინიგზები. თამბაქოთი და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობაზე შემოღებული იქნა სახელმწიფო მონოპოლია. 1871-1873 წლებში გატარდა ფულის რეფორმა. მთელი გერმანიისათვის საერთო ფული გახდა პრუსიული ოქროს მარკა. პრუსიის ბანკი საერთო იმპერიულ ბანკად გადაკეთდა და მიიღო ფულის გამოშვების მონოპოლიური უფლება. ცენტრალიზებული იქნა ფოსტა-ტელეგრაფის სისტემა. ჩატარდა სამხედრო რეფორმა. შემოღებული იქნა საყოველთაო მობილიზაცია და შეიქმნა ერთიანი საიმპერიო არმია, რომლის შემადგენლობამ 1874 წელს (მშვიდობიან პერიოდში) კანონით 402 ათასს მიაღწია. იმავე წელს მიღებული ე.წ. „სეპტენატის“ კანონით პარლამენტს სამხედრო ბიუჯეტი 7 წლის ვადით უნდა დაემტკიცებინა. ამრიგად ამ ხნის განმავლობაში პარლამენტი არმიაზე კონტროლს კარგავდა. უმაღლეს სასამართლო ინსტიტუტად გამოცხადდა „საიმპერიო სასამართლო“, რომლის ადგილსამყოფელი გახდა ქალაქი ლაიფციგი.

საპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით ბისმარკმა დაიწყო ღონისძიებების გატარება კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რომლის ინტერესებს გამოხატავდა კათოლიკური ცენტრის პარტია. ხელისუფლების ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ გერმანიის ისტორიაში ცნობილია „კულტურკამპის“ (ბრძოლა კულტურისათვის) სახელწოდებით. 1872-1875 წლებში გატარებული იქნა რიგი კანონები კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. კათოლიკურმა ეკლესიამ დაკარგა კონტროლის უფლება დაწყებით სკოლებზე. მღვდლებს აეკრძალათ პოლიტიკური აგიტაცია. ეპისკოპოსების თანამდებობებზე დანიშვნა სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

გერმანიაში აიკრძალა იეზუიტებისა და სხვა კათოლიკური ორდენების საქმიანობა. შემოღებული იქნა ადამიანთა ქორწინების, აგრეთვე დაბადებისა და გარდაცვალების სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაცია. რომის პაპის პიუს IX-ის მოწოდებით გერმანელმა კათოლიკეებმა ბისმარკის ღონისძიებებს დაუმორჩილებლობით უპასუხეს. ამას მოჰყვა ურჩ ეპისკოპოსთა დაპატიმრებები. მაგრამ კათოლიკეების წინააღმდეგ რეპრესიებმა კიდევ უფრო გაზარდა „კათოლიკური ცენტრის პარტიის“ ავტორიტეტი. პარტიის დეპუტატთა რაოდენობა რაიხსტაგში 63-დან 95-მდე გაიზარდა, მათ ემხრობოდა კიდევ 30 დეპუტატი (გერმანიაში მცხოვრები ფრანგების, დანიელებისა და პოლონელების წარმომადგენლები). ბისმარკის ღონისძიებებს, რომლებმაც გერმანიაში ფაქტიურად ხელყვეს რელიგიის თავისუფლება. უკვე მკვეთრად აკრიტიკებდა ნაციონალ-ლიბერალური პარტიაც. ბისმარკი იძულებული გახდა უარი ეთქვა ანტიკათოლიკურ ღონისძიებებზე და კათოლიკურ ეკლესიასთან შერიგების კურსს დადგომოდა მით უმეტეს, რომ ქვეყნის შინაგან სტაბილურობას დიდი საფრთხე დაემუქრა მუშათა მოძრაობის სახით. ასეთ პირობებში მთავრობისათვის კათოლიკური ეკლესიისადმი დაპირისპირება მეტად არახელსაყრელი იყო. 70-80-იანი წლების მიჯნაზე გაუქმებული იქნა თითქმის ყველა ანტიკათოლიკური კანონი (ძალაში დარჩა მხოლოდ ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაცია და სახელმწიფო კონტროლი სკოლებზე).

1878 წ. მაის-ივნისში ანარქისტებმა ორჯერ სცადეს იმპერატორ ვილჰელმ I-ის მოკვლა. მეორე თავდასხმის შედეგად იმპერატორი მსუბუქად დაიჭრა. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ბისმარკმა მიაღწია იმას, რომ იმავე წლის ოქტომბერში რაიხსტაგმა დაამტკიცა ბისმარკის მიერ წარდგენილი ე.წ. „განსაკუთრებული კანონი“, რომელიც მიმართული იყო როგორც ანარქისტების, ასევე სოციალისტების წინააღმდეგ, ვინაიდან მათ

უპირატესი გავლენა ჰქონდათ მუშათა მოძრაობაზე. განსაკუთრებული კანონის მიხედვით (იგი 1890 წლამდე მოქმედებდა) დაიშალა ყველა სახის მუშათა ორგანიზაცია პროფკავშირების ჩათვლით, სადაც ანარქისტებს და სოციალისტებს ჰქონდათ გავლენა. დაიხურა ის ჟურნალ გაზეთებიც, რომლებიც ანარქისტული და რევოლუციური სოციალიზმის იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობა აიკრძალა. ბისმარკს სარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო ღონისძიებების გატარება მუშათა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მუშათა ფენაში იმ რევოლუციურ-მეამბოხური განწყობილების აღმოფხვრა, რაც ასეთ ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა ანარქისტულ და რევოლუციური სოციალიზმის იდეებს. ამიტომ 80-იან წლებში ბისმარკის ინიციატივით რაიხსტაგმა მიიღო რამდენიმე კანონი, რომელთაც გარკვეულწილად უნდა გაეუმჯობესებინათ მუშათა სოციალური მდგომარეობა. 1883 წელს მიღებული იქნა კანონი ავადმყოფობის შემთხვევაში მუშათა დაზღვევის შესახებ. 1884 წ. დაწესდა ფინანსური დახმარება მუშებზე უბედური შემთხვევების დროს. 1889 წ. შემოღებული იქნა დაზღვევა ინვალიდობისა და მოხუცებულობისათვის. ეს სადაზღვევო სისტემა (რომელიც შემდგომ უფრო სრულყოფილი გახდა) 90-იან წლებში 15 მილიონ მუშა-მოსამსახურეზე გავრცელდა. დაზღვევამ სავალდებულო ხასიათი მიიღო. სადაზღვევო ფონდებში თანხები ნაწილობრივ თვით მუშებს შეჰქონდათ, ხოლო ნაწილობრივ ამ ფონდებს თვით სახელმწიფო აფინანსებდა. მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები მუშათა სოციალური მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის არ კმაროდა, ამასთან ერთად მუშები უკმაყოფილო იყვნენ განსაკუთრებული კანონის მოქმედებით, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობას კრძალავდა. საპარლამენტო არჩევნების დროს მუშათა დიდი უმრავლესობა კვლავ

სოციალისტებს უჭერდა მხარს. 1884 წ. რაიხსტაგის არჩევნებისას სოციალისტებმა 24 ადგილი მიიღეს. ძლიერდებოდა მუშათა გაფიცვებიც, სადაც მშრომელები ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვდნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო 1889 წლის რურის მეშახტეთა გაფიცვა (მონაწილეობდა 90 ათასი მუშა), რომელიც პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით დამთავრდა.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის სიმძლავრემ, რაც ქვეყნის შინაგან დესტაბილიზაციას იწვევდა, მნიშვნელოვნად შეარყია ბისმარკის ავტორიტეტი გერმანიის საზოგადოების (განსაკუთრებით ბურჟუაზიის) თვალში. ამას თან დაერთო „რკინის კანცლერის“ წარუმატებლობანი საგარეო ასპარეზზე. საფრანგეთთან გართულებულ ურთიერთობას რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის გაუარესებაც დაემატა, რასაც საბოლოოდ საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება მოჰყვა. ეს კი ბისმარკის საგარეო პოლიტიკის დიდი მარცხი იყო. გარდა ამისა ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში ბისმარკი მთავარ ყურადღებას უთმობდა გერმანიის პოზიციების გამაგრებას ევროპაში (საფრანგეთთან მოსალოდნელი ომის გამო) და მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა კოლონიების დაპყრობას. ქვეყნის შიგნით ბისმარკის პოზიციები მნიშვნელოვნად დაასუსტა 1888 წელს იმპერატორ ვილჰელმ I-ის გარდაცვალებამაც, რომელზედაც „რკინის კანცლერს“ დიდი ზეგავლენა ჰქონდა. ტახტზე ავიდა გარდაცვლილი მონარქის შვილი ავადმყოფი ფრიდრიხ III, რომელმაც მხოლოდ სამი თვე იმეფა და გარდაიცვალა. იმავე 1888 წელს ტახტზე ავიდა ფრიდრიხ III-ის ვაჟი ახალგაზრდა 28 წლის ვილჰელმ II (1888-1918 წწ). ახალგაზრდა იმპერატორი მეტად პატივმოყვარე პიროვნება იყო, იგი მიისწრაფვოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მმართველობაში და ცხადია იგი ბისმარკის ჩრდილში ყოფნას ვერ შეურიგდებოდა. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა მონარქსა და

მოხუც კანცლერს შორის სერიოზული უთანხმოებანი არსებობდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში. გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად ვილჰელმ II მხარს უჭერდა კოლონიური პოლიტიკის გააქტიურებას. მაგრამ იმპერატორსა და კანცლერს შორის ყველაზე დიდ დაპირისპირებას იწვევდა მუშათა მოძრაობისადმი დამოკიდებულების საკითხი. ვილჰელმ II-ს მიაჩნდა, რომ ქვეყნის შინაგანი სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით საჭირო იყო სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული ბისმარკისეული განსაკუთრებული კანონის გაუქმება და რიგი ახალი ღონისძიებების გატარება მუშათა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

1890 წლის დასაწყისში ბისმარკმა ახლადარჩეულ პარლამენტს (სადაც სოციალისტებს 35 ადგილი ჰქონდათ) შესთავაზა განსაკუთრებული კანონის სამუდამოდ შემოღება. რაიხსტაგმა ეს მოთხოვნა უარყო. მარტში ბისმარკი იძულებული გახდა გადამდგარიყო. კანცლერის პოსტი დაიკავა პრუსიელმა გენერალმა ლეო ფონ კაპრივიმ (კანცლერი იყო 1890-1894 წწ). განსაკუთრებული კანონი გაუქმდა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ლეგალური საქმიანობის საშუალება მიეცა. გატარდა რიგი ღონისძიებანი მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1890 წლის კანონით შემოღებულ იქნა მომრიგებელი სასამართლოები, რომლებიც მუშებისა და მეწარმეებისაგან შედგებოდა. ამ სასამართლოებს უნდა გადაეწყვიტათ სადავო საკითხები მშრომელებსა და საწარმოთა მფლობელებს შორის. 1891 წლის კანონით ქალებისათვის დაწესებული იქნა 11 საათიანი სამუშაო დღე, ხოლო 14-16 წლის მოზარდებისათვის 10 საათიანი სამუშაო დღე. აიკრძალა საწარმოებში 13 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების შრომა. ამავე წელს პრუსიის მასშტაბით შემოღებული იქნა პროგრესული საშემოსალო გადასახადი. 1891-1894 წლებში კანცლერმა კაპრივიმ დადო სავაჭრო ხელშეკრულებანი ავსტრია-უნგრეთთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, ესპანეთთან,

სერბეთთან, რუსეთთან და რუმინეთთან. ეს ხელშეკრულებანი ითვალისწინებდნენ საბაჟო ტარიფების შემცირებას ამ ქვეყნებიდან გერმანიაში შემოტანილ ხორბალზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. სამაგიეროდ ამ ქვეყნებსაც უნდა შეემცირებინათ ბაჟები იქ შეტანილ გერმანულ სამრეწველო პროდუქციაზე. აღნიშნული ხელშეკრულებები ხელსაყრელი იყო გერმანიის სამრეწველო ბურჟუაზიისათვის, მაგრამ იმავე დროს საშინაო ბაზარზე უცხოური ხორბლის კონკურენციამ გერმანელ მემამულეთა და ფერმერთა აღშფოთება გამოიწვია, რომლებმაც სპეციალური ორგანიზაცია - „სოფლის მეურნეთა კავშირიც“ კი შექმნეს. ეს ორგანიზაცია მკაცრად აკრიტიკებდა მთავრობის საბაჟო პოლიტიკას. ამას გარდა, კაპრივის მისწრაფებამ არმიის შემდგომი რიცხობრივი გაზრდისაკენ, რასაც შეეძლო გამოეწვია გერმანიის შეტაკება საფრანგეთ-რუსეთის კოალიციასთან, გამოიწვია წინააღმდეგობა კათოლიკური ცენტრის პარტიის, პროგრესისტების პარტიის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან. 1894 წ. კაპრივი იძულებული გახდა კანცლერის პოსტიდან გადამდგარიყო.

გერმანიის კანცლერად დაინიშნა მსხვილი მიწათმფლობელი თავადი ხლოდვიგ ფონ ჰოჰენლოე (კანცლერი იყო 1894-1900 წწ). ახალი მთავრობისთვის საშინაო პოლიტიკაში მთავარ ამოცანად იქცა ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირების აღმოფხვრა ბურჟუაზიასა და მემამულეებს შორის, რომელსაც მუშათა მოძრაობაზე არანაკლებ შეეძლო ქვეყნის საშინაო მდგომარეობის დესტაბილიზაცია. ასეთი ვითარება გერმანიის მმართველი წრებისათვის მოუთმენელი იყო იმიტომ, რომ ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყანა უკვე სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდა საგარეო ასპარეზზე მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში. ეკონომიკურად გაძლიერებული გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც დიდ მოგებას იღებდა როგორც ქვეყნის შიგნით დაბანდებული, ისე უცხოეთში

გატანილი კაპიტალისგან, უკვე თანდათან საბაჟო პოლიტიკის საკითხში მემამულეების მიმართ დათმობაზე წასვლის ტენდენციებს ამჟღავნებდა. ამის გამოხატულება იყო 1897 წელს ქ. დიუსელდორფში ჩატარებული „რაინ-ვესტფალიის მხარის ეკონომიკური ინტერესების დაცვის კავშირის“ შეკრება. ამ შეკრებაში მონაწილეობას იღებდნენ აღნიშნული მხარის როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები. შეკრებაზე მხარი დაუჭირეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე ბაჟების ამაღლებას. შემდგომში ამ იდეას მხარი დაუჭირა „გერმანელ მრეწველთა ცენტრალურმა კავშირმა“ - ორგანიზაციამ, რომელიც მთელი გერმანიის მასშტაბით მეწარმეთა დიდ ნიწილს აერთიანებდა. თუმცა კონკრეტული ნაბიჯი ამ მიმართულებით მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გადაიდგა.

გაერთიანების შემდეგ გერმანიის სწრაფ სემრეწველო განვითარებას თან ახლდა მუშათა რიცხვის ზრდა. საუკუნის დასასრულისათვის მარტო მრეწველობაში 11 მილიონი მუშა იყო დასაქმებული. მუშათა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მათი საგაფიცვო მოძრაობა სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენდა გერმანიის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მუშათა მოძრაობაძე უპირატეს გავლენას სოციალისტები ახდენდნენ, მაგრამ ისინი ერთიან პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდნენ. 70-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში არსებობდა სოციალისტების ორი პარტია: 1863 წ. ფერნინად ლასალის მიერ შექმნილი „გერმანიის მუშათა კავშირი“ (ლიდერები - შვეიცერი და ჰაზენკლევერი) და 1869 წ. შექმნილი მარქსის მიმდევრების, მარქსისტების მიერ შექმნილი „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია“ (პარტიას ლიდერობდნენ ავგუსტ ბებელი და ვილფელმ ლიბკნეხტი). როგორც ლასალის, ისე მარქსის მიმდევარი სოციალისტები მიიჩნევდნენ, რომ გერმანიაში კაპიტალიზმი უნდა შეეცვალა სოციალიზმს, რომელიც უზრუნველყოფდა მუშათა ცხოვრების

მაღალ დონეს. მაგრამ როგორ უნდა იქნეს მიღწეული სოციალიზმი? ამ საკითხში ლასანიალების და მარქსისტების შეხედულებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. ლასალიანელები მიიჩნევდნენ, რომ საყოველთაო საარჩევნო კანონი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კანონიერი გზით, ყოველგვარი რევოლუციის გარეშე მუშათა ინტერესების გამომხატველ პარტიას შეეძლო მოეპოვებინა საპარლამეტო უმრავლესობა, მოსულიყო ხელისუფლების სათავეში და შეექმნა ახალი ტიპის ე.წ. „თავისუფალი სახალხო სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფდა მუშათა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. ლასალიანელებისგან განსხვავებით მარქსისტები თვლიდნენ, რომ სოციალიზმი მიიღწევა მხოლოდ მუშათა კლასის (რომელსაც მუშათა პარტია უხელმძღვანელებს) მიერ გლეხობასთან კავშირში განხორციელებული რევოლუციის გზით. რევოლუციის შედეგად უნდა შეიქმნას ე.წ „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფო, რომელსაც უხელმძღვანელებს მუშათა კლასი და სადაც მოისპობა კერძო საკუთრება. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა მუშათა ფენის ინტერესების უფრო ეფექტური დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე გერმანელმა სოციალისტებმა 1875 წელს მოახერხეს გაერთიანება. გაერთიანების შედეგად შეიქმნა „გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია“ რომელსაც 1890 წლიდან „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია“ ეწოდა. მას ჰქონდა თავისი პრესის ორგანო - გაზეთი „ფორვერტსი“. ბისმარკისეული განსაკუთრებული კანონის მოქმედების პერიოდში პარტიამ თვითდაშლა გამოაცხადა, თუმცა მისი ცალკეული ორგანიზაციები განაგრძობდნენ საქმიანობას ქვეყნის შიგნით (არალეგალურად) და ემიგრაციაში საზღვარგარეთ. XIX ს. 90-იან წლებში გერმანიის ეკონომიკური განვითარების შედეგად მუშათა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აქედან გამომდინარე მუშათა ფენაში რევოლუციური განწყობილება შესამჩნევად ეცემა. ამის შედეგი იყო ის, რომ მარქსისტი სოციალისტები მუშათა

მოძრაობაზე გავლენას თანდათან კარგავენ. გერმანულ სოციალ-დემოკრატიაში ძლიერდება რეფორმისტული იდეები, რომელთა ფუძემდებელი იყო ედუარდ ბერნშტეინი. მარქსისტების საწინააღმდეგოდ ბერნშტეინის მიმდევრები სავსებით სამართლიანად ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამიტომ წინააღმდეგობა მეწარმესა და მუშას შორის კი არ მწვავდება, არამედ სუსტდება და უფრო იოლად მოგვარებადი ხდება. ამიტომ სოციალიზმის დასამყარებლად საჭირო არ არის მუშათა პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლა, მით უმეტეს რევოლუციის გზით. ბერნშტეინელების აზრით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას პარლამენტში უნდა ეთანამშრომლა სხვა პარტიებთან და ამ გზით მიეღწია ისეთი რეფორმებისათვის, რომლებიც შემდგომში გერმანიის მუშათა სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუმჯობესებდნენ.

საგარეო პოლიტიკა. საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგმა ახალი ვითარება შექმნა ევროპის კონტინენტზე. წარმოიქმნა ერთიანი გერმანული სახელმწიფო, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით ძალიან ძლიერი იყო და საფრთხეს უქმნიდა თავის მეზობლებს. XIX ს. 1870-1890-იან წლებში, ბისმარკის კანცლერობის პერიოდში გერმანიის საგარეო პოლიტიკის (რომლესაც ბისმარკი წარმართავდა) მთავარი მიზანი იყო ევროპაში გერმანიის პოზიციების შემდგომი განმტკიცება და საბოლოოდ ჰეგემონობის მოპოვება. ეს ბისმარკისეული საგარეო-პოლიტიკური კურსი „კონტინენტური პოლიტიკის“ სახელითაა ცნობილი. კოლონიების დაპყრობას და კოლონიური იმპერიის შექმნას ბისმარკი მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა.

გერმანიის მმართველ წრეებს კარგად ესმოდათ, რომ მათი ჰეგემონისტური მისწრაფებების მთავარი მოწინააღმდეგე იყო რევანშისტულად განწყობილი საფრანგეთი (ან საფრანგეთის მიერ შექმნილი კოალიცია), რომელთანაც მომავალი სამხედრო

შეტაკება გარდაუვალი იყო. ამიტომ გერმანიის დიპლომატიისათვის მთავარ ამოცანად იქცა არ დაეშვათ საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რომელიმე ევროპულ სახელმწიფოსთან (ან სახელმწიფოთა ჯგუფთან). ამასთან ერთად გერმანიის მთავრობა, რომელიც ხედავდა თუ რა სწრაფად მიმდინარეობდა საფრანგეთის სამხედრო პოტენციალის აღდგენა, მზად იყო პროვოკაციულად აეტეხა ახალი ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა იგი.

საფრანგეთის იზოლაციაში მოქცევის მიზნით ბისმარკმა დაიწყო ავსტრია-უნგრეთთან და რუსეთთან დაახლოება. ამ დაახლოებას ხელს უწყობდა ე.წ. „მონარქისტული სოლიდარობა“, აგრეთვე ისიც, რომ გერმანიასა და მის პარტნიორებს შორის იმ ეტაპზე საგარეო ასპარეზზე არ არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობა. გარდა ამისა, როგორც ავსტრია-უნგრეთი, ისე განსაკუთრებით რუსეთი დაინტერესებული იყვნენ გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოვებით. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა 1873 წელს გერმანია-ავსტრია-რუსეთის სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმება (ე.წ. სამი მიმპერატორის კავშირი), რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთკონსულტაციებს ევროპაში ვითარების გართულების შემთხვევაში. ერთი შეხედვით თითქოს შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ „სამი იმპერატორის კავშირი“ უახლოეს მომავალში სამხედრო ბლოკად გადაქცეულიყო, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგობანი ბალკანეთზე გავლენის საკითხში შეურიგებელი აღმოჩნდა, ასევე წარმოჩინდა ისიც, რომ რუსეთს არ სურდა საფრანგეთის დასუსტება. ეს იმას ნიშნავდა, რომ „სამი იმპერატორის კავშირს“ მომავალი არ ჰქონდა. ეს ნათლად დაადასტურა მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ. 1875 წელს საფრანგეთში მიღებულმა კანონმა არმიის რიცხობრივი გაზრდის შესახებ და აგრეთვე ქვეყნიდან ცხენების ექსპორტის აკრძალვამ სერიოზულად შეაშფოთა გერმანიის მთავრობა. გერმანიის პრესამ

დიდი კამპანია გააჩაღა საფრანგეთის მხრიდან საფრთხის შესახებ. გერმანიის გენერალური შტაბი რეკომენდაციას იძლეოდა საფრანგეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაეწყოთ პრევენტიული (წინასწარი) ომი. მაგრამ ბერლინში იმავე წელს ვიზიტით ჩასულმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ და მთავრობის მეთაურმა თავადმა გორჩაკოვმა ბისმარკს აგრძნობინეს, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთზე გერმანიის ახალ თავდასხმას. ასეთივე ანტიგერმანული პოზიცია დაიკავა ინგლისმაც. ბისმარკი იძულებული გახდა უკან დაეხია. დაიწყო გერმანია-რუსეთის ურთიერთობების გაუარესება. გერმანიის მთავრობა მიხვდა, რომ საფრანგეთის იზოლაციაში მოქცევა შეუძლებელი იყო, რომ მომავალში მოსალოდნელი იყო გერმანიის შეტაკება საფრანგეთის მიერ შექმნილ კოალიციასთან და ამ კოალიციაში სავსებით შესაძლებელი იყო რუსეთის მონაწილეობაც (რისიც ბისმარკს ყველაზე მეტად ეშინოდა). აქედან გამომდინარე, გერმანიის დიპლომატიამ დაიწყო ზრუნვა ისეთი კოალიციის შესაქმნელად, რომლიც ერთდროულად როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამ მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, გერმანია უფრო მჭიდრო დაახლოებას იწყებს ავსტრია-უნგრეთთან. ბალკანეთში თავისი ექსპანსიის გასაძლიერებლად გერმანიასთან კავშირით, რა თქმა უნდა, თვით ავსტრიაც იყო დაინტერესებული. გერმანია-ავსტრიის დაახლოების ტენდენცია 1878 წლის ბერლინის კონგრესზე გამოიხატა, სადაც ბისმარკი რუსეთის საწინააღმდეგოდ მხარს უჭერდა ავსტრიის დელეგაციას. ამის შემდეგ გერმანია-რუსეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამას ხელს უწყობდა ეკონომიკური ფაქტორიც. რუსეთის მთავრობა პროტექციონისტულ ზომებს იღებდა საშინაო ბაზარზე გერმანული სამრეწველო პროდუქციის კონკურენციისგან თავისი სუსტი და ნელა განვითარებადი მრეწველობის დასაცავად. თავის მხრივ გერმანიის მთავრობამ აამაღლა ბაჟი უცხოურ იმპორტირებულ სასოფლო

პროდუქციაზე, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთს, რადგან გერმანული ბაზარი ფაქტიურად დაიკეტა რუსული ხორბალისა და სხვა პროდუქტებისათვის. გერმანია-ავსტრიის დაახლოება 1879 წლის 7 ოქტომბრის საიდუმლო ხელშეკრულებით დამთავრდა. ევროპაში შეიქმნა პირველი სამხედრო ბლოკი, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთთან ომის შემთხვევაში ორივე სახელმწიფო ერთმანეთისათვის სამხედრო დახმარებას კისრულობდა. ბისმარკის მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება იყო ის ფაქტი, რომ 1882 წლის 20 მაისს აღნიშნულ კავშირს იტალიაც შეუერთდა, რომლის ურთიერთობა საფრანგეთთან მეტად გართულებული იყო ჩრ. აფრიკაში მეტოქეობის გამო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა ტუნისი დაიპყრო. ამგვარად ორთა კავშირი სამთა კავშირად გადაიქცა. გერმანია და იტალია ერთმანეთს სამხედრო დახმარებას აღუქვამდნენ საფრანგეთთან ომის შემთხვევაში. ამგვარად, სამთა კავშირი უკვე არამარტო რუსეთის, არამედ საფრანგეთის წინააღმდეგაც იყო მიმართული.

გერმანია-ავსტრია-იტალიის სამხედრო ბლოკის შემდეგ „სამი იმპერატორის კავშირმა“ დაკარგა რეალური ძალა, იგი მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. ბისმარკი გრძნობდა, რომ თავისი პოლიტიკით იგი ხელს უწყობდა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებას. ბისმარკი შეეცადა ეს არ დაეშვა. მან ისარგებლა რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობის გამწვავებით აზიაში და რუსეთის მთავრობა დაითანხმა 1881 წელს (სამთა კავშირის შექმნამდე) „სამი იმპერატორის კავშირის“ განახლებაზე. მიღწეული ახალი შეთანხმება ფაქტიურად იყო შეთანხმება ნეიტრალიტეტის შესახებ. რუსეთი კისრულობდა ნეიტრალიტეტს საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში, ხოლო გერმანია და ავსტრია რუსეთს ნეიტრალიტეტს აღუქვამდნენ რუსეთ-ინგლისის ომის შემთხვევაში. მაგრამ გერმანიამ მაინც ვერ მიაღწია

საფრანგეთისა და რუსეთის გათიშვას. 1884 წელს „სამი იმპერატორის კავშირის“ განახლებისას რუსეთის მთავრობამ გერმანიას აგრძნობინა, რომ რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს მხოლოდ მაშინ, თუ საფრანგეთი დაესხმება თავს გერმანიას და არა პირიქით. ამის გამო გერმანიის მთავრობა იძულებული იყო 1887 წლის აპრილში საფრანგეთთან აღმოცენებული სასაზღვრო კონფლიქტი ე.წ. „შნებელეს ინციდენტი“ (რამაც ორ ქვეყანას შორის კვლავაც შექმნა ომის საფრთხე) მშვიდობიანად მოეგვარებინა. ამის შემდეგ „სამი იმპერატორის კავშირს“ ფაქტიურად ძირი გამოეთხარა. 1887 წლის ივნისში კავშირის განახლებისას უკვე რუსეთმა აღარ იკისრა ნეიტრალიტეტი გერმანიისა და საფრანგეთის ომის შემთხვევაში. ამავე დროს სულ უფრო უარესდებოდა გერმანია-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები. ორივე ქვეყანა ბაჟს ამაღლებდა ერთმანეთის ნაწარმზე. რუსეთის მთავრობაზე ეკონომიკური ზეწოლის მიზნით, რათა მას გერმანულ საქონელზე საბაჟო ტარიფები დაეწია, გერმანულმა ბანკებმა რუსეთის მთავრობას უარი უთხრეს სესხის მიცემაზე, მაგრამ ამან გერმანიის საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო - ინიციატივა ხელთ იგდეს ფრანგულმა ბანკებმა. რუსეთში დაიწყო ფრანგული კაპიტალის ფართო შეღწევა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება.

XIX ს. 80-იანი წლების შუა ხანებიდან გერმანიამ საფუძველი ჩაუყარა თავის კოლონიურ იმპერიას. 1884 წელს გერმანიის კოლონიად გამოცხადდა ბრემენელი ვაჭრის ლიუდერიცის მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ადგილობრივი ტომის ბელადებისგან შესყიდული ვრცელი ტერიტორია (დღევანდელი ნამიბია). ამ კოლონიას ეწოდა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა. იმავე წელს გერმანიამ მიიტაცა ტოგო და კამერუნი. 1885 წელს გერმანიამ ხელთ იგდო დიდი ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში და კუნძული ზანზიბარი. ამ კოლონიას

ეწოდა გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა (დღევანდელი ტანზანია). შორეულ აღმოსავლეთში 1884 წელს გერმანიამ ხელთ იგდო კ. გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (დღევანდელი პაპუა და გვინეა). გერმანიის ხელში გადავიდა აგრეთვე წყნარ ოკეანეში მდებარე მარშალის კუნძულები.

ბისმარკის გადადგომის შემდეგ (1890წ.) გერმანიის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი შემობრუნება მოხდა, რაც „ახალი კურსის“ სახელითაა ცნობილი. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობა შეურიგებელი იყო და გარდაუვალი იყო საფრანგეთ-რუსეთის კავშირი, გერმანიის მმართველმა წრეებმა 1891 წელს უარი თქვეს სამი იმპერატორის კავშირის განახლებაზე. ამის შემდეგ გერმანიის დიპლომატიისათვის მთავარ ამოცანად იქცა სამთა კავშირის სამხედრო ბლოკის ისეთი გაძლიერება, რომ პოტენციურად იგი უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე საფრანგეთ-რუსეთის მომავალი ალიანსი. ამ მიზნით გერმანიის მთავრობამ ინგლისთან დაახლოება სცადა, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ სამთა კავშირს შეერთებოდა. ამ ამოცანის გადაჭრისას გერმანიის დიპლომატიისათვის მთავარი კოზირი იყო ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობანი. მაგრამ გერმანიის მთავრობისათვის ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. ინგლისის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ უზარმაზარი ბრიტანული კოლონიური იმპერიისათვის ეკონომიკურად განვითარებული, მილიტარისტული გერმანია (რომელიც მსოფლიოს გადანაწილებაზე აყენებდა პრეტენზიას), სასიკვდილო საფრთხე იყო. ინგლის-გერმანიის გაძლიერებული წინააღმდეგობების (მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში) ფონზე ინგლის-რუსეთის და ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი თანდათან უკანა პლანზე ინაცვლებდნენ. კაპრივის კანცლერობის პერიოდში გერმანიის მთავრობისათვის ცხადი გახდა, რომ ინგლისთან დაახლოვების

გეგმამ მარცხი განიცადა. იმავდროულად გერმანიის სამხერო სტრატეგიული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. ეს გამოწვული იყო 1891-93 წლებში საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ალიანსის შექმნით. ევროპაში აღმოცენდა სამთა კავშირის საწინააღმდეგო ახალი სამხედრო ბლოკი. გერმანიის წინაშე ნათლად გამოიკვეთა მომავალ ომში ორ ფრონტზე ბრძოლის საფრთხე.

90-იანი წლების შუა ხანებიდან (ჰოჰენლოეს კანცლერობის დროს) გერმანიის მთავრობა ე.წ. „მსოფლიოს პოლიტიკაზე“ გადადის, ე.ი. მკვეთრად ააქტიურებს კოლონიურ პოლიტიკას. ამ აქტიური საგარეო პოლიტიკის სულის ჩამდგმელები იყვნენ თვით იმპერატორი ვილჰელმ II, საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნჰარდ ფონ ბიულოვი და საზღვაო მინისტრი ალფრედ ტირპიცი. გერმანიის ბურჟუაზიისა და მემამულეების ყველაზე უფრო აგრესიულად და შოვინისტურად განწყობილმა ელემენტებმა შექმნეს „პანგერმანული კავშირი“. ეს ორგანიზაცია ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და პორტუგალიის კოლონიების ხარჯზე უზარმაზარი კოლონიური იმპერიების შექმნას ქადაგებდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიულოვმა რაიხსტაგში თავისი ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა: „წავიდა ის დრო, როცა გერმანელი ერთ მეზობელს მიწას უტოვებდა, მეორეს ზღვას და თვითონ მხოლოდ ცით კმაყოფილდებოდა... ჩვენ ჩვენთვის ვთხოულობთ ადგილს მზის ქვეშ“. დიდი კოლონიური იმპერიის შექმნა დიდ სამხედრო-საზღვაო ფლოტს მოითხოვდა. 1898 წელს ადმირალ ტირპიცის წინადადებით რაიხსტაგმა დაამტკიცა უზარმაზარი ფლოტის მშენებლობის 20 წლიანი პროგრამა, რაც ინგლისისათვის პირდაპირი გამოწვევაც იყო. გერმანიის გენშტაბში ალფრედ შლიფენის მეთაურობით გამალებით მუშავდებოდა საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედების გეგმა.

გერმანიის კოლონიური ექსპანსიის მორიგ ობიექტად იქცა ჩინეთი. გამოიყენა რა საბაბად ორი გერმანელი კათოლიკე მისიონერის მკვლელობა, გერმანიის ესკადრამ დაიკავა შანდუნის ნახევარკუნძულზე მდებარე პორტი კიაო-ჩაო (ცზიაო-ჩჟოუ). 1898 წელს ჩინეთის მთავრობა იძულებული გახდა გერმანიისათვის იჯარით გადაეცა მთელი შანდუნის ნახევარკუნძული. კიაო-ჩაოს პორტში გერმანული სამხედრო-საზღვაო ბაზა დამკვიდრდა. 1899 წელს 17 მილნ. მარკად წყნარ ოკეანეში გერმანიამ ესპანეთისაგან შეისყიდა კაროლინის და მარიანას კუნძულები. გერმანიამ ხელთ იგდო კუნძულ სამოას ნაწილი. გაძლიერდა გერმანული კაპიტალის შეღწევა ოსმალეთის იმპერიაში. 1898 წელს სტამბულში ვიზიტით მყოფ ვილჰელმ II-სა და თურქეთის სულთანს შორის დაიწყო მოლაპარაკება გერმანული ფირმებისათვის ე.წ. „ბაღდადის რკინიგზის“ გაყვანის უფლების მინიჭების შესახებ. ეს სარკინიგზო ხაზი უნდა დაწყებულიყო ბერლინიდან, ბოსფორის სრუტის გავლის შემდეგ უნდა გადაეკვეთა მთელი ოსმალეთის იმპერია და უნდა გასულიყო სპარსეთის ყურის სანაპიროზე. გერმანიის კოლონიური ექსპანსიის გაფართოება ინგლისის მკვეთრ წინააღმდეგობას აწყდებოდა (მაგ. ტრანსვაალის საკითხში), რაც ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაუარესებას იწვევდა. მიუხედავად გარკვეული მონაპოვარის - XIX საუკუნის ბოლოსთვის გერმანიის კოლონიები ტერიტორიული ფართობით და მოსახლეობით, რაოდენობრივად ბევრად ჩამოუვარდებოდნენ ინგლისის და საფრანგეთის კოლონიურ იმპერიებს, რაც გერმანიის მმართველ წრეებს შემდგომი ექსპანსიისაკენ უბიძგებდა.

4.გერმანია 1900-1914 წლებში

<u>ეკონომიკური განვითარება</u>. XX საუკუნის დასაწყისში გერმანია კვლავ ინარჩუნებდა თავისი ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპებს. განსაკუთრებით სწრაფი იყო მრეწველობის

განვითარების ტემპი. 1900-1913 წლებში თუჯის გამოდნობა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა (8,5 მლნ. ტონიდან 19,3 მლნ. ტონამდე). თითქმის ორჯერ გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება (109,3 მლნ. ტონიდან 190,1 მლნ. ტონამდე). სამჯერ გაიზარდა ფოლადის წარმოება (6,6 მლნ. ტონიდან 18.3 მლნ. ტონამდე). უკვე 1900 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობით გერმანიამ გაუსწრო ინგლისს და ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა. 1912 წლისათვის გერმანია 5 მლნ. ტონით მეტ თუჯს აწარმოებდა ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი ერთად აღებული. განუხრელად იზრდებოდა გერმანიის წილი მწოფლიო სამრეწველო წარმოებაში. 1913 წლისათვის გერმანიას ამ მაჩვენებლით (16%) მსოფლიოში მეორე ადგილი ეკავა, იგი მხოლოდ აშშ-ს (36%) ჩამორჩებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია უკვე მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 28% იყო დასაქმებული სოფლის მეურნეობაში.

მრეწველობის ახალ დარგებთან ერთად (ქიმიური, ელექტროტექნიკური, საავტომობილო) შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი წინსვლა ტრანსპორტშიც. გაფართოვდა რკინიგზის ქსელი და შიდა სამდინარო კომუნიკაციები. მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა. 1900-1913 წლებში გერმანიის ექსპორტი გაორმაგდა.

გერმანიის მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპს განაპირობებდა ისეთი ფაქტორები, როგორიც იყო: ქვეყნის სიმდიდრე სასარგებლო წიაღისეულით (განსაკუთრებით რკინით და ქვანახშირით), სამრეწველო საწარმოებში უახლესი მეცნიერული აღმოჩენების ბაზაზე ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის მაღალი დონე. კოლონიების სიმცირის გამო ეროვნული ფინანსური კაპიტალის უფრო დიდი რაოდენობით

დაბანდება ქვეყნის შიგნით და ომისათვის მზადებასთან დაკავშირებით სამხედრო მრეწველობის ზრდა.

მართალია გერმანიაში ხდებოდა პერიოდული ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები, რასაც მოსდევდა მრეწველობის განვითარების ტემპის გარკვეული შენელება, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს გერმანიის საერთო ეკონომიკურ ვითარებაზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა.

განვითარების ტემპით მრეწველობას გარკვეულწილად ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობა, მაგრამ მისი საერთო პროდუქტიულობა განუხრელად მატულობდა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მისი კონცენტრაციის პროცესიც. გიგანტური მონოპოლისტური გაერთიანებანი თავის გავლენას უქვემდებარებდნენ ცალკეულ დარგებს. XIX საუკუნის ბოლოს შექმნილი მსხვილი ფირმა „რაინ-ვესტფალიის სინდიკატი“ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ქვანახშირის მოპოვების 94%-ს აკონტროლებდა, ხოლო მთელი გერმანიის მასშტაბით 50%-ზე მეტს. 1904 წელს შეიქმნა „ფოლადის სინდიკატი“, ხოლო 1910 წელს - „რკინის სინდიკატი“. აღსანიშნავია ისეთი მძლავრი ფირმები როგორებიც იყვნენ კრუპის და ტისენის კონცერნები - „გელზენკირხენის სამთო საზოგადოება“ და მეტალურგიული საზოგადოება „ფენიქსი“. ელექტროტექნიკურ მრეწველობას თითქმის მთლიანად აკონტროლებდა ორი გიგანტი - ფირმა „აეგ“-ი (ელექტროობის საყოველთაო საზოგადოება) და „სიმენს - გალსკე და შუკერტი“. ქიმიურ მრეწველობაში დომინირებდა ფირმა „ერთობლივ ინტერესთ საზოგადოება“.

კონცენტრაცია მიმდინარეობდა ფინანსურ სფეროშიც. გერმანიის ეკონომიკაში სულ უფრო მზარდ როლს თამაშობდნენ მსხვილი ბანკები. 1903 წელს გერმანიის ცხრა უმსხვილესი ბანკის ხელში იყო ქვეყანაში არსებული საბანკო კაპიტალის 83%. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „დოიჩე ბანკი“ და დისკონგეზელშაფტი“ („სააღტიცხვო საზოგადოება“).

განუხრელად იზრდებოდა გერმანიიდან ფინანსური კაპიტალის ექსპორტი. განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. 1900-1914 წლებში გერმანული კაპიტალდაბანდებანი უცხოეთში 15 მილიარდი მარკიდან 35 მილიარდ მარკამდე გაიზარდა, თუმცა გერმანიის ეს მაჩვენებელი ინგლისის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ ნახევარს და საფრანგეთის მაჩვენებლის 2/3-ს შეადგენდა.

<u>საშინაო ვითარება</u>. აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარება, ომისათვის მზადება და მუშათა მოძრაობის აღმავლობა აიძულებდა გერმანიის მმართველ წრეებს XX საუკუნის დასაწყისში ეზრუნათ საზოგადოების წამყვანი ფენების - ბურჟუაზიისა და მემამულეების (იუნკრების) შემდგომი კონსოლიდაციისათვის (შეკავშირებისათვის). სწორედ ასეთი ე.წ. შეკავშირების პოლიტიკური კურსის: განსახორიელებლად იმერატორმა ვილჰელმ II-მ კანცლერის პოსტზე 1900 წელს (მას შემდეგ რაც კანცლერობიდან გადადგა ღრმად მოხუცებული ჰოჰენლოე) დანიშნა ბერნჰარდ ფონ ბიულოვი, რომელიც მანამდე საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე იმყოფებოდა.

გერმანიის რიგით მეოთხე კანცლერი ფონ ბიულოვი (1900-1909 წწ.) ღრმად განათლებული და ორატორული ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება იყო. იგი კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ პარტიათა სპექტრში და მოხერხებული ტაქტიკური სვლებით ცდილობდა შეერბილებინა საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესების გამომხატველ პარტიათა შორის არსებული უთანხმოებანი, შეექმნა სვადასხვა პარტიებისაგან შემდგარი პოლიტიკური ბლოკები, რომელთაც პარლამენტში (რაიხსტაგში) უმრავლესობა ექნებოდათ და ასეთ ბლოკებზე დაყრდნობით გაეტარებინა ისეთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამებოდა სახელმწიფოს ინტერესებს.

უპირველეს ყოვლისა, ბიულოვის მთავრობა მიისწრაფვოდა იქითკენ, რომ აღმოფხვრილიყო ის დაპირისპირება ბურჟუაზიასა და იუნკრებს შორის, რაც წარმოიშვა კაპრივის კანცლერობის პერიოდში (1890-1894 წწ.), როცა უცხოურ იმპორტზე ბაჟების შემცირებამ გამოიწვია ფასების დაცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ამას კი მოჰყვა იუნკერთა და ფერმერთა დიდი უკმაყოფილება. (თუმცა ამ ნაბიჯს მაშინ კმაყოფილებით შეხვდა ბურჟუაზია, რადგან ამით გზა ეხსნებოდა გერმანულ სამრეწველო ნაწარმს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში). XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ეკონომიკურად გაძლიერებული გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც დიდ მოგებას იღებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ დაბანდებული კაპიტალისაგან, უკვე მემამულეთა მიმართ დათმობის ტენდენციებს ამჟღავნებდა. ითვალისწინებდა რა აღნიშნულ მდგომარეობას, 1902 წელს ბიულოვის მთავრობამ მკვეთრად აამაღლა საბაჟო ტარიფები იმპორტულ სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე. ამან მემამულეებს 1,2 მილიარდი მარკა წლიური დამატებითი მოგება მოუტანა. თუმცა ამავე დროს სურსათზე ფასების ზრდამ წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა ფენის უკმაყოფილება გამოიწვია.

მთავრობის ზემოთ აღნიშნულმა ნაბიჯმა ხელი შეუწყო კონსერვატორთა პარტიისა და ნაციონალურ-ლიბერალური პარტიების დაახლოვებას (რომლებიც მსხვილი მიწათმფლობელებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ). ეს რა თქმა უნდა ბიულოვის მთავრობის მნიშვნელოვანი საშინაო პოლიტიკური წარმატება იყო, მაგრამ მთავრობას დაუპირისპირდა გერმანიის კიდევ ერთი გავლენიანი პოლიტიკური ძალა - კათოლიკური ცენტრის პარტია, რომელსაც მხარს უჭერდა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთის რეგიონების კათოლიკური მოსახლეობა და რომელიც რაიხსტაგში ადგილების საკმაოდ დიდ რაოდენობას ფლობდა. ეს პარტია უკმაყოფილო იყო იმით, რომ მთავრობა ზღუდავდა კათოლიკური ეკლესიის

საქმიანობას და აგრეთვე ავიწროვებდა კათოლიკურ პოლონურ მოსახლეობას პოლონურ პროვინციებში და კათოლიკურ ფრანგულ ოსახლეობას ელზას-ლორენის ტერიტორიაზე.

კათოლიკური ცენტრის პარტია ბიულოვის მიერ შექმნილი კონსერვატიული და ნაციონალ-ლიბერალური პარტიების ბლოკის წინააღმდეგ გამოვიდა. დაპირისპირებამ თავი იჩინა 1906 წელს, როცა რაიხსტაგში იხილებოდა მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი მთავრობისათვის დამატებითი ფინანსური კრედიტების გამოყოფის შესახებ, რაც საჭირო იყო გერმანიის კოლონია სამხრეთ-დასავლეთ აფრკაში მიმდინარე ადგილობრივი ტომების ჰერეროს და ჰოტენტოტების აჯანყების ჩასახშობად. კათოლიკური ცენტრის პარტიის დეპუტატებმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ დეპუტატებთან ერთად ამ კანონპროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ხმების უმრავლესობით კანონპროექტი ჩავარდა.

გაღიზიანებულმა ბიულოვმა რაიხსტაგი დაითხოვა და 1907 წლის იანვარში რაიხსტაგის ახალი არჩევნები დანიშნა. არჩევნებმა გამარჯვება მოუტანა ბიულოვის მიერ შექმნილ კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალური პარტიების ბლოკს. ახალ პარლამენტში ადგილების უმრავლესობას სწორედ აღნიშნული ბლოკის წარმომადგენელი დეპუტატები დაეუფლნენ. ახალმა რაიხსტაგმა ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება მთავრობისათვის დამატებითი კრედიტების გამოყოფის შესახებ.

მაგრამ ბიულოვის მიერ შექმნილი ბლოკი არ აღმოჩნდა სიცოცხლის უნარიანი. 1908 წელს მთავრობამ პარლამენტში წარადგინა ფინანსური რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის შიგნით დამატებითი ფინანსური სახსრების გამონახვას (500 მლნ. მარკა). ეს თანხა საჭირო იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, რაც გამოწვეული იყო ფლოტის მშენებლობაზე გაწეული უზარმაზარი ხარჯებით. მთავრობის რეფორმის პროექტი ითვალისწინებდა საერთოდ

სახელმწიფო გადასახადების ზრდას, რასაც 400 მლნ. მარკა უნდა შეეტანა ხაზინაში, ხოლო კიდევ 100 მლნ. მარკა ხაზინაში უნდა შესულიყო მსხვილ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე დადებული დამატებითი გადასახადით, რაც უმთავრესად მსხვილი მიწათმფლობელების დაბეგრვას გულისხმობდა. კონსერვატორთა პარტია, რომელსაც კათოლიკური ცენტრის პარტიამაც დაუჭირა მხარი, ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა მაშინ, როცა კანონპროექტს მხარი დაუჭირა ნაციონალ-ლიბერალურმა პარტიამ. ხმების უმრავლესობით კანონპროექტი ჩავარდა. ამგვარად ბიულოვის მიერშექმნილი კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთა ბლოკი დაიშალა. ბიულოვი იძულებული გახდა 1909 წელს კანცლერის პოსტიდან გადამდგარიყო.

ბიულოვის გადადგომა დააჩქარა მისმა კონფლიქტმა ვილჰელმ მეორესთან. საქმე იმაში იყო, რომ 1908 წელს ვილჰელმ II-მ ინტერვიუ მისცა ინგლისურ გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“, სადაც საუბარი იყო ინგლის-გერმანიის ურთიერთობებზე. ინგლისის მიმართ ვილჰელმ II-ის გამომწვევმა გამონათქვამებმა საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. გერმანიის იმპერატორი ამ ინტერვიუსათვის გერმანიის პრესაშიც და რაიხსტაგშიც გააკრიტიკეს, რამაც იმპერატორის გაღიზიანება გამოიწვია. მან მიიჩნია, რომ მას კანცლერი არასაკმარისი ენერგიულობით იცავდა ამ კრიტიკისგან.

ბიულოვის გადადგომის შემდეგ ვილჰელმ II-მ კანცლერად პრუსიელი ჩინოვნიკი თეობალდტ ბეტმან ჰოლვეგი დანიშნა (1909-1917 წწ.). თავისი კანცლერობის პერიოდში ბეტმან ჰოლვეგი კონსერვატორთა და კათოლიკური ცენტრის პარტიათა ბლოკს ეყრდნობოდა. საერთაშორისო ვითარების გართულებასთან დაკავშირებით ბეტმან ჰოლვეგის მთავრობა მთავარ ყურადღებას ქვეყნის ომისთვის მზადებას უთმობდა. 1909-1914 წლებში გერმანიის სამხედრო ხარჯები 23%-ით გაიზარდა და 1914 წლისათვის 1,5 მილიარდი მარკა შეადგინა. 1911 წელს მთავრობის

წინადადებით რაიხსტაგმა მიიღო გადაწყვეტილება საინჟინრო სამხედრო ნაწილებისა და მეტყვიამრქვევეთა ასეულების რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდის შესახებ. 1912 წელს შეიქმნა ორი დამატებითი საარმიო კორპუსი. 1913 წელს, იმ მოტივით, რომ საფრანგეთში შემოღებული იქნა 3 წლიანი სამხედრო სამსახური და აგრეთვე იზდებოდა რუსეთის არმიის შეიარაღებაც, ბეტმან ჰოლვეგის მთავრობამ რაიხსტაგს განსახილველად წარუდგინა ახალი კანონი, რომელიც გერმანიის არმიის 136 ათასი კაცით გაზრდას და აგრეთვე რიგი ახალი მძიმე არტილერიის ბლოკებისა და მეტყვიამფრქვევეთა ასეულების ფორმირებას ითვალისწინებდა. ამავე დროს რაიხსტაგის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება 8 სახაზო გემისაგან მესამე ესკადრის შექმნის შესახებ, რისთვისაც დამატებით გამოიყო 107 მლნ. მარკა. 1913-1914 წლებში გერმანიის არმია უკვე 791 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. დრედნოუტების რიცხვმა ფლოტში 21-ს მიაღწია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა წყალქვეშა ნავების მშენებლობა, ახალ სიმაგრეთა მშენებლობა და ძველ სიმაგრეთა რეკონსტრუქცია.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის საშინაო-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ მუშათა მოძრაობა რჩებოდა. პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, სამხედრო ხარჯებით გამოწვეული სახელმწიფო გადასახადების ზრდა, სურსათზე ფასების ზრდა (რაც გამოწვეული იყო 1902 წელს ბიულოვის მთავრობის მიერ უცხოურ სასოფლო-სამეურნეო იმპორტირებულ პროდუქციაზე საბაჟო ტარიფების ამაღლებით), ხელფასის ნელი ტემპით ზრდა, ჯერ კიდევ ბოლომდე მოუგვარებელი შრომისა და ცხოვრების პირობები მუშებს ისევ გაფიცვებისაკენ უბიძგებდა. შეინიშნებოდა საგაფიცვო მოძრაობის გარკვეული ზრდა. მაგალითად 1905-1906 წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფიცვებში 800 ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა.

გერმანიის მუშათა მოძრაობას სათავეში ედგნენ პროფკავშირები და გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტია

(ავგუსტ ბებელის მეთაურობით). გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტია ძირითადად რეფორმიზმის პოზიციაზე იდგა. პარტიის ლიდერთა დიდ ნაწილს (ბერშტაინი, დავიდი, ფოლმარი, ლეგინი, კაუცკი, მილ ფერდინგი, ჰააზე და სხვ.) მიაჩნდა, რომ მუშები თავიანთი გაფიცვის დროს მხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნებით უნდა შემოიფრგლონ, ხოლო თვითონ პარტიამ მშვიდობიანი საარჩევნო-საპარლამენტო ბრძოლით პარლამენტში ადგილების მაქსიმალური რაოდენობის მოპოვება და სხვა პარტიებთან თანამშრომლობით იმის მიღწევა უნდა შეძლოს, რომ პარლამენტმა მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განაგრძობდა არსებობას მემარცხენე დაჯგუფება (რ. ლუქსემბურგი, კ. ცეტკინი, ფ. მერინგი), რომლებიც ორთოდოქსული მარქსიზმის პოზიციებზე რჩებოდნენ და უპირატესობას ანიჭებდნენ მუშათა პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებს. მათ მიაჩნდათ, რომ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია პროლეტარული რევოლუციის, არსებული რეჟიმის დამხობის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა და ავტორიტეტი მუშათა და წვრილი ბურჟუაზიის ფენაში თანდათანობით იზრდებოდა. რაიხსტაგის არჩევნების დროს ეს პარტია სულ უფრო მეტ მხარდამჭერებს პოულობდა. მაგალითად 1912 წლის რაიხსტაგის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებს 4 მლნ. ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი. სხვა პარტიებთან შედარებით სოციალ-დემოკრატებმა პარლამენტში ყველაზე მეტი, 107 ადგილი მიიღეს.

საგარეო პოლიტიკა. XX საუკუნის დამდეგიდან გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი კვლავ XIX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში, ჰოჰენლოეს კანცლერობის პერიოდში შემუშავებული ე.წ. „მსოფლიო პოლიტიკის“ განხორციელება იყო,

რაც ფართო გერმანული კოლონიური იმპერიის შექმნას გულისხმობდა. აგრესიული საგარეო პოლიტიკის სულის ჩამდგმელები და განმახორციებლები იყვნენ კანცლერი ბერნჰარდ ფონ ბიულოვი, იმპერატორი ვილჰელმ II, საზღვაო მინისტრი ფონ ტრიპიცი და გენშტაბის უფროსი ფონ შლიფერი. დიდად აქტიურობდა გერმანიის ბურჟუაზიის და იუნკრების ყველაზე აგრესიულად და შოვინისტურად განწყობილი ნაწილის მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი ორგანიზაცია „პანგერმანული კავშირი“, რომელიც დიდი კოლონიური იმპერიის შექმნის ფართო პროპაგანდას ეწეოდა და ცდილობდა საზოგადოებაში შოვინიზმის გაძლიერებას. „პანგერმანული კავშირი“ მოითხოვდა არა მარტო ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიის და სხვა ქვეყნების კოლონიების დაპყრობას, არამედ საფრანგეთის სასაზღვრო რკინით მდიდარი რეგიონების ბელგიის, ჰოლანდიის, სკანდინავიის ქვეყნების დაპყრობას. აგრეთვე რუსეთის იმპერიაში შემავალი ბალტიისპირეთის, პოლონეთის, უკრაინის და კავკასიის დაპყრობასაც. გერმანიის მმართველი წრეების აგრესიულ განწყობილებას აძლიერებდა ის ფაქტი, რომ ინგლისის და საფრანგეთის კოლონიური იმპერიებთან შედარებით გერმანიის მიერ XIX საუკუნის დასასრულს მოპოვებული კოლონიები თავისი ფართობით, მოსახლეობის რაოდენობით და რესურსების დონით დიდ ღირებულებას არ წარმოადგენნენ (XX საუკუნის დამდეგს გერმანიის კოლონიების საერთო ფართობი 2,9 მლნ. კმ²-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა 12,3 მლნ-ს უდრიდა).

რა თქმა უნდა, გერმანიის მისწრაფება შეექმნა ფართო კოლონიური იმპერია სხვა ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა ინგლისისა და საფრანგეთის მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რაც მნიშვნელოვნად ძაბავდა საერთაშორისო ვითარებას და დიდი მსოფლიო ომის საფრთხეს ქმნიდა.

XX საუკუნის დამდეგიდან გაძლერდა გერმანული კაპიტალის შეღწევა ოსმალეთის იმპერიაში. 1898 წელს სტამბოლში ვიზიტით მყოფ ვილჰელმ II-სა და თურქეთის სულთანს შორის დაწყებული მოლაპარაკება გერმანული ფირმების მიერ ე.წ. „ბაღდადის რკინიგზის“ გაყვანის შესახებ 1903 წელს საბოლოოდ დამთავრდა. თურქეთის მთავრობა დათანხმდა გერმანული ფირმებისათვის ამ რკინიგზის მშენებლობის უფლება მიენიჭებინა. ამ რკინიგზას, რომელიც ბერლინიდან უნდა დაწყებულიყო, ბოსფორის სრუტის გავლით მთელი ოსმალეთის იმპერია უნდა გადეკვეთა და საბოლოოდ სპარსეთის ყურეზე (კუვეითთან) გასულიყო, გერმანიისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცევის საქმეში. ამ რკინიგზის მშენებლობის გარდა გერმანიამ მიიღო ბაღდადის სამდინარო ნავსადგურის მშენებლობის და მოსულის რაიონში ნავთობის საბადოების ათვისების უფლებაც. მაგრამ ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა დიდ წინააღმდეგობას აწყდება ინგლის-საფრანგეთის მხრიდან. 1901 წელს ინგლისმა მიიტაცა კუვეითის ნავსადგური, რომელიც ამ რკინიგზის ბოლო პუნქტი უნდა გამხდარიყო. ინგლისურმა და ფრანგულმა ბანკებმა უარი თქვეს რკინიგზის მშენებელი გერმანული ფირმების დაფინანსებაზე (თვით გერმანულ ბანკებს ამისათვის ფინანსური სახსრები არ ყოფნიდათ). გარდა ამისა გერმანიას ხელს უშლიდა რუსეთიც, რომელსაც ამ რკინიგზის მშენებლობა ბოსფორის და დარდანელის სრუტეებზე თავისი კონტროლის დამყარებისათვის სერიოზულ საფრთხედ მიაჩნდა. მხოლოდ 1911 წელს ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიაღწია გერმანიის მთავრობამ რუსეთის მთავრობის ოფიციალურ თანხმობას ამ რკინიგზის გერმანიის მიერ მშენებლობაზე. ამის სანაცვლოდ გერმანია იძულებული იყო დათანხმებულიყო რუსეთის მიერ რკინიგზის მშენებლობაზე ირანში. აღნიშნულ ხელისშემშლელი გარემოებების გამო

მიუხედავად დიდი ფინანსური დანახარჯებისა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

საერთაშორისო ასპარეზზე გერმანიის აგრესიულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გააუარესა ამ ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, რადგან გერმანიის მოწინააღმდეგეებმა მიუხედავად მათ შორის არსებული უთანხმოებისა, საერთო ენა გამონახეს. 1904-1907 წლებში დადებული ურთიერთშეთანხმების შედეგად ინგლის-საფრანგეთსა და ინგლის-რუსეთს შორის შეიქმნა ანტანტის სამხედრო ბლოკი, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე გერმანიის მიერ შექმნილ გერმანია-ავსტრია-იტალიის სამხედრო ბლოკს.

მიუხედავად ამისა გერმანიის მთავრობა აგრძელებდა კოლონიების გაფართოების მცდელობას. 1905 წელს გერმანიამ სცადა შეეღწია მაროკოში. გერმანიის მთავრობა ამ ნაბიჯით ორ მიზანს ისახავდა: ერთი მხრივ გზა გადაეღობა საფრანგეთისთვის, რომელიც ამ ქვეყნის დაპყრობისაკენ მიისწრაფვოდა და მეორე მხრივ, შეემოწმებინა თუ რამდენად მტკიცე იყო ინგლის-საფრანგეთის 1904 წელს დადებული კავშირი. გერმანიის მთავრობას იმის იმედიც ჰქონდა, რომ საფრანგეთის მოკავშირე რუსეთი ამ დროს იაპონიასთან ომით იყო დაკავებული და ამის გამო საფრანგეთი იძულებული იქნებოდა გერმანიასთან დათმობებზე წასულიყო. 1905 წლის გაზაფხულზე მაროკოს პორტ ტანჟერში ვიზიტით ჩამოსულმა ვილჰელმ II-მ საქვეყნოდ განაცხადა, რომ გერმანია არ დაუშვებს რომელიმე სახემწიფოს უპირატეს გავლენას მაროკოში. კანცლერმა ფონ ბიულოვმა მაროკოს საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მოითხოვა. მაგრამ 1906 წელს მოწვეულ ალხერესის კონფერეცნიაზე გერმანია სრულ იზოლაციაში მოექცა. მართალია კონფერენციამ ფორმალურად მაროკოს დამოუკიდებლობა დაადასტურა, მაგრამ ამავე დროს აიღიარა საფრანგეთის „განსაკუთრებული ინტერესები“ ამ ქვეყანაში, რაც ფაქტიურად

ხელ-ფეხს უხსნიდა საფრანგეთს ამ ქვეყნის დაპყრობისათვის. გერმანიის მარცხი იყო ისიც, რომ მაროკოს ამ პირველი კრიზისის შემდეგ ინგლის-საფრანგეთის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა.

სარგებლობდა რა რუსეთ-იაპონიის ომით და რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობებით შუა აზიაში, გერმანიის დიპლომატია შეეცადა დაერღვია რუსეთ-საფრანგეთის ალიანსი და თავიდან აეცილებინა რუსეთ ინგლისის მოსალოდნელი კავშირი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1905 წელს ვილჰელმ II-ის შეხვედრა ნიკოლოზ II-სთან (ბიორკეში, ფინეთი), მაგრამ გერმანიის ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მაროკოს საკითხში განცდილი პირველი მარცხის მიუხედავად გერმანია მაინც არ კარგავდა ამ ქვეყანაში შეღწევის იმედს. 1909 წელს გერმანულმა ფირმამ „ძმები მანესმანები“ მიიღო მაროკოს საბადოების დამუშავების უფლება. 1910 წლისათვის 1901 წელთან შედარებით გერმანიის ვაჭრობის მოცულობა ამ ქვეყანასთან 3-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მაროკო სულ უფრო ექცეოდა საფრანგეთის გავლენის ქვეშ. 1911 წელს ქვეყნის შიგნით მიმდინარე შინაომების გამო წესრიგის დაცვის საბაბით საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს მაროკოს დედაქალაქი ფესი. ამის საპასუხოდ 1911 წლის ზაფხულში გერმანიამ იმისათვის, რათა საფრანგეთისათვის ამ ქვეყნის საბოლოო დაპყრობაში ხელი შეეშალა, მაროკოს პორტ აგადირში სამხედრო ხომალდი „პანტერა“ გააგზავნა. ამ ინციდენტმა მეტად დაძაბა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა. საფრანგეთს აქტიურად დაუჭირა მხარი ინგლისმა. გერმანია იძულებული გახდა უკან დაეხია და მაროკოზე საბოლოოდ აეღო ხელი (კომპენსაციის სახით მან მიიღო ფრანგული კონგოს მცირე ნაწილი).

გარდა გერმანიის კოლონიური ექსპანსიისა საერთაშორისო ვითარებას მკვეთრად ამწვავებდა გერმანია-ინგლისის შეჯიბრი საზღვაო ფლოტის მშენებლობაში და საზღვაო შეიარაღების ზრდაში. გერმანიის მმართველ წრეებს კარგად ესმოდათ, რომ

ფართო კოლონიური იმპერიის შექმნისათვის საჭირო იყო ძლიერი სამხედრო საზღვაო ფლოტი მით უმეტეს, რომ გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგე იყო ინგლისი, რომელსაც მსოფლიოში უძლიერესი ფლოტი ჰყავდა.

1900 წელს მიღებული იქნა ფლოტის მშენებლობის დიდი პროგრამა, რომელიც წინა პროგრამასთან შედარებით (1898 წელს მიღებული) ორჯერ უფრო მეტი რაოდენობის სამხედრო გემების მშენებლობას ითვალისწინებდა. 1900 წელს ფლოტისათვის გამოყოფილ იქნა 169 მლნ. მარკა. შემდგომში ეს თანხა 32 მლნ. მარკამდე უნდა გაზრდილიყო. გერმანიის ფლოტის დაჩქარებულ მშენებლობას ინგლისმა 1906 წლიდან ახალი ტიპის ზემძლავრი ხომალდების ე.წ. დრედნოუტების მშენებლობით უპასუხა. მაგრამ ინგლისელთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ დრედნოუტების მშენებლობა გერმანიაშიც დაიწყეს. ინგლისელთა უპირატესობას ზღვაზე დიდი საფრთხე დაემუქრა. ინგლისელები შეეცადნენ მოლაპარაკების გზით დაეთანხმებინათ გერმანია, რათა ამ უკანასკნელს შეენელებინა თავისი ფლოტის მშენებლობის ტემპი. ეს მოლაპარაკებები უნაყოფო იყო, რადგან ფლოტის მშენებლობის შენელების ტემპის სანაცვლოდ გერმანია ინგლისისაგან მოითხოვდა ნეიტრალიტეტს რუსეთთან და საფრანგეთთან ომის შემთხვევაში. ამაზე კი ინგლისი არ თანხმდებოდა, რადგან რუსეთისა და საფრანგეთის დამარცხების შემთხვევაში იგი გერმანიის პირისპირ მარტო აღმოჩნებოდა. 1912 წელს ინგლისელებმა გერმანიასთან უკანასკნელად სცადეს ფლოტის მშენებლობის შეზღუდვის საკითხზე მოლაპარაკება. ამ მიზნით ბერლინში ჩავიდა ინგლისის სამხედრო მინისტრი ჰოლდენი. ჰოლდენმა გერმანიის მთავრობას ფლოტის მშენებლობს შეზღუდვა შესთავაზა აფრიკაში პორტუგალიის კოლონიების ხარჯზე. მაგრამ გერმანიის მთავრობას ეს ეცოტავა, ინგლისისაგან იგი კვლავ ნეიტრალიტეტს მოითხოვდა ევროპაში ომის შემთხვევაში. ჰოლდენის მისია უშედეგოდ დამთავრდა.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გერმანიის დიპლომატია მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 1911 წელს, როცა დაიწყო იტალია-თურქეთის ომი. აქ ერთმანეთს შეეჯახნენ ის სახელმწიფოები, რომელთაგანაც ერთი სამთა კავშირის სამხედრო ბლოკის წევრი იყო (იტალია) და მეორეს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდა გერმანიასთან. გერმანიის მთავრობა იძულებული იყო იტალიისათვის სამხედრო მხარდაჭერაზე უარი ეთქვა. ამან ხელი შეუწყო იტალიის თანდათანობით ჩამოშორებას სამთა შეთანხმების საერთო ბლოკისაგან.

გერმანიის პოზიციები დაასუსტა 1912 წელს მიმდინარე ბალკანეთის პირველმა ომმა, რომელშიც დამარცხდა თურქეთი (რომელმაც თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი ევროპული ტერიტორიები). ამან გააძნელა გერმანია-ავსტრიის შეღწევა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ბალკანეთის მეორე ომი 1913 წელს გერმანიის მორიგი საგარეო პოლიტიკური მარცხი იყო, რადგან ამ ომში დამარცხდა სამთა კავშირის ბლოკთან დაახლოებული ბულგარეთი.

მიუხედავად საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე განცდილი აღნიშნული დამარცხებისა გერმანიის მმართველ წრეებს, რომლებიც გადაჭარბებით აფასებდნენ თავიანთ სამხედრო ძალებს და პირიქით, სათანადოდ ვერ აფასებდნენ მოწინააღმდეგის ძალებს (აგრეთვე აზვიადებდნენ მოპირდაპირე სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს), მიაჩნდათ, რომ 1914 წელის ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო დიდი ომის გასაჩაღებლად, რადგან სამხედრო ძალის მომზადების თავლსაზრისით გერმანია თავის მოწინააღმდეგეებს მნიშვნელოვნად სჭარბობდა. ასეთი აზრი დომინირებდა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში, სადაც ჯერ კიდევ 1905 წელს დამთავრდა

საფრანგეთის და რუსეთის წინააღმდეგ ორ ფრონტზე ერთობლივი სამხედრო მოქმედების გეგმის (ე.წ. „შლიფენის გეგმა“) შემუშავება.

ლექცია X
ინგლისი XIX-XX ს-ების მიჯნაზე (2 სთ.)

1. ინგლისი 1870-1900 წწ.

<u>ეკონომიკური განვითარება</u>. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისათვის ინგლისი კვლავ ეკონომიკურად ყველაზე მაღალგანვითარებული სახელმწიფო და ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიის მფლობელი იყო. შემდგომშიც, 1870-1900 წლებში ინგლსის ეკონომიკა, კერძოდ კი მრეწველობა, საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მაგალითად აღნიშნულ პერიოდში ქვანახშირის მოპოვება ორჯერ, ხოლო თუჯის გამოდნობა და ბამბის მოხმარება ერთნახევარჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვანი იყო მანქანათმშენებლობის განვითარება. აღმოცენდნენ და წინ მიიწევდნენ ახალი დარგები - ქიმიური, ელექტროტექნიკური და საავტომობილო მრეწველობა. მაგრამ საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ინგლისის სამრეწველო პირველობა თანდათან შეირყა. ინგლისის მრეწველობის ცალკეული დარგები თავიანთი ზრდის ტემპების მიხედვით მეტ-ნაკლებად ჩამორჩებოდნენ სხვა მოწინავე ქვეყნების (პირველ რიგში აშშ-სა და გერმანიის) ანალოგიურ სამრეწველო დარგებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1870-1900 წლებში აშშ-ში თუჯის წარმოება 80-ჯერ გაიზარდა. გერმანიაში კი თუჯის წარმოება 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ქვანახშირის მოპოვება 5ჯერ. 1870 წელს ინგლისში მოიპოვებდნენ ქვანახშირის მსოფლიო მოპოვების 50%-ს. 1890 წლისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 35,8%-მდე და 28,7%-მდე შემცირდა. აქედან გამომდინარე საკმაოდ ნათელია, რომ თანდათანობით მცირდებოდა ინგლისის წილი საერთოდ მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში.

ინგლისის მრეწველობის ზრდის ტემპის შედარებითი ჩამორჩენა უმთავრესად განპირობებული იყო იმით, რომ

სამრეწველო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა უმეტესწილად მოძველდა. მათი გადაიარაღება უდიდეს ფინანსურ სახსრებს მოითხოვდა და თანაც ერთბაშად ამის განხორციელება შეუძლებელიც იყო. რაც შეეხება ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს აშშ-სა და გერმანიას მათი ფაბრიკა-ქარხნები უახლესი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების საფუძველზე შენდებოდა. ამიტომ ასეთი საწარმოებით დაკომპლექტებული სხვადასხვა სამრეწველო დარგების ზრდის ტემპი ამ ქვეყნებში უფრო მაღალი იყო ვიდრე ინგლისში.

ინგლისის მრეწველობის ზრდის ტემპის ჩამორჩენა აგრეთვე მნიშვნელოვანწილად გამოიწვია იმ ეკონომიკურმა კრიზისებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 1873-74, 1883-86 და 1890-93 წლებში.

XIX ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ინგლისის მრეწველობაში შეინიშნება კონცენტრაციის პროცესის დაწყება. აღმოცენდა რამდენიმე მსხვილი ფირმა მძიმე მრეწველობაში, ქიმიურ, ცემენტისა და თამბაქოს მრეწველობაში. აღსანიშნავია 1891 წელს შექმნილი ტუტის ფირმა, რომელმაც 45 ქიმიური ქარხანა გააერთიანა. ასეთივე მსხვილი ფირმა იყო კოუტსი, რომელიც მსუბუქ მრეწველობაში მოქმედებდა. თუმცა საერთო ჯამში მსხვილი ფირმები ჯერ-ჯერობით ინგლისის მრეწველობაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებდნენ.

სამრეწველო პირველობის დაკარგვასთან ერთად ინგლისი თანდათან კარგავს პირველობას მსოფლიო ვაჭრობაში. მცირდება ინგლისური წარმოების კონკურენტუნარიანობა და საერთოდ ინგლისიდან სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი. 1880-1900 წლებში ინგლისის ექსპორტი საზღვარგარეთ 8%-ით გაიზარდა მაშინ, როცა ამავე პერიოდში გერმანიის ექსპორტი 41%-ით გაიზარდა. სამაგიეროდ ინგლისი მტკიცედ ინარჩუნებდა წამყვან როლს ფინანსური კაპიტალის ექსპორტში. 70-იან წლებში ინგლისს საზღვარგარეთ საშუალოდ 22 მლნ. გირვანქა

სტერლინგი გაჰქონდა. 80-იანი წლების ბოლოს ამ მაჩვენებელმა 106 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია. საზღვარგარეთული ფინანსური ინვესტიციები ინგლისის ბურჟუაზიას დიდ ფინანსურ მოგებას აძლევდა. ინგლისი ინარჩუნებდა უდიდესი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსს. მისი სავაჭრო და სამხედრო ფლოტი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო.

რაც შეეხება ინგლისის სოფლის მეურნეობას 70-90-იან წლებში, იგი ღრმა კრიზისმა მოიცვა. აშშ-დან, ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან შემოტანილმა იაფმა პროდუქციამ (ხორბალი, რძე, ხორცი) მკვეთრად დასცა ფასები თვით ინგლისის საშინაო ბაზარზე და გამოიწვია ბევრი ფერმერის გაკოტრება. შემცირდა ხორბლის ნათესი ფართობები. მარცვლეულის წარმოება წლიურად 2,5 მლნ. ტონიდან 1,9 მლნ. ტონამდე შემცირდა. ამავე დროს კრიზისმა გამოიწვია ცალკეულ ფერმერულ მეურნეობათა შერწყმა და გამსხვილება. შესაბამისად იზრდებოდა მათი მექანიზაციის დონე, ინერგებოდა ახალი აგროტექნიკური მეთოდები, რაც ამაღლებდა დამზადებული პროდუქციის ხარისხს.

<u>საშინაო ვითარება</u>. თავისი სახელმწიფო წყობით 1870-1900 წლებში ინგლისი ისევ კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენდა. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა ორპალატიანი (ლორდთა და თემთა პალატები) პარლამენტი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას - მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი, რომელიც პარლამენტში უმრავლესობაში მყოფი პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდნენ ლიბერალური და კონსერვატორთა პარტიები, რომლებიც მონაცვლეობით იმყოფებოდნენ ხელისუფლების სათავეში. ლიბერალური პარტია ძირითადად ეყრდნობოდა ბურჟუაზიას და მაღალკვალიფიციურ მუშებს, ხოლო კონსერვატორთა პარტია გამოხატავდა ძირითადად მსხვილი

მიწათმფლობელების და მსხვილი ფერმერების ინტერესებს. ორივე პარტია მხარს უჭერდა კონსტიტუციური მონარქიის რეჟიმს. მათ შორის დაპირისპირებას იწვევდა მხოლოდ საშინაო და საგარეო პოლიტიკის რიგი საკითხები, რაც ქმნიდა ამ ორ პარტიას შორის პოლიტიკური ბრძლის საფუძველს საპარლამენტო არჩევნების დროს.

ლიბერალები, რომელთა ლიდერი (პალმერსტონის გარდაცვალების შემდეგ) იყო მსხვილი ლივერპულელი ვაჭრის შვილი უილიამ გლადსტონი (1809-1898 წწ), მხარს უჭერდნენ თავისუფალი ვაჭრობის კურსს, ეკონომიკაში სახელმწიფოს სრულ ჩაურევლობას და ზომიერი ხასიათის რიგი რეფორმების გატარებას. კონსერვატორები კი მოითხოვდნენ პროტექციონისტურ საბაჟო ტარიფებს, ეწინააღმდეგებოდნენ რაიმე ძირეული ხასიათის რეფორმებს და მხარს უჭერდნენ კოლონიური იმპერიის განმტკიცებას და შემდგომ გაფართოვებას. კონსერვატორებს ლიდერობდა წარმოშობით ებრაელი ბენჯამენ დიზრაელი (1804-1881).

1867 წ. ინგლისში განხორციელებულმა საარჩევნო რეფორმამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში ამომრჩეველთა რიცხვი. ამომრჩეველთა რაც შეიძლება მეტი ხმის მოპოვებისათვის საჭირო იყო მოქმედი პარტიების ორგანიზაციული განმტკიცება და წინასაარჩევნო კამპანიის უფრო ენერგიულად ჩატარება. ამის აუცილებლობა პირველად ლიბერალებმა შეიგნეს. ლიბერალური პარტიის რეორგანიზებას შეუდგა ლიბერალთა ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, ბირმინგემელი მსხვილი მეწარმე ჯოზეფ ჩემბერლენი. მან ბირმინგემში შექმნა ლიბერალური პარტიის მუდმივმოქმედი ორგანოები, რომლებიც ქალაქის ყველა კვარტალში ფუნქციონირებდნენ. ამ ორგანოებს სათავეში ჩაუდგა ლიბერალური პარტიის საქალაქო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიულ მუშაობას მთელ ქალაქში. ამის შემდეგ ჯ. ჩემბერლენი შეუდგა მსგავსი ორგანოების შექმნას

ინგლისის სხვა ქალაქებშიც. საბოლოოდ შეიქმნა ერთიანი ორგანიზაციული სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით (ე.წ. „ეროვნული ასოციაცია“), რომელიც არჩევნებს შორის პერიოდშიც არ წყვეტდა ფუნქციონირებას. ასეთმა რეორგანიზაციამ დიდად გაზარდა ლიბერალური პარტიის წინასაარჩევნო პროპაგანდისტული საქმიანობის ეფექტურობა. ლიბერალების კვალდაკვალ მსგავსი რეორგანიზაცია თავიანთ პარტიაში კონსერვატორებმაც განახორციელეს.

1868 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალურმა პარტიამ გაიმარჯვა. ლიბერალებმა პარლამენტის ადგილების უმრავლესობა მიიღეს. მათმა ლიდერმა უ. გლადსტონმა ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა. გლადსტონის მინისტრთა კაბინეტი აღმასრულებელ ხელსუფლებას სათავეში ედგა 1868-1874 წლებში. გლადსტონის კაბინეტის მიერ გატარებული პირველი მნიშვნელოვანი გარდაქმნა იყო დაწყებითი განთლების სისტემის რეფორმა. იგი განხორციელდა 1870 წელს. ამ რეფორმამდე ინგლისში სახელმწიფო სკოლები არ არსებობდა. იყო მხოლოდ კერძო სკოლები, რომლებიც ეკლესიის (როგორც ანგლიკანური, ისე სხვა რელიგიური მიმდინარეობის) გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და სასწავლო პროგრამებში მთავარი ადგილი რელიგიის შესწავლას ეკავა, მაშინ, როცა ეკონომიკური განვითარება მწვავედ აყენებდა მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლებას საბუნებისმეტყველო საგნებში. გატარებული რეფორმის შედეგად შეიქმნა სახელმწიფო სკოლები, რომლებიც გაუმჯობესებული სასწავლო პროგრამით მოქმედებდნენ (თუმცა ბიბლიის სწავლება ამ სკოლებშიც სავალდებული იყო). სახელმწიფო სკოლებს ნაწილობრივ აფინანსებდა მთავრობა, ხოლო აგრეთვე ისინი ნაწილობრივ ფინანსდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე დაწესებული სპეციალური გადასახადებით. ამ სკოლებში სწავლების დონე მეტად დაბალი იყო. მოგვიანებით იგი საერთოდ გაუქმდა. იმავე 1870 წელს

სახელმწიფო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემოღებული იქნა სპეციალური გამოცდები სეხელმწიფო სამსახურში მისაღები პირებისათვის. 1871 წელს მიღებული იქნა კანონი ტრედუნიონების (პროფკავშირების) ლეგალიზების შესახებ. აღიარებული იქნა ტრედუნიონთა არსებობა და მათ მიენიჭათ იურიდიული უფლებები. თუმცა გაფიცვების დროს ტრედუნიონებს ეკრძალებოდათ მუშათა პიკეტის დაყენება იმ საწარმოსთან, სადაც გაფიცვა მიმდინარეობდა. ეს კი საშუალებას აძლევდა იმ პირებს, რომლებიც გაფიცვას მხარს არ დაუჭერდნენ (ე.წ. შტრეიკბრეხერებს“) საწარმოში შესულიყვნენ და მუშაობა გაეგრძელებინათ. ამ პიკეტების დაყენების აკრძალვამ მუშათა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1872 წელს გატარდა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა საპარლამენტო არჩევნების დროს ხმის მიცემის ფარული წესის შემოღებას. 1873 წელს გატარებული სასამართლო რეფორმით ინგლისის მართლმსაჯულება საკმაოდ გამარტივდა. უმაღლეს სასამართლო ინსტანციებად გამოცხადდა უმაღლესი სასამართლო და სააპელაციო პალატა. ყველაზე ბოლო სასამართლო ინსტანციის ფუნქცია ლორდთა პალატას დაეკისრა.

1874 წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალური პარტია დამარცხდა. ამის მთავარი მიზეზი იყო ბურჟუაზიის გარკვეული წრეების უკმაყოფილება ლიბერალების არასაკმარისად აქტიური კოლონიური პოლიტიკით. გარდა ამისა, მუშათა დიდმა ნაწილმაც, რომელიც უკმაყოფილო იყო გაფიცვების დროს პიკეტირების აკრძალვით, კონსერვატორებს დაუჭირა მხარი. საპარლამენტო უმრავლესობა კონსერვატორებმა მოიპოვეს. სელისუფლებას სათავეში ჩაუდგა კონსერვატორთა ლიდერის დიზრაელის მინისტრთა კაბინეტი (1874-1880).

უპირველეს ყოვლისა კონსერვატორებმა გააუქმეს პიკეტირების აკრძალვა. გარდა ამისა 1875 წელს გაუქმდა ძველი კანონი „მეპატრონეთა და მუშათა შესახებ“. ამ კანონის მიხედვით ირღვეოდა იურიდიული თანასწორობა მეპატრონესა და მუშას

შორის. სამუშაოზე თვითნებურად თავის დანებების შემთხვევაში (ე.ი. კონტრაქტის დარღვევის გამო) მუშას პატიმრობა ემუქრებოდა მაშინ, როცა იმ შემთხვევაში, თუკი მეწარმე თვითონ დაარღვევდა კონტრაქტს და მუშას თვითნებურად დაითხოვდა, მას მხოლოდ ფულადი ჯარიმა ეკისრებოდა. ახალი კანონით როგორც მეწარმეს, ისე მუშას თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში. კონსერვატორებმა აკრძალეს საწარმოში 10 წლამდე ასაკის ბავშვების შრომაც. მაგრამ ძირითად ყურადღებას დიზრაელის კაბინეტი საგარეო სფეროს, კერძოდ კი აქტიური კოლონიური პოლიტიკის წარმოებას უთმობდა. მართლაც ბრიტანეთის კოლონიური ექსპანსია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად გაფართოვდა, მაგრამ ინგლისის მიერ განცდილმა წარუმატებლობებმა სამხრეთ აფრიკასა და ავღანეთში დასცა კონსერვატორთა ავტორიტეტი. 1880 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალურმა პარტიამ გაიმარჯვა. პრემიერ მინისტრის პოსტი ისევ გლადსტონმა დაიკავა (1880-1896 წწ.).

ხელისუფლების სათავეში ყოფნისას ლიბერალებმა გადადგეს რიგი ნაბიჯები ინგლისის საარჩევნო სისტემის მოწესრიგების და შემდგომი დემოკრატიზაციისთვის. 1884 წელს გლადსტონის მთავრობამ განახორციელა ახალი საარჩევნო რეფორმა. ხმის უფლება მიენიჭა ყველა 21 წლის ასაკს მიღწეულ მამაკაცს, რომელსაც გააჩნდა სახლი ან ბინა (ნაჩუქარი თუ ნაქირავები). ამ რეფორმის შედეგად ამომრჩეველთა რიცხვი ინგლისში 5,7 მილიონამდე გაიზარდა. 1885 წ. მიღებული იქნა კანონი რომლის მიხედვითაც ინგლისის საარჩევნო ოლქები ახლებურად გადანაწილდა. თითოელულ ოლქში უნდა ყოფილიყო 50 ათასი ამომრჩეველი და ასეთი ოლქიდან პარლამენტში თითო დეპუტატი გაიგზავნებოდა. პატარა ქალაქები, სადაც 50 ათასზე ნაკლები ამომრჩეველი იყო, ოლქებს უერთდებოდნენ, ხოლო დიდი ქალაქები ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით საკუთარ

დეპუტატებს გაგზავნიდნენ პარლამენტში (მაგ. ლონდნმა პარლამნტში 62 დეპუტატის გაგზავნის უფლება მოიპოვა).

გლადსტონის მმართველობის წლებში ინგლისში კვლავ გამწვავდა ირლანდიის საკითხი. 70-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ირლანდიაში ახალი ძალით გაჩაღდა. ბრძოლის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ირლანდიელი გლეხობა, ხოლო ხელმძღვანელი როლი იკისრა ეროვნულმა ბურჟუაზიამ. ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას გადაეჯაჭვა აგრარული საკითხიც. საქმე იმაშია, რომ ირლანდიაში მიწები ინგლისელი მემამულეების (ლენდ ლორდების) საკუთრებაში იყო. ირლანდიელ გლეხებს კი მიწის ნაკვეთები მემამულეებისაგან იჯარით ჰქონდათ აღებული. მაღალი საიჯარო გადასახადი და მემამულეების თვითნებობა გლეხებს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. გლეხობა მიწის საკუთრებაში გადაცემას მოითხოვდა. მათი მონაწილეობით იქმნებოდა საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებიც ინგლისელ მემამულეებს ტერორისტული მეთოდებით ებრძოდნენ. 1879 წელს შეიქმნა „მიწის ლიგა“, რომელმაც გლეხთა აგრარულ მოძრაობას ორგანიზებული ხასიათი მისცა. მიწის ლიგამ, რომელსაც სათავეში ედგა მაიკლ დევიტი ინგლისის მთავრობის წინაშე ირლანდიაში მიწების ნაციონალიზაციის და გლეხობისათვის მისი გადაცემის საკითხი დააყენა. მიწის ლიგის ხელმძღვანელობა ცალკეული მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა ისეთ ხერხს, როგორიც იყო მოიჯარეების მიერ საიჯარო გადასახადის გადახდაზე ერთობლივი უარის თქმა. გარდა ამისა ფართოდ გამოიყენებოდა ბოიკოტის ტაქტიკაც. სიტყვა ბოიკოტი წარმოსდგება ერთ-ერთი ინგლისელი მემამულის ბოიკოტის გვარისგან. იგი მეტად დაუნდობელი იყო მოიჯარე გლეხების მიმართ, ამიტომ მიწის ლიგის მოწოდებით ადგილობრივმა გლეხობამ ბოიკოტს უარი უთხრა საიჯარო გადასახადზე. გარდა ამისა ბოიკოტი მიატოვეს შინამოსამსახურეებმაც, ხოლო

ადგილობრივმა ვაჭრებმა მას უარი უთხრეს სურსათის მიწოდებაზე. საბოლოოდ ბოიკოტი იძულებული გახდა ირლანდიიდან წასულიყო.

ირლანდიის ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელიც სათავეში ედგა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას, ინგლისის ხელისუფლებასთან შეთანხმების გაიოლების მიზნით უარი თქვა სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე. იგი მხოლოდ ირლანდიის საშინაო ავტონომიას (ანუ ჰომრულს) მოითხოვდა ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში. ირლანდიის ბურჟუაზია ამ მიზნით ფართოდ იყენებდა პარლამენტის ტრიბუნას. ინგლისის პარლამენტში ირლანდიელმა დეპუტატებმა შექმნეს ირლანდიული ფრაქცია. ჯერ ბიგარის, ხოლო შემდეგ ჩარლზ პარნელის მეთაურობით ირლანდიელი ფრაქციის დეპუტატები ფართოდ იყენებდნენ ე.წ. „ობსტრუქციის“ ტაქტიკას. ისინი შეგნებულად აწყობდნენ ხანგრძლივ კამათს სხვადასხვა საკითხებზე, წარმოთქვამდნენ მრავალსაათიან სიტყვებს და აფერხებდნენ პარლამენტის მუშაობას. 1879 წ. ჩარლზ პარნელი თვითონ გახდა მიწის ლიგის წევრი. ამგვარად ირლანდიელი გლეხების აგრარული მოძრაობა და საერთოდ მთელი ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ერთმანეთს შეერწყა.

გლადსტონის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1885 წ. მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს უნდა გამოეყო 50 მლნ. გირვანქა სტერლინგი ირლანდიაში მემამულეებისგან მიწების ნაწილის გამოსასყიდად. ეს მიწები შემდეგ ნაკვეთების სახით გლეხებისათვის უნდა მიეყიდათ. 1886 წელს მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ირლანდიის პარლამენტის აღდგენას, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ირლანდიის შეზღუდული თვითმმართველობა (ნაოსნობის, ვაჭრობის, პოლიციის და არმიის საკითხები ინგლისის კომპეტენციაში რჩებოდა). მაგრამ ამ კანონპროექტმა

პარლამენტში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ არა მარტო კონსერვატორები, არამედ ლიბერალთა დიდი ჯგუფიც ჯოზეფ ჩემბერლენის მეთაურობით, რომელიც თვლიდა, რომ ირლანდიისთვის საშინაო ავტონომიის მინიჭება ბრიტანეთის იმპერიის დაშლას გამოიწვევდა. კანონპროექტი უარყოფილი იქნა ხმების უმრავლესობით. მაშინ გლადსტონმა პარლამენტის თემთა პალატა დაითხოვა და ახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. მაგრამ არჩევნებში კონსერვატორულმა პარტიამ გაიმარჯვა. გლადსტონი გადადგა. ახალი მინისტრთა კაბინეტი ჩამოაყალიბა კონსერვატორთა ლიდერმა ლორდმა სოლსბერიმ (1886-1892), რომელიც სათავეში ედგა კონსერვატიულ პარტიას 1881 წლიდან დიზრაელის გარდაცვალების შემდეგ. თავდაპირველად კონსერვატორები შეეცადნენ ირლანდია რეპრესიული მეთოდებით დაეშოშმინებინათ. 1887 წელს სოლსბერის მთავრობამ შეიმუშავა ე.წ „კანონი დანაშაულებათა შესახებ“, რომელიც ირლანდიაში ფაქტიურად საგანგებო მდგომარეობის შემოღებას ნიშნავდა. მაგრამ რეპრესიულმა მეთოდებმა კიდევ უფრო გააძლიერა ტერორიზმი ირლანდიელების მხრიდან. იმავე 1887 წ. კონსერვატორები იძულებულნი გახდნენ მიეღოთ კანონი საიჯარო გადასახადების შემცირების შესახებ, ხოლო მოგვიანებით, 1891 წ. მიღებული იქნა კანონი მიწის შესყიდვის შესახებ. მთავრობამ გამოჰყო 30 მლნ. გირვანქა სტერლინგი ირლანდიაში მემამულეებისგან მიწების გამოსყიდვისა და მისი გლეხებზე მიყიდვისათვის. 1888 წ. სოლსბერის მთავრობამ გაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომლის მიხედვითაც ცალკეულ საგრაფოებში შეიქმნა არჩევითი საბჭოები. საბჭოების კომპეტენციაში შედიოდა საგრაფოებში გადასახადების აკრეფა და სხვა მნიშვნელოვანი ადგილობრივი საკითხები. საბჭოების არჩევნებში მონაწილეობდა საგრაფოს მთელი მოსახლეობა (ე.ი. საპარლამენტო არჩევნებში ხმის

უფლების მქონე ყველა მამაკაცი), მათ შორის 30 წელს გადაცილებული ქალებიც კი. საშინაო პრობლემებზე უფრო მეტად კონსერვატორები ძველებურად ყურადღებას კვლავ საგარეო პოლიტიკურ საკითხებს, კერძოდ კოლონიურიიმპერიის გაფართოვებისათვის ბრძოლას უთმობდნენ.

1890 წ. დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გარკვულწილად დასცა კონსერვატორთა ავტორიტეტი და 1892 წ. საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალურმა პარტიამ გაიმარჯვა. პრემიერ-მინისტრის პოსტი ისევ გლადსტონმა დაიკავა. ლიბერალების გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი მათ მიერ შემუშავებულმა პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა მუშებისათვის 8 საათიან სმუშაო დღეს და საწარმოო ტრამვის შემთხვევაში ფინანსური კომპენსაციის გაზრდას, რიგ გარდაქმნებს განათლების და სასამართლო სფეროში. პროგრამა ირლანდიას ჰომრულს (საშინაო თვითმმართველობა) ჰპირდებოდა. მუხედავად გამარჯვებისა, ლიბერალებს პარლამენტში დიდი უპირატესობა არ ჰქონდათ, ამიტომ მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარლამენტის ირლანდიული ფრაქციის მხარდაჭერას. ამ ფაქტმაც განაპირობა ის, რომ 1893 წელს ლიბერალებმა პარლამენტში განსახილველად კვლავ წარადგინეს ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების კანონპროექტი, რომელიც ცხარე კამათის შემდეგ თემთა პალატამ მოიწონა, მაგრამ ლორდთა პალატამ უარყო. ამგვარად ეს საკითხი კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ამავე დროს ლიბერალური პარტიის შეგნით კვლავ განხეთქილება მოხდა. ლიბერალთა ერთი ნაწილი მწვავედ აკრიტიკებდა გლადსტონს არასაკმაოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის გამო. ლიბერალთა ამ ჯგუფს სათავეში ედგა საგარეო საქმეთა მინისტრი როზბერი. ამ დაჯგუფებამ 1884 წელს, მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე, როცა ფლოტისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფის საკითხი განიხილებოდა, შეძლო გლადსტონის გადაყენება (ზემოთ აღნიშნულ საკითხს გლადსტონის გარდა

ყველა მინისტრმა დაუჭირა მხარი. იზოლაციაში მოქცეული გლადსტონი გადადგა და მალე გარდაიცვალა კიდეც). პრემიერ-მინისტრის პოსტი როზბერიმ დაიკავა. ამ ახალმა განხეთქილებამ ლიბერალური პარტია დიდად დაასუსტა მით უმეტეს, რომ პარლამენტში მას ამის გარეშეც არ ჰქონდა დიდი უმრავლესობა. მალე 1895 წ. ივნისში როზბერის მთავრობა გადადგა. ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა გამარჯვება კონსერვატორებს მოუტნა. პრემიერის პოსტი ლორდმა სოლსბერიმ დაიკავა, ხოლო კოლონიების მინისტრის პოსტი ყოფილმა ლიბერალმა ჯოზეფ ჩემბერლენმა. კონსერვატორებმა ხელისუფლების სათავეში 1905 წლამდე გაძლეს.

ინგლისის განვითარებული მრეწველობა და სახელმწიფო ხაზინაში არსებული დიდი ფინანსური სახსრები საშუალებას აძლევდა ქვეყნის ხელისუფლებას მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა მუშათა ცხოვრების პირობები, განსაკუთრებით ეს ითქმის მრეწველობაში დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებზე. ამიტომაც ინგლისში მუშათა საგაფიცვო მოძრაობა მეტად სუსტი იყო და იგი გარკვეულწილად ძლიერდებოდა მხოლოდ პერიოდული ეკონომიკური კრიზისების დროს, როცა იზრდებოდა უმუშევრობა და გარკვეულწილად უარესდებოდა დასაქმებულ მუშათა ცხოვრების პირობები. საგაფიცვო მოძრაობას ძველებურად ტრედუნიონები (პროფკავშირები) ხელმძღვანელობდნენ. 80-იან წლებში მრეწველობის განვითარების და ახალი დარგების შექმნის კვალობაზე იზრდება მუშათა რიცხვი. აქედან გამომდინარე, იზრდება პროფკავშირთა რაოდენობაც. ადგილი ჰქონდა რიგ მძლავრ გაფიცვებს, რომლებიც მუშათა შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით მიმდინარეობდა. მაგალითად შეიძლება აღინიშნოს 1888 წლის ლონდონის ასანთის ფაბრიკების მუშათა გაფიცვა, 1889 წ. ლონდონის გაზის ქარხნების მუშების და დოკერების გაფიცვები. კონტინენტალური ევროპიდან ინგლისში ვრცელდება

სოციალიზმის იდეები. ამ იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ 80-იან წლებში შექმნილი ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია და სოციალისტური ლიგა, აგრეთვე ფაბიანელთა საზოგადოება. მაგრამ ვინაიდან ინგლისის მუშათა ფენაში არ იყო ძლიერი რევოლუციური განწყობილება, ქვეყანაში ძირითადად ფეხს იკიდებდა რეფორმისტული სოციალიზმი, რომელიც მუშათა პარტიის შექმნის და საპარლამენტო ბრძოლის გზით მუშებს მათი მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას ჰპირდებოდა. 1898 წ. ქალაქ ბრედფორდში შეიქმნა მუშათა დამოუკიდებელი პარტია, რომელიც მთავარ მიზნად აცხადებდა წარმოების საშუალებებისა (ე.ი. ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწის) და ვაჭრობის ნაციონალიზაციას და ამ გზით სოციალიზმის დამყარებას. მიზნის მიღწევის საშუალებად პარტია აცხადებდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, პარლამენტში ადგილების მოპოვებას და საჭირო კანონების გამოცემას. მუშათა პარტიის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინგლისის მუშათა მოძრაობაში, თუმცა იგი ვერ იქცა მთელი მუშათა ფენის ხელმძღვანელ მასობრივ ორგანიზაციად.

საგარეო პოლიტიკა. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ინგლისის მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზანი იყო იმპერიის მაქსიმალური გაფართოვება. მით უმეტეს, რომ მსოფლიოში სამრეწველო პირველობის დაკარგვის გამო კოლონიებმა, როგორც ნედლეულის წყარომ, სამრეწველო ნაწარმის გასაღების და კაპიტალის დაბანდების ბაზარმა, ინგლისისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინეს ვიდრე ადრე. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას, აქ ინგლისის დიპლომატია ძველებურად ახორციელებდა „ძალთა თანასწორობის შენარჩუნების“ და „თავისუფალი ხელების“ პოლიტიკას. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე ინგლისი ცდილობდა არ დაეშვა რომელიმე ევროპული სახელმწიფოს მეტისმეტი

გაძლერება და ამავე დროს არც ერთ სახელწიფოსთან არ დაედო ხანგრძლევი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

70-იანი წლების დამდეგისათვის ინგლისი ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიის მქონე ქვეყანას წარმოადგენდა, მომდევნო წლებში გადაიდგა ნაბიჯები კოლონიური იმპერის შემდგომი გაფართოვებისათვის. ინგლისელების დიდ ყურადღებას იქცევდა ფრანგების მიერ გაყვანილი სუეციის არხის ზონა და საერთოდ მთელი ეგვიპტე, რომელზედაც გადიოდა ინდოეთისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა. 1875 წ. დიზრაელის მთავრობამ შეისყიდა სუეციის არხის კომპანიის აქციების 45%, რომელიც ფინანსურ კრიზისში მყოფ ეგვიპტის მთავრობას ეკუთვნოდა, მალე შეძენილ იქნა აქციები წვრილი მფლობელებისგანაც. საბოლოოდ ინგლისელებმა ხელთ იგდეს კომპანიის საკონტროლო პაკეტი. სუეციის არხზე კონტროლის დამყარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეიქმნა ეგვიპტეზე ინგლისის გავლენის დამყარების წინაპირობა.

1877 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც რუსეთისთვის წარმატებით მიმდინარეობდა როგორც კავკასიაში, ისე ბალკანეთში. როცა რუსეთის ჯარები კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ და შეიქმნა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რუსეთის ხელში გადასვლის საფრთხე, გერმანიისა და ავსტრიის მხარდაჭერით ინგლისმა ომის მუქარით აიძულა რუსეთი თურქეთთან ზავი დაედო. დარდანელის სრუტეში ინგლისის ფლოტი შევიდა. 1878 წ. გამართულ ბერლინის კონგრესზე რუსეთი იძულებული გახდა მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და სრუტეებზე რუსეთის გავლენის დამყარების მცდელობა ჩაიშალა. თურქეთისათვის მხარდაჭერის სანაცვლოდ ინგლისმა მიიღო თურქეთის კუთვნილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძული კვიპროსი.

ინგლისელთა ინტერესი მკვეთრად გაიზარდა სამხრეთ აფრიკის მიმართაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში

მდებარე ბურების სახელმწიფოების (ტრანსვაალის და ორანჟის სახელმწიფოები) ტერიტორიაზე ოქროსა და ალმასის მდიდარი საბადოები აღმოაჩინეს. 1877 წ. ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა ბურების ტერიტორიების ანექსია. ბურები იძულებული გახდნენ ამ ფაქტს შეგუებოდნენ, რადგან ისინი ომს აწარმოებდნენ ზულუს ტომების წინააღმდეგ. ომში ინგლისიც ჩაება ბურების მხარეზე, მაგრამ პირველ ბრძოლაში 1879 წ. ბელად კეტჩვაიოს მეთაურობით გაერთიანებულმა, მხოლოდ შუბებით და ისრებით შეიარაღებულმა ზულუსებმა ინგლისელები სასტიკად დაამარცხეს. მხოლოდ დამატებითი ძალების გადასროლის შემდეგ მოახერხეს ინგლისელებმა 1879 წ. ზულუსების საბოლოო დამარცხება. ზულუსების განადგურების შემდეგ 1881 წელს ინგლისელების წინააღმდეგ ბურები აჯანყდნენ. მაკუბთან ბრძოლაში მათ გაანადგურეს ინგლისელები. აპრილში დადებული ხელშეკრულებით ინგლისი იძულებული გახდა ეცნო ტრანსვაალის და ორანჟის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. 1878 წელს ინგლისმა კოლონიური ომი წამოიწყო ავღანეთის დაპყრობის მიზნით. ავღანეთი ინდოეთს ესაზღვრებოდა და ამიტომ ინგლისი ცდილობდა არ დაეშვა აქ რუსეთის გავლენა. ინგლისის ჯარებმა შეძლეს ავღანელების დამარცხება და დედაქალაქ ქაბულის ოკუპირება. 1879 წლის განდამაკის ხელშეკრულებით ავღანეთზე ინგლისის პროტექტორატი დამყარდა, მაგრამ ქვეყანაში იფეთქა ანტიინგლისურმა აჯანყებამ. ქაბულში მყოფი ინგლისის რეზიდენტი და ინგლისელთა რაზმები დაამარცხეს აჯანყებულებმა. მართალია ინგლისელებმა დამატებითი ძალების გადასროლის შემდეგ კვლავ დაიკავეს ქაბული, მაგრამ საბოლოოდ ინგლისი მაინც იძულებული გახდა ავღანეთის დამოუკიდებლობა ეცნო, თუმცა ინგლისელთა ხელში დარჩა ყანდაარის პროვინციის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ინდოეთს ესაზღვრებოდა.

სამხრეთ აფრიკასა და ავღანეთში განცდილმა წარუმატებლობებმა მნიშვნელოვანწილად გამოიწვია

კონსერვატორთა მარცხი 1880 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ლიბერალებმა მთავარი ძალები ეგვიპტის დასაპყრობად წარმართეს. მას შემდეგ, რაც სუეცის არხის კომპანიის აქციების უმრავლესობა ინგლისელთა ხელში გადავიდა, ინგლისმა საფრანგეთთან ერთად ფაქტიურად კონტროლი დაამყარა ეგვიპტის ეკონომიკასა და ფინანსებზე. ეგვიპტის ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო ქვეყანაში უცხოელების მოძალებით. 1881 წელს ექვიპტეში აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეგვიპტის უმაღლესი ოფიცრობა პოლკოვნიკ არაბი ფაშას მეთაურობით. 1882 წელს ინგლისის ფლოტმა დაბომბა ალექსანდრია და ეგვიპტის ტერიტორიაზე დესანტი გადასხა. მთელი ეგვიპტის ტერიტორია ოკუპირებული იქნა ინგლისის ჯარების მიერ. წარმატებით გათამამებული ინგლისელები 1883 წელს სუდანშიც შეიჭრნენ, მაგრამ 1884 წ. სუდანელებმა, რომელთაც სათავეში ედგა რელიგიური ლიდერი „წინასწაარმეტყველი მაჰდი“, ინგლისელთა ჯარი (გენერალ გორდონის სარდლობით) გაანადგურა. ინგლისი იძულებული გახდა სუდანის დაპყრობაზე რდოებით ხელი აეღო. 1885 წელს აზიაში ინგლისელებმა დაიპყრეს ბირმა, იმავე წელს ინგლისელებმა ხელთ იგდეს ბეჩუანალენდი სამხრეთ აფრიკაში, რომელიც ბურების რესპუბლიკას ესაზღვრებოდა. სამხრეთ აფრიკაში ახალი ტერიტორიების დაპყრობაში დიდი როლი შეასრულა ინგლისურმა „სამხრეთ აფრიკის კომპანიამ“, რომელსაც სათავეში ედგა მილიონერი სესილ როდსი. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ამ კომპანიამ სამხრეთ აფრიკაში დიდი ტერიტორია დაიკავა, რომელსაც როდსის პატივსაცემად როდებია ეწოდა. აღმოსავლეთ აფრიკაში გერმანიასთან შეთანხმების შედეგად ინგლისმა ხელთ იგდო კენია, უგანდა და ზანზიბარი. დასავლეთ აფრიკაში ინგლისის სამფლობელო გახდა ნიგერია. 70-80-იან წლებში წყნარ ოკეანეში ინგლისელებმა დაიპყრეს მთელი რიგი კუნძულები (ჰილბერტი, ელისი, ფენიქსი, ახალი გვინეის

ნაწილი, ახალი ჰერბიდების ნაწილი, ფიჯი, სომალის ნაწილი და სხვ.).

90-იან წლებში ბრიტანეთის კოლონიური ექსპანსია მსოფლიოს სხვადსხვა რეგიონში კვლავ გრძელდებოდა. 1895 წ. ინგლისმა კიდევ ერთხელ სცადა ბურების რესპუბლიკების დაპყრობა, მაგრამ ამჯერადაც წარუმატებლად. იგლისელთა რაზმები ჯემსონის მეთაურობით ბურებმა გაანადგურეს. 1896 წ. ინგლისელებმა განაახლეს ბრძოლა სუდანის დასაპყრობად. ორწლიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ 1989 წ. ინგლისის ჯარმა ომდურმანთან შეძლო მაჰდისტების მთავარი ძალების განადგურება და სუდანის დაპყრობა, თუმცა ამან კინაღამ ინგლის-საფრანგეთის ომი გამოიწვია. იმავე 1898 წ. ჩინეთისაგან ინგლისელებმა მიიტაცეს პორტი ვეი ჰაი ვეი და ცზიულუნის ნახევარკუნძული, რითაც ბრიტანეთის გავლენის სფერო ჩინეთში კიდევ უფრო გაფართოვდა. 1899 წ. ინგლისელებმა ხელთ იგდეს კუვეიტი (არაბეთის ნახევრაკუნძულზე). რაც შეეხბა ლათინურ ამერიკას, აქ აშშ-ს წინააღმდეგობის გამო ბრიტანეთის კოლონიურ ექსპანსიას წარმატება არ მოჰყოლია. 1895 წ. ბრიტანეთის გვიანასა და ვენესუელას შორის კონფლიქტის პროვოცირების გზით ინგლისელებმა სცადეს ვენესუელაში შეღწევა. მაგრამ ინგლისი აშშ-ს მხრიდან ომის მუქარის გამო იძულებული გახდა ამ განზრახვაზე ხელი აეღო.

ამგვარად XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წარმოებული კოლონიური ექსპანსიის შედეგად ინგლისმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი კოლონიური იმპერია და საუკუნის ბოლოს უზარმაზარი ტერიტორიების მფლობელი შეიქმნა. ამ დროისათვის ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ფართობი 33 მლნ კმ²-ს უდრიდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა -370 მლნ. მცხოვრებს.

2. ინგლისი 1900-1914 წლებში

ეკონომიკური განვითარება. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისი კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს და ყველაზე უფრო მდიდარ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ინგლისი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა წამყვან როლს მსოფლიო ვაჭრობაში. მის წილად მოდიოდა მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი წილი. ინგლისის ბანკები მთავარ როლს თამაშობდნენ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების დაფინანსებაში. ლონდონი მსოფლიო ფინანსურ ცენტრად რჩებოდა, ხოლო ინგლისური ფუნტი სტერლინგი მსოფლიო საანგარიშწორებო ერთეულის ფუნქციას ასრულებდა.

ინგლისი მსოფლიოში პირველ ადგილას იდგა ფინანსური კაპიტალის ექსპორტით. 1910 წლისათვის უცხოეთში ინგლისური ფინანსური ინვესტიციების საერთო რაოდენობა 3,7 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა მაშინ, როცა საფრანგეთის ინვესტიციები საზღვარგარეთ არ აღემატებოდა 1,8 მილიარდ ფუნტ სტერლინგს, ხოლო გერმანიის 1 მილიარდს. უცხოეთში დაბანდებულ ინგლისურ ფინანსურ კაპიტალს უზარმაზარი წლიური მოგება ჰქონდა. მაგალითად მხოლოდ 1912 წელს ასეთმა მოგებამ 176 მლნ. ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისის მრეწველობა უფრო სწრაფად ვითარდებოდა ვიდრე XIX საუკუნის ბოლოს. განსაკუთრებით სწრაფი იყო მრეწველობის ახალი დარგების, კერძოდ ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარება. ამასთან ერთად შეინიშნებოდა ძველი ტრადიციული დარგების წინსვლაც. მაგალითად 1900-1913 წლებში თუჯის გამოდნობა 14,5%-ით გაიზარდა, ხოლო ქვანახშირის მოპოვება 30%-ით.

მიუხედავად მრეწველობის საერთო წინსვლისა, რიგი დარგების განვითარებით და მრეწველობის საერთო ზრდის ტემპით გრძელდებოდა ინგლისის თანდათანობითი ჩამორჩენა სხვა

განვითარებული ქვეყნებისგან, განსაკუთრებით აშშ-სა და გერმანიისგან. თანდათანობით მცირდებოდა ინგლისის წილი მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში. მაგალითად 1900-1913 წლებში ქვანახშირის მსოფლიო მოპოვებაში ინგლისის წილი 29,7%-დან 21,8%-მდე შემცირდა, თუჯის მსოფლიო წარმოებაში - 22,1%-დან 13,2%-მდე, ხოლო ბამბის მსოფლიო მოხმარებაში 28,5%-დან 23,2%მდე. მსოფლიოში ინგლისის სამრეწველო პირველობა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს.

ინგლისის სამრეწველო ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო მისი მრეწველობის მოძველებული ტექნიკური აღჭურვილობა და ტექნოლოგია, რაც განახლებას საჭიროებდა. ამისათვის კი საჭირო იყო დრო და მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები.

ისევე როგორც სხვა წამყვან ქვეყნებში, ინგლისშიც მრეწველობის განვითარებას თან სდევდა წარმოების და ფინანსური კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი, რაც უმსხვილესი ბანკებისა და სამრეწველო ფირმების შექმნაში გამოიხატებოდა. მაგალითად პირველი მსოფლიო ომის წინ ქვეყნის შიგნით არსებული საბანკო კაპიტალის 70% თავმოყრილი იყო 12 მსხვილი ბანკის ხელში, რომლებიც წამყვან როლს თამაშობდნენ ეკონომიკაში. ინგლისის მსუბუქ მრეწველობაში წამყვან როლს ასრულებდნენ ე.წ „ჰორიზონტალური ტიპის“ მსხვილი ფირმები (მონოპოლიები), რომელთა ხელში იყო თავმოყრილი მრეწველობის მთელი დარგი. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფირმა „კოუტსი“, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა ძაფის წარმოებას. მძიმე მრეწველობაში კი გამოირჩეოდნენ ე.წ. „ვერტიკალური ტიპის“ მსხვილი ფირმები, რომლებიც წარმოების მთელ პროცესს აკონტროლებდნენ (ნედლეულის მოპოვებიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე). ასეთ ფირმათა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ მსხვილი გემთმშენებელი კომპანია „დორმან ლონგი“ და საომარ მასალათა მწარმოებელი ტრესტი „არმსტრონგ-უიტვორსი“.

ინგლისის ეკონომიკურ განვითარებას დიდად უწყობდა ხელს უზარმაზარი კოლონიური იმპერიის არსებობა. 1900 წლისთვის კოლონიური იმპერიის სიდიდით ინგლისი მსოფლიოში პირველ ადგილზე იდგა. ამ იმპერიის საერთო ტერიტორიული ფართობი 33 მლნ.კმ²-ს აღემატებოდა, ხოლო მოსახლეობა 370 მლნ. კაცს აღწევდა. კოლონიური სამფლობელოები ინგლისის ეკონომიკის უზარმაზარ სანედლეულო ბაზარს და სამრეწველო საქონლის გასაღების, აგრეთვე ფინანსური კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელ ბაზარს წარმოადგენდა.

<u>საშინაო ვითარება.</u> 1895 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორთა გამარჯვების შემდეგ ინგლისის მთავრობას სათავეში კონსერვატორთა წარმომადგენლის ლორდი სოლსბერის მინისტრთა კაბინეტი ჩაუდგა. საშინაო-პოლიტიკურ სფეროში სოლსბერის მთავრობა ყურადღებას უთმობდა მუშათა საკითხს და განათლების სფეროს. 1897 წ. მიღებული იქნა კანონი საწარმოო უბედური შემთხვევის დროს მეწარმეთა პასუხისმგებლობის შესახებ. ეს უკანასკნელნი ვადებულნი იყვნენ გაეცათ გარკვეული ფინანსური კომპენსაცია დაშავებულ მუშებზე. 1902 მიღებული იქნა კანონი სახალხო განათლების შესახებ. ამ კანონის მიხედვით სახელმწიფო ფინანსურ სახსრებს გამოყოფდა საშუალო განათლების სკოლების დასაფინანსებლად. ძლიერდებოდა მათზე სახელმწიფოს კონტროლი და მცირდებოდა სკოლებზე ანგლიკანური ეკლესიის კონტროლი. მალე სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობის შედეგად საშუალო და ტექნიკური სკოლების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რასაც მოითხოვდა მრეწველობის განვითარების ინტერესები. საზღვარგარეთის სხვა წამყვანი ქვეყნების მხრიდან კონკურენციამ ინგლისში თანდათანობით მოამწიფა ის აზრი, რომ მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა არა მარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიულად კარგად მომზადებული კადრები, რომ უნდა დამყარედს უფრო მჭიდრო კონტაქტი მრეწველობასა და

მეცნიერებას შორის, რასაც ადრე ინგლისში უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ვიდრე აშშ-სა და გერმანიაში. აღნიშნული რეფორმის შედეგად საშუალო განათლება ხელმისაწვდომი გახდა წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებისათვისაც.

მაგრამ საშინაო-პოლიტიკურ სფეროზე მეტად სოლსბერის მთავრობა საგარეო პოლიტიკით და განსაკუთრებით კოლონიური იმპერიის გაფართოვებით იყო დაკავებული. ლიტერატურასა და პრესაში ფართოდ მიმდინარეობდა კოლონიური პოლიტიკის გამართლების პროპაგანდა. ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებშიც ავტორები ასაბუთებდნენ იმას, რომ ინგლისის კოლონიური იმპერია, რომელიც მეტოქეებთან დაუნდობელ ბრძოლაში შეიქმნა, თვით ინგლისის ძლიერების წყაროა, რომ ინგლისელებს აქვთ ისეთი თვისებები, რომლებიც მათ უფლებას აძლევენ გადაიქცნენ ჩამორჩენილი ხალხების მმართველებად. ასეთმა პროგრამამ ინგლისის მოსახლეობაში შოვინისტური განწყობილების გაღვივებაში თავისი შედეგი გამოიღო. 1900 წ. გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც ბურებთან ომის პირობებში მიმდინარეობდა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კონსერვატორებს დაუჭირა მხარი. ახალ მთავრობას ისევ ლორდი სოლსბერი ჩაუდგა სათავეში. მაგრამ მალე, 1902 წელს მოხუცობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო. პრემიერ-მინისტრის პოსტზე ლორდი სოლსბერი მისმა ძმისწულმა არტურ ბალფურმა შეცვალა.

არტურ ბალფურის მთავრობის მმართველობის პერიოდში (1902-1905 წწ.) მკვეთრად გამწვავდა სხვადასხვა დაჯგუფებათა დაპირისპირება თვით კონსერვატორთა პარტიის შიგნით. ამ დაპირისპირებას იწვევდა საბაჟო-სატარიფო საკითხები. ინგლისის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ის წრეები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ მრეწველობასთან და ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ უცხოური კონკურენციით, მოითხოვდნენ ინგლისში შეტანილ უცხოურ

საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესებას. მაგრამ ამას წინააღმდეგობას უწევდა ბურჟუაზიის მეორე ნაწილი, რომელიც დაკავშირებული იყო ისეთ დარგებთან (მაგ. საფეიქრო მრეწველობა, ქვნახშირის წარმოება, გემთმშენებლობა და სხვ.), რომლებიც ძირითადად საექსპორტო პროდუქციას აწარმოებდნენ და უცხოური კონკურენციის ნაკლებად ეშინოდათ. ბურჟუაზიის ეს ნაწილი შიშობდა, რომ ინგლისში შემოტანილ უცხოურ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფის დაწესება გამოიწვევდა სხვა ქვეყნების მხრიდან ანალოგიური ზომების გატარებას, რაც დაბრკოლებას შეუქმნიდა ინგლისურ ექსპორტს ამ ქვეყნებში და იმდენად დააზარალებდა ინგლისურ ექსპორტიორებს, რომ ამ ზარალს ისინი ვერ აინაზღაურებდნენ ბრიტანეთის იმპერიის შინაგანი ვაჭრობის გაფართოვებით.

პროტექციონისტული საბაჟო ტარიფების დაწესების მომხრეებს მხარს უჭერდა ბალფურის მთავრობის წევრი, კოლონიების მინისტრი ჯოზეფ ჩემბერლენი, რომელმაც 1903 წ. გერმანიაში წარმოთქმულ სიტყვაში წამოაყენა მოთხოვნა არა მარტო დაეწესებინათ მაღალი ტარიფები უცხოურ იმპორტზე, არამედ შეექმნათ საბაჟო კავშირი ბრიტანეთის სამფლობელოებს შორის, რომელიც ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შიდა ბაზარს დაიცავდა უცხოური საქონელის მოზღვავებისაგან. ჩემბერლენს მხარი არ დაუჭირა მინისტრთა კაბინეტის უმრავლესობამ და თვით პრემიერ-მინისტრმა ბალფურმა. ამის საპასუხოდ 1903 წ. შემოდგომაზე ჩემბერლენი მთავრობის შემდგენლობიდან გამოვიდა.

ლიბერალებმა კარგად ისარგებლეს კონსერვატორთა ბანაკში არსებული განხეთქილებით. მათ გააჩაღეს მაღალი საბაჟო ტარიფების შემოღების საწინააღმდეგო პროპაგანდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ინგლისი დიდადაა დამოკიდებული უცხოური ნედლეულის იმპორტზე და რომ მასზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესება გამოიწვევს ქვეყანაში მრავალ სამრეწველო საქონელზე

ფასების ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას. ლიბერალურ პარტიას მხარი დაუჭირეს წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა ფენებმა. 1905 წლის დეკემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად ლიბერალებმა გაიმარჯვეს. პარლამენტში ისინი უმრავლესობაში აღმოჩნდნენ (401 ადგილი 186-ის ნაცვლად). კონსერვატორები უმცირესობაში აღმოჩნდნენ (მათი ადგილები 402-დან 157-მდე შემცირდა). ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ლიბერალთა წარმომადგენელი კემპბელ ბანერმენი. ლიბერალთა გამარჯვებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ წინა საარჩევნო კამპანიის დროს წამოაყენეს სოციალური რეფორმების პროგრამა, რომელშიც საზოგადოებას ჰპირდებოდნენ მუშებსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობის რადიკალურ მოწესრიგებას, აგრეთვე დიდ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე გადასახადის დაწესებას. ლიბერალები ხელისუფლების სათავეში 1916 წლამდე იმყოფებოდნენ.

კემპბელ ბანერმენის ლიბერალურმა კაბინეტმა და 1908 წელს მის ნაცვლად შექმნილმა ჰერბერტ ასკვიტის ლიბერალურმა კაბინეტმა (1908 წელს ავადმყოფობის გამო კემპბელ-ბანერმენი გადადგა და გარდაიცვალა კიდეც) თავიანთ მთავარ მიზნად საშინაო პოლიტიკაში მუშათა მოძრაობის აქტიურობის შენელება და მუშათა გარევოლუციონერების თავიდან აცილება დაისახეს. ამისათვის ისინი ფართო სოციალური რეფორმების გზას დაადგნენ. ამ რეფორმათა მთავარი ინიციატორი და განმახორციელებელი იყო ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დევიდ ლოიდ ჯორჯი, რომელსაც კემპბელ ბანერმენის მთავრობაში ვაჭრობის მინისტრის პოსტი ეკავა, ხოლო ასკვიტის მთავრობაში მან 1908 წელს ფინანსთა მინისტრის პოსტი დაიკავა.

1906 წელს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი საწარმოებში უბედური შემთხვევების დროს დასახიჩრებულ მუშებზე ფინანსური კომპენსაციის გაცემის შესახებ. ეს კანონი

ძველი 1897 წელს მიღებული მსგავსი კანონისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი ყველა კატეგორიის მუშებზე ვრცელდებოდა. 1908 წელს მიღებული იქნა კანონები, რომლებიც ითვალისწინებდნენ 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას მიწის ქვეშ მომუშავე მადაროელებისათვის, აგრეთვე პენსიების დაწესებას 70 წელს მიღწეული ყველა კატეგორიის მუშებისათვის. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქონდა კანონს დაზღვევის შესახებ (1911 წ.) უმუშევრობის, ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევაში. იქმნებოდა სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომლის თანხის 45%-ს მუშათა შენატანები შეადგენდა, 33% მეწარმეებს შეჰქონდათ, ხოლო 22%- სახელმწიფოს.

1909 წელს ლოიდ ჯორჯმა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც ზემოთ აღნიშნული სოციალური რეფორმების განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო 1,8 მლნ. გირვანქა სტერლინგის გამოყოფა. პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე სამხედრო ხარჯების ზრდას (ამისათვის გამოყოფილი უნდა ყოფილიყო 3 მლნ. გირვანქა სტერლინგი). ამ ხარჯების დასაფარავად ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა სახელმწიფო გადასახადის დაწესებას მემკვიდრეობით მიღებულ დიდ ქონებაზე აგრეთვე სახელმწიფო გადასახადის მნიშვნელოვან ზრდას იმ პირებზე, რომელთა შემოსავალი წელიწადში 5 ათას ფუნტ სტერლინგს აჭარბებდა.

ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტის პროექტს მკვეთრად დაუპირისპირდა კონსერვატიული პარტია და მის უკან მდგომი მსხვილი ბურჟუაზიის და მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატიის წრეები. 1909 წლის ნოემბერში პარლამენტის თემთა პალატამ, სადაც ლიბერალები კონსერვატორებს სჭარბობდნენ ხმების უმრავლესობით ბიუჯეტის პროექტი მოიწონა, მაგრამ ლორდთა პალატამ სადაც უმრავლესობაში კონსერვატორები იყვნენ ბიუჯეტი უარყო. ასკვიტის მთავრობამ პარლამენტი დაითხოვა და ახალი რიგგარეშე საპარლამენტო

არჩევნები დანიშნა. ამავე დროს ლიბერალებმა ლორდთა პალატის წინააღმდეგ აქტიური კრიტიკის კამპანია გააჩაღეს. ისინი ლორდებს ბრალს სდებდნენ კანონის დარღვევაში, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელთ ეკრძალებოდათ ფინანსურ საქმეებში ჩარევა. 1910 წლის თებერვალში ჩატარებულმა არჩევნებმა გამარჯვება კვლავ ლიბერალურ პარტიას მოუტანა. ახალი პარლამენტის თემთა პალატამ კვლავ მოიწონა ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტის პროექტი, მაგრამ ლორდთა პალატამ იგი კვლავ უარყო. ასკვიტის მთავრობამ კვლავ დაითხოვა პარლამენტი და კიდევ ერთხელ რიგგარეშე არჩევნები დანიშნა. ამ არჩევნებშიც 1910 წ. დეკემბერში ისევ ლიბერალებმა გაიმარჯვეს. ახალი პარლამენტის თემთა პალატამ მიიღო კანონი საპარლამენტო რეფორმის შესახებ. ლორდთა პალატა, რომელიც უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შედეგად დარწმუნდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს ლიბერალებს უჭერდა, იძულებული გახდა უკან დაეხია და ეს რეფორმა მიეღო.

ლორდთა პალატის უკან დახევაში დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ლიბერალებს მხარი დაუჭირა 1910 წელს ტახტზე ახლად ასულმა მეფემ ჯორჯ V-მ (რომელმაც შეცვალა მისი გარდაცვლილი მამა ედუარდ VII (1901-1910)). ჯორჯ V პრემიერ მინისტრს დაჰპირდა, რომ რეფორმისადმი ლორდთა პალატის წინააღმდეგობის შემთხვევაში იგი დანიშნავდა ახალ ლიბერალური პარტიის წარმომადგენელ ლორდებს იმ რაოდენობით, რომ ისინი ლორდთა პალატაში კონსერვატიული პალატის წარმომადგენელ ლორდებზე მეტი ყოფილიყვნენ.

მიღებული რეფორმის მიხედვით დასტურდებოდა ის, რომ ლორდთა პალატას ეკრძალებოდა ფინანსურ საქმეებში ჩარევა. იზღუდებოდა საერთოდ ლორდთა პალატის უფლებები კანონმდებლობაში. ამიერიდან ლორდთა პალატას უფლება ჰქონდა თემთა პალატის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტო მხოლოდ ორჯერ დაედო. თუ თემთა პალატა კანონს მესამე განხილვის

შემდეგაც მოიწონებდა, მისი შეჩერება ლორდთა პალატას უკვე აღარ შეეძლო. ამ რეფორმის შემდეგ ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტს პარლამენტში გზა გაეხსნა. რეფორმის მიხედვით დეპუტატთა უფლებამოსილება 7-დან 5 წლამდე შემცირდა. დეპუტატებს დაენიშნათ ხელფასი. ამან საშუალება მისცა ინგლისის ყველა მოქალაქეს დეპუტატად ყოფილიყო არჩეული.

ისევე როგორც ადრე, 1900-1914 წლებშიც მუშათა მოძრაობა ინგლისის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, უმუშევრობის პრობლემა, საწარმოო ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტები ცალკეულ საწარმოთა მფლობელებსა და ამ საწარმოებში დასაქმებულ მუშებს შორის იწვევდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობას და მნიშვნელოვნად ამწვავებდა საშინაო-პოლიტიკურ ვითარებას. მართალია ინგლისში არსებობდნენ მუშათა პოლიტიკური ორგანიზაციები (სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია, სოციალური ლიგა, დამოუკიდებელი მუშათა პარტია), რომლებიც რეფორმისტულ სოციალიზმის პოზიციებზე იდგნენ, მაგრამ ხელმძღვანელ როლს მუშათა მოძრაობაში ტრედუნიონები (პროფკავშირები) ასრულებდნენ.

მუშათა მოძრაობის შემდგომ განვითარებას ინგლისში დიდი ბიძგი მისცა 1900 წელს ტააფის ველის (სამხრეთ უელსი) რკინიგზის კომპანიის მუშათა გაფიცვამ, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. გაფიცვის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობამ რკინიგზელთა პროფკავშირს სასამართლოში უჩივლა და მისგან გაფიცვის შედეგად კომპანიისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა. საქმე საბოლოოდ ინგლისის უმაღლეს სასამართლო ინსტანციამდე, ლორდთა პალატამდე მივიდა, რომელმაც იგი მეწარმეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ტააფის ველის საქმემ ტრედუნიონთა შეშფოთება გამოიწვია. შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ მომავალში მომხდარ მუშათა

გაფიცვებზე ფინანსურ პასუხისმგებლობას ტრედუნიონებს დააკისრებდნენ. ეს კი ფაქტიურად გაფიცვებზე მუშათა უფლებების აკრძალვის და ტრედუნიონთა ფინანსური ფონდების განადგურების ტოლფასი იყო. ტრედუნიონების ლიდერები დარწმუნდნენ იმაში, რომ საჭირო იყო ძლიერი მუშათა პოლიტიკური პარტის შექმნა, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საპარლამენტო არჩევნებში, პარლამენტში გაიყვანდა დეპუტატების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც შექმნიდნენ საპარლამენტო ფრაქციას და იბრძოლებდნენ პარლამენტში მუშათა ინტერესების უფრო ეფექტურად დასაცავად. 1900 წელს ლონდონში გაიმართა ტრედუნიონთა საერთო კონფერენცია, რომლის მუშაობაში ტრედუნიონების გარდა მონაწილეობას იღებდნენ მუშათა პარტიის და სოციალური ფედერაციის წარმომადგენლებიც. მიღებული იქნა გადაწყვეტილება მუშათა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის „მუშათა წარმომადგენლობითი კომიტეტის“ შექმნის შესახებ. ამ ორგანიზაციას მოგვიანებით 1905 წელს ლეიბორისტული პარტია ეწოდა. ამ პარტიაში არ იყვნენ ინდივიდუალური წევრები, მასში შედიოდნენ ტრედუნიონები, დამოუკიდებელი მუშათა პარტია და სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია. პარტიის ლიდერი გახდა მაკნონალდი (დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერი). ლეიბორისტული პარტიის ფინანსურ ბაზას შეადგენდა პარტიაში შემავალი ორგანიზაციების თითეული წევრიდან ყოველკვირეულად აკრეფილი გადასახადი ერთი პენსის ოდენობით. ლეიბორისტული პარტიის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინგლისის მუშათა მოძრაობაში. იგი ადასტურებდა მუშათა პოლიტიკური შეგნების ზრდას. 1905 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან პარლამენტში 29 ადგილი მოიპოვა.

XX საუკუნის დამდეგს ინგლისის საშინაო-პოლიტიკური ვითარების მწვავე პრობლემას კვლავ წარმოადგენდა ირლანდიის

საკითხი. ამ პერიოდში ირლანდიის ეკონომიკა განსაკუთრებით ჩრ. რეგიონში ოლსტერში საკმაოდ წარმატებით ვითარდებოდა. მრეწველობის განვითარებას თან სდევდა ადგილობრივი ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიკური გაძლიერება. ეროვნული ბურჟუაზია კი ინგლისის წინააღმდეგ მიმართული ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წამმართველი ძალა იყო. მრეწველობის განვითარების კვალობაზე თანდათან ყალიბდებოდა მუშათა ფენა, რომელიც გლეხობასთან და ბურჟუაზიასთან ერთად აქტიურად ებმებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების პირობებში ინგლისელი მემამულეები (რომელთაც მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნოდათ) ირლანდიაში მეტად არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს. ამასთან ერთად ოკეანის გაღმიდან ირლანდიაში მოზღვავებულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ ნედლეულზე, სურსათზე და მიწაზე ფასები მკვეთრად დასცა. ყოველივე ამის გამო ინგლისელი მემამულეები მიისწრაფვოდნენ გაეყიდათ თავიანთი მიწები და ინგლისში დაბრუნებულიყვნენ. 1903 წელს პრემიერ-მინისტრ ბალფურის კონსერვატიულმა მთავრობამ მიიღო კანონი (ე.წ. უინდემის კანონი), რომელმაც მიწების გაყიდვა ინგლისელი მემამულეებისათვის მეტად ადვილი და მომგებიანი გახადა. სახელმწიფომ თვითონ დაიწყო მიწების შესყიდვა მემამულეებისგან 12%-ით უფრო მეტი ფასით ვიდრე მათი რეალური ღირებულება იყო. შემდეგ სახელმწიფო ამ შესყიდულ მიწებს ცალკეული ნაკვეთების სახით განვადებით ყიდდა ირლანდიელ გლეხებზე. 1913 წლისთვის ირლანდიაში 19 მლნ. აკრი სახნავი მიწიდან 11 მლნ. აკრი უკვე ირლანდიელი გლეხების ხელში იყო. ამან ხელი შეუწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებას.

1905 წელს შეიქმნა პარტია „შინფეინი“ („ჩვენ თვითონ“), რომლის ლიდერი იყო ცნობილი ირლანდიელი ლიტერატორი,

ირლანიული ენის და კულტურის აღორძინებისთვის თავდადებული მებრძოლი არტურ გრიფიტსი (1872-1922 წწ.). პარტია ირლანდიის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდიოდა. ამავე დროს გააქტიურდა ინგლისის პარლამენტში მოქმედი ირლანდიელ დეპუტატთა ფრაქცია (რედმონდის მეთაურობით), რომელსაც უფრო ზომიერი პოზიცია ეკავა და მხოლოდ ირლანდიისათვის ჰომრულის (საშინაო ავტონომიის) მინიჭების მოთხოვნით გამოდიოდა.

პრემიერ-მინისტრ ასკივიტის ლიბერალური მთავრობა (რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო პარლამენტში ირლანდიელ დეპუტატთა ხმები) იძულებული გახდა ირლანდიული საპარლამენტო ფრაქციის მიმართ დათმობაზე წასულიყო და 1912 წელს პარლამენტისთვის განსახილველად წარედგინა კანონპროექტი ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებდა ირლანდიის ორპალატიანი პარლამენტის შექმნას, სადაც ქვედა დეპუტატთა პალატა იქნებოდა არჩევითი, ხოლო ზედა პალატის სენატის წევრებს დანიშნავდა ინგლისის მეფე. ირლანდიის პარლამენტის კომიტეტში არ უნდა ყოფილიყო საგარეო პოლიტიკის, ვაჭრობის და პოლიციის მმართველობის საკითხები.

მიუხედავად ამ პროექტის ზომიერი ხასიათისა, მან კონსერვატიული პარტიის მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია. კონსერვატორებმა ისარგებლეს იმით, რომ ირლანდიის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული პროვინციის ოლსტერის მოსახლეობის უმრავლესობა ინგლისელი პროტესტანტები იყვნენ და ისინი ამბოხებისკენ წააქეზეს. ოლსტერის ინგლისურმა მოსახლეობამ ოლსტერის ირლანდიისგან გამოყოფა და ინგლისის შემადგენლობაში დარჩენა მოითხოვა. მათ დაიწყეს მოხალისეთა შეიარაღებული რაზმების შექმნა. ამის საპასუხოდ ოლსტერის და დანარჩენი ირლანდიის ირლანდიურმა მოსახლეობამ საკუთარი

შეიარაღებული რაზმების შექმნა დაიწყო. ირლანდიას სამოქალაქო ომის საფრთხე დაემუქრა. ასკვიტის მთავრობამ წესრიგის დასამყარებლად ოლსტრში სამხედრო ნაწილების გადასროლა გადაწყვიტა მაგრამ ოფიცრებმა მთავრობას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს.

1914 წლის ზაფხულში ირლანდიისთვის ჰომრულის მინიჭების კანონი (მას შემდეგ რაც ლორდთა პალატამ ორჯერ უარყო) პარლამენტის თემთა პალატამ საბოლოოდ დაამტკიცა. კანონს ხელი მოაწერა მეფემ და იგი ძალაში შევიდა მაგრამ მისი განხორციელება გარკვეული ვადით გადაიდო. ამის მიზეზი იყო დაწყებული პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც აგვისტოში ინგლისიც ჩაება.

<u>საგარეო პოლიტიკა</u>. XXსაუკუნის დამდეგს ინგლისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. ინგლისის ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეფართოვებინა თავისი უზარმაზარი კოლონიური იმპერია, ეს კი იწვევდა მის მრავალრიცხოვან შეჯახებებს სხვა წამყვან ქვეყნებთან. ამიტომ ინგლისის ურთიერთობა სხვა დიდ სახელმწიფოებთან მეტად რთული და დაძაბული იყო. ასეთ ვითარებაში მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კონტინენტზე უკვე არსებობდა ორი დაპირისპირებული სამხედრო დაჯგუფება გერმანია-ავსტრია-იტალიის სამთა კავშირისა და საფრანგეთ-რუსეთის ალიანსის სახით, მაინც მოსალოდნელი იყო, რომ ამ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობა მეორე პლანზე გადასულიყო და ინგლისს ისინი გაერთიანებული ძალებით დაპირისპირებოდნენ მისი ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიის გადანაწილების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინგლისის მმართველი წრეები საგარეო პოლიტიკაში იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ ძველ ტრადიციულ იზოლაციონიზმის მეთოდზე, როცა ინგლისი სარგებლობდა ევროპის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოების ურთიერთწინააღმდეგობით, არ დებდა კავშირს არც ერთ

მათგანთან, ასრულებდა მათ შორის არბიტრის როლს და პარალელურად თავისი უძლიერესი ფლოტის მეშვეობით აფართოვებდა საკუთარ კოლონიურ იმპერიას.

XX საუკუნის დამდეგიდან ინგლისი თანდათან რწმუნდება იმაში, რომ მისი მთავარი კონკურენტი გერმანიაა. გერმანიის კონკურენცია ეკონომიკაში გამუდმებით ძლიერდებოდა. გერმანული სამრეწველო საქონელი ავიწროვებდა ინგლისურს არა მარტო მსოფლიო ბაზარზე, არამედ თვით ინგლისის შიდა ბაზარზეც. ეკონომიკურად გაძლიერებული გერმანია მიისწრაფვოდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისაკენ და რა თქმა უნდა, ეს მას უპირველეს ყოვლისა ინგლისთან, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიის მფლობელთან აპირისპირებდა.

ინგლის-გერმანიის დაპირისპირება ყველაზე ნათლად სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაში გამოიხატა. ორ სახელმწიფოს შორის ამ დარგში ნამდვილი შეჯიბრი გაჩაღდა, რაც კიდევ უფრო აუარესებდა მათ ურთიერთობას და აახლოვებდა მათ შორის ომის საფრთხეს.

1898-1900 წლებში გერმანიაში მიღებული იქნა საზღვაო მშენებლობის დიდი პროგრამები, რომელთა შესაბამისად გერმანიის ფლოტმა იმაზე ბევრად უფრო სწრაფად იწყო ზრდა, ვიდრე ამას ინგლისელები მოელოდნენ. ინგლისის საზღვაო ძლიერებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ინგლისელთა შეშფოთება გაიზარდა 1905 წლიდან, როცა ისინი შეუდგნენ ახალი ტიპის ზემძლავრი ჯავშნოსანი სამხედრო გემების ე.წ. „დრედნოუტების“ მშენებლობას, რომელთაც ყველაზე მძლავრი საარტილერიო შეიარაღება ჰქონდათ. დრედნოუტების მშენებლობის ინიციატორი, პირველი საზღვაო ლორდი (საზღვაო ძალების გენშტაბის უფროსი) ადმირალი ფიშერი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გერმანელებს არ ჰქონდათ ისეთი გემთმშენებლობის ტექნიკა, როგორც ინგლისელებს, ამიტომ ისინი

ვერ შეძლებდნენ დრედნოუტების მშენებლობას. მაგრამ ინგლისელები შეცდნენ. გერმანელებიც მათ მსგავსად სწრაფად შეუდგენენ დრედნოუტების მშენებლობას. ამან სერიოზულად გაართულა ზღვებზე ინგლისის მდგომარეობა. საქმე იმაშია, რომ დრედნოუტები იმდენად ჯობნიდნენ სხვა კლასის გემებს, რომ ზღვებზე სახემწიფოს სიძლიერის განმსაზღვრელ მთავარ ძალად ფაქტურად ისინი იქცნენ. ამ კლასის გემებში კი გერმანია ინგლისს არც ისე ჩამორჩებოდა.

გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავების ვითარებაში ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა კომპრომისზე წაესულიყო და მოეწესრიგებინა ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. 1901 წ. ინგლისმა აშშ-ს სასარგებლოდ უარი თქვა პანამის არხის მშენებლობის პრეტენზიაზე და გამოიყვანა თავისი ფლოტი აშშ-ის სანაპიროების ახლომდებარე ზონიდან. ინგლისმა აგრეთვე მოაწესრიგა სასაზღვრო საკითხი აშშ-სა და კანადას შორის ალიასკის ნახევარკუნძულზე.

ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობამ შეასუსტა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი. ფაშოდის ინციდენტის მშვიდობიანმა მოგვარებამ შექმნა შესაძლებლობა ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებისათვის. ამ დაახლოვებაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო 1904 წელს დადებული საფრანგეთ-ინგლისის „გულითადი შეთანხმება“, რომელიც ძირითადად აწესრიგებდა ორ სახელმწიფოს შორის წინააღმდეგობას კოლონიურ ასპარეზზე, განსაკუთრებით ეგვიპტესა და მაროკოში. დაიწყო მოლაპარაკებანი ორი ქვეყნის გენერალურ შტაბებს შორის ომის შემთხვევაში ერთობლივი სამხედრო მოქმედების შესახებ. ორმხრივი შეთანხმების შედეგად ინგლისის ფლოტი თავმოყრილი იქნა ჩრდილოეთის ზღვაში, ხოლო საფრანგეთის ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში.

ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ინგლის-რუსეთის დაახლოვებისათვის. 1907 წელს ორ

ქვეყანას შორის დადებული იქნა შეთანხმება, რომელმაც მოაწესრიგა მათი წინააღმდეგობანი ირანში, ავღანეთსა და ტიბეტში.

საფრანგეთთან და რუსეთთან დაახლოვების პარალელურად ინგლისის მთვრობა გაძლიერებით ემზადებოდა სამხედრო თვალსაზრისითაც გერმანიის წინააღმდეგ ომისათვის. 1904-1914 წლებში ინგლისის სამხედრო ხარჯები 3-ჯერ გაიზარდა. 1903 წელს ინგლისის ჩრდილოეთში როსიტში აშენდა დიდი სამხედრო საჰაერო ბაზა. იმავე წელს ინგლისის მთავრობამ შექმნა სპეციალური ორგანო - იმპერიის დაცვის კომიტეტი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სამხედრო გეგმები მთელი იმპერიის მასშტაბით. მთელი ინგლისი დაიყო სამხედრო ოლქებად. დაიწყო მნიშვნელოვანი სამხედრო რეზერვების და კონტინენტზე გადასასხმელი საექსპედიციო არმიის ფორმირება.

XX საუკუნის დამდეგს ინგლისის საგარეო პოილიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს კვლავ კოლონიური იმპერიის შემდგომი გაფართოვება წარმოადგენდა. ინგლისელები უკვე დიდი ხანია მიისწრაფვოდნენ ხელთ ეგდოთ სამხრეთ აფრიკაში მდებარე ოქროსა და ალმასის საბადოებით მდიდარი ბურთა რესპუბლიკები ტრანსვაალი და ორანჟი (ნარინჯისფერი რესპუბლიკა). 1895 წელს ჯემსონის ავანტიურის წარუმატებლობის და შემდგომში საფრანგეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო ინგლისელები იძულებულნი გახდნენ თავიანთ აგრესიულ გეგმებზე უარი ეთქვათ.

1898 წლიდან, მას შემდეგ, რაც საფრანგეთთან ფაშოდის კონფლიქტი მოგვარდა, ინგლისელები ბურების წინააღმდეგ აგრესიის მზადებას შეუდგნენ. ბურებმა გადაწყვიტეს ინგლისელებისთვის დაესწროთ. 1899 წ. 9 და 11 ოქტომბერს ტრანსვაალის და ორანჟის რესპუბლიკებმა ინგლისს ომი გამოუცხადეს. ბურები სამხრეთ აფრიკის ინგლისური სამფლობელოების ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ბურების რესპუბლიკები, რომელთაც საკუთარი მრეწველობაც კი არ

გააჩნდათ და მათი მოსახლეობა მხოლოდ 1,5 მლნ კაცს შეადგენდა, ინგლისს ძლიერებით ვერ შეედრებოდნენ. მაგრამ სამაგიეროდ ბური მეომრები, რომლებიც ჩინებული მხედრები და მსროლელები იყვნენ სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. საომარი მოქმედებები თავიდან ბურების უპირატესობით წარიმართა (ისინი უახლესი ტექნიკითაც იყვნენ შეიარაღებულნი). 1899 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მათ ინგლისელებს რამდენიმე ძლიერი მარცხი აგემეს. ინგლისელები იძულებულნი გახდნენ სამხრეთ აფრიკაში დიდი დამატებითი სამხედრო ძალები გადაესროლათ. 1900 წლის ზაფხულისათვის ბურთა 50 ათასიანი არმიის წინააღმდეგ მოქმედმა ინგლისის არმიის რიცხობრივმა შემადგენლობამ 500 ათასს მიაღწია. ინგლისელთა ახალმა სარდალმა ლორდმა რობერტსმა რიცხობრივი უპირატესობის მეშვეობით შეძლო ბურების დამარცხება. ტრანსვაალის პრეზიდენტმა კრიუგერმა ევროპას შეაფარა თავი. შემდგომაზე ინგლისელებმა დაიკავეს ორივე რესპუბლიკის დედაქალაქები პრეტორია და ბლუმფონტეინი. მაგრამ ბურები პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდნენ და ომი, რომელშიც ინგლისელებმა დიდი ზარალი ნახეს, კიდევ 2 წელიწადს გაგრძელდა. მხოლოდ 1902 წელს, მას შემდეგ რაც ბურების სამხედრო შესაძლებლობანი ამოიწურა დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ინგლისელებმა ოკუპირებული ტრანსვაალი და ორანჟი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანეს საშინაო ავტონომიის უფლებით. ბურების რესპუბლიკების დაპყრობით ინგლისმა ხელთ იგდო ოქროსა და ალმასის მდიდარი საბადოები და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი პოზიციები სამხრეთ აფრიკაში.

XX საუკუნის დამდეგიდან ბრიტანეთის უზარმაზარ კოლონიური იმპერიაში უკვე დაშლის ტენდენციები შეინიშნება. ამის მიზეზი იყო ის, რომ კოლონიებში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ყალიბდებოდა ადგილობრივი

მრეწველობა (რომელიც თავდაპირველად ნედლეულის პირველად გადამუშავებასთან იყო დაკავშირებული) და ადგილობრივი ბურჟუაზია, რომელიც ხშირად გამოდიოდა ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. ინგლისის ხელისუფლება იძულებული იყო ასეთი კოლონიებისათვის დომინიონების სტატუსი (ე.ი. საშინაო ავტონომია) მიენიჭებინა. ასეთი სტატუსი კანადამ და ავსტრალიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღეს. 1907 წელს დომინიონის სტატუსი მიიღო ახალმა ზელანდიამ, ხოლო 1910 წელს - სამხრეთ აფრიკის კავშირმა. შემდგომში დომინიონები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. მათი დამოკიდებულება ინგლისზე თანდათან მხოლოდ ფორმალური ხდება, ისინი ცდილობენ დამოუკიდებლად წარმართონ თავიანთი საგარეო პოილიტიკა. მაგალითად ამ მხრივ ყველაზე მეტად აქტიურობდა კანადა. 1908 წელს ინგლისსა და აშშ-ს შორის წარმოებული მოლაპარაკების დროს (მოლაპარაკება შეეხებოდა დიდ ტბებზე გამავალ საზღვარს) სხდომაში მონაწილეობას ინგლისის დელეგაციასთან ერთად კანადის დელეგაციაც იღებდა. 1909 წელს კანადის მთავრობაში შეიქმნა საგარეო საქმეთა დეპარტამენტი. 1911 წელს კი კანადამ ინგლისისგან დამოუკიდებლად სავაჭრო ხელშეკრულება დადო აშშ-სთან.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი მსოფიო ომის წინ ბრიტანეთის კოლონიური იმპერია წარმოადგენდა განსხვავებულ სამფლობელოთა კონგლომერატს, რომელთა შორისაც კოლონიებთან ერთან იყვნენ დომინიონებიც, რომლებმაც თითქმის ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

ლექცია XI
აშშ XVIII-XIX ს-ბის მიჯნაზე
(1860-1914) (2 სთ.)

1. 1861-65 წლების სამოქალაქო ომი

აშშ XIX ს. 40-50-იან წწ. ჯ. ბრაუნის აჯანყება. XIX სის I ნახ აშშ სწრაფად ვითარდება კაპიტალიზმი. ამაში დიდი როლს ასრულებდა სულ უფრო მზარდი პროცესი დასავლეთით ტერიტორიებოის ათვისებისა და ევროპიდან მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციისა. ამერიკელი მკვლევარების ბეარდების ცნობით, 1820-60 წ. წ. აშშ ჩავიდნენ 1.5 მილ. მუშა და ფერმერი, ნახევარმილიონამდე ხელოსანი, 35 ათასამდე მეშახტე, 12 ათასამდე ფექარი და ა. შ. მართალია, ეს სტატისტიკა ზუსტი ატრია, მაგრამ აშკარად მიუთიტებს, ომე ამერიკაში მიდიოდნენ სხვადასხვა პროფესიის ბევრი სპეციალისტი ეს გარემოება აჩქარებდა მრეწველობის ახალი დარგების ჩასახვა-განვითრებას, თუმცა უნდა შევნიშნოთ: ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი განვითარების ტემპების მხრივ აშკარად განსვადებოდნენ ერთმანეთისაგან. მაგ. 1845-65 წლებში საფეიქრო წარმოება ჩრდილოეთში გაიზარდა 150%, მაშინ როცა სამხრეთის შტატებში იგი მხოლოდ 5% უდრიდა.

ფართო სარკინიგზო მშენებლობამ ბიძგი მისცა მეტალურგიის განვითარებას. ამან, თავის მხრივ, ახალი მოთხოვნები წამოაყენა ქვანახშირის მრეწველობის. 1860 წლისათვის ქვანახშირი ამოიღეს 14 მილ, ტონა, მაშინ როცა1820 წლისათვის იგი სულ 50 ათას ტონას უდრიდა.

სამრეწველო პროდუქციის ზრდამ და მიმოსვლის საშუალებათა სრულყოფამ დააჩქარა სავაჭრო ფლოტის მშენებლობა. უკვე1850 წლისათვის აშშ ფლოტი სიძლიერით უთანაბრდებოდა ინგლისისას, ასეთ ვითარებაში გაჩაღებულმა ყირიმის ომმა დააჩქარა აშშ ხელში მსოფლიო ვაჭრობის მოქცევა. ეს გარემოება უკვე XIX საუკ. შუახანებისათვის ქვეყანაში სამრეწველო რევოლუციის დასრულებას მოასწავლდბდა. ანალოგიური იყო მდგომარეობა სოფლადაც;

განვითარების ამერიკული და სოფლის მეურნეობის რევოლუციური წინსვლის გამომხატველი გახდა.

კაპიტალიზმის განვითარება ამერიკაში, ისე როგორც სხვა ქვეყანაში, ხდებოდა მშრომელთა უსასტიკესი ექსპლოატაციის ბაზაზე. მძიმე იყო მუშათა საბინაო პირობები. XIX ს. 50-იანი წლების ცნობით 18 ათასი ნიუ-იორკელი მუშა უკიდურესად ნესტიან სარდაფებში ცხოვრობდა, მუშებს ძალზე დაბალი ხელფასი ჰქონდათ, თუმცა სამუშაო დღე საშუალოდ 13-15 საათს გრძელდებოდა, მათ ემუქრებოდათ უმუშევრობაც, თანამერდოვეთა მოწმობით ფილადელფიის ბალტიმორის და სხვა ქალაქის ქუჩებში მრავლად დაეხეტებოდნენ შიმშილისაგან დაოსებული უმუშევრების დიდი ჯგუფები, რომლებიც ითხოვდნენ მხოლოდ ერთს: "სამუშაოს". რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა პროლეტარიატს ბრძოლისაკენ უბიძგებდა, მაგრამ მუშების დენადობა ევროპიდან და მათი მეტისმეტი ეროვნული სიჭრელე ამ ბრძოლას აფერხებდა. ამის მიუხედავად, მუშათა შეგნებულება დღითი დრე იზრდებოდა. 1834 წლისათვის ქვეყანაში იყო, მერიკელი მკვლევარის ფონერის ცნობით, 61 მუშათა პარტია და 50-ზე მეტი მუშური გაზეთი. სვათასორის 1848-49 წ. წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ გერმანიიდან ყოვალწლიურად აშშ ჩადიოდა საშუალოდ 200 ათასამდე ემიგრანტ, მაშ შორის მრავლად იყო რევოლუციონერი –მარქსისიტი: მაგ. ვეიდემაიური, ზორგე და სხვა.. რომლებმაც ამერიკის პროლეტარიატი აზიარეს მარქსის და ენგელსის ნაწარმოებებს და ამრიგად ამერიკის კონტინეტზე შეიტანეს მარქსიზმის პირველი თესლიც.

ერთი სიტყვით, XIX ს. შუახაბებისათვის ამერიკა ტიპიური კაპიტალისტური სახელმწიფო იყო, მაგრამ მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი განვითარების მხრივ, როგორც ავღნიშენთ, მვეთრად განსხვავდებოდნენ, სამხრეთში ყვაოდა მონობა პლანტატორული მეურნეობა აქ მთლიანად მონურ შრომას ემყარებოდა.

1860 წლისა წლისათვის სამხრეთში 4 მილიონამდე ზანგი მონა ცხროვრობდა. მართალია, ზანგებით ვაჭრობა

ოფიციალურად აკრძალული იყო, მაგრამ ამერიკელი მკვლევარის რანდალის მოწმობით ყოველწლიურად, მარტო ნიუ-ოკის საბაჟოს გავლით აფრიკიდან აშშ ჩაყავდათ 25 ათასი ზანგი. რა თქმა უნდა, ეს ციფრი არაზუსტია. აღრიცხვა ხოლ მისი კონტრაბანდის გამო არ წარმოებდა, მითუმეტეს რომ მონათმოვაჭრეებისათვის იგი უდიდეს შემოსავლის წყარო იყო (1860 წლის ცნობით ჯანსაღი მონა ზანგი 1800 დოლარი ღირდა). მონური შრომა მეტად იაფი იყო მონათმფლობელებისათვის. ერთი ზანგის შენახვისათვის პლანტატორი წელიწადში 20 დოლარს ხარჯავდა, მაშინ როცა ეს უკანასკნელი პოლანტაციაში დოლის 4-დნ საღამოს 9 საათამდე მუშაობდა და კოლოსარული მოგება მოჰქონდა. ამით აიხსნებოდა, რომ ე. ფოსტერის შენიშნვით, "მზიურ სამხრეთში" პლანტატორების იარაღით, უმკაცრესი სამხედრო რეჟიმით ცდილობდნენ ზანგთა მონობის შენარჩუნებას. 1860 წელს სამართლიანად შენიშნავდა ნ. ჩერნიშევსკი: "საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნის სამხრეთში ძალაუფლება არსებითად ეკუთვნის მონათმფლოებლურ არისტოკრატიას. ხელისუფლებას ფლობს რამდენიმე ათასი მდიდარი პლანტატორი, რომელიც იარაღით უწევს ექსპლოატაციას არამარტო ზანგებს, არამედ ამ შტატების თეთრი მოსახლეობის უდიდეს ნაწილსაც.

ცხადია, ახალი დროის სულისკვეთებას თუ მოთხოვნებს არ ეგუებოდა მონური შრომა. იგი კაპიტალიზმის განვითარების აფერხებდა.ა მის გამო ბურჟუაზია მის უსწრაფესად ლიკვიდაციას მოითხოვდა, რადგან სამხრეთი ნაკლებად იყო დაინტერსებული ჩრდილოელთა ფაბრიკული ნაწარმის გამოყენებით, მაშასადამე, იზღუდებოდა ბუარჟუაზიის სავაჭრო ოპერაციები თუ სამრეწველო ინტერსები.

იგულისმება, რომ ზანგების უმძიმესი მდგომარეობა იწვევდა მათ პროტესტს. აშშ ისტაორიაში ცნობილია ზანგთა რამდენიმე დიდი აჯანყება,. მაგ 1822 წელს სამხრეთ კაროლინაში (მონაწილეობდა 10 ათასამდე მონა)1831 წელს ვირჯინიის შტატში ნატ ტერნერის ხელმძღვალეობით და სხვა, ეს აჯანყებები სისხლში ჩაახშვეს. სიკვდილით სჯიდნენ არა

მარტო აჯანყების მონაწილეებს არამედ სრულიად უდანაშულოებსაც. ეს უსასტიკესი რეპრესიული მიზანი მონების დაშინება იყო, თუმცა ზანგები ბრძოლაზე მაინც არ ამბობდნენ უარს. უ. დიუბუას სიტყვით ამ ბრძოლის ეფექტური გამოხატულება იყო აყრა-გაქცევა. განაწამები დამიანები მასობრივად გარბოდნენ ჩრდ. შტატებში, კანადაში და სხვაგან. ეს დიდ რისკთან იყო დაკავშრიებული, მაგრამ მათ ეხმარებოდნენ თეთრკანიანები, რომლებიც მონობის გაუქმებისათვის გამოდიოდნენ. ეს იყო ე. წ. აბოლიციონისტური [56] მოძრაობა რომელმაც XIX ს.30-უიანი წლებიიდან ფართო განვითარება ჰპოვა. ამ მოძარაობის მონაწილენი თავიანთ გაზეთებში (მათი რიცხვი 60-იანი წლებისათვის, ამერიკელ მკვლევრს ჰარლოუს გამოანგარიშებით უდრიდა 70), არა მარტო მწვავედ ილაშქრებდნენ მონობის წინააღდმეგ, არამედ ქმნიდნენ მიწისქვეშა გზაბსა და თავშესაფრის მთელ სისტემას და ეხმარებოდნენ ზანგებს მონობიდან თავის დაღწევაში. 1830-60 წლებში ამ გზით თავისუფლება მიიღო 60 ათასამდე მონამ. ზანგების გაქცევაში დახმრებით განსაკუთრებით გაითქვესს ახელი ჰგარიეტ ტაბმენმა, რომელმაც კანადაში პირადად გაიყვანა 300-მდე მონა ფენბერკმა გააქცია 2700 ზანგი, კკოფინმა -2500, ჰარეტმა -2200 და სხვა.

აბოლიუნიცისტური მოძრაობა იმდენად პოპულარული გახდა ქვეყანაში, რომ 1848 წელს ბუფალოში შეიქმნა მისი წვრილბურჟუაზიული პარტია-ფრისოილერების პარტია, მასში შევიდნენ ფერმერები, მუშები, ხელოსნები და რადიკალური ინტელიგენცია. ფრისოილერები ძირითადად მიზნად ისახავხდნენ ბრძოალს მონობის წინააღდმეგ საერთოდდ, კერძოდ კი ახალ ტერიტორიებზე ზანგთა მონობის გავრცელების წინააღმდეგ. მათი დევიზი იყო: "თავისუფალი მიწა, თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი შრომა და თავისუფალია ადამიანები:. აღნიშნული დიდი პატივისემით

[56] სახელი წარმოსდგა ინგლისური სიტყვიასაგან «აბოლიშნ", რაც ამ შემთხვევასი მონობის მოსპობას ნიშნავდა.

სარგებლობდა. მარტო 1848 წლის არჩევნებში მათ მოაგროვეს 300 ათასი ხმა და კონგრესში რადმენიმე წარმომადგენელიც გაიყვანეს, მათ შორიუს სამოქალქო ომის პეროიდის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჩარლზ სამნერი.

ბრძოლა მონობის წინაღდმეგ კიდევ უფრო გამწვავდა 50-იან წლებში. პროგრესისტები არამარტო სიტყვით გამოდიოდნენ (ჰარიეტ ბ. სტოუ). არამედ იარაღსაც ჰკიდებნენ ხელს. მაგ. 1859 წელსა ბოლიციონისტები მოძრაობის აქტიურმა წევრმა ჯონ ბრაუნმა დასავლეთის ვირჯინიის შტატიუს ქალქ კანზაშში აჯანყებაც წამოიწყო. 16 ოქტომბერს მან თავისი რაზმი (სულ 22 კაცი, მათ შორის სამი ვაჟი, ორი შიზე, 5 ზანგი) დასძრა ხარბერს-ფერისაკენ,ს სადაც იყო არსენალი 100 ათასი შაშხანით. ჯ. ბრაუნი ფიქრობდა, რომ ზანგები მასობრივ დაუჭერდნენ მხარს აჯანყებას, მაგრამ მოტყუვდა ამით ისარგებლა მთავრობამ და 18 ოქტომბერს ალყა შემოარტყა ბრაუნის რაზმს. ბრძოლა მეტად უთანასწორო და ხანმოკლე იყო, ბრაუნი დამარცხდა და მძიმედ დაჭრილი 7 თანამედბრძოლთან ერთად შეიპრყეს, 2 ნოემბერს ბრაუნს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ჩამოხრჩობის მოლოდინშიც კი სულიერად არ გატეხილა. უკანასნელ სიტყვაში ეს მამაცი ადამიანი ამბობდა: "მე ვთვლი, რომ ღმერთების მიერ შერისხული ღარიბების დასაცავად ჩარევა, რაც გავაკეთე, სწორია. თუ ჩემი სოიცოცხლე აუციულებელია სამართლიანობის ზეიმისათვის მაშინ იყოს ასე და ჩემი სისხლი შეერწყას შვილებისას და მილიონი ადამიანის სისხლის მონების ქვეყანაში, სადაც უფლებები იგნორირებულია საძაგელი მკაცრი და უსამართლო კანონებით". სახრჩობელაზე ასვლისას, 2 დეკემბერდს, მან განაცხადა: "მე, ჯონ ბრაუნი, ახლა სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ სისხლი მობანო ამ ცოდვილ ქვეყნას დანაშაულის".

მონობის წინააღდმეგ ამერიკის პროგრესული საზოგადეობის აქტიურ ბრძოლის ვითარებაში რამდენიმე გაუგებრობაც Xანს ჯ. ბრაუნის აჯანყების ასეთი გარიყვა,

მისით არამარტო თეთრკანიანების, არამედ განსაუთრებით ზანგების დაინტერესებულობა: ამან თავისი ახნა აქვს: აჯანყება მოხდა ვირჯინიის იმ ნაწილში, სადაც მონები შედარებით მცირერიცხოვანნი იყვნენ; ისინი უპირატესად შინამომსახურეებს წარმოადგენდნენ და არ ჰქონდათ შრომის ისეთი მძიმე პირობები, როგორც პლანტაციის მონა-ზანგებს. ამასთან, აჯანყებას არ უძღოდა რაიმე აგიტაცია და ორგანიზებული მუშაობა მასებში. ამიტომ თითქმის არავინ იცოდა მომავალ გამოსვლაზე მანამ, სანამ არ სეტყვეს დამარცხების შესახებ.

ამის მიუხედავად, ჯ. ბრაუნის აჯანყებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრიობაზე. ბრაუნის დასჯისადმი პროტესტის ნიშნად იფეთქა მღელვარებამ 1859 წლის ნოემბერში ვირჯინიასი, დეკემბერში –მისურში 1860 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ კაროლინაში, ალაბამაში და სხვა. იარაღით გამოვიდნენ მუშებიც. მარქსი კიდეც წერდა: "ჩემი აზრით ამჟამად მსოფლიოში უდიდესი მოვლენაა, ამერიკელ მუშათა მოძრაობა, რომელიც ბრაუნის სოკვდილის შედმეგ დაიწყო".

<u>სამოქალქო ომის დასაწყისი. სამხრეთის შტატების გამოყოფა</u>. მიზეზი სამოქალქო ომისათვის ქვეყანაში საკმარისზე მეტად არსებობდა. საჭირო იყო საბაბი, რომელიც მალე გამოინახა. 1860 წლის ნოემრბისათვის ამ შტატებში არჩევნები უნდა ჩაეტარებინათ. პოლიტიკური დაჯგუფებანი თავიანთ წინასაარჩევნო პროპაგანდაში დიდ ადგილს უთმობდნენ პრეზიდენტის პოსტისათვის ბრძოლას. რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც გამოხატავდა სამრეწველო ბურჟუაზიის მისწრაფებას ხელთ ეგდო ძალაუფლება ნაციონალური მასშტაბით, პრეზიდენტობის კანდიდატის დაასახელა კენკუტელი ღარიბი ფერმერის შვილი ადვოკატი აბრაამ ლინკოლნი. მან ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ამაში დიდი როლის შეასრულა არა იმდენად მოწინააღდმეგე პარტიის დემოკრატების გათიშვამ, რამდენადაც პენსილვანიის, ილინოისის, ოჰაიოს და სხვა. შტატების მუშა-ამომრჩევლების

მომხრობამ, რესპუბლიკელთა ლიდერები კდიევ ამბობდნენ: “ცვენ მადლობელი უნდა ვიყოთ, მუშებისა, რადგან მათ მოგვაპოვებინეს გამარჯვება”, ლინკოლნი მონობის მოძულე იყო. ამიტომ მას ხმა მისცა აბოლიციონისტა აბსოლიტურმა უმრავლესობამაც.

ა. ლინკოლნი საინტერესო ფიგურაა ამერიკის ისტორიაში. მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას მარქსაი და ენგელსი. მარქსის დასატებით:ეს იყო ადამიანი, რომელლმაც არასდროს არ იცოდა შიში სიძნელბიდსადმი, აარსდროს ყოყოჩობდა წარმატებისაგან განუხრელად ისწრაფვოდა თავისი დიადი მიზნისაკენ-ეს იყო ერთი იმ ი”შვიათი ადამიანთაგანი, რომლებიც მიაღწევენ რა სიდიადეს, ინარჩუნებენ შესანიშნავ თვისებებს. და თავდამბლობამ ამ დიდი და არაჩვეულებრივი ადამიანისა იყო ისეთი, რომ მსოფლიომ იგი დაინახა მხოლოდ მისი მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ

ცხადია, ალინკონის მოღვაწეობაში შეიმჩნეოდა წინააღდმეგობებიც, გგანსაკუთრებით სამოქალაქო ომის წლებში. მარქსი და ენგელსი კიდეც აკრიტიკებდნენ მას არათანიმდევრობის და მარყეობის მონობის წინააღდმეგ ბრძოლასოი, რვოლუციური მეთოდებით ომის წარმოებაში. რა თქმა უნდა მისი ასეთი მერყეობა შედეგი იყო ბურჟუაზიის არათანმიდევრობისა და წინააღმდეგობებისა, რამდენედაც ამ უკანასკნელს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მთავრობაში და პრიდაპირ ზეგავლენას ახდენდა ლინკონზე. ამის მიუხედავად, ლინკოლნი როგორც პოლიტიკური მოღვაწე და როგორც ადამიანი იყო უაღრესად შესანიშნავი პიროვნება, რომელიც ასახავდა ამერიკელი ხალხის საუკეთესო მისწრაფებებს.

ლონკოლნის გაამრჯვება, როგორც სამართლიანად შესანიშნავს საბჭოთა ისტორიკოსი რ. ივცანობი, იყო მობრუნების პუნქტი ჩრდილოეთის შტატების პოლიტიკაში. ამით დამთავრდა ჩრდილოეთის სავაჭრო–სამრეწველო წრების, მერყეობა და ერთგვარი დათმობლობა სამხრეთის მიმართ, ბურჟუაზიამ გაანცხადა პრეტენზია ქვეყის მთელ

ხელმძღვანელობაზე ნაციონალური მაშშტაბით, ამიტომ უ. ფოსტერის სიტყვით, მონ თმფლობელური სამხრეთი მოიქცა ისე როგორც მოქმედების გაბატონებული კლასი, როცა მარცხდება დემოკრატიასთან ბრძოლაში" იარაღს მოჰკიდა ხელი ბატონობის შენარჩუნებისათვის. ამ ბრძოლის თავდაპირველი გამოხატულება იყო აშშ –დან ცალეული შტატების გასვლა.. პორველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგა სამხრეთმა კოლონიამ 1860 წლის 20 დეკემბერს. 1861 წლის 1 თებერვლსიათვის ჩრდილოეთის გამოეყო კიდევ 6 შტატი: მისისიპი, ლაბამა, გლორიდა, ლუიზიანა და ტეხასი, რომლებმაც უკვე 4 თებერვალს შექმნეს დამოუკიდებელი სამხრეთის შტატების სახელმწიფო ე. წ. კონფედერაცია და მსხვილი პლანტატორი ფეფერსონ დევისი აირჩიეს პრეზიდენტად. კონფედერაციის კონვეტმა პრეზიდენტის არჩევინებისთანავე გამოიტნა დადგენილება 100 ათასიანი არმიის შექმნისა და ჩრდილოეთის წინაღდმეგ ლაშქრობის დაწყების შესახებ..

სამხრეთელთა მომქედებამ მოსახლეობის დიიდ აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ ლინკოლნის მთავრობა მოლაპარაკებითა და კომპრომისით ცდილობდა ომის თავიდამნ აცილებას ეს გამოუვალი გახდა 1861 წლის 15 აპრილს ლინკოლნმა ბრძანა 75 ათასი მოხალისის გაწვევა არმიაში ა სე ადწიყო სამოქალქო ომი.

<u>სამოქალაქო ომის პერიოდიზაცია.</u> .აშშ 1861-65 წწ სამოქალქო ომის პერიოდიზაცია პირევლ რიგში განიაზღვრებოდა არა საომარი მოქმედებით, არამედ კლასობრივი და პოლიტიკური სიტუაციით, რომელზეც დამოკიდებულია თვით საომარი მოქმედება. აშშ სამოქალაქო ომში –ამ უმზაფრეს კლასობრივ ბრძოლაში, -შწეომჩნევა ორი პერიოდი: I 1861—1862/63 წწ, როცა ომი წარმოებდა "კონსტიტუციის" შესაბამისად; II. 1863-1865 წწ-ესაა ბურჟუაზიულ–დემოკრატიული რევოლუციის ძირითადი პერიოდი, როცა ომი წარმოებს "კონსტიტუციის" დარღვევით, რევოლუციური მეთოებით.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ აშშ იყო ორი რევოლუცია: ჯერ ბურჟუაზიული, შემდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული? არა, არ ნიშანვს. ბურჟუაზიულ რევოლუციაში დემოკრატიული ეტაპის უპირატესობა ახასიათებს რევოლუციას, საერთოდ, როგორც ბურჟუაზიულ –დემოკრატიულს.

სამხრეთში სამხედრო დიქტატურა დამყარდა, ჩრდილოეთში კი ერთხანს ძალაში რჩებოდა ე. წ. "ამფორული დემოკრატია:, რაც ეხმარებოდა მტრისა აგენტურას ჩრდილოეთის წინააღდმეგ დივერსიულ მოქმედებაში მემბოხეების პოზოციას ამაგრებდა ისიც, რომ, რომ ისინი ინგლისისა და საფრანგეთისაგან ღებულობდა არამარტო მორალურ, არამედ პირდაპირ მატერიალურ და სამხედრო დახმარებასაც.

<u>ომის პირველი პერიოდი (1861-1862).</u> ომის პირველ პერიოდში საბრძოლო მოქმედება ჩრდილოეთისათვის არასასურველ პირობებში წარიმართა. ეს განსაზღვრა რამდენიმე ფაქტორმა: ლინკონის მოწოდებამ არმიაში გაიწვიეს მოხალისეები-ვილონტიერები, მაგრამ მათ მომზადება სჭირდებოდა, რაც გარკვეული დროს საჭიროებდა. ფედერატები ვერ აფასებნდნენ აგრეთვე სამხრეთელთა ზელბს, ამასთან,მცდარად ტვლიდნენ, რომ ომი შემთხვევითია და კომპრომისის საფუძველზე შესაძლებელია მისი უმოკლეს ხანში დასრულება. ამის შედეგი იყო ისიც, რომ ვოლტერებს ჯარში მხოლოდ 90-დღითი იწვევდნენ. ამით ისარგებლეს კონფედერატებმა და პირველსავე ბრძოლაში მანასასთან 1861 წლის ივლისსი გაიმარჯვეს, საგულისხმოა, რომ უკვე აქ იჩინა თავი ფედერატების უდარდელობამ. რესპუბლიკის პარტიის ერტ-ერტი ლიდრი ჩენდლერი ცოლს წერდა" როგორც კი ჩვენი ჯარი ბრძოლის ველზე გამოჩნდება კონფედერატები გაიქცევიანო, ამიტომ ეს არმია აღლუმზე მიმავალს ჰგავდა: საზეიმო ტანსაცმლით, გაშლილი დროშებით და ცეკვა-სიმღერით მიემართებოდა ბრძოლის ველისაკენ. ასეთი განწყობილება კი დამახასიათებელი იყო ჩრდილოეთის მთავრობისათვის. ამიტომ დიიდ იყო დაბნეულობა, როცა

პრიველეივესტაკებაში დაამრცხდნენ და სამხრეთელების წინაშე ხსნილი აღმოჩნდა გზა 40 კმ-ზე მდებარე ვასიგნტონისაკენ.

ასეთ პირობებში რესპუბლიკეთა რადიკალური ფრთა მთავრობის კრიტიკით გამოვიდა. სამხრეთლმა მოითოხვა პრეზიდენტის განგების განთავისუფლებაც მართალია, ლინკოლმა იგი უარყო, მაგრამ მემმარცხეენბისა და აბოლიციონისტთა ზეგავლენით ცონგრესს მიაღებინა კანონი ჯარში 500 ათასი მოზხალისი გაწვევის შესახებ. გატარდა ცვილილეებებიო არმიაში, გადაასახლეს სარდლობა, რამაც გარკვეულად განამტკიცა ფედერატების ბრძოლისუნარიანობა. ამასთან ჩრდილეოთის მთავრობამ გამოსცა ომის დროის სესაბამსიად რიგირ დეკრეტი: აგენტურისა და მაემბოხეების წინააღდმეგ, მესაბოჟატეებისათვის ქონების ცამორთმევის, მტრული გაზეწტების დახურვის, თავდაცვის საჭიროებისათვის ეკონომიკური რესურსების მობილიზაციის, რკინიგზებსა და ტელეგრაფზე კონტროლის დაწესებისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ეს ღონისძიებებბი ცხოვრებაში ძალზე პასიურად ინერგებოდა, ჩანს, მთავრობაზე გარკვეული გავლენას ახდენდნენ ჩრდილოეთის საავწრო სამრეწწვლო წრეები, რომლებიც დაკავსრიებული იყვნენ სამხრეთელტა ნედლეულთან (ბამბა, თამბაქო) და შემოსავალის დაკარგვისა ეშინდათ. ლინკოლნი ანგარიშს უწევდა ფედერაციის ზოგიერთი შტატის მერყეობასაც. მაგ. კენკუტი, მისური და სხვები მართალია დარჩნენ ჩრდილოეთის შემადგენლობაში, მაგრამ თუ მთავრობა მონობის წინააღდმეგ აქტიურად გაილაშქრებდა, შეიძლებოდა სამხრეთს მიმხრობოდნენ, რადგან აქაც მონობა იყო, მის შედეგი იყო ის, რომ დროული ღო9ნისძიებეის მიღ ბისა დაა რმიის ბრძლისუნარიანობის ამაღლების მიუხედავად ა1861 წლის შემოდგომაზე ბალს ბლებთან ბრძოლაში ჩრდილოელები კვლავ დამარცხდნენ. მართალია ფედერატების დასევლეთის არმიამ 39 წლის გენერლ ულის გრანტის ხელმძღვანელობით რამდენიმე გაამრჯვება მოიპოვა და წყნარი ოკელნის მიმართულებით გაარღვია კიდეც

სამხრეთელთა ფრონტი, მაგრამ ამას ზეგავლენა არ მოუხდეია ომის მსვლელობაზე. ეს იმიტომ, რომ სამხრეთელთა არმიამ ფროტნის მთავარ უბვანზე ბალ-რანთან ბრძოლაში (1862 წლის აგვისტო) კვლავ დაამარცხა ჩრდილოეთის ძირითადი ნაწილი

ძალთა თანაფარდობა. მონათმფლობელთა მიერ გაჩაღებული ომს აშშ საზოგადოება სხვადასხვანაირად შეხვდა. დიდი ინტერესი გამოიჩინეს მშრომელებმა, რომლებიც ომში გაამრჯვებას მრავალი სიცოცხლისეული საკიტხის გადაწყვეტას უკავშირებდნენ. პირველნი ამ მხრივ იყვნენ მუშები, რომლებიც პრეზიდენტის მოწოდებისთანავე მასობრივად შევიდნენ ფედერალურ არმიასი იქმნებოდა მუშების რაზმები პროფესიის მიხედვით: ფეიქრებს, ხარაზების, ჩამომსხმელების, დურგლების და სხვა მუშებიოს მობილიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულეს პროფკავშირებმა, პროფკავსიული მოძრაობის ლიდერები სილვინი, ბოილი და სხვა. არამარტო ჰქმნიდნენ მუშათა პოლკებს, არამედ თავადაც გმირულად იბრძოდნენ ბრძოლის ველზე, ფრონტზე პროფკავშირების წევრთა მასობირვი წასვლის გამო კიდეც დაიხრა ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაცია.

მონათმფლოებლთა წინააღდმეგ საბრძოლევად აღსდგა აშშ ახალგაზრდა სოციალისტური მოძრაობა. ვაიდემაიერი, ზოიგელი, ფ.იაკობი, რ. როხა და სხვა. მოხალისეებად შევიდნენ ფედერალურ არმიაში, გმირულად იბრძოდნენ ფროენტბზე და ზოგმა გენერლის ჩინიც დაიმსახურა.

მნიშვნელოვანი იყო მონათმფლობელებთან ბრძოლაში წვლილი ემიგრანტ მუშებისა, გემანელებმაშექმნეს თავიანთი პილი, რომელმაც პირველოივე ბრძოლებში მამცობით გაითქვას ახელი. სხვათასორის, თავიანთ დროშაზე, ფონერის მო\წმობით, გამოხატული იყო ურო, რომელიც ბორკილებს ამსხვრევდა, სამოქალქო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ აგრეთვე "გარიბალდის რაზმი" იტალიელებისა მ "პლოონეთის ლეგიონ" პოლონელებიოსა, პოლა" ფენიკსი" ირალანდიელებისა და ა.

შ. გარდა ამისა ფედერალურ არმიაში იბრძოდა 40 ათასი კანადელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი

ოფიციალური პირები არც მალავდნენ, რომ ჩრდილოეთის არმიის ძირითად ბირთვს მუშები შეადგენდნენ. 1865 წლის სენატის მოხსენებაში ნათქვამია: ომის დროს 750 მუშა შევიდა ჯარშიო. და მართლაც, ფედერატების არმია თავისი კლასაობრივი შემადგენლობით, ფონერის სირტყვით, ძირითადად იყო მუშურ-ფერმერული. ეს გარემოება კარგად მიგვითითებს ამერიკის მშრომელთა კლასობრივ შეგნებუობაზე, რამდენედაც ტვლიდნენ, რომ ზანგების მონობა ჰქმნიდა თეორკანიანთა მოძრაობის საფრთხეს. ნიუ-ორკის ერთ-ერთი მუშური გაზეთი 1862 წელს სამართლიანად წერია: "სინამდვილე, რომელიც კარგად უნდა იქნესა თავისებული აშშ მუშის მიერ, ისაა, რომ შავი ადამიანის მონობას მივყავართ თეორკანინიას მონობამდე". რა თქმა უნდა ომში ამერიკის მუშების აქტიურობის ახსნა მარტო მონობისადმი სიძულვილით, როოგრც ამაშშ აკეთებდნენ დასავლეთში, სწორი არაა. ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ეს სჭირდება კლასობრივი ბრძოლის თვით ფაქტის მისაჩქმალავად, მაგრამ მუშათა საარსებო პირობების შესწავლითკარგად ჩანს ომში მათი მონაწილეობის რეალური მიზეზი. 60 –იანი წლების სტატისტიკით ირკვევა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შედგომი გაუარესება. 1864 წლის ცნობით ცხოვრების ღირებულება 1861 წელთან შედარებით გაიზარდა 70%, ხელფასის დონეკი-მხოლოდ 30%, 1861-64 წლებში ფასებმა მოიმატეს: გირვაქა კარაზე -64 ცენტით, შაქარზე-22 ცენტით და ა. შ. როგორც ვხედავთ მუშათა ქტიურობა ომში ნაკარნახევი იყო თვით მისი სასიცოცხლო პრობლემების მოგვარების იმედით და წარმოადგენდა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის შედეგს.

რაც შეეხება ბურჟუაზიის იგი გაწვევისაგან თავუსუფალი იყო და ომის კონიუქტურა თავისი გამდიდრებისათვის უნარაიანად გამოიყენა. სწორედ ომის დროს გაიყვენს ახალი რკინიგზები, აშენდა ფაბრიკა-ქარხნები,

გაფართოვდა სამრეწველო წარმოება. ომის დროს ჩაეყარა საფუძველი მორგანოს, მოკლეზერის, გულდას და სხვა. დინასტიების მილიარდებს. ეს მრეწველები არამარტო ამარაგებდნენ იარაღით, ტანსაცმლით, და ა.შ. ჩრდილოეთს, არამედ დიდი რაოდენობითაც აწვდიდნენ სამხრეთსაც, ეწეოდნენ აშკარა სპეკულაციას. მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის ასეთი პოლიტიკა, ცხადია უარყოფითად მოქმედებდა ჩრდილოელთა საბრძოლო ოპერაციებზე.

ევროპის სახელმწიფოთა პოზიცია. ფედერატების მნიშვნელოვანი წარუმატებლობა ომის პირველ პერიდში გამოწვეული იყო ინგლისიის, საფრანგეთის, ესპანეთის და სხვა პოზიციითაც –ისინი მეოამბოხეებს უჭერდნენ მზარს. ეს გამოწვეული იყო ამრეიკის მზარდი ბურჟუაზიის გაძლიერებისა და კონკურენციისა საერთაშორისო ასპარეზზე. ამსთან ინგლისი და ესპანეთი აშშ სამხრეთის ბამბის მთავარი გასმარებელი იყვენ და თუ ისინი ინტერვენციის ორგანიზებასაც კი ფიქრობდნენ ჩრდილოეთის წინააღდმეგ ეს იმიტომ რომ: I. გაენადგურებინათ საშიში კონკურენტები და II. არ დაეკარგათ თავიანთი მრეწველობის წყარო. მართლაც, 1861 წლის გაზაფხულზე ესპანელებმა დაიპრყო ზანგთა რესპუბლიკა სან-დომიგო. იმავე წელს ოქტომბერში ინგლისმა, საფრანგეთმა და ესპანეთმა ლონდონში გააფორმეს შეთანხმება მექსიკის დაპრყობის შესახებ, რაც 1861 -62 წწ. მიჯნაზე განხორციელდა. ინგლისის მთავრობამ მალე დაგეგმა კანადიდან აშშ ჩრდილოეთში შეჭრა, გაგზავნა კიდეც საექსპედიციო კორპუსიც, მაგრამ იგი ჩაიშალა, ინგლისის პროგრესული საზოგადოება, უპირველსედა კი მუშათა კლასი აღსდგა მთავრობა განზრახვის წინააღდმეგ. ვითარება იმდენად დაძაბული იყო, რომ თანამედროვეთა მოგონებით, ქვეყანაში აჯანყების საფრთხეც სეიქმნა. მარქსი კიდეც მიუთითებდა: "შეერთებულმა შტატებმა სამუდამოდ უნდა დაიმახსოვორნ რომ ომის მთელ მანძილზე კონფლიქტის დასწყისიდან დასასრულამდე ინგლისის მუშათა კლასს ერთხელაც არ მიუტოვებია" (ტ. XII. ნაწ. II, გვ. 216).

ინტერვენციის აცილებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე რუსეთის პოზიციამაც. ომის დაწყებისთანავე ჩაურევლობის გზას დაადგა, ხოლო 1861 წლის შემოადგომაზე გააფორმა საზღვაო კონვენცია ფედერალური მთავრობასთან, რაც იყო დიდი დახმარება ჩრდილოეთისათვის სამხრეთთან საზღვაო ბრძოლაში. კიდევ მეტი, როცა 1862 წლის ოქტომბერში საფრანგეთმა მიმართა ინგლისს და რუსეთს ჩარეულიყვნენ და აეძულებინათ მებრძოლი მხარეები 6 თვით მაინც დაზავებოდნენ ერთმანეთს, რუსეთმა უარი განაცხადა: "რუსწეთის უარი მონაწილეობა მიეო ასეთ შუამავლობაზე, - წერს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი როდსი, -იყო ყველაზე უფრო მეგობრული მოქმედება ჩრდილოეთის მიმართ". რუსეთის ასეთი დამოკიდებულება შედეგი იყო ინგლისის – საფრანგეთისადმი ცარიზმის წინააღდმეგობით. მონარქისტული რუსეთისათვის გაცილებით უკეთესი იყო ბურჟუაზიულ, მაგრამ ძლიერ აშშ ურთიერთობა, რამდენადაც ეს უკაანსკნელი საერთაშორისო ასპარეზზე ზღუდავდა ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიურ მიწრაფვებს.

<u>ომის მეორე პერიოდი</u>. ომის პირველი პერიოდი მონათმფლობელური სამხრეთის გამარჯვებით აღინიშნა. მან დიდი შეშფოთება გამოიწვია ფედერატების ბანაკში. გამოსავალი, რა თქმა უნდა, სამხრეთის წინაშე კომპრომისებზე წასვლა იყო რადგან ეს მოასწავლებდა მონათმფლობელთა გაბატონებულ მდგომარეობის აღიარებას ჩრდილოეთზე. საჭირო იყო რევოლუციური ომი, მით უმეტეს რომ ხალხი-მუშები და ფერმერები, ხელოსნები და ვაჭრები, რადიკალური ინტელიგენცია და პრეგრესული ბურჟუაზია, აბოლიციონისტები და სხვაბი მკაცრად აკრიტიკებდნენ ლინკოლნის მთავრობას სწორედ პასიურობისათვის. ლინკოლნისათვისაც ცხადი გახდა, რომ შემდგომი დაყოვნება დაღუპვას უდრიდა და აქტიური მოქმედება დაიწყო. კონგრესს მიარებინა კანონი მექახნე-მეფაბრიკეებზე და ვაჭრებზე გადასახედბის გაწერის, არმიის წმენდის და შემჩნეული პირთა ტრიბუნალისათვის გადაცემისა და სხვათა შესახებ. რომლითაც თვითეული მოაქის 10

დოლარის გადახდიოს შემდეგ უფლება ჰქონდა მიეღო მიწის გარკვეული ნაკვეთი. ხუთი წლის დამუშავების შემდეგ ჰომსტდერი მიწის სრული მესაკუთრეხ დებოდა. საბჭოთა ისტორიკოების სამართლიანი შენიშვნით.ეს იყო პირველი ნაბიჯი რევოლუციური მეთოდებით ომის წარმართვისაკენ რადგან მონათმფლობელებს თავისუფალი მიწების დაპატრონების შესაძლებლობას უსპობდა, და ბოლოს გადადგა მეორე დიდი ნაბიჯიც:

1862 წლის 22 სექტემბერს ლინკოლმა გამოქვეყნა წინასწარი დეკრეტი მომავალი წლის 1 იანვრიდან მონობის გაუქმების შესახებ მონა-ზანგები განთავისუფლდებოდნენ მეპატრონეებისათვის გამოსასყიდის გარეშე, თუმცა უნდა შევნიშნოთ: ამ დეკრეტით ზანგებს კი შეეძლოთ არმიაში შესვლა, მაგრამ გათვალისწინებული არ იყო მათთვის არც მიწების გადაცემა და არც თეთრკანიანებთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებში გათანაბრება. ასეთი სეზღუდვების მიუხედავად მონობის გაუქმება იყო უდიდეს მნიშვნელობის მოვლენა, რამაც საბოლოო გარდატეხა მოახდინა ომის მსვლელობაზე და პრეზიდენტ ლინკოლნს დიდი ავტორიტეტი და ამერიკის ისტორიაში შორსმჭვრეტი მოღვაწის რეპუტაცია დაუმკვიდრა. ამ კანონის მნიშვნელობის გამო იგი თავად აღნიშნავდა: "თუ ჩემი სახელი ოდესმე შევა ისტორიაში, ეს იქნება ამ აქტისათვის. იგია ჩემი სული და გული".

მიღებული ღონისძიებების შედეგებმაც არ დაიგვიანეს. ამ მხრივ ზანგების მასობრივად შესვლამ არმიაში და მათმა ბრძლისუნარიანობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გენ. სექსტერი წერდა: "ყველა შეტაკებაში ზანგები იბრძოდნენ გაუგონარი მამაცობით და მე არასდროს, ერთხელაც კი, არ მსმენია, რომ მათ უკან დაეხიოთ". მართლაც ჩრდილოელთა სარდლებმა გრანდმა, შერბანმა, ბატლერმა დას ხვებმა ჰგამარჯვებების მეტი წილი სწორედ განგების მეშვეობით მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ 1864 წელს, როცა გრანტი ფედერატების მთავარსრდალი გახდა და გადაგზავნეს ფრონტის ძირითად უნბანზე-ვირგინიაში, მან დასავლეთიდათან

გადაიყვანა თავისი ყოფილი არმიის 20ა ათასი ზანგი მებრძოლი. სწორედ ამ ზალით გრანდმა საბოლოოდ გასტეხა მეამბოხეთ აწინააღმდეგობა და 1865 წლის ადრე გაზაფხულზე დაიკავა რიჩმონდი. ჯ. ბრაუნზე სიმღერით ზანგთა პოლა პირველი შევიდა კონფედერატების დედაქალაქში. სულ ფედერეტების არმიაში იბრძოდა 200 ათასი ზანგი. 250-ათასი კი დამატებით მუშაობდა ზურგში. დიდი იყო მათი რიცხვი ფლოტშიც. ომის განმავლობაში ზანგები მონაწილეობდნენ სულ 450 ბრძოლაში, რომლის დროსაც, ამერიკელი მარქსისტი ისტორიკოსოს აპტეკერის გამოანგარიშებით, დაიღუპა 38 ათასზე მეტი კაცი.

საშინაო პოლიტიკაში მომხდარ ამ დიდ ცვლილებებს დაემთხვა ფედერატების სასარგებლოდ საერთაშორისო ვითარების შეცვლაც. კერძოდ, პოლინეთის აჯანყებასთან დაკავშირებით რუსეთის ურთიერთობა ინგლის-საფრანგეთთან მეტისმეტად დაიძაბა. პოლიტიკური მიმომხილველები წინასწარმეტყველებდნენ ომსაც. ასეწთ პირობებში რუსეთი მთავრობამ რამდენიმე ეფექტური ღონისძიება განახორციელა, კერძოდ, ორი ეს კადრა გაგზავნა აშშ ტერიტოიულ წყლებში, ომის შემთხვევაში მათ ევალებოდათ ბრძოლა ინგლის-საფრანგეთის ფლოტთან და შეჭრა ამ სახელმწიფოთა კოლონიურ სამფლობელოებშიც. მარტლია, საქმე უშუალოდ ომამდე არ მისულა, მაგრამ რუსეთის მოქმედებამ გარკვეულად გააუმჯობესა ფედერატების მდგომარეობა. ამით ისარგებლა ჩრდილოეთის მთავრობამ და 1864 მაისსი დაიწყო გრანდიოზული შეტევა მთელ ფრონტზე სამხრეთელთა წინააღმდეგ. იმავე წლის შემოდგომაზე ჩრდილოელთა არმია გე, შერმანის მეთაურობით სეიწრა ჯორჯიის შტატში და გადაჭრა სამხრეთის უმნიშვნელოვანესი საბნრკინიგზო მაგისტრალები. დიდი წარმატებანი მოიპოვა გენ, გრანტმაც რომელმაც 1865 წლის აპრილში არათუ აიღო რიჩმონდი, არამედ აპტომტოკსთან ტყვედ იგდო კონფედერატების ძირითადი არმიაც გე. ლის სარდლობით. იმავე წლის 14

აპრილს დანებდნენ უკანასკნელი ნაწილებიც, რაც არსებითად ოთხწლიანი ომის დასრულებას მოაწავებდა..

დიდი გამარჯვება ჩამწარდათ ფედერატებს, მთავრობამ, როგორც ჩანს, დაივიწყა აუცილებელი სიფრთიხლე და ემბოხეთა კაპიტულირებული ჯარისკეცები გაათავისუფლა ოფიცრებისათვის იარაღის შენარჩუნებით. შედეგმაც არ დააყოვნა. სწორედ ომის დასრულების დღესვე თეატრში მოკლეს პრეზიდენტი ა. ლინკოლნი. ეს პროგრესისტების დიდი დანაკლისები იყო, თუმცა ამას არ შეეძლო ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება.

სამოქალაქო ომის ხასიათი და მნიშვნელობა. სამოქალაქო ომი იყო თავისებური ბურჯუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც ძირითადი დარტყმა მიმართა არა ფეოდალიზმისა და მისი გადმონაშთების, არამედ მონობის წინააღმდეგ. რევოლუციის გამარჯვებით არსებითი ნიშანი იყო ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასიდან (მონათმფლობელები) მეორე კლასის (ბურჟუაზია) ხელში. აშშ ბურჟუაზიამ აღმსრულებელი ხელისუფლება მიიღო მხოლოდ 1861 წლს, როცა პრეზიდენტი რესპუბლიკეთა პარტიიდან აირჩიეს (ლინკოკლნი). ამას მონათმფლობელმა კლასმა განდგომით უპასუხა და ბურჟუახზიამაც მხოოოდ სამოქალქო ომში გამარჯვებით შესზლო ძალაუფლების შენარჩუნება. ამრიგად შეიარარ ბული აჯანყების გზით, მწვავე კლასობრივ ბრძოლაში მოხერხდა ბურჟუაზიის სასარგებლოდ ხელუსფლების –რევოლუციის ამ ძირითადი საკითხის მოგვარება. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რამდენადაც ამით მოსპო ზანგთა მონობა, სამხრეთის შტატებში პლანტატორებმა დაკარგეს ხელისუფლების მონოპოლიურობა, დაჩქარდა კაპიტალიზმის განვითარება. ამის მიუხედავად როგორც რუსეტში ისე ამ შტატებშიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო სეზრუდული:მან ზანგებს ვერ მისცა მიწები, ვერც სამოქალქო და პოლიტიკიური უფლებები, ვერ დააკმაყოფილა ფერმერთა მოთხოვნები, ვერ გადაჭრა უმუშედვრობა და ა. შ. ცხადია, რევოლუციის შედმგომი

გაღრამვებით შეიძლებოდა ყველა იმ მტკივნეული საკითხის მოგვარება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა თუ კი მას სათავეში პროლეტარიატი ჩაუდგებოდა, სამწუხაროდ, ეს უკანაკნელი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი იყო, მასში სჭარბობდა წვრილბურჟუაზიული ილუზიები. ამით ისარგებლა ბურჟუაზიამ და რევოლუციის შედეგად მიღებულ ძალაუფლება უნარიანად გამოიყენა თავისი პოზიციების განსამტკიცებლად.

2. აშშ 1870-1900 წლებში

<u>ეკონომიკური განვითარება</u>. სამოქალაქო მის დამტავრების შემდეგ ინტენსიურად დაიწტო აშშ ეკონომიკური განვიტარება. იყო დრო, როდესაც ეკონომიკის განვითარების ტემპით და სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მხრივ XIX ს-ის 70 წლებში აშშ მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იდგა, magram საუკუნის დასასრულისათვის იგი ამ მაჩვენებლებით man did britaneTs gauswro da მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა. აშშ უკვე აწარმოებდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მესამედს და ორჯერ უფრო მეტ პროდუქტს, ვიდრე ინგლისი.

განსაკუთრებით სწრაფი იყო მძიმე მრეწველობის განვითარება 1870-1890 წ.წ. ქვანახშირის მოპოვება 230 მლნ. ტონამდე გაიზარდა, ფოლადისა და რკინის გამოდნობა 29,8 მლნ. ტონამდე. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ფერადი ლითონების მოპოვება და გამოდნობა. შეიქმნა და განვითარდა მრეწველობის ზოგი ახალი დარგი: მაგ. ნავთობის, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა. XIX ს. 70-80-იან წლებში დაიწყეს ელექტროენერგიის გამოყენება ტრამვაის, ელექტროგანათების, სატელეგრაფიო და სატელეფონო კავშირისათვის. 90-იან წლებში ფაბრიკებში პირველი ელექტრო მანქანები გამოჩნდნენ. დასავლეთის მიწების ათვისება, იქ მრეწველობის განვითარება, დასავლეთის სასოფლო-სამეურნეო

და აღმოსავლეთის სამრეწველო შტატებს შორის პროდუქციის ურთიერთგაცვლის საჭიროება ქმნიდა სარკინიგზო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების პირობებს. ამან სარკინიგზო მშენებლობას ახალი სტიმული მისცა. 1870-1900 წ.წ. სარკინიგზო ქსელის საერთო სიგრძე 50 000 კილომეტრიდან თითქმის 400 000 კილომეტრამდე გაიზარდა, რაც აღემატებოდა მთელი ევროპის სარკინიგზო ქსელის სიგრძეს და მსოფლიო სარკინიგზო ქსელის თითქმის ნახევარს უდრიდა. რკინიგზების მშენებელ ფირმებს სახელწიფო დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა (საერთო ჯამში გამოყოფილი იქნა 700 მლნ დოლარი).სარკინიგზო ფირმებს საკუთრებაში ეძლეოდათ აგრეთვე რკინიგზების გასწვრივ მდებარე მიწები. რკინიგზებთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა გზატკეცილებისა და არხების გაყვანა. საუკუნის დამლევს მსოფლიოში პირველად აშშ-ში შეიქმნა საავტომობილო მრეწველობა. 1900 წლისათვის ქვეყანაში უკვე 8000 ავტომანქანა იყო სარკინიგზო და სამდინარო ტრანსპორტის გვერდით საფუძველი ჩაეყარა საავტომობილო ტრანსპორტს, როგორც მიმოსვლის და გადაზიდვების ახალ საშუალებას. წარმატებით ვითარდებოდა მსუბუქი მრწველობა, განსაკუთრებით ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ხე-ტყის, თამბაქოსა და კონსერვების წარმოება. მრეწველობის განვითარებასთან ერთად მასში მიმდინარებდა კონცენტრაციის პროცესი, რასც პერიოდული ეკონომიკური კრიზისები აჩქარებდა. იქმნებოდა არამარტო მსხვილი ფირმები, არამედ უფრო დიდი გაერთიანებები_ ტრესტები, რომლებშიც რამოდენიმე ფირმა შედიოდა. მაგ. 1870 წელს შეიქმნა დიდი ნავთობმომპოვებელი ტრესტი ,,სტანდარტ ოილ კომპანი“, რომელსაც სათავეში უმდიდრესი ადამიანი ,,ნავთობის მეფე“ ჯონ როკფელერი ედგა.XIX ს. 80-იან წლებში აღნიშნული ტრესტი აშშ-ის ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების 90 % აკონტროლებდა. ტრესტში 14 ფირმა იყო გაერთიანებული. ასევე აღსანიშნავია 1892 წელს შექმნილი ტრესტი ,,ჯენერალ ელექტრიკი“, რომელიც

ელქტროტექნიკურ მრეწველობაში ბატონობდა საერთოდ XIX ს. 80-90-იან წლებში მძიმე და მსუბუქი მრწველობის დარგებში ტერესტები ერთი მეორის მიყოლებით იქმნებოდნენ. მაგალითად „ნახშირის ტრესტი“, („ამალგამეიტედ კოპერ“) „ბამბის ზეთის ამერიკული ტრესტი“, „სელის ზეთის ერვნული ტრესტი“, „თამბაქოს ტრესტი“ („კონსოლიდეიტედ ტობეკო“), „ხორცის ტრესტი“ და სხვ. XIX ს. დამლევს ტრესტების რიცხვმა 4545 მიაღწია მათი საერთო კაპიტალი კი 20 მლრდ. დოლარს შეადგენდა. კონცენტრაცია მიმდინარეობდა ფინანსურ სფეროშიც. მრეწველობის ცალკეულ დარგებს აფინანსებდნენ მელონის, მორგანის და სხვა მსხვილ მრეწველ-ფინასისტთა დიდი ბანკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია როკფელერის „ნეშნლ სიტი ბენკი“, რომლის კაპიტალი 1889-1899 წლებში 18 მილიონიდან 128 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

სოფლის მეურნეობა განვითარების ტემპით მრეწველობას ჩამორჩებოდა. პლანტატორული მეურნეობების გაუქმებამ და 1862 წელს მიღებულმა კანონმა რომლის მიხედვითაც დასავლეთის შტატებში მიწები ძალიან დაბალ ფასებში ეძლეოდათ იქ დასახლების მსურველებს, უდიდესი სტიმული მისცა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ათასობით ადამიანს მიეცა შესაძლებლობა საკუთრებაში შეეძინა მიწა და მთელი უნარით ემუშავა, რის შედეგადაც ამერიკელი ფერმერის შრომის ნაყოფიერება მეტად მაღალი იყო. სწორედ ეს გახდა აშშ-ის აგრარული სექტორის წინსვილის მთავარი მიზეზი. 1870-1900 წლებში დასავლეთში გადასახლებულებმა მიიღეს 600 000 მიწის ნაკვეთი ამ ნაკვეთების საერთო ფართობი დაახლობით 81 მლნ ჰექტარი იყო.

საერთოდ საუკუნის ბოლოს დასვლეთის ტერიტორია წყნარი ოკეანის სანაპირომდე მთლიანად იქნა დასხლებული. სამოქალაქო ომის შემდეგ ამერიკის სოფლის მეურნეობაში მთლიანდ ფერმერული მეურნეობა გაბატონდა სასოფლო-

სამეურნეო მიწების ნახევარზე მეტი მსხვილი ფერმერების ხელში იყო თავმოყრილი. ფართოდ გამოიყენებოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და ნიადაგის დამუშავების მოწინავე აგრო-ტექნიკური მეთოდები, რის შედეგადაც საერთო ჯამში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნათესი ფართობები. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა ხორბლის წარმოებამ. მხოლოდ 1880-1900 წ.წ. ხორბლის მოსავალი თითქმის 5 ჯერ გაიზარდა (სამჯერ გაიზარდა სიმინდის მოსავალი). ამან აშშ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის უსხვილეს ექსპორტიორად აქცია. მან გაუსწრო რუსეთსაც .სოფლის მეურნეობის დარგებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ბამბის წარმოება: 1880 – 1900 წლებში იგი წლიურად 5,7 მლნ კილოგრამიდან 10,5 მლნ. კილოგრამამდე გაიზარდა. XX ს. დამდეგისათვის აშშ მსოფლიოში დამზადებული ბამბის 90 % აწარმოებდა . მნიშვნელოვანი იყო წინსვლა მეცხოველეობის დარგებშიც.

აშშ-ის ეკონომიკის მძლავრ განვითარებას მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებდნენ: 1) სამოქალაქო ომმა მოსპო მონათმფლობელობა, რაც ეკონომიკური პროგრესის ხელისშემშლელი გარემოება იყო. 2) აშშ არასოდეს ყოფილა ფეოდალური ქვეყანა ამიტომ აქ არ არსებობდა ფეოდალიზმის გადმონაშთები: სამეფო დინასტია და მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა კაპიტალიზმის გზით ვითარდებოდა. 3) სახელწიფოს ხელში იყო თავისუფალი და ნაყოფიერი მიწების უზარმაზარი ფართობი რაც ფერმერული მეურნეობის დიდი განვითარების საშუალებას იძლეოდა. 4) აშშ-ის ტერიტორია მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით (ხე-ტყე, წყალი) და სასარგებლო წიაღისეულით (ქვანახშირი რკინა, ფერადი ლითონი, ნავთობი და სხვ.) 5) აშშ-ის ეკონომიკურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა ევროპული კაპიტალი: 1880 წელს ევროპის ქვეყნებს ამერიკის ეკონომიკაში დაბანდებული ქონდათ 2 მლრდ. დოლარი, 1890 წელს კი 3 მლრდ. დოლარი. 6) დიდი როლი ითამაშა უცხოეთიდან იმიგრაციამ,

რადგან იმიგრანტებს შორის ბევრი იყო მაღალკვალიფიცური სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ XIX ს. უკანასკნელ მესამედში ამერკის მოსახლეობას 14 მილიონზე მეტი იმიგრანტი შემოემატა. 7) აშშ ის ეკონომიკის განვითარების დიდი ხელშემწყობი გარემოება იყო აგრეთვე ევროპის ძველი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილების და მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენების გამოყენება. ამას ემატებოდა XIX საუკუნის.ამერიკული მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების მიღწევები: მაგ. აშშ-ში გამოიგონეს პირველად ორთქლისძრავიანი სათიბი მანქანა, სამკალი მანქანა, სალეწი მანქანა, ტელეგრაფი, ფოსფორიანი ასანთი, პნევმატური საბურავი, ფეხსაცმლის საკერავი მანქანა, ბესემერირების მეთოდი მეტალურგიაში, ტურბინა, ელმავალი, ვაგონ-მაცივარი, ტელეფონი, ელექტრო ნათურა და სხვა 8) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აშშ მშვიდობიანად ცხოვრობდა (თუ არ ჩავთვლით სამოქალაქო ომს). მან აწარმოა მხოლოდ მცირე მაშტაბიანი ომები ინგლისთან , მექსიკასთან და ესპანეთთან , რასაც ქვეყნისათვის დიდი ზარალი არ მიუყენებია. ამ ყველაფერთან ერთად აშშ-ს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც ქონდა. ძლიერი ევროპელი და აზიელი (მაგ. იაპონია) კონკურენტებისაგან იგი ოკეანებით იყო გამოყოფილი, ხოლო ხმელეთზე მას ესაზღვრებოდა სუსტი ქვეყნები, რომლებიც მის უშიშროებას საფრთხეს ვერ უქმნიდნენ ამიტომ აშშ-ის ხაზინას სამხედრო ხარჯები დიდ ტვირთად არ აწვა.

<u>საშინაო პოლიტიკური ვითარება.</u> XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში აშშ კვლავ რესპუბლიკურ რეჟიმის სახელმწიფოს წარმოადგენდა. ქვეყანაში მოქმედებდა 1787 წ. მიღებული კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ორპალატიან პარლამენტს_კონგრესს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა პრეზიდენტი, რომელსაც მოსხლეობა 4 წლის ვადით ირჩევდა

ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებას რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები წარმართვდნენ. უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ შეიცვალა, როგორც ამ პარტიების სოციალური დასაყრდენი, ისე მათ შორის დაპირისპირების საგანიც. სამოქალაქო ომამდე და ომის პერიდში დემოკრატიული პარტია გამოხატავდა სამხრეთის შტატების პლანტატორ–მონათმფლობელთა ინტერესებს, ხოლო რესპუბლიკური პარტია__ბურჟუაზიისა და ფერმერთა ინტერესებს. პარტიებს შორის დაპირისპირების საგანი იყო მონობის შემდგომი არსებობა-გაუქმების საკითხი (დემოკრატიული პარტია პლანტატორთა ინტერესების შესაბამისად მონობას მხარს უჭერდა, ხოლო რესპუბლიკელები ამას ეწინააღმდეგებოდნენ). სამოქალაქო ომის დამთავრების და მონობის გაუქმების შემდეგ დემოკრატებსა რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირების საგნად იქცა საბაჟო პოლიტიკის საკითხი. დემოკრატები მხარს უჭერდნენ თავისუფალი ვაჭრობის კურსს, ხოლო რეპუბლიკელები__პროტექციონისტულ საბაჟო ტარიფებს. რესპუბლიკური პარტის ძირითად დასყრდენ ძალად იქცა ბურჟუაზია (განსაკუთრებით მსხვილი მრეწველები და ფინანსისტები), ხოლო დემოკრტები ეყრდნობოდნენ მსხვილ მიწათმფლობელებს (ყოფილ მონათმფლობელებს) და ფერმერებს, აგრეთვე ბურჟუაზიის იმ ნაწილს რომელიც დაინტერესებული არ იყო მაღალი საბაჟო ტარიფებით (მაგ. ისეთი მეწარმეები , რომლებიც იმპორტული ნედეულით მუშაობდნენ, აგრეთვე გემთმფლობელები). გარდა საბაჟო პოლიტიკისა სხვა რაიმე პრინციპული უთანხმოება რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის არ იყო. ორივე პარტია მხარს უჭერდა არსებულ რესპუბლიკურ რეჟიმს. პრეზიდენტის სავარძლისა და პარლამენტში ადგილების უმრავლესობის მოპოვებისათვის ბრძოლაში, საარჩევნო კამპანიების დროს ერთმანეთის ნაკლოვანების მხილებითა და კრიტიკით როგორც

რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები ცდილობდნენ მოეპოვებინათ წვრილი ბურჟუაზიის, მუშებისა და საერთოდ მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა.

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ყოფილ მეამბოხე სამხრეთის შტატებზე ჩრდილოეთის შტატების დიქტატურა დამყარდა. კონგრესსში რესპუბლიკელებმა (რომლებიც უმრავლესობაში იყვნენ) სამხრეთის შტატების წარმომადგენლები სხდომებზე არ დაუშვეს. კონგრესის მიერ მიღებული იქნა რიგი კანონები, რომელთა საფუძველზე დაიწყო გარდაქმნები (ე.წ. რეკონსტრუქცია) სამხრეთის შტატებში. აქ შემოღებული იქნა საგანგებო მდგომარეობა. ყოფილი მეამბოხე შტატები (სადაც სამთავრობო ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილები იყვნენ განლაგებულნი) სამხედრო ოლქებად იქნა დაყოფილი. ამ ოლქებს სათავეში არმიელი გენერლები ჩაუდგნენ. მათ ამოცანას შეადგენდა ყველა ზანგი მამაკაცის აღრიცხვა და საარჩევნო სიებში შეყვანა თეთრკანიანი მამაკაცები საარჩევნო სიებში შეჰყავდათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ამერიკის კონსტიტუციის ერთგულებაზე დადებდნენ ფიცს. ამის შემდეგ სამხრეთის შტატებში უნდა ჩატარებულიყო დამფუძნებელი კრებების არჩევნები, სადაც მიღებული უნდა ყოფილიყო აქაური შტატების ახალი კონსტიტუციები. ამ კოსტიტუცებში გათვალისწიებულნი უნდა ყოფილიყო 1866 წ. შეტანილი მე-14 შესწორება, რომელიც ზანგებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა (მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდნენ დაშვებული სამხრეთის შტატების წარმომადგენლები აშშ-ის კონგრესში). ყოფილი მეამბოხე შტატების ახალი კონსტიტუციების მიღების შემდეგ მათ საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო ადგილობრივი არჩევნები. იმ პირებს, ვინც ამბოხებაში მიიღო მონაწილეობა ეკრძალებოდათ შტატის რაიმე არჩევითი თანამდებობის დაკავება. გარდა პოლიტიკური გარდაქმნებისა

რეკონსტრუქცია ითვალისწინებდა სამხრეთის შტატების ომით დანგრეული ეკონომიკის აღდგენასაც.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში 1885 წლამდე ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები იმყოფებოდნენ. 1865-1869წ.წ. პრეზიდენტი იყო ენდრიუ ჯონსონი, ხოლო 1869-1977წ.წ. ორი ვადით პრეზიდენტის პოსტი ეკავა სამოქალაქო ომის პერიოდის სახელგანთქმულ გენერალს, ომის დასკვნით ეტაპზე ჩრდილოელთა ჯარების მთავარსარდალს, უილის გრანტს. გრანტის პრეზიდენტობის პერიოდში 1871წ. გამოცხადებული იქნა ყოფილ მეამბოხეთა (დაახლოებით 150 000 კაცის) ამნისტია. მათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ. ამნისტია არ გავრცელებულა მხოლოდ 500 ყოფილ მეამბოხეზე, რომელთაც კვლავ ეკრძალებოდათ სახელწიფო თანამდებობების დაკავება. ამინისტიამ გაუადვილა ყოფილ პლანტატორ–მონათმფლობლებს თანდათანობით აღედგიანთ თავიანთი პოზიციები სამხრეთის შტატებში და შეევიწროვებინათ ზანგი მოსახლეობა, რომელმაც რეკონსტრუქციის პერიოდში პოლიტიკური უფლებები მოიპოვა. თავი წამოყო ისეთმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ, როგორიც იყო „კუ-კლუქს-კლანი“. იგი აწყობდა ტერორისტულ აქტებს ზანგი მოსახლეობის პოლიტიკურად აქტიურ წარმომადგენლებზე, აგრეთვე იმ თეთრკანიან მოღვაწებზე, რომლებიც ზანგების უფლებებს იცვდნენ. შავკანიანი მოსახლეობის მდგომარეობას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ 1862 წ. აქტის შედეგად მათ მხოლოდ პირადი თავისუფლება მოიპოვეს (ე.ი. განთავისუფლდნენ უმიწოდ). მიწები პლანტატორების ხელში დარჩა. პლანტატორებს არ გააჩნდათ საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ თავიანთ მეურნეობაში დაქირავებული მუშახელი გამოეყენებინათ. ამიტომ ისინი მიწის ცალკეულ ნაკვეთებს იჯარით აძლევდნენ ყოფილ მონა-ზანგებს, რომელთაც თავის მხრივ სამხრეთში მრეწველობის სისუსტის გამო, არ ქონდათ საშუალება მასიურად ემუშავათ

ფაბრიკა-ქარხნებში. მიწის იჯარის პირობები ძალიან მძიმე იყო, რაც ზანგი მოსახლეობის სიღატაკეს და ყოფილ მებატონეებზე მათ ეკონომიკურ დამოკიდებულებას განაპირობებდა. ტერორით და ეკონომიკური ზეწოლით პლანტატორებმა ზანგები და რესპუბლიკური პარტიის მომხრე თეთრკანიანები თანდათან გამოდევნეს ადგილობრივი მართველობის ორგანოებიდან, რის შედეგადაც დემოკრატიულმა პარტიამ განამტკიცა თავისი პოზიციები სამხრეთის შტატებში. ამგვარად უილის გრანტის პრეზიდენტობის პერიოდში ჩრდილოეთის შტატების დიქტატურა სამხრეთს შტატებზე მნიშვნელოვნად შესუსტდა. სამხრეთის შტატების შავკანიანი მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობა დაეცა, რის შედეგადაც ქვეყნის ამ ნაწილში ფაქტიურად ერთადერთი გაბატონებული პოლიტიკური ძალა დემოკრატიული პარტია გახდა

გრანტის პრეზიდენტობის პერიოდში კორუფციამ ფართო ხასიათი მიიღო. კორუფციას იწვევდა ის, რომ სხვადასხვა სახელმწიფო თანდებობების ხელში ჩაგდების ან თავიანთი პროდუქციის უფრო ხელსაყრელად გასაღების მიზნით ცალკეული პირები და ფირმების მესვეურები სახელწიფო მოხელეთა მოსყიდვას ახდენდნენ. ხდებოდა აგრეთვე სხვადასხვა მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების დატაცებაც. მაგ. მექრთამეობაში მხილებული იქნა თვთ პრეზიდენტ გრანტის პირადი მდივანი. იგი საჩუქრებს იღებდა ქ. სენტ-ლუისის ერთერთი თანამდებობის პირისაგან, რომელიც თავის მხრივ ქრთამს იღებდა ქალაქელი მეღვინეებისაგან. ეს უკანასკნელნი კი გაღებული ქრთამის წყალობით თავიანთ პროდუქციაზე ნაკლებ სააქციზო გადასახადს იხდიდნენ

1872 წ. გამოაშკარავდა ე.წ. ,,ტუიდის სკანდალური საქმე“. უილიამ ტუიდმა, რომელიც ხელმძღვანელობდა დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციას ქალაქ ნიუ-იორკში, შეძლო დამნაშავეთა ჯგუფის შექმნა, რომელშიც შედიოდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. წლების განმავლობაში

ტუიდის მიერ ორგანიზებული ბანდა ითვისებდა ქალაქისათვის მიზნობრივად გამოყოფილ თანხებს. ასე მაგალითად გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ნიუ-ორკის არსენალების შენახვისთვის უნდა დახარჯულიყო 250 000 დოლარი მაშინ, როცა დაიხარჯა 3,2 მლნ დოლარი, სასამართლოს შენობის ასაგებად უნდა დახარჯულიყო 3 მლნ დოლარი რეალურად კი დაიხრაჯა 11 მლნ. სულ ტუიდმა და მისმა ჯგუფმა მსგავსი მაქინაციებით 100 მლნ დოლარი ჩაიჯიბა.

დემოკრატიული პარტია, რომელმაც განამტკიცა თავისი პოზიციები სამხრეთში, კარგად იყენებდა სახელმწიფო აპარატში გავრცელებულ მექრთამეობას რესპუბლიკური პარტიის კრიტიკისათვის. რესპუბლიკელთა ავტორიტეტი საკმაოდ შეირყა, რისი დადასტურებაც იყო 1876 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა: ვერც რესპუბლიკელთა კანდიდატმა რეტფორდ ჰეისმა და ვერც დემოკრატების ფავორიტმა ტილდენმა ვერ მიიღეს გამარჯვებისთვის საჭირო ხმების უმრავლესობა. (ტილდენს მხოლოდ მცირე უპირატესობა ქონდა). მაშინ დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს. დემოკრატები დათანხმდნენ პრეზიდენტი გამხდარიყო ჰეისი. სამაგიეროდ რესპუბლიკელებს სამხრეთის შტატებიდან ჯარები უნდა გამოეყვანათ. ამგვარად 1877 წლიდან პრეზიდენტის პოსტი ჰეისმა დაიკავა(1877-1881წ.წ.). სამხრეთის შტატებეიდან ჯარი გამოყვანილი იქნა და ამით რეკონსტრუქციის პროცესიც დამთავრდა. დემოკრატიულმა პარტიამ სამხრეთში საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები. ზანგი მოსახლეობა პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოირიცხა. შემდგომში ზანგების პოლიტიკური უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვის მიზნით სამხრეთის შტატების ხელისუფლება პერიოდულად კვლავ ატარებდა რიგ ღონისძიებებს: მაგ. შემოღებული იქნა განაკუთრებული გადასახადი საარჩევნო უბანში მოსულთათვის. არჩევნებში დაშვებული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ წერა-

კითხვის მცოდნენი. რათქმა უნდა ასეთი ზომები უპირველეს ყოვლისა ღარიბი და წერა-კითხვის უცოდინარი ზანგების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამგვარად აშშ-ის სამხრეთში საფუძველი ჩაეყარა რასობრივ დისკრიმინაციას (ადამიანის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა რასობრივი ნიშნის მიხედვით). ამას ემატებოდა რასობრივი სეგრეგაციაც (სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა განცალკავებული ცხოვრება და განვითარება). სამხრეთში არსებობდა განცალკავებული სკოლები თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვებისათვის, ზოგიერთი მაღაზია და რესტორანი მხოლოდ თეთრკანიანებისათვის იყო ღია, ზანგებს უფლება არ ქონდათ ეცხოვრათ ქალაქის იმ უბანში, სადაც თეთრკანიანები ცხოვრობდნენ. 1881წ. ტენესის შტატში მიღებული იქნა სპეციალური კანონი, რომელიც ზანგებს თეთრკანიანებთან ერთად ერთ ვაგონში მგზავრობას უკრძალავდა. სამხრეთში არსებული დისკრიმინაცია და სეგრეგაცია აშშ–ის კონსტიტუციის მნიშვნელოვანი დარღვევა იყო, რაც დიდ ჩრდილს აყენებდა ამერიკულ დემოკრატიას.

1880 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ რესპუბლიკურმა პარტიამ გაიმარჯვა და 1881 წლიდან პრეზიდენტის პოსტი ჯეიმს გარფილდმა დაიკავა, ხოლო იმავე წლის ივლისიდან (მას შემდეგ, რაც ადვოკატმა გიტომ გარფილდი სასიკვდილოდ დაჭრა) პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ვიცე-პრეზიდენტი ჩესტერ არტური შეუდგა (1881-1885წ.წ.). ამ პეროდშიც სახელმწიფო აპარატში კორუფცია კვლავ ყვაოდა. ამას ემატებოდა სახელმწიფო თანამდებობებზე ისეთი პირების დანიშვნის მავნე პრაქტიკა, რომლებიც საარჩევნო კამპანიაში პერეზიდენტობის კანდიდატს ფინანსურ დახმარებას უწევდნენ. პრეზიდენტად გახდომის შემდეგ სახელმწიფოს მეთაური იძულებული იყო ზემოთ აღნიშნული პირებისათვის ანგარიში გაეწია და ისინი სხვადასხვა პოსტებზე დაენიშნა იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს უკანასკნელნი სრულიად არაკომპეტენტურნი იყვნენ.

სწორედ ამით იყო გამოწვეული ადვოკატ გიტოს მიერ (რომელმაც სასურველი თანამდებობა ვერ მიიღო) პრეზიდენტ გარფილდის ზემოთაღნიშნული მკვლელობა. პრეზიდენტმა არტურმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ მანკიერი მოვლენისათვის. 1883 წელს მიღებული იქნა ე.წ. ,,პენდელტონის კანონი“ (სენატორ პენდელნტონის გვარის მიხედვით). ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატს სამკაციანი სპეციალური კომისიისათვის უნდა ჩაებარებინა საკვალიფაკაციო გამოცდები. აიკრძალა თანამდებობებზე პირების დანიშვნა ან მოხსნა პარტიული ნიშნით. თუმცა პენდელტონის კანონმა მდგომარეობა მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა. საბოლოოდ სახელმწიფო აპარატში გავრცელებულმა მექრთამეობამ რესპუბლიკელებს იმდენად გაუტეხა სახელი, რომ 1884 წ. არჩევნებში ისინი დამარცხდნენ. პრეზიდენტი გახდა დემოკრატი გროვერ კლივლენდი, რომელმაც მანამადე პრესის ფურცლებზე სახელწიფოში არსებული მექრთამეობის მხილებით და რესპუბლიკელების კრიტიკით მოიპოვა ავტორიტეტი.

კლივლენდის პრზიდენტობის პერიდში (1885-1889წ.წ.) მთავარი ყურადღება დაეთმო აშშ-ის სამხედრო სიძლიერის ზრდას. ეს საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე აშშ-ის აქტიურობის ზრდასთან იყო დაკავშირებული. გაძლიერდა პოლიციაც. პოლიციას და სამხედრო ნაწილებს ხშირად მუშათა გაფიცვების ჩასახშობად იყენებდნენ. კლივლენდის ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, აგრეთვე 1887წ. მიღებული კანონი შტატებს შორის ვაჭრობის შესახებ. ეს კანონი სარკინიგზო ფირმების თვითნებობის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ისინი სხვადასხვა შტატებში მგზავრების და ტვირთების ტრანსპორტირებაზე სხვდასხვა ფასებს აწესებდნენ. სხვადასხვა იყო მიდგომა ტვირთის მფლობელების მიმართაც: მსხვილ ფერმერებს რომელთაც ბევრი ტვირთი ქონდათ გადასაზიდი, სარკინიგზო კომპანიები ნაკლებს ახდევინებდნენ, სამაგიეროდ

წვრილი ფერმერებისგან სამჯერ მეტს იღებდნენ თუნდაც მათი ტვირთი მოკლე მანძილზე ყოფილიყო გადასატანი.აღნიშნული კანონის მიხედვით შემოღებული იქნა ერთიანი სარკინიგზო ტარიფები. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ამ კანონის აღსრულება უნდა გაეკონტროლებინა. თუმცა კომისიის საქმიანობა საბოლოდ მთლიანად ეფექტური ვერ აღმოჩნდა, რის გამოც დემოკრატების ავტორიტეტი თანდათანობით შესუსტდა. დემოკრატების პრესტიჟის დაცემა იმანაც გამოიწვია, რომ საშუალო და წვრილი ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო მსხვილი სამრეწველო გაერთიანების__ ტრესტების ბატონობით. უკმაყოფილონი იყვნენ ფერმერები და მემამულეებიც რადგან დემოკრატებმა ვერ შეძლეს თავიანთი წინასაარჩევნო დაანაპირების, იმპორტულ საქონელზე ბაჟების გეგმაზომიერი შემციერების გახორციელება. გაფიცვების წინააღმდეგ პოლიციის და არმიის გამოყენება მუშათა ფენის უკმაყოფილებასაც იწვევდა. ყოველივე ამან განაპირობა დემოკრატიული პატიის დამარცხება 1888წ. საპრეზიდენტო არჩევნებში. პრეზიდენტის პოსტი ბენჯამენ ჰარისონმა (1889 -1893წ.წ.) დაიკავა.

მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად 1890 წ. ჰარისონის ადმინისტრაციამ მიიღო ე.წ. მაკ-კინლის კანონი, რომლის მიხედვითაც საშუალოდ 50% ამაღლდა საბაჟო ტარიფები უცხოურ იმპორტზე. იმავე 1890 წ. საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის გულის მოსაგებად მიღებული იქნა ე.წ. შერმანის კანონი, რომელიც ტრესტრების წინააღმდეგ იყო მიმართული. იკრძალებოდა ამათუიმ სამრეწველო საქონელზე ერთიანი მაღალი ფასების დაწესების მიზნით ფირმების ტრესტებში გაერთიანება. თუმცა ეს კანონი რეალურად ცხოვრებაში მტკიცედ ვერ ტარდებოდა, რაც საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის უკმაყოფილებას იწვევდა. უცხოურ იმპორტზე ბაჟების ამაღლებამ კიდევ უფრო გაზარდა ხელისუფლების საბაჟო პოლიტიკის მიმართ ფერმერებისა და მემამულეების

უკმაყოფილება. ამას თან დაერთო 1892-1893წ.წ. ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც 3 მილიონი ადამიანი სამუშაოს გარეშე დატოვა. ამიტომ 1892 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრეტებმა გაიმარჯვეს, პრეზიდენტი კვლავ გროვერ კლივლენდი გახდა (1893-1897წ.წ.).

კლივლენდის ადმინისტრაციამ ამჯერად შეასრულა წინა საარჩევნო დაპირება და 1894წ. მიიღო კანონი, რომელიც უცხოურ იმპორტზე საბაჟო გადასახადს 39% ამცირებდა. უცხოეთიდან შემოსულ სპილენძზე, მატყლზე და სამშენებლო მასალაზე კი ბაჟები საერთოდ გაუქმდა. ეს ღონისძიება შეესაბამებოდა ფერმერების და მემამულეების ინტერესებს, მაგრამ სამაგიეროდ იწვევდა სამრეწველო ბურჟუაზიის უკმაყოფილებას. ამავე დროს ქვეყანაში გრძელდებოდა ეკონომიკური კრიზისი რის შედეგადაც 155 ბანკი და 15 ათასი ფირმა გაკოტრდა. იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი და შესაბამისად მუშების საგაფიცვო მოძრაობაც. ეს ყველაფერი სერიოზული საშინაო-პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნიდა.ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით, რესპუბლიკელებმა, რომლებიც სასტიკად აკრიტიკებდნენ დემოკრატების საშინაო პოლიტიკას და საზოგადოებას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას პირდებოდნენ, 1896 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას მიაღწიეს. პრეზიდენტის პოსტი ულიამ მაკ-კინლიმ (1897-1901წ.წ.) დაიკავა.

აშშ-ის ეკონომიკური განვითარების კვალობაზე თანდათან იზრდებოდა მუშათა რიცხვი, რაც თავის მხრივ მუშათა მოძრაობის ზრდას განაპირობებდა. თავიანთ ევროპელ კოლეგებთან შედარებით ამერიკელი მუშების ცხოვრების პირობები რამოდენადმე უკეთესი იყო. ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპის და აგრეთვე დასავლეთში არსებული თავისუფალი მიწების გამო ჯერჯერობით ქვეყანაში უმუშევრობის დონე მინიმალური იყო. ყოველივე ეს განაპირობებდა იმას, რომ ამერიკელ მუშათა შორის ნაკლებად იყო რევოლუციური განწყობილება, რაც ხელს

უშლიდა მუშათა ფენაში რევოლუციური (მარქსისტული) სოციალიზმის იდეების გავრცელებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასავლეთში არსებული თავისუფალი მიწები მუშებს საშუალებას აძლევდა შრომისა და ცხოვრების არადამაკმაყოფილებელი პირობების შემთხვევაში სამუშაოსათვის თავი დაენებებინათ და დასავლეთის შტატებში წასულიყვნენ მიწის მისაღებად. მიუხედავად ამისა ამერიკელი მუშათა მდგომარეობა იდეალური მაინც არ იყო, რასაც ადასტურებს მუშათა მოძრაობის არსებობის ფაქტი. ამერიკელ მუშებს აწუხებდათ მთელი რიგი პრობლემები, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ 16-17 საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის სიმცირე, ბავშვებისა და ქალების დაბალანაზღაურებადი შრომის გამოყენება, საწარმოებში შრომის უსაფრთხოების, ტექნიკის არარსებობა. ასევე არასახარბიელო იყო მუშათა საბინაო პირობები, რაც ძალიან ნელა უმჯობესდებოდა. შრომისა და ცხოვრების პირობების მხრივ ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ ზანგი და ფერადკანიანი მუშები (განსაკუთრებით სამხრეთის შტატებში). ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 90-იან წლებში ძირითადად დამთავრდა დასავლეთის ტერიტორიების დასახლება და ეკონომიკური ათვისება. ამავე დროს ევროპიდან კვლავ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ იმიგრანტები, ამან გამოიწვია უმუშევრობის დონის გარკვეული ამაღლებაც. უნდა აღინიშნოს ასევე პერიოდული ეკონომიკური კრიზისები რომლებიც ჩვეულებრივზე უფრო მეტად აუარესებდნენ მუშათა მდგომარეობას.

XIX ს. 70-იანი წლები მუშათა მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა 1872 წ. ნიუ-იორკში მშენებლები გაიფიცნენ. ამ გაფიცვაში 100 ათასი კაცი მონაწილეობდა. 1874 წელს კი მთელს ქვეყანაში მაღაროელთა დიდი გაფიცვები აღინიშნა, 1876წ. მუშათა დიდი გაფიცვა მოეწყო ქ. სენტ-ლუისში. 1877წ. პენსილვანიის შტატის ქალაქებში ჩიკაგოში, ბალტიმორსა

და პიტსბურგში რკინიგზის მუშათა გაფიცვები მიმდინარეობდა. აშშ-ის ხელისუფლება ხშირად მიმართავდა რეპრესიულ ზომებს. 1875-1877წ.წ. პოლიციასა და ჯართან შეტაკებებში 100 ათასი მუშა დაიღუპა , 1000 მეტი დაიჭრა, 4500 კი დაპატიმრებული იქნა. 80-იან წლებში საგაფიცვო მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა 1886 წ. მთელს ქვეყანაში დაიწყო მუშათა ერთიანი გამოსვლები 8 საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩიკაგოელი მუშები. 1 მაისს 80 ათასმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა და ქუჩებში გამოვიდა. პოლიციამ მათ ცეცხლი ჯერ 3 მაისს ქალაქის სასაკლაოსთან, ხოლო 4 მაისს ჰაიმარკეტ-სკვერში გაუხსნა. საერთო ჯამში დაიღუპა 5 და დაიჭრა 250 მუშა, დაიღუპა აგრეთვე 7 პოლიციელი. გაფიცვის ორგანიზატორ ოთხ პირს შპისს, ენგელსს, ფიშერს და პარსონს სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა. ჩიკაგოს სისხლიანმა ამბებმა საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა 1889 წ. პარიზში მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციამ II ინტერნაციონალმა თავის პირველ ყრილობაზე 1 მაისი მუშათა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ გაფიცვების შედეგად ამერიკის ზოგიერთ შტატში 8 საათიანი სამუშაო დღე იქნა დაწესებული ბევრმა საწარმომ სამუშაო დღე 9-10 საათამდე შეამცირა.

აშშ-ის მუშათა მოძრაობას ძირითადად ტრედუნიონები (პროფკავშირები) ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც მუშებს მოუწოდებდნენ ებრძოლათ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1881 წ. შექმნილი დიდი პროფკავშირული გაერთიანება__„შრომის ამერიკული ფედერაცია“. ამ ორგანიზაციას სემიუელ გომპრესი (წარმოშობით ინგლისელი ებრაელი) ხელმძღვანელობდა. გომპრესს მიაჩნდა, რომ კაპიტალიზმი ერთდროულად ხელსაყრელი იყო როგორც მეწარმის, ისე მუშისათვის და რომ შესაძლებელი იყო მეწარმეებსა

და მუშებს შორის დაპირისპირების ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობის გზით მშვიდობიანად აღმოფხვრა. საბოლოოდ კი ისეთი პირობების შექმნა, რომ მეწარმეს მიეღო ,,სამართლიანი მოგება“, ხოლო მუშას კი__,,სამართლიანი ანაზღაურება“. აქედან გამომდინარე გომპერსი უარყოფდა რევოლუციის და არსებული სახელმწიფო წყობილების შეცვლის მარქსისტულ იდეას.

მუშათა მოძრაობაზე გარკვეულ ზეგავლენას სოციალისტებიც ახდენდნენ. სოციალიზმის იდეებმა აშშ-ში XIX ს. 60-იან წლებში ევროპიდან (ძირითადად გერმანიიდან) იმიგრირებული მუშების და სპეციალისტების მეშვეობით შეაღწია. 1876 წ. ამერიკელმა სოციალისტებმა მოახერხეს ,,აშშ-ის მუშათა სოციალისტური პარტიის“ შექმნა, რომელიც რეფორმისტული სოციალიზმის იდეებს ქადაგებდა და მუშებს როგორც საგაფიცვო, ისე საარჩევნო-საპარლამენტო ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. აღნიშნული პარტია უმეტესად გერმანიიდან გადმოსახლებულ მუშებს აერთიანებდა, მისი გაზეთიც გერმანულ ენაზე გამოდიოდა (მხოლოდ 1890 წ. გამოვიდა პარტიის ინგლისურენოვანი გაზეთი ,,ხალხი“) ამიტომ მიუხედავად პარტიის ლიდერების დიდი მცდელობისა (აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიის ხელმძღვანელი 1890 წლიდან დე ლეონი) იგი ვერ იქცა აშშ-ის მუშათა ფენის მთავარ ხელმძღვანელ პოლიტიკურ ძალად. მუშათა მოძრაობა კვლავ უპირატესად ,,შრომის ამერიკული ფედერაციის“ გავლენის ქვეშ რჩებოდა.

<u>საგარეო პოლიტიკა</u>. XIX ს-ის II ნახ. აშშ პოლიტიკის მტავარ არეალში იყო ლათინურ ამერიკა აშშ ცდილობდა იქ კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი ეკონომიკური და შესაბამისად პოლიტიკური გავლენა ლათინურ ამერიკის ქვეყნებზე, რათა ამ რეგიონიდან გამოეძევებინა ევროპული კაპიტალი. ამერიკული სამრეწველო საქონლისა და ფინანსური კაპიტალის ექსპორტი ლათინურ ამერიკის ქვეყნებში სულ უფრო იზრდებოდა. ამავე დროს აშშ ცდილობდა ლათინური ამერიკის

ქვეყნების პროდუქციის მთავარი იმპორტიორიც ყოფილიყო. ამ რეგიონში ჰეგემონობის მოპოვებისა და გამართლების მიზნით აშშ-ის მართველი წრეები ძველებურად მონროს დოქტრინას ეყდნობოდნენ. გარდა ამისა მიმდინარეობდა ე.წ. ,,პანამერიკანიზმის“ (ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოთა ინტერესების ერთობლიობის) იდეების პროპაგანდაც. აშშ-ის ინიციატივით 1889 წ. ვაშინგტონში მოწვეულ იქნა პირველი პანამერიკული კონფერენცია, რომელზეც გამოცხდდა ,,ამერიკის კონტინენტის რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირის შექმნა“ (მას მოგვიანებით ,,პანამერიკული კავშირი“ ეწოდა). ამ ორგანიზაციის შექმნა და მასში აშშ-ის ხელმძღვანელი როლი ნიშნავდა იმას, რომ აშშ-ის მართველი წრები ლათინურ ამერიკას საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდნენ და არ დაუშვებდნენ იქ მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყნის დომინირებას. ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო ვენესუელა-ინგლისის სასაზღვრო კონფლიქტი, რომელსაც 90-იან წლებში ქონდა ადგილი მდინარე ორინოკოს დელტაში ვენესუელასა და ბრიტანეთის გვიანის (დღევანდელი გაიანა) საზღვარზე აშშ-ის ერთ-ერთ ფირმას ვენესუელას მთავრობისგან იჯარით ქონდა აღებული გარკვეული ტერიტორია, სადაც ოქროს საბადო იქნა აღმოჩენილი. ინგლისმა ამერიკული ფირმის ტერიტორია თავისი კოლონიის ბირტანეთის გვიანის საკუთრებად გამოაცხადა. ამგვარად ვენესუელასა და ინგლისს შორის აღმოცენდა სასაზღვრო კონფლიქტი, რომელშიც აშშ-ც აღმოჩნდა ჩარეული. 1895წ. აშშ-ის სახელწიფო მდივანმა პრეზიდენტ კლივლენდის მთავრობაში ოლნიმ ინგლისის ხელისუფლებას ნოტა გაუგზავნა, რომელშიც აშშ ფაქტობრივად ულტიმატუმის ენით ითხოვდა ინგლისისაგან ამ კონფლიქტში თავის შუამავლობას წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალის გამოყენებით იმუქრებოდა. ინგლისი, რომელსაც კოლონიურ ასპარეზზე მეტოქეობის გამო გამწვავებული ქონდა ურთიერთობა გერმანიასთან , რუსეთთან და საფრანგეთთან, იძულებული გახდა

უკან დაეხია. ამგვარად კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდა. საზღვარი ვენესუელასა და ბრიტანეთის გვიანას შორის აშშ-ის ინტერესების შესაბამისად იქნა დადგენილი.

ლათინური ამერიკის გარდა აშშ-ის მმართველი წრეები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ შორეულ აღმოსავლეთს და წყნარი ოკეანის აუზს. 1866, 1867 და 1871 წლებში აშშ-ის ფლოტმა სამჯერ, თუმცა სამივეჯერ წარუმატებლად სცადა თავდასხმა კორეაზე. 1882 წ. აშშ-მ შეძლო კორეისათვის თავს მოეხვია არათანასწორუფლებიანი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კორეა იძულებული იყო ამერიკელი ვაჭრებისათვის გაეხსნა უკვე იაპონელებისათვის გახსნილი სამი პორტი. კორეაში დაიწყო ამერიკული კაპიტალის შეღწევა. ამერიკულმა ფირმებმა მიიღეს კორეში ოქროს საბადოების დამუშავების , აგრეთვე სეულ- ჩემულპოს სარკინიგზო ხაზის გაყვანის უფლებაც. კორეიდან აშშ-ის კაპიტალმა ჩინეთშიც დაიწყო შეღწევა. XIX ს. ბოლოს ამ ქვეყანაში ამერიკელ საქმოსნებს უკვე 24,7 მლნ. დოლარი ქონდათ დაბანდებული.

ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში აშშ-ის მთავრობის ყურადღებას სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი და თავისი მდებარეობით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, წყნარ ოკიანეში განლაგებული ჰავაის არქიპელაგიც (კუნძულთა ჯგუფი) იპყრობდა. 1875 წლის სავაჭრო ხელშეკრულებით ამერიკულმა კაპიტალმა ჰავაის კუნძულზე გაბატონებული პოზიციები მოიპოვა. 1887წ. არქიპელაგზე ამერიკული სამხედრო-საზღვაო ბაზა პირლ-ჰარბორიც იქნა აგებული. 1893 წ. კი არქიპელაგზე გადასხმული ამერიკული ჯარის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა სახელწიფო გადატრიალება: დედოფლის მონარქიული რეჟიმი დამხობილ იქნა. გამოცხადდა ,,რესპუბლიკის“ შექმნა, რომელსაც სათავეში მარიონეტული ,,დროებითი მთავრობა“ ჩაუდგა. მალე ამ ე.წ. მთავრობამ ჰავაის აშშ-სთან შეერთების გადაწყვეტილება მიიღო, რის საფუძველზეც 1897წ. აშშ-მ არქიპელაგის ანექსია

მოახდინა. ამგვარად ჰავაის კუნძულები აშშ-ის პირველ კოლონიად იქცა.

აშშ-ის მთავრობა ჰავაის გარდა ასევე წყნარ ოკეანეში მდებარე სასარგებლო წიღისეულით მდიდარი კიდევ ერთი არქიპელაგით__სამოას კუძულებითაც იყო დაინტერესებული. თუმცა აქ აშშ-ს დიდ მეტოქეობას უწვდნენ ინგლისი და გერმანია, რომელთაც თავად სურდათ ამკუნძულების დაპყრობა. 1889წ. სამმხრივი მოლაპარაკების შედეგად კუნძულებზე ინგლის-გერმანია-აშშ-ის ერთობლივი პროტექტორატი დამყარდა. 1899წ. კი მას შემდეგ, რაც გერმანიამ ცნო ინგლისის მფლობელობა ტონგას კუნძულებზე და სოლომონის კუნძულების ნაწილზე, ინგლისელებმა სამოა დატოვეს. ამის შემდეგ სამოას არქიპელაგი აშშ-სა და გერმანიას შორის გადანაწილდა. აშშ-მ მიიღო არქიპელაგის აღმოსავლეთი ნაწილი და იქ მდებარე პორტი პაგო-პაგო, სადაც ჯერ კიდევ XIX ს. 70-იან წლებიდან არსებობდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა.

3. აშშ 1900-1914 წწ.

<u>ეკონომიკური განვითარება</u>. XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკის განვითარების ტემპით და წარმოების საერთო მოცულობით (როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში) აშშ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ რჩებოდა. 1900წ. აშშ-ის წილად მოდიოდა მსოფლიოში ნაწარმოები სამრეწველო პროდუქციის 1/3. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის ცალკეული დარგები. 1913წ. აშშ-ში წლიურად აწარმოებდნენ 33 მლნ. ტონა ფოლადს, 31 მლნ. ტონა თუჯს, 517 მლნ. ტონა ქვანახშირს, 33 მლნ. ტონა ნავთობს. იზრდებოდა საავტომობილო მრეწველობა და მასთან დაკავშირებული რეზინის წარმოება. დიდი პროგრესი შეინიშნებოდა ელექტროენერგიის

წარმოებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში საერთოდ სამრეწველო საწარმოთა რიცხვი აშშ-ში 1899-1914წ.წ. 208 ათასიდან 275 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მრეწველობაში დასაქმებული მუშათა რიცხვი __4, 7 მილიონიდან 7 მილიონამდე.

ეკონომიკის განვითარების დონით აშშ-მ უკან ჩამოიტოვა სხვა წამყვანი ქვეყნები. 1909 წ. აშშ-ის მრეწველობაში დამზადებული პროდუქციის ღირებულება 20 მლრდ. დოლარს აჭარბებდა. ეს 2-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე გერმანიის მრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულება და 2,5-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე ინგლისის ანალოგიური მაჩვენებელი. პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ უკვე აწარმოებდა იმდენივე ქვანახშირს, ფოლადსა და თუჯს, რამდენსაც ერთად აღებული ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია.

მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად ჩქარდებოდა წარმოების კონცენტრაციის პროცესიც. მრეწველობის თითქმის ყველა სფეროში ყალიბდებოდნენ უმსხვილესი ფირმები__ტერესტები, რომლებიც ხშირად მრეწველობის ცალკეულ დარგებს უქვემდებარებენ თავიანთ კონტროლს 1907 წ. აშშ-ში უკვე 250 ტრესტი საქმიანობდა. ტრესტების შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯონ როკფელერის ნავთობის ტრესტი. ,,სტანდარტ ოილ კომპანი“, რომელმაც თანდათანობით XX ს. დასაწყისიდან ნავთობის წარმოების გარდა თავის გავლენა გაზის, ელექტროენერგიის, სპილენძის, თუთის და ტყვიის წარმოებაზეც გაავრცელა. პირველი მსოფლიო ომის წინ ამ დიდი გაერთიანების ყოველწლიური შემოსავალი 200 მლნ. დოლარს აღემატებოდა. თავის საქმიანობას აფართოებდა XIX ს. ბოლოს დაარსებული კიდევ ერთი გიგანტი__ტრესტი ,,ჯენერალ ელექტრიკი“. 1901 წელს ჯონ მორგანმა დააარსა გიგანტური ფოლადის ტრესტი ,,იუნაიტიდ სტეიტს სტილ კორპორეიშენი“ ტრესტს ეკუთვნოდა 78 ბრძედი, რომლებიც წლიურად 6,5 მლნ. ტონა თუჯს აწარმოებდნენ, რაც

აშშ-ში წარმოებული თუჯის ნახევარს შეადგენდა. ამ ტრესტის საკუთრება იყო აგრეთვე 149 ფოლადის ჩამომსხმელი და ფოლადის ნაკეთობათა დამამზადებელი ქარხანა „ზემო ტბის“ რაიონის რკინისმომპოვებელი მადაროების 70%, და რამდენიმე ათასი აკრი მიწა ქვანახშირის საბადოებით. შემდგომში ეს ტრესტი აშშ-ს თითქმის მთელ სამთამადნო და მეტალურგიულ მრეწველობაში გაბატონდა. 1907 წ. ამ ტრესტის კუთვნილ საწარმოო ობიქტებზე 210 000 მუშა იყო დასაქმებული. ასევე დაჩქარდა კონცენტრაციის პროცესი ფინანსურ სფეროში. 1903 წ. აშშ-ის ორი უმსხვილესი მორგანისა და როკფერელის ბანკის საკუთრებაში არსებული ფინანსური კაპიტალის ოდენობა 22 მლრდ. დოლარს აღწევდა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მოსახლეობის (განსაკუთრებით კი ქალაქის მოსახლეობის) რაოდენობა. 1900-1914 წ. აშშ-ის მოსახლეობა 84,7 მილიონიდან 98,6 მილიონამდე გაიზარდა. მოსახლეობის რიცხობრივ ზრდაში ევროპის ქვეყნებიდან იმიგრაცია კვლავ დიდ როლს თამაშობდა. მოსახლეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა შეინიშნებოდა ისეთ მსხვილ სამრეწველო ქალაქებში, როგორებიც იყო ნიუ-იორკი, ჩიკაგო, დეტროიტი და სხვ.

მრეწველობასთან ერთად წინ მიიწევდა სოფლის მეურნეობაც. ამაღლდა მისი საერთო მექანიზაციის დონე. უფრო მრავალფეროვანი გახდა აგრარული სექტორის დარგობრივი სტრუქტურა და მკვეთრად ამაღლდა ცალკეული დარგების საერთო პროდუქტიულობა. თუმცა მიუხედავად აგრარული სექტორის პროგრესისა, მრწველობის განვითარება იმდენად სწრაფი იყო, რომ სოფლის მეურნეობის საერთო წილი ეკონომიკაში მცირდებოდა. მრეწველობაში დამზადებული პროდუქციის ღირებულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებას სამჯერ სჭარბობდა.

საშინაო ვითარება. 1896 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის გამარჯვების შემდეგ 1897 წლიდან აშშ-ის პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი გახდა.მაკ-კინლის მთავრობის პირველი ნაბიჯი 1897წ. უცხოურ იმპორტზე საბაჟო ტარიფების ამაღლლება იყო, რაც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად განხორციელდა. მთავარ ყურადღებას კი მაკ-კინლის ადმინისტრაცია საგარეო პოლიტიკას, კერძოდ ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ექსპანიის გაფართოებას უთმობდა. სწორედ მაკ-კინლის აქტიური მონაწილეობით მომზადდა ომი ეპანეთის წინააღმდეგ 1898 წელს, ამ ომში აშშ-მ გამარჯვებას მიაღწია და ხელთ იგდო კუნძულები კუბა პუერტო რიკო გუამი, აგრეთვე ფილიპინების არქიპელაგი.ამ წარმატების გამო 1900წ. საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ კვლავ გაიმარჯვა და პრეზიდენტად კვლავ მაკ-კინლი იქნა არჩრეული, თუმცა 1901 წ. 6 სექტემბერს ქალაქ ბუფალოში პანამერიკული გამოფენის დათვალიერებისას იგი მძიმედ დაჭრა ანარქისტმა ჩალგოშმა, რის შედეგადაც მაკ-კინლი გარდაიცვალა. პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა. მან 1904წ. მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში შეძლო ამ პოსტის შენარჩუნება და ამგვარად იგი ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას 1909 წლამდე ედგა სათავეში.

XX ს. დასაწყისში აშშ-ის საშინაო-პოლიტიკური ცხოვრების მთავარ პრობლემად იქცა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის, აგრეთვე ფერმერთა და ინტელიგენციის უკმაყოფილების ზრდა, რომელიც მიმართული იყო მსხვილი ფირმების ტრესტების წინააღმდეგ. მოსახლეობის აღნიშნული ფენები ტრესტებში თავისუფალი კონკურენციის ჩახშობის და საქონელზე ფასების ზრდის (მონოპოლიური ფასის დაწესების გამო) საფრთხეს ხედავდნენ. გარდა ამისა მათ უკმაყოფილებას იწვევდა სახელმწიფო მმართველობის აპარატში ფეხმოკიდებული კორუფცია, რაც ასევე მნიშვნელოვანწილად ტრესტების

არსებობით იყო გამოწვეული, რადგან მსხვლი ფირმები კონკურენტებთან ბრძოლის გაადვილების და საკუთარი პროდუქციიის გასაღებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით ხშირად მიმართავდნენ სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვის ხერხს.

ამიტომაც XX ს. დამდეგს აშშ-ში მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობა წარმოიშვა, რომელიც რეფორმების გზით არსებული მდგომარეობის გამოსწორებას მოითხოვდა. სწორედ ამ მოძრაობის წარმათველი ძალა იყო ინტელიგენცია, კერძოდ კი მწერლების, ისტორიკოსების და პუბლიცისტების გარკვეული დაჯგუფება ე.წ. „ნაგვის მქექავები“, რომელიც სასტიკად აკრიტიკებდა სახელწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მანკიერ მხარეებს. ამ დაჯგუფებაში შეიძლება დავასახელოდ ისეთი გამოჩენილი ამერიკელი მწერლები, როგორებიც იყვნენ მარკ ტვენი, ეპტონ სინკლერი, თეოდორ დრაიზერი და ჯეკ ლონდონი. შექმნილ ვითარებაში მოსალოდნელი იყო მუშათა მოძრაობის გაძლიერებაც. ყველაფერი ეს კი საბოლოო ჯამში სახელმწიფოში დიდი შინაგანი დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნიდა.

პრეზიდენტი რუზველტი, რომელიც რეალურად აფასებდა ვითარებას, რეფორმების გზას დაადგა. რეფორმების მიზანი ტრესტების თვითნებობის ალაგმვა და მთელი ეკონომიკის სახელწიფო რეგულირების სისტემის შექმნა იყო. 1901 წ. კონგრესისადმი თავის პირველ მიმართვაში პრეზიდენტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტრესტების საქმიანობა, თუმცა ამავე დროს მას არამიზანშეწონილად მიაჩნდა დიდი ფირმების ლიკვიდაცია, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი ეფექტურად მოქმედებდნენ. რუზველტი ფიქრობდა, რომ რომ საჭირო იყო ტრესტების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება, რათა მათი მხრიდან ყოველგვარი დარღვევები აღკვეთილიყო

1903 წელს რუზველტის მითითებით ტრესტებზე კონტროლის დაწესების მიზნით ვაჭრობის და შრომის სამინისტროსთან სპეციალური ბიურო შეიქმნა. პრეზიდენტის ინიციატივით ზოგიეთი ტრესტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესიც მოეწყო, რაც მსხვილი ფირმების სოლიდური დაჯარიმებით დამთავრდა. ზოგი ტრესტი ცალკეულ ფილიალებადაც კი იქნა დაშლილი. 1906წ. ასევე პრეზიდენტის ინიციატივით მიღებული იქნა ე.წ. ჰეპბერნის კანონი, რომელიც სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში მოქმედ მსხვილ ფირმებზე აწესებდა კონტროლს. ამ კანონის შესაბამისად შეიქმნა სრულიად ამერიკული კომისია, რომელმაც სარკინიგზო ტარიფების ნორმირება მოახდინა. სარკინიგზო კომპანიები ამ კომისიის გადაწყვეტილებებს უნდა დამორჩილებოდნენ. იმავე 1906წ. მიღებული კანონებით ხორცის საკონსერვო და საერთოდ კვების მრეწველობაში, აგრეთვე ფარმაცევტულ მრწველობაში მოქმედ ტრესტებზეც დაწესდა კონტროლი და შესაბამისად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებიც ფალსიფიცირებული და უხარისხო კვების პროდუქტების, აგრეთვე მედიკამენტების წარმოების გადაზიდვის და გაყიდვის აღსაკვეთად. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამტკიცების მიზნით პრეზიდენტმა რუზველტმა დიდი ყურადღება დაუთმო აშშ-ის ბუნებრივ სიმდიდრეთა მტაცებლური ექსპლუატაციისაგან დაცვის საკითხს. მიღებული იქნა გადაწყვეტილება დასავლეთის შტატებში მიწების ირიგაციის შესახებ. 36 შტატში შეიქმნა ტყეების მდინარების და წიაღისეულ საბადოთა დაცვის ადგილობრივი კომისიები. შეიქმნა ბუნებრივი სიმდიდრეთა დაცვის საერთო ეროვნული კომისიაც. ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწების დიდი ნაწილი (235 მლნ. აკრი) სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა და აიკრძალა მისი გაყიდვა.

უნდა ითქვას, რომ რუზველტი მუშათა მოძრაობის აღმავლობას სერიოზულ პრობლემად მიიჩნევდა და მისი თავიდან აცილების მიზნით აუცილებლად მუშათა ცხოვრების დონის

ამაღლებას თვლიდა. იგი ხშირად პირადად ერეოდა მეწარმეებსა და მუშებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარებაში. მისი უშუალო ჩარევით მუშათა არაერთი გაფიცვა იქნა თავიდან აცილებული.

1908 წელს ჩატარებულ მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ რესპუბლიკურმა პარტიამ გაიმარჯვა. ვინაიდან კონსტიტუცია კარძალავდა ერთი და იმავე პირის მესამე ვადით არჩევას პრეზიდენტის პოსტზე, რუზველტმა თავისი კანდიდატურა უკვე ვეღარ წამოაყენა. აშშ-ის პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკელთა კიდევ ერთი წარმომადგენელი უილამ ჰოვარდ ტაფტი, რომელიც 1909 წლიდან შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

ტაფტის ადმინისტრაციამ მთავარი ყურადღება საბაჟო ტარიფების საკითხს დაუთმო საშუალო და წვრილი ბურჟუაზია და ფერმერები არსებული მაღალი საბაჟო ტარიფების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. იმისათვის, რათა რესპუბლიკურ პარტიას არ დაეკარგა მომხრეები დასავლეთის შტატების აგრარულ რეგიონებში, ტაფტმა მხარი დაუჭირა სენატორ პეინის კანონპროექტს უცხურ იმპორტულ საქონელზე ბაჟის შემცირების შესახებ. მაგრამ ამ კანონპროექტს დაუპირისპირდა მსხვილი ბურჟუაზია და მათი წარმომადგენელი სენატორი ოლდრიჩი. ამიტომ კანონპროექტში რიგი შესწორებები შეიტანეს. საბოლოოდ ტაფტმა 1909წ. აგვისტოში ამ შესწორებულ კანონს მოაწერა ხელი (პეინ-ოლდრიჩის კანონი), რომლის მიხედვითაც საბაჟო ტარიფები 42%-იდან 29%-მდე შემცირდა მხოლოდ ზოგიეთი სახის იმპორტულ პროდუქციაზე (ფოლადის ნაკეთობანი, რკინის მადანი, ქვანახშირი ე.ი. ისეთი საქონელი რომელსაც ამერიკულ პროდუქციასთან კონკურენცია არ შეეძლო), ხოლო ისეთ იმპორტულ პროდუქციაზე, როგორიც იყო შაქარი, ბეწვეული, ბამბის ქსოვილები, ბაჟები არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. ამან ფერმერების, მუშების და წვრილი ბურჟუაზიის

უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე დროს ტაფტს იმანაც გაუტეხა სახელი, რომ მისი მთავრობის წევრი შინაგან საქმეთა მინისტრი ბალინჯერი გარეული აღმოჩნდა სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადებული მიწის ნკვეთების ვაჭრობაში. როგორც სპეციალურად შექმნილმა საგამოძიებო კომისიამ დაადასტურა, ბალინჯერმა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ეს ნაკვეთები რომელთა ღირებულება მილიარდობით დოლარი იყო ჩალის ფასად მიყიდა მსხვილ ფირმებს. ბალნჯერი იძულებული გახდა თავისი პოსტი დაეტოვებინა.

ტაფტის წინააღმდეგ სენატორ ლაფოლეტის და ყოფილი პრეზიდენტის რუზველტის ხელმძღვანელობით თვით რესპუბლიკურ პარტიაშიც ჩამოყალიბდა ოპოზიციური დაჯგუფება. შიგაპარტიული განხეთქილება იმდენად გაღრმავდა, რომ 1912წ. არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტის პოსტზე ორი კანდიდატურა წარადგინა: ტაფტი და რუზველტი. ამან კი საბოლოოდ რესპუბლიკელთა დამარცხება განაპირობა. გამარჯვებულ დემოკრატთა კანდიდატმა ვუდრო ვილსონმა 6,3 მლნ. ხმა მიიღო (რუზველტმა მიიღო 4 მლნ. ხმა, ხოლო ტაფტმა— 3,5 მლნ.) და 1913 წლიდან პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.

თავიანთი წინა საარჩევნო დაპირების თანახმად ხელისუფლების სათავეში მოსულმა დემოკრატებმა უპირველეს ყოვლისა საბაჟო ტარიფების საკითხს მიაქციეს ყურადგება. 1913 წ. მიღებული იქნა ე.წ. ანდერვუდის კანონი, რომელიც პეინ-ოლდრიჩის კანონით დადგენილთან შედარებით იმპორტულ საქონელზე ბაჟებს კიდევ 10% ამცირებდა, ხოლო ზოგიერთი იმპორტულ სასურსათო პროდუქტზე საბაჟო გადასახადები საერთოდ მოიხსნა.

საბაჟო ტარიფების შემცირების გამო სახელმწიფო შემოსავლის შეკვეცის თავიდან ასაცილებლად შემოღებული იქნა პროგრესული საშემოსავლო გადასახადი. ინდივიდუალურ წლიურ შემოსავალზე, რომელიც 3 ათას დოლარს აჭარბებდა ან ოჯახის

წლიურ შემოსავალზე, რომელიც 4 ათ. დოლარზე მეტი იყო წესდებოდა სახელმწიფო გადასახადი ამ შემოსავლის 1% ოდენობით. იმ წლიურ შემოსავალზე კი რომელიც 20 ათ. დოლარს აჭარბებდა სახელმწიფო გადასახადის განაკვეთი ზემოთაღნიშნული 1%-იდან თანდათან მატულობდა და მაქსიმუმს__6% აღწევდა ისეთ შემოსავალზე, რომლის ოდენობა წელიწადში 500 ათ. დოლარს აჭარბებდა.

1913 წელს გატარებული იქნა დიდად მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც სახელმწიფო ფინანსური სისტემის ცენტრალიზაციისაკენ იყო მიმართული: შეიქმნა ე.წ. ფედერალურ სარეზერვო ბანკთა სისტემა, რომლის მიხედვითაც მთელი ქვეყანა 12 რეგიონად დაიყო. თითოეულ რეგიონს ქონდა საკუთარი სარეზერვო ბანკი, რომელიც ამ რეგიონში შემავალ ყველა სხვა ბანკს უნდა დახმარებოდა სახელმწიფო სახსრებით ეკონომიკური კრიზისების დროს. ეს რეფორმა განსაკუთრებით ეფექტური ამერიკული ბანკებისათვის პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აღმოჩნდა.

1914წ. მიღებული იქნა ე.წ. კლეიტონის ანტიტრესტული კანონი, რომლის მიხედვითაც მსხვილი ფირმების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლი ძლიერდებოდა. შეიცვალა სენატორთა არჩევის წესი. თუ ადრე სენატორებს ირჩევდნენ ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოები, ახლა მათ შტატის მოსახლეობა პირდაპირი არჩევნებით ირჩევდა.

საშინაო-პოლიტიკური საკითხების გარდა ვილსონის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა საგარეო პოლიტიკას და მთელი ძალებით ცდილობდა საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-ის პოზიციების განმტკიცებას. სწორედ ამიტომ მას შემდეგ, რაც დემოკრატიულმა პარტიამ 1916 წ. არჩევნებში კვლავ გაიმარჯვა და პრეზიდენტი კვლავ ვილსონი გახდა, აშშ-მ 1917 წ. გერმანიას ომი გამოუცხადა და ამგვარად პირველ მსოფლიო ომში აღმოჩნდა ჩაბმული.

1900-1914წ.წ. მუშათა მოძრაობა აშშ-ის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. მუშათა ხელფასის ზრდის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ნელი ტემპი, შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დაბალი დონე, 8 სათიანი სამუშაო დღის კანონის გაუვრცელებლობა ყველა შტატზე, მეწარმეთა მხრიდან ქალების და ბავშვების შრომის პირობების კანონის დარღვევები და პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, აშშ-ში მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობეს იწვევდნენ.

მუშათა მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს კვლავ ჯერ კიდევ 1881 წ. სემიუელ გომპრესის მიერ შექმნილი დიდი პროპკავშირული გაერთიანება შრომის ,,ამერიკული ფედერაცია“ თამაშობდა, რომელიც მუშებს მხოლოდ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. გარკვეულ გავლენას მუშათა მოძრაობაზე ამერიკელი სოციალისტებიც ახდენდნენ, რომლებიც ორ პოლიტიკურ ძალაში იყვნენ გაერთიანებულნი: ეს იყო ჯერ კიდევ 1876 წ. შექმნილი ,,ამერიკის მუშათა სოციალისტური პარტია“ (დე ლეონის ხელმძღვანელობით) და 1901 წ. დაარსებული ,,სოციალისტური პარტია“ (დებსის, ჰილკვიტის, ბერგერის და ჰეივუდის მეთაურობით). ეს პარტიები ძირითადად რეფორმისტული სოციალიზმის პოზიციაზე იდგნენ და ,,შრომის ამერიკული ფედერაციისაგან“ განსხვავებით მუშებს პოლიტიკური ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. სოციალისტები თვლიდნენ, რომ მუშათა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი საპარლამენტო არჩევნებში მათი აქტიური მონაწილეობა და სოციალისტების მხარდაჭერა იყო.

<u>საგარეო პოლიტიკა</u>. XIX ს. ბოლოს აშშ-ის მმართველი წრეების ყურადღებას კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულები კუბა და პუერტო-რიკო, აგრეთვე წყნარ ოკეანეში მდებარე ფილიპინების არქიპელაგი იპყრობდა. ამ კუნძულებს აშშ-სათვის სტრატეგიული

მნიშვნლობაც ქონდა. მათი ხელში ჩაგდებით აშშ მოიპოვებდა მოხერხებულ საზღვაო ბაზებს კარიბის ზღვასა და წყნარ ოკეანეში, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო გააფართოებდა ექსპანსიას ლათინურ ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში.

აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ კუბელი და ფილიპინელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ და პრესაში გაჩაღდა ანტიესპანური კამპანია, რომელიც ესპანელ კოლონიზატორთა მიერ კუბაში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ჩადენილ სისასტიკეს ამხელდა. აშშ-ის მთავრობამ არაერთხელ გაუგზავნა საპროტესტო ნოტები ესპანეთის ხელისუფლებას. ბოლოს 1898წ. დასაწყისში კუბის მთავარ ნავსადგურ ჰავანაში შევიდა ამერიკული კრეისერი „მეინი“, რითაც აშშ ესპანეთის დაშინებას შეეცადა. 1898 წ. 15 თებერვალს ღამით მოულოდნელად ჰავანაში რეიდზე მდგომი კრეისერი აფეთქდა და ჩაიძირა. დაიღუპა ეკიპაჟის 260 წევრი. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა აფეთქების მიზეზი, აშშ-ის თავრობამ ამაში მაინც ესპანეთს დადო ბრალი და 25 აპრილს მას ომი გამოუცხადა.

ომი დაახლოებით 3 წელს გაგრძელდა. ეკონომკურად ჩამორჩენილმა მონარქიულმა ესპანეთმა ვერ შეძლო აშშ-სათვის სერიოზული სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა. აშშ-ის ფლოტმა მოახდინა კუბის ბლოკირება ხოლო კუნძულზე გადასხმულმა სახმელეთო ჯარებმა კუბელ პარტიზანებთან ერთობრლივი მოქმედებით დაიკავეს ჰავანა და სანტიაგო.

ასევე წარმატებით მოქმედებდნენ აშშ-ის ჯარები ფილიპინებშიც. აქ აშშ-ის ფლოტმა მანილას ყურეში მდგომი ესპანეთის ფლოტი გაანადგურა, ხოლო სახმელეთო ჯარებმა არქიპელაგის მთავარი ქალაქი მანილა დაიკავეს. ბოლოს ესპანეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. 1898წ. 10 დეკემბრის პარიზის საზავო ხელშეკრულებით აშშ-მ ესპანეთისაგან 20 000 დოლარად

მიიღო მთელი ფილიპინების არქიპელაგი, მარიანის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული გუამი და კუნძული პუერტო რიკო. რაც შეეხება კუბას, იგი ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, რელურად კი აშშ-ის გავლენის ქვეშ მოექცა. აქ აშშ-ის ჯარები განლაგდნენ. კუბაში მიღებული იქნა კონსტიტუცია, რომელიც აშშ-ს „ქვეყნის დამოკიდებულების დაცვის საბაბით“ კუნძულზე ინტერვენციის და სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობის უფლებას ანიჭებდა. აშშ კუბის საგარეო პოლიტიკასაც უწევდა კონტროლს.

აშშ-ესპანეთის ომის დამთავრების შემდეგ ფილიპინების მოსხლეობამ ესპანეთის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ომის ლიდერის ემილიო აგინალდოს მეთაურობით დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ აშშ-ის მმართველმა წრეებმა სამწლიანი კოლონიური ომის შემდეგ ეს დამოუკიდებლობა სისხლში ჩაახშვეს და ფილიპინები საბოლოოდ საკუთარ კოლონიად აქციეს.

კუბის ხელში ჩაგდების შემდეგ აშშ-ის თავრობამ ყურადღება უკვე პანამის არხის ზონაზე გადაიტანა. ამ ზონის დაპატრონება და არხის მშენებლობის დამთავრება. აშშ-ს თავისი ფლოტის ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში სწრაფად გადასროლის საშუალებას მიცემდა. 1901წ. დადებული შეთანხმებით აშშ-მ აიძულა ინგლისი პანამის არხის ზონა აშშ-ის ინტერესების სფეროდ ეცნო. ამის შემდეგ აშშ-ის მთავრობამ ფრანგული ფირმისაგან არხის მშენებლობის უფლება 40 000 დოლარად შეისყიდა. ამასთან ერთად 1903წ. აშშ-მ ხელშეკრულება დადო კოლუმბიის რესპუბლიკასთან (რომელსაც არხის ზონა ტერიტორიულად ეკუთვნოდა) და მისგან არხის გაყვანის უფლება მიიღო. მაგრამ კოლუმბიის სენატმა ეს შეთანხმება უარყო. მაშინ აშშ-ის მთავრობამ არხის ზონაში სეპარატისტული მოძრაობის ორგანიზება მოახდინა და მას ფულით და იარაღით დახმარება გაუწია. 1903წ. ნოემბერში პანამელმა სეპარატისტებმა კოლუმბიის

წინააღმდეგ ამბოხებამ მოაწყვეს და პანამის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. აშშ-მ დაუყოვნებლივ ცნო ახალგამომცხვარი რესპუბლიკა და მის დასახმარებლად კრეისერი გაგზავნა, რომელმაც ამბოხების ჩასახშობად გაგზავნილ კოლუმბიის ჯარს გზა გადაუღობა. ახლადშექმნილმა პანამის რესპუბლიკის მთავრობამ აშშ-ის აგენტის პრეზიდენტ ამადორ ჰერეროს მეთაურობით აშშ-ს მიანიჭა არხის გაყვანის, აგრეთვე მის გასწვრივ რკინიგზისა და სამხედრო სიმაგრეების მშენებლობის განსაკუთრებული უფლება. აშშ დაუყოვნებლივ შეუდგა არხის მშენებლობას, რაც 1914 წლისათვის იქნა დასრულებული.

პანამის არხის ზონის ხელში დაპატრონების შემდეგ აშშ-ის კაპიტალის შეჭრა ლათინურ ამერიკაში კიდევ უფრო დაჩქარდა. მაგ. თუ 1899წ. აშშ-ის კაპიტალდაბანდებანი ლათინურ ამერიკაში 290 მლნ. დოლარს შეადენდა, 1914 წლისათვის ეს მაჩვენებელი უკვე 1,2 მლრდ. დოლარს გაუტოლდა. აშშ-მ თავის ეკონომიკური და შესაბამისად პოლიტიკურ გავლენა განამტკიცა ისეთ ქვეყნებში, როგორებიც იყვნენ: მექსიკა, ჰაიტი, დომინიკანელთა რესპუბლიკა, კოსტა-რიკა, სალვადორი, გუატემალა, ნიკარაგუა ჰონდურასი და სხვ. ეს ქვეყნები ფაქტობრივად აშშ-ის ნახევარკოლონიებად იქცნენ. აშშ ხშირად ერეოდა მათ საშინაო საქმეებში და მხარს უჭერდა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ამ ქვეყნებში აშშ-ის კაპიტალის პოზიციებს დაიცავდენ. ამის ნათელი მაგალითია მექსიკა სადაც XX ს. დამდეგს ამერიკული კაპიტალი დიდი რაოდენობით იყო ინვესტირებული (რკინიგზები, მომპოვებელი მრეწველობა, განსაკუთრებით კი ნავთობის მოპოვება). თავდაპირველად აშშ-ის თავრობა მექსიკის დიქტატორს პორფირიო დიასს უჭერდა მხარს. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ დიასი უფრო ინგლისური კაპიტალის სასარგებლოდ მოქმედებდა, ამერიკელებმა დიასის წინააღმდეგ მექსიკაში დაწყებულ რევოლუციას დაუჭირეს მხარი.

რევოლუციის შედეგად დიასის რეჟიმი დაემხო. ხელისუფლების სათავეში მოსული პრეზიდენტ მადეროს ახალი მთავრობა მართალია ანგარიშს უწევდა ამერიკული ფირმების ინტერესებს მაგრამ ამავე დროს იგი შეეცადა უფრო მეტად გაეთვალისწინებინა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებიც. ეს კი ამერიკული კაპიტალის მესვეურებმა უკვე სახიფათოდ მიიჩნიეს. 1913წ. აშშ-ის ხელშეწყობით პრეზიდენტ მადეროს წინააღმდეგ გენერალ უერტეს ხელმძღვანელობით ამბოხება მოეწყო. მადეროს მთავრობა დაემხო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოსული გენერალი უერტე მალე მაინც ინგლისელთა გავლენაში მოექცა. აშშ-ც კვლავ აქტიურად ამოქმედდა. მისი ხელშეწყობით უერტეს ოპოზიციური ძალები აუჯანყდნენ ამასთან ერთად მექსიკაში აშშ-ის ჯარიც გადასხდა და პორტი ვერაკრუსი დაიკავა. საბოლოოდ უერტე იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. 1914წ. მექსიკას სათავეში პრეზიდენტი კარანსა ჩაუდგა, რომელიც აშშ-ის მმართველი წრეების ნდობას იმსახურებდა

პარალელურად, აშშ ჩაერთო ჩინეთში მიმდინარე პროცესებში. ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი ამერიკული კაპიტალის ყურადღებას ჯერ კიდევ XIX ს. 90-იანი წლებიდან იქცევდა, მაგრამ ამ ქვეყანაში შეღწევა იოლ საქმეს არ წარმოადგენდა, რადგან იგი უკვე სხვა წამყვან სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროებად იყო განაწილებული. აშშ-ის მართველმა წრეებმა ჩინეთში მშვიდობიანი შეღწევა დაისახეს მიზნად. სწორედ ამ მიზანს ემსხურებოდა აშშ-ის სახლწიფო მდივნის ჰეის მიერ შემუშავებული ე.წ. ,,ღია კარის“ და ,,თანაბარ შესაძლებლობათა“ დოქტრინა. ეს დოქტრინა, რომელიც ნოტის სახით ინგლისის, საფრანგეთის გერმანიის, იტალიის რუსეთისა და იაპონიის მთავრობებს დაეგზავნა, ცნობდა აღნიშნულ სახელმწიფოთა გავლენის სფეროებს ჩინეთში, მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვდა ამ ქვეყნის შიგა ბაზრისა და ნავსადგურების გახსნას თავისუფალი ვაჭრობისათვის. აშშ-ის ბურჟუაზიას იმედი

ქონდა, რომ ასეთ შემთხვევაში მძლავრი ამერიკული სამრეწველო, ფინანსური და სავაჭრო კაპიტალი მშვიდობიან კონკურენციულ ბრძოლაში ძლევდა და ჩინეთიდან გამოეძევებდა სხვა ქვეყნების კაპიტალს.

ჩინეთში შესაღწევად აშშ-მ აქ 1897-1900 წლებშ მიმდინარე „იხეტუანის“ ანუ ბოქსიორთა მძლავრი ანტისამთავრობო აჯანყებით ისარგებლა და ამ აჯანყების ჩახშობის საბაბით ამ ქვეყანაში ჯარები გადასხა. იაპონიის მეშვეობით აშშ ასევე შეეცადა მტკიცედ მოეკიდა ფეხი ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში__მანჯურიაში. სწორედ ამიტომ ინგლისთან ერთად აშშ-მ იპონიას რუსეთის წინააღმდეგ ომის მომზადებისათვის გარკვეული ფინანსური დახმარება გაუწია. მაგრამ საბოლოოდ აშშ-ის მთავრობის იმედები არ გამართლდა: მას შემდეგ, რაც 1904-1905 წლების ომში რუსეთზე გამარჯვების შედეგად იაპონიამ მანჯურია ხელთ იგდო, ჩინეთის ეს რეგიონი ამერიკული და ინგლისური კაპიტალისათვის ჩაკეტილი აღმოჩნდა. მანჯურიაში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ აშშ ცენტრალურ ჩინეთში შეღწევას შეეცადა: მას შემდეგ, რაც 1909 წ. ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებმა ჩინეთის მთავრობასთან მისთვის სესხის მიწოდების თაობაზე შეთანხმება დადეს, და ამის სანაცვლოდ ჩინეთის მთავრობამ ამ ქვეყნებს კანტონ-ხანკოუ-სიჩუანის რკინიგზის მშენებლობის კონცესია მისცა, აშშ-ის მთავრობამ მოითხოვა, რომ აღნიშნული სესხის გაცემაში აშშ-ის ბანკებსაც მიიღოთ მონაწილეობა. აშშ-ის დიპლომატური ზეწოლის შედეგად ევროპის ქვეყნები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და ამ ფინანსურ ოპერაციაში აშშ-ის ბანკებიც დაეშვათ. მაგრამ მიუხედავად ამ წარმატებისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1900-1914 წ.წ. საერთოდ აშშ-მ მაინც ვერ შეძლო ჩინეთის ბაზარზე მონოპოლიურად დამკვიდრება.

ჩინეთის გარდა ამერიკული კაპიტალი ცდილობდა კორეაშიც შეეღწია და გარკვეულწილად შეძლო კიდევაც იქ ფეხის

მოკიდება. მაგ. პირველი მსოფლიო ომის წინ ამერიკული ფირმა „ნიუ-იორკ სტანდარტ ოილი“ თითქმის მთლიანად აკონტროლებდა კორეაში ნავთობის მოპოვებას, ხოლო ამ ქვეყანაში მოპოვებული ოქროს თითქმის 80% ასევე ამერიკულ ფირმებზე მოდიოდა. მაგრამ ამ ქვეყანაშიც ამერიკული კაპიტალის საქმიანობას იაპონია ზღუდავდა, რომელმაც 1905 წ. კორეაზე თავისი პროტექტორატი გამოაცხადა, ხოლო 1910 წ. კორეის ნახევარკუნძულის სრული ანექსიაც მოახდინა.

შეჯამების სახით ვიტყვით, რომ დიდი აქტიურო ბის მიუხედავად, პირველ მსოფლიო ომამდე აშშ-მ ვერ შესზლო ლათინური ამერიკის სამხრეთ ნაწილში დომინირებული პოზიციის დაკავება. ტრადიციული ქვეყნები (პერუ, ჩილე, ვენესუელა, ეკუადორი, ბოლივია, ურუგვაი, პარაგვაი, არგენტინა და ბრაზილია) კვლავ ევროპული სახელმწიფოების კონტროლ ქვეშ დარჩნენ. მონროს დოქტრინა აშშ სტიმულს აძლევდა, რომ კიდევ უფრო აქტიურად ჩართული ყო სამ. ამერიკის ცხოვრებაში.

ლექცია XII
საფრანგეთი XIX-XX ს-ის მიჯნაზე (2 სთ.)

1. საფრანგეთი 1871-1900 წწ.

<u>ეკონომიკური განვითარება</u>. პრუსიასთან ომში მარცხმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საფრანგეთის ეკონომიკას. ოკუპირებული დეპარტამენტებიდან გერმანელებმა გაზიდეს სხვადასხვა ფასეულობანი და ფაბრიკა ქარხნების ტექნიკური აღჭურვილობა. საერთო ჯამში გერმანიისადმი გადახდილი 5 მილიარდი ფრანკის (კონტრიბუციის სახით) და საოკუპაციო ხარების შენახვის ხარჯის ჩათვლით, საფრანგეთს გერმანიასთან ომი იმ დროისათვის გიგანტური თანხა - 15 მილიარდი ფრანკი დაუჯდა. გარდა ამისა ზავის პირობების შესაბამისად გერმანიის ხელში გადავიდა რკინის და ნაწილობრივ ქვანახშირის საბადოებით მდიდარი ელზასისა და ლორენის ოლქები (საერთო ფართობი 145 ათ კმ², მოსახლეობა 1,5 მლნ. კაცი). ამ ტერიტორიების გერმანიის ხელში გადასვლა ნიშნავდა იმას, რომ საფრანგეთმა დაკარგა არა მარტო რკინისა და ქვანახშირის მდიდარი საბადოები, არამედ 674 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა, 32 ათასი ჰექტარი ვენახი, 443 ათასი ჰექტარი ტყის მასივი. ომის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა პარიზის მრეწველობაც. ომის მძიმე შედეგები ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო იმისა, რომ XIX ს-ის ბოლო მესამედში ეკონომიკის საერთო განვითარებით, განსაკუთრებით სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით და მრეწველობის ცალკეული დარგების ზრდის ტემპებით საფრანგეთი გარკვეულწილად ჩამორჩა სხვა მოწინავე ქვეყნებს. მაგალითად თუ XIX ს. 70-იან წლებამდე საფრანგეთს ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილი ეკავა (ინგლისის შემდეგ), საუკუნის ბოლოს მან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა (აშშ-ის, ინგლისისა და გერმანიის შემდეგ).

საფრანგეთის ეკონომიკის განვითარების ტემპის შედარებით შენელებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. კერძოდ, ქვეყანას არ ყოფნიდა საკუთარი ქვანახშირის რესურსები, ხოლო არსებული რკინა მადნის მარაგი დაბალი ხარისხის იყო (მადანში ფოსფორის მაღალი პროცენტული შემცველობის გამო). ამიტომ საფრანგეთი იძულებული იყო აღნიშნული ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოეტანა, რაც უარყოფითად მოქმედებდა მძიმე მრეწველობის განვითარებაზე. ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლიდა საშინაო ბაზრის შეზღუდულობაც. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (60%) სოფლად ცხოვრობდა აქედან უმრავლესობას შეადგენდა წვრილი პარცელარული მეურნეობის მფლობელი გლეხობა, რომლის მსყიდველობითი უნარი მეტად დაბალი იყო. ეკონომიკის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორი იყო ისიც, რომ მაღალ მოგებას გამოდევნებული საფრანგეთის ბურჟუაზია ამჯობინებდა ფინანსური კაპიტალი დიდი რაოდენობით გაეტანა საზღვარგარეთ, რის გამოც ეს კაპიტალი ნაკლებად ხმარდებოდა სამრეწველო საწარმოების გადაიარაღებას და მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

მიუხედავად ღნიშნული სიძნელეებისა საფრანგეთის ეკონომიკა მაინც საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. 1873 წლიდან, როცა საკონტრიბუციო თანხის გადახდის შემდეგ გერმანის ჯარებმა საფრანგეთი დატოვეს, დაიწყო ეკონომიკის ახალი აღმავლობა. განსაკუთრებით დაჩქარდა მძიმე მრეწველობის განვითარება, გაიზარდა თუჯის, რკინისა და ფოლადის გამოდნობა. იზრდებოდა მანქანათმშენებლობის და ლითონგადამამუშავებელი მრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობაც. ორთქლის მანქანათა რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო მათი სიმძლავრე 6-ჯერ. სწრაფად ვითარდებოდა სარკინიგზო მშენებლობაც. თუ 70-იანი წლების დასაწყისში სარკინიგზო ქსელის საერთო სიგრძე 18 ათას კმ-ს

აღწევდა, 1901 წლისათვის მან (მიუხედავად ელზას-ლორენის რკინიგზის დაკარგვისა) 43 ათ. კმ-ს მიაღწია. ამ მაჩვენებლით საფრანგეთმა გაუსწრო ინგლისსაც და გერმანიასაც.

გრძელდებოდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. მეტალურგიულ მრეწველობაში კვლავ დიდ როლს თამაშობდნენ ისეთი გიგანტური ფირმები, რომორებიც იყვნენ ,,შნეიდერ-კრეზო“ და ,,კომიტე დე ფორჟი“. 1872 წელს შეიქმნა კიდევ ერთი გიგანტი კომპანია ,,სან გობენი“, რომელმაც 30-ზე მეტი ქიმიური ქარხანა გააერთიანა. 1876 წელს ჩამოყალიბდა მსხვილი მეტალურგიული ფირმა ,,კონტუარ დე ლონგვი“. მიუხედავად მძიმე მრეწველობის განვითარებისა საფრანგეთის მრეწველობაში მაინც წამყვან როლს მსუბუქი მრეწველობა ინარჩუნებდა, რომელიც ამზადებდა ქსოვილებს, ტანსაცმელს ფეხსაცმელს და ფუფუნების საგნებს. განსაკუთრებით განთქმული იყო ე.წ. ,,პარიზული ნაწარმი“, რომელზეც უდიდესი მოთხოვნილება იყო მსოფლიო ბაზარზე. თუმცა საფრანგეთის მსუბუქი მრეწველობისთვის დამახასიათებელი იყო წვრილ და საშუალო საწარმოთა სიმრავლე, რომლებშიც თითოეული 10-დან 50-მდე მუშა იყო დასაქმებული.

მრეწველობის კონცენტრაციასთან ერთად მიმდინარეობდა ფინანსური კაპიტალის კონცენტრაციაც. 90-იან წლებში ქვეყანაში არსებული ფინანსების უდიდესი ნაწილი თავმოყრილი იყო ოთხ უმსხვილეს ბანკში („ლიონის კრედიტი“, ,,ეროვნული საღრიცხვო კანტორა“, ,,გენერალური საზოგადოება“ და ,,პარიზ-ნიდერლანდის ბანკი“). საფრანგეთის ბანკებში თავმოყრილი უზარმაზარი ფულადი სახსრები დიდი რაოდენობით გადიოდა საზღვარგარეთ. XIX ს-ის უკანასკნელ მესამედში ფრანგული კაპიტალის ექსპორტი საზღვარგარეთ 12 მილიარდი ფრანკიდან 30 მილიარდ ფრანკამდე გაიზარდა. ფრანგული კაპიტალი ძირითადად გადიოდა ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში, ავსტრია-უნგრეთში, თურქეთში, რუსეთსა და ნაწილობრივ საფრანგეთის კოლონიებში.

მრეწველობის განვითარების მიუხედავად საფრანგეთის ეკონომიკაში ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობდა სოფლის მეურნეობა. საფრანგეთი ისევ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად რჩებოდა. მიწების 75% თავმოყრილი იყო მსხვილი ფერმერული მეურნეოის ხელში. 20% - ეკუთვნოდათ საშუალო ფერმერულ მეურნეობებს, ხოლო 5% - წვრილ გლეხურ პარცელარულ მეურნეობებს. XIX ს-ის ბოლო მესამედში რამდენადმე გაიზარდა მარცვლეული კულტურების და მევენახეობის მოსავლიანობა, ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. გაიზარდა ტექნიკის და აგროტექნიკური მეთოდების დანერგვის დონე, მაგრამ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქტიულობის დონით საფრანგეთი რამდენადმე ჩამორჩებოდა აშშ-ს, გერმანიასა და ინგლისს.

<u>საშინაო ვითარება</u>. 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლუციის შედეგად საფრანგეთში ფაქტიურად რესპუბლიკური რეჟიმი იყო დამყარებული, მაგრამ მონარქისტები, რომლებიც 1871 წლის ოკუპაციის პირობებში ნაჩქარევად ჩატარებული არჩევნების შედეგად შექმნილ პარლამენტში (ეროვნულ კრებაში) უმრავლესობას შეადგენდნენ, არსებულ რესპუბლიკურ რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ და მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდნენ. თუმცა ამ მიზნის განხორციელებაში მონარქისტებს ხელს უშლიდა წინააღმდეგობა თვით მათ ბანაკში. ტახტის პრეტენდენტის საკითხში ერთმანეთს უპირისპირდებოდა სამი მონარქისტული დაჯგუფება: ლეგიტიმისტები (ბურბონთა დინასტიის მონარქები), ორლეანისტები და ბონაპარტები. მაგრამ მთავარი მიზეზი, რაც მონარქიის აღდგენას ხელს უშლიდა (როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო) იყო ის, რომ საფრანგეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენები (გლეხობა, ბურჟუაზია, ინტელიგენცია, მუშები) ძირითადად რესპუბლიკურ რეჟიმს უჭერდნენ მხარს. ეს გაამოწვეული იყო იმით, რომ პრუსიასთან ომში მარცხმა მონარქიას, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმას, საფრანგეთის საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის

თვალში საბოლოოს გაუტეხა სახელი. ამ ვითარებას საღად აფასებდა ორლეანისტი ტიერი, რომელიც 1871 წ. აგვისტოში ეროვნული კრების მიერ საფრანგეთის პრეზიდენტად იქნა დანიშნული. მიუხედავად თავისი მონარქისტული მრწამსისა ტიერი სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ მონარქიის აღდგენა საფრანგეთში ,,პრაქტიკულად შეუძლებელი იყო“ და რომ ამის მცდელობას ქვეყანაში შეიძლებოდა ახალი სამოქალაქო ომი მოჰყოლოდა. პრეზიდენტ ტიერის ასეთი პოზიცია არ მოსწონდა ეროვნული კრების მონარქისტულ უმრავლესობას. სწორედ ეს გახდა პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის კონფლიქტის მიზეზი. 1873 წ. მაისში ეროვნულმა კრებამ ხმების უმრავლესობით ტიერს უნდობლობა გამოუცხადა. ტიერი იძულებული იყო გადამდგარიყო. პრეზიდენტად დაინიშნა მონარქისტებისადმი სიმპათიით განწყობილი მარშალი მაკ მაონი. მონარქისტები იმედოვნებდნენ, რომ მაკ მაონი სწორედ ის პიროვნება იყო რომელიც (გენერალ მონკის მსგავსად) საფრანგეთში მონარქიის რესტავრაციას შეუწყობდა ხელს. მონარქისტების იმედებს ისიც ამძაფრებდა რომ მათმა ორმა დაჯგუფებამ ლეგიტიმისტებმა და ორლეანისტებმა ურთიერთშორის შეთანხმებას მიაღწიეს. ამ შეთანხმების მიხედვით საფრანგეთში მონარქისტული გადატრიალების შემდეგ უნდა გამეფებულიყო ლეგიტიმისტების კანდიდატი - შარლ X ბურბონის შვილიშვილი, უშვილო ფრანგი შამბორი, ხოლო ორლეანისტების კანდიდატი - ლუი ფილია ორლეანელის შვილიშვილი, პარიზის გრაფი ტახტის მემკვიდრედ უნდა გამოცხადებულიყო. 1873 წ. შემოდგომაზე თითქმის ყველაფერი მზად იყო მონარქისტული გადატრიალების განხორციელებისათვის. პრეზიდენტი მაკ მაონი თანახმა იყო მხარი დაეჭირა გრაფი შამბორის გამეფებისათვის, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მთელი ძალით გამომჟღავნდა საზოგადოების ანტიმონარქისტული განწყობილება. სექტემბერში პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში დაიწყო

რესპუბლიკელების მიერ ორგანიზებული ე.წ. ,,წინააღმდეგობის კომიტეტების“ შექმნა. რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერის ლეონ გამბეტას გაზეთი მოუწოდებდა მთელ მოსახლეობას წინ აღდგომოდნენ მონარქისტულ გადატრიალებას. სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა რესპუბლიკის მომხრეთა დემონსტრაციები. ასეთ ვითარებაში გრაფმა შამბორმა ვერ გაბედა სათავეში ჩადგომოდა გადატრიალებას. მონარქიის აღდგენის მცდელობა ჩაიშალა. მაგრამ მონარქისტები ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ. ამის დადასტურება იყო ის, რომ 1873 წ. ნოემბერში ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის ვადა 7 წლით განისაზღვრა. ამ ხნის მანძილზე პრეზიდენტის პოსტზე მაკ მაონის მონარქისტები იმედოვნებდნენ, რომ მონარქიის არდგენას საფრანგეტში მაინც განახორციელებდნენ.

1875 წელს ეროვნული კრება მიუხედავად მასში მონარქისტების სიჭარბისა, რეალური ვითარებიდან გამომდინარე იძულებული იყო მიეღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც რესპუბლიკურ რეჟიმს აკანონებდა. კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლება ენიჭებოდა ორპალატიან პარლამენტს (სახელწოდება ,,ეროვნული კრება“ შენარჩუნებულ იქნა). ზედა პალატას წარმოადგენდა სენატი. სენატორების დიდი ნაწილი 9 წლის ვადით ირჩეოდა. დაახლოებით ერთი მესამედი სამი წლის ვადით ირჩეოდა, ხოლო 75 სენატორს თვით პარლამენტი ნიშნავდა სიცოცხლის ბოლომდე. პარლამენტის ქვედა, დეპუტატთა პალატის არჩევნები ხდებოდა 4 წელიწადში ერთხელ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 21 წელს მიღწეულ მამაკაცებს. დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებული სხდომა (ე.ი. პარლამენტი) ნიშნავდა პრეზიდენტს 7 წლის ვადით, რომელიც ახორციელებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. პრეზიდენტი მეთაურობდა სახელმწიფოსა და არმიას. პრეზიდენტი ნიშნავდა მთავრობას (თუმცა მთავრობა

ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე). პრეზიდენტს უფლება ჰქონდა სენატის თანხმობით დაეთხოვა დეპუტატთა პალატა. ასევე პრეზიდენტს ეკუთვნოდა საკანონმდებლო ინიციატივა. ამგვარად მიუხედავად გარკვეული უფლებებისა საპრეზიდენტო ხელისუფლება საფრანგეთში სუსტი იყო, რადგან თითქმის მთლიანად პარლამენტზე იყო დამოკიდებული, რომელიც მას ნიშნავდა.

1876 წელს კონსტიტუციის შესაბამისად ჩატარდა ახალი პარლამენტის არჩევნები რომელშიც გაიმარჯვებას მიაღწიეს რესპუბლიკელებმა. დეპუტატთა პალატაში მათ მიიღეს 350-ზე მეტი ადგილი, ხოლო მონარქისტებმა სულ - 160 ადგილი. პრეზიდენტი მაკ მაონი იძულებული იყო პრემიერ მინისტრის პოსტზე დაენიშნა რესპუბლიკელი დიუ ფორი, რომელიც შემდეგ ასევე რესპუბლიკელმა სიმონმა შეცვალა. ამგვარად მონარქისტებმა დაკარგეს როგორც საპარლამენტო უმრავლესობა, ასევე მთავრობის მეთაურის პოსტიც. მათ ხელში რჩებოდა მხოლოდ სენატი და პრეზიდენტის პოსტი, რომელიც ჯერ კიდევ მაკ მაონს ეკავა. ასეთ ვითარებაში მონარქისტებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს. 1877 წლის მაისში ჟიულ სიმონის მთავრობამ მხარი დაუჭირა პარლამენტის რესპუბლიკური უმრავლესობის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას, რომელიც გმობდა ქვეყანაში რომის პაპის სასარგებლო პროპაგანდას, რადგან საფრანგეთს იტალიასთან ურთიერთობის გართულებით ემუქრებოდა. ამის გამო პრეზიდენტმა მაკ მაონმა ჟიულ სიმონის მთავრობა გადააყენა. პრემიერ მინისტრის პოსტზე პრეზიდენტის მიერ დანიშნული იქნა მონარქისტი ჰერცოგი დე ბროლი. პრეზიდენტის ასეთი მოქმედების საპასუხოდ ეროვნულმა კრებამ ახალ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. მაკ მაონმა სენატის მხარდაჭერთ ეროვნული კრების ქვედა დეპუტატთა პალატაც დაითხოვა და ახალი არჩევნები დაინიშნა. მაგრამ ამ არჩევნებშიც კვლავ რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს და დეპუტატთა პალატაში ისევ უმრავლესობაში

აღმოჩდნენ. დე ბროლის მთავრობა გადადგა. მაკ მაონი ცდილობდა არმიაზე დაყრდნობით დიქტატურა დაემყარებინა მაგრამ ოფიცერთა უმრავლესობამ პრეზიდენტს მხარი არ დაუჭირა. 1878 წელს მთავრობის სათავეში კვლავ რესპუბლიკელი დიუფორი მოვიდა. 1879 წელს ჩატარებულ სენატის არჩევნებშიც რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს და სენატიც მათ ხელში გადავიდა. პარლამენტმა და მთავრობამ დაიწყეს სახელმწიფო მმართველობის აპარატის და არმიის წმენდა მონარქისტებისაგან. პროტესტის ნიშნად 1879 წ. 30 იანვარს მაკ მაონი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა. პარლამენტმა პრეზიდენტად დანიშნა რესპუბლიკელი ჟიულ გრევი. ამრიგად საფრანგეთის ხელისუფლებს უმაღლესი ორგანოები პარლამენტის ორივე პალატა, მთავრობის მეთაურის და პრეზიდენტის პოსტები რესპუბლიკელთა ხელში აღმოჩნდა. მონარქიის აღდგენის მცდელობა ქვეყანაში საბოლოოდ ჩაიშალა.

რესპუბლიკელების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ თვით მათ ბანაკშიც გამოიკვეთა ურთიერთდაპირისპირება. რესპუბლიკელთა ერთი ნაწილი (ე.წ. „ზომიერი რესპუბლიკელები“) ლეონ გამბეტას მეთაურობით თვლიდა, რომ ქვეყნის შიგნით ყოველგვარი რეფორმა უნდა გატარებულიყო ფრთხილად და მოზომილად, რათა მას არ მოჰყოლოდა მკვეთრი წინაარმდეგობა მონარქისტების მხრიდან, რასაც შეეძლო საფრანგეთში ახალი შინაგანი კონფლიქტის გამოწვევა. საგარეო პოლიტიკაში საფრანგეთის პოზიციების განმტკიცების საუკეთესო საშუალებად ზომიერ რესპუბლიკელებს მიაჩნდათ დიდი კოლონიური იმპერიის შექმნა და გერმანიის კონფლიქტის თავიდან აცილება. ამის საპირისპიროდ რესპუბლიკელთა მეორე ნაწილი (ე.წ. „რადიკალები“) ჟორჟ კლემანსოს მეთაურობით თვლიდა, რომ ქვეყნის შიგნით რესპუბლიკური რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან საჭირო იყო არა შეთანხმება, არამედ შეურიგებელი ბრძოლა და ამისათვის ძლიერი ხელისუფლების შექმნა. საგარეო პოლიტიკაში

რადიკალები მთავარ ამოცანად თვლიდნენ გერმანიაზე რევანშს და ელზას-ლორენის დაბრუნებას. აქედან გამომდინარე რადიკალების აზრით მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა ყოფილიყო არა კოლონიური იმპერიის შექმნაზე, არამედ ევროპაში გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეების შეძენაზე. XIX ს. 80-იანი წლების დასაწყისში რადიკალები რესპუბლიკელებს საბოლოოდ გამოეყვნენ და დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბეს.

ჟიულ გრევის პრეზიდენტად დანიშვის შემდეგ პირველი მთავრობა ჩამოაყალიბა რესპუბლიკელმა ანრი ვადინგტონმა (1979 წ. ტებერვალ-დეკემბერი). შემდეგ 1879-1880 წლებში პრემიერ მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა რესპუბლიკელი შარლ დე ფრესინე. გატარებულ იქნა რიგი რეფორმები. 14 ივლისი საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა, ხოლო „მარსელიეზა“ ეროვნულ ჰიმნად. კომუნის მონაწილეებს ამნისტია გამოუცხადეს. რელიგიურ ორგანიზაციებზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. პრემიერ მინისტრ ჟიულ ფერის დროს (1880წ. სექტემბერი - 1881წ. ოქტომბერი) მიღებულ იქნა კანონი საყოველთაო-სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების შესახებ (7-დან 13 წლამდე ბავშვებისათვის). 1881წ. საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. რესპუბლიკელებმა მონარქისტებზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მათ არჩევნებში 457 ადგილი მიიღეს, ხოლო მონარქისტებმა - 90. ამ არჩევნებში პირველად გამოვიდა დამოუკიდებლად რადიკალური პარტია, რომელმაც თავისი პროგრამა წამოაყენა. რადიკალები მოითხოვდნენ მთელი რესურსების მობილიზებას გერმანიის წინაარმდეგ ომისათვის. რადიკალურმა პარტიამ ამ პარლამენტში 46 ადგილი მიიღო.

1881წ. ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა რესპუბლიკელთა ლიდერმა ლეონ გამბეტამ, რომელმაც მალე პარლამენტს წარუდგინა

კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საპარლამენტო არჩევნების წესის ცვლილებებს. რიგი სენატორების სიცოცლის ბოლომდე დანიშვის წესის გაუქმებას. ამ კანონპროექტს ხმების უმრავლესობით მხარი არ დაუჭირეს. გამბეტა 1882წ. გადადგა და მალე გარდაიცვალა კიდეც. 1883წ. თებერვალში პრემიერ მინისტრის პოსტი ისევ ჟიულ ფერიმ დაიკავა, რომლის მთავრობამ რიგი რეფორმები გაატარა. გაუქმებულ იქნა სენატორთა სიცოცხლის ბოლომდე დანიშვის წესი. მიღებულ იქნა კანონი პროფკავშირების თავისუფლების შესახებ. შემოღებულ იქნა ქალაქების მერების არჩევითობა. 1885წ. მარტში ვიეტნამის ომში საფრანგეთის არმიის მიერ განცდილი წარუმატებლობის გამო ფერის მთავრობა გადადგა. იმავე წლის ოქტომბერში საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელმაც ცხადყო რომ ზოგიერთი რესპუბლიკელის ავტორიტეტი საზოგადოებაში მნიშვნელოვნად დაეცა. ეს უმეტესწილად გამოწვეული იყო 1882წ. საფრანგეთში დაწყებული ეკონომიკური კრიზისით, რომელმაც ბევრი საშუალო და წვრილი მეწარმის გაკოტრება გამოიწვია. არჩევნების შედეგად პარლამენტში რესპუბლიკელებმა უმრავლესობა დაკარგეს. ადგილები დაახლოებით თანაბრად განაწილდა რესპუბლიკელებს, რადიკალებსა და მონარქისტებს შორის. ახლად არჩეულმა პარლამენტმა პრეზიდენიტის პოსტზე ახალი 7 წლიანი ვადით კვლავ რესპუბლიკელი ჟიულ გრევი დანიშნა. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჯერ რესპუბლიკელი ფრესინე (1886წ. იანვარ-დეკემბერი), ხოლო შემდეგ - რადიკალი გობლე (1886წ. დეკემბერი-1887წ. მაისი). სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოცენდა საფრანგეთში ე.წ. ბულანჟისტური მოძრაობა. ეს მოძრაობა დაკავშირებული იყო გენერალ ბულანჟეს სახელთან, რომელსაც სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა ზემოთ აღნიშნულ მთავრობებში. ბულანჟემ, რომელსაც თავის საჯარო გამოსვლებში და პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვებში არმიის რეორგანიზაციის და

გერმანიასთან დაუყონებლივ ომის დაწყებას მოითხოვდა, დიდი პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში. საქმე იმაშია რომ თვით საფრანგეთის მოსახლეობის ყველა ფენაში მეტად ძლიერი იყო გერმანიისადმი რევანშისტული განწყობილება. თავდაპირველად ბულანჟეს მხარს უჭერდა რადიკალური პარტია, რადგან რადიკალებისთვისაც საგარეო ასპარეზზე მთავარი მიზანი გერმანიაზე რევანში იყო. ბულანჟეს ირგვლივ თავი მოიყარეს რესპუბლიკელების მმართველობით უკმაყოფილო ელემენტებმა. ბულანჟეს ავტორიტეტის ზრდას ხელი შეუწყო 1887წ. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობების მკვეთრმა გაუარესებამ და გერმანიის მხრიდან ომის მუქარამ. ბულანჟეს პოპულარობა გააძლიერა იმავე 1887წ. საფრანგეთში მომხდარმა პოლიტიკურმა სკანდალმაც. საქმე იმაშია, რომ პრეზიდენტ ჟიულ გრევის სიძე, პარლამენტის დეპუტატი დანიელ სილსონი მხილებულ იქნა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოთი - საპატიო ლეგიონის ორდერით ვაჭრობაში. პრეზიდენტი ჟ. გრევი იძულებული გახდა გადამდგარიყო. პრეზიდენტად დაინიშნა რესპუბლიკეკი სადი კარნო (1887–1894). რესპუბლიკელებმა, რომლებიც შიშობდნენ, რომ ბულანჟეს მოღვაწეობა გერმანიასთან ომს გამოიწვევდა, გენერალი სამხედრო მინისტრობიდან გადააყენეს და ქ. კლერმონ ფერანში კორპუსის მეთაურად დანიშნეს. მალე იგი ამ თანამდებობასაც ჩამოაშორეს, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაზარდა „შერისხული გენერლის“ ავტორიტეტი. 1888 წლისათვის ბულანჟისტური მოძრაობა უკვე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ამ მოძრაობას ჰქონდა საკუთარი პრესა, ჰყავდა მომხრეები პარლამენტსა და არმიაში. ბულანჟეს გამოყენება სცადეს მონარქისტულმა პარტიებმა, კერძოდ ორლეანისტებმა და ბონაპარტისტებმა. ისინი იმედოვნებდნენ რომ გენერლის დახმარებით მონარქიას აღადგენდნენ და ამიტომაც მოძრაობას საიდუმლოდ აფინანსებდნენ. 1889 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს

ბულანჟე პარლამენტის წევრადაც კი აირჩიეს. ქვეყანაში მოსალოდნელი იყო სამხედრო დიქტატურის დამყარება საიდანაც ერთი ნაბიჯი იყო მონარქიის აღდგენამდე. რადიკალებისათვის ასეთი საფრთხე ცხადი გახდა, ამიტომაც ისინი ბულანჟეს წინააღმდეგ გამოვიდნენ. ასეთ ვითარებაში გენერალმა ვერ გაბედა გადატრიალების განხორციელება და მოსალოდნელი დამარცხების შიშით ბელგიაში გაიქცა. ბულანჟეს გაქცევამ და შემდეგ იმის გამომჟღავნებამ, რომ მას მონარქისტებთან ქონდა საიდუმლო კავშირი, მისი ავტორიტეტი მკვეთრად დასცა. მალე ბულანჟისტური მოძრაობა პოლიტიკური ასპარეზიდან საერთოდ გაქრა.

XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთის საზოგადოება შესძრა კიდევ ერთმა პოლიტიკურმა სკანდალმა, რომელიც დაკავშირებული იყო პანამის არხის მშენებლობასთან და რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საფრანგეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების და რიგი პოლიტიკური მოღვაწეების პრესტიჟს. ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში ფრანგული სააქციო კომპანია, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1869წ. სუეცის არხის გამყვანი ინჟინერი ფერდინანდ ლეპესი, პანამის არხის გაყვანას შეუდგა. თავდაპირველად ამ წამოწყების წარმატება ეჭვს არ იწვევდა, ამიტომ კომპანიამ უამრავი აქციონერი მიიზიდა. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ შესასრულებელი სამოშაოების მოცულობა ნავარაუდევზე გაცილებით მეტი იყო და არხის გაყვანა (რომლის დამთავრება 1888წ. იყო დაგეგმილი) დაჯდებოდა არა 600 მილიონი ფრანკი, არამედ 1 მილიარდ 70 მილიონი ფრანკი. საჭირო გახდა დამატებითი ფინანსური სახსრები. ხელისუფლების და პრესის მხარდაჭერის მოსაპოვებლად კომპანია ფართოდ იყენებდა მათ წარმომადგენელთა მოქრთამვას. 1888 წლისათვის კომპანიის სალაროებში აქციონერთა მიერ შეტანილმა თანხამ 1,4 მილიარდი ფრანკი შეადგინა, მაგრამ ამ თანხის მხოლოდ 50% იყო

დახარჯული უშუალოდ არხის მშენებლობაზე, რომლის მხოლოდ ერთი მესამედი იქნა გაყვანილი. თანხის დანარჩენი ნაწილი ქრთამებში დაიხარჯა ან კომპანიის ხელმძღვანელებმა მიითვისეს. ქრთამის მეშვეობით კომპანიამ (დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით) მთავრობისაგან ლატარიის გამოშვების ნებართვაც კი მიიღო, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. არხის მშენებლობის გაჭიანურების გამო საზოგადოებაში წარმოშვა ეჭვი, რომ კომპანიაში ყველაფერი წესრიგში არ იყო. ამიტომ ახალ აუქციონერთა მოზიდვა თითქმის შეუძლებელი გახადა. იმავე 1888 წ. კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. აუქციონერებმა დიდი თანხები დაკარგეს. საზოგადოების აღშფოთება იმდენად დიდი იყო რომ 1892-93 წლებში ეს საქმე მთავრობის სპეციალურმა კომისიამ გამოიძია და ზემოთ აღნიშნულ დარღვევებს ნათელი მოჰფინა. აღმოჩნდა რომ მექრთამეობაში გარეული იყო რიგი მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, სენატორები და გაზეთების რედაქტორები.

1893 წ. აგვისტოში საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. რესპუბლიკელებმა დეპუტატთა პალატაში 311 ადგილი მიიღეს, ხოლო რადიკალებმა 122. გარკვეული წარმატება მოიპოვეს სოციალისტებმა, რომლებიც პირველად მოხვდნენ პარლამენტში და 50 ადგილი მიიღეს. რესპუბლიკელი შარლ დიუპიუის მთავრობის ხანმოკლე მოღვაწეობის (1893 წ. სექტემბერ-ნოემბერი) შემდეგ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ორლეანისტი ჟან პოლ კაზიმირ-პერიე. ანარქისტების ტერორისტული საქმიანობის გააქტიურებასთან დაკავშირებით (1892-94 წლებში მათ გამოიწვიეს რიგი აფეთქებები, 1894 წ. ივნისში ანარქისტმა კაზერიომ მოკლა პრეზიდენტი სადი კარნო) კაზიმირ-პერიეს მთავრობამ მიიღო რიგი კანონები, რომლებიც ზღუდავდნენ პრესის თავისუფლებას. ამავე დროს პრეზიდენტი კარნოს მკვლელობის შემდეგ კაზიმირ-პერიე პარლამენტის მიერ საფრანგეთის

პრეზიდენტად იქნა დანიშნული. მაგრამ მისი პრეზიდენტობა დიდხანს არ გრძელდება. რადიკალების და სოციალისტების მიერ გაჩაღებული კრიტიკის კამპანიის შედეგად კაზიმირ-პერიე იძულებული გახდა გადამდგარიყო. 1895 წ. დასაწყისში პრეზიდენტის პოსტი დაიკავა რესპუბლიკელმა ფელიქს ფორმა (1895 -1899 წწ.). მთავრობას სათავეში ჩაუდგა რადიკალი ლეონ ბურჟუა, რომელმაც სცადა რიგი რეფორმების გატარება (საშემოსავლო გადასახადის შემოღება, მოხუცებზე პენსიების დაწესება და სხვა), მაგრამ ეს მცდელობა პარალამენტში მონარქისტების წინააღმდეგობას წააწყდა 1896 წ. ლეონ ბურჟუა გადადგა. პრემიერ-მინისტრი გახდა ჟიულ მელინი (1896-1898 წწ.).

XIX ს. დასასრულს საფრანგეთის საზოგადოებაში კიდევ უფრო გაძლიერდა გერმანიაზე რევანშის იდეა. ქვეყნის შიგნით თანდათან ჩამოყალიბდა ნაციონალისტურ-შოვინისტურ-მილიტარისტული მოძრაობა, რომელსაც ბევრი მომხრე ჰყავდა პარლამენტში, არმიაში და ინტელიგენციის წრეებში. ნაციონალისტურ-შოვინისტური მოძრაობის მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ საფრანგეთში არსებული რესპუბლიკური რეჟიმი თავისი საპარლამენტო დემოკრატიით ქვეყანას ასუსტებდა. ამიტომ ქვეყნის მთელი ხელისუფლების მობილიზაციისათვის და გერმანიაზე რევანშისათვის საჭირო იყო საფრანგეთში ,,ძლიერი ხელისუფლების“ ე.ი. სამხედრო დიქტატურის დამყარება. ამას გარდა მოძრაობის მიმდევრები ქადაგებდნენ შოვინისტურ იდეებს, კერძოდ ფრანგი ერის უპირატესობას სხვა ერებთან შედარებით. რა თქმა უნდა მოძრაობას აქტიურად უჭერდა მხარს ბევრი მონარქისტიც, რომლებიც რესპუბლიკური რეჟიმის დამხობაზე ოცნებობდნენ. თუ რამდენად ღრმად ქონდა გადგმული ფესვი დიქტატურის იდეას და შოვინიზმს საფრანგეთის საზოგადოებაში ეს ნათლად წარმოაჩინა კიდევ ერთმა პოლიტიკურმა სკანდალმა ე.წ. ,,დრეიფიუსის საქმემ“.

1894 წ. საფრანგეთის კონტრდაზვერვამ ხელთ იგდო ხემოუწერელი წერილი პარიზში გერმანიის სამხედრო ატაშეს შვარცკოპენის სახელზე. ამ წერილს ანონიმი ავტორი გერმანელ ატაშეს საფრანგეთის გერმანული შტაბის საიდუმლო მასალების გადაცემას სთავაზობდა. აშკარა იყო, რომ წერილის ავტორი საფრანგეთის გენშტაბში მსახურობდა. შოვინისტური პროპაგანდით გაბრუებულმა არმიის ხელმძღვანელობამ ბრალი დასდო ახალგაზრდა კაპიტანს წარმოშობით ებრაელს ალფრედ დრეიფიუსს, რომლის ებრაელობაც ძირითადი საბაბი გახდა, რომ მასზე ეჭვი მიეტანათ (ამას გარდა დრეიფიუსი რესპუბლიკელთა მომხრე ოჯახში იყო დაბადებული). სასამართლო პროცესზე გამოყენებულ იქნა ცრუ მოწმის კაპიტან ანრის ჩვენება. დრეფიუსი დამნაშავედ ცნეს. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და გადაასახლეს სამხრეთ ამერიკაში, საფრანგეთის კოლონია გვიანასთან მდებარე ეშმაკის კუნძულზე.

1896 წ. საფრანგეთის კონტრდაზვერვის ახალმა უფროსმა კოლონელმა პიკარმა შეძლო დაედგინა, რომ აღნიშნული წერილის ავტორი იყო არა დრეიფუსი, არამერ გენშტაბის სხვა ოფიცერი - მაიორი ესტერგაზი (წარმოშობით უნგრელი არისტოკრატი). მაგრამ სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელობამ იმ მოტივით, რომ თითქოს სამხედრო სასამართლოს მიერ დრეიფიუსისადმი გამოტანილი განაჩენის მცდარობის აღიარება არმიას სახელს გაუტეხდა, საქმის გადასინჯვაზე უარი თქვა. პიკარი საერთოდ მოხსნეს თანამდებობიდან და არმიიდან დაითხოვეს. მაგრამ დრეიფიუსის მდიდარი ოჯახის წევრები განსაკუთრებით ალფრედის ძმა მატიეზ დრეიფუსი, კერძო გამოძიებას აწარმოებდა. მათ შეძლეს ესტერგაზის ჯაშუშობის დამადასტურებელი მასალის შეგროვება და მის წინააღმდეგ საქმე აღძრეს, მაგრამ სამხედრო სამინისტროს ზეწოლით სასამართლომ ესტერგაზი გაამართლა. ამ სასამართლოდან ორი დღის შემდეგ 1898 წ. 13 იანვარს დიდმა ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ გაზეთ „ოროროში“ გამოაქვეყნა

პრეზიდენტ ფელიქს ფორის სახელზე დაწერილი ღია წერილი სათაურით „მე ბრალს ვდებ“. ამ წერილში ცნობილი ფრანგი მწერალი ადანაშაულებს სამხედრო წრეების წარმომადგენელ კონკრეტულ პირებს, რომლებიც ნამდვილ დამნაშავეს ხელს აფარებდნენ. ზოლას წერილმა უდიდესი ეფექტი გამოიწვია საფრანგეთის საზოგადოებაში. დრეიფუსის საქმემ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ზოლას ირგვლივ დაირაზმა მთელი დემოკრატიული საფრანგეთი (მწერალი ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, მეცნიერი ელიზ რეკლიუ, კლემანსო და სხვა). თუმცა თავდაპირველად ემილ ზოლას ინგლისში გაქცევა მოუხდა, რადგან სასამართლომ მას „ცილისწამებისთვის“ ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

იმავე 1898 წ. მოხდა ისეთი ფაქტები, რომლებიც დრეიფუსის უდანაშაულობას ადასტურებდნენ. ცრუმორწმუნე ანრიმ თავი მოიკლა, ხოლო ესტერგაზი საფრანგეთიდან გაქრა. ივნისში მელინის მთავრობა ბრისსონის კაბინეტმა შეცვალა. დემოკრატიის და რესპუბლიკის მომხრეთა შეტევა დიქტატურის მომხრე ნაციონალ-შოვინისტურ ძალებზე კიდევ უფრო გააქტიურდა. პარიზსა და სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა დემოკრატიის მომხრეთა მიტინგები და მანიფესტაციები. 1899 წლის თებერვალში მოულოდნელად გარდაიცვალა პრეზიდენტი ფელიქს ფორი. ხმების უმრავლესობით პარლამენტის მიერ პრეზიდენტად დანიშნულ იქნა რესპუბლიკელი ემილ ლუბე, რომელიც დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მომხრე იყო. იმავე თებერვალში ნაციონალ-შოვინისტებმა დერულედის მეთაურობით სამხედრო გადატიალების განხორციელებაც კი სცადეს, რასაც წარმატება არ მოჰყოლია. 2 ივლისს ნაციონალ-შოვინისტებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს პრეზიდენტ ლუბეს გადადგომის მოთხოვნით. ამის საპასუხოდ 11 ივლისს რესპუბლიკელების და სოციალისტების მოწოდებით რესპუბლიკის მომხრეთა გრანდიოზული მანიფესტი მოეწყო, რამაც ნაციონალ-

შოვინისტებს ნათლად დაანახა, რომ საფრანგეთის საზოგადოების დიდი უმრავლესობა ქვეყანაში სამხედრო დიქტატურის დამყარებას არ დაუშვებდა. იმავე ივლისში ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა პრემიერ მინისტრ ვალდეკ რუსსოს მეთაურობით, რომელშიც გაერთანებული იყო რესპუბლიკის მომხრე პარტიების წარმომადგენლები. ვაჭრობისა და მრეწველობის მონისტრის პოსტი პირველად დაიკავა სოციალისტების წარმომადგენელმა მილიენარმა. სექტემბერში პრეზიდენტმა ლუბემ სპეციალური ბრძანებულებით შეიწყალა და პატიმრობიდან გაანთავისუფლა ალფრედ დრეიფუსი. თუმცა დრეიფუსის საბოლოო გამართლება სასამართლოს წესით მხოლოდ 1905 წელს მოხერხდა.

XIX ს-ის უკანასკნელ მესამედში საფრანგეთის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდა მუშათა მოძრაობა. 70-იან წლების პირველ ნახევარში, ისევე როგორც ადრე, მუშათა მოძრაობას სინდიკატები (პროფკავშირები) წარმოადგენდნენ, რომლებიც მხოლოდ მუშათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში ვრცელდება მარქსისტული რევოლუციური სოცალიზმის თეორია, რომელიც ქადაგებდა მუშათა მიერ რევოლუციის მოხდენას არსებული ხელისუფლების დასამხობად. კერძო საკუთრების გაუქმებას და მუშათა ხელისუფლების ე.წ. „პროლეტარიატის დიქტატურს“ დამყარებას. რევოლუციური სოციალიზმის იდეების აქტიური გამავრცელებლები იყვნენ ჟიულ გედი და პოლ ლაფანგი. 1879-80 წლებში გედმა და ფალანგმა მოახერხეს პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელსაც ეწოდა „მუშათა პარტია“ და რომელიც მიისწრაფვოდა ხელთ ეგდო ხელმძღვანელის როლი მუშათა მოძრაობაში. „მუშათა პარტია“ ძირითადად რევოლუციური სოციალიზმის პოზიციებზე იდგა, მაგრამ შემდგომში 80-იანი წლების დასაწყისში პარტიაში განხეთქილება მოხდა. რევოლუციური სოციალიზმის მომხრეებს თანდათანობით

გამოეყვნენ ევოლუციური ანუ რეფორისტული სოციალიზმის მომხრეები. რეფორმისტები უარყოფდნენ რევოლუციას, კერძო საკუთრების გაუქმებას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. მათი აზრით მუშათა პარტიას მონაწილეობა უნდა მიეღო საპარლამენტო არჩევნებში და მშვიდობიანი, კანონიერი საპარლამენტო ბრძოლით მიეღწია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რეფორმისტული სოციალისტების აღიარებული ლიდერები იყვნენ პოლ ბრუსი, ბენუა მალონი და მოგვიანებით, 90-იანი წლების დასაწყისში ჟან ჟორესი. 1882 წ. რეფორმისტებმა შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი პარტია ე.წ. „საფრანგეთის მშრომელ-სოციალისტთა ფედერაცია“. გარდა სოციალისტებისა მუშათა მოძრაობაზე გავლენას ახდენდნენ ანარქისტებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას და მუშებს მოუწოდებდნენ მის წინააღმდეგ ებრძოლათ ტერორის გზით. სწორედ ამ ტერორის გამოხატულება იყო ძემოთ აღნიშნული პრეზიდენტ სადი კარნოს მკვლელობა, რომელიც ანარქისტებმა 1894 წელს განახორციელეს.

<u>საგარეო პოლიტიკა</u>. პრუსიასთან ომში დამარცხების შემდეგ საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა მეტად რთული იყო. ომიდან საფრანგეთი სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვნად დასუსტებული გამოვიდა. ფაქტიურად ხელახლა იყო შესაქმნელი ახალი ბრძოლისუნარიანი არმია. გარდასაქმნელი იყო ქვეყნის მთელი სამხედრო სისტემა. ელზას-ლორენის დაკარგვამ თითქმის დაუცველი დატოვა საფრანგეთის საზღვარი გერმანიასთან, საიდანაც საფრანგეთს კვლავ ახალი ომის საფრთხე ემუქრებოდა. გარდა ამისა ქვეყანა კვლავ მოკავშირეების გარეშე იყო დარჩენილი, რაც კიდევ უფრო ართულებდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას. რა თქმა უნდა საფრანგეთის საზოგადოება და მმართველი წრეები არსებულ ვითარებას ვერ შეურიგდებოდნენ. ამიტომ მოკავშირეების მოძებნა და გერმანიაზე

სამხედრო რევანში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად იქცა XIX ს-ის უკანასკნელი მესამედის განმავლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად დაძაბული იყო საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობანი. მომავალში ახალი ომი ამ ორ ქვეყანას შორის გარდაუვალი იყო. ეს კარგად ესმოდა გერმანიის მთავრობას და ამიტომ ბისმარკი ყველანაირად ცდილობდა არ დაეშვა როგორც საფრანგეთის სამხედრო პოტენციალის აღდგენა, ისე მისი საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა და თუ კი იქნებოდა ხელსაყრელი ვითარება პროვოკაციულად აეტეხა ახალი ომი საფრანგეთთან, გაენადგურებინა იგი მანამ, სანამ საფრანგეთი ხელახლა მომძლავრდებოდა. სწორედ ამ მიზნით გერმანიის მთავრობა 1872-1875 წლებში ხშირად აწყობდა სხვადასხვა ინციდენტებს საფრანგეთთან. გერმანიის პრესა ასევე ხშირად ტეხდა ხმაურს საფრანგეთში არმიის რეორგანიზაციის მიზნით გატარებული სხვადასხვა ღონისძიებების გამო და ცდილობდა გერმანიის საზოგადოებისათვის შთაენერგა ის აზრი, რომ თითქოს საფრანგეთი უკვე მზადაა გერმანიაზე თავდასასხმელად. მაგრამ გერმანიას საფრანგეთთან ომის გაჩაღებაში ხელს უშლიდა ცვლილებანი საერთაშორისო ურთიერთობაში, კერძოდ ინგლისისა და რუსეთის მიერ დაკავებული პოზიცია. ამ ქვეყნების მთავრობებს კარგად ესმოდათ, რომ საფრანგეთის შემდგომი დასუსტება და გერმანიის გაძლიერება გამოიწვევდა ძალთა არსებული თანაფარდობის დარღვევას ევროპაში და საფრთხეს უქმნიდა თვით ინგლისსა და რუსეთს. ამიტომ ეს ქვეყნები დიპლომატიურ დახმარებას უწევდნენ საფრანგეთს გერმანიასთან ურთიერთობის გაუარესების დროს.

1875 წ. საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც პოლკის შემადგენლობა უნდა გაზრდილიყო სამიდან ოთხ ბატალიონამდე. გერმანიის პრესამ ამის გამო დიდი ხმაური ატეხა. საგარეო საქმეთა მინისტრის სახელმწიფო მდივნის ფონ

ბიულოვის პირით გერმანია საფრანგეთს ფაქტიურად ომით დაემუქრა. საფრანგეთის მთავრობამ მხარდაჭერისათვის ლონდონს და პეტერბურგს მიმართა. ინგლისისა და რუსეთის მავრობებმა აშკარად აგრძნობინეს გერმანიის მთავრობას, რომ ისინი არ დაუშვებდნენ საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმას. ბისმარკი იძულებული იყო უკან დაეხია.

ინგლის-რუსეთის მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციები. მაგრამ 70-80-იანი წლების მიჯნაზე, მას შემდეგ რაც შეიქმნა გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-იტალიის სამხედრო ბლოკი (ე.წ. „სამთა კავშირი“) საფრანგეთის მდგომარეობა კვლავ გართულდა. აღნიშნული სამხედრო ბლოკი მიმართული იყო როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთის წინააღმდეგ. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე საფრანგეთისა და რუსეთის მმართველ წრეებში გაძლიერდა ურთიერთდაახლოების ტენდენცია.

1887 წ. საფრანგეთში არსებული ბულანჟისტური მოძრაობისა და სასაზღვრო ინციდენტის გამო კვლავ წარმოიშვა საფრანგეთ-გერმანიის ახალი ომის საფრთხე, მაგრამ რუსეთის მთავრობის დიპლომატიური ზეწოლის გამო ბისმარკი ამჯერადაც იძულებული გახდა უკან დაეხია. ამავე დროს გართულდა რუსეთ-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობა. ბისმარკის ინიციატივით გერმანიის ბანკებმა უარი უთხრეს რუსეთის მთავრობას სესხის მიცემაზე. ინიციატივა ხელთ იგდეს ფრანგულმა ბანკებმა. 1890წ. რუსეთის მავრობამ მიიღო პირველი სესხი 500 მლნ. ფრანკი. ამის შემდეგ 1914 წლამდე რუსეთმა საფრანგეთისაგან კიდევ 33-ჯერ მიიღო კრედიტი, საერთო რაოდენობით 19 მილიარდი ფრანკი. იმავდროულად იზრდებოდა რუსეთის ეკონომიკაში ფრანგული კაპიტალის შეღწევაც. ცხადია ფინანსურ-ეკონომიკური კავშირების გაფართოვებამაც ხელი შეუწყო ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ დაახლოებას. 1890 წ. რუსეთში ჩამოვიდა საფრანგეთის გენშტაბის უფროსის მოადგილე გენერალი

ბუადეფრი. შედგა მისი საიდუმლო მოლაპარაკება რუსეთის გენშტაბის წარმომადგენლებთან. 1891 წ. კრონშტადში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა საფრანგეთის ფლოტი. 1892 წ. აგვისტოში საფრანგეთსა და რუსეთს შორის დაიდო სამხედრო კონვენცია, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული ორივე ქვეყნის ურთიერთვალდებულებანი გერმანიასთან ომის შემთხვევაში. ეს კონვენცია ძალაში შევიდა 1893 წ. დეკემბერში. ამით რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი საბოლოოდ გაფორმდა. ამ აქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობებში. შეიქმნა სამთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ბლოკი. საფრანგეთისა და რუსეთის საერთაშორისო პოზიციები მნიშვნელოვნად განმტკიცდა. საფრანგეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თავისი მთავარი მიზნის, გერმანიაზე რევანშის განხორციელების გზაზე.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში უდიდესი ურადღება ეთმობოდა კოლონიურ დაპყრობებს. საფრანგეთის მმართველი წრეები კოლონიებს განიხილავდნენ როგორც იაფი ნედლეულის წყაროს და აგრეთვე ფრანგული სამრეწველო თუ ფინანსური კაპიტალის საქმიანობის ფართო ასპარეზს. ამას კი მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერებინა საფრანგეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, რაც წარმატების მთავარი გარანტია იქნებოდა გერმანიასთან მომავალ ომში. კოლონიური პოლიტიკის განხორციელების დროს საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა ერთის მხრივ საბოლოოდ აეთვისებინა ძველი კოლონიები და მეორე მხრივ - დაეპყრო ახალი ტერიტორიები, სადაც უნდა შექმნილიყო ფართო კოლონიური იმპერია.

1870 წლისათვის აზიაში ფრანგები ფლობდნენ რამდენიმე პუნქტს ინდოეთში და მცირე ტერიტორიას ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. აფრკაში ფრანგებს ეკუთვნოდა ალჟირი, სენეგალი და კუნძული რეუნიონი. ამერიკაში - საფრანგეთის გვიანა, კუნძულები: გვადალუპა, მარტინიკა, სენ პიერი, მიკელონი.

საფრანგეთს ეკუთვნოდა აგრეთვე კუნძული ახალი კალედონია და სხვა რიგი კუნძულები ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში.

XIX ს. 80-იანი წლებიდან, როცა რესპუბლიკელები დამკვიდრდნენ ხელისუფლების სათავეში საფრანგეთი კოლონიურ ასპარეზზე მკვეთრად გააქტიურდა. ამაში ქვეყანას ხელს უწყობდა არსებული უზარმაზარი სავაჭრო და სამხედრო ფლოტი. 1881 წ. ალჟირიდან საფრანგეთის ჯარები ტუნისში შევიდნენ. 1883 წლისათვის ტუნისი საფრანგეთის კოლონია გახდა. იმავდროულად ფრანგები ხანგძლივ კოლონიურ ომებს აწარმოებენ დასავლეთ აფრიკაში, რის შედეგადაც მათ ხელთ იგდეს დიდი ტერიტორიები. 1900 წლისათვის ფრანგული ტერიტორიები დასავლეთ აფრიკაში (სენეგალი, საფრანგეთის სუდანი, საფრანგეთის გვინეა, მავრიტანია, დაჰომეა, ზემო ვოლტა, სპილოს ძვლის ნაპირი, ცოტა მოგვიანებით ნიგერი) გაერთიანებული იქნენ ერთ დიდ კოლონიად, რომელსაც ეწოდა საფრანგეთის დასავლეთ აფრიკა. ფრანგებმა 1881-96 წლებში თანდათანობით ხელთ იგდეს კუნძული მადაგასკარიც. ფრანგები დაეუფლენ აგრეთვე მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას აღმოსავლეთ აფრიკაში, წითელი ზღვის სანაპიროზე (საფრანგეთის სომალი). საფრანგეთის აფრიკაში აქტიურობამ გაამწვავა ინგლისთან ურთიერთობა. დაპირისპირებამ განსაკუთრებით მკვეთრი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც საფრანგეთ-ინგლისის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა სუდანში. 1898 წ. ივლისში სუდანში სოფელ ფაშოდთან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საფრანგეთის და ინგლისის კოლონიური ჯარები. მაგრამ დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად კონფლიქტი მშვიდობიანად იქნა მოგვარებული. 1899 წ. მარტში დაიდო ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომლითაც ორივე ქვეყანამ გაიყვეს გავლენის სფეროები სუდანში. ამ შეთანხმებამ სათავემ სათავე დაუდო საფრანგეთ-ინგლისის შემდგომ დაახლოვებას.

აფრიკის გარდა საფრანგეთმა თავისი მოქმედება ინდოჩინეთშიც გააააქტიურა. 1883 წ. ფრანგებმა ხელთ იგდეს ანამი (ცენტრალური ვიეტნამი) და შეიჭრნენ ტონკინაში (ჩრ. ვიეტნამი). 1884 წ. ჩინეთმა, რომელიც მთელ ვიეტნამს თავის ასალად თვლიდა, საფრანგეთს ომი გამოუცხადა. ომი მიუხედავად დიდი ხარჯებისა და სამხედრო დანაკარგებისა საფრანგეთის გამარჯვებით დასრულდა. 1893 წლისათვის ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა ერთიანი ფრანგული კოლონია - ინდოეთის კავშირი, რომელშიც შედიოდნენ ანამი, კამბოჯა, ტორნიკი, კოხინხინა და ლაოსი. 70-90-იან წლებში საფრანგეთი დაეუფლა მთელ რიგ კუნძულებს ატლანტისა და წყნარ ოკეანეში (ახალი ჰებრიდები, ტაიტი, მარკიზის კუნძულები და სხვა).

საერთო ჯამში XIX ს-ის დასასრულისათვის საფრანგეთმა უზარმაზარი კოლონიური იმპერია შექმნა, რომელიც თავისი სიდიდით მხოლოდ ინგლისის კოლონიურ იმპერიას ჩამოუვარდებოდა. საფრანგეთის მარტო აფრიკული კოლონიები ტერიტორიული სიდიდით 17-ჯერ აღემატებოდა საკუთრივ საფრანგეთის ტერიტორიას. საფრანგეთის კოლონიების მოსახლეობის საერთო რიცხვი 56,4 მილიონ კაცს შეადგენდა.

2. საფრანგეთი 1900-1914 წლებში

ეკონომიკური ვითარება. XX საუკუნის დამდეგს საფრანგეთის ეკონომიკა კვლავ საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. განსაკუთრებით დაჩქარდა მრეწველობის განვითარება (ინდუსტრიალიზაცია). ქვეყანაში XIX საუკუნის დამლევს დაწყებული სამრეწველო აღმავლობის მორიგი ეტაპი მიუხედავად 1900 და 1907 წლების ეკონომიკური კრიზისებისა, პირველ მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. ამ სამრეწველო აღმავლობამ თითქმის ყველა დარგი მოიცვა.

განსაკუთრებით დაჩქარდა რკინის მადნის მოპოვება, რომელიც 1900-1914 წლებში 5,4 მლნ. ტონიდან 22 მლნ. ტონამდე გაიზარდა. ამ დარგის განვითარების ტემპით საფრანგეთმა გაუსწრო ისეთ მოწინავე ქვეყნებს როგორებიც იყვნენ აშშ და გერმანია. დარგის განვითარებას ხელი შეუწყო ტომასის აღმოჩენამ, რის შედეგადაც შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ფრანგული დაბალი ხარისხის რკინის მადანი (მასში ფოსფორის მაღალი შემცველობის გამო) ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული მეტალურგიულ მრეწველობაში. აქედან გამომდინარე დაჩქარდა მეტალურგიული მრეწველობის განვითარება. აშენდა ათობით ახალი მეტალურგიული ქარხანა. 1900-1913 წლებში ფოლადის გამოდნობა 1,6 მლნ. ტონიდან 3,6 მლნ. ტონამდე გაიზარდა, ხოლო თუჯის გამოდნობა - 2,7დან 5,2 მლნ. ტონამდე. მნიშვნელოვანი იყო განვითარების ტემპი მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორებიც იყო ელექტროენერგიის წარმოება. სენასა და ლუარას დეპარტამენტებში გაჩნდნენ ელექტროენერგიაზე მომუშავე ფაბრიკები და ქარხნები. ამ დარგის განვითარებას სტიმულს აძლევდა ქვანახშირის რესურსებით ქვეყნის სიღარიბე. მნიშვნელოვანი იყო საავტომობილო მრეწველობის განვითარება. ავტომობილების გამოშვების რაოდენობის მიხედვით საფრანგეთმა აშშ-ის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია აგრეთვე ელექტროტექნიკური, ქიმიური და კინემატოგრაფიული მრეწველობის გავნითარება.

შედარებით ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა მსუბუქი მრეწველობა. განსაკუთრებით ისეთი ტრადიციული დარგი, როგორიც იყო საფეიქრო მრეწველობა. თავის როლს ინარჩუნებდა ფუფუნების საგნების წარმოება. ე.წ. ,,პარიზული ნაწარმი“ ძველებურად განთქმული იყო მსოფლიოში.

მიუხედავად მრეწველობის აღმავლობისა, ცალკეული სამრეწველო დანადგარების განვითარების, სამრეწველო საწარმოების საერთო მოცულობის და საერთოდ მთელი ეკონომიკის განვითარების დონით საფრანგეთი გარკვეულწილად

ჩამორჩებოდა აშშ-ს, გერმანიას და ინგლისს. საფრანგეთი ჯერ კიდევ აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. 1911 წლისათვის სოფლად ცხოვრობდა ქვეყნის 39,4 მილიონიანი მოსახლეობის 56%. შრომითი აქტიური მოსახლეობის 40% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, ხოლო 35,8% მრეწველობაში. საფრანგეთის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 6%-ს შეადგენდა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად გრძელდებოდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. მეტალურგიულ მრეწველობაში ბატონობდა ორი უმსხვილესი ფირმა ,,კომიტე დე ფორაჟი“, (იგი აწარმოებდა ფოლადისა და თუჯის ¾-ს) და ,,შნეიდერ კრეზო“. ამ უკანასკნელმა თავისი თითქმის განუყოფელი ბატონობა დაამყარა სამხედრო მრეწველობის დარგზეც. ქვანახშირის მომპოვებელ მრეწველობაში ბატონობდნენ კომპანიები: ,,დენენ-ანზენი“ და ,,მარინ ომეკური“; ქიმიურ მრეწველობაში - კონცერნები: ,,კიულმანი“ და ,,სენგობენი“; საავტომობილო მრეწველობაში - ფირმები: ,,რენო“ და ,,პეჟო“ კინემატოგრაფიულ მრეწველობაში - ფირმა: ,,პატესინემა“ .

მიმდინარეობდა საბანკო კაპიტალის კონცენტრაციაც. ამ პროცესმა გამოიწვია ის, რომ XX საუკუნის დამდეგს ქვეყნის ფინანსურ სისტემაში რამდენიმე უმსხვილესი ბანკი გაბატონდა. მაგალითად 1914 წელს ქვეყანაში არსებული 11 მილიარდი ფრანკი საბანკო კაპიტალიდან 8 მილიარდს ფლობდა ხუთი უდიდესი ბანკი: ,,საფრანგეთის ბანკი“, ,,ლიონის კრედიტი“, ,,ეროვნული სააღრიცხვო ბანკი“, ,,გენერალური საზოგადოება“ და „პარიზ-ნიდერლანდის ბანკი“.

XX საუკუნის დამდეგიდან უდიდეს მასშტაბებს მიაღწია საფრანგეთიდან ფინანსური კაპიტალის ექსპორტმა. 1914 წლისათვის საზღვარგარეთ ინვესტიციების საერთო ღირებულებამ 60 მილიარდ ფრანკს მიაღწია ე.ი. 1870 წელთან შედარებით 6-ჯერ გაიზარდა. ამ პროცესს, რომელიც გარკვეულწილად აფერხებდა ეროვნული მრეწველობის განვითარებას, გარკვეული

თავისებურება ახასიათებდა. მაგალითად, ინგლისისაგან განსხვავებით საფრანგეთს თავისი კაპიტალი უმეტესწილად გაჰქონდა არა საკუთარ კოლონიებში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში. მაგალითად რუსეთში, ესპანეთში, იტალიაში, თურქეთში, ბალკანეთის ქვენებში, ინგლისში, აშშ-ში, გერმანიაში. ამასთან ერთად უცხოეთში ექსპორტირებული ფრანგული კაპიტალის უდიდესი ნაწილი გატანილი იყო სხვა სახელმწიფოთა მთავრობისადმი გაცემული სესხის სახით. აქედან გამომდინარე საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში საფრანგეთი მსოფლიო ბანკირის (ანუ კრედიტორის) როლში გამოდიოდა, რასაც საფრანგეთის მთავრობა კარგად იყენებდა უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით. 1914 წლისათვის საფრანგეთის კაპიტალის დიდი ნაწილი დაბანდებული იყო შემდეგ ქვეყანაში: რუსეთში - 12 მლრდ ფრანკი; სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში - 6 მლრდ; ინგლისსა და აშშ-ში -5 მლრდ; ესპანეთსა და პორტუგალიაში - 3 მლრდ; ბალკანეთის ქვეყნებში - 3 მლრდ; ეგვიპტეში - 3 მლრდ; თურქეთში - 3 მლრდ; ავსტრიაში - 2,5 მლრდ; შვეიცარიაში, ბელგიიაში, ჰოლანდიასა და სკანდინავიის ქვეყნებში - 2 მლრდ; გერმანიაში - 1 მლრდ; აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში - 2 მლრდ; დანარჩენი კი საფრანგეთის კოლონიებში. (42,5+17,5 მლრდ ფრანკი)

მრეწველობასთან შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა. XX საუკუნის დამდეგს რამდენადმე გაიზარდა ხორბლის მოსავლიანობა (1900 წელს 85 მლნ. ცენტნერი, 1910 წელს კი 89 მლნ ცენტნერი). ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. შეინიშნებოდა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქტიულობის ამაღლება და მასში ტექნიკის გამოყენების გაფართოვებაც. მაგრამ საერთო ჯამში საფრანგეთის აგრარული სექტორი თავისი განვითარებით გარკვეულწილად ჩამორჩებოდა სხვა წამყვან ქვეყნებს. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ საფრანგეთის სოფელში მეტად მაღალი იყო წვრილ გლეხურ

პარცელარულ მეურნეობათა რიცხვი. ასეთ მეურნეობებს თითოეულს 1 ჰექტარზე ნაკლები ფართობი ეკავათ და მათში თითქმის არ ხდებოდა ტექნიკის გამოყენება. პარცელარულ მეურნეობათა რიცხვი მეურნეობათა საერთო რაოდენობის 38%-ს შეადგენდა. 46%-ს შეადგენდა საშუალო სიდიდის (თითოეული 40 ჰექტრამდე) ფერმერულ მეურნეობათა რიცხვი, ხოლო 16%-ს მსხვილი ფერმერული მეურნეობანი (50-დან 200 ჰექტრამდე თითოეული). პარცელარულ მეურნეობათა სიმრავლე ხელს უშლიდა არამარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მრეწველობის განვითარებასაც. იგი აფერხებდა აგრეთვე საფრანგეთის მოსახლეობის რიცხობრივ ზრდას.

<u>საშინაო ვითარება</u>. 1899 წელს საფრანგეთის აღმასრულებელი ხელისფულების სათავეში მოვიდა რესპუბლიკელი ვალდეკ-რუსსოს მთავრობა (1899-1902წწ.), რომელმაც მთავარ მიზნად დაისახა დრეიფუსის საქმით გამოწვეული დემოკრატიული საზოგადოების აღშფოთების აღმოფხვრა და რიგი ღონისძიებების გატარება მმართველობის რესპუბლიკური რეჟიმის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დრეიფუსის შეწყალება-განთავისუფლებასთან ერთად რუსსოს მთავრობამ ჩაატარა არმიის წმენდა ანტიდრეიფუსარი გენერლებისგან. დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოები გამოყვანილნი იქნენ სამხედრო სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებიდან. ისინი დაუქვემდებარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამის პარალელურად ვალდეკ-რუსსოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს იყო რესპუბლიკის მომხრეთა პასუხი იმ ანტირესპუბლიკურ პროპაგანდაზე, რასაც კარგა ხანია აწარმოებდა კათოლიკური ეკლესია და რაც აშკარად გამომჟღავნდა დრეიფუსის საქმის დროს.

საფრანგეთის ბურჟუაზიას და საერთოდ რესპუბლიკის მომხრე ქვეყნის საზოგადოების უდიდეს ნაწილს ძალზედ

აღშფოთებდათ ქვეყანაში არსებული რელიგიური ორგანიზაციების (კონგრეგაციების) ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე. XX საუკუნის დამდეგს კათოლიკური კონგრეგაციების ხელთ არსებული ქონების საერთო ღირებულება 10 მლრდ. ფრანკს აღწევდა. კონგრეგაციების ხელთ იყო მრავალი სასწავლო დაწესებულება, სადაც მოსწავლეთა რიცხვი უფრო მეტი იყო ვიდრე სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში და სადაც მოსწავლეებს კვებავდნენ მონარქისტული იდეებით. ეკონომიკური ძლიერების და განვითარების სისტემაზე ძლიერი გავლენის წყალობით კონგრეგაციები აქტიურად ერეოდნენ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ საფრანგეთის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ვალდეკ-რუსსოს მთავრობა შეეცადა არსებული ვითარების აღმოფხვრას. 1901 წელს მიღებული კანონით დაწესებული იქნა სასულიერო კონგრეგაციებზე სახელმწიფოს გაძლიერებული კონტროლი. მთავრობას უფლება მიეცა სასამართლო წესით დაეშალა თვითნებურად აღმოცენებული კონგრეგაციები და მოეხდინა მათი ქონების კონფისკაცია. დახურვას ექვემდებარებოდნენ აგრეთვე კონგრეგაციების მიერ სახელმწიფოს ნებართვის გარეშე დაარსებული სკოლები.

1902 წელს საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გამარჯვება მოიპოვა რადიკალურმა პარტიამ, რომელიც პარლამენტში ადგილების უმრავლესობას დაეუფლა (ზომიერი რესპუბლიკელები, მემარჯვენე რესპუბლიკელები ანუ პროგრესისტები და სოციალისტები უმცირესობაში აღმოჩნდნენ). ჩამოყალიბდა რადიკალთა წარმომადგენლის ემილ კომბის მთავრობა (1902-1905 წ.წ.).

თავიანთი წინასაარჩევნო დაპირების თანახმად რადიკალებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს ბრძოლა კონგრეგაციების წინააღმდეგ. თავისი მოღვაწეობის პირველივე

წელს კომბის მთავრობამ დახურა კონგრეგაციების კუთვნილი 3 ათასი სკოლა, ხოლო მოგვიანებით დაიხურა 54 კონგრეგაცია, რომელშიც 20 ათასამდე პირი იყო გაერთიანებული. მთავრობის ამ ღონისძიებებმა ქვეყნის რელიგიური წრეების მძაფრი წინააღმდეგობა გამოიწვია. მათ ზურგს უმაგრებდა რომის პაპი პიუს X, რომელმაც შეურაცხმყოფელ ფორმებში განაცხადა პროტესტი 1904 წელს რომში საფრანგეთის პრეზიდენტის ე. ლუბეს ვიზიტის გამო. ამის საპასუხოდ კომბის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ვატიკანთან და მალე მოამზადა და პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ. უნდა ითქვას, რომ კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ კომბის მთარობისაგან დიდი ძალისხმევა მოითხოვა, რამაც რადიკალებს ხელი შეუშალა განეხორციელებინათ წინასაარჩევნო კამპანიის დროს საზოგადოებისათვის დაპირებული სხვა რეფორმები: პროგრესული საყოველთაო საშემოსავლო გადასახადის შემოღება, მუშებისთვის პენსიების დანიშნვა, საფაბრიკო კანონმდებლობა და სხვა. ამან კომბის მთავრობის ავტორიტეტი გარკვეულწილად დასცა. გარდა ამისა კომბის მთავრობას სახელი გაუტეხა იმ პოლიტიკურმა სკანდალმა, რაც გამოწვეული იყო იმით რომ, როგორც ცნობილი გახდა არმიის მონარქისტებისაგან გაწმენდის მიზნით მთავრობის დავალებით მონარქისტულად განწყობილ ოფიცრებსა და გენერლებზე დაწესებული იყო საიდუმლო მოთვალყურეობა. მათზე დგებოდა ე.წ. საიდუმლო საქმეები, სადაც გროვდებოდა ყოველგვარი ხასიათის ინფორმაცია. ამ ამბის გამაშკარავებამ კომბის მთავრობა იძულებული გახადა 1905 წ. იანვარში გადამდგარიყო. ხელისუფლების სათავეში მოვიდა რადიკალ რუვიეს მთავრობა (1905 წ. იანვარი-1906 წ. მარტი), რომელმაც ცხოვრებაში გაატარა ჯერ კიდევ ემილ კომბის მთავრობის მიერ მომზადებული ანტიკლერიკალური კანონპროექტი ,,სახელმწიფოსაგან ეკლესიის

გამოყოფის შესახებ“. ამ კანონის მიხედვით კათოლიკურ ეკლესიას შეუწყდა დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა კანონი ნებას რთავდა ეკლესიას შეესრულებინა ღვთისმსახურება სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში, თუკი მას არ ექნებოდა ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი.

1906 წლის მარტში რევიეს მთავრობა რადიკალ სარიენის მინისტრთა კაბინეტმა შეცვალა. (1906 წ. მარტი- 1 ოქტომბერი), რომელშიც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა რადიკალური პარტიის ლიდერმა ჟორჟ კლემანსომ. 1906 წ. მაისში საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც გამარჯვებას რადიკალურმა პარტიამ მიაღწია, რადიკალებმა 250 სადეპუტატო მანდატით პარლამენტში აბსოლიტური უმრავლესობა მოიპოვეს. სოციალისტებმა და დამოუკიდებელმა სოციალისტებმა 80 ადგილი მოიპოვეს, ხოლო მემარჯვენე რესპუბლიკელებმა (პროგრესისტებმა) 66 დეპუტატის გაყვანა შეძლეს. ოქტომბერში საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის არმან ფალიერის (მან პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 1906 წლის იანვარში. მას შემდეგ, რაც ამოიწურა მისი წინამორბედის ემილ ლუბეს პრეზიდენტობის ვადა) დავალებით კლემანსომ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა, რომელიც 1909 წლის ივნისამდე ფუნქციონირებდა.

თავის საშინაო პოლიტიკაში პრემიერ-მინისტრი კლემანსო მიზნად ისახავდა „ძლიერი ხელისუფლების“ შექმნას, რომელსაც მაქსიმალურად უნდა განემტკიცებინა რესპუბლიკური რეჟიმი, შეეზღუდა მონოპოლიების თვითნებობა, რეფორმების გზით გაეუმჯობესებინა მუშათა მდგომარეობა, შეენელებინა მათი საგაფიცვო მოძრაობა და მოემზადებინა ქვეყანა გერმანიის წინააღმდეგ რევანშისტული ომისთვის.

კლემანსოს მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში დაარსდა შრომის სამინისტრო (დამოუკიდებელ სოციალისტ ვივიანის ხელმძღვანელობით), რომელსაც ევალებოდა მუშათა საკითხის

შესწავლა და ღონისძიებათა შემუშავება მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკური და დემოკრატიული ფასეულობებისადმი მთავრობის ერთგულების დასტურად კლემენსოს ინიციატივით ემილ ზოლას ნეშტი პანთეონში იქნა გადასვენებული. საბოლოოდ იქნა რეაბილიტირებული კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი, რომელიც დააბრუნეს არმიაში (სამხედრო წოდების ამაღლებით). არმიაში დააბრუნეს კოლონელი პიკარიც, რომელმაც მიიღო გენერლის წოდება და სათავეში ჩაუდგა სამხედრო სამინისტროს. ამავე დროს კლემენსო უდიდესი პრინციპულობით ებრძოდა უწესრიგობის ყოველგვარ გამოვლინებას ქვეყნის შიგნით და ბრძოლაში არ ერიდებოდა უკიდურესი ზომების გამოყენებასაც კი. მთავრობის მეთაურის განსაკუთრებულ რისხვას იმსახურებდა ანარქო-სინდიკალისტების და რევოლუციონერ-სოციალისტების მიერ ორგანიზებული მუშათა გამოსვლები, რომლებიც სცილდებოდნენ ეკონომიკური მოთხოვნების ფარგლებს და პოლიტიკურ, ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს იღებდნენ.

1906 წლის მარტში პა დე კალეს დეპარტამენტში ფირმა „კურიერის“ კუთვნილ მაღაროებში მომხდარი აფეთქების შედეგად 1100 ადამიანი დაიღუპა. ამ კატასტროფის გამო პროტესტის ნიშნად გაიფიცნენ მთელი დეპარტამენტის მაღაროელები. გამოსვლებს მეთაურობდა პროფკავშირული გაერთიანება „შრომის საყოველთაო კონფედერაცია“, რომელიც ანარქისტების გავლენაში იყო. კლემანსომ, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, გაფიცულთა წინააღმდეგ პოლიციასთან ერთად სამხედრო ძალებიც დასძრა, ხოლო 1906 წლის მაისში მას შემდეგ, რაც შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მთელი ქვეყნის მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდა, კლემანსოს ბრძანებით ამ პროფკავშირული გაერთიანების მთელი გაერთიანება დააპატიმრეს. 1907 წელს საფრანგეთის სამხრეთში, ქალაქებში:

ნიმში, ნარბონში, მონპელიეში მევენახე გლეხთა სერიოზულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. მევენახეები, რომლებიც ძალზედ დაზარალდნენ ვაზის ავადმყოფობის (ფილოქსერას) გავრცელების გამო მთავრობის მხრიდან ფინანსურ დახმარებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო გადასახადების გადახდის შეწყვეტით იმუქრებოდნენ. მოძრაობამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მას სათავეში ჩაუდგა ქ. ნარბონის მერი სოციალისტი ფერული. კლემანსომ ფერულის დაპატიმრების ბრძანება გასცა და ეს გამოსვლებიც პოლიციის და არმიის დახმარებით აღკვეთა

1909 წლის ივნისში კლემანსოს მთავრობა გადადგა. თვით კლემანსომ მალე საერთოდ დატოვა რადიკალური პარტიის რიგები, იმ მოტივით, რომ პარტია მას არასაკმარისად მტკიცედ უჭერდა მხარს ანარქისტებისა და მემარცხენე სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთის პრეზიდენტის არმან ფალიერის დავალებით ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა დამოუკიდებელ სოციალისტთა წარმომადგენელმა არისტიდ ბრიანმა. ბრიანის მთავრობამ (1909-1911წწ.) საშინაო-პოლიტიკურ ასპარეზზე მთავარ ამოცანად დაისახა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის მაქსიმალური შენელება. ამ მიზნით ბრიანის მთავრობამ ცხოვრებაში გაატარა ე.წ. კანონი „მუშათა და გლეხთა პენსიების შესახებ“. ამ კანონით დაწესდა ქალაქად და სოფლად მოსაქმე დაბალკვალიფიციური, მცირეხელფასიანი მშრომელების დაზღვევა. ნაწილობრივ ამ სადაზღვეო თანხებიდან და ნაწილობრივ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებიდან ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მშრომელებს 65 წლის ასაკის მიღწევის შედეგ ენიშნებათ პენსია. რა თქმა უნდა, მთავრობის ეს ღონისძიება მშრომელთა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის არ კმაროდა, რის გამოც მუშათა მოძრაობა ქვეყანაში კვლავ მწვავე ხასიათს ატარებდა. ამის დადასტურება იყო რკინიგზელ მუშათა საყოველთაო გაფიცვა. 1910 წლის ოქტომბერში გაფიცული რკინიგზელები, რომელთაც სათავეში

ედგათ „რკინიგზელთა ეროვნული სინდიკატი“ სამუშაო დროის შემცირებას და ხელფასების მომატებას მოითხოვდნენ. მთავრობა იძულებული გახდა საფრანგეთის ჩრდილოეთის რკინიგზების მომსახურებისათვის არმიის ნაწილები გამოეყვანა. გაფიცვის აქტიური მოთავეები დააპატიმრეს. საბოლოოდ, ვერ მიაღწია რა შინაგან სტაბილურობას, 1911 წლის თებერვალში ბრიანის მთავრობა გადადგა მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1910 წლის მაისში ჩატარებული მორიგი საპარლამენტო არჩევნების შედეგად შექმნილმა ახალმა პარლამენტმა (სადაც კვლავ რადიკალებმა მოიპოვეს ადგილების უმრავლესობა) ბრიანის მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

ბრიანის მთავრობის გადადგომის შემდეგ 1911 წლის ბოლომდე ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდნენ რადიკალთა წარმომადგენლების ჯერ მონისის, ხოლო შემდეგ კაიოს მთავრობები. საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამო დღითიდღე იზრდებოდა მსოფლიო ომის საფრთხე. საფრანგეთის ბურჟუაზიის უმაღლესი წრეები, რომელთაც ომი უახლოესი მომავლის საქმედ მიაჩნდათ (ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა 1911 წლის მაროკოს მეორე კრიზისმა) ასეთ ვითარებაში უფრო მეტად ვიდრე ადრე, მიისწრაფვოდნენ შეექმნათ ძლიერი ხელისუფლება, რომელიც შეძლებდა შინაგანი წესრიგის განმტკიცებას და ქვეყნის მთელი რესურსების უფრო ეფექტურ მობილიზებას მომავალი ომისთვის. ამავე დროს მაროკოს მეორე კრიზისმა საფრანგეთის საზოგადოებაში კიდევ უფრო გაზარდა ანტიგერმანული რევანშიტული განწყობილება. ყოველივე ამის შემდეგ იყო ის, რომ 1912 წლის იანვარში, მას შემდეგ რაც მააროკოს მეორე კრიზისის გამო კაიას მთავრობა გადადგა, პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა რესპუბლიკელთა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, მემარჯვენე რესპუბლიკელმა რაიმონ პუანკარემ. თავის საშინაო პოლიტიკაში პუანკარემ მიზნად დაისახა რესპუბლიკელების და რადიკალების ძალთა შეკავშირება და ომისთვის გაძლიერებული

მზადება. 1913 წლის იანვარში ამოიწურა საფრანგეთის პრეზიდენტის არმან ფალიერის პრეზიდენტობის ვადა. ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხზე პარლამენტში გაიმართა კენჭისყრა. რადიკალებმა თავიანთ კანდიდატად წამოაყენეს პამსი, რესპუბლიკელებმა პუანკარე. ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა რაიმონ პუანკარემ (აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დროს პუანკარეს რადიკალების ნაწილმაც დაუჭირა მხარი), რომელაც პარლამენტის ორივე პალატის 870 წევრიდან 483 ხმა მიიღო და დაიკავა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი. მისი დავალებით პრემიერ მინისტრის პოსტი დაიკავა და ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა სოციალისტმა ა. ბრიანმა (1913 წ. იანვარი-მარტი). ბრიანის მთავრობის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო არმიაში სამსახურის ვადის ორიდან სამ წლამდე გაზრდის კანონპროექტის შემუშავება (ამით არმიის რიცხვი 160 ათასი კაცით იზრდებოდა), რომელიც პარლამენტმა საბოლოოდ რესპუბლიკელი ლუი ბარტუს მმართველობის პერიოდში (1913 წ. მარტი-დეკემბერი) დაამტკიცა.

1913 წ. დეკემბერში ბარტუს მთავრობის გადადგომის შემდეგ ჩამოყალიბდა რადიკალ დუმერგის ახალი მთავრობა, რომელშიც ფინანსთა მინისტრის პოსტი დაიკავა რადიკალთა ლიდერმა ჟოზეფ კაიომ. კაიო ენერგიულად შეუდგა რადიკალთა ერთ-ერთი მთავარი საპროგრამო მოთხოვნის, პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დაწესების რეალურ განხორციელებას. კაიოს წინადადებით იმ შემოსავალზე, რომელიც წლიურად 30 ათას ფუნტს აჭარბებდა უნდა დაწესებულიყო 2,5%-იანი სახელმწიფო გადასახადი, რაც სახელმწიფო ხაზინას 190 მლნ. ფრანკის დამატებით შემოსავალს მოუტანდა. ამ კანონპროექტმა მსხვილი მრეწველებს და ფინანსისტების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ დაირაზმენ. გაზეთ „ფიგაროს“ რედაქტორმა კალმეტმა თავისი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა უკანონოდ მოპოვებული დოკუმენტები კაიოს საოჯახო არქივიდან. პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტებთან ერთად (რომლებიც კაიოს

სახელისგამტეხ მასალებს შეიცავდნენ) გამოქვეყნებულ იქნა მისი ინტიმური მიმოწერა მეუღლესთან. შეურაცხყოფილმა კაიოს მეუღლემ კალმეტი მოკლა. ამ სკანდალის გამო კაიო იძულებული გახდა თავისი პოსტი დაეტოვებინა.

1914 წლის მაისში საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელმაც წარმატება რესპუბლიკელებს მოუტანა, რომელთაც საერთო ჯამში 290 ადგილი მიიღეს, რადიკალებმა 136 ადგილი მოიპოვეს, ხოლო სოციალისტებმა - 132. ჩამოყალიბდა სოციალისტ რენე ვივიანის ახალი მთავრობა. სწორედ ამ მთავრობით შეხვდა საფრანგეთი ივლისის კრიზისს, რომელსაც მოყვა მსოფლიო ომის გაჩაღება.

მრეწველობის წინსვლასთან ერთად XX საუკუნის დამდეგს საფრანგეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა მასში დასაქმებულ მუშათა რიცხვი, რასაც მოყვა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობა. მაგალითად თუ 1900-1905 წლებში მომხდარ გაფიცვებში საერთო ჯამში 940 ათასი კაცი მონაწილეობდა, 1908-1913 წლებში ეს რიცხვი 1,2 მილიონამდე გაიზარდა. გაფიცვებში ძირითადად მონაწილეობდნენ დაბალკვალიფიციური მუშები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ემიგრანტები (იტალიელები, ესპანელები და სხვები). მათი ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშათა ცხოვრების დონეს. თავიანთ საგაფიცვო ბრძოლაში მუშები მოითხოვდნენ და ნაწილობრივ აღწევდნენ კიდეც სამუშაო დროის შემცრებას, ხელფასების მომატებას, საბინაო პირობების გაუმჯობესებას და სხვა.

ფრანგი სოციალისტები, რომლებიც ძირიათადად ხელმძღვანელობდნენ მუშათა მოძრაობას, არ წარმოადგენდნენ ერთიან პოლიტიკურ ძალას. სოციალისტების შიგნით ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ რევოლუციონერი სოციალისტები (ჟიულ გედის და პოლ ლაფარგის მეთაურობით) და რეფორმისტები (ჟან

ჟორესის მეთაურობით). სოციალისტების ორ დაჯგუფებას შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა ე.წ. „მილიერანის კაზუსმა“. საქმე იმაშია რომ 1899 წელს სოციალისტების ერთ-ერთი წარმომადგენელი მილიერანი შევიდა პრემიერ-მინისტრ ვალდეკ-რუსსოს მთავრობაში. რევოლუციონერმა სოციალისტებმა, რომლებმაც დაგმეს მილიენარის მონაწილეობა „ბურჟუაზიულ მთავრობაში“ 1901 წელს შექმნეს საფრანგეთის სოციალისტური პარტია, ხოლო რეფორმატორებმა, რომელთაც მილიერანის ნაბიჯი სავსებით გამართლებულად მიაჩნდათ შექმნეს ფრანგული სოციალისტური პარტია (1902 წ). ფრანგ სოციალისტთა გათიშულობა 1905 წლამდე გაგრძელდა. მუშათა მოძრაობისათვის უფრო ეფექტური ხელმძღვანელობის გაწევის აუცილებობამ აიძულა ისინი გაერთიანებულიყვნენ და 1905 წელს პარიზში ჩატარებულ კონგრესზე გამოეცხადებინათ საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის შექმნა. კონგრესზე მიღებულ პარტიის პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ „პარტიის მთავარი ამოცანაა კაპიტალისტური საზოგადოების ნაცვლად კოლექტივისტური საზოგადოების შექმნა, მუშათა ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზების გზით“. მითითებული იყო აგრეთვე, რომ „სოციალისტური პარტია წარმოადგენს არა რეფორმების, არამედ რევოლუციის პარტიას“. ამ უკანასკნელმა ფრაზამ სოციალისტთა გარკვეული ნაწილის (ვივიანი, ბრიანი, ბონკური და სხვა) გაღიზიანება გამოიწვა. მათ უარი თქვეს ახლადშექმნილ პარტიაში შესვლაზე და ჩამოაყალიბეს „დამოუკიდებელ სოციალისტთა“ ცალკე ჯგუფი, რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნა რესპუბლიკელ სოციალისტთა პარტიად.

მიუხედავად პროგრამაში არსებული რევოლუციური ფრაზეოლოგიისა, თავის აქტიურ საქმიანობაში მთლიანობაში პარტია შორს იდგა ისეთი ორთოდოქსული მარქსისტული იდეებისგან, როგორიც იყო არსებული სახელმწიფო რეჟიმის რევოლუციურად დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის

დამყარება და კერძო საკუთრების მოსპობა. პარტია ქადაგებდა მხოლოდ საპარლამენტო-რეფორმაციულ მოღვაწეობას, მუნიციპალიტეტებში საქმიანობას, მუშებს მოუწოდებდა მშვიდობიანი საგაფიცვო ბრძოლისაკენ, სადაც წამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები. საბოლოო ჯამში ფრანგი სოციალისტების აზრით ასეთი მეთოდებით შესაძლებელი გახდებოდა კაპიტალიზმის და სოციალიზმის მშვიდობიანი ურთიერთშეზრდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარტიაში ულტრამემარცხენე დაჯგუფებაც შემორჩა მარსელ კაშენის მეთაურობით, რომელიც ორთოდოქსული მარქსიზმის პოზიციებზე იდგა, მაგრამ მისი გავლენა მუშათა მოძრაობაზე უმნიშვნელო იყო.

საფრანგეთის მუშათა მოძრაობაზე სოციალისტების გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდენ ანარქო-სინდიკალისტები, რომელთა ხელთ იყო შრომის საყოველთაო კონფედერაცია. ეს ორგანიზაცია აერთიანებდა საფრანგეთში არსებულ პროფკავშირებს (სინდიკატებს). სოციალსტებისგან გასხვავებით ანარქო-სიდიკალისტები საერთოდ უარყოფდნენ სახელმწიფოს ყოველგვარ ფორმას და სახემწიფო ხელისუფლების მოსპობას ქადაგებდნენ საყოველთაო ეკონომიკური გაფიცვის გზით. მათი აზით ერთადერთი ორგანო, რომელიც მომავალ თავისუფალ უსახელმწიფო საზოგადოებაში გააკონტროლებდა წარმოების და განაწილების პროცესს იქნებოდა პროფკავშირი.

<u>საგარეო პოლიტიკა</u>. XX საუკუნის დამდეგს საფრანგეთი, რომელმაც შექმნა უზარმაზარი კოლონიური იმპერია, თავისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის სწრაფი აღდგენა-განვითარების წყალობით და რუსეთთან სამხედრო კავშირზე დაყრდნობით ინარჩუნებდა თავის ადგილს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის. ამ პერიოდში რუსეთთან ალიანსის განმტკიცება და ინგლისთან დაახლოვება საფრანგეთის მმართველი წრეების მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად

იქცა. სწორედ ამ კურსის გამატარებელი იყო გამოჩენილი ფრანგი მოღვაწე და დიპლომატი ტეოფილ დელკასსე (1852-1923წწ.), რომელსაც 7 წლის განმავლობაში (1898-1905წწ.) უწყვეტად ეკავა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. დელკასსე თავისი მრწამსით შეურიგებელი რევანშისტი იყო. თავის დროზე იგი ბულანჟისტურ მოძრაობაშიც იღებდა მონაწილეობას. თავისი გადადგომის შემდეგაც იგი კვლავ აქტიურ როლს ასრულებდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში და ფაქტობრივად მისი სულის ჩამდგმელი იყო.

1901 წლის სექტემბერში პარიზში ვიზიტით ჩამოვიდა იმპერატორი ნიკოლოზ II. ამ ოთხდღიანი ვიზიტის მსვლელობაში საფრანგეთის პრეზიდენტმა ემილ ლუბემ და რუსეთის იმპერატორმა განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობებისა და საერთაშორისო ვითარების მნიშვნელოვანი საკითხები. 1902 წელს ემილ ლუბე საპასუხო ვიზიტით ჩავიდა რუსეთში, სადაც დაესწრო რუსეთში არმიის დიდ სამხედრო მანევრებს. ეს მოვლენები რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის განმტკიცების აშკარა დემონსტრირება იყო. 1906 წელს, როდესაც რუსეთში რევოლუციური გამოსვლები მიმდინარეობდა, საფრანგეთის მთავრობამ რუსეთის მთავრობას უზარმაზარი სესხი 2 250 000 000 ფრანკი გამოუყო. რა თქმა უნდა, ამან კიდევ უფრო განამტკიცა ორი ქვეყნის დიპლომატიური და სამხედრო თანამშრომლობა. სისტემატიური ხასიათი შეიძინა ორივე ქვეყნის გენშტაბის ერთობლივმა თათბირმა.

საფრანგეთის დიპლომატია ენერგიულად ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთირთობა საფრანგეთის სამხრეთელ მეზობელთან - ესპანეთთან და იტალიასთან. ამ მიმართულებით ყველაზე რთული პრობლემა იყო იტალიის სამთა კავშირის ბლოკიდან გამოყვანა. ეს მისია დელკასსემ დააკისრა თავის მეგობარს საფრანგეთის ელჩს რომში კამილ ბერერს, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა იტალიელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. 1901 წელს დაიდო საფრანგეთ-იტალიის

საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც შეეხებოდა გავლენის სფეროების გადანაწილებას ჩრდილოეთ აფრიკაში. იტალია აღიარებდა საფრანგეთის უპირატეს ინტერესებს მაროკოში. სამაგიეროდ საფრანგეთი იტალიას ანიჭებდა თავისუფალი მოქმედების უფლებას ტრიპოლიტანიაში. საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობის გაუმჯობესების დადასტურება იყო იტალიის ესკადრის მეგობრული ვიზიტი საფრანგეთის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზა ტულონში. ესკადრის შესახვედრად ტულონში ჩამოსული საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე იტალიური ორდენით იქნა დაჯილდოვებული. 1902 წ. გაფორმდა საფრანგეთ-იტალიის კიდევ ერთი საიდუმლო შეთანხმება, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ. საფრანგეთი და იტალია ერთმანეთს ნეიტრალიტეტის დაცვას აღუთქვამდნენ სხვა სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში. ეს უკვე ნიშნავდა იტალიის მიერ სამთა კავშირის მონაწილე ქვეყნის მიმართ აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმას. 1904 წ. პრეზიდენტი ლუბე ვიზიტით ეწვია რომს.

რაც შეეხება ესპანეთს, ამ ქვეყნის მთავრობასთან მოლაპარაკებას პირადად დელკასსე აწარმოებდა. 1904 წ. ხელი მოეწერა საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმებას მაროკოში გავლენის სფეროების გაყოფაზე. ამას მალე მოჰყვა ესპანეთის მეფის ალფონს XIII-ის ვიზიტი საფრანგეთში.

XX საუკუნის დამდეგს ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობათა გამწვავებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საფრანგეთ-ინგლისის დაახლოებისათვს. ამ მიმართულებით ორივე ქვეყნის მმართველმა წრეებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს 1903 წელს, როცა საფრანგეთში ჩაოვიდა ინგლისის მეფე ედუარდ VII. პირად საუბრებში პრეზიდენტი ლუბე და მეფე ედუარდ VII ფაქტობრივად შეთანხმდნენ ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებზე. იმავე წლის ივნისში ლუბე და დელკასსე საპასუხო ვიზიტით ლონდონში გაემგზავრნენ, სადაც

საფრანგეთის დელეგაციას ხაზგასმული საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. 7 ივლისს საფრანგეთის და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრები დელკასსე და ლენსდაუნი კონკრეტულ მოლაპარაკებებს შეუდგნენ. შემდგომში საფრანგეთის მხრიდან მოლაპარაკება გააგრძელა საფრანგთის ელჩმა ლონდონში პოლ კამბონმა. საბოლოო შეთანხმებას, რომელიც „ანტანტის“ სახელწოდებითაა ცნობილი, კამბონმა და დენსდაუნმა 1904 წ. 8 აპრილს მოაწერეს ხელი.

ეს ხელშეკრულება აწესრგებდა ინგლის-საფრანგეთის კოლონიალურ სადავო საკითხებს, რომელთა შორის მთავარი იყო ეგვიპტისა და მაროკოს პრობლემა. საფრანგეთმა ეგვიპტე ინგლისის გავლენის სფეროდ აღიარა, სამაგიეროდ ინგლისმა იკისრა ხელი არ შეეშალა საფრანგეთისათვის მაროკოს დაპყრობაში. ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასეთი კარდინალური მოწესრიგება აშკარად იმაზე მიუთითებდა, რომ ორივე ქვეყანა გერმანიის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა.

ინგლისთან ურთიერთობის მოწესრიგების შემდეგ საფრანგეთმა გააააქტიურა თავისი ექსპანსია მაროკოში. საფრანგეთი დიდი ხანია ემზადებოდა სასარგებლო წიაღისეული მდიდარი ამ აფრიკული ქვეყნის დასაპყრობად, რომელსაც მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ 1899-1900 წლებში საფრანგეთმა დაიკავა რამდენიმე ოაზისი სამხრეთ მაროკოში. 1904 წელს კი საფრანგეთის მთავრობამ მაროკოს სულთანს აბდ ელ აზიზს მისცა სესხი, რის სანაცვლოდაც დამყარდა საფრანგეთის კონტორლი მაროკოს საბაჟოებზე და პოლიციაზე. ამან გერმანიის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. 1905 წელს გერმანიის მთავრობამ მაროკოს საკითხის განსახილველად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მოითხოვა. გერმანიის მმართველ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ისარგებლებდნენ საფრანგეთის მოკავშირე რუსეთის დასუსტებით (რომელიც დამარცხდა იაპონიასთან ომში) და საფრანგეთს

აიძულებდნენ მაროკოს საკითხში გერმანიის მიმართ დათმობაზე წასულიყო. საფრანგეთის პრემიერ მინისტრი რუვიე მართლაც იძულებული გახდა გერმანიის მთავრობის წინადადება მიეღო და საგარეო საქმეთა მინისრტი დელკასე გადაეყენებინა, რომელიც მაროკოს საკითხზე კონფერენციის გამართვის წინააღმდეგი იყო. დელკასესე გადაყენებას სიხარულით შეხვდნენ გერმანიის მთავრობაში, მაგრამ ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. 1906 წელს ესპანეთის ქალაქ ალხესირაში ჩატარებულ კონფერენციაზე გერმანის დელეგაცია სრულ იზოლაციაში მოექცა. კონფერენციის დასკვნითმა აქტმა მართალია დაადსტურა მაროკოს დამოუკიდებლობ, მაგრამ ამავე დრო საფრანგეთს მიანიჭა ამ ქვეყნის ფინანსებზე და არმიაზე კონტროლის უფლება, რაც საფრანგეთს ფაქტობრივად მაროკოს დაპყრობისკენ უხსნიდა გზას. ამგვარად მაროკოს კრიზისი საფრანგეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვებით დამთავრდა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა საფრანგეთის კავშირი ინგლისთან და რუსეთთან.

ალხესირასის კონფერენციის შემდეგ საფრანგეთმა კიდევ უფრო გააააქტიურა მაროკოში შეღწევა. 1911 წ. საფრანგეთის ჯარებმა ქალაქი ფესი დაიკავეს. ამას კვლავ მოყვა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის გამწვავება. გერმანიამ კვლავ სცადა საფრანგეთისათვის მაროკოში გზა გადეღობა. მაროკოს ნავსადგურ აგადირში გერმანიის სამხედრო ხომალდი პანტერა იქნა გაგზავნილი, მაგრამ ე.წ. „პანტერას ნახომმა“ აღასფოთა არა მარტო საფრანგეთი, არამედ ინგლისიც, რომელმაც მზადყოფნაში მოიყვანა თავისი ფლოტი და გერმანიას ომით დაემუქრა. გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია. 1911 წლის ოქტომბერში დაიდო საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გერმანიამ მიიღო საფრანგეთი კონგონს ნაწილი, სულ 250 კმ² ტერიტორია, სამაგიეროდ მან საფრანგეთს გადასცა კამერუნის ნაწილი (15 ათასი კმ² ტერიტორია) და აღიარა საფრანგეთი ინტერესები მაროკოში.

1912 წ. მას შემდეგ, რაც მაროკოს სულთანმა მულაი ჰაფიდმა აღიარა საფრანგეთის პრტექტორატი, მაროკო საფრანგეთის კოლონიად იქცა.

ომისწინა წლებში საფრანგეთის მთავრობა კვლავ დი ძალისხმევას ახმარდა თავის მოკავშირეებთან ინგლისსა და რუსეთთან კონტაქტების გაღრმავებასა და განმტკიცებას. ჯერ კიდევ 1909 წლიდან რუსეთის სხვადასხვა სამხედრო ოლქებში რეგულარულად ჩამოდიოდნენ ფრანგი ოფიცრები. 1911 წლიდან რეგულარული ხასიათი მიიღო რუსი ოფიცრების მივლინებებმა საფრნაგეთში. უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო ორი ქვეყნის გენშტაბების ერთობლივმა თათბირებმა. 1912 წელს ხელი მოეწერა საფრანგეთ-რუსეთის საზღვაო კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა ორი ქვეყნის ფლოტების ერთობლივ მოქმდებას და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას. ზღვებზე თანამშრომლობის სფეროში ურთიერთკონსულტაციები მიმდინარეობდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. აქ განიხილებოდა ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთის ფლოტის გაძლიერების საკითხი, რადგან ინგლისი იძულებული იყო თავისი ფლოტის ძირითადი ნაწილისათვის თვი მოეყარა ჩრდილოეთის ზღვაში. 1912 წელს საფრანგეთში საიდუმლოდ ჩავიდა ინგლისის გენშტაბის უფროსი გენერალი ვილსონი, რომელმაც თავის ფრანგ კოლეგებთან ერთად განიხილა გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედების რიგი საკითხები.

ყველაფერთან ერთად გამალებთ მიმინარეობდა საფრანეთის არმიის რეორგანიზება, გადაიარაღება და რიცხობრივი გაზრდა. 1912-13 წლებში არმის რიცხობრივი შემადგენლობა 31,6%-ით გაიზარდა, ხოლო სამხედრო ხარჯების საერთო თანხამ 1 196 552 მანეთი შეადგინა.

ლექცია XIII
იტალია XX-XXI ს-ების მიჯნაზე (2 სთ.)

1. იტალია 1870-1900 წწ.

ეკონომიკური განვითარება. 1870 წლიდან პოლიტიკური გაერთიანების პროცესის დამთავრების შემდეგ, იტალია თავისი განვითარების ახალ ისტორიულ ფაზაში შევიდა. გაერთიანებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. გაუქმებული იქნა საბაჟო ბარიერები ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის. შემოიღეს ერთიანი ფულადი სისტემა. თანდათან ჩამოყალიბდა ერთიანი საშინაო ბაზარი.

XIX საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში იტალია აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მოსახლეობის 60% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. აგრარული სექტორი ეროვნული შემოსავლის 58%-ს იძლეოდა. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ მთავრობამ მოახდინა 750 ათასი ჰექტარი საეკლესიო მიწების კონფისკაცია და გაყიდვა. გაიყიდა აგრეთვე 1,6 მლნ ჰექტარი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები. ამან ფერმერული მეურნეობის საერთო რაოდენობრივ ზრდას შეუწყო ხელი. თუმცა იტალიის სოფლის მეურნეობის განვითარება დიდი უთანაბრობით ხასიათდებოდა. ქვეყნის ჩრდილოეთ ოლქებში, მაგალითად ლომბარდიაში, პიემონტში, ემილიაში და აგრეთვე ცენტრალურ პროვინციებში ძირითადად ფერმერული მეურნეობა ვითარდებოდა. ფერმერები ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, მანქანებს და აგროტექნიკურ მიღწევებს. ისინი სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე (მაგ. ბრინჯი, ხორცისა და რძის ნაწარმი, ღვინოები) იყვნენ ორიენტირებულნი, რაც ნაწილობრივ საზღვარგარეთაც გადიოდა. სრულიად საპირისპირო სურათი იყო იტალიის სამხრეთ რეგიონებში და კუნძულ სიცილიაზე. აქ ჯერ კიდევ მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა და წვრილი გლეხური მეურნეობა იყო შემორჩენილი. მემამულის მიწები გლეხებს იჯარით ქონდათ

აღებული და საიჯარო გადასახადის სახით ისინი იძულებულნი იყვნენ მემამულისათვის მოსავლის 3/4, ზოგჯერ ნახევარიც კი მიეცათ. აქედან გამომდინარე სამხრეთში ნაკლები იყო სასაქონლო პროდუქციის წარმოება, უმნიშვნელო იყო ფერმერულ მეურნეობათა რიცხვი, რაც განაპირობებდა სამხრეთის რეგიონების და საბოლოო ჯამში მთელი იტალიის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობას საფრანგეთთან, გერმანიასთან და სხვა მოწინავე ქვეყნებთან შედარებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით პირველ მსოფლიო ომამდე იტალიის სოფლის მეურნეობა მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას ხორბალზე. ხორბლის 1/3 უცხოეთიდან შემოდიოდა.

ქვეყნის გაერთიანებამ და ერთიანი საშინაო ბაზრის ფორმირებამ იტალიის მრეწველობის განვითარებას დიდი სტიმული მისცა. 70-იან წლებში იტალიის მრეწველობა თანდათან იწყებს მანუფაქტურულ სტადიიდან ფაბრიკულ-მანქანურ სტადიაზე გადასვლას. ე.ი იწყება სამრეწველო გადატრიალების ანუ ინდუსტრიალიზაციის პროცესი. მაგრამ სამხრეთში არსებული მემამულური მიწათმფლობელობა და მცირე მიწიანი გლეხების დაბალი მსყიდველობითი უნარი აქ მრეწველობის განვითარებას ხელს უშლიდა. ამიტომ მრეწველობის წინსვლა ნელი ტემპით ძირითადად ჩრდილოეთის და ნაწილობრივ ცენტრალურ პროვინციებში მიმდინარეობდა.

სამრეწველო გადატრიალებამ ყველაზე მეტად თავი იჩინა საფეიქრო მრეწველობაში, განსაკუთრებით აბრეშუმის, ბამბის და ქაღალდის წარმოებაში. 80-იანი წლების დამდეგს აღნიშნულ დარგებში ფაბრიკამ საბოლოოდ გამოდევნა მანუფაქტურა. 1875-1899 წლებში იტალიიდან საზღვარგარეთ გატანილი აბრეშუმის ქსოვილების საერთო ღირებულება 4-იდან 11 მილიონ ლირამდე გაიზარდა.

ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სარკინიგზო მშენებლიობა. 1875 წელს სარკინიგზო ქსელის საერთო სიგრძემ 7675 კილომეტრი შეადგინა. მეტად ინტენსიური იყო სავაჭრო ფლოტის მშენებლობა, მისმა ტონაჟმა 1877 წელს 1 მლნ. ტონას

მიაღწია. ამ მაჩვენებლით იტალია მსოფლიოში მესამე ადგილზე გამოვიდა. სარკინიგზო მშენებლობამ და სავაჭრო ფლოტის განვითარებამ გარკვეული ბიძგი მისცა მანქანათმშენებლობის წინსვლას, თუმცა ეს დარგი 70-იან წლებში ჯერ კიდევ სუსტი იყო და მხოლოდ რამოდენიმე მსხვილ საწარმოს მოითვლიდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სამთო მრეწველობასა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგებში. ეს დარგები ჩამოყალიბების სტადიაში იყვნენ. უნდა ითქვას, რომ 70-იან წლებში მრეწველობის წილი ეროვნულ შემოსავალში ჯერ კიდევ ძალიან მცირე იყო და მხოლოდ 17%-ს (1881 წლისათვის). უდრიდა.

XIX ს-ის 80-იან წლების მეორე ნახევარში და 90-იან წლებში მთავრობის მიერ გატარებულმა პროტექციონისტურმა პოლიტიკამ იტალიის მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვნად დააჩქარა. 1887 წელს უცხოეთიდან იმპორტირებულ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმზე მეტად მაღალი საბაჟო ტარიფები იქნა დაწესებული. საკმაოდ დაჩქარდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი. XIX სუკუნის ბოლოს მანქანურმა წარმოებამ მრეწველობის ძირითად დარგებში მოიკიდა ფეხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეტალურგიის განვითარება, რომელსაც მთავრობა აფინანსებდა. 1889 წელს იტალიის მეტალურგიული ქარხნები 58 ათას ტონა ფოლადს აწარმოებდნენ. შეიქმნა ელექტრონული მრეწველობის დარგი. 1883 წელს აშენდა პირველი თბოელექტროსადგური, ხოლო 1899 წელს__პირველი ჰიდროელექტროსადგური. კუნძულ ელბაზე რკინის მადნის ინტენსიური მოპოვება დაიწყო. 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ქიმიური მრეწველობის დარგიც. ამ სფეროში გაბატონებული პოზიციები მსხვილმა ფირმებმა ,,მონტეკატინიმ“ და ,,პირელიმ“ მოიპოვეს. გაჩნდა მრეწველობის სხვა ახალი დარგები, მაგალითად კვების მრეწველობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ქვეყნის ეკონომიკაში გაიზარდა ბანკების როლი. ისეთმა მსხვილმა ბანკებმა როგორებიც იყო: ,,ბანკა დი რომა“, ,,ბანკა კომერჩიალე“ და

„ბანკო კრედიტო იტალიანო“ ფინანსურ სფეროში წამყვანი ადგილი მოიპოვეს.

საშინაო ვითარება. თავისი სახელმწიფო წყობით იტალიის სამეფო კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენდა. აღმასრულებელ ხელისუფლებას მთლიანად მეფე ანხორციელებდა. იტალიის სამეფოში ჯერ კიდევ 1848 წელს მიღებული სარდინიის სამეფოს კონსტიტუცია მოქმედებდა, რომლის მიხედვითაც მეფე სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა. იგი სარდლობდა არმიას, შეეძლო გამოეცხადებინა ომი ან დაედო ზავი. მეფეს უფლება ქონდა სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან პარლამენტის თანხმობის გარეშე გაეფორმებინა. პარლამენტის ორივე პალატის თანხმობა საჭირო მხოლოდ ისეთი ხელშეკრულებისათვის იყო, რაც სახელმწოფო ფინანსებს ან ქვეყნის ტერიტორიულ ცვლილებებს ეხებოდა. მეფის კომპეტენციაში აგრეთვე მინისტრების და სხვა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების დანიშვნაც შედიოდა. მეფეს პარლამენტის დათხოვნაც შეეძლო.

საკანონმდებლო ხელისუფლებას იტალიაში პარლამენტი ანხორციელებდა. პარლამენტის ზედა პალატის, სენატის წევრები თავიანთ თანამდებობებზე მეფის მიერ სამუდამოდ ინიშნებოდნენ. სენატის წევრები აგრეთვე სამეფო ოჯახის წარმომადგენელი პრინცებიც ხდებოდნენ. პარლამენტის ქვედა, დეპუტატთა პალატა არჩევითი ორგანო იყო. პალატაში დეპუტატთა არჩევა 1860 წელს. მიღებული საარჩევნო კანონის საფუძველზე ხდებოდა, რომელიც ხმის უფლებას ანიჭებდა მხოლოდ 25 წელს გადაცილებულ მამაკაცებს, რომლებმაც იცოდნენ წერა-კითხვა და წლიურად 40 ლირის ოდენობით სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ. ასეთი საარჩევნო კანონი ამომრჩეველთა რიცხვს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. მაგალითად 70-იან წლებში იტალიის 27 მილიონიანი მოსახლეობიდან ხმის უფლება მხოლოდ 600 ათას კაცს. ქონდა. გარდა ზემოთაღნიშნულისა, იტალიის კონსტიტუცია აცხადებდა კანონის წინაშე. სამეფოს ყველა ქვეშერდომის თანასწორობას

და პირადი თავისუფლების, პრესის თავისუფლების, საცხოვრებლის და საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიებს იძლეოდა.

იტალიის ერთიანი სამეფოს არსებობის პირველ პერიოდში, კერძოდ 1876 წლამდე, პარლამენტში ადგილების უმრავლესობა ე.წ. „მემარჯვენეთა“ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა, რომლის ლიდერები ჯოვანი ლანცა, კვინტინო სელა და მარკო მინგეტი იყვნენ. სწორედ მემარჯვენეებმა ჩამოაყალიბეს საბოლოოდ გაერთიანებული იტალიის პირველი მთავრობები (პრემიერ მინისტრ ლანცას მთავრობა 1869-1873 წ.წ., მინგეტის მთავრობა 1873-1876 წ.წ.) მემარჯვენეები ძირითადად მსხვილი მიწათმფლობელების და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. ისინი სახელმწიფო მმართველობის კონსტიტუციურ-მონარქიულ ფორმას უჭერდნენ მხარს. მემარჯვენეებს „მემარცხენეთა“ პოლიტიკური დაჯგუფება ედგა ოპოზიციაში მემარცხენეები პარლამენტში უმცირესობაში იყვნენ. ისინი საშუალო, ძირითადად სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსური ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. მემარცხენეებიც კონსტიტუციური მონარქიის რეჟიმს უჭერდნენ მხარს, მაგრამ მემარჯვენეებისაგან განსხვავებით, რეჟიმის შემდგომ დემოკრატიზაციას მოითხოვდნენ. მემარცხენეთა ლიდერები აგოსტინიო დეპრეტისი, ფრანჩესკო კრისპი და ბენედეტო კაიროლი იყვნენ.

თავიანთი მმართველობის პერიოდში (1869-1876 წლებში) მემარჯვენეებმა, კერძოდ ლანცას და მინგეტის მთავრობებმა მთავარი ყურადღება სახელმწიფო ფინანსებს და პაპის პრობლემას დაუთმეს.

გაერთიანებული იტალიის არსებობის პირველ წლებში სახელმწიფო ხაზინა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაერთიანების პროცესმა დიდი ფინანსური სახსრები შთანთქა. ავსტრიასთან ომი 1859 წელს 443 მილიონი ლირა დაჯდა, ხოლო 1861-1870 წლებში მარტო სამხედრო საჭიროებისათვის 2 943 000 000 ლირა დაიხარჯა. ამას სახელმწიფო აპარატის და

პოლიციის შენახვის, აგრეთვე სარკინიგზო მშენებლობის დაფინანსებისათვის გაღებული ხარჯებიც ემატებოდა. ასე რომ საერთო ჯამში დანახარჯმა აღნიშნულ წლებში 10 მილიარდ ლირას მიაღწია. ნაწილობრივ ამ უზარმაზარი ხარჯების დაფარვა სახელმწიფო სესხების მეშვეობით ხდებოდა, რის გამოც 1876 წლისათვის სახელმწიფო ვალმა 9 162 000 000 ლირას მიაღწია, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის ხელისუფლებამ მთავარი აქცენტი სახელმწიფო გადასახადებზე გადაიტანა, რაც სულ უფრო იზრდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა (მაგ: შემოღებული იქნა გადასახადი მარილზე და მარცვლეულის დაფქვაზე). იტალიის ფისკალური სისტემა დასავლეთ ევროპაში ყველაზე ანტიდემოკრატიული და მძიმე იყო.

1870 წელს,. როდესაც შემოერთებული იქნა პაპის ოლქი და დედაქალაქი რომში იქნა გადმოტანილი (რითაც იტალიის გაერთიანება საბოლოოდ დამთავრდა), სახელმწიფო ხელისუფლებასა და პაპს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა. მთავრობამ გადაწყვიტა კონფლიქტი კომპრომისის გზით მოეგვარებინა. 1871 წელს პარლამენტმა მიიღო ე.წ. კანონი „გარანტიების შესახებ“, რომლის მიხედვითაც პაპი ხელშეუხებელ პიროვნებად ცხადდებოდა. სახელმწიფო პაპს უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების ფუნქციების განხორციელებაში აბსოლუტურ.თავისუფლებას ანიჭებდა. ამ მიზნით სახელმწიფო ხაზინიდან პაპს ყოველწლიურად 3225000 ლირა ეძლეოდა. პაპს სამუდამო საკუთრებაში გადაეცა ვატიკანის და ლატერანის სასახლეები რომში და უცხოეთის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების უფლება მიეცა. მიუხედავად ამ დათმობებისა პაპი პიუს IX, რომელსაც საფრანგეთის მონარქისტული წრეების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, იტალიის მთავრობას ჯიუტად არ ცნობდა. მან თავი „ვატიკანის ტყვედ“ გამოაცხადა და შეაჩვენა რომის აღების ყველა მონაწილე შეაჩვენა. სპეციალური ენციკლიკით პიუს IX-მ იტალიელ კათოლიკეებს მოუწოდა

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამგვარად კონფლიქტი მაინც მოუგვარებელი დარჩა.

ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში მემარჯვენეები სახელმწიფოს შიგნით მკაცრ ცენტრალიზაციას ანხორციელებდნენ. მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კომუნების უფლებები. მთელ ძალაუფლებას ადგილებზე ფაქტიურად მეფის მიერ დანიშნული პრეფექტები ანხორციელებდნენ. იმისათვის რათა იტალიური საქონელი მსოფლიო ბაზარზე გასულიყო, მემარჯვენეები თავისუფალი ვაჭრობის კურსს ატარებდნენ, რაც უცხოურ საიმპორტო საქონელზე დაბალ საბაჟო გადასახადს გულისხმობდა. ამის შედეგად იტალიის საშინაო ბაზარზე ფართოდ აღწევდა უცხოური საქონელი. ერთი მხვრივ ეს ხელს აძლევდა იტალიელ მეწარმეებს, რადგან მათ შესაძლებლობას უქმნიდა იაფად შეეძინათ უცხოური ნედლეული და ტექნიკა, მაგრამ ამავე დროს მეორე მხვრივ, შემოსული უცხოური საქონლის კონკურენცია იმავე იტალიელ მეწარმეებს საშინაო ბაზარზე სერიოზულ პრობლემებსაც უქმნიდა.

70-იანიწლების შუახანებში მემარჯვენეთა პოზიციები იტალიის საშინაო-პოლიტიკურ ასპარესზე მნიშვნელოვნად შესუსტდა. ისინი საზოგადოებრივი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცნენ. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა მძიმე საგადასახადო სისტემა, რომელიც ყველაზე მეტად სულს სამხრეთ იტალიის მცირემიწიან და ღარიბ გლეხობას უხუთავდა. განსაკუთრებით საძულველი გლეხობისათვის მარცვლეულის დაფქვაზე არსებული.გადასახადი იყო. სამხრეთში აღნიშნული გადასახადის გაუქმების მოთხოვნით გლეხთა მასობრივ ანტისამთავრობო გამოსვლებსაც კი ქონდა ადგილი. მემარჯვენეებით უკმაყოფილნი იყვნენ იტალიელი მეწარმეებიც, რომლებიც მთავრობისაგან თავისუფალი ვაჭრობის კურსზე უარის თქმას და პროტექციონისტური საბაჟო ტარიფების დაწესებას მოითხოვდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ სარკინიგზო მშენებლობაში დასაქმებული მეწარმეებიც, რომლებიც რკინიგზების სახელმწიფოს ხელში გადასვლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ,

რადგან მათი ექსპლოატაცია სწრაფ და მაღალ მოგებას იძლეოდა. 1876 წელს მემარჯვენეების მიერ პარლამენტში გადატანილმა კანონპროექტმა რკინიგზების სახელმწიფოს ხელში გადასვლის შესახებ, მემარცხენეების (რომლებიც უკვე პარლამენტში საკმაოდ მომრავლდნენ) დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ამას მარკო მინგეტის მთავრობის გადადგომა მოჰყვა. მთავრობის სათავეში მემარცხენეები მოვიდნენ. მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა აგოსტინიო დეპრეტისიმ პრემიერ მინისტრის პოსტი დაიკავა და მეფის დავალებით ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა.

თავიანთ პროგრამაში მემარცხენეები საზოგადოებას რიგი რეფორმების გატარებას პირდებოდნენ, კერძოდ: საარჩევნო კანონის გადასინჯვა და მისი დემოკრატიზაცია, სავალდებულო, უფასო დაწყებითი განათლების დაწესება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის გაფართოება, ფისკალური სისტემის რეფორმირება.

უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რაც ახალმა მთავრობამ გაატარა, ეს 1882 წელს მიღებული ახალი საარჩევნო კანონი იყო. ამ კანონის მიხედვით ამომრჩეველთა ასაკობრივი ცენზი 21 წლამდე შემცირდა, ხოლო ქონებრივი ცენზი წლიური მინიმალური გადასახადის სახით 19,8 ლირამდე დავიდა. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ამ რეფორმით 600 ათასიდან 2 მილიონამდე გაიზარდა. რაც შეეხება საგადასახადო (ფისკალურ) სისტემას, რეფორმა აქაც იქნა გატარებული. შემცირდა მიწის გადასახადი, გადასახადი მარილზე, გაუქმდა გადასახადი მარცვლეულის დაფქვაზე. 1885 წელს მთავრობამ მთელი სარკინიგზო ქსელი კერძო მფლობელობაში სამ დიდი კომპანიას გადასცა, რომელთაც მსხვილი ბანკები „კრედიტო მობილიარე“, „ბანკა დი ტორინო“ და „ბანკა ჯენერალე“ აფინანსებდნენ. 1876 წლიდან იტალიაში იმპორტირებულ მზა ნაწარმსა და ნახევარფაბრიკატებზე პროტექციონისტური საბაჟო ტარიფები იქნა შემოღებული. ეს ტარიფები შემოტანილი საქონლის ღირებულების 10% დან 40%-მდე მერყეობდა. საერთოდ

80-იან წლებში პროტექციონიზმი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპად იქცა.

ხელისუფლების სათავეში მყოფი მემარცხენეთა პოლიტიკური დაჯგუფება ერთგვაროვან ძალას არ წარმოადგენდა. 80-იანი წლების შუახანებიდან ამ დაჯგუფებას თანდათან რადიკალების და რესპუბლიკელების პოლიტიკური მიმდინარეობები გამოეყო, რომლებიც შემდეგ პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბდნენ (რადიკალური პარტია 1891 წელს შეიქმნა. რესპუბლიკური პარტია კი__1896 წელს). რადიკალები (მათი ლიდერი იყო კავალოტი) მხარს უჭერდნენ კონსტიტუციური მონარქიის რეჟიმს, მაგრამ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას და მეფის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების შეკვეცის ხარჯზე პარლამენტის უფლებამოსილების გაფართოებას მოითხოვდნენ. რადიკალებს ძირითადად ქალაქების წვრილი ბურჟუაზია.უჭერდა მხარს. რადიკალებისაგან განსხვავებით რესპუბლიკელები კონსტიტუციური მონარქიის რეჟიმის გაუქმებასა და რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვდნენ.ამავე დროს ისინი საზოგადოებას საგადასახადო სისტემის კარდინალურ გარდაქმნასაც აღუთქვამდნენ. რესპუბლიკელებს (რომელთა ლიდერი იყო ბერტანი) ნაწილობრივ წვრილი ბურჟუაზია და ნაწილობრივ მუშებიც უჭერდნენ მხარს.

მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენეების მიერ შემოღებული პროტექციონისტური საბაჟო ტარიფების შემდეგ იტალიის ეკონომიკას გარკვეული წინსვლა დაეტყო, მაინც იტალია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით მოწინავე ქვეყნებს დიდად ჩამორჩებოდა. აქედან გამომდინარე სამხედრო თვალსაზრისითაც. მათთან შედარებით იტალია ბევრად უფრო სუსტი იყო. მას არ გააჩნდა კოლონიური იმპერია და ვერც.ასრულებდა წამყვან როლს. სამეფო ხელისუფლება და მასთან დაახლოებული ელიტარული პოლიტიკური წრეები აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს ძლიერი, ავტორიტარული, თითქმის დიქტატორული მმართველობის დამყარებაში ხედავდნენ. ასეთ მმართველობას

მტკიცე ხელით უნდა დაეთრგუნა ანარქისტური და რევოლუციური სოციალიზმის პოლიტიკური მიმდინარეობანი, უზრუნველყო ქვეყნის შინაგანი სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება და საბოლოოდ იტალიის პოზიციების გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე. ძლიერი მმართველის როლისათვის შესაფერის ფიგურად მემარცხენეთა ერთ-ერთი ლიდერი, თავადაც ავტორიტატარული მმართველობის მომხრე ფრანჩესკო კრისპი იქნა მიჩნეული, რომელსაც დეპრეტისის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

1887 წელს დეპრეტისის გარდაცვალების შემდეგ, მეფე უმბერტო I-მა (1878-1900) კრისპი პრემიერ მინისტრად დანიშნა. ჩაუდგა რა მთავრობას სათავეში, უპირველეს ყოვლისა კრისპიმ პირადი უფლებამოსილებანი გააფართოვა. პრემიერ-მინისტრის პოსტის გარდა მას შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტებიც ეპყრა ხელთ. თავის მმართველობაში კრისპი პარლამენტისაგან მაქსიმალურად დამოუკიდებლად მოქმედებას ცდილობდა.

კრისპის მმართველობის პერიოდში იტალიის მთავრობასა და ვატიკანს შორის კვლავ დაძაბული რჩებოდა. პაპი საფრანგეთის მონარქისტული წრეების მხარდაჭერით იტალიის მთავრობას მკვეთრად უპირისპირდებოდა. კრისპის მთავრობამ ვატიკანის საწინააღმდეგოდ რამოდენიმე ღონისძიება გაატარა. სახალხო სკოლებში გაუქმდა საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლება, გაუქმებული იქნა საეკლესიო მეათედიც. მკაცრი სასჯელიდაწესდა იმ სასულიერო პირების მიმართ, რომლებიც იტალიის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობასა ან პროპაგანდაში იქნებოდნენ შემჩნეულნი. კრისპის მთავრობა ენერგიულად იბრძოდა ანარქისტებისა და რევოლუციონერი სოციალისტების წინააღმდეგ, რადგან ისინი მუშებს არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებდნენ. 1889 წელს მიღებული იქნა კანონი გაფიცვების შესახებ, რომლის მიხედვითაც კანონის დარღვევად მიიჩნეოიდა ისეთი გაფიცვა, რომლის მონაწილენი მიმართავდნენ ძალადობას ან ძალადობის

მუქარასაც კი. აიკრძალა მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციები. იმავე წელს მიღებული იქნა კანონი ,,საზოგადოებრივი უშიშროების“ შესახებ, რომელიც შეიარაღებულ ადამიანთა შეკრებას კრძალავდა. 1893 წელს იტალიის სამხრეთში გლეხთა მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლები დაიწყო. გლეხთა მღელვარების მიზეზი იყო მოუსავლიანობა, მცირემიწიანობა, მიწის მაღალი საიჯარო გადასახადი და მიწათმფლობელთა თვითნებობა იყო. ეს გამოსვლები, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერი სიცილიაში იყო, მასობრივ უწესრიგობებში გადაიზარდა. გლეხები ანგრევდნენ მუნიციპალიტეტების შენობებს, წვავდნენ საგადასახადო დოკუმენტებს. გამოსვლებს ე.წ. ,,მშრომელთა კავშირები“ (იტალიურად ,,ფაში დეი ლავორატორი“) ხელმძღვანელობდნენ. ეს ორგანიზაციები მთავრობისაგან როგორც მიწის საიჯარო გადასახადის, ისე სახელმწიფო გადასახადების შემცირებას მოითხოვდნენ. გლეხთა ამ გამოსვლებს სოციალისტებმაც დაუჭირეს მხარი. კრისპის მთავრობამ სიცილიაში ჯარები გადასხა. ,,მშრომელთა კავშირები“ დაშალეს. გამოსვლების 2 ათასამდე მონაწილე კი ციხეში ჩასვეს. 1894 წელს კრისპის მთავრობის მიერ მიღებული იქნა კანონი ,,საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საგანგებო ღონისძიებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც აიკრძალა სოციალისტური პარტიის საქმიანობა. აიკრძალა აგრეთვე მუშათა ორგანიზაციები, ე.წ. ,,შრომის პალატებიც“.

კრისპის დიქტატორულმა მეთოდებმა დემოკრატიის მომხრეთა უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობას რადიკალური, რესპუბლიკური და სოციალისტური პარტიები დაუპირისპირდნენ. 1896 წელს ეთიოპიაში იტალიის კოლონიური არმიის მიერ განცდილი მარცხის გამო კრისპი იძულებული გახდა გადამდგარიყო და პოლიტიკურ მოღვაწეობას საერთოდ ჩამოშორებოდა. ხელისუფლების სათავეში კონსერვატორების (მემარჯვენეების და მემარცხენეების შერწყმის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური დაჯგუფება) წარმომადგენელი

რუდინი მოვიდა. რუდინის კაბინეტი სოციალური დაძაბულობის შეერბილებას შეეცადა. ამნისტირებულნი იქნენ სიცილიის გამოსვლების მონაწილენი. აღსდგა მუშათა ორგანიზაციების და სოციალური პარტიის საქმიანობა. მაგრამ 1898 წლის მოუსავლიანობის გამო მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. გაძვირდა პური და სხვა სასურსათო პროდუქტი, რასაც მუშათა დიდი გამოსვლები მოჰყვა. ქალაქ მილანში მუშებსა და პოლიციას შორის დიდი შეტაკება მოხდა. დაიღუპა და დაიჭრა ასობით ადამიანი. რუდინის მთავრობა გადადგა.

იტალიის უმაღლესმა მმართველმა წრეებმა კვლავ ავტორიტარული მმართველობის დამყარებისაკენ აიღეს გეზი. მეფის დავალებით ახალი მინისტრთა კაბინეტი ლუიჯი პელუმ ჩამოყალიბა. 1899 წლის თებერვალში პელუმ პარლამენტს განსახილველად რიგი საგანგებო კანონპროექტები წარუდგინა: სარკინიგზო და კავშირგაბმულობის მოსამსახურეთა მილიტარიზაცია, კომუნალურ სფეროში დასაქმებულ მუშათა გაფიცვების აკრძალვა, პრესის თავისუფლების შეზღუდვა და სხვ.რის გამოც პელუს მთავრობას რადიკალები, რესპუბლიკელები და სოციალისტები ერთიანი ძალით დაუპირისპირდნენ. გენერალი შეეცადა თავისი კანონპროექტები პარლამენტის გვერდის ავლით, კერძოდ სამეფო დეკრეტის მეშვეობით გაეტარებინა. მაგრამ ამან პარლამენტში ისეთი მწვავე დაპირისპირება გამოიწვია, რომ საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც კი მივიდა. მეფე უმბერტო I-მა (რომელიც პელუს მხარს უჭერდა) პარლამენტი დაითხოვა. მაგრამ ახალ საპარლამენტო არჩევნებში 1900 წელს კვლავ პელუს მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს. 29 ივნისს პელუს მთავრობა გადადგა. 4 ივლისს ანარქისტმა ანჯელო ბრეშიმ უმბერტო I მოკლა. ტახტზე ავიდა ვიქტორ ემანუელ III, რომელიც საზოგადოებას დაჰპირდა, რომ მტკიცედ დაიცავდა კონსტიტუციურ და დემოკრატიულ პრინციპებს და დიქტატურას არ დაუშვებდა

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში იტალიის ეკონომიკურ განვითარებას თან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვის ზრდა სდევდა. საკუნის ბოლოს ქვეყნის მრეწველობაში ჩაბმული იყო 1 მლნ, ხოლო სოფლის მეურნეობაში__2,5 მლნ მუშა. მუშათა ფენა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. სამუშაო დღე 15-16 საათს გრძელდებოდა. იტალიერ მუშათა ხელფასი ინგლისელი და ფრანგი მუშების ანაზღაურებასთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი იყო. არ არსებობდა შრომის კანონმდებლობა. დიდი იყო უმუშევართა რიცხვი. ამიტომ მუშათა რიცხობრივ ზრდასათან ერთად მათი საგაფიცვო მოძრაობის სიმძლავრეც მატულობდა. საერთოდ მუშათა მოძრაობა ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე თანდათან უფრო მზარდ გავლენას ახდენდა.

XIX საუკუნის. 70-იან წლებში და 80-იან წლების დამდეგს იტალიის მუშათა მოძრაობა ანარქისტების გავლენის ქვეშ იყო. ანარქისტები უარყოფდნენ გაფიცვას, როგორც მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საშუალებას. ისინი უარყოფდნენ აგრეთვე პოლიტიკური პარტიის შექმნას, რომელიც საპარლამენტო ბრძოლის გზით განახორციელებდა მშრომელთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. ანარქისტები მშრომელებს მოუწოდებდნენ შეიარაღებული ამბოხების გზით დაენგრიათ სახელმწიფო ხელისუფლება და მასთან ერთად კერძო საკუთრებაც გაეუქმებინათ ანარქისტებმა ორჯერ (1874 წელს ბოლონიის პროვინციაში, ხოლო 1877 წელს ბენვენეტოს პროვინციაში.) სცადეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, მაგრამ ორივეჯერ წარუმატებლად. ამის შემდეგ მუშათა მოძრაობაზე მათი გავლენა თანდათან შესუსტდა და გაიზარდა სოციალისტების გავლენა, რომლებიც მშრომელებს მოუწოდებდნენ შეექმნათ პოლიტიკური პარტია და ცხოვრების პირობების გაუმ ობესებისათვის ერთი მხრივ საგაფიცვო, ხოლო მეორე მხრივსაპარლამენტო ბრძოლით მიეღწიათ.

1882 წელს იტალიელმა სოციალისტებმა იტალიის მუშათა პარტია შექმნეს, რომელსაც ახალგაზრდა მუშა კონსტანტინო ლაძარი ჩაუდგა სათავეში. მაგრამ ამ პარტიის გავლენა მუშათა მოძრაობაზე მხოლოდ ქალაქ მილანით და ლომბარდიის პროვინციით შემოიფარგლებოდა. 80-იან წლებში იტალიაში თანდათან მარქსისტული რევოლუციური სოციალიზმის თეორია გავრცელდა, რომელიც მშრომელებს არსებული სახელმწიფო ხელისუფლების რევოლუციის გზით დაემხობისაკენ და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ მოუწოდებდა. მარქსისტულ იდეებს აქტიურად ქადაგებდნენ ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ანტონიო ლაბრიოლა და ადვოკატი ფილიპო ტურატი. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იტალიის მუშათა მოძრაობაში 1892 წელს ქალაქ გენუაში ჩატარებული სოციალისტების ყრილობა გახდა, რომელზეც იტალიის მშრომელთა პარტიის შექმნა გამოცხადდა და რომელსაც 1895 წელს იტალიის სოციალისტური პარტია ეწოდა. 1896 წელს ამ პარტიის გაზეთის „ავანტის“ პირველი ნომერიც გამოვიდა. პარტიის შექმნაში დიდი როლი ფილიპო ტურატიმ და ანდრეა კოსტამ ითამაშეს. სოციალისტური პარტია ეს უკვე საერთო ეროვნული მასშტაბის მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, რომელიც მუშათა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე იტალიის სოციალისტური პარტია საერთო ჯამშიმარქსისტული რევოლუციური სოციალიზმის პოზიციებზე იდგა, რადგან მასში რეფორმისტ სოციალისტებს. სწორედ ამ თეორიის მომხრეები სჭარბობდნენ. ამას პარტიის პროგრამაც ადასტურებდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ „მშრომელებს შეეძლოთ მიეღწიათ თავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ, როცა წარმოების საშუალებების (მიწა, შახტები, ფაბრიკა-ქარხნები) განსაზოგადოება“ მოხდებოდა. პროგრამაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ მუშებს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად უნდა ებრძოლათ და ეს ძალაუფლება გაბატონებული კლასის ექსპროპრიაციისათვის გამოეყენებინათ.

საგარეო პოლიტიკა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ახალგაზრდა იტალიის სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო. საფრანგეთის მთავრობის მხრიდან პაპის მხარდაჭერის გამო იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა გამწვავებული იყო. დაძაბული რჩებოდა ურთიერთობა ყოფილ კოლონიზატორთან, ავსტრია-უნგრეთის იმპერიასთან. ამ დაძაბულობის მთავარი მიზეზი იტალიაში არსებული ე.წ. „ირედენტისტული“ მოძრაობა იყო, რომლის მიმდევრები იტალიელებით დასახლებული ტერიტორიების, ტრიესტის და სამხრეთ ტიროლის (ტრენტინო) იტალიისათვის შეერთებას მოითხოვდნენ. ეს ტერიტორიები კი ჯერ-ჯერობით ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდნენ. ყველაფერ ამას ემატებოდა ისიც, რომ იმ ეტაპზე ტალიას არ გააჩნდა სერიოზული ეკონომიკური და სამხედრო ძალა და არც მოკავშირეები ყავდა. ამიტომ ქვეყნის მთავრობა იძულებული იყო მეტად ფრთხილი საგარეო პოლიტიკა გაეტარებინა. თითქმის მთელი 70-იანი წლების მანძილზე იტალიის მთავრობის მთელი ძალისხმევა საგარეო ასპარეზზე მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ ერთი მხრივ უზრუნველყო იტალიის საერთაშორისო აღიარება, ხოლო მეორე მხრივ ევროპის ქვეყნებში არსებული პაპის მხარდამჭერი ძალების მიერ ორგანიზებული შესაძლო საგარეო აგრესია თავიდან აეცილებინა.

1878 წლის ბერლინის კონგრესმა იტალიის საერ აშორისო პოზიციების სისუსტე და მისი იზოლაცია ნათლად დაადასტურა. იტალიის პროტესტმა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის ოკუპაციის გამო, ევროპის მოწინავე ქვეყნებზე არავითარი გავლენა არ მოახდინა. იტალიის პრეტენზიები სამხრეთ ტიროლის და ალბანეთის ტერიტორიებზე უარყოფილი იქნა. ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო არენაზე იტალიას ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ.

80-იანი წლების დამდეგიდან, ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის გარკვეულწილად მომძლავრების შემდეგ, იტალიის მმართველმა წრეებმა ჩრდილოეთ და ჩრდილო-

აღმოსავლეთ აფრიკაში კოლონიების დაპყრობისაკენ აიღეს გეზი. მაგრამ აქტიური კოლონიური პოლიტიკა ძლიერი მოკავშირის ყოლას მოითხოვდა. სწორედ ამან იტალიის მთავრობას გერმანიასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დაემყარებისაკენ უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც უკვე აღინიშნა იტალიას გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთთან დაძაბული ურთიერთობა ქონდა. 1881 წელს საფრანგეთის მიერ ტუნისის დაპყრობამ იტალიის კოლონიზატორულ მისწრაფებებს სერიოზული დარტყმა მიაყენა და იტალია-გერმანიის დაახლოება კიდევ უფრო დააჩქარა.

1882 წელს იტალიამ გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რითაც სამთა კავშირის (გერმანია-ავსტრია-იტალია) სამხედრო ბლოკი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. განიმტკიცა რა თავისი საერთაშორისო პოზიციები, იტალიამ (გერმანიის დახმარებით) არმიის გადაიარაღება და რიცხობრივი შემადგენლობის გაზრდა (430 ათას ჯარისკაცამდე) განახორციელა. ამის შემდეგ იტალიელები აფრიკაში კოლონიალურ დაპყრობებს შეუდგნენ. 1882 წელს იტალიის პირველ კოლონიად წითელი ზღვის სანაპიროზე ასსაბის ყურის მიმდებარე ტერიტორია იქცა. 1885 წელს კი იტალიის ჯარმა პორტი მასსაუა დაიკავა. ამ ტერიტორიებზე დაყრდნობით 1887 წელს იტალიელებმა ეთიოპიის (აბისინიის) სიღრმეში შეღწევა სცადეს, მაგრამ დოგალთან ეთიოპელთა ლაშქარმა იტალიელები დაამარცხა და უკუაქცია.

80-იანი წლების მეორე ნახევარში იტალია-გერმანიის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა. 1887 წელს იტალიის პრემიერ-მინისტრი კრისპი გერმანიის კანცლერ ბისმარკთან მოსალაპარაკებლად ბერლინში გაემგზავრა. 1888 წელს იტალია გერმანიის სამხედრო კონვენციას მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც საფრანგეთ-გერმანიის ომისშემთხვევაში იტალია ვალდებულებას იღებდა საფრანგეთისათვის იტალია-საფრანგეთის ალპურ საზღვარზე შეეტია და ამასთან ერთად გერმანიის დასახმარებლად რაინზე 6 საარმიო კორპუსი და 3

საკავალერიო დივიზია გადაესროლა. იმავე წლის ოქტომბერში რომში ვიზიტით ტახტზე ახლადასული გერმანიის იმპერატორი ვილჰემ II ჩამოვიდა.

იტალია-გერმანიის დაახლოება კიდევ უფრო ამწვავებდა იტალია-საფრანგეთის ურთიერთობას. ამას იტალიის მთავრობის მიერ გატარებული პროტექციონისტური საბაჟო-სატარიფო ღონისძიებებიც დაემატა, რაც საფრანგეთის პროდუქციისათვის იტალიის ბაზრის დახურვას ნიშნავდა. საფრანგეთმა ამას ანალოგიური ზომებით უპასუხა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იტალიის გერმანიასთან დაახლოებით იტალია-ავსტრიის წინააღმდეგობანი და ბალკანეთში მათი მეტოქეობა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. იტალია-ავსტრიას შორის ურთიერთობა კვლავაც დაძაბული რჩებოდა, რაც სამთა კავშირის ბანაკს სერიოზულად ასუსტებდა.

ეყრდნობოდა რა გერმანიის გარკვეულ მხარდაჭერას, 80-იანი წლების ბოლოდან იტალიამ აფრიკაში.კოლონიური ექსპანსია კვლავ გააააქტიურა. ადრე დაპყრობილი ტერიტორიები კოლონია ერიტრეას სახელწოდებით იქნენ გაერთიანებული. 1888 წელს იტალიელებმა შეაღწიეს სომალში და იქაც გარკვეული ტერიტორტია დაიპყრეს. 1895 წელს იტალიამ ეთიოპიის წინააღმდეგ ახალი აგრესია წამოიწყო. იტალიელები შეეცადნენ ეთიოპიის იმპერატორ მენელიკ II-ის მიმართ არსებული ეთიოპელ ტომთა ზოგიერთი ბელადის უთანხმოებანი გამოეყენებინათ. იტალიის კოლონია ერიტრეას გუბერნატორმა, გენერალმა ბარატიერიმ ისარგებლა, რა ეთიოპიის ერთ ერთი პროვინციის, ტიგრეს გამგებლის, მანგაშას მენელიკ II-ის წინააღმდეგ ამბოხებით, ტიგრე დაიკავა. მაგარამ იტალიელთა მიერ ტიგრეს ოკუპაციამ იმდენად აღაშფოთა მანგაშა, რომ იგი იმპერატორს შეურიგდა. 1895 წლის დეკემბერში იმპერატორმა მენელიკ II-მ, რომელმაც ყველა ტომის გაერთიანება შეძლო, ამბასთან გამართულ ბრძოლაში იტალიელებს მძიმე მარცხი აგემა. ამ მარცხის და ეთიოპიელთა დიდი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, პრემიერ მინისტრ კრისპის დაჟინებული მოთხოვნით

გენერალმა ბარატიერიმ კვლავ შეტევაზე გადასვლა სცადა. მაგრამ 1896 წლის მარტში ქალაქ ადუასთან გამართულ ბრძოლაში ეთიოპელებმა იტალიელთა 10 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. იტალიელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 6600 ჯარისკაცი დაკარგეს, ხოლო 1500 ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა.

ეთიოპიაში განცდილი მარცხის შემდეგ იტალიის საგარეო პოლიტიკაში გარკვეული შემობრუნება იწყება. იტალიის მმართველი წრეები თანდათან სამთა კავშირის ბლოკიდან ჩამოშორების და საფრანგეთთან დაახლოების ტენდენციას ამჟღავნებენ. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით 1896 წლის სექტემბერში იტალია-საფრანგეთს შორის ხელმოწერილი სამი სპეციალური კონვენცია იყო, რომელთა მიხედვითაც იტალიამ ცნო საფრანგეთის პროექტორატი ტუნისზე. სამაგიეროდ საფრანგეთიმა იტალიას ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მხარდაჭერა აღუთქვა.

2. იტალია 1900-1914 წლებში

ეკონომიკური ვითარება. XIX საუკუნის დამდეგიდან იტალიის ეკონომიკის განვითარების ტემპი შესამჩნევად დაჩქარდა. 1900-1914 წლებში იტალია აგრარული ქვეყნიდან თანდათანობით აგრარულ ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა. განსაკუთრებით სწრაფი იტალიის მრეწველობის განვითარების ტემპი იყო. აღნიშნულ პერიოდში სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა 117 ათასიდან 244 ათასამდე გაიზარდა, ხოლო საერთოდ მთელი მრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულება 2-იდან 4,7 მილიარდ ლირამდე გადიდდა. ქვეყნის მთელი ეროვნული შემოსავალი კი 10,1 მილიარდი ლირიდან 19,1 მილიარდ ლირამდე ამაღლდა. 1914 წლისათვის ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის წილი უკვე 32%-ს უდრიდა. იტალიის მრეწველობის წამყვან დარგად ძველებურად საფეიქრო მრეწველობა რჩებოდა. ტექნიკური გადაიარაღების შედეგად ამ დარგმა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე კონკურენციას წარმატებით გაუძლო და გარკვეულწილად წინაც წაიწია. ვითარდებოდა კვების

მრეწველობა. განსაკუთრებით კი შაქრის წარმოება, რომელიც 1900-1913 წლებში 5 ჯერ გაიზარდა (60 ათ. ტონიდან 300 ათ. ტონამდე). აღსანიშნავია აგრეთვე თაქმბაქოს წარმოების ზრდაც. წინ მიიწევდა მეტალურგიული მრეწველობა. 1900-1913 წლებში თუჯის გამოდნობა 24 ათ. ტონიდან 426 ათ. ტონამდე, ხოლო ფოლადის გამოდნობა 158 ათ. ტონიდან 846 ათ. ტონამდე გაიზარდა. მრეწველობის ერთ-ერთ მიშვნელოვან დარგად ელექტროენერგიის წარმოება იქცა, რასაც ქვეყნის მდიდრი ჰიდრორესურსები უწყობდა ხელს. 1901-1913 წლებში ელექტროენერგიის წარმოება 220 მლნ. კილოვატსაათიდან 2 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზარდა (ე.ი. გაათმაგდა). დაწინაურდა ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით კი რეზინის, მინერალური სასუქების და ელექტროქიმიური წარმოება. დაწინაურდა მანქანათმშენებლობაც. განსაკუთრებით კი გემთმშენებლობის, სარკინიგზო მოწყობილობათა და იარაღის დამამზადებელი დარგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საავტომობილო მრეწველობა, რომელიც მეწველობის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. 1907 წლისათვის ამ დარგში 70 ფირმა იყო ჩაბმული, რომელთა საერთო კაპიტალი 90 მლნ. ლირას შეადგენდა. იტალიური ავტომობილები საერთაშორისო ბაზარზე ფრანგულ და გერმანულ ავტომობილებს მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდნენ. 1900-1913 წლებში სახელმწიფოს, კერძო ფირმების და ბანკების მიერ დაბანდებული თანხების საერთო რაოდენობა მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ მრეწველობაში 232.1 მილიონიდან 963.2 მილიონ ლირამდე გაიზარდა.

მიუხედავად მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპისა, სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით იტალია რიგ მოწინავე ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. მაგალითად საკმარისია აღინიშნოს, რომ 1913 წელს იტალიაში გამოდნობილი იქნა 14-ჯერ ნაკლები ფოლადი და თუჯი ვიდრე გერმანიაში, 8-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში და 7-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში. იტალიის სამრეწველო განვითარების შედარებითი ჩამორჩენილობა უპირველეს ყოვლისა სამხრეთის რეგიონში

არსებული ფეოდალური მიწათმფლობელობით იყო განპირობებული. ამაში აგრეთვე დიდ როლს სხვადასხვა ნედლეულით და წიაღისეულით (განსაკუთრებით რკინით და ქვანახშირით) ქვეყნის სიღარიბე თამაშობდა

მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპთან ერთად კონცენტრაციის პროცესიც დაჩქარდა. ახლად შექმნილი მსხვილი ფირმები მსხვილ სამრეწველო საწარმოებს ფლობდნენ, სადაც საშუალოდ 3-4 ათასი მუშა იყო დასაქმებული. თუმცა ასეთი საწარმოთა რიცხვი საერთო ჯამში მცირე იყო. საწარმოთა 95% წვრილ სამრეწველო დაწესებულებებს წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ 10 კაცი მუშაობდა. მსხვილ ფირმებს მრეწველობის ამა თუ იმ დარგში წამყვანი ადგილი ეკავათ. 1902-1905 წლებში გიგანტური გაერთიანება, „ტერნი-ილვა“ ჩამოყალიბდა, რომელიც ქვეყანაში თუჯის წარმოებას მთლიანად აკონტროლებდა. მის ხელში იყო აგრეთვე ფოლადის წარმოების 58%. ქიმიური მრეწველობა თითქმის მთლიანად კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში შექმნილმა გიგანტებმა, „მონტეკატინიმ“ და „პირელიმ“ იგდეს ხელთ. მანქანათმშენებლობაში ფირმები „ორლანდო”, „ოდერო“, „ანსალდო“, ბრედა და ოფიჩინე დი სავინიანო გამოირჩეოდნენ, ხოლო ელექტრონულ მრეწველობაში, როლს ფირმები, „ედისონი“, „ბრეშიანა“ და „ლა ჩენტრალე“ ასრულებდნენ (მაგალითად ფირმა „ედისონის“ ხელთ იყო ქვეყნის ელექტროსადგურების ნახევარი). საავტომობილო მრეწველობაში გაბატონებული პოზიციები ფირმებმა „ფიატიმ“, „სპამ“ და „ლანჩამ“ მოიპოვეს (მაგალითად „ფიატის“ საწარმოებში ქალაქ ტურინში 5 ათ. კაცი მუშაობდა. ფირმის კაპიტალი 17 მლნ. ლირას უდრიდა).

იტალიის მრეწველობის განვითარებაში უდიდეს როლს კონცენტრაციის შედეგად შექმნილი მსხვილი ბანკები თამაშობდნენ, რომლებიც მსხვილ ფირმებს აფინანსებდნენ. მათ შორის სამი უმსხვილესი ბანკი, „ბანკა დი რომა“, „ბანკა კომერჩიალე იტალიანა“ და „კრედიტო იტალიანოა“ აღსანიშნავი,

რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს დაარსდა. მსხვილი იტალიური ფირმების დაფინანსებაში მნიშვნელოვნად მონაწილეობას სახელმწიფოც იღებდა. სახელმწიფო ხაზინის კაპიტალდაბანდებანი განსაკუთრებით დიდი მეტალურგიულ მრეწველობასა და სარკინიგზო მშენებლობაში იყო.

იტალიის მრეწველობაში დიდი გავლენა უცხოურ კაპიტალსაც ქონდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით ძლიერი ფრანგული კაპიტალის პოზიციები იყო, რომელიც მოკლე ხნით გერმანულმა კაპიტალმა შეავიწროვა. მან მეტალურგიულ მრეწველობასა და მანქანათმშენებლობაში მთელი რიგი საწარმოები იგდო ხელთ. გერმანული კაპიტალი დიდი რაოდენობით ,,იტალიის კომერციულ ბანკშიც“ იყო ინვესტირებული. მაგრამ XX საუკუნის დამდეგიდან, იტალია-საფრანგეთის ურთიერთობების გაუმჯობესების ფონზე ფრანგულმა კაპიტალმა იტალიის ეკონომიკაში. თავისი პოზიციები აღადგინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგული ფირმა ,,კრეზო“, რომელსაც იტალიური ფირმა ,,ანსალდოს“ კუთვნილ ქარხნებში. დიდი თანხები ქონდა დაბანდებული. საკმაოდ ძლიერი პოზიციები იტალიის ეკონომიკაში ინგლისურ კაპიტალსაც ქონდა.

მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპის მიუხედავად, პირველ მსოფლიო ომამდე იტალია მაინც უპირატესად აგრარულ ქვეყნად რჩებოდა. ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. როგორც წინათ, ისე ახლაც, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები ძირითადად ჩრდილოეთ და ნაწილობრივ ცენტრალური იტალიის რეგიონებში ვითარდებოდნენ, სადაც მსხვილი ფერმერული მეურნეობანი არსებობდნენ. რაც შეეხება სამხრეთ იტალიის რეგიონებს, აქ მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა იყო გაბატონებული, რაც სამხრეთში, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა. სამხრეთში არსებული მსხვილი მიწათმფლობელობის გამო

იტალიაში ძალიან დიდი იყო უმიწო, მცირემიწიანი და მოიჯარე გლეხების რაოდენობა. მაგ. 1910 წელს მთელს იტალიაში მცხოვრები დაახლოებით 10 მლნ. გლეხიდან საკუთრებაში მიწის ნაკვეთი (მათ შორის ბევრს ძალიან მცირე ნაკვეთი__0,5 ჰექტარზე ნაკლები) მხოლოდ 1,8 მილიონს ქონდა. დაახლოებით 3,2 მლნ. მოიჯარე გლეხი იყო. ხოლო 4,4 მლნ. გლეხს ნაკვეთი საერთოდ არ გააჩნდა. ისინი ფერმერულ მეურნეობებში დაქირავებული მუშების როლს ასრულებდნენ. რა თქმა უნდა, უმიწო და მცირემიწიანი, აგრეთვე მოიჯარე გლეხების უმრავლესობა სამხრეთ რეგიონებზე მოდიოდა. ასეთი ვითარება იტალიაში თავისუფალი მუშახელის დიდ რაოდენობას ქმნიდა, რომლის ათვისებაც ქვეყნის მრეწველობას ჯერ-ჯერობით არ შეეძლო. ამიტომ სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ იტალიელთა ემიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1900 1914 წლებში ქვეყანა 8 მლნ. ადამიანმა დატოვა, აქედან 46,7% სამხრეთის მცხოვრებლები იყვნენ, რომელთა უმრავლესობა სამშობლოდან სამუდამოდ გადასახლდა.

<u>საშინაო ვითარება</u>. 1900 წლის ზაფხულის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რასაც გენერალ პელუს მინისტრთა კაბინეტის გადადგომა (29 ივნისი) და რამდენიმე დღის შემდეგ 4 ივლისს მეფე უმბერტო I-ის მკვლელობა მოჰყვა, სამეფო კარი და მასთან დაახლოვებული უმაღლესი პოლიტიკური წრეები დარწმუნდნენ, რომ ქვეყანაში დიქტატორულ-ავტორიტარული მმართველობის დამყარების ცდამ მარცხი განიცადა. იტალიის მმართველი წრეებისათვის აშკარა გახდა, რომ ავტორიტარიზმი ქვეყნის საზოგადოების დიდი ნაწილის წინააღმდეგობას იწვევდა, რასაც თან მძიმე სოციალური პირობებით შეწუხებული მუშათა მოძრაობაც ერთვოდა. ყველაფერ ამას კი დიდი შინაგანი დესტაბილიზაციის გამოწვევა შეეძლო, რაც ქვეყნისათვის დამღუპველი იქნებოდა. საჭირო იყო რეფორმები, რაც იტალიას ზემოთ აღნიშნულ საფრთხეს თავიდან ააცილებდა და ქვეყნის შეუფერხებელ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფდა.

გენერალ პელუს მთავრობის გადადგომის შემდეგ 1900 წელს ხელისუფლების სათავეში კონსერვატორ ჯუზეპე სარაკოს მინისტრთა კაბინეტი მოვიდა, რომელსაც დიდხანს არ უარსებია.

სარაკოს მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის საბოლოოდ აღმოფხვრა, რადგან იგი მუშათა საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. 1900 წლის დეკემბერში ქალაქ გენუაში სხვადასხვა დარგის მუშათა დიდმა პოლიტიკურმა გაფიცვამ იფეთქა, რომელიც მთელი ქვეყნის საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. გაფიცვის გამო ქალაქის ადგილობრივმა ხალისუფლებამ მუშათა ორგასნიზაცია შრომის პალატა დაშალა, რამაც გაფიცულთა რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა. გაფიცვამ, რომელიც 4 დღე გრძელდებოდა და რომელშიც 30 ათ. ადამიანი მონაწილეობდა, მთელი ქალაქის და პორტის პარალიზება გამოიწვია. სარაკოს მთავრობა, რომელიც დათმობებზე წავიდა (გენუას შრომის პალატა აღდგენილი იქნა), ორმხრივი კრიტიკის ქვეშ მოექცა. ერთი მხრივ მას ,,არასაკმაო სიმტკიცისათვის", თვით კონსერვატორები აკრიტიკებდნენ, ხოლო მეორე მხრივ—ლიბერალური პოლიტიკური დაჯგუფების (იგი XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა) წარმომადგენლები მუშათა საკითხის უგულვებელყოფისათვის. 1901 წლის თებერვალში სარაკოს მთავრობა გადადგა.

მთავრობას სათავეში ლიბერალები ჩაუდგნენ. მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის (ანუ პრემიერ-მინისტრის) პოსტი ძანარდელიმ დაიკავა (1901 1903 წ.წ.), რომლის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი ლიბერალთა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ჯოვანი ჯოლიტიმ მიიღო. 1842-1928). სწორედ ჯოლიტი გახდა ის პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც XX საუკუნის დამდეგს იტალიაში შექმნილ საშინაო-პოლიტიკურ ვითარებას ყველაზე უკეთესად აუღო ალღო და ღონისძიებათა მთელი პროგრამა წამოაყენა, რომელიც ,,ახალი კურსის" სახელწოდებითაა ცნობილი. თავის პროგრამაში ჯოლიტი მთავარ ყურადღებას ეკონომიკური აღმავლობის მიღწევას უთმობდა, რასაც საბოლოო ჯამში საერთაშორისო ასპარეზზე. იტალიის პოზიციები უნდა გაეძლიერებინა. ამ მიზნის მისაღწევად ჯოლიტის აზრით, უპირველეს ყოვლისა მრეწველობისა და

ვაჭრობის ყოველმხრივი წახალისება იყო საჭირო. ამავე დროს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების რეგულირების მიზნით ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტენსიური ჩარევაც იყო საჭირო. ჯოლიტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რაც მისი აზრით იყო მათში რევოლუციური განწყობილებების აღმოფხვრის მთავარი გარანტია იყო. ჯოლიტის მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მეწარმეებსა და მუშებს შორის არბიტრის როლი უნდა ეკისრა. იგი მეწარმეებს მუშათა ორგანიზაციების და გაფიცვებზე მუშების უფლების.ცნობისაკენ მოუწოდებდა. ამავე დროს იგი მუშებსაც მოუწოდებდა თავის კერძო საკუთრებაზე მეწარმის უფლება ეცნოთ.

ჯოლიტის მიერ შემუშავებული „ახალი კურსის“ განხორციელება ძანარდელის მთავრობის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო. წინა პლანზე მუშათა საკითხი იქნა წამოწეული, რაც იტალიის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში XX საუკუნის დამდეგს ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. საუკუნის დასაწყისი იტალიაში მუშათა მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა და ეს ბუნებრივიც იყო. 10 საათიანი სამუშაო დღე (მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ მრეწველობაში 16 საათიანიც), დაბალი ანაზღაურება, შრომის კანონმდებლობის და უსაფრთხოების ტექნიკის არარსებობა და ცუდი საცხოვრებელი პირობები იტალიის მრეწველობაში დასაქმებულ მუშებს (2,5 მლნ. ადამიანი) მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ასევე მძიმე იყო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული უმიწო და მცირემიწიან გლეხთა ცხოვრების პირობები, რის გამოც მუშათა მოძრაობას გლეხთა მოძრაობაც ერთვოდა (განსაკუთრებით სამხრეთ იტალიაში). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1901 წელს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მუშების 1663 გაფიცვა მოხდა, რაშიც საერთო ჯამში 412256 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. დიდი რაოდენობით იქმნებოდა ახალი პროფკავშირები და შრომის პალატები.

მუშათა მოძრაობის შესუსტების მიზნით ძანარდელის მთავრობა რეფორმების გატარებას შეუდგა. გამოცხადდა მუშათა ორგანიზაციების არსებობის კანონიერება. გაფიცვების მოწყობაზე მუშათა უფლებაც ასევე კანონიერად იქნა ცნობილი. რამდენადმე გაიზარდა ზოგიერთ დარგში მოსაქმე მუშების ხელფასიც. 1902 წელს მიღებული იქნა მეტად მნიშვნელოვანი კანონი ბავშვების და ქალების შრომის შეზღუდვის შესახებ (ბავშვები და ქალები იტალიაში სამრეწველო მუშების 40%-ს შეადგენდნენ). კანონის მიხედვით იკრძალებბოდა სამუშაოზე 12 წლამდე ასაკის ბავშვების, ხოლო მაღაროებში 14 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება. ქალების შრომა მაღაროებში საერთოდ აიკრძალა. 15 წლამდე ბავშვების სამუშაო დღის ხანგრძლივობა 11 საათით, ხოლო ქალების სამუშაო დღე 12 საათით განისაზღვრა. მუშა ქალებისთვის ორსულობის პერიოდში სხვადასხვა შეღავათები იქნა შემოღებული. მიღებული იქნა კანონი მუშების სავალდებულო დაზღვევის შესახებ. კვირაობით დასვენების დღე დაწესდა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მუშათა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, რასაც 1902-1903 წლებში მუშათა საგაფიცვო მოძრაობის შენელება მოყვა. თუმცა მთავრობისათვის ჯერ ისევ მწვავე პრობლემად რჩებოდა ე.წ. „სამხრეთის საკითხი“: სამხრეთის რეგიონების ეკონომიკური აღორძინების და გლეხობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანა. ეს პრობლემა კონსერვატორების მხრიდან ძანარდელის მთავრობის მკვეთრ კრიტიკას იწვევდა. ამას 1903 წელს მომხდარი პოლიტიკური სკანდალიც დაემატა. სოციალისტებმა პრესის ფურცლებზე საზღვაო სამინისტროს და თვით მინისტრს ბეტოლოს ფირმა „ტერნისთან“ უკანონო კავშირში დასდეს ბრალი. სოციალისტები მინისტრს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ იგი მონოპოლიურად აძლევდა შეკვეთებს ამ ფირმას იტალიის ფლოტისათვის საჭირო მოწყობილობების დამზადებაზე. მთავრობამ ამ საკითხზე საპარლამენტო გამოძიების ჩატარების წინადადება უარყო. მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება პარლამენტმა მხოლოდ დეპუტატთა ხმების მცირე უმრავლესობით

მოიწონა. იმ საბაბით, რომ მთავრობამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა პარლამენტის მხარდაჭერა, ჯოლიტიმ 1903 წლის ივნისში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დატოვა. მის მაგალითს სხვა მინისტრებმაც მიბაძეს და ძანარდელის მთავრობაც დაიშალა.

იმავე ივნისში ძანარდელის ახალი მინისტრთა კაბინეტი ჩამოყალიბდა (ამ მთავრობაში შესვლაზე ჯოლიტიმ უარი თქვა), რომელსაც დიდხანს არ უარსებია. მას საბოლოო დარტყმა ახალმა პოლიტიკურმა სკანდალმა მიაყენა. საქმე ის იყო, რომ იტალიელმა სოციალისტებმა (მათმა მარქსისტულმა ნაწილმა) რომში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მოსალოდნელი ვიზიტის წინააღმდეგ დიდი საპროტესტო კამპანია გააჩაღეს. სოციალისტებს ანარქისტებმაც აუბეს მხარი. ყველაფერმა ამან კი ამ ვიზიტის ჩაშლა გამოიწვია. რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ნიკოლოზ II-ის ვიზიტი იტალიაში გადაიდო. ეს საგარეო პოლიტიკაში რუსეთთან დაახლოების გზაზე იტალიის მთავრობის სერიოზული მარცხი იყო, რადგან საფრანგეთთან დაახლოებასთან ერთად იტალიისათვის ბალკანეთში ავსტრიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთთან დაახლოებაც აუცილებელი იყო. ძანარდელის მთავრობამ საბოლოოდ დაკარგა ავტორიტეტი და 1903 წლის 21 ოქტომბერს გადადგა (ამას თვითონ ძანარდელის მძიმე ავადმყოფობაც დაერთო თან). ახალი მთავრობა (1903 წლის ოქტომბერი-1905 წლის თებერვალი) ჯოვანი ჯოლიტიმ ჩამოაყალიბა.

მთავრობის სათავეში მოსვლის შემდეგ, ჯოლიტის თავისი „ახალი კურსის“ უფრო ინტენსიური განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცა. მთავრობამ საზოგადოებრივი სამუშაოების შექმნის მიზნით გარკვეული ღონისძიებები გაატარა რამაც უმუშევართა რიცხვი ნაწილობრივ შეამცირა. გაიზარდა მეტალურგიასა და მანქანათმშენებლობაში დასაქმებულ მუშათა ხელფასები. ხელფასები სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებს და დოკერებსაც გაუზარდეს. მთავრობა სამხრეთის რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვისაც იღებდა ზომებს, მაგრამ 1904 წლის 3 სექტემბერს საშინაო-პოლიტიკური ვითარება მეტად

გაართულა იმან, რომ პოლიციამ კუნძულ სარდინიაზე ქალაქ ბუჯერუში გაფიცულ მუშებს ცეცხლი გაუხსნა. იგივე 14 სექტემბერს კუნძულ სიცილიაზე, ქალაქ კასტელუცოშიც განმეორდა. პროტესტის ნიშნად, სოციალისტების მოწოდებით იტალიელმა მუშებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის (16-20 სექტემბერი) შედეგად მრეწველობა და ტანსპორტი პარალიზებული აღმოჩნდა. ჯოლიტიმ ვადაზე ადრე დაითხოვა პარლამენტი და ახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. არჩევნებში მონაწილეობა რომის პაპის მომხრე შეურიგებელმა კათოლიკეებმაც მიიღეს, რომლებიც აქამდე მას ბოიკოტს უცხადებდნენ. არჩევნების შედეგად სოციალისტების გავლენა პარლამენტში რამდენადმე შესუსტდა (მათ ორი ადგილი დაკარგეს). სამაგიეროდ გაიზარდა ლიბერალების და კონსერვატორების გავლენა.

1905 წლის თებერვალში ჯოლიტის მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც რკინიგზების სახელმწიფოს ხელში გადასვლას ითვალისწინებდა. ამავე დროს კანონპროექტით მკაცრი სასჯელი იყო გათვალისწინებული იმ პირების მიმართ ვინც ,,სარკინიგზო ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას დარღვევდა“ ეს ფაქტობრივად რკინიგზელი მუშების გაფიცვების აკრძალვას ნიშნავდა. ამას სარკინიგზო ტრანსპორტის მუშათა საპროტესტო გაფიცვები და ამის შედეგად მატარებლების მიმოსვლაში შექმნილი სრული ქაოსი მოჰყვა. ამავე დროს ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ჯოლიტი პრემიერის პოსტიდან გადადგა. მეფე ვიქტორ ემანუელ III-ის დავალებით ახალი მინისტრთა კაბინეტი ლიბერალთა კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ალესანდრო ფორტისმა ჩამოაყალიბა, რომელმაც პარლამენტს რკინიგზების შესახებ ახალი კანონპროექტი შესთავაზა. ამ კანონპროექტში გაფიცვების შემთხვევაში მუშების წინააღმდეგ უფრო შერბილებული სანქციები იყო გათვალისწინებული. მართალია რკინიგზელთა გაფიცვები შეწყდა, მაგრამ ახლა რკინიგზების სახელმწიფოს

ხელში გადასვლის პირობების გამო უკმაყოფილონი სარკინიგზო კომპანიებიი იყვნენ. ამიტომ ფორტისის კანონპროექტი პარლამენტში დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამავე დროს მთავრობას „სამხრეთის პრობლემის“ მიმართ უყურადღებობის გამოც აკრიტიკებდნენ. ამას კუნძულ სიცილიაზე ვულკან ვეზუვის ამოფრქვევა და დიდი მიწისძვრა დაემატა, რომელმაც ქალაქი რეჯიო დი კალაბრია დაანგრია. დაიღუპა მრავალი ადამიანი. შექმნილ ვითარებაში მთავრობამ ქმედითუნარიანობა ვერ გამოავლინა და 1096 წლის თებერვალში გადადგა. ფოსტისი პრემიერის პოსტზე კონსერვატორთა ლიდერმა, სიდნეი სონინიომ შეცვალა. სონინიოს კაბინეტის არსებობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა (8 თებერვლიდან 15 მაისამდე ე.წ. „სონინიოს 100 დღე“). სონინიოს მიერ შემუშავებულ პროგრამაში ცენტრალური ადგილი „სამხრეთის პრობლემას“ ეკავა. პროგრამით რიგი ზომების გატარება, მიწის გადასახადის შემცირება, მესაკუთრე გლეხებისადმი ფულადი დახმარება და სახელმწიფო სახსრებით საირიგაციო სამუშაოების ჩატარება იყო გათვალისწინებული, მაგრამ პროგრამა არ ითვალისწინებდა ყველაზე მთავარს, მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, რის გარეშეც სამხრეთის რეგიონების ეკონომიკური აღორძინება შეუძლებელი იყო. პროგრამაში პროვინციების გამგებელი პრეფექტების უფლებების შეზღუდვაზეც, კერძოდ კი მათთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დათხოვნის უფლების ჩამორთმევაზეც იყო ლაპარაკი, რამაც თვით კონსევატორების უკმაყოფილება გამოიწვია. მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი რამ იტალიის ცენტრალურ ხელისუფლებას დაასუსტებდა. კონსერვატორები თავიანთი ლიდერის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათ არც ის მოსწონდათ, რომ სონინიოს კაბინეტში ზოგი მინისტრი რესპუბლიკელი იყო. გარდა ამისა, გართულდა საშინაო ვითარებაც, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პოლიციამ ტურინში გაფიცულ ფეიქრებს ცეცხლი გაუხსნა. ამას როგორც ტურინში ისე მილანში, რომში, ბოლონიაში, ფლორენციაში და სხვა ქალაქებში მუშათა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ამან

საბოლოოდ შეარყია სონინიოს მთავრობის პოზიციები, რომელსაც უკვე ყველა პარტია აკრიტიკებდა. მაისში სონინიოს მთავრობა გადადგა. პრემიერის პოსტი ისევ ჯოლიტიმ დაიკავა. (1906-1909 წ.წ.)

1906 წლიდან, ჯოლიტის ხელისუფლების სათავეში დაბრუნების შემდეგ იტალიაში ჯოლიტისეული „ახალი კურსის“ განხორციელების ახალი, უფრო ინტენსიური ეტაპი დაიწყო, რომელიც 1911 წლამდე გაგრძელდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში იქნა გატარებული ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც იტალიის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდისაკენ იყო მიმართული. დიდი ყურადღება სარკინიგზო ქსელის გაფართოებას დაეთმო. გაყვანილი იქნა ახალი სარკინიგზო ხაზები. სავაჭრო ფლოტის გაზრდისა და ნავსადგურების მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების სტიმულირებისათვის დიდი სახელმწიფო სახსრები გამოიყო. მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვალების კონვერსია (პროცენტული განაკვეთი, 5-დან 3,5%-მდე შემცირდა), რამაც ქვეყნის ბიუჯეტი განამტკიცა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მისცა იტალიის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა, თუმცა ეს განვითარება დროებით მაინც 1907-1908 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა შეაფერხა. ჯოლიტის „ახალი კურსის“ აქილევსის ქუსლად მაინც „სამხრეთის პრობლემა“ რჩებოდა, თუმცა ზოგიერთი ნაბიჯი ამ მიმართულებითაც გადაიდგა. გამოიყო გარკვეული თანხები რეჯიო დი კალაბრიაში 1906 წელს მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა დასახმარებლად. ცალკე გამოიყო 120 ათ. ლირა სამხრეთის რეგიონებში გზების მშენებლობისა და საზოგადოებრივი სამუშაოების ჩასატარებლად. შემცირებული იქნა ზოგიერთი სახის სახელმწიფო გადასახადი. მაგარამ ეს ღონისძიებები საერთო ჯამში არასაკმარისი იყო მით უმეტეს, რომ მთავრობა სამხრეთში არსებული მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისათვის არავითარზომებს არ

იღებდა. ამავე დროს სამხრეთში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად მთავრობის მიერ გატარებული სამრეწველო პროტექციონიზმის პოლიტიკაც მოქმედებდა. სამხრეთის პრობლემამ იტალიის საშინაო-პოლიტიკურ ასპარესზე სპეციფიკური საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობაც კი წარმოშვა, რაც „მერიდიონალიზმის“ სახელითაა ცნობილი. მისი ლიდერი გაეთანო სალვემინი იყო. ამ მოძრაობაში გაერთიანებულნი სამხრეთის რეგიონების ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. მერიდიონალისტები მოითხოვდნენ, რომ ჯოლიტის მთავრობას იტალიის სამხრეთის ეკონომიკური განვითარება პირველი რიგის ამოცანად დაესახა.

მერიდიონალისტებთან ერთად იტალიის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათანობით აქტიურად კათოლიკური ეკლესიაც ჩაერთო. ვატიკანი თანდათან დარწმუნდა, რომ უცხოეთის კლერიკალური წრეების დახმარებით პაპის ხელისუფლების ძველი სახით აღდგენა შეუძლებელი იყო. ამავე დროს ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ გამოსვლა და მორწმუნეებისათვის მოწოდება არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, იტალიაში კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტზე უარყოფითად მოქმედებდა. პიუს X-ის პაპობის პერიოდში (1903-1914 წ.წ.) ვატიკანმა თავისი პოზიცია შეცვალა. იგი შეეცადა შეექმნა თავისი პოლიტიკური ორგანიზაციები, მოიპოვებინა გავლენა და მხარდაჭერა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, განსაკუთრებით მუშებში, რათა ისინი რევოლუციური სოციალიზმის გავლენიდან გამოეყვანა და ამ გზით ხელისუფლებას ქვეყანაში შიგა სტაბილიზაციის მიღწევაში დახმარებოდა. ვატიკანის ასეთი მისწრაფება პირველად 1904 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოიკვეთა, როცა ყოფილმა შეურიგებელმა კათოლიკეებმა ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს და ლიბერალებს დაუჭირეს მხარი. 1906-1908 წლებში უკვე კათოლიკური პოლიტიკური ორგანიზაციები შეიქმნა („იტალიელი კათოლიკების სახალხო კავშირი“, „იტალიელი კათოლიკების სოციალ-ეკონომიკური

კავშირი“, ,,იტალიის კათოლიკური საარჩევნო კავშირი“, ,,იტალიის კათოლიკე ქალთა კავშირი“), რომლებიც 1909 წელს ერთიან ასოციაციად გაერთიანდნენ.

იტალიის საშინაო-პოლოტიკურ ასპარეზე კვლავ არსებობდა ირედენტისტთა პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩენილი იტალიელებით დასახლებული ტერიტორიების შემოერთებას მოითხოვდა. ირედენტისტების გვერდით თანდათან ნაციონალისტთა პოლიტიკური მოძრაობაც ჩამოყალიბდა. 1910 წელს ფლორენციაში ენრიკო კორადინის მეთაურობით ,,ნაციონალისტური ასოციაცია“ შეიქმნა. ნაციონალისტები ფართო კოლონიუ ი იმპერიის შექმნას მოითხოვდნენ. ირედენტისტების და ნაციონალისტების ზეგავლენით ჯოლიტის მთავრობა მნიშვნელოვან ყურადღებას არმიასა და ფლოტს უთმობდა და სამხედრო ხარჯებსყოველწლიურად ზრდიდა. 1910-1911 წლებში ამ მიზნით 517 მლნ. ლირა (თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1900-1901 წლებში (275 მლნ.)) იქნა გამოყოფილი. 1911 წელს იტალიის ფლოტს უკვე 10 ჯავშნოსანი ხომალდი და 7 კრეისერი ყავდა. გაიზარდა სხვა კლასის სამხედრო გემების რაოდენობაც. დიდი ყურადღება არმიის შეიარაღების გაუმჯობესებასაც ექცეოდა.

1909 წლისათვის ჯოლიტის მთავრობის პოზიციები შეირყა. კრიტიკის ობიექტი ჯოლიტის საგარეო პოლიტიკა გახდა. მართალია იტალია თანდათან უახლოვდებოდა ანტანტას, მაგრამ ამავე დროს სამთა კავშირის ბლოკთან ურთიერთობას არ წყვეტდა, რადგან ჯოლიტის აზრით, ამ ბლოკთან კავშირი იგივე ანტანტის თვალში იტალიის ავტორიტეტს და მნიშვნელობას ზრდიდა. ასეთ ორაზროვან კურსს აკრიტიკებდნენ, ერთი მხვრივ კონსერვატორები, რომლებიც სამთა კავშირის ბლოკში იტალიის ყოფნას, უჭერდნენ მხარს, მეორე მხვრივ კი მას რადიკალები, რესპუბლიკელები, ირედენტისტები და რეფორმისტი სოციალისტები, აკრიტიკებდნენ, რომლებიც ანტანტასთან

დაახლოებას მოითხოვდნენ. სწორედ ამან 1909 წლის დეკემბერში ჯოლიტის მთავრობის გადადგომა გამოიწვია.

ახალი მთავრობა 11 დეკემბერს კონსერვატორმა სონინიომ ჩამოაყალიბა, რომელმაც საგარეო პოლიტიკაში იტალიის მთავარ ამოცანად სამთა კავშირის ბლოკთან ურთიერთობის ყოველმხრივი განმტკიცება გამოაცხადა. ამის გამო სონინიოს მთავრობას ლიბერალები, რადიკალები და რესპუბლიკელები. ერთიანი ფრონტით დაუპირისპირდნენ. 1910 წლის მარტში სონინიოს მთავრობა გადადგა. 31 მარტს ახალი მინისტრთა კაბინეტი ლიბერალთა წარმომადგენელმა ლუცატიმ (1910 წლის მარტი-1911 წლის მარტი) ჩამოაყალიბა. ლუცატის მთავრობის ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში ქვეყნის საშინაო ვითარება კვლავ გართულდა. ამის მიზეზი 1910 წლის მოუსავლიანობა, სამხრეთის რეგიონებში ქოლერის ეპიდემიის გავრცელება და პროდუქციაზე ფასების დაცემის გამო საფეიქრო მრეწველობაში, გემთმშენებლობასა და მეტალურგიულ მრეწველობაში, წარმოების შემცირება იყო, რამაც უმუშევართა რიცხვი გაზარდა. მართალია ლუცატის მთავრობამ მოიპოვა რადიკალების, რესპუბლიკელების და სოციალისტების მხარდაჭერა იმით, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმის პროექტი წამოაყენა, მაგარამ ამ პროექტმა ზემოთათნიშნული ძალები მთლიანად მაინც ვერ დააკმაყოფილა, რადგან პროექტით, გათვალისწინებული საგანმანათლებლო ცენზის შემცირება ამომჩეველთა რიცხვს მართალია რამდენადვე ზრდიდა, მაგრამ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც ხმის უფლების გარეშე ტოვებდა. ამ კანონპროექტის ირგვლივ პარლამენტში გაჩაღებულ დისკუსიას 1911 წლის მარტში ლუცატის მთავრობის გადადგომა მოჰყვა. მთავრობას სათავეში ისევ ჯოლიტი ჩაუდგა.

ხელისუფლების სათავეში დაბრუნების შემდეგ ჯოლიტიმ საარჩევნო სისტემის ახალი კანონპროექტი წამოაყენა, რომლის მიხედვითაც ხმის უფლება ყველა წერა-კითხვის მცოდნე 21 წელის ასაკს გადაცილებულ მამაკაცს ენიჭებოდა. გარდა ამისა ხმის უფლება იმ მამაკაცებსაც მიენიჭათ, რომლებმაც სამხედრო

სამსახური გაიარეს ან 30 წელი შეუსრულდათ ამ შემთხვევაში წერა-კითხვის ცოდნა სავალდებულო არ იყო. ჯოლიტის მიერ წამოყენებული მეორე კანონპროექტიც იქნა წამოყენებული, რომლის მიხედვითაც კერძო სადაზღვეო კომპანიები უქმდებოდა და დაზღვევის სისტემა მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. აქედან მიღებული შემოსავალი სახელმწიფოს მოხუცებისა და შრომისუუნარო მოქალაქეების დახმარებისათვის უნდა გამოეყენებინა. 1912 წლის ზაფხულში იტალიის პარლამენტმა აღნიშნული კანონმპროექტები დაამტკიცა. საარჩევნო სისტემის რეფორმის შედეგად ამომრჩეველთა რიცხვი 3-იდან 8 მილიონამდე გაიზარდა. არჩევნებში მონაწილეობის საშუალება სოფლად მცხოვრები გლეხობის ფართო მასებსაც.მიეცათ.

XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში იტალიის საშინაო პოლიტიკური ვითარება ისევ გართულდა. ამის მთავარი მიზეზი 1911-1912 წლების იტალია-თურქეთის ომი იყო, რომელიც სახელმწიფო ხაზინას მძიმე ტვირთად დააწვა და რომელმაც ქვეყანაში ფაქტიურად ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ომმა მართალია ახალი ბიძგი მისცა მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული და სამთო მრეწველობის განვითარებას, ვინაიდან ამ დარგებში მოქმედი ფირმები სამხედრო შეკვეთებს იღებდნენ, მაგრამ მეორე მხრივ საომარი მოქმედებების გამო სავაჭრო კავშირები ახლო აღმოსავლეთთან შეწყდა, რამაც იტალიის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ბევრი დარგი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ძალიან დიდი იყო პირდაპირ სამხედრო ხარჯებიც__1149457000 ლირა. ომით გამოწვეულ კრიზისს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც დაემატა, რომელიც ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად იტალიასაც მოედო. გაიზარდა სახელმწიფო გადასახადები, გაძვირდა სურსათი და სხვა პროდუქცია, ფაბრიკა-ქარხნების დახურვის გამო იმატა უმუშევრობამ, რასაც მუშათა საგაფიცო მოძრაობის აღმავლობა მოჰყვა. ამასთან ერთად, მიუხედავად თურქეთის კაპიტულაციისა, საომარი მოქმედება შემდეგაც გაგრძელდა. იტალიის ჯარებს

ტრიპოლიტანიასა და კირენაიკაში ადგილობრივი არაბი მოსახლეობა. შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა.

ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოაჩინა ის ფაქტი, რომ ჯოლიტისეული ,,ახალი კურსის“ განხორციელების შედეგად ქვეყნის ეკონომიკის გარკვეული წინსვლის მიუხედავად, იტალია ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მაინც ჯერ კიდევ სუსტი იყო. ეს კი იტალიის ბურჟუაზიის, რომელიც ახალი კოლონიური დაპყრობებისაკენ მიისწრაფოდა, სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. იტალიის სამეფო კარის და უმაღლესი პოლიტიკური წრეების ამ შეშფოთებას მუშათა მოძრაობის აღმავლობა და მუშებზე რევოლუციური სოციალიზმის გავლენის ზრდაც აძლიერებდა, რაც 1913 წლის საპარლამენტო არჩევნებმა დაადასტურა. არჩევნების შედეგად მართალია ლიბერალებმა კათოლიკური პოლიტიკური ორგანიზაციების დახმარებით პარლამენტში უმრავლესობა (280 ადგილი მოიპოვეს), მაგრამ რევოლუციური სოციალიზმის მიმდევრებმა 1909 წლის არჩევნებთან შედარებით პარლამენტში ადგილების რაოდენობა გაიორმაგეს (25-დან 52-მდე).

შექმნილ ვითარებაში ქვეყნის უმაღლეს სამრეწველო, ფინანსურ და პოლიტიკურ წრეებს ჯოლიტის პოლიტიკური ფიგურა უკვე აღარ აკმაყოფილებდათ. 1914 წლის მარტში ჯოლიტის მთავრობა გადადგა. მეფის დავალებით ახალი მთავრობა კონსერვატორთა წარმომადგენელმა ანტონიო სალანდრამ ჩამოაყალიბა. სალანდრას მთავრობა საქმიანობას დაძაბულ საშინაო-პოლიტიკურ ვითარებაში შეუდგა. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი და მუშათა მოძრაობა კვლავ გრძელდებოდა. ამასთან ერთად საერთაშორისო ვითარებაც უკვე დღითიდღე მწვავდებოდა. ახლოვდებოდა დიდი საერთაშორისო კონფლიქტის გაჩაღების საფრთხე.

1900-1914 წლებში იტალიაში მუშათა მოძრაობა, რომელსაც XIX საუკუნის ბოლოს შექმნილი იტალიის სოციალისტური პარტია ხელმძღვანელობდა, სერიოზულ ფაქტორს წამოადგენდა. იგი ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ვითარებაზე. საკმაოდ

მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ჯოლიტის ,,ახალი კურსის“ ინტენსიური მიმდინარეობის პერიოდში (1901-1911 წ.წ.), როცა ეკონომიკური წინსვლის პარალელურად მუშათა მდგომარეობაც რამდენადმე გაუმჯობესდა და საგაფიცვო მოძრაობამაც იკლო, სოციალისტურ პარტიაში რეფორმისტები გაძლიერდნენ. მათი ლიდერები ტურატი, ბისოლატი, ბონომი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ მარქსიზმი, როგორც პოლიტიკური მოძღვრება მოძველდა და რომ სოციალიზმისათვის ბრძოლის მთავარი საშუალება არა რევოლუცია, არამედ პარლამენტის მეშვეობით განხორციელებული რეფორმები იყო. პარტიის შიგნით რეფორმისტმა სოციალისტებმა რევოლუციური სოციალიზმის მიმდევრები მნიშვნელოვნად შეავიწროვეს. რეფორმისტებმა თავის გავლენას დაუქვემდებარეს პარტიული პრესის ორგანო, გაზეთი ,,ავანტი“, რომლის ფურცლებზეც რეფორმისტები მუშებს მოუწოდებდნენ მთავრობასთან ეთანამშრომლათ და თავიანთი მდგომარების გაუმჯობესებისათვის არჩევნებში მონაწილეობის გზით მიეღწიათ. ,,მუშებს უნდა განვუმარტოთ, წერდა რეფორმისტთა ერთ-ერთი ლიდერი ბისოლატი, რომ ამბოხების დრო დამთავრდა. წარმატების მოპოვების ყველაზე კარგი საშუალება საარჩევნო ბიულეტენებია“.

1911-1912 წლების იტალია-თურქეთის ომის შემდეგ, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი და მუშათა მოძრაობის აღმავლობა დაიწყო, მდგომარეობა შეიცვალა. პარტიის შიგნით რევოლუციური სოციალიზმის მიმდევრებმა იმძლავრეს. 1912 წელს ქალაქ რეჯიო-ემილიაში ჩატარებულ პარტიის ყრილობაზე მარქსისტები უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. მათი ლიდერების ლაძარის, ფერრის და სერატის ზეწოლით ყრილობამ თურქეთთან ომი დაგმო. ამის გამო რეფორმისტებმა პარტია დატოვეს და ახალი, ,,სოციალისტურ-რეფორმისტული“ პარტია დააარსეს. ამგვარად იტალიის სოციალისტური პარტია მთლიანად რევოლუციონერ-სოციალისტთა გავლენის ქვეშ მოექცა.მათ ხელთ იგდეს გაზეთი ,,ავანტიც“, რომლის რედაქტორი ბენიტო მუსოლინი გახდა.

საგარეო პოლიტიკა. 1900-1914 წლებში იტალიის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად კვლავ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, აგრეთვე ადრიატიკის ზღვის სანაპიროსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეკონომიკური და კოლონიური ექსპანსია რჩებოდა. ამასთან ერთად ძლიერდებოდა იტალიური კაპიტალის ოსმალეთის იმპერიაში შეჭრაც. XIX საუკუნის ბოლოს, ეთიოპიაში განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ იტალიის საგარეო პოლიტიკაში გარკვეული შემობრუნება შეინიშნება. იტალიის მმართველი წრეები დარწმუნდნენ, რომ სამთა კავშირის ბლოკის ქვეყნებზე, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთზე ცალმხრივი ორიენტაცია (მაშინ, როცა იტალია-ავსტრიას შორის ბალკანეთის საკითხში პრაკტიკულად შეურიგებელი წინააღმდეგობები არსებობდა) და ურთიერთობის გაუარესება საფრანგეთთან და შესაბამისად რუსეთთან იტალიისათვის ზემოთაღნიშნული საგარეო-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას შეუძლებელს გახდიდა. სამთა კავშირის ბლოკში ყოფნა იტალიას კიდევ ერთ ახალ საფრთხეს უქმნიდა: მომავალში მოსალოდნელი იყო იტალია-ინგლისის ურთიერთობების გაუარესება, რადგან XX საუკუნის დამდეგიდან ინგლის გერმანიის წინააღმდეგობები სულ უფრო მწვავდებოდა. აღნიშნული მიზეზების გამო XX საუკუნის დამდეგიდან იტალიის მთავრობამ საგარეო ასპარეზზე ძლიერ დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის ლავირების პოლიტიკის გატარება დაიწყო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ერთი მხვრივ იტალია დგამდა ნაბიჯებს საფრანგეთთან, ინგლისთან და რუსეთთან უერიერთობების გასაუმჯობესებლად, მეორე მხვრივ კი იგი გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან კავშირს არ წყვეტდა. ასეთი ორაზროვანი პოლიტიკით იტალიის მთავრობა ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ძლიერ სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი და თავისი ექსპანსიონისტური მიზნების განხორციელების ამა თუ იმ ეტაპზე მათი მეტ-ნაკლები მხარდაჭერა მოეპოვებინა.

უპირველეს ყოვლისა იტალიის მმართველმა წრეებმა საფრანგეთთან და ინგლისთან, ურთიერთობის გაუმჯობესება დაიწყეს, რადგან ამის გარეშე ხმელთაშუა ზღვის გავლით ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში კოლონიების მოპოვება, აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების განმტკიცება იტალიისათვის პრაკტიკულად შეუძლებელი იყო. თავის მხრივ საფრანგეთიც და ინგლისიც იტალიასთან ურთიეთობის გაუმჯობესებით დაინტერესებულნი იყვნენ, რადგან ცდილობდნენ ეს ქვეყანა მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან გამოეყვანათ.

ჯერ კიდევ 1896 წელს, ეთიოპიაში მარცხიდან ცოტა ხნის შემდეგ დაიდო იტალია-საფრანგეთის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც იტალიამ ტუნისზე საფრანგეთის პროტექტორატი სცნო. სამაგიეროდ საფრანგეთმა იტალიას ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მხარდაჭერა აღუთქვა. 1898 წელს იტალია-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომელმაც ორ ქვეყანას შორის საბაჟო ომს მოუღო ბოლო, რაც იტალიის ეკონომიკას მეტად აზარალებდა. 1901 წელს იტალიის ესკადრა მეგობრული ვიზიტით საფრანგეთის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას, ტულონს ეწვია. ესკადრას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, რომელსაც თვით საფრანგეთის პრეზიდენტი ემილ ლუბე დაესწრო. ორი ქვეყნის დაახლოების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი 1902 წლის ივნისის იტალია-საფრანგეთის საიდუმლო ხელშეკრულება იყო, რომელიც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, პრინეტის და რომში საფრანგეთის ელჩის, კამილ ბარერის წერილების ურთიერთ გაცვლით გაფორმდა. ამ შეთანხმებით იტალიამ საფრანგეთისა და რომელიმე სხვა ქვეყანას (იგულისხმებოდა გერმანიაც) შორის ომის შემთხვევაში საფრანგეთის მიმართ ფაქტობრივად ნეიტრალიტეტის ვალდებულება იკისრა. (უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენამდე ორი დღით ადრე იტალია სამთა კავშირის ვადის გაგრძელებასაც დათანხმდა).

მიმდინარეობდა იტალია-ინგლისის დაახლოებაც, რისი გამოხატულება იტალია-ინგლისის 1902 წლის მარტის ხელშეკრულება იყო, რომელიც პრინეტისა და რომში ინგლისის ელჩს კარის შორის გაფორმდა. ხელშეკრულების მიხედვით იტალია ეგვიპტეში ინგლისის ინტერესებს ცნობდა, ხოლო ინგლისი იტალიის ინტერესებს__ტრიპოლიტანიასა და კირენაიკაში. იტალია-ინგლისის დაახლოება 1903 წელს რომში ინგლისის მეფის ედუარდ VII-ის ვიზიტმა კიდევ უფრო განამტკიცა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ იტალია ფორმალურად სამთა კავშირის ბლოკში რჩებოდა, ფაქტობრივად იგი თავის მოკავშირეებს სულ უფრო შორდებოდა. ამ პროცესს იტალია-ავსტრია-უნგრეთის დაპირისპირება ბალკანეთის საკითხში კიდევ უფრო აჩქარებდა. იტალიის ბურჟუაზიას ბალკანეთის აგრარული ქვეყნები, როგორც სამრეწველო პროდუქციის გასაღების ხალსაყრელი ბაზრები, ძალიან იზიდავდა. განსაკუთრებული დაინტერესების საგანი ალბანეთი იყო, რომელსაც იტალიის მთავრობა ადრიატიკის ზღვაზე გაბატონების და ბალკანეთში ექსპანსიის მთავარ ბაზად განიხილავდა. მაგრამ იტალიელთა ექსპანსია ბალკანეთში ავსტრია-უნგრეთის და მისი მოკავშირის, გერმანიის წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამავე დროს იტალია-ავსტრიის წინააღმდეგობას ავსტრიის მიმართ იტალიის ტერიტორიული პრეტენზიებიც ამწვავებდა. 1908 წელს ავსტრიის მიერ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ტერიტორიების ანექსიამ ორი ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. ავსტრიის საწინააღმდეგოდ იტალიამ რუსეთთან დაახლოება დაიწყო, რომელიც თავის მხრივ ბალკანეთში ასევე ავსტრიის მეტოქე იყო. 1909 წლის ოქტომბერში, რაკონიჯის ციხე-სიმაგრეში ვიქტორ-ემანუელ III-ისა და ნიკოლოზ II-ის შეხვედრაზე იტალია და რუსეთი შეთანხმდნენ ავსტრიის ექსპანსიას ბალკანეთში ერთიანი ძალით დაპირისპირებოდნენ. ამავე დროს იტალიური კაპიტალი ალბანეთში შეიჭრა. 1910 წლისათვის ამ ქვეყანაში იტალიური პროდუქციის ექსპორტის ღირებულება ავსტრიის ექსპორტს

მნიშვნელოვნად აჭარბებდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1909 წლის ოქტომბრის იტალია-რუსეთის ხელშეკრულების შემდეგ მალე იმავე წელს დეკემბერში იტალია-ავსტრიის საიდუმლო ხელშეკრულება გაფორმდა, რომელმაც ორი ქვეყნის ურთიერთობა დროებით გააუმჯობესა. ხელშეკრულების მიხედვით ბალკანეთის საკითხში ორივე ქვეყანამ ურთიერთინფორმირების და ურთიერთკონსულტაციების ვალდებულება იკისრა.

ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის დროებითი გაუმჯობესება იტალიის მმართველ წრეებს იმისათვის სჭირდებოდათ, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი ხნის წინათ დაგეგმილი აგრესია განეხორციელებინათ, კერძოდ კი ტრიპოლიტანა და კირენაიკა დაეპყროთ, რომლებიც თურქეთის სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. 1911 წელს ისარგებლა რა იმით, რომ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები მაროკოს მეორე რიზისში აღმოჩნდნენ ჩათრეული, იტალიამ თურქეთს ომი გამოუცხადა, რითაც ე.წ. „ლიბიის ომი“ დაიწყო. იტალიის ფლოტმა ხმელთაშუა ზღვის გავლით ტრიპოლიტანიის და კირენაიკის სანაპიროებზე საექსპედიციო არმია გადასხა. იტალიის ჯარებმა, რომლებიც უახლესი ტექნიკით იყვნენ აღჭურვილნი (ომების ისტორიაში პირველად ავიაციაც იქნა გამოყენებული), სანაპირო ქალაქები ტრიპოლი, ბენგაზი, ტობრუკი, ჰომსი და დერნე სწრაფად დაიკავეს. თურქეთის ჯარები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს, მაგრამ იტალიელებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივმა არაბულმა მოსახლეობამ, რომელიც პარტიზანულ ომზე გადავიდა. ამის გამო აქტიური საომარი ოპერაციები მთელი წლის განმავლობაში გაჭიანურდა. 1912 წლის ოქტომბერში თურქეთი იძულებული გახდა ზავზე მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ტრიპოლიტანია და კირენაიკა ლიბიის სახელწოდებით იტალიის კოლონიად იქცა. ამგვარად იტალიის აფრიკულ კოლონიებს ერიტრეასა და სომალს ლიბიაც შეემატა. იტალიელებმა კვლავ ეთიოპიაში შეჭრაზე, დაიწყეს ფიქრი.

ჩრდილოეთ აფრიკაში მოპოვებული წარმატების შემდეგ იტალიელებმა გააძლიერეს ბალკანეთში, კერძოდ ალბანეთში

ექსპანსია, რამაც იტალია ავსტრიის ურთიერთობა კვლავ გაართულა. ამ ურთიერთობას ავსტრია უნგრეთის ხელისუფალთა მიერ ტრენტინოსა და ტრიესტში მცხოვრები იტალიური მოსახლეობის შევიწროება კიდევ უფრო აუარესებდა. ალბანეთში თავდაპირველად იტალიელებმა მოიპოვეს წარმატება. მათ ალბანეთის მმართველის, თავად ვიდის სამხედრო მინისტრი, ესადი ფაშა მიიმხრეს. მაგრამ შემდეგ 1914 წელს ავსტრიელთა მაქინაციების წყალობით ესადი ფაშას ანტისამთავრობო შეთქმულებაში მონაწილეობა დაბრალდა და დაპატიმრებული იქნა. ამგვარად ალბანეთში ისევ ავსტრია-უნგრეთის გავლენა გაძლიერდა.

ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის გაუარესებამ იტალიის მმართველ წრეებს გერმანია ავსტრიასთან კავშირის გაწყვეტა თითქმის საბოლოოდ გადააწყვეტინა. იტალიის საზოგადოებრივი აზრიც დიდწილად ანტანტოფილურად იყო განწყობილი. სწორედ ასეთ ვითარებაში მოხდა გასროლა სარაევოში და დაიწყო ე.წ. ბოსნიის კრიზისი. იტალიის მმათველი წრეები ხვდებოდნენ, რომ ანტანტასა და სამთა კავშირს შორის შეტაკება გარდაუვალი გახდა, მაგრამ ითვალისწინებდნენ რა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს და ხანგრძლივი ომისათვის იტალიის მოუმზადებლობას, მათ ომის დასაწყისში ყველაზე უკეთესს ნაბიჯად ნეიტრალიტეტის გამოცხადება მიიჩნიეს.

პირველი რეიტინგული შეფასება (2 სთ.)
ტარდება მე-7 კვირას

თემები:

1. ინგლისის რევოლუცია;
2. 1668 წლის გადატრიალება ინგლისში;
3. ოლივერ კრომველი;
4. ჰოლანდიის რევოლუცია;
5. პრუსიის სახელმწიფოს შექმნა;
6. აშშ შექმნა;
7. საფრანგეთის რევოლუცია;
8. იაკობინელთა რევოლუცია
9. ნაპოლეონის ომები;
10. მაინცის რესუბლიკა.

მეორე რეიტინგული შეფასება (2 სთ.)
ტარდება მე-14 კვირას

თემები:

1. ჩარტისტული მოძრაობა;
2. 1848-1849 წლების რევოლუცია;
3. აშშ სამოქალაქო ომი;
4. მეორე რესპუბლიკის შექმნა;
5. საფრანგეთ-პრუსიის ომი და გერმანიის შექმნა;
6. პარიზის კომუნა;
7. იტალიის გაერთიანება;
8. I ინტერნაციონალი და პროლეტარიატი;
9. აღმოსავლეთის საკითხი;
10. გერმანული იმპერიალიზმი და შლიფენის გეგმა.

About the Author

Doctor of History, Prof. Kakhaber Surguladze is the Head of the Department of History, Archeology and Ethnology of Batumi Shota Rustaveli State University. Spheres of his scientific researches are: Issues of Ancient Rome, Georgian history and International Terrorism.